114
1981/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—520 X

# მნათობი

3 1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე № 3 მარტი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

დიდი ეპოქის მხარდამხარ (მოწინავე) . . . 3
გურამ გეგეშიძე — ხმა მღაღადებლისა. რომანი. გაგრძელება . . . 7

ბესიკ ხარანაული — ორიოდე სიტყვა . . . 49
თამარ ერისთავი — მეორე სუნთქვა. ლექსები . . . 51
მარი აბრამიშვილი — ლექსები . . . 53
ნელი თარბა — ლექსები . . . 54
ლეილა მესხი — მონატრება. მოთხრობა . . . 56
დალილა ბედიანიძე — ფოტოსურათები. პოემა . . . 65
შარლოტა კვანტალიანი — ლექსები . . . 77
ნაზი ხაპრიძე — ლექსები . . . 79
ლია ბედოშვილი — ლექსები . . . 80
მარინე წოწკოლაური — მოთხრობები . . . 81
მაია სახოკია — ლექსები . . . 88
რუსუდან შუბლაძე — ლექსები . . . 89
ტერეზა ჯოჯუა — არწივი. ლექსი . . . 91
იზა ცარციძე — ლექსები . . . 91
გულიკო დვალი — სვანეთში ვარ. ლექსი . . . 92
ციცინო მესტიაშვილი — წინსაფარი. მოთხრობა . . . 92
ნაილი ნეკერიშვილი — ლექსები . . . 97
ზუმრუდ გოდერძიშვილი — ლექსები . . . 98
ელენე ნადირაშვილი — ლექსები . . . 99
მარინე ხუციშვილი — ლექსები . . . 100
მაყვალა გონაშვილი — ლექსები . . . 101
მარინე ქავთარაძე — გამოფენაზე. ლექსი . . . 101
დარეჯან ბატიაშვილი — უსათაურო. ლექსი . . . 102
ჯულიეტა მილდიანი — ლექსები . . . 102
ლალი თოთაძე — ლექსები . . . 104
ცირა ბაჯიაშვილი — ლექსები . . . 105
რუსუდან მეგრელიშვილი — მთის უბეში. ლექსი . . . 105
ნინო კირთაძე — ლექსები . . . 106
ნარგიზა სოფრომაძე — ლექსები . . . 107
ლალი ჯაფარაშვილი — ლექსები . . . 107
იზა ჯაჭვაძე — წვიმა. ლექსი . . . 109

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ნაზი ჭედია — ლექსები . . . . . . . . . . 110
თენგიზ გოგოლაძე — ცისფერი ცეცხლი. დასასრული . . . . . . .
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. გაგრძელება . . . . . . . 142

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჯანსუღ ღვინჯილია — მიწისქვეშ მოგუგუნე წარსული . . . . . . . . . 151
ნუგზარ შავგულიძე — მ. ჯავახიშვილის მოთხრობების კლასიფიკაციისათვის 160
თეიმურაზ დოიაშვილი — ვაჟა-ფშაველას ლექსი . . . . . . . . . . 168
პროკოფი რატიანი — მეცნიერი, მოღვაწე, ადამიანი . . . . . . . . . 173

## ფაქტები, მოგონებანი

აკაკი შანიძე — იოსებ ყიფშიძე . . . . . . . . . . . . 176
ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება . . . . . . . . 181

## წიგნების მიმოხილვა

სოლომონ ხუციშვილი — ისტორიის აუცილებელი დასაყრდენი . . . . . . 187
ალექსანდრე ღლონტი — „წყობილსიტყვაობის“ ახალი გამოცემა . . . . . . 190

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული. რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

გადაეცა ასაწყობად 6/II-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-81 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08319. ტირაჟი 26100. შეკვ. 421. ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ-საგამომცემლო

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ეპოქის მხარდამხარი

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეცხრე ყრილობის მოწვევის თარიღი დაემთხვა დიდ ისტორიულ თარიღებს, რომელთაც განაპირობეს და წარმართეს მისი მუშაობის პერსპექტიულობა, იდეური სიღრმე და სიმძაფრე; ჯერ იყო და მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მთელმა საბჭოეთმა წარმატებით დაამთავრა მეათე ხუთწლედი, ხოლო ჩვენმა რესპუბლიკამ, ზედიზედ მერვედ, დაიმსახურა გარდამავალი წითელი დროშა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის; ამას მოჰყვა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც თვალწინ წარმოგვიდგინა განვლილი სახელოვანი გზა და დასახა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის წინსვლის ახალი, უფრო ბრწყინვალე პერსპექტივები; 23 თებერვლიდან 3 მარტამდე მიმდინარეობდა სკკპ XXVI ყრილობა, რომელიც ერთბაშად მოექცა მთელი მსოფლიოს, მთელი მოწინავე კაცობრიობის ყურადღების ცენტრში; ყრილობამ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ასხამს ხორცს ლენინის უკვდავ იდეებს და ღირსეულად ასრულებს მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ბელადის როლს. პარტიასთან ურღვევი ერთიანობით, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი თავისი გარჯით ამრავლებს სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, სრულყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემას, უზრუნველყოფს სულიერი კულტურის შემდგომ ზრდას. საბჭოთა ადამიანებს ღრმად ესმით და მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, რომლის უზენაესი მიზანი და დანიშნულებაა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ქვეყნად მშვიდობის დაცვა და განმტკიცება.

ყრილობამ მკაფიოდ ცხადყო, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, ურღვევია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობა; სოციალისტური საზოგადოების ერთიანობა მისი მძლავრი ძალის დაუშრეტელი წყაროა.

სკკპ XXVI ყრილობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი იდეების ახალი გამარჯვების, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა ყველა რაზმთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების ნათელი დადასტურება იყო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული იყო პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, განვითარებული სოციალიზმის დიადი მონაპოვრების, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ყოველმხრივი, ღრმა მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, კომუნისტური მშენებლობის შთამაგონებელი პერსპექტივები, რომლებმაც დიდად გაამდიდრეს პარტიის თეორიული არსენალი. ეს მოხსენება, რომელსაც, ყრილობის დელეგატმა, მწერალმა ალექსანდრე ჩაკოვსკიმ საბჭოთა ცხოვრების ენციკლოპედია უწოდა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის რევო-

ლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობის კონკრეტულ პროგრამას.

ყრილობაზე, მთელი მსოფლიოს გასაგონად და დასანახად, ყველა დელეგატის სიტყვაში, ყველა სტუმრის გამოსვლაში ნათლად გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდად აფასებს პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, როგორც ჩვენი დროის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, მტკიცე მარქსისტ-ლენინელს, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულს, შესანიშნავ ორგანიზატორს, რომელსაც ახასიათებს უშრეტი ენერგია, უნარი შეაკავშიროს ადამიანები, დასახული ამოცანების შესასრულებლად წარმართოს მათი ძალ-ღონე, მათი ენერგია; დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს, ყოველ უბანს, საბჭოთა ხალხების დიად ოჯახს, ამ ოჯახში შემავალ ყოველ ერსა და ეროვნებას; ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს დიდი და ფასდაუდებელი ამაგი შესანიშნავად გამოხატა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგ ედუარდ შევარდნაძემ; ყრილობაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში იგი აღნიშნავდა:

„საქართველოს კომპარტიას თავის საბრძოლო ამოცანად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოთხოვნათა შესასრულებლად იღვაწოს ისე, რომ ყველგან და ყოველთვის ამკვიდრებდეს სამართლიანობის, პატიოსნების, ჰუმანიზმის, თავმდაბლობის, ლენინური პარტიულობის წმიდათაწმიდა პრინციპებს, რათა შრომის ავტორიტეტი, ღრმა დემოკრატიზმი და შეგნებული დისციპლინა, უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი მძლავრი კავშირის წინაშე გახდეს რესპუბლიკის კომუნისტთა სადარბაზო ბარათი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება თანამედროვეობის საეტაპო მოვლენაა. იგი წარმოგვიდგება არა მარტო ეპოქალურ დოკუმენტად, არამედ ცოცხალ ორგანიზმად, მთე[illegible] უჯრედებით რომ დაკავშირებია ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს. ამ ცოცხალმა ორგანიზმმა თითქოსდა შეისისხლხორცა მისი ავტორის, მისი შემოქმედის, ჩვენი ბრძენი ხელმძღვანელის, დიდი რევოლუციონერ-ლენინელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყველა თვისება: მეცნიერული სიღრმე, დაუოკებელი მიზანსწრაფვა, უსაზღვრო ოპტიმიზმი და რეალისტურობა, მასშტაბურობა და კლასობრივი პრინციპულობა, კაცთმოყვარეობა, გამჭრიახობა და სიმართლის ძალა, დიადი ძალა სიმართლისა. ლეონიდ ილიას ძის მოხსენება მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის გულისთქმაა“.

XXVI ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებას, შრომას და მათს წინაშე დასახა ახალი ამოცანები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი სულიერი კულტურის ახალ, უფრო ძლევამოსილ აღმავლობას.

პარტია რომ განუზომელ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ლიტერატურის მიმართ, ამას ჩვენი სინამდვილე ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს. უამრავი ფაქტებიდან და მაგალითებიდან აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო და სასიხარულო ფაქტი: XXVI ყრილობის წინ გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ ნათქვამი იყო:

„განვავითაროთ საგამომცემლო საქმე. უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ნაბეჭდ პროდუქციაზე, ავამაღლოთ გამოცემათა პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი“.

ასე ეწერა პროექტში, რომელიც წინასწარ საჯაროდ განსახილველად იყო გამოქვეყნებული: საკითხის გულდას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით განხილვის შედეგად, ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებისა და წინადადებების შედეგად, ყრილობამ პროექტის ეს პუნქტი დადგენილებაში შემდეგი ცვლილებით შეიტანა:

„განვავითაროთ საგამომცემლო საქმე. უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილებანი ნაბეჭდ პროდუქციაზე, განსაკუთრებით საბავშვო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემებზე, ავამაღლოთ გამოცემათა პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი“.

ამრიგად, ყრილობამ დაადგინა და მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბავშვო წიგნისა და მხატვრული ლიტერატურის გამოცემას. ეს გარემოება შთააგონებს ყოველ მწერალს ღირსეულად ასახოს საბჭოთა სამშობლოს გმირული წარსული და აწმყო, მაღალმხატვრულად წარმოადგინოს საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის ხასიათი, მისი უძლეველი რწმენა მშვიდობისა და სიკეთის გამარჯვებისა ქვეყნად; ეს დიდი ზრუნვა პარტიისა ზრდის და მანამდე არნახულ ძალას აძლევს მწერლის ფანტაზიას, უფართოეს ჰორიზონტებს გადაშლის მის თვალწინ.

ყოველი მწერლისა და ხელოვნების მუშაკის გულში ულრმესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობას აღძრავს ის ფაქტი, რომ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, თავის საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ გააშუქა რა საბჭოთა ხალხის დიადი წარმატებანი უკანასკნელ ათწლეულში, იმავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ისტორიულ წარმატებათა შორის დიდი ადგილი უჭირავს იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების ოსტატებმა მოიპოვეს იდეოლოგიის ფრონტზე, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ის, რომ საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრება სულ უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი ხდება, ჩვენი კულტურის მოღვაწეების, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების უდავო დამსახურებაა“.

მაშასადამე, პარტიამ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ შეასრულა ისტორიული როლი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, რომ ჩვენმა მწერლებმა შექმნეს თანამედროვეობის ბრწყინვალე სახეები, რომლებიც აღელვებენ ადამიანებს, მოგვიწოდებენ ჩავუფიქრდეთ აწმყოს და მომავალს; ეს ნაწარმოებები გამსჭვალული არიან მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობით, აქტიურად ერევიან ცხოვრებაში, იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებსაც ახალი სამყაროს მშენებლობა აყენებს ჩვენს წინაშე; ერთ-ერთი ასეთ გამარჯვება გაიხსენა თავის სიტყვაში ყრილობაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა დაასახელა ქართველი კინემატოგრაფისტების ახალი შესანიშნავი ნაწარმოები „მშობლიურო ჩემო მიწავ“; რევაზ ჩხეიძის ამ ფილმმა თავის პრობლემურობით, ღრმა იდეურობით და შესრულების მაღალი ხარისხით მართლაც მოხიბლა და ღრმად დააფიქრა ჩვენი მაყურებელი მიმდინარე ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე, და რაც ყველაზე მთავარია, ამ ფილმის მაგალითზე ორატორმა გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი წარმატება მოჰყვება მხატვრულ ნაწარმოებს, როცა იგი შთაგონებულია პარტიის იდეებით: „დღევანდელი რაიონი, — აღნიშნავდა ორატორი, — ურთულესი ორგანიზმია. ბევრ სასოფლო რაიონში ჩვენთან გამოდის 200-250 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია, რგოლი კი იგივეა, რაც 25 წლის წინათ. რაიკომის მდივანს ზოგჯერ უჭირს. პრობლემა ბევრია, მართვის საშუალებები კი შეზღუდულია. გავიხსენოთ, რა სიყვარულით ლაპარაკობს თავის ნაწარმოებებში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი რაიკომის მდივნის შესახებ. ეს მართლაც რომ ცენტრალური ფიგურაა. ლეონიდ ილიას ძის სიტყვებმა შთააგონა ქართველ კინემატო-

გრაფისტებს თანამედროვე რაიონული ხელმძღვანელის სახის შექმნა“.

ეს ფრიად საგულისხმო მაგალითია და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რაოდენ გულდასმით უნდა ვეკიდებოდეთ პარტიული დოკუმენტების შესწავლას, რომლებიც გვიხსნიან გზას სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრისაკენ, რაც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებისაგან მოითხოვს უფრო ღრმად შეიჭრნენ ცხოვრების შუაგულში.

ძველისძველი სიბრძნე იუწყებოდა, რომ ადამიანი ცხოვრობს „არა მარტო პურითა ერთითა“. მას ჰაერივით სჭირდება სულიერი საზრდოც, ისე ვერ აშენებს სახელმწიფოს, ვერ შექმნის ისტორიას. მაშასადამე, მთელი სიმძაფრით დგას მის წინაშე სულიერ და ზნეობრივ ღირებულებათა საჭიროებისა და წარმოქმნის საკითხი. ეს ასე იყო ისტორიულად, ასეა დღესაც. ასეა, მით უმეტეს, სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც საზოგადოებრივ ფორმაციათა შორის ყველაზე უმაღლეს და უკეთესად მოწყობილ საფეხურს, ჰუმანისტურ საწყისებზე დაფუძნებულ საზოგადოებას წარმოადგენს. და შემთხვევით როდია, რომ რაც უფრო წინ მიდის ჩვენი ქვეყანა, მით უფრო ფართოდ და საფუძვლიანად, მით უფრო ყოვლისმომცველად ისმის საბჭოთა ლიტერატურის ფილოსოფიური პოტენციალის, ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური სრულყოფისა და ამაღლების პრობლემები, ის მარადიული საკითხები, რომლებიც ყოველ საუკუნეში ხელახლა წამოიჭრებოდა ხოლმე და მათი გადაჭრისას ადამიანები ითვალისწინებენ არა მარტო წინა თაობათა გამოცდილებას, არამედ იმ ახალსაც, რომელიც ეპოქამ მოიტანა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ქართულ რომანს, რომელსაც პირველს მიენიჭა ლენინის პრემია — ჰქვია „მარადისობის კანონი“ და აღძრავს საკითხს ადამიანის სულიერი განწმენდისა იმ ჭუჭყისა და სიბინძურისაგან, რაც საუკუნეების მანძილზე უსამართლობაზე აგებულმა საზოგადოებრივმა ფორმაციებმა დაგვიტოვეს. დიახ, დადგა დრო, როცა მარადისობის კანონს მწერლის კალამი წერს და წინ — სიკეთისა და სინათლისაკენ ეძახის ადამიანს. ეს არის ჩვენი დროის საბჭოთა ლიტერატურის განმასხვავებელი ნიშანი.

ლ. ი. ბრეჟნევმა ისიც კვლავ შეგვახსენა, რომ ლიტერატურა არის დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმე და, მაშასადამე, უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეპყროთ ყოველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებას. ლ. ი. ბრეჟნევმა გაიხსენა ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტის მაიაკოვსკის შესანიშნავი სიტყვები: „მე მინდა ოფლის ღვრით დავობდეს საგეგმო კომიტეტი და წლიურ დავალებას მაძლევდეს მე“. ამით ხაზგასმულია პოეტის შემოქმედების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ყოველივე ეს დიდად განამხნევებს მთელ საბჭოთა მწერლობას და კერძოდ, ქართველ მწერალთა კოლექტივს, რომელთა ნაწარმოებებს ახლა მსოფლიო რეზონანსი აქვს. ესეც, არსებითად, ბოლო წლებში მიღწეული გამარჯვებაა — ქართული კულტურა ახლა წარმატებით გავიდა მსოფლიო ასპარეზზე.

დიდი და ნათელია გზა, რომელიც დასახა ჩვენი ყველა გამარჯვების შთამაგონებელმა და ორგანიზატორმა — — ლენინის პარტიამ თავის XXVI ყრილობაზე. და ჩვენს მწერლობას შესწევს ძალა გაჰყვეს ამ გზას, ღირსეულად გადმოსცეს ხალხის ბრძოლისა და შრომის სიდიადე, იყოს ჭეშმარიტი მემატიანე, იყოს აქტიური მშენებელი კომუნიზმისა, კაცობრიობის ამ ნათელი მომავლისა, რომელზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ მსოფლიოს ყველაზე მოწინავე, ყველაზე კეთილშობილი ადამიანები და რომელიც ჩვენს თვალწინ იზრდება, იქცევა ცოცხალ სინამდვილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# ხმა მღაღადებლისა

## რომანი

— მე-ძი-ნე-ბა! — ამოილუღლუღა ამბაკომ და „დაიძინე!“ უბრძანა საჩინომ. ამბაკომ თვალები მილულა და ახროტინდა, მაგრამ ყველანი ატყობდნენ, რომ ეს აღარ იყო მომაკვდავის ხროტინი, უკუქცეული სიცოცხლე ქვაზე დაღვრილ სითხესავით შედიოდა მისი სხეულის ყოველ კუნჭულში.

ასე გადაარჩინა საჩინომ ამბაკო უეჭველ სიკვდილს. მართალია, ამის მერე მისთვის აღარ დაუძახიათ, მეორე დღეს. ჯამბაკურმა ერთი სახელგანთქმული ხონელი ექიმი მოიწვია, მაგრამ ყველა აღიარებდა, საჩინო რომ არა, ამბაკო ვერ გადარჩებოდაო. ხონელმა ექიმმა საჩინოს დადებული მალამოები მოაშორა ავადმყოფს და თავისი დაადო. ამის შემდეგ, ამბაკო უარესად გახდა, ჭრილობა გაუმიზეზდა, დაუსივდა და დაუჩირქდა, სიცხემაც აუწია. ტკივილისაგან გათანგული გმინავდა და კვნესოდა, მაგრამ ასეთ ყოფაში მყოფი მაინც ემადლიერებოდა ბედს, რადგან ცაცა ხშირად შემოდიოდა მის სანახავად. იმისი ოთახი გვერდით იყო. ეზოში მდგარი ვაშლის ხის ცალი ტოტი ცაცას ფანჯარასთან შრიალებდა, ხოლო მეორე, იმ ოთახისა, სადაც ახლა ამბაკო იწვა. თხელი კედელი ჰყოფდა მათ ოთახებს, ზოგჯერ ამბაკოს ესმოდა ცაცას ფეხის ხმა. როცა გონდაკარგული ამბაკო ასწიეს და სასახლისაკენ ციმციმ გამოარბენინეს, მხოლოდ ეს პატარა ოთახი აღმოჩნდა თავისუფალი, ცაცას ოთახის გვერდით. აქ მიუჩინეს ამბაკოს ბინა და აი, ახლა, ცაცას სიახლოვე დღითი დღე სიცოცხლისკენ აბრუნებდა მას, მიუხედავად დაჩირქებული იარისა. ცაცას ყურადღებით გაბედნიერებული ამბაკო ზოგჯერ, ძალზე კმაყოფილი იყო, გულზე ტყვია რომ დაიხალა. და რაკი იღბლიანად გადარჩა, ისევ გაღვივდა და აღმოცენდა იმედი, რომლის დაკარგვამ სიკვდილი გადააწყვეტინა. ახლა ისევ სჯეროდა, რომ ცაცა ოდესმე შეიყვარებდა. და ამ იმედით გამსჭვალული დღითი დღე უკეთ ხდებოდა, ნელ-ნელა სძლევდა სენს. ჭრილობა უშუშდებოდა. ზოგიერთები ამბობდნენ, საჩინოსთვის რომ ეცლიათ ერთ კვირაში წამოაყენებდაო. მაგრამ მაშინ ცაცას ხომ ვეღარ იხილავდა ასე ხშირად და ასე ახლოს, და ამბაკო იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ავადმყოფობა გაუგრძელდა. ზოგჯერ ღამე ეღვიძებოდა და სულგანაბული იწვა, რომ ცაცას სუნთქვა გაეგონა კედლის მიღმა. გათენებისთანავე დაძაბულად ელოდა იმ წუთს, როცა ცაცა შემოა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

ეროვნული

ღებდა კარს და შემოვიდოდა ოთახში მის სანახავად და მოსაკითხავად. ყოველგვარ ფაჩუნს, ფეხის ხმას, ლაპარაკს გამძაფრებით უგდებდა ყურს, ეჭვიანობდა, ბრაზობდა, როცა ცაცა აგვიანებდა. ერთ დღეს ცაცამ არ მოინახულა და ამბაკოს სიცხემ აუწია. თითქოს ცაცას თან შემოჰქონდა სიცოცხლე და სიხალისე ქვეყნის კიდით კიდემდე უხვად გაბნეული და ამ მშვენიერი ქალიშვილის არსებაში თავმოყრილი. „დღეს როგორა ხარ, ამბაკო?“—შეეკითხებოდა ხოლმე, „უკეთ, ბატონო!“ მიიღებდა პასუხს და ისევ გასრიალდებოდა. მაგრამ ეს უმნიშვნელო გასაუბრება ძალზე მნიშვნელოვანი და საამო იყო ამბაკოსთვის.

ასე გაგრძელდა რამდეინმე ხანს. ამბაკოს დედამისი კეკელა თავზე ადგა და უვლიდა. ბოლოს ამბაკომ ისე მოიხედა, რომ დედა ღამეს აღარ უთევდა, შინ მიდიოდა დასაძინებლად და დღისითაც ხშირად ტოვებდა მარტო. ერთხელ, როცა კეკელა ოთახში არ იყო, ამბაკოს სანახავად მოსული ცაცა მცირე ხნით შეყოვნდა. ამბაკოს საწოლთან სკამზე ჩამოჯდა და ალერსიანი ღიმილით მიაჩერდა მისი დანახვით აღელვებულ, გულაძგერებულ ბიჭს. იმისი აღელვება თვითონაც გადაედო, სიმარტოვე საიდუმლო ქსელში ხლართავდა ორივეს, და რატომღაც ცაცამ ჩურჩულით იკითხა:

— ამბაკო, რატომ იკლავდი თავს?

— თქვენი გულისთვის, ქალბატონო, ცაცა, — ერთბაშად ამოთქვა გაფითრებულმა ამბაკომ და ღრმად ამოისუნთქა, — თქვენი გულისთვის ვესროლე ქველი წერეთელსაც.

— ახ, რას ამბობ, შენ ესროლე ქველს? — შეშფოთდა ცაცა.

— დიახ, ბატონო.

— რატომ, რატომ დგებოდი კაცის ცოდვაში?

— თქვენი გულისთვის.

— ეს რა მითხარი, ეს რა მოგიმოქმედნია?!

— თქვენი გულისთვის, ქალბატონო, ჯოჯოხეთშიაც ჩავდგები და [illegible]ლიერი ვიქნები.

და მაშინ ცაცას გაეღიმა, ამბაკოს ხელზე ხელი დაადო და მოეფერა, ხოლო როცა ვერცხლისფერი ღამე, ძაღლების ყრუ ყმუილით და ჭრიჭინობელების ჭრიჭინით სულჩადგმული, გადაეფარა თვალმოსაკიდს, ამბაკო ლოგინიდან წამოდგა. თავბრუ დაეხვა, დაბარბაცდა, მაგრამ ფანჯრის რაფას მოეჭიდა და მდუმარე ეზოში გადაიხედა, სადაც მთვარის უძრავი ჩრდილი იწვა და არავინ ჩანდა ირგვლივ ძეხორციელი. ამბაკო ფანჯრიდან ხეზე გადაძვრა და ვაშლის ტოტი ააშრიალა. ციყვივით მარჯვედ გაცოცდა, მეორე ტოტზე გადავიდა და ცაცას ფანჯრამდე მიჰყვა მას. შეუპოვარი და ზღვარგადასული ღია ფანჯარას გადაევლო, სანუკვარ ოთახში შედგა ფეხი და დაინახა თეთრი საწოლი, ზედ გაშლილი გიშრისფერი თმა. ფრთხილად მიუახლოვდა ლოგინს და ყელზე ხელი შეახო ცაცას. უეცრად ქალს გამოეღვიძა და შეჰკივლა. ხელი ჰკრა უცხოს, მაგრამ როცა ისევ მიეძალა ამბაკო, ვითარცა უტეხი გარდუვალობა, უსიტყვოდ დამორჩილდა მის უდრეკ ნებას, გედის ყელივით თეთრი მკლავები ზეაღმართა და კისერზე შემოხვია მოძალადეს.

უგუნებოდ დაბორიალობდა მეორე დღეს ცაცა სასახლეში, ისე გამოიყურებოდა, თითქოს სხვაგან დაჰქროდა მისი გონება. დიდხანს იჯდა აივანზე ქსოვით გართული და საკუთარ ფიქრებში ჩაძირული. იმ ღამეს, ამბაკო ისევ გადაძვრა ხეზე და ცაცას ფანჯარს მიადგა, მაგრამ ფანჯარა დახშული დახვდა. დილამდე იჯდა ჭინკასავით ვაშლის ტოტზე, ჩურჩულით იხვეწებოდა და იმუდარებოდა, შემომიშვიო, მაგრამ ცაცა პასუხს არ აძლევდა. გამთენიისას, თავის ოთახში შებრუნდა გაწბილებული და როცა დაღამდა, კვლავ მიადგა დახშულ ფანჯარას, ასე გაგრძელდა სამი ღამე. სამი ღამე თეთრად გაათია ამბაკომ, ვაშლის ტოტზე მჯდარმა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ღამეს, მოთმინებადაკარგულმა ცაცამ ფანჯარა გამოაღო და, ვინაიდან ეშინოდა ვინმეს ხმაური არ გაიგოსო, ძლივსგასაგებად, ბოღმით გამოსცრა კბილებში:

— აღარ მომეშვები, შე კაცის მკვლელო?! გინდა ქვეყანას გავაგებინო, რომ შენ ესროლე ქველი წერეთელს?! თუ ჯამბაკურს დაუძახო, რომ სიგრძე და სიგანე გაგისწოროს?!

მაგრამ ამბაკოს არ ესმოდა მუქარა, ოთახში შეიჭრა და კვლავ მიაღწია საწადელს.

მალე ამბაკო ისე გამოკეთდა, რომ სასახლიდან გამოისტუმრეს. ისედაც არ იყო დიდი მშრომელი, ახლა, ნაავადმყოფარს, საქმით არავინ აწუხებდა. ცხელოდა. ყაფლანის უზარმაზარ ეზოში ბალახი მოთიბეს და თივის ზვინები დადგეს. აძვრებოდა ამბაკო ზვინზე და იწვა მთელი დღე, ეძინა თივაში. როცა მოსაღამოვდებოდა და კოღოები დაუწყებდნენ ყურთან ბზუილს, გამოიღვიძებდა. წამოჯდებოდა და ცის თავანს მიაჩერდებოდა, თანდათან რომ იწინწკლებოდა სინათლის წერტილებით. შორიდან ნახირის ბღავილი ესმოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი სამყარო იყო უზარმაზარი, უსაზღვრო ბოსელი, სადაც მარადჟამს ჩნდებოდნენ ახალი ვარსკვლავები, ადამიანები, ცხოველები, მწერები, ჩამქრალი ვარსკვლავების, ადამიანების, ცხოველების და მწერების ნაცვლად. ძლევამოსილი ინსტინქტი, უცილობელი კანონის ტოლფარდი. ურყევი და დაუძლეველი, იწყებდა მის სისხლში გამოღვიძებას, ზვინიდან ჩამოდიოდა და უჩინარდებოდა იმ ბნელ ბოსელში, რომლის კარი ღია იყო, საიდანაც გადმოსჩქეფდა სიცოცხლის თეთრი ჩქერალი. ღამღამობით არავინ იცოდა სად ათევდა, სად დაეხეტებოდა, თუმცა მსახურთა შორის ხმა დაირხა, თითქოს ვიღაცას ენახოს ერთხელ, ვაშლის ხის ტოტზე ამძვრალი, ცაცას ფანჯარასთან. ამ ხმამ ეტყობა, ქალბატონ ნინოს ყურამდეც მიაღწია. რასაკვირველია, ასეთ [illegible] ქალბატონი ნინო ვერ დაიჯერებდა, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა მოეშორებინა ახალგაზრდა ქალი უბირი და შურიანი ხალხის მითქმა-მოთქმას. ერთ მშვენიერ დღეს, მან ცაცას უთხრა, შინ უნდა დაგაბრუნოო. საღამოსთვის ეტლი დაიბარეს, ცაცამ ბარგი მოამზადა, მთელი დღე ეზოში იტრიალა. როცა შებინდდა და ეტლი სასახლის კიბესთან გაჩერდა, ცაცას ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. მეორე დღეს, ამბაკო უნდილაძის ეზოში დაინახეს იგი.

ამბაკოს პატარა ეზო ჰქონდა. ეზო იყო ვიწრო, გრძელი, ეზოს სიღრმეში ორი თვალი ქოხი იდგა. ქოხის უკან, ამბაკო სიმინდს თესავდა. ეზო იყო მწვანე, ტყრუშული ღობით შემოღობილი, იასამნის და ბროწეულის ბუჩქებით შემოფარგლული. შუა ეზოში იდგა წიფელა. ღობის გასწვრივ გლახუნამ თავის დროზე ალვის ხეები დარგო. ახლა ხეებმა გაიხარეს და იდგნენ ისინი მწკრივად, ტანაყრილნი და მოშრიალენი. ყველაზე დიდი ხე ჭიშკართან გაიზარდა, სადაც ერთხელ გლახუნამ გველი მოჰკლა. ამბაკოს კარ-მიდამოს ცალი მხრიდან მეზობელი ესაზღვრებოდა, გლეხი დურმიშხანა სტურუა. დანარჩენს მინდორი ეკვროდა, მწვანედ მობიბინე და ხასხასა. იმ მინდვრის გაღმა, წისქვილი იყო. ჭიშკართან ხეებით დაჩრდილული ვიწრო შარა გადიოდა. იმ დღეს ვიღაცამ ჩაიარა შარაზე და დაინახა ამბაკოს ეზოში მყოფი ცაცა. სახტად დარჩა სოფელი. სად ცაცა და სად ამბაკო! მეტისმეტად უზნეო, თამამი და ავხორცი ქალი ყოფილაო, გადაწყვიტეს.

ღმერთმა უწყის, იქნებ მართლაც ავხორცი იყო, მაგრამ ამასთან ერთად ის იყო მეოცნებე, რომელიც ადამიანებს და ურთიერთობებს კი არ ხედავდა, არამედ იგონებდა, ქმნიდა, ქსოვდა, როგორც აბრეშუმის არშიების ხლართს. არარსებულ თვისებას მიაწერდა კაცს და თავისი გამონაგონი თვი-

თეე სჯეროდა, სანამ აწყობდა, ართობდა, ახალისებდა, ლამაზად და მიმზიდველად ეჩვენებოდა. წარმოდგენილ ცხოვრებას თამამად მიენდობოდა ხოლმე, ნაბიჯის გადადგმისას, წინასწარ არასოდეს ფიქრობდა მოსალოდნელ შედეგზე. ის იყო საკუთარი სურვილების მონა. მისთვის განწყობა იყო მთავარი და არა სინამდვილე, ნებისყოფას მხოლოდ თავისი სურვილის განსახორციელებლად იჩენდა, ხოლო ჩანაფიქრის უარსაყოფად არ შესწევდა ძალა და ნება. მას უყვარდა ყურადღების მიპყრობა, თვაისი საქციელით ხალხის ალაპარაკება. ვინ იცის, იქნებ, ესეც იყო მიზეზი ამბაკოს რომ წაჰყვა, იქნებ, ეგონა, რომ ქვეყანას გააკვირვებდა? იმ დღეს, როცა იგი ამბაკოს ეზოში დაინახეს, როცა ეს ამბავი ჯამბაკურს შეატყობინეს და როცა აღელვებულმა ჯამბაკურმა ამბაკოს ჭიშკართან მოაგდო ცხენი, ცაცას მშვიდად და ამაყად ეჭირა თავი. ამბაკომ განრისხებული ჯამბაკური რომ დაინახა, მყისვე სიმინდებში დურთა თავი და დაიმალა.

— ცაცა, ამიხსენი გენაცვალე, რა გინდა აქ?! — იყვირა ჯამბაკურმა.

— აქ გადავწყვიტე, ბატონო, ცხოვრება.

— ვისთან ბატონო?

— ამბაკო უნდილაძესთან.

— გაწყდა, ქალო, საკაცეთი?

— ჩემთვის გაწყდა.

— მითხარი, რა პასუხი გავცე მამათქვენს? —კბილები დააკრაჭუნა ჯამბაკურმა.

– შეატყობინეთ მომხდარი ამბავი.

— ახლავე გადმობრძანდი მანდედან და წამომყევი შინ, თორემ ისეთ რამეს გკადრებ, რაც თქვენ გვარიშვილობას არ ეკადრება.

— ბატონო, ჩემი თავის მეუფე თვითვე გახლავარ, ეგ სიტყვები სხვაგან იხმარეთ.—ხმას აუწია ცაცამაც. მაშინ ჯამბაკურმა მათრახი მოიქნია, გამეტებით დასცხო ცხენს და უმისამართოდ გააჭენა.

ცაცა დარჩა ამბაკო უნდილაძის ოჯახში.

9.

მოვიდა ზამთარი. თებერვლის დამდეგს აღესრულა ქალბატონი მენიკი. კარგა ხანია ლოგინად იყო ჩავარდნილი. ნელ-ნელა იფერფლებოდა, სანთელივით დაილევნთა და ბოლოს ჩაქრა. გულკეთილი ადამიანი იყო, სამართლიანი, მზრუნველი. მშიერს აპურებდა, ჩაუცმელს აცმევდა, უპატრონოს მფარველობდა. უყვარდა სტუმრების მიღება გამასპინძლება, მეზობლების და მოყვრების მოკითხვა. არ იყო ზოგიერთივით ამპარტავანი, გლეხებთან კეთილ ურთიერთობას ამყარებდა. მოსამსახურეებსაც და მოჯამაგირეებსაც დიდი რიდი ჰქონდათ მისი, რადგან ყველაზე გული შესტკიოდა. ლოგინად ჩავარდნილიც კი ოჯახის საზრუნავით იყო შეწუხებული, დავრდომილს და დაუძლურებულს, ბევრ რამეში რჩევას ისევ ეკითხებოდნენ. ყველას გული დასწყვიტა მისმა სიკვდილმა.

როცა დედის სიკვდილი შეატყობინეს, ბატონი ნესტორი თავის სამუშაო ოთახში იჯდა და სტატიას წერდა. იგი თავს იცავდა გაზეთ „ხნულის“ თავდასხმებისაგან. ეს იყო ახლად დაარსებული გაზეთი, რომლის ირგვლივ თავი მოეყარათ ახალი თაობის წარმომადგენლებს. ისინი ნესტორს მყვლეფავს და მჩაგვრელს უწოდებდნენ, თუმცა ნესტორის ქველმოქმედება საზოგადოდ ცნობილი იყო. ნესტორი უნიშნავდა სტიპენდიას რუსეთში ან საზღვარგარეთ სასწავლებლად მიმავალ ხელმოკლე ახალგაზრდებს, ხელს უმართავდა მამულისათვის სარგო ყველა ნიჭიერ კაცს, თვეში ორას მანეთს სწირავდა ახლად დაარსებულ ქართულ საბავშვო ჟურნალს. ნესტორმა აუშენა სოფელს სკოლა. მართალია, გლეხებს თავის მამულში ამუშავებდა, მაგრამ გასამრჯელოსაც კარგს უხდიდა და ეს ბრალდებანი ბატონ ნესტორს სრულიად უსაფუძვლოდ ეჩვენებოდა. პირად შეურაცხყოფებს და დაუმსახურებელ

კიცხვას იგი როგორმე აიტანდა, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდები, ნესტორის აზრით, სრულიად უარყოფდნენ ერს, ცნება „მამულს“, სამშობლოს სიყვარულს, კარგ მამულიშვილობას ჩამორჩენილობად თვლიდნენ: ამ ახალგაზრდებს სურდათ მთელი კაცობრიობის განთავისუფლება და სამყაროს გარდაქმნა ქვეყნად ახალი, ბედნიერი ცხოვრების დასამკვიდრებლად. ყოველივე ეს. ნესტორისათვის არ იყო ახალი. ეს იყო ძველი. ის იცნობდა ისტორიას საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, ზღვა სისხლი რომ დაღვარა ამაღლებული იდეალებისათვის ბრძოლაში: გზა რევოლუციისა არ სწამდა ნესტორს, სისხლით მოპოვებული ბედნიერება და ბოროტებით აღმოფხვრილი ბოროტება არა სჯეროდა. ხალხის გაჭირვებას, ეკონომიურ სილატაკეს, სახელმწიფო წყობის უვარგისობას, უსამართლობას და ჩამორჩენილობას, იმავე ხალხის გონებრივი სიღარიბის, ზნეობრივი უმეცრების და სულიერი სიბნელის პირდაპირ შედეგად თვლიდა. მას მხოლოდ განათლება მიაჩნდა საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების ყველაზე ნაღდ საშუალებად. ამიტომაც არ თანაუგრძნობდა ახლად მოვლენილ მქადაგებლებს, რომელთა ფანატიკური რწმენა კაცობრიობის ცხოვრების ძირფესვიანი აღმოფხვრისა, ნესტორის აზრით, მათივე ნაოცნებარს ემყარებოდა და არა ნათელ ცოდნას, ან თუნდაც ისტორიის გაკვეთილს; მათ იცოდნენ რა უნდა დაენგრიათ, მაგრამ არ იცოდნენ რა უნდა შეექმნათ. ამიტომაც იყო, რომ განუწყვეტლივ იცვლებოდა მათი იდეები, მაგრამ არ იცვლებოდა პირქუში რწმენა ამ ცვალებადი იდეებისა. იმდენად დიდი იყო მათი მისწრაფება სიახლისადმი, რომ ყოველივე, რაც შეექმნა ფასეული კაცობრიობას აქამდე, გაუფასურებულიყო მათ თვალში, თითქოს ყოველგვარი სიახლე აუცილებლად სიკეთის მომტანი იყო. ღმერთსაც კი უარყოფდნენ ისინი და ეს უკვე მეტისმეტად [illegible] მოვლენად ეჩვენებოდა ნესტორს. რა უნდა ყოფილიყო ულვთოდ დარჩენილი ქვეყანა?

ნესტორი გამალებით წერდა, ვისაც საკუთარი თავი არ უყვარს, მას არ შეიძლება უყვარდეს ადამიანი, საკუთარი ერის მოძულეს, არ შეიძლება უყვარდეს კაცობრიობა. ერისა და ერიშვილობის უარყოფა გულსაკლავ ეჭვებს უღძრავდა ნესტორს. და როცა წერით გართული. აღგზნებული და აღელვებული, ახალ მოსაზრებებს აყალიბებდა, ოთახში ქალბატონი მადლენი შემოვიდა შეწუხებული სახით.

— ნესტორ, ჯამბაკურმა კაცი გამოგზავნა, დედა გარდაიცვალა.

ნესტორს გულში რაღაც ჩაწყდა. კალამი დადო და წამოდგა. კარგა ხანია შეგუებული იყო დედის ავადმყოფობას, არ ჰქონდა იმედი მისი გამოჯობინებისა, მაგრამ ახლა, როცა სიკვდილი კარზე მოადგა, აუწერელი დანაკლისი და გულისტკივილი იგრძნო. ფანჯარასთან მივიდა და ბაღს გადახედა. მღვრიე, თოვლჭყაპიანი ამინდი ირეოდა, ხეები საცოდავად აბუზულიყვნენ. გაცრეცილი სივრცე გაუცხოვებულიყო, სიმარტოვის უნუგეშო დარდივით ფერდაკარგული. თითქოს გათავდა ცხოვრება, უკან დარჩნენ აყვავებული ბაღები და ჭალები, და შორით გამოჩნდა გამშრალი უდაბნო. ერთბაშად, ყოველივე ამაო გახდა, ფუსფუსი, წადილი, მისწრაფება, ბრძოლა. რა ფუჭი იყო ის აღტკინება, რომელსაც წელან განიცდიდა, სტატიის წერისას, ვისრათ უნდოდა მისი ნააზრევი? უცბად მოეჩვენა. რომ გულისტკივილმა ჭეშმარიტება დაანახა, თითქოს მის სულში უზენაესმა არსებამ გაიღვიძა. მხოლოდ ერთ რამეს შერჩა აზრი, ყოველივესა და ყველაფრის მიტევებას. უჩინარი გზები და გამოუცნობელი კანონებით მიჰყავდა განგებას ყოველი არსი თავისი დანიშნულების ბოლო ზღუდემდე. ვის შეეძლო წინ აღსდგომოდა ამ ულმობელ მსვლელობას? ყველა თაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

თავის მისიას ასრულებდა, ყველა ერი და ყველა კაცი თავის ხვედრს იყალიბებდა. ყველა ეპოქას და ყველა დროს გარკვეული წესი და სულისკვეთება მოჰქონდა, და მიუხედავად ამისა, ქვეყანა მაინც მყარად იდგა. ბობოქარი ვნებათა ღელვანი თავიდანვე დადგენილი და გამიზნული იყო. მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება არსებობდა, ეს იყო სიკვდილი!

ფანჯარას მოშორდა, კედელთან ატუზულ მადლენს შეხედა.

— ეტლი გამიმზადონ! — უთხრა წყნარად და როცა მადლენი ოთახიდან გავიდა, მობოჭა ის ქაღალდები, რომელსაც წელან თავდავიწყებით ჩაჰკირკიტებდა, დახია და ბუხარში შეყარა.

ქალბატონი მენიკის დაკრძალვის დღესაც ჭირვეულობდა თოვლჭყაპიანი ამინდი, ცივი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. სასაფლაოზე მოსულ ჭირისუფლებს ეტლები გალავანთან ელოდებოდნენ. ქალბატონი მენიკი საგვარეულო აკლდამასთან დაასაფლავეს. სამარესთან მდგარი ქუდმოხდილი კაცები სიცივისაგან ძაგძაგებდნენ. ბატონი ყაფლანი შეუძლოდ შეიქნა და შინ დარჩა. რძლებს, ნინოს და მადლენს სწრაფად დაატოვებინეს სასაფლაო. მათ გარდა კიდევ ერთი ქალი მოსულიყო აქ, განძარცვულ ბუჩქთან განმარტოებით მდგარი. ეს იყო ცაცა, თავშალი ჰქონდა მოხვეული, გაცვეთილი ძველი კაბა ეცვა. არავის ენახა ზაფხულის მერე და ყველას გაუკვირდა მისი აქ ყოფნა. ასეთ ამინდში რამ მოიყვანა სასაფლაოზეო? იმ საბედისწერო ნაბიჯის შემდეგ, თავისიანებმა ზურგი შეაქციეს ცაცას. მშობლებმა წყევლა-კრულვა შემოუთვალეს, დედამისი თურმე ძაძებში დადიოდა, მამაც მკვდრად თვლიდა. აღარც ჯამბაკური და ნინო იკარებდნენ ახლოს თავიანთ ნათესავს და გამოიკეტა გლეხის ქოხში ეს ოდესღაც მშვენიერი გოგონა, ახლა დამჭკნარი და გაყვითლებული. რამდენიმე თვე იყო არავის ენახა. ვინ იცის, იქნებ იმიტომ მოვიდა სასაფლაოზე, რომ იმედი ჰქონდა ვინმე გამოელაპარაკებოდა, [illegible] ქვა-ტყვას ეტყოდა, და კვლავ აღსდგებოდა ჩატეხილი ხიდი, ოდესღაც თავისი წრის ხალხთან რომ აკავშირებდა?! მაგრამ, შეწყდა სველი ბელტების ბრახუნი კუბოს ფიცარზე, სამარე ამოივსო, ხალხი დაიშალა, და არავის ხმა არ გაუცია ცაცასთვის, არც გაუხედავს არავის მისკენ. ნელა მოდიოდა იგი საფლავებს შორის, თავჩაქინდრული და მოწყენილი. ყველაზე ბოლოს გამოვიდა გალავნიდან. ეკლესიის დარაჯმა ჯაჭვები აჟღარუნა და ჭიშკარი დაკეტა. ეტლები დაიძრნენ, მხოლოდ ერთი ეტლი დარჩა გზის პირზე. ამ ეტლთან ბატონი ნესტორი იდგა, ხელში ქოლგა ეჭირა. ირგვლივ ნისლი ირეოდა, მსხვილი ფანტელები მიწასთან შეხებისთანავე დნებოდნენ, მაგრამ მაინც შავთეთრად აჭრელებულიყო მიწა, ეკლესიის წინ გაშლილი მინდორი და აღუფხული შარაგზა. ცაცამ ბოგირი გადმოიარა და ის-ის იყო თავის გზაზე გახვევას აპირებდა, რომ ბატონმა ნესტორმა დაუძახა და მისკენ გამოემართა, თითქოს მას ელოდა. ნესტორი მართლაც ცაცას ელოდა. თავიდანვე შეამჩნია იგი, თავისი წრისა და წოდების ხალხისაგან ათვალისწუნებული, ყველასგან ცალკე, განზე მდგომი, დამარცხებული. სიბრალულით განიმსჭვალა, რადგან დედის სამარესთან მწუხარებით შეპყრობილს ადამიანთა პატივმოყვარეობა სამარცხვინო უაზრობად ეჩვენებოდა, ხოლო მათი შეცოდებანი ამ ხანმოკლე და უნუგეშო წუთისოფელში უსაზღვრო მიტევების ღირსად.

— მობრძანდით, ეტლში დაბრძანდით! — ნესტორი შეცბუნებულ ცაცას შეეგება, ხელი შეაშველა, ეტლთან მიიყვანა და ქალბატონ მადლენს გვერდით მოუსვა. თვითონაც დაჯდა და ცაცა შინ, ჩაიზე, მიიპატიჟა. ცაცას კარგა ხანი იყო ჩაი არ დაელია.

— კი, ბატონო, სიამოვნებით, — თქვა მან.

— მაშინ გავსწიოთ, — და ეტლი ნესტორის სახლისკენ დაიძრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცაცა არასოდეს ყოფილა ამ სახლში. ეტლი კიბესთან გაჩერდა. საღამოს ბინდში ფანჯრებიდან გამოსული სინათლე ციმციმებდა. ნესტორი ეტლიდან ჩამოსვლაში მიეშველა ქალებს. ცაცა თავს უხერხულად გრძნობდა, თავისი გაცვეთილი ტანისამოსი ეთაკილებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში ყურადღებას გადაჩვეულს, ძალზე ეამებოდა დამწუხრებული ნესტორის თანაგრძნობა. გულისფანცქალით შევიდა იგი პირველი სართულის ვრცელ და დიდ ოთახში, რომელსაც დარბაზს ეძახდნენ. მასპინძლები თავაზიანად უღიმოდნენ და რაღაცას ეუბნებოდნენ, მაგრამ დაბნეულ ცაცას არ ესმოდა მათი სიტყვები. მან დარბაზს მოავლო თვალი. აქ იდგა როიალი, სასადილო მაგიდა, სკამები, დივანი, ტყავგადაკრული სავარძლები, ჭურჭლეულის კარადა. მთელი ავეჯი წითელი კაკლის ხისა იყო. ჭერზე ბროლის ჭაღი ეკიდა, იატაკზე ხალიჩა იყო დაგებული, კედლები — ნახატებით და სურათებით დამშვენებული. აქედანვე ადიოდა კიბე მეორე სართულზე, სადაც მომცრო ოთახები იყო განლაგებული, მათ შორის ნესტორისა და მადლენის საძინებელი. დარბაზის გვერდით ნესტორის კაბინეტი იყო. მასპინძლებმა თბილ კაბინეტში შეიპატიჟეს ცაცა. ესეც დიდი ოთახი იყო, ორი ფართო ფანჯრით, ბაღს რომ გადაჰყურებდნენ. იატაკზე დათვის ტყავები ეფინა, აქაც იდგა ტყავგადაკრული სავარძლები, წითელი კაკლის ხის კარადები წიგნებით იყო გამოტენილი. კარადაზე შემოედგათ ბრინჯაოს პატარა ქანდაკება ვიღაც ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა, და მეორე, ცხენზე ასამხედრებლად მომზადებული ნახევრად შიშველი მამაკაცისა. განიერ სამუშაო მაგიდაზე ქაღალდები და ჟურნალ-გაზეთები იყო გაშლილი, კედლებს დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და შოთა რუსთაველის პორტრეტები ამშვენებდნენ, ცისფერი შორენკეცით მოპირკეთებულ ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა.

არ გეწყინოთ, რომ კაბინეტში შემოგიპატიჟეთ, აქ უფრო შინაურულად მყუდროდ ვგრძნობთ თავს, — მოუბოდიშა ცაცას ქალბატონმა მადლენმა.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, ისე კარგია თქვენთან ყოფნა, — თქვა ცაცამ და უცბად იგრძნო, როგორ მობეზრებოდა ამბაკოს ცივი, ღარიბული ქოხი, როგორ მონატრებოდა ის ყოფა, რომელზედაც რატომღაც თვითვე თქვა უარი, და უეცრად, ცრემლები წასკდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცაცას ქვითინი ისმოდა. მადლენი ადგა და ჩაის მოსატანად გავიდა.

— რამე ხომ არ გაწუხებთ? — იკითხა ნესტორმა.

— არა, არა. ძალუა მენიკი მომაგონდა. მე ის ძალიან მიყვარდა, — სცადა თავის შეკავება ცაცამ.

ნესტორს ნაღვლიანად გაეღიმა.

— ყველას უყვარდა ცხონებული.

წამოდგა, მაგიდის უჯრა გამოსწია, სამი ასმანეთიანი გამოიღო, დაკეცა, ცაცას მიუახლოვდა და ფული ხელში ჩაუდო.

— მიიღეთ ჩემგან ეს საჩუქარი. ძალიან გთხოვთ უარი არ მითხრათ!

— არავითარ შემთხვევაში, ბატონო ნესტორ, არავითარ...

— ძალიან გთხოვთ, თუ განსვენებული დედაჩემის ხათრი და პატივი გაქვთ, ნუ მაწყენინებთ.

მაშინ ცაცა იძულებული გახდა ფული გამოერთმია და აუტანელ სირცხვილთან ერთად, იგრძნო დაფარული სიხარულიც, რომელიც ყურადღების, გულკეთილობის და თანაგრძნობის საპასუხო მადლიერება კი არ იყო, არამედ შეძენის ხარბი განცდა. კიდევ უფრო შერცხვა და ატირდა, რადგან ამ უეცარ სიხარულში თავისი გაჭირვება და დაცემა დაინახა ნათლად.

იმ საღამოს, ჩაისა და ბაასის შემდეგ, ქალბატონმა მადლენმა ძველი პალტო და ნახმარი ტანისამოსი ფუთაში გამოუკრა და გაატანა. უარი არაფრით არ გაუვიდა. როცა ეტლში ჩასვეს და გამოისტუმრეს, ცაცას ისე შეეკუმშა გული ამბაკოს უბადრუკი ქოხის მოგო-

ნებაზე, რომ გაიფიქრა, დავკრავ ფეხს და სადმე გადავიხიზნებიო, რომელიმე უცხო ქალაქში ამ ფულით ერთხანს თავს გაიტანდა, მერე ვინ იცის, რა მოხდებოდა, იქნებ, საქმე უკეთ წასულიყო. სანამ ეტლი ორღობეში მიჯაყჯაყებდა, ხოლო მეეტლე ივანიკა წარამარა უსტვენდა უხალისოდ მიმავალ ცხენს, ეს აზრი თანდათან უყალიბდებოდა, უმწიფდებოდა, მაგრამ როცა გამოჩნდა ამბაკოს ბნელი ქოხი, ცაცამ სხეულში რაღაც ძვრა იგრძნო და შეკრთა. ჩვილი, რომელსაც მუცლით ატარებდა, ამოძრავდა მის წიაღში, თითქოს აფრთხილებდა, ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმას უკრძალავდა.

ეტლიდან ჩამოვიდა და ეზოს ჭიშკარი შეაღო. ცივმა საღამომ და მოწყენილობამ კვლავ ჩაუკლა გულში წეღან აღმოცენებული იმედი. თვალი მოავლო მიდამოს. ეს დაწყევლილი კარ-მიდამო ავბედით სვედ გადაქცეოდა, ჯერჯერობით აქაურობას თავს ვერ დააღწევდა, რადგან სულში შემოსულ უკუნს ყოველგვარი ძალა წაერთმია მისთვის. კარგა ხანია მობეზრებოდა ამბაკოს დაუცხრომელი ხვევნა-ალერსი უბედურებასავით რომ დაატყდა და გზაკვალი აუბნია, მაგრამ რაც ერთხელ აირჩია საკუთარ ვნებას მოყოლილმა, დაუძლეველ ზღუდედ ქცეულიყო, და ახლა ეგონა, რომ თავისი ნებით კი არ შემოდგა ფეხი ამბაკოს ოჯახში, არამედ ძალით შემოაგდეს აქ. ღრმად ამოიოხრა და ისე შევიდა ქოხში, როგორც ციხის საკანში შედიან ხოლმე.

ქოხში შუაცეცხლი ენთო. წელკავით შეწუხებული კეკელა ლოგინში იწვა და კვნესოდა. ამბაკო ცეცხლს მიჯდომოდა და სიმინდს ფშვნიდა.

— სად იყავი, ქალო, აქამდე? — თავი მოაბრუნა ამბაკომ მისკენ.

მადლენის გამოტანებული ფუთა ცაცამ კუთხეში მიაგდო, თავშალი მოიძრო და ტახტზე ჩამოჯდა.

— ნესტორ ვარდენიძემ დამპატიჟა ჩაიზე.

— რა გიჭირს? მაგის ნაბოზარი ცოლი გაგართობდა საუბრით...

— რას ლაპარაკობ?

— რასაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. საროსკიპოდან გამოუყვანია მაგ ფრანგის ქალი ნესტორს.

— მერე შენ რა გიხარია?

— ისე ვთქვი, მე რას დავეძებ?!

უეცარმა დაღლილობამ სხეული მოუდუნა, ნესტორის ნაჩუქარი ფული ამბაკოს მიუყარა. სიხარულისგან გაოგნებულმა ამბაკომ სოხანეზე დაყრილი ასიგნაციები ხარბად აკრიფა. „საიდან, ქალო, ამდენი ფული?“ მაგრამ ცაცამ პასუხი არ აღირსა. საშინლად მობეზრებოდა ყოველივე, გაუხდელად მიწვა, მისუსტებული, გაციებული, თვალები დახუჭა და ინატრა სიზმრად ქცეულიყო სინამდვილე, რომლის გამკლავება დღითი დღე უფრო უჭირდა.

იმ დღიდან ხველა დააწყებინა. ვერაფრით ვერ თბებოდა, თითქოს სხეულში ყინული გაუჯდა. მთელი დღეები ცეცხლს ეფიცხებოდა ოჯახურ შრომას უჩვევი, და მოგონებების გაცოცხლებას ლამობდა. ქვეყნის სიკეთემ მისთვის წარსულში გადაინაცვლა. როცა გაზაფხული მოვიდა და ხეები აფერადდნენ, ამბაკომ ნესტორის ნაჩუქარი ფულით ოდა-სახლის შენება წამოიწყო, ქოხში ცხოვრება ცაცას უჭირსო, მაგრამ ცაცას სრულიად არ ენაღვლებოდა ამბაკოს საქმე, დრო და დრო სხეულში ჩვილის გაფაჩუნებას აყურადებდა და მხოლოდ მომავალი განსაცდელი ასულდგმულებდა. კიდევ უფრო ჩამოხმა, ჩამოდნა. ზოგჯერ, სისხლს ახველებდა. იშვიათად გამოდიოდა კარში, არავის ენახვებოდა. სახლის შენებით გართულ ამბაკოს არ ეცალა მისთვის. გლეხის ქალები მაინც აკითხავდნენ. ხილს ან ჩირს მოუტანდნენ. კეკელაც ეფერებოდა ზოგჯერ, „შვილო, შეჭამე რამე, თორემ მშობიარობას გადაყვებიო“. „ვიცი“, ისეთნაირად პასუხობდა ცაცა, თითქოს სრულიად დარწმუნებული იყო მოახლოებულ სიკვდილში. ასე მიატანა მაისის ბოლომდე. ერთ ბნელ და ქარიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეს, როცა ქვეყანა ისე ბორგავდა, თითქოს ავი სულები დათარეშობდნენ მიწაზე, ამბაკოს ქოხში ახალდაბადებული ბავშვის ტირილი გაისმა, ხოლო დილაუთენია, როცა ქარისაგან დალეწილი ტოტებით და ჩამოფლეთილი ფოთლებით მიმოფანტულ მიწას ნათელი მოეფინა, სოფელს კეკელას კივილი მოედო, ცაცას სიკვდილის მაუწყებელი.

უდროოდ ჩაქრა ამ მშვენიერი ქალის სიცოცხლე. როცა მოკვდა, მხოლოდ მაშინ შეწუხდა ყველა. ჯამბაკურს რომ ეს ამბავი შეატყობინეს, თავში ხელი შემოირტყა და ცრემლი დაღვარა. ქალბატონ ნინოსაც მწარედ ეტკინა გული. მიცვალებული მყისვე სასახლეში გადმოასვენებინა ჯამბაკურმა. ამბაკოს ამის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია. ცაცას მამას შვილის უბედურება რომ გააგებინეს, დამბლა დაეცა თურმე და ლოგინად ჩავარდა. მშობლების ცრემლიც კი არ ერგო უბედურ ცაცას. მაისის თბილ და წყნარ საღამოს დაკრძალეს იგი, ვარდანიძეების აკლდამის მახლობლად. სასაფლაოზე ჩიტების უდარდელი გალობა ისმოდა. გაოგნებულმა ამბაკომ სამარესთან ახლოს მისვლაც ვერ გაბედა უკანასკნელი ამბორისათვის. დაღონებული და თავჩაქინდრული, ხალხის ზურგს ამოფარებოდა. მისი შვილი, ცაცას ახალდაბადებული ბიჭი, დურმიშხანა სტურუას მეძუძურ რძალს ჩააბარეს მოსავლელად.

იმ ზაფხულს, ამბაკომ სახლის შენება მოათავა. მართალია, ცაცაზე ჯვარდაწერილი არ იყო, მაგრამ მაინც ცოლად თვლიდა, და ახლა, დაქვრივებულს, ახალმა სახლმა ვერ მოუტანა ის სიხარული, რომელსაც ელოდა. კაცმა რომ თქვას, მამისეულ ქოხსაც მშვენივრად იყო შეგუებული, სახლის შენება ცაცას გულის გასახარად წამოიწყო. ახლა, როცა ცაცა აღარ იყო, აღარც ეს სახლი ესაჭიროებოდა. ზოგჯერ, მაინც შედიოდა ცარიელ ოთახებში, სადაც ცაცასთან ერთად ცხოვრებას აპირებდა, უაზროდ დაბორიალებდა, აივანზე ჯდებოდა და შორეულ მთებს გასცქეროდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სადღაც, იმ მთების მიღმა ანგელოზივით გაფრინდა ცაცა და თან წაიღო მისი სული. ზოგჯერ კი ეგონა, თითქოს ცაცა ისევ აქ იყო და განუწყვეტლივ უთვალთვალებდა უხილავად. აღარაფერი არ აინტერესებდა, აღარც სახლ-კარი, აღარც ცხენები, შვილიც კი. ბავშვი დურმიშხანა სტურუას მოანათვლინა და სახელად რამაზი დაარქვა, რადგან ეს სახელი სურდა ცაცას თავისი შვილისთვის, თუ იგი ვაჟი იქნებოდა. მაგრამ ბავშვი სრულებით არ ჰგავდა დედას, ზედგამოჭრილი ამბაკო იყო, წითური და ჭორფლიანი, და ამბაკოს გული არ მიუდიოდა შვილზე, რაკი ცაცას ნიშნებს ვერ ამჩნევდა მის ნაშიერს. არავითარი გრძნობა არ ჰქონდა ამ უმწეო არსების მიმართ, სიბრალულიც კი, მოგონება შვებას არ ჰგვრიდა, რადგან წარსულში არსებული ცაცა მისთვის ისეთივე შეუხებელი იყო, როგორც განთავისუფლებული სული, ყველგან მყოფი და არსად მყოფი ერთდროულად. წარსულს არ ჰქონდა მისთვის ფასი, მას აკლდა და ენატრებოდა ცაცას სხეული. ეს სხეული ანიჭებდა ხალისს და სიამეს და მისი დაკარგვა ძლიერ აწუხებდა. როგორც კი სახლი მოამთავრა, როგორც კი ხელოსნებს ფული გადაუხადა და გაისტუმრა, — მუშაობაზე გული აიცრუა, ყანას თუ მოჩიჩქნიდა ზოგჯერ უგერგილოდ. გულხელდაკრეფილი იჯდა შინ მთელი ზაფხულის განმავლობაში.

შემოდგომაზე ჯამბაკურმა კვლავ მოიგონა თავისი ნათლული. წყენამ გადაუარა და ერთ მშვენიერ დღეს იკითხა, რას შვრება ეგ ოჯახქორი, როგორ არიო? დიდად დაღონებულია, ყველაფერზე გული აიცრუაო, უპასუხეს. მაშინ ჯამბაკურს მოულოდნელმა აზრმა გაუელვა თავში და იყვირა, ახლავე აქ მომგვარეთო! მართლაც, იმავე საღამოს დაიბარეს სასახლეში ამბაკო, სადაც იგი წელიწადზე მეტი იყო არ ყოფილა. ჯამბაკური და ქალბატონი ნინო აივანზე ისხდნენ. ამბაკო კიბესთან გაჩერდა

და ეჭვიანად აჰხედა თავის ნათლიას.

— ამოდი, ბიჭო! — შესძახა ჯამბაკურმა.

დარცხვენილი და მოწყენილი ამბაკო აივანზე ავიდა და მოაჯირთან შედგა.

— რავა ხარ? — ჰკითხა ჯამბაკურმა.

— რა მიჭირს?!

— სახლი რომ წამოჭიმე და ბავშვი გააჩინე, მოვლა არ უნდა?

— კი უნდა!

— ჰოდა, ქალი უნდა შეიყვანო!

— არ მინდა, ბატონო, ქალი.

— კი, გინდა! აბა, ვინ მოუვლის შენ ოჯახს, ვინ გაგიზრდის შვილს?

ამბაკო ჩაფიქრდა.

— მე გაგირიგებ კაი ქალს და ჯვარი დეიწერე!

— სადაა კაი ქალი? — დამცინავად გაიღიმა ამბაკომ.

— კაი ქალების მეტი რაა? პისტიზე რას იტყვი? — დაახალა უცებ ჯამბაკურმა.

— პისტი რათ ვარგა?! — დაიჯღანა ამბაკო.

— რა უჭირს ვითომ პისტის? კაი გამრჯე გოგოა, მოგივლის, მოგეხმარება, ბაღანას მიხედავს, ოჯახს გაგიმაგრებს, იცხოვრებ და იქნები, რა გინდა მეტი?

ამბაკო დუმდა.

— გესმის, ბიჭო, რას გელაპარაკები?

— კი, ბატონო, მესმის.

იმ წელიწადს, ამბაკომ პისტიზე ჯვარი დაიწერა.

10.

გლეხის ოჯახი წარმოუდგენელი იყო დიასახლისის გარეშე. სიმონა ნიგურიანსაც გაუჭირდა უქალოდ ოჯახის მოვლა და მეორე ცოლი შეირთო. სიმონას შვილები წამოეზარდნენ, საქონელსაც ხელი უნდოდა, ბოსტანსაც, სახლსაც და კარსაც. ძალიან გაუჭირდა სიმონას უქალოდ და ამიტომ ერთი ლანჩხუთელი ახალგაზრდა ქვრივი გაურიგეს, მაკრინე გოგუაძის ქალი, რომელიც სიმონაზე ოცი წლით უმცროსი იყო. მისი ქმარი, უმიწაწყლო, ღარიბ-ღატაკი გლეხი, შარშანწინ საშოვარზე გასულიყო ქალადიდში ხე-ტყის დამზადებაზე. აქ ის ტყის მჭრელად მოეწყო თურმე, მაგრამ ერთ უბედურ დღეს, მისგანვე მოჭრილ ვეებერთელა ძელქვას ქვეშ მოჰყვა და ადგილზე დატოვა სული. ამის შემდეგ მაკა და მისი ერთადერთი შვილი, ორი წლის სანდრო, უფროსი მაზლის საპატრონოდ დარჩნენ. ორი სულის რჩენა ხელმოკლე მაზლს არ ეპიტნავებოდა. როცა წიფლნარიდან მაშვალი ჩამოვიდა, გადაწყვიტა რძალი თავიდან მოეშორებინა, გაეთხოვებინა. მაგრამ მაკრინეს არაფრით არ უნდოდა გათხოვება, რადგან იცოდა შვილს თან არ გაატანდნენ, ვინ წაიყვანდა შვილიან ქალს, ვის რათ უნდოდა სხვისი შვილი, სიმონას თავისი შვილებიც საკმაოდ ჰყავდა. მდუღარე ცრემლებით ტიროდა მაკა, მაგრამ არაფერი გაუვიდა, მაინც გაათხოვეს, ხოლო ბავშვი გულიდან მოგლიჯეს. იმ დღიდან მაკას აღარ გაუცინია და აღარ გაუხარია, მის გულში სამუდამოდ დაიხშო იმედის კარი. ნიგურიანების ოჯახში რომ მოიყვანეს, დაუზარებლად შრომობდა, ყველას თავაზიანად ეპყრობოდა, მაგრამ მუდამ დაღვრემილი და მუდამ მწუხარე იყო, რადგან ცხოვრებას ვერასდროს ვერ აპატია ის ტკივილი, რომელიც შვილის მოცილებით იწვნია, და თუმცა შემდეგში, როცა სიმონასაგან შეეძინა შვილები, ბიძასთან დატოვებულ პირმშოზე დარდი გაუნელდა, მაგრამ არასოდეს მოშუშებია ერთხელ მიღებული ჭრილობა და ისე მოხუცდა, რომ მისი სიხარული, მხიარულება არავის შეუმჩნევია. ის იყო გამრჯე, საქმიანი და კეთილი ადამიანი, მაგრამ მეტისმეტად სიტყვაძუნწი და სევდიანი. ცხოვრებაში იგი ვერაფერს ხედავდა სანუგეშოს.

მიუხედავად ამისა, ახალმა რძალმა გაამაგრა ნიგურიანების ოჯახი. შვილები წამოეზარდნენ სიმონას, მიხაკო მამას გაუტოლდა სიმაღლით. წელწვრილი და მხარბეჭიანი იყო, ჩალისფერი გრძელი თმა ჰქონდა, ხორბლისფერი სახის კანი, მწვანე თვალები, კეხიანი

ცხვირი, ღაწვზე ხალი. ღონიერი და ძლიერი ყმაწვილი დადგა, გულკეთილი და ზრდილი. თექვსმეტი წლისა რომ შესრულდა, დეპოში დაიწყო მუშაობა. უთენია დგებოდა და ფეხით მიდიოდა დაბაში, როცა რძისფერ ბურუსში ჩაფლულ, მიძინებულ ეზოებიდან ჯერ კიდევ მამლების ყივილი ისმოდა. დეპო რომ გახსნეს ამ საქვანძო სადგურზე, ბევრმა გლეხმა მიაშურა რკინიგზას. ზოგი მეისრედ მოეწყო, ზოგი გადამბმელად, ზოგი კონდუქტორად, ზოგი მჭედლად და ზეინკლად, ზოგიერთებმა ორთქლმავლის ტარებაც კი ისწავლეს.

ალიონზე, ბნელ ოროლბეებში, ერთმანეთს ხვდებოდნენ რკინიგზისკენ მიმავალი მუშები. მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ორ-ორნი, სამ-სამნი, ოთხ-ოთხნი, თან მიჰქონდათ ბოხჩაში გახვეული საგზალი მთელი დღისა, ცივი მჭადი, ყველი, ხახვი, ნიორი. მამლების ყივილი და ძაღლების ყეფა აცილებდა მათ. როცა დეპოს საყვირი აკივლდებოდა გამყინავი ხმით, შორით მოსული მუშები უკვე ადგილზე იყვნენ, ლიანდაგებზე დადიოდნენ, მკრთალად განათებულ დეპოს შენობაში შედიოდნენ, თავთავიანთ ადგილს იჭერდნენ და მთელი დღე შრომობდნენ. გვიან საღამოს კვლავ დაიკივლებდა საყვირი და ახლა შინისკენ მოყვებოდნენ ბნელ შარას და შუკებს დაღლილნი, დაქანცულნი. უქმე დღეებში ეს მუშები თავიანთ პატარა ყანებს თოხნიდნენ, ბოსტნებს უვლიდნენ და გაჰქონდათ თავი. მიხაკოც ეხმარებოდა მამას. ვიდრე ჯარში გაიწვევდნენ, მიხაკო დეპოში მუშაობდა. თვრამეტი წლისა რომ შესრულდა, ჯარში წაიყვანეს; როგორც უფროს ვაჟს, ოჯახის მომავალ მარჩენალს, იმდროინდელი კანონის თანახმად, არ ეხებოდა სამხედრო ბეგარა, მაგრამ წიფლნარის მექრთამე ბოქაულმა ერთი ადგილობრივი ვაჭრისაგან ქრთამი აიღო და იმისი შვილის ნაცვლად მიხაკოს უკრა სალდათად თავი. მიხაკო მატარებელში ჩახვეს და თბილისში გაისტუმრეს.

მატარებელი თბილისში ღამით ჩავიდა. მიხაკომ პირველად ნახა მაშინ დიდი ქალაქი. სადგური განათებული იყო გაზის ფარნებით. პერონზე სასტუმროების მაკლერები იდგნენ და თავიანთი სასტუმროების მისამართებს სთავაზობდნენ გამვლელებს. სადგურის უკან ეტლები ჩამწკრივებულიყვნენ მუშტრების მოლოდინში. ისმოდა ცხენიანი ტრამვაის ზარის წკრიალი. მიხაკო ძალიან გააკვირვა ქალაქის ხმაურმა და ფუსფუსმა, ეტლების განუწყვეტელმა მოძრაობამ, ხალხის ნაკადმა, ქვაფენილით დაგებულმა ქუჩებმა, გაზის ფარნებმა. ქუთაისი და მეტადრე სამტრედია თავისი მოუვლელი შუკებით, სადაც ავდარში მუხლებამდე ტლაპო დგებოდა, თბილისთან შედარებით დიდ სოფელს ჰგავდა. აქ კი, მაღალი სახლები იდგნენ, ორი, სამი და ოთხსართულიანიც კი. მიხაკოს თავბრუ დაახვია უჩვეულო სანახაობამ.

იმ ღამეს, სალდათად განწესებული ბიჭები არსენალის მთაზე აიყვანეს და ყაზარმებში მოათავსეს. აქედან ხელის გულივით ჩანდა განათებული ქალაქი, მთის კალთებზე შეფენილი და გაშენებული. მიხაკოს დიდხანს არ დაეძინა, შთაბეჭდილებები არ ასვენებდნენ. იგი ყურს უგდებდა ქალაქის ხმაურს, ყაზარმის მიღმა რომ ისმოდა. უთენია, უნტერის ყვირილმა გამოაღვიძა. ახალწვეულნი წამოყარეს, ყაზარმის ეზოში შეკრიბეს და აბანოში წაიყვანეს. ქალაქს ჯერ კიდევ ბინდი ფარავდა. არსენალის მთაზე მაწანწალა ძაღლების ყეფა ისმოდა. მაგრამ უკვე ილვიძებდნენ თბილისის ქუჩები. საპარადო შესასვლელებთან და ბაღის კარებთან ღამის გასათევად მიგდებული დაძონძილი მათხოვრები ნელა იზლაზნებოდნენ, დგებოდნენ. მაწვნით, რძით, კვერცხით, მწვანილით, ხილით, შეშით დატვირთული სახედრების პატრონთა ყვირილი აყრუებდა არემარეს. მეთულუხჩეები წყალს ეზიდებოდნენ, მეკურტნეები კედლებთან ატუზულიყვნენ. კინტოებს ცოცხალი თევზით სავსე თაბახები ედგათ თავზე და გასაყიდათ დაჰქონდათ.

ეროვნული

აქა-იქ უკვე ისმოდა ეტლების გრიალი, ცხენების ფლოქვების თქარუნი. ქალაქის მიღმა ამომავალი მზის პირველი სხივები აბრჭყვიალებდნენ ეკლესიების მაღალ გუმბათებს. მიხაკომ დაინახა ერთ-ერთი ეკლესიის გუმბათზე ჯაჭვით დაკიდებული კაცი, რომელიც სახურავს ღებავდა. გამოფხიზლებული ქალაქი იწყებდა ცხოვრებას. ახმაურდნენ მტკვრის პირას ჩამწკრივებული წისქვილები და დაბახანები, გაიღო დუქნები, ყავახანები, ჩაიხანები. სასტუმროებთან ჩერდებოდნენ ეტლები, ტრიალებდა დიდი შუშის კარი, ლივრეიან ლაქიებს სასტუმროს ჰოლში შეჰქონდათ აქ ჩამომხტარი სტუმრების ბარგი. ცხენიანი ტრამვაის ზარის წკრიალიც გაისმა. თითქმის ყველა სახლზე რუსულ ენაზე შესრულებული აბრები და რეკლამები ეკიდა, ქართული ანბანი მეტისმეტად შევიწროებული, სადღაც კუთხეში, შეუმჩნეველ ადგილას მიგდებული ჩანდა. ახალწვეულთ მთელი ქალაქი გამოატარეს და ორთაჭალაში, გოგირდოვან აბანოში შეიყვანეს.

პირველად იბანავა მიხაკომ გოგირდოვან წყალში. დიდად ეამა. ბანაობის შემდეგ სალდათებს თმა გადაკრიჭეს და ახალთახალი სამხედრო ფორმა დაურიგეს. შემდგომად ამისა, დროგებზე დასვეს და სხვადასხვა ბატალიონებში გაანაწილეს. მიხაკო და მასთან ერთად ჩამოსული ხუთი ბიჭი მანგლისში გაამწესეს.

მანგლისისკენ მიმავალი გზა ერთხანს ხრიოკ გორაკებს შორის მიიკლაკნებოდა. მერე გამოჩნდა ყაყაჩოებით მოფენილი მწვანე მდელოები, ნიავი ეფერებოდა ღაღანა ჯეჯილს. თანდათან მთებმა გაშალეს მხრები, ტყით დაფენილი ფერდობები ღრმა ხევებში იკარგებოდნენ, შორს ლივლივებდნენ ლურჯი ქედები, და მიხაკოს ძლიერ მოეწონა ეს მხარე. მოეწონა მანგლისიც, მისი ტყეები, სათიბები, ველ-მინდვრები, გრილი ჰაერი. მაგრამ აშმორებულმა ცივმა ყაზარმამ და სალდათურმა ცხოვრებამ მალე დაუკარგა ხალისი. ახალგაწვეულ ჯარისკაცებს უთენია წამოყრიდნენ ლოგინიდან და მთელი დღე სამწყობრო სიარულს ასწავლიდნენ ქანცის გაწყვეტამდე, ხან მზის გულზე და ხან თავსხმა წვიმაში. ეს ერთფეროვანი უაზრო გარჯა საშინლად თრგუნავდა მიხაკოს, თავს მონასავით გრძნობდა, რადგან სალდათებს ყველაფერს უკრძალავდნენ და ყველანი უყვიროდნენ, ბატალიონს მიკედლებული უპატრონო ძაღლიც კი უფრო ლაღად და თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე სალდათი. განსაკუთრებით ქართველ ჯარისკაცებს უჭირდათ, რომელთა უმრავლესობას არ ესმოდა რუსული ენა და ბრძანებებს დროულად ვერ ასრულებდნენ. ამის გამო ისინი ხშირად ისჯებოდნენ და მთელი კვირეები წყალზე და ხმელა პურზე ისხდნენ სატუსაღოში.

ზაფხული რომ დადგა, ჯარისკაცები ყაზარმიდან საზაფხულო ბანაკში გადაიყვანეს. სოფლის განაპირას, ერთ მოტიტვლებულ ადგილზე, რომელსაც ირგვლივ ტყეები ეკრა, კარვები დადგეს და ბანაკს გუშაგები დაუყენეს. საველე სამზარეულოც აქვე მოაწყვეს, ჯარისკაცები ღია ცისქვეშ საუზმობდნენ, სადილობდნენ, და ვახშმობდნენ. ჭამის დროს ხან მზე აცხუნებდათ და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, ხან აწვიმდათ და ეს უკარგავდა გემოს ისედაც უგემურ წყალწყალა ბორშჩს და წიწიბურას ფაფას, რომელსაც ვერაფრით ვერ შეეგუვნენ თონის პურს, კეცის მჭადს და ქოთნის ლობიოს შეჩვეული ქართველი სალდათები. შიმშილის გრძნობა განუწყვეტლივ სტანჯავდა მიხაკოს, ოფიცრების დაუსრულებელი ყვირილი და აგდებული დამოკიდებულებაც აწუხებდა მას. ისინი ჯარისკაცებს, ზოგჯერ, საათობით აყენებდნენ მზეზე, თვითონ ჩრდილში წამოჯდებოდნენ და იქედან უხსნიდნენ ბრძოლის წესებს. ზოგჯერ მთელი დღე შეუსვენებლივ არბენინებდნენ ალმა-დალმა თოფებით და დახვეული მაზარებით დამძიმებულებს და სულ მცირე შეცდომის გამო დილეგით იმუქრებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, სალდათებს კართოფილს აფცქვნევინებდნენ, ჭუჭყიან ჭურჭელს არეცხინებდნენ, აყროლებულ ფეხსაცმელებს ასუფთავებინებდნენ, ბინძური საჯინიბოების მოვლას ავალებდნენ და ღამით, გუშაგად მდგართ, მეორე დღეს გამოძინების საშუალებას არ აძლევდნენ. ყოველივე ეს მით უფრო აუტანელი ხდებოდა, რომ მიხაკომ იცოდა, ეს იყო სხვისი ჯარი, რომლის ბედ-იღბალი და წარმატებები მას არ აინტერესებდა, რადგან ძალით იყო აქ მოთრეული. ერთხელ, მეცადინეობისას, ერთმა ლოთმა ოფიცერმა, რომელსაც ქართული სიტყვის გაგონება მეტისმეტად აღიზიანებდა, საქონლისგან ალუფხული, აშმორებული გუბის ხოხვით გადალახვა უბრძანა მიხაკოს. მიხაკო შეყოვნდა. არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა იმ მყრალ გუბეში ჩაწოლა, როცა თავისუფლად შეიძლებოდა გვერდის ავლა. მაშინ გაცოფებულმა ოფიცერმა სახეში სილა სტკლიცა, შეაგინა და გაუმეორა ბრძანება. მიხაკომ ვერც კი იგრძნო, როგორ მოეკვეთა მუხლები და როგორ შეტოპა ტლაპოში. თავის სიცოცხლეში პირველად შემოკრეს ხელი და ისე იყო შეურაცხყოფისაგან გაოგნებული, რომ ნებისყოფა წაერთვა. როცა გონს მოეგო, საკუთარი თავისა შერცხვა, მორჩილად რომ შეასრულა დამამცირებელი ბრძანება, თუმცა ისიც იცოდა, რომ ბრძანების შეუსრულებლობა კარგს არაფერს უქადდა.

იმ დღის მერე, ძლიერ მოიწყინა მიხაკომ, აუტანლად შეზიზღდა სალდათური ყოფა, შრომა მოუნდა. მოენატრა საყევარში გაბმული ხარების გაძღოლა, შურით გასცქეროდა სათიბში მიმავალ, მხარზე ცელგადადებულ მთიბავებს, ბანაკს რომ ჩაუვლიდნენ ხოლმე სამუშაოდ მიმავალნი. ზაფხული იდგა, პურის ყანები დამწიფდა, თავთავებმა თავი დახარეს, ოქროსფრად აბზვინვარდნენ ხოდაბუნები. გლეხები ყანებს შეესივნენ და მკას შეუდგნენ. სევდიან გუნებაზე აყენებდა მიხაკოს მათი ცქერა. მუშაობა სწყუროდა, თოფის მაგიერ ნამგალი და ცელი ენატრებოდა მის ხელებს. ბედნიერად მიაჩნდა ის გლეხები, ჭრელტანსაცმლიანი დედაკაცებით და ბავშვებით გარშემორტყმულნი, ხვართქლმორეულ ნაპურალში მარტოდ მდგარი მუხის ჩრდილში სადილად რომ სხდებოდნენ, შუადღეზე. ბედნიერი იყო მათი სიმღერა და ლაღობა, მთელი დღის ნაჯაფნი შინ რომ მოერეკებოდნენ გუთნეულს გადახნული ანეულებიდან. მიხაკოს შურდა მათი, სული ეხუთებოდა სხვათა მორჩილებაში მყოფს. საღამოობით, ტუსაღივით გასცქეროდა მანგლისიდან შორს მიმავალ გზას, ფერდობებსა და ხევებს შორის ჩაკლაკნილსა და დახლართულს, ხარბად ისუნთქავდა ნამჯისა და მზის სუნს და გული სევდით ევსებოდა. ასე გაატარა ზაფხული.

ენკენისთვის მიწურულს, მიხაკო ბატალიონის უფროსმა დაიბარა და უთხრა, განთავისუფლების ქაღალდი მოგივიდა, გაუგებრობის გამო ყოფილხარ ჯარში გაწვეული, შეცდომა გამომჟღავნდა და გიშვებთო. მიხაკოს სამხედრო ტანსაცმელი გახადეს, თავისი დაუბრუნეს და გამოისტუმრეს. გახარებულმა მიხაკომ ძლივს დაიჯერა, რომ თავისუფლება ელირსა, და ისე მოუნდა რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას, სადაც მხოლოდ დამცირება და აბუჩად აგდება გამოსცადა, რომ ყაზარმიდან გამოსულმა ქალაქისკენ მიმავალ დილიჟანსს აღარ დაუცადა და ფეხით გაუყვა შორ გზას.

მთელი დღე იარა, ჩქარა მიდიოდა, თითქოს ეშინოდა, რომ მდევარს გამოუყენებდნენ და უკან მიაბრუნებდნენ. საღამო ხანს, ერთ პატარა მინდორზე, ხის ქვეშ დასასვენებლად მჯდარი კაცი დაინახა. იქვე, გზის პირზე იდგა დროგი, მედროგეს ცხენი გამოეშვა ცალუღლიდან და დაზიანებულ თვალს აკეთებდა. მიხაკო შეჩერდა და მიესალმა ამ კაცებს. მერე გვერდით მიუჯდა ჩრდილს შეფარებულ ახალგაზრდას და საით მიბრძანდებიო, ჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანგლისში, — უთხრა უცნობმა, — თქვენ საით?

— თბილისში.

უცნობი მიხაკოს თუთუნით გაუმასპინძლდა და თავისი ამბავი უამბო.

— სამტრედიელი ვარ, გვარად იობაძე. ვიღაც ოჯახქორი ნიგურიანი ყოფილა და იმის მაგივრად მიკრეს თავი სალდათად. ააყროლეს ქვეყანა მაგის ნათესავეებმა საჩივრებით. მაგენი რას დამაკლებდნენ, მაგრამ ერთი ნესტორ ვარდანიძეა ჩვენში გავლენიანი კაცი, ის მიეხმარა ნიგურიანს, ამოწყდა მაგის რჯული და ჯიში. მივდივარ ახლა სალდათად ვიღაცა ოხრის გულისთვის.

მიხაკოს ხმა არ ამოუღია. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— ცოტა კიდევ შეგესვენა, შე კაცო! — უთხრა იობაძემ.

— არა ბატონო, მეჩქარება, კარგად ბრძანდებოდეთ!

დალამებისას, სამადლოზე, თეთრ დუქანთან მიაღწია. ფული ჰქონდა. აქ მან ივახშმა, მედუქნე ღვინით გაუმასპინძლდა და ღამეც გაათევინა. როგორც კი ირიჟრაჟა და ოქროშერეულ სისხლის ლაქას დაემსგავსა აღმოსავლეთი, მიხაკო წამოდგა და გზას გაუდგა. ქალაქში ჩასულმა კითხვა-კითხვით მიაღწია სადგურამდე, ბილეთი აიღო და იმავე საღამოს გაემგზავრა წიფლნარს. ასე დამთავრდა მისი ჯარისკაცობა.

სწორედ იმ დღეს, მიხაკო რომ სალდათიდან დაბრუნდა, ოქროპირა გარდაიცვალა.

ოქროპირა ჯანმაგარი, გამრჯე კაცი იყო, მაგრამ ჟამმა ისიც დალალა. შრომა ჯერ კიდევ ახალგაზრდის თანაბრად შეეძლო, მაგრამ ბოლო ხანს ერთი უცნაური ჩვევა დასჩემდა. შემოდგომის მიწურულს, მოსავალს რომ მოიწევდა, როცა სასიმინდეს სიმინდით გაავსებდა, ჩალას კონებად შეკრავდა და შეინახავდა, როცა საქონელს სადგომს გაუმზადებდა და ზამთრისათვის შეშას მოიმარაგებდა, უსაქმოდ დარჩენილი და გულდამშვიდებული პირველი სიცივეების დადგომისთანავე, ლოგინს ბუხართან მიდგამდა და წვებოდა. მთელი ზამთარი ლოგინში იწვა ეს საღსალამათი კაცი. ასეთნაირად ისვენებდა, ჭამდა, სვამდა, ეძინა და თავშესაქცევად გოდრებს და კარანჩხებს წნავდა. გაზაფხულის პირზე, როცა ყინვა წელში ტყდებოდა, ოქროპირა ლოგინს ტოვებდა და საკუთარ ეზოს მოავლებდა ხოლმე თვალს. თუ საჭირო იყო, ღობეს შეაკეთებდა, საქონელს საძოვარზე გადენიდა, ბესიას ბოსტნის დაბარვაში ეხმარებოდა და თანდათან შედიოდა მუშაობის ეშხში. მთელი ზაფხული თავაუღებლივ მუშაობდა, მარგლავდა და ამორჩევდა სიმინდს, ხეხილს უვლიდა, ზოგ რამეს ჰყიდდა. როცა სთველი დგებოდა და შეყვითლებულ მინდვრებს მისეული მუშებისაგან დაგუგუნებული ნადური მოედებოდა სოფელს, ხილაბანდით თავწაკრული ოქროპირა თავის მოყვანილ ყანაში იდგა მოშრიალე სიმინდების ტევრში, შვილთან და შვილიშვილებთან ერთად და ნამგალს ატრიალებდა. ახალისებდა პატარა შვილიშვილების ჟრიამული, ურმის ჭრიალი, აღებული ჭირნახული რომ გაჰქონდა ბესიას ყანიდან. შინიდან რძალს სადილი მოჰქონდა, კოკით ღვინო, ქოთნით ლობიო, მჭადი და ყველი. გემრიელი სადილის შემდეგ, ოქროპირა მცირე ხნით ხის ძირში წამოწვებოდა ხოლმე და იძინებდა. ასე ცხოვრობდა ოქროპირა, ასე შრომობდა. იმ დღესაც მიწვა ჩრდილში ჩალაზე.

— ცოტას წევიძინებ, ბაბუა, — უთხრა შვილიშვილებს.

სანამ ბესია ურემს ზვინავდა, მაიკო კვახებს აგროვებდა. ბავშვებმა თამაში გააჩაღეს, ბესიამ დასვენებული ხარები ურემში შეაბა. ხის ტოტზე მოლაღური იჯდა და გალობდა, ხოლო ხის ძირში ოქროპირა იწვა.

— გააღვიძეთ ბაბუა! — გასძახა ბესიამ ბავშვებს და შინ წასასვლელად მოემზადა.

— ადექი ბაბუა! — შემოეხვივნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილები ოქროპირას, მაგრამ ვერ გაალვიძეს. მაშინ ბესიამ ურემს თავი დაანება და ხელი მოუსვა მამას. ოქროპირა მკვდარი იყო.

ძილში გაიპარა ეს წყნარი კაცი. მისი სიკვდილი ბეგლარს ფოთში შეატყობინეს. ამჯერად ბეგლარი ჩამოვიდა და თან პაპუნა ჩამოიყვანა.

ბეგლარმა კარგი დაკრძალვა მოუწყო მამას. დაპატიჟა მეზობლები და ნათესავები, მაწვიერები მიუგზავნა. ხალხმა შუადღიდან იწყო დენა. ეზოში, ტალავარქვეშ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ სატირალში მოსულნი და იმ ქვეყნად მიმავალ გზას ულოცავდნენ ოქროპირას. ბატონი ყაფლანი, ნესტორი და ჯამბაკურიც მობრძანდნენ. ყაფლანი მიცვალებულს მიუახლოვდა, პირჯვარი გადაიწერა და ხალხს მიმართა, ოქროპირამ და გოგიელამ შემინარჩუნეს სიცოცხლე, მაგათ მიხსნეს სიკვდილისაგან ჩოლოქის ომში, ღმერთმა მათი სული გაანათლოსო. ჩოლოქის ომი ზოგს გაგებულიც კი არ ჰქონდა, უმეტესობა მაშინ არც კი იყო დაბადებული, მაგრამ ბატონ ყაფლანს მაინც ყურადღებით მოუსმინეს. როცა მოსაღამოვდა, ოქროპირა სასაფლაოზე წაიღეს და თავისი ცოლის ბაბალეს გვერდით დამარხეს.

მეორე დღეს ბეგლარი ნესტორმა მიიპატიჟა, თავისი მამული დაათვალიერებინა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს და საერთოც ბევრი აღარაფერი შერჩათ, მაგრამ ერთად გატარებული წლები და ფათერაკები ღრმად ჩარჩენოდა მეხსიერებას და მაინც უყვარდათ ერთმანეთი, მაინც ახლობლები იყვნენ. პაპუნა შინ დარჩა. შინაურებს კარგა ხანია არ ენახათ იგი. გაზრდილიყო, დამშვენებულიყო, მაგრამ მშობლიური ენა საგრძნობლად გადავიწყებოდა და მამას და პაპას ბევრი ვერაფერი გააგებინა. მაგრამ ძმებმა მაინც მონახეს საერთო ენა. ეზოს ყურეში, ლელვის ხეების ქვეშ, კონსტანტინე პაპუნას დაეჭიდავა, ხოლო იესემ სწავლის ამბები გამოჰკითხა. პაპუნა ფოთის გიმნაზიაში სწავლობდა. როგორი ქალაქია ფოთიო, დაინტერესდა მიხაკო. პაპუნას ბათუმი უფრო მოსწონდა, სადაც იგი მამობილს წაეყვანა ერთხელ გემით. ახლა ბეგლარი გემის კაპიტნად აღარ მსახურობდა, ფოთის საზღვაო სასწავლებლის უფროსის მოადგილე გამხდარიყო და პაპუნაც ამ სასწავლებელში აპირებდა სწავლის გაგრძელებას.

ბეგლარისა და პაპუნას ფოთში დაბრუნების შემდეგ, მიხაკო ჩაფიქრებული დადიოდა. ერთ საღამოს, ნიგურიანები ქოხში კერიის ირგვლივ ისხდნენ. მაკრინე ტაბლაზე ვახშამს აწყობდა. სიმონამ საიდანღაც გოგიელას ნაქონი მოკლეტარიანი თოხი გამოიტანა და მიხაკოს გადასცა.

— რა არის, ბაბა, ეს? — ჰკითხა მიხაკომ.

— ბაბუაშენის ნაქონი თოხია. შვილო. რომ კვდებოდა, ასე დაიბარა, ჩემს მიხაკოს შეუნახეთ ეს თოხიო. აწი, რადაი ოჯახს დაუბრუნდი, გაბარებ ბაბუაშენის ნაანდერძალს, მეიხმარე.

მიხაკომ ცერა თითით თოხს პირი მოუსინჯა და ისევ მამას დაუბრუნა.

— არ მინდა, ბაბა, ეს თოხი მე, არ მჭირდება. ბათუმში ვაპირებ გამგზავრებას სამუშაოდ, ეგება, ბედს ვეწიო.

სიმონა სახტად დარჩა. უფროსი შვილი მას გამორჩეულად უყვარდა.

— რა გინდა, შვილო, ბათუმში, ჩვენ ვინ მოგვხედავს?! — წამოიძახა.

— მომხედავი გეყოლება, ბაბა, არც ბათუმია შორს. ხალხი ტრაპიზონში მიდის და იქედან ბრუნდება გამდიდრებული. წავალ, ქვეყანას ვნახავ. წერაკითხვა ვიცი, ცოტა რუსულიც მეხერხება, იქნება რამე საქმეს წავაწყდე.

— წადი, შვილო! — უთხრა საბამ.

სიმონამ თავი ჩაღუნა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. თავის მემკვიდრედ მხოლოდ მიხაკო მიაჩნდა, იმედოვნებდა, რომ მიხაკო გაუძღვებოდა ოჯახს, მამულს, უხელმძღვანელებდა ძმებს. ამ აზრს ისე იყო შეჩვეული და შეგუებული, რომ სხვა რამ ვერ წარმოედგინა,

ეროვნული

მაგრამ ახლა ატყობდა, რომ მომავლის გეგმები ემსხვრეოდა, იმედი არ უმართლდებოდა. ვერ გადაეწყვიტა დათანხმებოდა შვილს თუ წინაღსდგომოდა, თუმცა გრძნობდა, წინააღმდეგობა მიხაკოს შინ ვერ დააკავებდა. სიმონამ თოხი შეინახა, განჯინიდან ჩვრებში საგულდაგულოდ გახვეული ოქროს დასტანაგი ამოიღო და შვილს მაჯაზე გაუკეთა.

— ეს სამაჯური, შვილო, კინტრიშთან ომის დროს მაჩუქა ერთმა გურულმა თავადიშვილმა. შენს სახელზე ვინახავდი, გამოიყენე, კარგი ვაჟკაცის ნაქონია.

— წაღმა იარე! — დალოცა საბამ მიხაკო.

მეორე დღეს, მიხაკოს გზის ფული მისცეს და ბათუმში გაისტუმრეს.

11.

ბათუმი მოზრდილი ქალაქი იყო. განიერ, სწორ ქუჩებს დახლართული ვიწრო ქუჩაბანდები ენაცვლებოდნენ, ლამაზ, ქვის შენობებს გვერდით ულიმღამო ქოხმახები ედგა. მაგრამ მაინც მშვენიერი იყო ეს ქალაქი. ეკლესიები და მეჩეთები, პალმები და მაგნოლიები, ლურჯი ზღვა და მწვანე მთები ამშვენებდნენ აქაურობას. გრძელ და გამურულ ეშელონებს ბაქოდან ცისტერნებით მოჰქონდათ ნავთი, რომელსაც გემებში ასხამდნენ და საზღვარგარეთ ეზიდებოდნენ. აქ იყო ქარხნები, იყო სახელოსნოები, იყო სამხერხაოები, იყო სამიკიტნოები და სასტუმროები, მაღაზიები და დუქნები, ისმოდა გვარი მრეწველებისა... ბუნგე პალაშკოვსკი. როტშილდი, ნობელი, მანთაშოვი; ნავსადგური სავსე იყო გემებით, შორეული მარსელიდან და ალექსანდრიიდან მოსული ევროპული ორთქლმავლებით, აფრიანი ხომალდებით, სტამბოლსა და ტრაპიზონში რომ გადაჰქონდათ ტვირთი, ურიცხვი ფელუკებითა და ნავებით, რომლებიც ლაზეთის ნაპირებისაკენ ან ფოთისაკენ მიეშურებოდნენ ყოველდღიურად. მზეზე გარუჯული [illegible]მანი მეზღვაურები და თავზეტომარაწამოცმული დოკერები ერთმანეთში არეულიყვნენ, ყავახანების წინ, წითელფესკიანი და ჩაბალახიანი მოხუცები ისხდნენ, კუპრივით შავ ყავას წრუპავდნენ, ყალიონს ექაჩებოდნენ და მტვერში იპურჭყებოდნენ. ისმოდა ყაყანი მრავალ ენაზე, ქართულზე, თურქულზე, რუსულზე, ბერძნულზე...

მატარებლიდან ჩამოსულმა მიხაკომ პირდაპირ ნავსადგურს მიაშურა. იმედოვნებდა, რომ სამუშაოს აქ იშოვიდა. იგი ინტერესით აკვირდებოდა აფუსფუსებულ სანაპიროს. ზღვა იყო წყნარი, მოსარკული. მოპრიალებული. ზღვის მძაფრი სუნით გაჟღენთილი იყო ჰაერი. მიხაკოს ძლიერ მოეწონა აქაურობა, გული უგრძნობდა, რომ აქ ფეხს მოიკიდებდა. მან თვალი მოავლო პორტს. ცხენშებმული ვაგონები გემებისკენ მიასრიალებდნენ ნავთობით სავსე ყუთებს და კასრებს, წელში მოხრილი დოკერები ვეება ხომალდს ცლიდნენ, ფქვილით სავსე უზარმაზარი ტომრები ჩამოჰქონდათ და ნავმისადგომთან მიყენებულ ვაგონს ტვირთავდნენ. სახეზე ოფლი გადასდიოდათ, ძარღვები დაბერვოდათ, ფქვილში ამოგანგლულიყვნენ. ზოგი ჩია ტანისა იყო, ზოგი ბრგე ვაჟკაცი, მაგრამ ყველა ერთნაირად შრომობდა, ხელცარიელი ადიოდნენ გემბანზე და გემსა და ნაპირს შორის გადებულ ხიდურზე ეზიდებოდნენ მძიმე ტვირთს. მიხაკო კარგა ხანს იდგა და გასცქეროდა მათ საქმიანობას. ამ დროს ერთი შავსერთუკიანი ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და სამუშაო შესთავაზა: ტომრების გადაზიდვა ხომ არ გინდაო? ეტყობოდა, ნავსადგურის მოხელე იყო. მიხაკომ ირიბად გახედა ამ კაცს და დაყაბულდა. ბოხჩა ქვაზე დადო, ქურთუკი და სატინის ხალათი გაიხადა, შარვალი ჩექმებში ჩაიტანა და მუშაობას შეუდგა. ტვირთის თრევას უჩვევი იყო, მაგრამ მაინც არავის ჩამორჩა, რადგან ჯანღონე არ აკლდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის წყალობით პაპისა და მამის ჯიში გამოჰყვა.

საღამოს, როცა მზე ზღვაში ჩაიძირა, მიხაკომ მტვერი ჩამოიბანა, ტანსაცმელი ჩაიცვა და გასამრჯელოს მისაღებად სალაროსთან, რიგში ჩადგა. ფულს ის კაცი არიგებდა, ვინც მიხაკო სამუშაოდ მიიწვია. მან მიხაკოს შრომის საფასური გადაუხადა და ხვალისთვისაც დაიბარა. მიხაკომ ფული ჯიბეში ჩაიდო და ქუჩაში გამოსულმა, პირველსავე დუქანში გემრიელად ისადილა. როცა დანაყრდა და გუნებაზე მოვიდა, ცხოვრება მეტისმეტად მიმზიდველი მოეჩვენა, მედუქნეს დანახარჯი გადაუხადა და ჰკითხა, აქ ღამის გათევა სად შეიძლებაო?

— მზიდავი ხომ არა ხარ? — ჰკითხა მედუქნემ.

— დღეს ჩამოვედი ბათუმში, — უპასუხა მიხაკომ.

— აქ ერთი ბერძნის ქალი აქირავებს ბინას. მტვირთავები და ახლადჩამოსულები იმასთან ათევენ ღამეს, თუ აქვს ადგილი, — უთხრა მედუქნემ და მიასწავლა იმ დედაკაცის სახლი.

ღამდებოდა. ბოლაზში ტალღების ტყლაშუნი ისმოდა. სანაპიროზე სინათლეები ციმციმებდნენ. შორს, ვიღაცა ჩონგურზე ამღერებდა. მიხაკომ კითხვა-კითხვით მიაგნო იმ ბერძნის ქალს. ნავსადგურის უკან, ვიწრო, მტვრიან ჩიხში ედგა ამ დედაკაცს ერთსართულიანი ქვის სახლი. სახლის წინ, ხის ძირში ვიღაც ჩაბალახიანი კაცი იჯდა მორზე და მესერს ზურგით მიყრდნობილი ჩონგურს უკრავდა. ბავშვები გარს შემოხვეოდნენ და უსმენდნენ ოსმალეთში გადასახლებული მუხაჯირების მწუხარე ბედის ამბავს, რომელსაც სიმღერით ჰყვებოდა მეჩონგურე. ბავშვებში რამოდენიმე პატარა ზანგიც ერია. ამ უბანში აჭარელი ქართველების, აფხაზების და ბერძნების გარდა, ორი ზანგური ოჯახიც სახლობდა. ერთმანეთზე მიკრული ქოხმახების ირგვლივ ჭაობები იყო, საიდანაც ბაყაყების ყიყინი ისმოდა.

მიხაკო ბერძნის ქალს ბინის თაობაზე გაურიგდა. ღამის თევის ქირა მეტისმეტი იაფი იყო. ეტყობა, იმიტომაც აკითხავდნენ ამ ადგილს ბათუმში ჩამოსული ღარიბ-ღატაკი ბედის მაძიებლები. ხანშიშესულმა ბერძნის დედაკაცმა მიხაკო აათვალ-ჩაათვალიერა, თვალში მოეწონა და სახლში შეიყვანა. ერთ დიდ ოთახში, პირდაპირ იატაკზე დაფენილ ქეჩებზე იწვნენ მდგმურები. დედაკაცმა მიხაკოს კედელთან მიუჩინა ადგილი. მიხაკო ქეჩაზე წამოწვა და ბოხჩა თავქვეშ ამოიდო. ოთახში ოფლის სუნი იდგა, ისმოდა ხვრინვა, ხვნეშა, ხველება, ერთი ხანდაზმული კაცი ქეჩაზე წამომჯდარიყო და ყალიონს აბოლებდა. გარეთ კვლავ ქღეროდა ჩონგური. მთელი ღამე უკრავდა მეჩონგურე. თვლემამორეული მიხაკო კმაყოფილი იყო. აქ იყო დასაწყისი იმ გზისა, რომელსაც იგი ხალხში და ქვეყანაში უნდა გამოეყვანა.

დილაუთენია, ხმაურმა გამოაღვიძა. კაცები წამოშლილიყვნენ, ოხრავდნენ, ამთქნარებდნენ, იზმორებოდნენ, იცვამდნენ, სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდნენ. ზოგიერთები აბოლებდნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მიხაკოს გვერდით, ვიღაც შავგვრემანი ყმაწვილი ქეჩაზე წამომჯდარიყო, ფეხები მოეკეცა, მუხლებს იდაყვებით დაჰყრდნობოდა. გამოღვიძებული მიხაკო რომ შეამჩნია, გამოელაპარაკა.

— სადაური ხარ, ჯოვ?

— წიფლნარელი ვარ, მიხაკო ნიგულიანი.

— მე ილიასა ვარ, შარაშიძე, — და ხელი გამოუწოდა. მიხაკომ ხელი ჩამოართვა.

ასე გაიცნეს ერთმანეთი მიხაკომ და ილიასამ, საუბარი გააბეს. როცა რუსებმა აჭარის მიწა-წყალი შეიერთეს და ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროებას შეუდგნენ, ილიასას ოჯახი ოსმალეთში გადასახლებულა მუჰაჯირად. მაგრამ ოსმალეთში უარეს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ თურმე და ხუთიოდე წლის წინ კვლავ სამშობლოში გამობრუნებულან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც მშრალზე დარჩენილან, მათ მიწებზე უცხო ქვეყნიდან ჩამოყვანილი კოლონისტები დაესახლებინათ, ხოლო ახალ ადგილზე დასახლების უფლებას არ აძლევდა მთავრობა აქაურ ხალხს. ოჯახი დაქსაქსულა, გაფანტულა, ზოგს სად შეუფარებია თავი, ზოგს სად. წერა-კითხვის უცოდინარი ილიასა ნავსადგურში მტვირთავად მოწყობილიყო. არავითარი ხელობა მან არ იცოდა, კიდეც რომ სცოდნოდა, მაინც გაუჭირდებოდა ადგილის შოვნა, რადგან იმ დროს ქართველ მუშებს ყოველნაირად ავიწროებდნენ და ჩაგრავდნენ მეფის მოხელეები. ამ მხარეში უცხო ტომის ხალხს ჰქონდა შეღავათი, ისინი იშენებდნენ სახლებს, აგარაკებს, იძენდნენ საუკეთესო მიწებს, დაუბრკოლებლად ეწყობოდნენ სამსახურში. ილიასა ოცი წლისა იქნებოდა, მკვირცხლი, ცოცხალი გონების ყმაწვილი იყო.

მიხაკო იმ დღიდანვე დაუძმაკაცდა ილიასს. ნავსადგურში ერთად დადიოდნენ, ტვირთს ერთად ეზიდებოდნენ, ერთად იღებდნენ გასამრჯელოს, ერთად ჭამდნენ პურს, ერთმანეთის გვერდით ეძინათ და ერთად დადიოდნენ გასართობად ქალაქის მიღმა, ტრიალ მინდორში, სადაც ნავთის ქარხნებისა და სხვა სახელოსნოების ახალგაზრდა მუშები იკრიბებოდნენ საცეკვაოდ, საჭიდაოდ და დროის გასატარებლად. იქვე, ახლოს, სამხედრო ნაწილი იდგა. რუსი ოფიცრების ცოლები, დები, ქალიშვილები და სხვა ნათესავები ხშირად მოდიოდნენ აქ მოცეკვავე, მომღერალი და მოჭიდავე ყმაწვილების საყურებლად, და ზოგიერთები თვალშიც ძალზე მოსდიოდათ. ერთი ქალიშვილი, რუსეთიდან ახლად გადმოყვანილი ახალგაზრდა ოფიცრის და, მიხაკოთი მოიხიბლა. მიხაკო მართლაც მომხიბლავი ყმაწვილი დადგა. მაგრამ ქალებისა მას ჯერჯერობით არაფერი გაეგებოდა. ოფიცრის დას მარია ერქვა, მიხაკოზე ოდნავ უფროსი იქნებოდა, საშუალო ტანის შავგვრემანი გოგო იყო, მკვრივი, თითქმის მსუქანი. როცა მარია შემთხვევით თუ შეგნებულად მიხაკოს გვერდით ამოუდგებოდა და ლაპარაკს გაუბამდა, მიხაკო მოკლე პასუხებს აძლევდა და ცდილობდა მალე გასცლოდა. „ბიჭო, ამ გოგომ თვალი დაგადგა, გამოიღე ხელიო“, ეუბნებოდნენ ზოგჯერ ამხანაგები, მაგრამ მიხაკოს გულუბრყვილოდ ეცინებოდა. გოგოები მას მაინცა და მაინც არ იტაცებდა, სამაგიეროდ ძალზე სწყუროდა ახალი ამხანაგების შეძენა, ხალხის გაცნობა. და მართლაც ბევრი ბიჭები გაიცნო, მასავით სახლიდან გადმოსულები, ზოგი ნავთის ქარხნის მუშა, ზოგი კასრების, ყუთების, თუნუქის, მავთულის და ლურსმნის დამამზადებელი ქარხნებისა, ზოგი რკინიგზის მოსამსახურე, ზოგი ნავსადგურისა. ამ ბიჭებთან ურთიერთობა მიხაკოს მოსწონდა, რადგან ახალი ხალხისაგან და ახალი ამხანაგებისაგან ახალ-ახალ რამეებს სწავლობდა. სამუშაოს მერე ხშირად მოდიოდა მინდორში, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილზე, და თავის ტოლებში ტრიალებდა. სიმღერა და ცეკვა-თამაში მიხაკოს არ ეხერხებოდა და ამიტომ უფრო მოჭიდავეების სიახლოვეს ყოფნას არჩევდა. თუმცა არც ჭიდაობა იცოდა ხეირიანი, მაგრამ ჯანი ჰქონდა და როცა ისიც გაიწვიეს საჭიდაოდ, ერთხელ, ერთი ფალავანი დასცა ძირს, მეორედ — მეორე, მერე კიდევ ერთი და თანდათან სახელი გაუვარდა, პატივისცემა მოიპოვა.

მაგრამ როცა აცივდა და მომაბეზრებელი წვიმები დაიწყო, ვინღა გავიდოდა მინდვრად, ყველა თავის ბუნაგში შეიკეტა. ნავსადგურში ლაფი დადგა და მიხაკოს მობეზრდა თავისი სამუშაო. შობის წინა დღეს, როცა გარეთ წვიმა ცრიდა, მიხაკო და ილიასა ღუმელთან იატაკზე ისხდნენ და ნარდს თამაშობდნენ. ამ დროს, სახლის პატრონი შემოვიდა და მიხაკოს უთხრა, ვიღაც ქალი გარეთ გიხმობსო. მიხაკომ ქურთუკი მოიხურა და ქუჩაში გავიდა. ჭიშკართან, იმ რუსი ოფიცრის ახალგაზრდა მოახლე იდგა, რომლის და, მარია, ხშირად ეპაასებოდა ხოლმე მიხაკოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა კარგ ამინდში, ქალაქის განაპირას იკრიბებოდნენ ახალგაზრდა მუშები. ამ ქალიშვილს მიხაკო იცნობდა, იგი ბევრჯერ ხლებია მარიას.

— რა გინდა? — ჰკითხა მიხაკომ თავშალშემოხვეულ, გაწუწულ გოგოს.

— მარიამ შემოგითვალა, ამ საღამოს აუცილებლად შინ მეწვიოსო.

— რა უნდა?

— ხვალ შობაა, სტუმრები ეყოლება...

მიხაკო წამით ჩაფიქრდა და შეპირდა, მოვალო. როცა მოსაღამოვდა, ილიასა წაიყვანა და წავიდა.

მარია ცალკე ცხოვრობდა, ერთი მდიდარი ებრაელი კაცის, გვარად, შპალიანსკის სახლში დაქირავებული ჰქონდა ოთახი. მარია რომელიღაც კანტორაში მსახურობდა, სადაც იგი ძმამ მოაწყო. შპალიანსკის სახლი რკინიგზასთან იდგა, მაგრამ აქედან ზღვაც სულ ახლოს იყო, ზამთრის თვეებში გამუქებული, ამღვრეული და აქაფებული. ზღვის ტალღების შხუილი მკაფიოდ ისმოდა იმ არემარეზე და ქუჩიდან მოჩანდა ნაპირებთან მდგარი გემების მაღალი ანძები. ორსართულიანი სახლი ქვით იყო ნაგები, ეზოს მხარეს გრძელი აივნები გამოდიოდა, ეზოში საერთო ფეხსადგილი იდგა, მოშორებით იყო ჭა. უმთავრესად რკინიგზისა და ნავსადგურის წვრილი მოხელეები ქირაობდნენ ამ სახლში ბინას. მარია პირველ სართულზე ცხოვრობდა.

მიხაკოსა და ილიასას მარია მხიარულად შეეგება. ოთახი არ იყო დიდი, მაგრამ სუფთად მოვლილი, გაკრიალებული და მყუდრო ჩანდა. შესასვლელი ეზოდან ჰქონდა, ხოლო ქუჩისკენ ორი ფანჯარა გადიოდა, რომელზედაც ფარდები ეკიდა. ფანჯრებს შორის, კედელზე მიმაგრებულ ღვთისმშობლის ხატს, შანდალში ჩარჭობილი სანთლის ალი აციმციმებდა. მეორე კედელთან იდგა მაღალი და განიერი ლოგინი, მაქმანებით მორთული უზარმაზარი ბალიშებით სავსე. იქვე იდგა კარადა, კამოდი, კამოდზე მრგვალი სარკე, სავარცხლები და ნელსაცხებლები. ჭერზე მიმაგრებული შუქფარიანი ნავთის ლამპა ანათებდა მაგიდას. მაგიდასთან ისხდნენ ქალი და კაცი, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა. მარიამ გააცნო ისინი სტუმრებს, ივან ივანიჩი და მისი ცოლი პელაგია პეტროვნა. კაცი რკინიგზის მოსამსახურე ყოფილიყო, აქვე მეზობლად მცხოვრები. ეს იყო ძვალმსხვილი მამაკაცი, წვერებიანი, წვრილთვალება, იქედნური ღიმილით. მას ეცვა მუქი პიჯაკი, ლურჯი სატინის ხალათი, ჩექმები და კალოშები, ალბათ, შემოსვლის დროს დაავიწყდა გახდა. ეს კაცი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი იყო და ამით ძალიან მოსწონდა თავი. როგორც კი მიხაკო და ილიასა მარიას შემოთავაზებულ სკამებზე დასხდნენ, მან მიხაკოს ჰკითხა, იყო თუ არა ის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი.

— არა, ბატონო! — მიუგო მიხაკომ.

— რატომ?

— მე რუსი არ გახლავართ?

— ვინც რუსეთის იმპერიაში ცხოვრობს, ყველა რუსია!

მიხაკომ პასუხი არ გასცა.

— რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა კვლავ ივან ივანიჩმა.

— მეოცეში გადავდექი.

— სად მუშაობ?

— ნავსადგურში.

— ტომრებს დაათრევ?

— ხან ტომრებს, ხან სხვა რამეს, — მორიდებულად გაიცინა მიხაკომ.

— აბა, თუ ბიჭი ხარ, ხელი გადამიწიე, — და ივან ივანიჩმა მაგიდაზე იდაყვი დადო.

მიხაკომ ისევ გაიცინა, მაგრამ უარი არ გაუვიდა. წინააღმდეგობა არ გაუწია, იოლად დაადებინა თავისი ხელი უფროს კაცს. მაგრამ ივან ივანიჩი სასტიკად გაბრაზდა, მაიმუნობას თავი დაანებე, შენი მოწყალება არავის ჭირდება, ისედაც გ[illegible]ბებო. მაშინ მიხაკომ მაგრად ჩაავლო მაჯაში ხელი და გადაუგრიხა. ეს უცნაური კაცი კიდევ უფრო გაცოფდა და მეორედ გამოიწვია მიხაკო, თან სახეზე ოფლმა დაასხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხაკომ მეორედაც გადაულუნა ხელი, მესამედაც და მეოთხედაც. სახეწამოჭარხლებულმა ივან ივანიჩმა გრაფინიდან არაყი დაისხა, გადაჰკრა და ზურგი შეაქცია სტუმრებს.

— რას აგვიხირდა ეს კაცი, რას გვერჩის? — ჰკითხა გაკვირვებულმა მიხაკომ ილიასას.

— რა ვიცი, ჯოვ, მოუკვდა პატრონი მაგას, — უპასუხა ილიასამ.

მერე მარიამ სუფრა გააწყო. ალუბლის ნაყენით შეფერადებული არყით სავსე გრაფინი, ყველი, პური, კარაქი, კარტოფილი, ქაშაყი, შემწვარი ბატი, ბლინები და ათუხთუხებული სამოვარი გამოიტანა. სანამ მარია სუფრას აწყობდა, ის ქალიშვილიც მოვიდა, რომელმაც მიხაკო მარიასთან მიიპატიჟა. „მოდი, პაშა“, შეეგება მას მარია და სუფრის გაწყობაში მოიხმარა. სუფრა რომ გაიწყო, ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. მარია მიხაკოს მოუჯდა გვერდით, პირჯვარი გადაიწერა, ღმერთი შეევეწიოსო და არაყი ჩამოასხა მომცრო სირჩებში. მიხაკო არყის სმას არ იყო ჩვეული და პირველსავე ჭიქამ გააბრუა, ხოლო მეორემ და მესამემ საკმაოდ შეათრო.

— მართალია, ხელის გადაწევაში მაჯობე, მაგრამ სმაში ღდინს გაგაცლი! — დაემუქრა მიხაკოს ივან ივანიჩი, და მიხაკო ვერ მიხვდა, ეხუმრებოდა ეს კაცი თუ მართლა ემუქრებოდა.

მიხაკო თანდათან კარგავდა განსჯას, მაგრამ ერთობ უკვირდა, რომ ქალებიც მამაკაცების თანაბრად სვამდნენ. ივან ივანიჩი ხარბად ჭამდა, ამღვრეული თვალებით, დაბოღმილი უყურებდა მიხაკოს, ჭიქას უჭახუნებდა და უსიტყვოდ ცლიდა არაყს. მერე ჩაის ისხამდა ლამბაქზე და ხვრეპავდა. მალე ქალებმა ხმამაღლა სიმღერა წამოიწყეს და ივან ივანიჩმა ბანი დააგუგუნა. ყველანი ერთ ხმაზე მღეროდნენ და მიხაკოს ეჩვენებოდა, რომ ღრიანცელისაგან ლამპამაც ქანაობა დაიწყო და კედელზე მიმაგრებულმა ხატმაც. სიმღერას ცეკვა მოჰყვა. ქალებმა მიხაკოც გაიწვიეს საცეკვაოდ, მაგრამ მიხაკომ არც რუსული ცეკვა იცოდა და არც სურვილი ჰქონდა ცეკვისა. იგი გაბრუებული იჯდა. ილიასა წამოდგა, ადექი, მიხაკო, წავიდეთ აქედანო, და მიხაკოც წამოაყენა. ილიასა ფხიზელი იყო, რადგან წვეთი არ დაულევია, მაგრამ მიხაკო ისეთი მთვრალი იყო, რომ გარეთ გასვლა ეზარებოდა, და როცა მარია ილიასას გადაეფარა და მიხაკოს ჩააფრინდა, არაფრით არ გამოუშვებო, კმაყოფილი დარჩა.

— დამტოვე ილიასა, ცოტა ხანს თავს შევიქცევ.

ილიასა რომ წავიდა, ღრიანცელი გაგრძელდა. ყოველივე ამას, მიხაკო ისე აღიქვამდა როგორც სიზმარს, როგორც უჩვეულო ჩვენებას, რაღაცას გაუგებარს. ხოლო არაყი თანდათან კარგავდა გემოს, წყალივით იცლებოდა და ივან ივანიჩის დაძალებაზე მიხაკო უარს აღარ ამბობდა. მერე სახეალანძულმა ქალებმა წამოიძახეს ფანტი ვითამაშოთო, მაგრამ მიხაკო ვერაფერს ვერ მიხვდა, ვერ გაიგო რატომ შეხსნეს ხელზე მამის ნაჩუქარი ოქროს სამაჯური და ჩააგდეს ივან ივანიჩის ქუდში. შეზარხოშებული ქალები აღგზნებულად კისკისებდნენ. „ამ ფანტის პატრონმა მარიას აკოცოსო“, წამოიძახა ვიღაცამ და მიხაკომ თავისი სამაჯური ივან ივანიჩის ხელში დაინახა, რამაც ძალზე გააკვირვა, მაგრამ უცებ, მარიამ მკლავები შემოხვია და ჩაეხუტა, მიხაკოს არავითარი სიამოვნება არ უგრძვნია, მარიას მკლავები მოიშორა და წამოდგა, რადგან ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. „ამ ფანტის პატრონმა რა ჰქნასო“, ისევ მოესმა გაოგნებულს და შიშით შენიშნა, როგორ წამოვიდა მისკენ ოფლიანი და სქელი პელაგია პეტროვნა, როგორ მოუახლოვდა მისი მრგვალი, წითელი სახე, და როცა მისი სველი და ცივი ტუჩების შეხება იგრძნო, სუნთქვა შეეკრა, სული შეეხუთა და მოულოდნელად გული აერია. ვიდრე გონებას დაჰკარგავდა მაგიდას დაყრდნობილი და ნარწყევით მოთხვრილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელად დაინახა ჰაერში მოქნეული მუშტი ივან ივანიჩისა, გაიგონა ჭურჭლის მსხვრევის ხმა და თვითონაც მიჰყვა აყირავებულ მაგიდას...

გონს რომ მოეგო, წყვდიადი შეიგრძნო. პირი გაშრობოდა და თავი სტკიოდა, თითქოს ლურსმნები ჰქონდა გარჭობილი ტვინში. ვერაფრით ვერ მიხვდა სად იმყოფებოდა. არც ხმა ისმოდა და არც ჩანდა რამე. ღმერთო, შენ მიშველე, ხომ არ მოვკვდიო, გაიფიქრა, რადგან ერთი წუთით თავი სამარეში წარმოიდგინა. წამოიწია და ვიღაცის შიშველ სხეულს შეეხო. გაოცებულმა ხელის ფათურით დაუწყო სინჯვა ამ სხეულს და მოულოდნელად ქალის ძუძუებს წააწყდა. მხოლოდ ახლა გაიაზრა, რომ თვითონაც ტიტველი იყო, არც ნიფხავი ეცვა და არც პერანგი. შიშმა და სირცხვილმა ცივი ოფლით დაუნამა ტანი, სადა ვარო, იკითხა ხმამაღლა. ქალის მკლავები წამოიზარდნენ სიბნელიდან, კისერზე შემოეხვივნენ, დაწექი, ძვირფასო, ჯერ ადრეაო, შეიცნო მარიას კმაყოფილი კრუტუნი. ერთბაშად მოაგონდა წუხანდელი საღამო, მაგრამ რატომ იწვა მარიასთან ერთად ლოგინში, მაინც ვერ მიხვდა.

— სად ვარ? — იკითხა ისევ, უკვე სინამდვილისკენ დაბრუნებულმა.

— ჩემთან ხარ, ძვირფასო, წუხელის შენ ჩემი ქმარი გახდი, მე შენი ცოლი გავხდი...

მიხაკოს არაფერი არ ახსოვდა. მარიას მკლავები მოიშორა და ლოგინზე წამოჯდა.

— წყალი დამალევინე!

მარია ლოგინიდან წამოდგა, სადღაც წაფრატუნდა ფეხშიშველი, დარაბა ოდნავ გამოაღო, და ალიონის მკრთალმა შუქმა გაფხრიწა უკუნი. მიხაკომ იცნო ეს ოთახი, რომელიც ახლა მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდა.

12.

საშინელ გუნებაზე გამოვიდა ქუჩაში. წუხანდელი დროსტარების მოგონებაც კი გულს ურევდა და აზიზღებდა. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ მამისეული ოქროს დასტანაგი დაჰკარგა და ველარ იპოვა. ალბათ, ივან ივანიჩს გაჰყვაო, დაამშვიდა მარიამ და საღამოსთვის დაიბარა სამაჯურის წასაღებად. არც ახლა უნდა მარიას მიხაკოს გამოშვება, დარჩი ჩემთან, შენ უკვე ჩემი ქმარი ხარო, მაგრამ მიხაკომ სასწრაფოდ ჩაიცვა და ქუჩაში გამოსული საგონებელს მიეცა ამ ქალის სიტყვებით შეშფოთებული. მარია მართლაც ისე იქცეოდა, თითქოს დიდი ხნის საყვარლები იყვნენ. შიშველი დადიოდა ოთახში, მოურიდებლად იცვამდა მიხაკოს თვალწინ, მაგრამ მისი ათქვირებული სხეულის ქცევა მიხაკოს ვნებას არ ულვიძებდა, პირიქით, რცხვენოდა და გაურკვევლობა აწუხებდა, რადგან არ იცოდა რა მოხდა. შინ რომ მივიდა, თავის კუთხეში ქეჩაზე მიეგდო და ნაბადი წაიფარა.

— რავა ხარ? — ჰკითხა ილიასამ.

— ვერ ვარ, ბიჭო, კარგად.

— აბა, რა გეგონა ჯოვ, მაგათთან ქეიფი იოლი კი არაა?!

— ჩემს სიცოცხლეში არაყს არ დავლევ, — თქვა მიხაკომ და მართლაც, იმ დღის მერე სათრობად არაყი არ დაულევია.

საღამოს ილიასამ წამოაყენა, არ ვარგა ამდენი ძილი, ჰაერზე გავიდეთო. ჩაიცვეს და კარში გავიდნენ. მღვრიე ღრუბლები შემოხვეოდა ცარგვალს. განათებულ სანაპიროდან არღნის ხმა ისმოდა. ერთ-ერთი დუქნის კართან შეჩერდნენ, მთელი დღის მშივრები იყვნენ. სამიკიტნო სარდაფში იყო. ისინი ნელა დაეშვნენ კიბეზე, ქვემოდან კი ამოდიოდა თამბაქოს ბოლი და ღვინის ოხშივარი. ხალხი შიშას დღესასწაულობდა. დახლის გვერდით, მოწყენილი მეარღნე არღანს უკრავდა. არღანზე ერთი ციცქნა მაიმუნი დასკუპებულიყო, ფორთოხალს შეექცეოდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ილიასა და მიხაკო კუთხეში, კედელთან დასხდნენ. მეზობელ მაგიდას ერთი ყაბალახიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავით ფეხამდე ნაბადში გახვეული კაცი უჯდა. მას მხოლოდ შავი თვალები და კეხიანი ცხვირი უჩანდა. ნახშირივით შავი წვერ-ულვაში ჰქონდა. წინ დაუცლელი ღვინის ბოთლი ედგა და საჭმელს უხალისოდ ჭამდა. მიხაკოს ეს კაცი რაღაცით დაღონებული, თუ რაღაცაზე ჩაფიქრებული მოეჩვენა. გასასვლელთან, ჩოხა-ახალოხიანი კაზაკები სვამდნენ არაყს. ილიასამ საჭმელი მოითხოვა. სანამ ჭამას შეუდგებოდა, მიხაკომ დარცხვენით იკითხა:

— ილიასა, თუ შეიძლება კაცმა ქალთან იცხოვროს და არ ახსოვდეს?

— ასეთი რამე შეუძლებელი მგონია.

— უგონოდ მთვრალი თუა კაცი?

— უგონოდ მთვრალ კაცს სად შეუძლია ქალთან წოლა!?

მიხაკო გაჩუმდა და ჩაფიქრდა. ჩაბალახიანი, ნაბადმოსხმული კაცი წამოდგა, დანახარჯი გადაიხადა და გასასვლელისაკენ გაეშურა. ახოვანი ვაჟკაცი იყო, ნელა მიაბიჯებდა. ერთმა მთვრალმა კაზაკმა ფეხი სკამზე ჩამოდო და გზა გადაუკეტა.

— გთხოვთ, გამატაროთ! — თხოვა ჩაბალახიანმა.

კაზაკმა გამომწვევად, ზიზღით გაიცინა და ხელით უჩვენა, ფეხქვეშ გაძვერი და გადიო.

ყაბალახიანმა კვლავ ზრდილობიანად გაუმეორა:

— გთხოვთ, გამატაროთ!

— ფეხქვეშ გაძვერი და გადი, ვინ გიშლის?! — უპასუხა კაზაკმა.

მაშინ იმ ზრდილობიანმა კაცმა ნაბადი გადაიხსნა, ელვის სისწრაფით დააძრო ხმალი, მოიქნია, ფეხზე დაჰკრა გზის გადამღობავს, გადასჭრა ფეხი და ამგვარი საშუალებით რომ გზა გაინთავისუფლა, კიბეზე აირბინა. ფეხწათლილი კაზაკი იატაკზე გაიშხლართა ზღართანით, ღვარივით წამოსულ სისხლის გუბეში.

ატყდა წიოკობა, სროლა, სტვენა. რამდენიმე კაზაკი გაქცეულს დაედევნენ, დანარჩენები კი ხალხს დაერივნენ. წამოშლილმა მოქეიფეებმა გასასვლელს მიაშურეს, მაგრამ კაზაკებმა ხმლები იშიშვლეს და გარეთ არავინ გაუშვეს. იმტვრეოდა ჭურჭელი, იყო ჩოჩქოლი, ყვირილი. მცირე ხნის მერე, სად იყო და სად არა, გარედან ცხენების ფლოქვების თქარა-თქური მოისმა, დუქანში იარაღამოწვდილი ჟანდარმები შემოიჭრნენ და ყველანი, ვინც იქ იყო, პოლიციაში წაასხეს. ილიასა და მიხაკო იმ საღამოსვე დაჰკითხეს, ვინ იყო ის კაციო?

— არ ვიცით, ბატონო.

— თუ არ იცით, ეგდეთ დილეგში, სანამ არ გაგახსენდებათ! — და ვიწრო საკანში შეჰყარეს ორივე.

მეორე დღეს, ილიასამ და მიხაკომ დარაჯისაგან შეიტყეს, რომ ის ფეხწაჭრილი კაზაკი მომკვდარიყო, ხოლო ამის მომქმედი ვერ დაეჭირათ. სროლისა და არეულობის დროს, კაზაკებსაც მოეკლათ დუქანში პურის საჭმელად შესული ორი მუშა, ერთი კი დაეჭრათ. საღამოს, მიხაკო და ილიასა ისევ დაჰკითხეს, მაგრამ ვინაიდან, მათ მართლაც არ იცოდნენ იმ უცნობი კაცის ვინაობა, იგივე პასუხი გაიმეორეს. მაშინ მიხაკო და ილიასა პოლიციის უბნიდან იმავე ღამეს გადაიყვანეს ციხეში და ბნელ საკანში მოათავსეს, სადაც უკვე იჯდა ვიღაც პატიმარი.

ეს იყო გამხდარი კაცი, ფერმკრთალი, სათვალიანი, წვერმოშვებული. უსიამოვნო ხმა ჰქონდა, ოდნავ ხრინწიანი, გალიზიანებული, გარეგნულად ეჩვენებოდა ასე, ოცდაათი წლისა. ივანედ გააცნო ბიჭებს თავი. იმავე ღამეს გამოჰკითხა ისინი და რომ შეიტყო მათი დანაშაული, ანუ უდანაშაულობა, გესლიანად გაიცინა, ხვალ გაგიშვებენ, ნუ გეშინიათო. მაგრამ არც მეორე დღეს გამოუშვეს მიხაკო და ილიასა და არც მესამე დღეს. ორი თვე იჯდნენ ციხეში. ამ ორი თვის განმავლობაში ერთხელაც არ დაუკითხავთ, თითქოს დაავიწყდათ მათი არსებობა, თითქოს დრო სულაც არ არსებობდა და არავითარი ფასი არა ჰქონდა კაცის ცხოვრებისთვის დროის დინებას. პირველად მიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოს ეს ამბავი მაინცდამაინც არ აწუხებდა, მთელი დღეები იწვა და ეძინა. მაგრამ როცა ძილით გული იჯერა, შეშფოთდა, არავის რომ არ ახსოვდა, არავინ რომ არ აკითხავდა, არაფერს რომ არ ეკითხებოდნენ. ასე, შეიძლება სულ ციხეში ვიჯდეო, ზოგჯერ მართლაც ეგონა, რომ ვერასოდეს გააღწევდა ამ ჯურღმულიდან და მთელი ცხოვრება აქ დარჩებოდა, ყველასათვის დაკარგული, უსარგებლო, მყრალ ხაროში ცოცხლად დამარხული.

მიხაკომ მოიწყინა. არც ილიასა იყო უკეთეს დღეში. დაღონებული გასცქეროდა ხოლმე მაღალი სარკმლიდან რკინის გისოსებით გადარაზულ ცას, სადაც ზოგჯერ ლაღად მფრინავი თოლიები გაიფრთხიალებდნენ. ღამღამობით ისმოდა ზღვის ხმაური და მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა დახუთულ საკანში ყოფნა უდანაშაულო ბიჭებისათვის. ივანე რომ არ ყოფილიყო, კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ. ივანე ამხნევებდა მათ, ებაასებოდა, უსამართლო ქვეყანაში ვცხოვრობთო, ეუბნებოდა, რუსეთის იმპერიაში ადამიანი აბუჩად არის აგდებული, ხალხი ერთი მუჭა ვიგინდარების მონად არის გადაქცეული, ასე იყო მუდამ და ასე იქნება, ვიდრე ეს დაწყევლილი იმპერია არ მოისპობა, აქ არ არსებობს კანონი და სამართალიო, ადამიანი თავისუფალი იბადება, რატომ უნდა ჩაგრავდეს ერთი მეორესო, მაგრამ იმპერიაში ჩახშულია სიტყვა და აზრი, არ არსებობს იმედი და რწმენა, ამიტომაც არის, რომ უუფლებო ადამიანს ძულს შრომა და არ აინტერესებს ქვეყნის წინსვლა, სახელმწიფო მტერია თავისი ქვეშევრდომებისა, თავისუფლების მაძიებელნი ცხრაკლიტულში ჰყავთ გამოკეტილნი, ჩაკლულია სული და გონება და მხოლოდ ერთი კერპი არსებობს, ეს არის მეფე, მბრძანებელიო.

— რა გვეშველება? — ეკითხებოდნენ მისი სიტყვებით შეშფოთებული ბიჭები.

— ბრძოლაა საჭირო! უნდა გასწორდეს მთა და ბარი, უნდა განადგურდნენ ხალხის მჩაგვრელნი, არ არსებობს სამართლიან შურისგებაზე უდიადესი ვნება, უნდა დაინგრეს ეს უსამართლო იმპერია!

— ვინ დაანგრევს?

— ჩვენ უნდა დავანგრიოთ!

— ჩვენ რა შეგვიძლია, ბატონო?

— თუ ერთსულოვნება იქნება, შევძლებთ!

ამ კაცის სიტყვები მიხაკოს აგონებდა ბუნდოვანი ბავშვობის ჟამს გაგონილსა და განცდილს, რაღაცას ისეთს, რაც მან ოდესღაც თითქოს იცოდა, თითქოს გაეგონა, რაც მას ოდესღაც აშინებდა კიდეც და ხიბლავდა. მოგონებათა ზვირთი ამოძრავებდა ხოლმე მის სულში, როცა ივანე იწყებდა ლაპარაკს და ხარბად უსმენდა მიხაკო მას, თითქოს სურდა რაღაც აღედგინა, სადღაც, ოდესღაც დარღვეული ხატი გაემთლიანებინა, რაღაცას მისწვდენოდა მის გარეშე მყოფს თუ თვითონ მის არსში ბუნდოვნად არსებულს, როგორც ბავშვობის დროინდელი შეგრძნებაა, გაფერმკრთალებული, გაუაზრებელი, თითქოს გაუცხოვებული და, ამავე დროს, მეტისმეტად ჩვეული, ახლობელი, სურნელოვანი, მარადიული სევდის აღმძვრელი. ყოველდღიურად, უფრო მეტი ხალისით და ცნობისწადილით ყურს უგდებდა მიხაკო ივანეს და ციხის ყრუ კედლებში მოქცეული, ცხოვრებისგან გამოთიშული, გაურკვევლობის უმოძრაო ჭაობში ჩაფლული, ივანეს სიტყვების საშუალებით თითქოს კავშირს აბამდა უკვე განვლილ ბავშვობის სამყაროსთან, წარსულის ბურუსში ჩაძირულ, ფერად და მრავალფერად ახმოვანებულ ქვეყნად რომ წარმოედგინა და კიდევ უფრო მეტად უყვარდა და ენატრებოდა. იგი აკვირდებოდა ივანეს მოძრაობას, წვერით დაფარულ სახის ნაკვთებს, სათვალის შუშების მიღმა მიმავალი თვალების გამომეტყველებას, ხმის ჟღერადობას და ერთხელ ჰკითხა კიდეც:

— ივანე ბატონო, თქვენ შემთხვე-

ვით, შალიკო ბახტაძე ხომ არ ბრძანდებით?

— შენ ვინა ხარ ბიჭო? — ჰკითხა ივანემ.

— მიხაკო ვარ, ნიგურიანი. ორი წელიწადი ვცხოვრობდი თქვენს ოჯახში, თუ გახსოვთ, დუქანში ვეხმარებოდი მამათქვენს.

ივანემ ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა ახოვანი მიხაკო, ბეჭებგანიერი, წელწვრილი, ქერათმიანი, რომელსაც კეხიანი ცხვირი და თხელი ულვაშები ამშვენებდა, დანარჩენი ნიგურიანების მსგავსად, ამასაც ღიღრონი ხელები, ბოხი ხმა, მწვანე თვალები და გულუბრყვილო, მიმნდობი მზერა ჰქონდა. ივანემ კარგა ხანს უყურა მიხაკოს, თითქოს რაღაცას სწონიდა თავისთვის, რაღაცას ანგარიშობდა, და ბოლოს უთხრა:

— რაღაცა გეშლება, მიხაკო, მე ივანე ვარ, კეჭაღმაძე.

მიხაკო დაღონდა, რადგან როცა ამას ეკითხებოდა, უკვე დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცი იმ შორეული გიმნაზიელი ბიჭისაგან მოდიოდა, ქუთაისში აკრძალულ წიგნებს რომ ანახვინებდა ლეიბის ქვეშ, ღვინის სარდაფთან მიდგმულ ფიცრულში.

საკანი ცივი იყო, როგორც სარკმელზე აკრული ზამთრის უფერული ცის ნაფლეთი. დრო ერთფეროვნად გადიოდა. ტალანში ისმოდა ზედამხედველთა მძიმე ჩექმების ბრახუნი, პატიმრების ყვირილი, გადაძახება, მერე ისევ დგებოდა მკვდარი სიჩუმე, ისევ აღიზიანებდა ყნოსვას ციხის მყრალი სუნი, გარეთ კი ჩხაოდნენ თოლიები, ხმაურობდა ზღვა და ზოგჯერ, საღამოობით, ჩამავალი მზის ულონო შუქი საკნის ნესტიან კედელს ელაციცებოდა მცირე ხნით. ამ ფერმკრთალი სხივის წყალობით ატყობდნენ ტუსაღები, რომ ქვეყანაზე დღე მატულობდა და ღამე იკლებდა. ზამთარი იწურებოდა, გაზაფხული იკრებდა ძალას. ერთ დღეს, ზედამხედველმა ხმაურით გადასწია ურდული და დახუთული საკნის კარი გააღო. მან ილიასა და მიხაკო გარეთ გავიდნენ. დაბნეული ბიჭები ზღურბლზე შეჩერდნენ.

— ივანე?

ივანე აქ უნდა იყოსო, ხელის კვრით გამოჰყარეს ტალანში ორთავე. სად მიჰყავდათ არ იცოდნენ და გული ეთანაღრებოდათ, ივანეს გარეშე თავს უმწეოდ გრძნობდნენ. ბნელი და გრძელი ტალანის ბოლოს, ერთ ფართო ოთახში შეიყვანეს, სადაც დაბალშუბლიანი და სქელულვაშა ციხის უფროსი მაგიდას მიჯდომოდა და იბღვირებოდა, ხოლო იმის ზურგს უკან, კედელზე, სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ხელმწიფის უზარმაზარი სურათი ეკიდა. მიხაკოს ხელი მოაწერინეს რაღაც ქაღალდზე, წერა-კითხვის უცოდინარ ილიასას ჯვარი დაასმევინეს.

— გაყარეთ ესენი აქედან! — დაუღრიალა ციხის უფროსმა ზედამხედველებს, ალბათ, წყინდა, რომ პატიმრებს უშვებდა. ზედამხედველებმა მიხაკო და ილიასა ეზოში გამოიყვანეს, რკინის კარი გაუღეს და გარეთ გამოუშვეს. მიხაკომ და ილიასამ თავდაპირველად ვერც კი დაიჯერეს, რომ თავისუფლები იყვნენ.

იმ დღიდან შეიცვალა მათი ცხოვრება. ციხიდან გამოსულნი ათიოდ ნაბიჯითაც კი არ იყვნენ განრიდებულნი პირქუშ შენობას, რომ მათკენ გამოქანებული სიხარულისაგან აცრემლებული მარია დაინახეს, რომელიც მიხაკოს გადაეხვია და მოურიდებლად დაუწყო კოცნა. ციხეში მიხაკოს მარია ერთხელაც არ მოჰგონებია და ახლა გაუხარდა, რომ ვიღაცას ახსოვდა, სანამ იგი ბნელ ჯურღმულში იჯდა, თურმე ვიღაცა ელოდა. იმ საღამოს მარიამ შინ წაიყვანა ნაციხარი ბიჭები და უამბო მიხაკოს, როგორ გაუკვირდა მისი გაუჩინარება, როგორ ეძებდა მთელ ქალაქში, როგორ მიაკითხა სახლის პატრონს, რომელმაც არ იცოდა მათი ასავალ-დასავალი, როგორ მივიდა პორტში, მაგრამ არც მტვირთავებმა იცოდნენ მათი ამბავი, როგორ შეაწუხა ყველა, ნაცნობები და მეზობლები და ერთხელ ივან

ივანიჩმა უთხრა, შეიძლება დაიჭირეს ეგ შენი მეგობრები, ვინ იცის რა ხალხია, ვინ არიანო. მარიას ეწყინა ივან ივანიჩის სიტყვები, მაგრამ დაფიქრდა და ძმას მიმართა, გამიგე, იქნებ, მართლა ციხეშია მიხაკოო, და არ მოეშვა, თავი მოაბეზრა. ბოლოს დაემუქრა კიდეც, თავს მოვიკლავ თუ არ გამიგებო. მარიას ძმას არ მოსწონდა თავისი დის გატაცება ვიღაც უბრალო მუშით, მაგრამ შეშინდა, თავის თავს რამე არ აუტეხოსო, გაიკითხ-გამოიკითხა ამბავი და, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო მიხაკოს კვალს და იმასაც მიაღწია, რომ უდანაშაულო მიხაკო და ილიასა ციხიდან გამოაშვებინა. მარია ენას არ აჩერებდა, ეტყობოდა, ძალზე გახარებული იყო. იმ ღამეს, ვახშმით გაუმასპინძლდა დამშეულ ბიჭებს. ცოტა დალიეს, ილაპარაკეს, და მარიამ მიხაკო აღარ გამოუშვა. იმ ღამეს მიხაკომ პირველად იგემა ქალი.

მეორე დილით, რბილ ლოგინს უჩვევმა მიხაკომ გვიან გაიღვიძა. მარიამ ხელპირი დაბანინა, საუზმე გაუმზადა. ქალი თაფლად იყო ქცეული. ეტყობოდა, თავს ძალზე ბედნიერად გრძნობდა. სანამ მიხაკო საუზმობდა, ათასგვარ საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა. ასეთი მოპყრობა მიხაკოს სიამოვნებდა, მაგრამ მაინც შუბლშეჭმუხნული იჯდა. საუზმე რომ მიირთვა, მან თავისი ოქროს სამაჯური მოიკითხა, ხომ არ გიპოვნიაო, ჰკითხა მარიას.

— არა, — უპასუხა მარიამ და საცოდავად შემოხედა.

— ივან ივანიჩის წაღებული იქნება, მომიტანოს თუ არა, თავს წავაცლი! — უთხრა მიხაკომ, წამოდგა, ქუჩაში გამოვიდა და თავის ძველ სახლის პატრონთან მივიდა, სადაც წუხელის ილიასა გაისტუმრა. ილიასა შინ დახვდა.

ციხეში რომ ისხდნენ, ერთხელ ივანემ თხოვა ბიჭებს, აქედან რომ გახვალთ, როტშილდის ქარხანაში სარიდან მიქაძე იკითხეთ და უთხარით, ილარიონმა გასაყიდი გაჰყიდა-თქო. მიხაკოს და ილიასას ეს თხოვნა არ დავიწყებიათ. როტშილდის ქარხანაში მივიდნენ, ნაცნობი მუშების მეშვეობით მოძებნეს სარიდან მიქაძე, ტანმორჩილი, ჯმუხი კაცი, განზე გაიყვანეს და დანაბარები გადასცეს. სარიდანმა ყურადღებით მოუსმინა მათ, ივანეს ამბავი გამოკითხა და მადლობა უთხრა. ამის შემდეგ მიხაკო და ილიასა ზღვის პირზე გავიდნენ, ქვაზე ჩამოსხდნენ და მომავლის გეგმები დააწყეს. წვრილი წვიმა ცრიდა, ამღვრეული ზღვა დაუღალავად ლოკავდა ნაპირს. ტალღების შხუილს თოლიების ჩხავილი ერთვოდა. მშიერი და შეციებული მაწანწალა ძაღლი სილაზე გამორიყულ საგნებს სუნავდა და კუდამოძუებული დაძრწოდა უკაცურ ნაპირზე. შორს, ნისლში გახვეული მთები ეშვებოდნენ ზღვისკენ. უგრომოდ დარჩენილი მიხაკო და ილიასა წყალში კენჭებს ისროდნენ და ბაასობდნენ. ილიასას ისევ მტვირთავად მუშაობა გადაეწყვიტა, ბინად ისევ ბერძნის ქალთან დადგომა განეზრახა. მიხაკოს ტვირთის თრევა აღარ სურდა და ჯერჯერობით მარიასთან აპირებდა თავის შეფარებას.

— ჩემი ოქროს სამაჯური რომ არ დამკარგვოდა, გავყიდდით და პატარა ხანს მე და შენ თავს შევინახავდით, ჩემო ილიასა, მარა რაღაი დავკარგეთ, ვნახოთ ბედი რას გვიმზადებს, — თქვა მიხაკომ.

ამაზე შეთანხმდნენ და დაშორდნენ ერთმანეთს.

ბედი მიხაკოს სიკეთეს უმზადებდა. მარიასთან მისულს ივან ივანიჩი დახვდა, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ჩაის სვამდა. მიხაკოს დანახვაზე ზეზე წამოხტა და ისე შეეგება, თითქოს მისი ნახვა ძალზე გაუხარდა, თუმცა თვალს ვერ უსწორებდა და ცოტა შეშინებულიც ჩანდა. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, მიხაკოს ხმის ამოღება არ აცალა ისე მიახალა, რკინიგზის საბარგო სადგურში სამასალო საწყობის მიმღები ნოქრის ადგილია თავისუფალი და თუ გინდა მოგაწყობო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯამაგირი რამდენი მექნება? — დაინტერესდა მიხაკო.

— თვეში ხუთი თუმანი.

ეს ამბავი მიხაკოს ჭკუაში ჩაუჯდა.

— მომაწყე, — თქვა მან და დაკარგული სამაჯურის ხსენება მოერიდა, ეს პატიოსანი კაცი ჩემი ნივთის მითვისებას როგორ იკადრებდაო.

მეორე დღეს, ივან ივანიჩმა მიხაკო საწყობში მიიყვანა და კანტორის უფროსს წარუდგინა, კანტორის უფროსი ქართველი იყო, გვარად კანდელაკი. როცა შეიტყო, რომ მიხაკომ წერა-კითხვა და ანგარიში კარგად იცოდა, უყოყმანოდ მიიღო იგი სამუშაოზე და აუხსნა თავისი მოვალეობა. პირველი აპრილიდან მიხაკო სამსახურს შეუდგა.

ასე გახდა მიხაკო რკინიგზის მუშაკი. ერთბაშად შეუყვარდა რკინიგზა, გულს სიამით უვსებდა გამურული ორთქლმავლის ცქერა, ქშენა და კივილით რომ მიაპობს სივრცეს, მიაგორებს ხეტყით დატვირთულ ვაგონებს, მაზუთის, ნახშირის და კვამლის სუნით რომ ელინთავს ჰაერს, მიგრუხუნებს პრიალა რელსებზე, შორს, უსასრულობაში რომ იკარგებიან და თან მიაქვთ ღამის საიდუმლო, როცა შუაღამისას, მამლის ყივილივით მოისმის წყვდიადიდან სასტვენის სტვენა, სადაღაც, უკაცრიელ სადგურზე, მეისრის მკრთალად განათებული ჯიხურის პირას. რკინიგზის განუწყვეტელი მოძრაობა ხალისს უორკეცებდა მიხაკოს, შორს მიმავალი ვაგონები უფართოებდა ქვეყნის კიდეს, და როცა მასალას იღებდა ან სადღაც ჰგზავნიდა, ჩვეულებრივ შრომად არ მიაჩნდა ეს ამბავი, არამედ უხილავ და უცნაურ კავშირად, რომელსაც ამყარებდა უცხო მხარეებთან და ადამიანებთან. რკინიგზა ისე უყვარდა, როგორც შეიძლება გიყვარდეს ბუნება, მოშრიალე ტყე, ბუმბერაზი მთა, უკიდეგანო ზღვა, ან თუნდაც ზღვის კრიალა ზედაპირზე ნარნარით მოსრიალე გედივით თეთრი გემი. გემი და მატარებელი მისთვის ბუნების სილამაზის გამოვლენა იყო, თავისთავად შექმნილის მშვენიერი დამატება. იგი ერთგულად მუშაობდა და კარგადაც უძღვებოდა თავის საქმეს. მას ემორჩილებოდნენ დურგლები მტვირთავები, კონდუქტორები. სულ მალე ილიასა აიყვანა სამუშაოზე და ვაგონის გამყოლად მოაწყო. მთელი დღე რკინიგზაზე ტრიალებდა მიხაკო, გრილ და ვრცელ საწყობებში, და დილით ისევ უხაროდა აქ დაბრუნება. ბინად მარიასთან იდგა, შპალიანსკის სახლში, მაგრამ როცა პირველი ჯამაგირი აიღო, იმავე სახლის მეორე სართულზე ცალკე ოთახი იქირავა და გადავიდა, თუმცა მარიასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია და ხშირად ღამეს კვლავ იმასთან ათევდა.

ერთ მშვენიერ დღეს, მუშაობით გართულ მიხაკოს დაუძახეს, კანტორასთან ვიღაც გელოდებაო. მიხაკო საწყობიდან გამოვიდა, ლიანდაგები გადმოიარა და ხეივანში მდგარი ახალგაზრდა ოფიცერი დაინახა, რომელიც პაპიროსს ეწეოდა. ოფიცერმა მიხაკოს ხელი ჩამოართვა.

— მე მარიას ძმა გახლავართ!

ეს კაცი მიხაკოს მხოლოდ ერთხელ ჰყავდა თვალმოკრული, და ახლა, პირისპირ რომ შეხვდა, მეტისმეტად უხერხულად იგრძნო თავი. ოფიცერიც აღელვებული ჩანდა. მან მიხაკო განზე გაიყვანა, სადაც ბაქნის კიდეზე ყუთების გროვა ეყარა.

— ალბათ, მარია გეტყოდათ, თქვენს გასანთავისუფლებლად რამდენი წვალება დამჭირდა.

— დიახ, ბატონო, დიდად მადლობელი ვარ! — ამოიღუღლუღა მიხაკომ.

— ნუ მიხდით მადლობას, თქვენ არაფერ შუაში ხართ. ეს ყველაფერი მარიას სიყვარულით გავაკეთე. მარიას გარდა არავინ მყავს. მშობლები ადრე დაგვეხოცა და ორნი დავრჩით... — ოფიცერმა ახალი პაპიროსი გააბოლა. — ერთად გავიზარდეთ, ერთად გამოვიარეთ გაჭირვება და სიღარიბე, ყოველთვის ერთმანეთის სიყვარული გვიმაგრებდა გულს. ახლა, როგორც იქნა, ფეხზე დავდექით, მე ოჯახს მოვეკიდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარია ისევ ჩემს გვერდითაა, მე ჩამოვიყვანე იგი ბათუმში და სამსახურში მოვაწყე, მისი ბედნიერებისათვის მე ყველაფერს ვილონებ, მარია კეთილი და წესიერი ქალიშვილია და სიმართლე გითხრათ, მე ვერ გამიგია მისი გატაცება თქვენით, მე არ მომწონს თქვენი ურთიერთობა...

მიხაკომ თავი ჩაღუნა.

— მარია თქვენზე უფროსია და ალბათ, თქვენზე ჭკვიანიც, ვერ გამიგია რით მოხიბლეთ... ამჟამად სომხეთს მგზავნიან სამსახურში, მინდა მარიაც თან წავიყვანო, მაგრამ არ მომყვება... თქვენს გამო...

მარიას ძმა ძალზე აღელვებული ლაპარაკობდა, მიხაკო კი ჩუმად უგდებდა ყურს.

— გინდათ, მარია აქ დარჩეს? — პირველად შეხედა ოფიცერმა მიხაკოს თვალებში და მიხაკომაც, მთელი ამ საუბრის განმავლობაში, პირველად გაუსწორა თვალი.

— არ ვიცი, ბატონო, როგორც თვითონ სურს, ისე მოიქცეს.

— თვითონ აქ დარჩენა სურს.

— მაშინ დარჩეს.

— მერე ვინ მიხედავს, ვინ უპატრონებს? ახალგაზრდა ქალი უცხო ხალხში, უცხო ქალაქში რატომ უნდა იყოს მარტო? — და უცბად, მარიას ძმამ მიხაკოს მკლავში ხელი მოკიდა და აკანკალებული ხმით უთხრა: — მხოლოდ ერთი პირობით დავტოვებ, თუ თქვენ ჯვარს დაიწერთ ჩემს დაზე.

მიხაკომ ისევ ჩაღუნა თავი.

— პატიოსნად მითხარით, გიყვართ მარია?

— არ ვიცი, ბატონო, — გულწრფელად უპასუხა მიხაკომ, რადგან მარიასთან ყოფნა სიამოვნებდა, მაგრამ მარია თავის მეუღლედ არასოდეს წარმოედგინა, ცოლის თხოვა არასოდეს უფიქრია. ეს მსუბუქი, ძალდაუტანებელი და არაფრის დამავალდებულებელი ურთიერთობა გაცილებით უფრო მიმზიდველი და წარმტაცი ეჩვენებოდა, ვიდრე მოვალეობად ქცეული დაკანონებული კავშირი. რა თქმა უნდა, თავისებურად უყვარდა მარია, მაგრამ მიხაკოს სულში არ გიზგიზებდა ის ცეცხლი, რომელსაც შეიქმნს გაშმაგებული ვნება.

— მე გთხოვთ, ჯვარი დაიწეროთ ჩემს დაზე, თუ თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, ვალდებული ხართ ასე მოიქცეთ! — სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა მარიას ძმამ, მაგრამ მიხაკოს არც ამჯერად ამოუღია ხმა. ოფიცერი მოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

ერთი კვირის შემდეგ, მარიას ძმა თავისი ოჯახითურთ სომხეთს გაემგზავრა, ხოლო მარია ბათუმში დარჩა.

## 13.

ბათუმში დარჩა პაშაც, მარიას ძმის მოახლე გოგო. ეს ობოლი გოგო თვრამეტი წლისა იყო, იცოდა ჭრა-კერვა, ბავშვების პატრონობა, სადილების გამზადება და ოჯახის მოვლა. ის იყო მუყაითი, დაუზარებელი, კეთილი ხასიათისა, წყნარი, თვინიერი და საკმაოდ სასიამოვნო შესახედავად. შორეული რუსეთის საგუბერნიო ქალაქიდან ჩამოსულ პაშას ბათუმი ძლიერ მოეწონა და მარიას ძმის ოჯახი რომ სომხეთს გაემგზავრა, სამუშაოდ მოეწყო ერთ ებრაელ თერძთან, რომელსაც ქალის ტანსაცმლის პატარა სამკერვალო ჰქონდა გახსნილი. ნავსადგურთან ერთი პატარა ოთახი იქირავა და ცხოვრობდა იქ, თავის ამხანაგ ქალთან ერთად, რომელიც იმავე სამკერვალოში მუშაობდა. პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს, ასე თუ ისე მოეწყო საქმე, მარიას გარდა სხვა ნაცნობებიც შეიძინა. მათ შორის იყო ილიასა.

მას შემდეგ, რაც ვაგონის გამყოლად დაიწყო მუშაობა, ილიასა წელში გაიმართა. მძიმე ტომრების თრევასთან შედარებით, ვაგონის დაცვა იოლ საქმედ ეჩვენებოდა, თუმცა ხშირად ღამის ტეხვა უხდებოდა. ილიასას თოფი მისცეს და ამ თოფით იდგა იგი ტამბურში და მიაცილებდა ვაგონს დანიშნულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილამდე. მერე ისევ ბრუნდებოდა ბათუმში და ორი-სამი დღე ისვენებდა. როცა ბათუმში იყო, საღამოობით, ხშირად აკითხავდა პაშას. იმ დაბალ და გრძელ სახლს, სადაც ბინად იდგა პაშა, მესერშემოვლებული მომცრო ეზო ჰქონდა, ყვავილებით და ვარდის ბუჩქებით დამშვენებული. საღამოობით დედაკაცები თავიანთი ოთახების კარებთან ჯდებოდნენ და ერთმანეთს ჭირვარამს უზიარებდნენ, მამაკაცები ტალავერქვეშ ბაასობდნენ, ბავშვები ქუჩაში თამაშობდნენ. ეზოში მუდამ ხმაური იყო, მობინადრენი ერთ ოჯახად გრძნობდნენ თავს, თუმცა ბედს აქ სხვადასხვა ტომის ხალხი შეეყარა. ისინი ერთმანეთის სტუმრებსაც კარგად იცნობდნენ და ხალისიანად ხვდებოდნენ. ილიასა მიღებული კაცი იყო ამ ეზოში, როგორც კი გამოჩნდებოდა, ბავშვები შემოეხვეოდნენ და კამფეტს და შაქარყინულს თხოვდნენ. ილიასას უყვარდა ბავშვები და ხელცარიელი არასოდეს მოდიოდა, ჯიბე ყოველთვის სავსე ჰქონდა ბავშვებისთვის განკუთვნილი ტკბილეულით. კაცები ემასხრებოდნენ, შენ რუსული არ იცი, პაშამ ქართული, რას აგებინებთ ერთმანეთსო? მაგრამ დროთა ვითარებაში ილიასმაც შეისწავლა ცოტა რუსული და პაშაც ამტვრევდა ქართულს. თუმცა, ერთმანეთს ლაპარაკით მაინცდამაინც არ აწუხებდნენ. ილიასას მოჰქონდა კამფეტები და ბუბლიკები, პაშა მაგიდასთან დასვამდა და ჩაით უმასპინძლდებოდა. ილიასა ჩუმად ხვრიპავდა ჩაის და ნდობით აღსავსე სევდიანი მზერით შესცქეროდა პაშას, ხოლო ღია კარიდან მოჩანდა ეზო და ისმოდა მობინადრეთა ხმაური, ორთქლმავლების და გემების საყვირის შორეული გაბმული კივილი. დალევდა ილიასა ჩაის, მცირე ხნის მერე წამოდგებოდა და წავიდოდა უსიტყვოდ. როცა ილიასა არ მოაკითხავდა, პაშა მოწყენილი იყო. ამას ამჩნევდა პაშას ამხანაგი ქალი და ყოველთვის, როცა ილიასა შემოაბიჯებდა ეზოში, პაშას გასძახებდა ხოლმე, „მოვიდა შენი მუსულმანიო". გაბრწყინებული და გახარებული პაშა სახეზე წამოწითლდებოდა და ალერსიანად ეგებებოდა სტუმარს. ის იყო მისი ერთადერთი სტუმარი.

მალე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილიასას პაშა უყვარდა და პაშასაც უყვარდა ილიასა. მაგრამ ილიასა მუსულმანი იყო, ხოლო პაშა მართლმორწმუნე ქრისტიანი, რაც იმდროინდელი წესების თანახმად, ყოვლად შეუძლებელს ხდიდა იმათ შეუღლებას. მაშინ ილიასამ ხელი მოჰკიდა პაშას და ყოველგვარი ჯვარისწერისა და ქორწინების გარეშე წაიყვანა თავის ქოხში, რომელიც მიხაკოს მიცემული მასალით და ხელშეწყობით აიშენა ბარცხანაში, ერთ მივარდნილ და უპატრონო ადგილას. ამ ციებიან, უნაყოფო მიწაზე თანდათან ესახლებოდნენ მუშები, ბათუმში ბედის საპოვნელად ჩამოსულნი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან. ერთმანეთზე მიკრული ფიცრული სახლები დღითიდღე მრავლდებოდა. ილიასაც დასახლდა აქ პაშასთან ერთად და შეუდგა ცხოვრებას. ცხოვრობდნენ ტკბილად.

ამასობაში, გამრჯე და საზრიან მიხაკოსაც კარგად მიუდიოდა საქმე. უფროსებიც პატივს ცემდნენ და უმცროსებიც. მიხაკოს ყველა იცნობდა, მასთან დაახლოება ეამაყებოდათ. როცა ქალაქის განაპირას ახალგაზრდობა იკრიბებოდა, ჭიდაობაში გამარჯვებული მიხაკოსთვის ბევრჯერ გაუშლიათ სუფრა ძმაკაცებს იქვე, მოლზე, ან მახლობელ დუქანში. ილიასაც ხშირად თან ახლდა, თუმცა მუსულმან ილიასას რჯული ღვინის სმას უკრძალავდა. მაგრამ ილიასას ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა და მოძმეთა შორის ყოფნის სიამე რჯულის კანონებს ავიწყებდა. ასე ატარებდა მიხაკო დროს, რკინიგზაზე, მარიასთან, დუქნებში. ღვინის სმაშიც შემძლე გამოდგა და კარგი ვაჟკაცის სახელი გაუვარდა.

იმ ხანად, ნობელის ქარხანაში ერთი ჩოხატაურელი ჩიგოგიძე მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო გრუზათმიანი ხროვი კაცი, ჭინჭყლი და ჩხუბისთავი. როცა დათვრებოდა, აუცილებლად ვინმე უნდა გაელახა, იმისი დაუსრულებელი შფოთიანობით ყველას თავი ჰქონდა მობეზრებული. ერთხელ, როდესაც მიხაკო ქეიფობდა, ეს ჩიგოგიძე შემოვიდა დუქანში და პირდაპირ მისი მაგიდისკენ გაეშურა.

— შენზე ამბობენ, ღონე ერჩისო, — მიმართა მან მიხაკოს.

— დაბრძანდი, ბატონო, ღვინო მიირთვი! — შესთავაზე მიხაკომ.

— დასაჯდომად არ მცალია, ჩხუბში უნდა გამოხვიდე ჩემთან!

— ჩემს სიცოცხლეში კაცისთვის ხელი არ შემომიკრავს, — უთხრა მიხაკომ.

— მაგი არ ვიცი მე! თუ არ გამოხვალ, აგერ, სახალხოდ თითი მოკაკვე!

მიხაკომ აათვალ-ჩაათვალიერა ჩიგოგიძე და მცირე ყოყმანის მერე უპასუხა:

— კარგი ბატონო, როდის ინებებთ?

— ხვალ დილას, აგერ, ამ დუქანთან შევხვდეთ და დავარტყათ!

— კი, ბატონო, — და მიხაკომ ქეიფი გააგრძელა.

მეორე დილით, ილიასას თანხლებით, დუქანთან გამოცხადდა. იქ უკვე შეკრებილიყვნენ მისი გუშინდელი მეინახენი. მცირე ხნის მერე ჩიგოგიძეც მოვიდა. დუქნის წინ, ქუჩაში წრე შეიკრა. მაშინ ქუჩები სილიანი იყო, არ იყო მოკირწყლული. მიხაკომ სერთუკი გაიხადა და ბლუზის ამარა ჩადგა წრეში. ჩიგოგიძეს პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა და თავი ხილაბანდით წაეკრა, რომ თმა არ ჩამოშლოდა თვალებზე და ჩხუბში ხელი არ შეეშალა. იმ დროს, სახეში ხელის დარტყმა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, მოწინააღმდეგე მკერდზე დარტყმით უნდა დაეგდებინა. აყალმაყალში გამოცდილმა ჩიგოგიძემ ორჯერ ისე მძლავრად დაჰკრა მუშტი, რომ ყველანი გაოცებულნი დარჩნენ ამ დარტყმას რომ გაუძლო მიხაკომ და წონასწორობა შეინარჩუნა. ჩიგოგიძე ხან მარჯვნივ მოექცეოდა გამოუცდელ მეტოქეს, ხან მარცხნივ, უშენდა მუშტებს ბეჭებზე, მხრებზე, მაგრამ ბოლოს მიხაკომაც ალლო აუღო ჩხუბს, შხუილით მოიქნია მარჯვენა და ისეთი ბათქით დაუშვა მეტოქის გულის ფიცარზე, რომ ერთ საჟენზე გადააგდო ეს ვეება კაცი. მტვერში გაშხლართულმა ჩიგოგიძემ წამოდგომა ვერ შესძლო. მაშინ მედუქნემ და კიდევ ერთმა კაცმა დუქანში შეათრიეს იგი და მოასულიერეს. ყველას ეგონა, რომ გულის ფიცარი ჰქონდა შენგრეული. მედუქნე თვითონაც ძველი დამრტყმელი იყო, კარგად გასინჯა ჩიგოგიძე და არაფერი უჭირს, არ მოკვდებაო. ამ სიტყვებით დამშვიდებული მიხაკო სამუშაოზე გაემართა.

იმ დღიდან ჩიგოგიძე ბათუმში აღარავის უნახავს. ამბობდნენ, ფოთში გადაიხვეწა და გალოთდაო. მიხაკოს კი მომეტებული პატივისცემით დაუწყეს ყურება, მაგრამ მიხაკო არ იყო დიდგული და ამპარტავანი, ძველებურად მშვიდად და თავაზიანად ეჭირა თავი, სამსახურით კმაყოფილი იყო. ჯამაგირი ჰყოფნიდა, რადგან იმ დროს ბათუმში იაფი იყო ცხოვრება. თვეში ერთხელ სურსათით და საჩუქრებით დატვირთული მატარებელს დააჯდებოდა, ან რომელიმე ნაცნობი მემანქანის ორთქლმავალს გაყვებოდა და სოფელში ჩადიოდა ახლობლების მოსანახულებლად. მისი ჩამოსვლა ზეიმი იყო ნიგურიანების ოჯახისთვის, რადგან მოუკითხავი არავინ რჩებოდა, ყველასთვის რაღაც ჩაჰქონდა, პური, შაქარი, საპონი, ფართალი...

ასე ცხოვრობდა მიხაკო, კარგად მიუდიოდა საქმე, მაგრამ ბათუმში მაშინ ყველა კი არ იყო დალხინებული, ბევრს უჭირდა თავის გატანა, განსაკუთრებით ნავთის ქარხნის მუშებს, ძალზე ხშირად უთანხმოება რომ მოდსიოდათ თავიანთ მეპატრონეებთან მუშები ერთიანდებოდნენ, აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ უკანონობას და მათი ძალა დღითიდღე უფრო საცნაური ხდებოდა

ყველასათვის. ისინი აწყობდნენ გამოსვლებს, გაფიცვებს, მედგრად იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, იცავდნენ ერთმანეთს, სჯიდნენ მოღალატეებს, ცდილობდნენ შეკავშირებას. მიხაკო ხედავდა ამ ბრძოლას, ამ საყოველთაო მოძრაობას და განწყობილებას, მაგრამ მაინც განზე იდგა, ძლევამოსილი ხელმწიფის ურჩობა და ამბოხება თავზეხელაღებული ხალხის საქმედ მიაჩნდა, თუმცა მისი თანაგრძნობა მთლიანად ამ თავზეხელაღებულთა მხარეს იყო, რომელთა შესახებ ხშირად ისმოდა, ამა და ამ კაცმა ესა და ეს პოლიციელი მოჰკლაო, ამა და ამ კაცმა ბანკიდან ფული გაიტაცა და ორგანიზაციას გადასცაო, ამა და ამ კაცმა ესა და ეს საქმე ჩაიდინაო, და ასე დაუსრულებლივ, მაგრამ მიხაკო ძალიან შორს იყო ამ ხალხისა და ამ საქმეებისაგან, და თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი გზით მიდიოდა.

ერთ უქმე დღეს, მიხაკო დუქნის წინ ქუჩაში იჯდა და ნარდს ეთამაშებოდა ამხანაგს. ამ დროს ქალაქში ხმა გავარდა, ყაჩაღები დაუხოცავთ პოლიციელებს, ურმით მოაქვთო. მართლაც, ქუჩის ბოლოში გამოჩნდა შეიარაღებული პოლიციელებით გარშემორტყმული ურემი, რომელსაც ხალხი მოსდევდა. მიხაკომ კამათლები დაყარა, წამოდგა, როცა ურემი დუქანს გაუსწორდა, შუა ქუჩაში გადავიდა და დახედა ურემზე დაყრილ გვამებს. ორი კაცი იყო მოკლული, აქედან ერთს ნაბადი ჰქონდა გადაფარებული. მეორე ლამაზი, მშვენიერი ვაჟკაცი იყო, ხუჭუჭთმიანი, ბეჭებგანიერი, მკერდგადღილი. ტუჩებზე სისხლი ჰქონდა შემხმარი, გულზე ნატყვიარები აჩნდა, რომელსაც ბუზები ეხვეოდნენ. გამომეტყველება შეუპოვარი და მედიდური შერჩენოდა მიცვალებულს. ჩოხა-ახალოხი შემოფლეთოდა, ფეხებთან ეყარა მისი იარაღი, ვიღაცას ცალ ფეხზე წუღა გაეძრო მისთვის. მიხაკოს ეცნო ეს სახე და ერთხანს დადუმებული მიჰყვა ურემს, მერე ჩაფარს ჰკითხა, ვინ არის ეს კაცი, რა გვარიაო? გვარად ღოღობერიძეაო. ამან ფოსტის ვაგონი გაძარცვა და დიდძალი ფული გაიტაცაო, უთხრა ჩაფარმა. მიხაკომ სინანულით გაიქნია თავი, უკან გამობრუნდა და ერთბაშად გაიხსენა სად ენახა ეს სახე. შობას, დუქანში, სწორედ ამ ღოღობერიძემ წასჩრა ფეხი უტიფარ კაზაკს. ამ ამბის გამო იჯდა მიხაკო ციხეში, მაგრამ ახლა ისე დაენანა ეს უცხო ვაჟკაცი, თითქოს ვინმე მახლობელი ყოფილიყო იგი. დაღონებული მიხაკო ქუჩის პირზე მდგარ ნაცნობ მუშებს შეერია, რომლებიც გულხელდაკრეფილნი, შუბლშეჭმუხნულნი და პირმოკუმულნი გასცქეროდნენ სამწუხარო პროცესიას. ხმას არავინ იღებდა. ქუჩაში გამოფენილი დედაკაცებიც კი ჩუმად იმშრალებდნენ თვალზე მომდგარ ცრემლებს.

— ამათი ჯიში გაწყდა, როდემდის უნდა გვხოცონ ასე განუკითხავად, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ. მიხაკომ მოიხედა და დაინახა სარიდან მიქაძე, როტშილდის ქარხნის მუშა, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ გაიცნო. ამ კაცს მუშებში კარგი სახელი ჰქონდა, მათი ბევრი წამოწყების მოთავედ ითვლებოდა, ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებისას, მუშების სახელით სარიდანი გამოდიოდა ხოლმე, რადგან ლაპარაკი ეხერხებოდა და ისიც იცოდა რა ეთქვა. მაგრამ მიხაკოს არ უყვარდა სარიდანი, ეს პირქუში კაცი, ნიკრისის ქარებისაგან ფეხებდაკვანჩხული, არ იზიდავდა მის გულს. ციხიდან გამოსულმა მიხაკომ რომ სარიდანს ივანე კეჭელმაძის დანაბარები გადასცა, ოთხი დღის შემდეგ, ბათუმის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ტყვიით მოკლული კაცი იპოვეს. ეს კაცი რკინიგზის მოსამსახურე აღმოჩნდა, სახელად ილარიონი. ამბობდნენ, ამხანაგი გასცა, პოლიციას ჩაუგდო ხელში, და იმიტომ იძიეს შური ამ წვრილშვილის პატრონ კაცზეო. მიხაკოს ეჭვი დაებადა, იქნებ, ეს ის ილარიონია, ივანემ რომ შემოუთვალა სარიდანს მიხაკოს პირით, გასაყიდი გაიყიდაო? ვიღაცის ცოდვაში ჩავდე-

ქიო, გაიფიქრა მიხაკომ და სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. მეორე დღესვე ინახულა სარიდანი და ჰკითხა იმ კაცის ვინაობა, წინა ღამეს რომ მოუკლავთ. სარიდანმა უპასუხა:

— არ ვიცი, მე მაგ კაცს არ ვიცნობდიო, — მაგრამ ასეთმა პასუხმა მიხაკო ვერ დააკმაყოფილა, ეჭვი მაინც გულს ულრღნიდა, ფიქრობდა, ეს ცოდვით სავსე ქვეყანა, ეტყობა, არავის ტოვებს შეუბღალავად, სანამ ცხოვრობ, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც ცოდვილი და დამნაშავე ხდები ვიღაცის წინაშე, მაინც ბრალი მიგიძღვის, მაინც გითრევს ცხოვრება თავის ბედუკუღმართობაში. მაგრამ დამნაშავე იყო თუ არა იმ ვიღაც ილარიონის სიკვდილში, მიხაკომ არ იცოდა და მალე გადაივიწყა ეს ამბავი. კიდეც რომ ამ მოკლულ ილარიონზე ყოფილიყო ლაპარაკი ივანეს დანაბარები, მე მაინც არაფერ შუაში ვარ, რადგან მაგ საქმისა არაფერი ვიცოდიო, ინუგეშა თავი, მაგრამ ილარიონის ხსენება და მოგონება მაინც არ სიამოვნებდა, გულის სიღრმეში მიმალული ეჭვი აწუხებდა და სინდისი ქენჯნიდა, ამ შემთხვევამდე სუფთა და სპეტაკი რომ ეგონა.

მიხაკომ სარიდანს თვალი მოაშორა და შინისკენ გაემართა. ერთ მიყრუებულ ქუჩაში სარიდანი წამოეწია და დაუძახა. ერთად განაგრძეს გზა, მოკლულ ბიჭებზე ილაპარაკეს, შეიბრალეს. მიხაკომ სარიდანს უთხრა, მაგ ღოღობერიძემ შობას, დუქანში, ერთ მთვრალ კაზაკს ფეხი გადასჭრაო, მაგ ამბის გამო ვიჯექი ციხეშიო. ციხე რომ ახსენა, სარიდანმა მიხაკოს თვალი თვალში გაუყარა და შემპარავი ხმით უთხრა:

— ივანე მოკითხვას გითვლის.

ივანე მიხაკოს აღარ ახსოვდა, ციხე გადავიწყებოდა, შემთხვევით მოგონებად დარჩენილიყო, რომელთანაც აღარაფერი არ აკავშირებდა.

— გამოუშვეს? — გულგრილად იკითხა მიხაკომ.

— ვინ გამოუშვებდა, შე კაცო, — ჩაიცინა სარიდანმა, — გამოიქცა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ მოახერხა?

— დაეხმარნენ.

— ნამეტანი კარგი საქმეა,ააშენა ღმერთმა.

სარიდანმა მიხაკოს მკლავში ხელი მოკიდა და გააჩერა. ისინი ვიწრო და ბნელ შუკაში იდგნენ, სადაც მხოლოდ ძაღლის გაანჩხლებული ყეფა ისმოდა.

— მიხაკო, შენ სანდო კაცად გიცნობ, ამიტომ ერთს გეტყვი: ივანეს პოლიცია დაეძებს და თუ დაიჭირეს, იმ საწყალი ღოღობერიძესავით მიახვრეტენ. ქალაქიდან მისი გაპარება ჯერჯერობით არ ხერხდება, გზები დაკეტილია, თავშესაფარი უნდა ვუპოვოთ.

— კი ბატონო, მე თუ რამე შემიძლია...

— როგორ არ შეგიძლია? ერთი ორი ღამე რომ გაათევინო... შენზე ეჭვს არავინ აიღებს, ახალი კაცი ხარ ბათუმში, მერე რამე გამოჩნდება.

— კი ბატონო, — დათანხმდა მიხაკო და გულის კუნჭულში უჩინარმა შიშმა გაჰკრა ბრჭყალი. მაგრამ ეს უნებლიე და ანაზდეული შემფოთება არ გამოუმჟღავნებია, რადგან ციხეში ყოფნისას იმდენი სიკეთე ახსოვდა ივანესგან, რომ მის დახმარებაზე უარის თქმა აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც ამისთვის დღესვე გაეგზავნათ კატორღაში.

— მაშინ ამაღამ მოვიყვან შენთან, — უთხრა სარიდანმა.

— კი ბატონო, მოიყვანე, — უთხრა მიხაკომ.

იმ ღამეს სარიდანმა ივანე მოუყვანა. ერთი თვე ინახავდა თავს ივანე მიხაკოს ჰერქვეში. თითქმის არ გამოდიოდა გარეთ, მთელი დღე წერდა და კითხულობდა. სურსათ-სანოვაგით მიხაკო ამარაგებდა. სოფლიდან ავადმყოფი ბიძაშვილი ჩამომივიდაო, აუწყა მარიასა და მეზობლებს, და თვითონ მარიასთან გადავიდა. ივანე ისე იყო გამხდარი და ფერდაკარგული, რომ მართლა ავადმყოფს ჰგავდა. მისი ხველება რომ ესმოდა, მიხაკოს ფიქრობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კაცი მალე მოკვდებაო. იგი ცოტას ჭამდა, გვიანობამდე არ იძინებდა. ზოგჯერ სარიდანი და იმისი ამხანაგები აკითხავდნენ, ლამპის მხრჩოლავ შუქზე დილამდე, ისხდნენ თამბაქოს ბოლით გავსებულ ოთახში და რაღაცაზე დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ. ერთხელ, მიხაკოც დაესწრო შემთხვევით იმათ საუბარს და დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა ივანესგან ნესტორ ვარდანიძის აუგი გაიგონა. თურმე ნესტორს რომელიღაც გაზეთში სტატია დაეწერა, რომელშიც ქართველების შეკავშირებას და სამშობლოს განთავისუფლებას ქადაგებდა, და ეს არ მოსწონდათ ივანეს და მის ამხანაგებს. ნესტორ ვარდანიძე მიხაკოს სამშობლოს მოჭირნახულე კაცად მიაჩნდა და ამიტომ შებედა კითხვა, თუ თქვენ ნესტორისთანა გამოჩენილ კაცებს ებრძვით, ვის მხარეზე ხართო?

—ნესტორ ვარდანიძისთანა მემამულეები ერის განთავისუფლებას ქადაგებენ, მაშინ როდესაც მშრომელი კაცის განთავისუფლებაა საჭირო! — აუხსნა ივანემ, მაგრამ მიხაკო მაინც ვერ მიხვდა ნესტორის დანაშაულს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ ნესტორისთანა კაცები საშიშნი მუშა ხალხისთვის ვერ გაიგო მიხაკომ, რადგან ნესტორის ოჯახის პატივისცემა სიყრმიდანვე ჰქონდა შთაგონებული. იქნებ, ამიტომაც ვერა ვხვდებიო, გაიფიქრა და ამის შემდეგ აღარ დასწრებია ივანესა და მისი თანამოაზრეების სჯა-ბაასს, არ ერეოდა სხვის საქმეში, არც სურვილი ჰქონდა და არც ეცალა.

ერთი თვის შემდეგ, ივანემ ბათუმი დასტოვა. ერთმა ლამაზმა მენავემ იკისრა მისი გადაყვანა ხოფამდე, იქიდან ივანე საზღვარგარეთ აპირებდა გადასვლას. ივანეს ერთადერთი პატარა ჩემოდანი მიხაკომ იღლიაში ამოიდო და შუაღამისას ქუჩაში გამოვიდნენ. უკუნი სიბნელე იდგა, წვიმა ცრიდა. მიხაკომ ივანე ნავსადგურში მიიყვანა, სადაც სარიდანი ელოდებოდა დათქმულ ადგილას. ზღვა ღელავდა, აფრადაშვებული ფელუკა ტალღებზე ირწეოდა. ჩაბალახიანი ლაზი მენავეები ნიჩბებთან ისხდნენ და ჩქარობდნენ. ივანე გამოემშვიდობა ნაპირზე დარჩენილთ და ნავზე ასვლის წინ მიხაკოს უთხრა.

— მიხაკო, მადლობელი ვარ შენი, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ შენგან პატიოსანი კაცი დადგებოდა.

— საიდან, ბატონო?

—მე შალიკო ვარ, ბიჭო, ბახტაძე!

— შალიკო? — სახტად დარჩა მიხაკო და ერთბაშად აშკარა წყენა იგრძნო, — აკი ივანე ვარო?

— ასე იყო საჭირო, მაშინ, ვერ გენდობოდი!

— რა ვქნა, ბატონო, თუ ვერ მენდობოდი, თქვენ ბრძანდებოდეთ კარგად და ჩემი ნდობა რა საჭიროა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — ნაღვლიანად გაიცინა მიხაკომ, თითქოს სილა აჭამესო.

ფელუკა ჩუმათ გასრიალდა ტალღებზე და გაუჩინარდა ღამეულ ზღვაში.

## 14.

გავიდა წელი. მიხაკო ისე შეეგუა და შეეთვისა ბათუმს, თითქოს აქ აედგას ფეხი და აეხილოს თვალი. ეს ქალაქი მისთვის ძალზე ძვირფასი გახდა. მიხაკოს უყვარდა ბათუმის სილიანი ქუჩები, რომლის მოკირწყვლას უკვე იწყებდნენ, აყაყანებული ბაზარი და აფუსფუსებული ნავსადგური, საიდანაც მოჩანდა შორით მოსული ან შორს მიმავალი გემები, უყვარდა რკინიგზა, მატარებლები, სამასალო საწყობი, რომლის ერთ კუთხეში, პატარა მაგიდას უჯდა ხოლმე და აჩხაკუნებდა საანგარიშო ჩოთქის კოჭებს, ადგენდა დავთრებს, საბუთებს, მიწერილობებს, საწყობის ჰაერი კი გაჟღენთილი იყო ტყავისა და ფიცრის სასიამოვნო, მოტკბო სუნით; მიხაკოს უყვარდა შპალიანსკის სახლი, ახმაურებულ ეზოში დედაკაცები სარეცხს რომ ფენდნენ, ხოლო ახლადგარეცხილ მატყლს მიწაზე დაფენილ ფარდაგზე შლიდნენ და გრძელი წკეპლით ბერტყავდნენ, უყვარდა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიას მომზადებული საჭმელები, ძმაკაცებთან ერთად დუქნებში დროსტარება და მუშათა მოძრაობაზე საუბრის მოსმენა. თვითონ ამ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდა, შეიძლება იმიტომ, რომ კარგად მიუდიოდა საქმე, მაგრამ ბათუმში დუღდა ცხოვრება, სხვადასხვა სულისკვეთებანი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ზოგი ბედნიერდებოდა, ზოგი უბედურდებოდა, როგორც ყველგან, დედამიწის ზურგზე, და ამ ორომტრიალში მიხაკოს ნაპოვნი ჰქონდა თავისი ადგილი. ის ისეთი კაცი იყო, რომელიც წყენას მალე ივიწყებს, ხოლო სიკეთეს დიდხანს იმახსოვრებს, და ამიტომ ბევრს მიუწევდა მისკენ გული, თუმცა მოშურნეებიც ჰყავდა. ამ მოშურნეებმა ერთხელ, ბოქაულთან უჩივლეს, სახლში ვიღაც საეჭვო პირს მალავსო. როცა მიხაკოს შესამოწმებლად პოლიციის აგენტმა მოაკითხა, შალიკო ბახტაძე საზღვარგარეთ იყო გასული. ავადმყოფი ბიძაშვილი მყავდა შინო, თავი იმართლა მიხაკომ და ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მას მაინც სურდა იმის გაგება, თუ ვინ უმტრო, თუმცა მტრებისა არ ეშინოდა, რადგან მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მყარად დამკვიდრდა იგი ამ ქალაქში, გაიჩინა წრე ნაცნობ-მეგობრებისა.

ნაცნობ-მეგობრების წრე კი გაიჩინა, მაგრამ ბათუმში შეძენილ პირველ მეგობართან ძველებური სიახლოვე აღარ აკავშირებდა. რაც ილიასამ პაშასთან ერთად ცხოვრება დაიწყო, ამხანაგებისთვის უწინდებურად ვეღარ იცლიდა. სამსახურისგან თავისუფალ დროს შინ ატარებდა, პაშას თვალში შესციცინებდა, აღარ უწევდა გული ძმაკაცებთან სალაღობოდ, მიხაკოს მხოლოდ სამსახურში ხვდებოდა. მიხაკოს წყინდა თავისი მეგობრის ამგვარი გარდაქმნა, ქალის კაბას ვერ შელევიაო, დასცინოდა ზოგჯერ და სულ უფრო და უფრო იშვიათად ნახულობდა, რადგან ატყობდა, უმისოდაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს ილიასა და პაშა. მათ მართლაც განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი, უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ და ცოტა არ იყოს, მიხაკოსთვის გაუგებარი იყო ამგვარი დამოკიდებულება, რადგან მსგავსი რამ არ განეცადა, თუმცა მასაც ჰყავდა თავისი მარია, რომელიც ყოველ საღამოს, ღია კართან მჯდარი ელოდა. მიხაკო და ილიასა თანდათან კარგავდნენ საერთო ენას, შემთხვევით თუ შეხვდებოდნენ სადმე ერთმანეთს. ასე შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს შემოდგომის ერთ გვიან საღამოს, როცა ილიასა სადგურისკენ მიდიოდა მხრებჩამოყრილი და მოწყენილი. სალდათური ჩექმები ეცვა, ხელში ფანარი ეჭირა, რომელშიც ჩამქრალი სანთელი იყო ჩარჭობილი.

— საით გაგიწევია? — ჰკითხა მიხაკომ, თუმცა იცოდა, რომ ამგვარად აღჭურვილი ილიასა სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყო.

— ქუთაისში მივყვები ვაგონს, — უკმაყოფილო სახით უთხრა ილიასამ, — ორი კვირით მიმავლინეს. მიხაკო, თუ კაცი ხარ, პაშას მიმიხედე!

პაშას ხსენებამ მიხაკო გააღიზიანა, ეს ყმაწვილი სულ გამოათაყვანა იმ ქალმაო, და აგდებულად უთხრა:

— რა მიხედვა უნდა, ბიჭო, სრულწლოვან ქალს? ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს!

— მოტაცებაზე ხომ არა, ჯოვ?! — ეწყინა ილიასას, — ქალია, რამე არ გაუჭირდეს!

— კაი, მივხედავ! — უკმეხად მოიშორა მიხაკომ იმ საღამოს თავისი ძველი მეგობარი.

ორი კვირის შემდეგ, ილიასა ბათუმში დაბრუნდა. დაღლილი, დამტვერილი და გამურული ჩამოხტა იგი ჩიხში ჩაყენებული შემადგენლობის ბოლო ვაგონიდან. საბარგო შემადგენლობა რომ დაიძვრებოდა, თოფიანი ილიასა ბოლო ვაგონის ტამბურში იდგა და მოწყენით გასცქეროდა სწრაფად მიმავალ მატარებლის უკან დარჩენილ სივრცეს, კვალივით აღევნებულ ლურჯ ლიანდაგებს. აქ იყო მისი ადგილი, აქედან უყურებდა იგი ქვეყანას, ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმიან ბურუსში გახვეულ ყანებს, ხან საღამოს მწუხრით ჩამუქებულ გორაკებს, ხან დილის მზით აბრჭყიალებულ, დაცვარულ ტყეებს, ხან კიდევ სოფლებს, დაბებს, სადგურებს. აქ იჯდა იგი, მატარებლის ბორბლების ერთფეროვან გრუხუნში და მოწყენილობას პაშაზე ფიქრით იქარვებდა. მაშინაც პაშაზე ფიქრობდა, როცა ქუთაისიდან დაბრუნებული ვაგონიდან ჩამოხტა, მაზარა დაახვია და იღლიაში ამოიდო, თოფი მხარზე გადაიკიდა, ფანარი ხელში დაიჭირა და შინისკენ გასწია.

წყნარი დღე იყო, მზიანი, თბილი, შემოდგომის სინაზით სავსე. მზის სხივები ოქროსფერ აბლაბუდად იბლანდებოდნენ ხეთა ტოტებში. კმაყოფილი და ბედნიერი მოდიოდა ილიასა ქუჩაში, რადგან იმ ორი კვირის განმავლობაში, რაც ბათუმიდან წასული იყო, პაშა ძლიერ მონატრებოდა და ახლა განსაკუთრებით უხაროდა დაბრუნება. მაგრამ შინ მისულს პაშა არ დახვდა. ნეტა სად წავიდაო, გაიფიქრა, და ცოტა არ იყოს, ეწყინა, აფორიაქდა. თოფი კედელზე ჩამოკიდა, მაზარა დერეფანში მიაგდო, ჩექმები გაიხადა და ხელ-პირი დაიბანა. ტანსაცმელი რომ გამოიცვალა, ქოხის კიბეებზე ჩამოჯდა და გზას დაუწყო ცქერა, რომ შინისკენ მომავალი პაშა შორიდანვე შეემჩნია. ეზოს უხვად ელვარებოდა ყვითელი მზე. ღობის გასწვრივ გაშენებულ ყვავილნარში წითელი ვარდები ბრდღვიალებდნენ. ქოხის გვერდით დათესილი სიმინდისა და კვახის დამჭკნარი შტოები ქარს ბილიკზე გადმოეყარა.

ილიასა გზას გასცქეროდა, მაგრამ პაშა იგვიანებდა და მაშინ იგი მოუსვენრობამ შეიპყრო. წამოდგა და შუკაში გავიდა, სადაც პატარა ბიჭები კასრებიდან აგლეჯილ რკინის რგოლებს დააგორებდნენ. ილიასა რკინიგზის ლიანდაგს დაუყვა და მალე ქალაქში ამოჰყო თავი. აქ, ერთ ფართო ქუჩაზე დიდ სახლს აშენებდნენ, უკვე მეორე სართული ამოეყვანათ. ილიასა შედგა ამ სახლთან, რადგან არ იცოდა სად ეძებნა პაშა, საით წასულიყო. ქუჩის კუთხეში, ვიღაც მაღალი, სათვალეებიანი უცხოელი მესაათის ჯიხურთან შეჩერებულიყო, ხელში საათი ეჭირა და ამაოდ ცდილობდა მესაათესთან გამოლაპარაკებას. მოხუც მესაათეს არ ესმოდა მისი, ბოლოს საათი გამოართვა და ხუფი ახადა. ილიასამ ჩაიარა, სამკერვალოსთან მივიდა, სადაც პაშა მუშაობდა. სამკერვალო დაკეტილი იყო. შუშას შუბლი მიადო, ხელი მოიჩრდილა, შიგ შეიხედა. არავინ ჩანდა, მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ დღეს შაბათი იყო და შაბათობით ებრაელი თერძი სამკერვალოს არ აღებდა. ილიასა უკან გამობრუნდა და ივან ივანიჩისა და პელაგია პეტროვნასკენ გასწია. ისინი აქვე, ახლოს ცხოვრობდნენ, ზოგჯერ პაშას უყვარდა მათი მონახულება. ნეტავ სად უნდა იყოსო, ფიქრობდა ილიასა პაშაზე.

ივან ივანიჩი და მისი ცოლი პელაგია პეტროვნა მაგიდას უსხდნენ და სადილობდნენ. ორივენი ნასმურევი ჩანდნენ. ილიასამ კრეტსაბმელი გადასწია და კარებში ჩადგა.

— პაშა ხომ არ არის თქვენთან? — იკითხა მან.

ილიასა შინ შეიპატიჟეს.

— დაჯექი, დალიე, პაშაზე მერე ვილაპარაკოთ.

შუადღე იყო. ილიასას გვარიანად მოშივებოდა. რატომღაც გუნება წაუხდა. დაჯდა და გადაჰკრა შემოთავაზებული არაყი, თუმცა მანამდე არაყი არასოდეს არ დაელია.

— ქუთაისიდან დავბრუნდი, პაშა შინ არ დამხვდა, — თქვა მან.

— არ დაგხვდებოდა!

— რატომ?

— ახალგაზრდა ქალს ორი კვირა შინ რა გააჩერებს? — ატეხეს ხარხარი შემთვრალმა ცოლ-ქმარმა და ილიასას მათი ლაზღანდარობა ძალზე არ მოეწონა, თუმცა თავი შეიკავა, არაფერი უთქვამს.

ცოტა ხნის მერე ივან ივანიჩი მიხაკოს ლანძღვას მოჰყვა. ილიასა ჩუმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისჩერებოდა არყისგან წამოწითლებულ და ბოღმისაგან სახედაღმეჭილ მასპინძელს, რომელიც მიხაკოს არაკაცს უწოდებდა, თავის ბინაში ტერორისტებს და კაცისმკვლელებს რომ მალავს. ილიასამ კიდევ გადაჰკრა არაყი, ხოლო ივან ივანიჩს წამოსცდა, ამის გამო მიხაკო პოლიციაში დავასმინე, მაგრამ როცა იმისი ბინა გაჩხრიკეს, ის ტერორისტი უკვე გაპარული იყო. ეს რომ თქვა, შეკრთა და დამნაშავესავით შეხედა ილიასას, მაგრამ ილიასამ ამ ამბისა არაფერი იცოდა და ისევ უმეტყველო სახით მისჩერებოდა პირზე დორბლმომდგარ ივან ივანიჩსა და სახეალანძულ პელაგია პეტროვნას. მაშინ ივან ივანიჩმა ხმას დაუწია, მაჯაზე ხელი მოკიდა სტუმარს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ილიასა, ნუ ენდობი მიხაკოს. ეგრე არ არის, პელაგია?

— გარყვნილი კაცია, ქალების მუსუსი, — დაუმატა პელაგიამ და ერთბაშად, ივან ივანიჩს თვალები გაუბრწყინდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, და კიდევ უფრო მაცდურად აჩურჩულდა:

— შენ რომ აქ არ იყავი, მიხაკო ყოველდღე პაშასთან დადიოდა და ღამეს იქ ათევდა.

— ჩემი თვალით ვნახე, უთენია შენი სახლიდან რომ გამოდიოდა, წაისისინა პელაგიამ.

ილიასას ხმა არ ამოუღია.

— შეიძლება, პაშა იმიტომ არ დაგხვდა სახლში, რომ ახლაც მიხაკოსთანაა!

— პაშა გლალატობს, ეს ამბავი ყველამ იცის, მაგრამ გიმალავენ!

ისევ დუმდა ილიასა.

— ქალი შეგიცდინა, შენც რამე ბოროტებას შეგამთხვევს ეგ გარეწარი!

— მიხაკო შენი მტერია, ილიასა...

და უცებ, ილიასა ფეხზე წამოიჭრა:

— რაო?

მისი ხმა დაჭრილი ნადირის ღმუილივით გაისმა, მან მხოლოდ ახლა შეიგნო შხამივით შესმული სიტყვების აზრი და ელვარე ეჭვმა მოქნეული მახვილივით გაუპო გული. სიჩუმე ჩამოვარდა, მაგიდასთან მჯდარი ცოლ-ქმარი გაირინდა. ივან ივანიჩმა ყოველშემთხვევისათვის არყის ბოთლს დაავლო ხელი, მკერდი წინ წამოსწია და ამღვრეული მზერა შეაგება ილიასას თვალებს, მაგრამ ამ თვალებში ისეთი უსასოობა და ზღვარგადასული გაშმაგება ჩანდა, რომ მასპინძელი აღარ განძრეულა, ბოთლით ხელში თავდაცვისთვის გამზადებული, ადგილზე გაშეშდა, ილიასა ერთბაშად შებრუნდა და სწრაფად გავარდა ოთახიდან, სწრაფად დატოვა ეზო.

აუწერელ ტკივილს გრძნობდა იგი. ტკივილს მიჰყავდა სადღაც, მიჰყავდა ისე გამალებით, თითქოს ტკივილი წინ უსწრებდა, სხეულიდან გასვლას ლამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და ფეხზე დადებული ხუნდივით თან მიათრევდა მძიმე და მოუხეშავ ტანს. ახლა მას აღარ ჰქონდა თავშესაფარი, აღარც იმედი, აღარც ხალისი, ერთიანად ტკივილის მორევში გათქვეფილიყო და სისხლიანი ტალღები დაუნდობლად ეხეთქებოდნენ მისი გულის კედლებს. იგი ისე მივიდა შინ, თითქოს ივან ივანიჩის ბინიდან გამოსულს არ გამოევლოს მთელი ქალაქი, გრძელი ქუჩები, არ დაენახოს ქუჩის პირზე მდგარი სახლები და მესერშემოვლებული ეზოები, თითქოს არ შეემჩნიოს რკინიგზა, არ გაეგონოს გარეუბნის დაგუბული გუგუნი, და პირდაპირ შესულიყოს თავის ქოხში, რომელიც ისე დახვდა, როგორც დატოვა წეღან, ცარიელი, უცხო და ბნელი. მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოსწია და ხელსახოცში შეხვეული დამბაჩა გამოიღო. მტვერი მოაშორა, გაწმინდა, გააპრიალა, დატენა და სწორედ ამ დროს, ჭიშკარმა გაიჭრიალა, მერე დერეფანში აქლოშინებული პაშა შემოვარდა, თავშალი მოიხსნა და სახეგაბრწყინებული, ხელებგაშლილი წამოვიდა მისკენ, „მარიასთან ვიყავი, ერთმა მეზობელმა მითხრა შენი კაცი დავინახე, შინისკენ მიდიოდაო...“ და უცებ იქუხა დამბაჩამ და პაშა ისე ჩაიკეცა, რომ გაშლილი ხელები ზემოთ აღმარ-

თული დარჩა, ჯერ ტანი დაენარცხა მძიმედ იატაკზე და მერე ხელები უდროოდ ჩამოყრილი მტევნებივით დაცვივდნენ ძირს.

ილიასა წამოდგა. ოთახში დენთის სუნი ტრიალებდა. სროლის ექო მიმქრალიყო, ყურები უგრუოდა. ილიასამ გვამს გადააბიჯა და დერეფნიდან გარეთ გაიხედა. გზაზე არავინ ჩანდა. გარინდულიყვნენ მწვანე ხეები, მზე ჩასასვლელად გადახრილიყო. სადღაც, ქვემოთ, ხევის ბოლოში, ზღვის ლურჯი, კრიალა ზოლი ლაპლაპებდა. იმდენად უშფოთველი და წყნარი დღე იყო, რომ ეტყობოდა, ამ ერთადერთი გასროლისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. ილიასამ დამბაჩა ქამარში გაირჭო, ტახტზე მიგდებული მაზარა მოიხურა და კარში გავიდა.

ისევ სწრაფად მიაბიჯებდა, წელსატანილი კაცივით თვითდაჯერებულად, თავდახრილი მიუყვებოდა რკინიგზის ლიანდაგს, თავის თავს ებაასებოდა, ნაცნობებს ვერ ამჩნევდა და ზოგიერთს უკვირდა, ეს კაცი აკი დღეს დაბრუნდა მორიგეობიდან, საით გაუწევიაო, ზოგს კი ნასვამი ეგონა. მაგრამ ილიასას სრულიად გამოხელებოდა ივან ივანიჩთან შესმული არაყი, საშინელი ცივი სიფხიზლე დაუფლებოდა მის გონებას, მას ჰქონდა მიზანი და ამ მიზანმა სამასალო საწყობის შენობასთან მიიყვანა, რომლის ვეებერთელა კართან ორი მუშა თამბაქოს ეწეოდა და მშვიდად საუბრობდა. დღის ნათელი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო, მაგრამ უკვე აენთო საწყობის წინ მდგარი ფანარი. ილიასამ მაზარის შიგნით დამალულ დამბაჩას ხელი წაავლო, ჩახმახი შეაყენა და მიხაკო იკითხა. მიხაკოს აქ რა უნდაო, უთხრეს.

— აბა?

— ორი კვირის წინ ჭალადიდში გააგზავნეს შპალების ჩამოსატანად, თვის ბოლომდე არ ჩამოვა.

— რას ამბობ, ჭოვ? ბათუმში უნახავს მიხაკო ხალხს.

— ტყუილია მაგი ძამია. ერთად ვიყავით ჭალადიდში. იმისთანა წვიმები იყო, თუ არ ჩევიხრჩობოდი არ მეგონა. წუხელის, საღამოს, იქანა დავტოვე მიხაკო, მუხლამდე წყალში იდგა, დედას იგინებოდა გამწარებული. — გაიცინა ერთმა მუშამ. მეორე მუშამაც გაიცინა, მაგრამ ილიასას არაფრით არ შეეძლო ამის დაჯერება, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, ეს იყო უარესი, ვიდრე ღალატი.

— მიმალავთ, ჯოვ?

— ბიჭო, ვის გიმალავთ?! შენ, ილიასა, რამე ხომ არ შეგემთხვა ფათერაკი? — სერიოზულად შეშფოთდნენ მუშები, მაგრამ ილიასამ ხმა აღარ გასცა მათ, ჩახმახი ფრთხილად დაუშვა და გამობრუნდა, რადგან ჯერ კიდევ რჩებოდა ერთი იმედი, იმედი იმისა, რომ მიხაკო ბათუმში იყო და ნახავდა მას.

ამ იმედით შეპყრობილი მივიდა შპალიანსკის სახლში, არ შეუმჩნევია ქუჩაში მქროლავი ეტლები, არ გაუგონია ქალაქის ბაღიდან სასულე ორკესტრის გრიალი, არც ეზოში გამოფენილი მეზობლებისთვის მიუქცევია ყურადღება, სწრაფად ავიდა მეორე სართულზე და მიხაკოს ბინის კართან შეჩერდა, რომელსაც უზარმაზარი ბოქლომი ედო. ახლა კი ილიასამ საოცარი სიმწარე იგრძნო, უფრო უარესი, ვიდრე ის ტკივილი, რომლის მოშორება დამბაჩის სროლით სცადა. მუხლები მოეკვეთა, ძლივს ჩამოლასლასდა ძირს, მარიას ოთახთან მიბანცალდა მთვრალივით და მიუკაკუნა. ილიასას დანახვაზე მარია შეკრთა, უნებლიეთ ხელები აასავსავა.

— რა დღეში ხარ, ილიასა, რა მოგივიდა?

— მარია, მიხაკო სად არის?

— არ არის ბათუმში. ავად ხომ არ ხარ, ილიასა, კაცის ფერი არ გადევს. პაშა აქ იყო ახლა და სახლში გამოიქცა, არ გინახავს?

— ვნახე, ვნახე! — ამოიგმინა ილიასამ და თვალები დახუჭა.

ძლივს გაბანცალდა იგი ქუჩაში. შეშფოთებული მარია გვერდით მიყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ილიასა, რამე ხომ არ გიჭირს?

— არა, თავი დამანებე, მიხაკო მინდოდა მე!

— მიხაკო საიდან გამოგიწერო? შენ რომ ქუთაისში წახვედი, მეორე დილით მიხაკოც გააგზავნეს ჭალადიდში!

— კარგი, კარგი, — მოიშორა ჭირისუფალი კბილების კრაჭუნით და ზღვისკენ გაეშურა. ერთხანს, გულხელდაკრეფილი მარია უყურებდა, როგორ მიეფარა ნავსადგურის შენობებს მხრებჩამოყრილი ილიასა, მერე გაკვირვებული ქალი შინ შემობრუნდა.

ნავსადგურში აქა-იქ ფანრები ბჟუტავდნენ, თეთრი შუქურა სინათლის სხივს ისროდა ზღვისკენ. ისმოდა წყლის ტყაპუნი. ნაპირზე ამოთრეული, გადმობრუნებული ნავები დახოცილი თევზებივით ეყარნენ ქვიშაზე. ილიასა უდაბურ ადგილზე გავიდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ცაზე მთვარე ამოდიოდა და თეთრად მოსავდა ღამეს. ჩამუქებულ ტევრში, ლიანებით გადახლართულ ხეთა ტოტებში მიმალული ღამის მესტვირე ჭრიჭინობელა მშვიდათ ჭრიჭინებდა ძილის მომგვრელად. ილიასა ზღვასთან მივიდა და დაეცა, თავი მიწას დასცხო, საკუთარ თმებს ჩაფრინდა გამწარებით და ალმუვლდა.

დიდხანს ღმუოდა ილიასა. ასევე დიდხანს იწვა გარინდული და უმოძრაო. შუაღამე დადგა. მთვარემ ვერცხლისფრად მოაკრიალა ზღვის ზედაპირი. ილიასამ თავი ასწია, საფეთქელთან შემართული დამბაჩა მიიდო და ისევ ჩამოიღო. გამომეტყველება შეეცვალა, სახეზე გარდუვალი გადაწყვეტილება აღებეჭდა. მონადირესავით ცქვიტად წამოხტა და ქალაქისკენ დაიძრა. მტკიცედ, შეუპოვრად მიაბიჯებდა, მიაფრიალებდა გაღეღილი მაზარის კალთებს. მარჯვენა ხელი ქამარში გარჭობილი დამბაჩის ტარზე ედო. ბრახუნით შეაღო ივან ივანიჩის ეზოს ჭიშკარი, ასევე მოურიდებლად, ხმაურით აიარა მოკლე კიბე, რომელიც ივან ივანიჩის ოთახთან ადიოდა. კარი დახშული დაუხვდა, ხოლო ოთახიდან მაძღარი ხვრინვა ისმოდა. დამფრთხალნი, მეზობლებს გამოეღვიძათ, ზოგიერთებმა ფანჯარაში თავი გამოყვეს. პასუხს აღარ დაუცადა ილიასამ, მხრით შეანგრია შუშაბანდის კარი, მინები შელეწა. ოთახში შესულმა დამბაჩა ამოიღო, შეაყენა, ივან ივანიჩს წვერებში ხელი ჩაავლო, ლოგინზე წამოასკუპა და დაუღრიალა:

— აკი მიხაკო ყოველ ღამე პაშასთან დადისო?!

— დადის, დადის... — ამოიხრიალა გაოგნებულმა ივან ივანიჩმა.

— საიდან დადის, როცა ბათუმში არ არის მიხაკო?!

— ვიხუმრე, არ დადის, არ დადის... — მაგრამ სანამ ივან ივანიჩი სიტყვის დამთავრებას მოასწრებდა, საფეთქელში ესროლა, ხოლო როცა სროლით დაფეთებულმა პელაგია პეტროვნამ კივილი ატეხა, შიგ პირში დაახალა ტყვია და კარში გამოვიდა, მაღალ ყორეს გადაევლო და უკაცრიელ ქუჩაში გაიქცა.

არავის დაუნახავს საით წავიდა ილიასა, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზღვისკენ თუ მთისკენ.

## 15.

ბათუმში დაბრუნებულმა მიხაკომ რომ ეს ამბავი შეიტყო, ძლიერ დაღონდა. მას პაშაც ებრალებოდა და ილიასაც, და უკვირდა ქვეყნის ბრუნვა-ტრიალი. სულ ცოტა ხნის წინ, ამაზე ბედნიერი წყვილი ქვეყნად არც კი ეგულებოდა. ახლა ერთი იმათგანი მიწაში იდო, ხოლო მეორის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. მაგრამ როდემდე გაიტანდა თავს? ცხადი იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, იმასაც დაიჭერდნენ და ძალლივით ჩაკლავდნენ სადმე. ერთმანეთის სიყვარულმა ბედნიერებისწილ უბედურება მოუტანა ამ ახალგაზრდებს და ძნელი გასარკვევი გამხდარიყო ამ მუხთალ სოფელში რით განსხვავდებოდა სიკეთის სათავე ბოროტების საწყისისაგან.

მიხაკო სამსახურს შეუდგა. მართალია, ილიასა და პაშა ხშირად აგონდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და ზოგჯერ სინდისიც ქენჯნიდა, მათი სიყვარული რომ აღიზიანებდა და შურდა ერთ დროს, მაგრამ ცხოვრება თავისას შვებოდა, თავის ფერხულში ითრევდა მიხაკოს და უნელებდა მეგობრის თავს დატეხილი უბედურების განცდის სიმძაფრეს, ხოლო ოჯახი, რომელიც მან სოფელში დატოვა, იზრდებოდა: სიმონას ორი ვაჟი შეეძინა მეორე ცოლისგან. ესენი იყვნენ იპოლიტე და იასონი.

ამ დროისათვის, მიხაკოს მომდევნო ძმამ, იასემ, სასწავლებელი დაამთავრა. იასე იყო მაღალი, თხელი ბიჭი, ჭროღათვალება და ისე ქერა, რომ მზეზე მყოფს წარბ-წამწამი არც კი ეტყობოდა. ის იყო მეტისმეტად ფიცხი, თავშეუკავებელი. იმის ქინიანობას კაცი ადვილად ვერ მოუვლიდა თავს, პატარაობაში ისე დაუნდობლად ცემდა ხოლმე უმცროს ძმებს, პაპუნას და კონსტანტინეს, რომ ყველანი გაოცებული რჩებოდნენ ამ ბავშვის სიავით, გულქვაობით, სისასტიკით. სულ უმიზეზოდ ან უმნიშვნელო წვრილმანის გამო თვალებს დაუსიებდა ძმებს, ცხვირიდან სისხლს ადენდა, და არ ნანობდა თავის საქციელს. მხოლოდ საბა ხვდებოდა, რომ ატირებული და დაჩაგრული ძმების შემხედვარე იასე თვითონაც იტანჯებოდა, და იგრძნო საბამ, რომ ამ ყმაწვილის სულში სუფევდა დიდი სიმარტოვე, გაუაზრებელი და ამბოხებული. სწორედ ეს ნაადრევად და უნუგეშოდ დარღვეული წონასწორობა ბადებდა დაუნდობლობას. იგრძნო საბამ, რომ იასე იყო ცნობისმოყვარე, მგრძნობიარე და მორწმუნე სული, მაძიებელი და მარადჟამული იმედგაცრუებისთვის განწირული, და შეებრალა იგი. საბა იყო ერთადერთი კაცი, ვინც იასეს ბავშვობისას თანაუგრძნობდა და ეფერებოდა, და პატარა იასეც სულ საბას დასდევდა კუდში, სულ მის ირგვლივ ტრიალებდა, არ შორდებოდა, მაშინაც კი, როცა საბა თავის ოთახში განმარტოვდებოდა და წიგნს კითხულობდა, იასე ფეხთით უჯდა და საათობით მისჩერებოდა გარინდებული. და საბა უყვებოდა მას ათას რამეს მარტვილთა ცხოვრებიდან, უნერგავდა რწმანას ღვთისას, რომ ამ მარტოსულ ყრმას ჰქონოდა დასაყრდენი და გამოსავალი.

ეკლესიაშიც ხშირად დაჰყავდა საბას იასე. იასეს უყვარდა ხატების ცქერა, რომელზედაც უცნაურად ნათელმოსილი, ნიმბიანი და ფრთოსანი ადამიანები იყვნენ გამოსახულნი. მან იცოდა, რომ ანგელოსებს და წმინდანებს სახავდნენ ასე და იმდენად უკვირდა ადამიანის მხრებზე გამოსახული ფრთები, რომ ოცნებობდა, როგორმე თვალით ენახა თეთრ სამოსში გახვეული ანგელოზი, ან იქნებ ანგელოზად ქცეული დედა ჩამოფრენილიყო ციდან მთვარიან ღამით, ხეების ჩრდილით დაფარულ ეზოში?

დედა ძლიერ ენატრებოდა, სჯეროდა, რომ აქედან წასული, ისიც იქ იყო, იმ იდუმალ, ჩუმ სამყაროში, რომლის წარმოჩენა ყოველ წამს იყო მოსალოდნელი, სასწაულის გამოცხადებას განუწყვეტლივ ელოდა იასე, ეკლესიის მყუდრო საკანშიც, სადაც ზოგჯერ ტოვებდა საბა, ნახატებით დამშვენებულ კედლებს შორის, ხან კი შინ, საღამოს პირზე, შემთხვევით მარტო დარჩენილი, როცა ყოველივე დუმდა, თუმცა გარედან ხმები ისმოდა, ან მამლის ყივილი, ან ძაღლის ყეფა. ცარიელი სახლის დახშულ რკალში იმიერის გამოცხადება, ხატზე ასახული სურათის გაცოცხლება, ან იდუმალი ხმის გაგონება სულ არ მიაჩნდა შეუძლებლად იასეს, და ელოდა იგი იმ უჩინარი და ურყევი ფარდის გადაწევას, რომელიც მალავდა გვემული ადამიანებით, სპეტაკწვეროსანი მოხუცებით და მშვიდად მზირალი დედაკაცებით დასახლებულ მეუფებას. ყველა იქ მყოფს ჯვარი ეჭირა, ან ჯვარს იყო ზოგი აცმული, და წარმოუდგენლად აინტერესებდა იასეს მათი ბედი, მათი მრწამსი და ცოდნა. იასეს იზიდავდა ფრესკებზე გამოხატული გორაკები და უდაბნოები, და ამ უჩვეულო გარემოში მოქცეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის მარადმედინი დუმილი გულს წყვეტდა ძლიერ. არ ცნაურობდა მისთვის ის, რისი შეცნობა აგრერიგად სწადდა და რაც, რჩეულთათვის საცნაურ იყო.

ჩაბნელებულ, მდუმარე ოდა-სახლში დედის ლოგინთან იდგა ხოლმე და ელოდა დიდი ხნის გარდაცვლილი დედის გამოცხადებას. იასეს ახსოვდა ამ ლოგინში რომ მოკვდა ავადმყოფი დედა და რატომღაც ეგონა, რომ აქვე უნდა აღმდგარიყო იგი, შეუმჩნევლად უნდა შემოფრენილიყო ოთახში, ჩუმად, ფეხაკრეფით, თითქოს გარედან შემონაბერი ნიავის ნაკადს შემოჰყვაო, „იასე!“ უნდა დაეძახნა ხმადაბლა და გაეცა პასუხი მტანჯველ კითხვაზე. მაგრამ არავინ ეძახდა იასეს და მღელვარე მოლოდინს ვიღაცას ფეხის ხმა ურღვევდა მუდამ, სახლში ვიღაც შემოდიოდა დაუდევრად, ხმაურით, და უქრობდა იმ განწყობას, როცა ეგონა, რომ საცაა გაეცლებოდა მიწის მიჯნას და შეერთვოდა უხილავსა და მარადს.

იასეს უყვარდა საღამო ჟამი, მხოლოდ მთვარის შუქზე ჰქონდა წარმოდგენილი იდუმალებით გამსჭვალული სულის თავისუფალი ფრენა-ნავარდი. კაშკაშა მზე და დღის ნათელი სიცხადისკენ აბრუნებდა მას, ამიტომ ყოველთვის დაბინდებისას ელოდა ზეშთაგონებას, მაგრამ დრო გადიოდა და შეუცნობელში შეღწევის ღირსი ვერ გახდა მაინც. მიუხედავად ამისა, მტკიცედ სწამდა ღმერთი, ხატი და ეკლესია. ღვთის იმედი არასოდეს ტოვებდა, როგორც შვილს მშობლისა, ან შვილიშვილს მოსიყვარულე მოხუცი პაპის. თვითონ ღმერთი ძალზე მოხუცებული, მაგრამ ძლიერი და კეთილი კაცის სახით წარმოედგინა, და როცა ეკლესიაში სალოცავად შედიოდა, ახალგაზრდა ქრისტეს ან ღვთისმშობლის ხატს კი არ მიაშტერებდა, არამედ რომელიმე თეთრწვერა პატრიარქს, საბას რომ ჩამოგავდა რაღაცით და დიდ ნდობას იწვევდა.

რომ წამოიზარდა, მიხვდა, ღმერთი უფრო რთული რამ იყო, ვიდრე ადრეულ ბავშვობაში წარმოდგენილი თეთრწვერა მოხუცი, კეთილი და დამთმობი, ნებისმიერი სურვილის აღმსრულებელი. ყოველივე გართულდა, გაბუნდოვანდა, მაგრამ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს სწამდა იასეს და უსხეულო სულის არსებობას სიზმრის მსგავს შეგრძნებას ადარებდა. რა იყო სიზმარი? იქნებ, დროებითი დამკვიდრება, მოგზაურობა იმ სამყაროში?

ერთხელ, ავადმყოფმა სიზმარი ნახა: ვითომ ალვის ხის სიმაღლეზე აიჭრა ცაში და დაიწყო ფრენა დედამიწაზე. გარკვევით ხედავდა ძირს დარჩენილ სახლებს, სოფლებს, ყანებს, მდინარეებს, ტყეებს, მიფრინავდა მსუბუქი, თავისუფალი, მიფრინავდა უსასრულო სივრცეში, გადაევლო მთების დათოვლილ წვერებს, უკიდეგანო ზღვებს და ტრამალებს, მერე მთვარისკენ გაფრინდა და შეამჩნია თანდათან როგორ იზრდებოდა მთვარის თეთრი დისკო, მერე შორეული ვარსკვლავებისკენ გაქანდა და იცოდა, რომ სადღაც უნდა მისულიყო, დაუძლეველი დრო და გადაულახავი სივრცე ხელს ვერ უშლიდა, რადგან გამქრალიყო, აღარ არსებობდა იგი. სხეული აღარ ბოჭავდა, თავისუფალი და შემძლე გამხდარიყო და რაკი თვითშეგრძნება არ დაჰკარგვოდა, იცოდა რომ არსებობდა, იყო, თუმცა საკუთარ სხეულს ვეღარ გრძნობდა, აღარ ჰქონდა იგი, მაგრამ ჰქონდა სული, რომელიც ყველაფერს ხედავდა და ყველაფერს აღიქვამდა, და ამ ფრენისას, ზოგჯერ ისეთი შიში და ტკივილი განიცადა, ხოლო ზოგჯერ ისეთი შვება და სიტკბო, არასდროს რომ არ ღირსებია ცხადში. ის ხვდებოდა ადამიანებს, ნებისმიერი ქვეყნისას, აწმყოსას თუ წარსულისას, და ყველაფერი ესმოდა მათი, თვითონაც ყველაფერს აგებინებდა, რადგან ენა არ წარმოადგენდა ზღუდეს, ენა იყო კავშირი და მხოლოდ ერთადერთი ენა არსებობდა, ენა უსიტყვო, აზრების ენა. ამ სიზმარმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სიკვდილიც ასეთივე მოვლენაა, გონების საზღვრებს

მიღმა გაჭრილი, ყოველგვარი ზღუდეების გადამლახავი ცნობიერების სიცოცხლე, ხოლო მომავალი, ის რაც ჯერ არ მომხდარა, ისევე არსებობს, როგორც წარსული, უკვე მომხდარი; მიუხედავად სამყაროს დაუსრულებელი მოძრაობისა, სამყარო მაინც მთლიანი ჩანდა. ამის შემდეგ გონება სულის საპყრობილედ მიიჩნია და იწამა, რომ მხოლოდ ზეშთაგონებას შეეძლო ჭეშმარიტების განცხადება. იქნებ, ამიტომ ელოდა სასწაულს, რომელიც ვარაუდებს დაუდასტურებდა?!

ერთხელ, შეღამებულში, ყანის პირას მიდიოდა, ბიძამისის, ოქროპირას ოჯახიდან დაბრუნებული. უცებ, ვიღაცამ ბელტი ესროლა. იასე შედგა. ამ დროს, ბელტი ისევ ესროლეს. იასემ ნათლად გაიგონა სიმინდის შრიალი, თითქოს ვიღაცა გარბისო, ისიც ნამდვილად გაიგონა, როგორ დაიფშვნა მის ფეხებთან დაცემული ბელტი, მაგრამ სულიერი არ ჩანდა ირგვლივ, არც ბილიკზე და არც დაბალ სიმინდში, და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო იასე ვინ ესროლა და რატომ, ამაში იყო რაღაც უცნაურობა, რას ნიშნავდა ეს? მაგრამ ეს არ იყო კავშირი, რომელიც თვალს აუხელდა, ეჭვს გაუქრობდა და რწმენას განუმტკიცებდა. ხომ არ მომეჩვენაო, გაიფიქრა იასემ, რადგან ამ დროისათვის ბევრი ჰქონდა წაკითხული, სადაც ყოველი მოვლენის ახსნას ლოგიკური კანონებით ცდილობდნენ. ძველებისგან ათასი რამ სმენოდა სულებზე და მოჩვენებებზე, მაგრამ მისი ცხოვრება იყო ცხადზე ცხადი, ცნობილ განზომილებებს შორის მოქცეული და საყოველთაო კანონებს დამორჩილებული. იასეს გული დაწყდა, რომ ბელტის უჩინარი მსროლელი არ გამოჩნდა, არ გამომჟღავნდა, არაფერი არ გაუმხილა, მხოლოდ შეაკრთო, შეაშფოთა და კიდევ უფრო დააეჭვა. მაინც ვერ გახდა იასე ღირსი განცხადებული სასწაულის ხილვისა.

მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, იასე ბეჯითი მოსწავლე იყო, მაგრამ ამხანაგებთან ურთიერთობა თითქმის არ ჰქონდა და მათ გავლენას არაფერში არ განიცდიდა. გაკვეთილებს რომ მოამზადებდა. საღმრთო რჯულის წიგნებს ჩაუჯდებოდა და ჩაჰკირკიტებდა. ბევრი რამ იყო მისთვის გაუგებარი, მაგრამ იმედი ჰქონდა რომ იმიერ ცხოვრებაში ნათელიყოფოდა ყველაფერი. წინაამდეგ შემთხვევაში აზრი არ ჰქონდა ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც მოთმინებისა და ტანჯვის საზღაურს მომავალ სასუფეველში პირდებოდა ადამიანს. მაგრამ იასე იმასაც ხედავდა, რომ ქრისტეს მარტივი, სადა და უზენაესი ჭეშმარიტებანი არ ესმოდა ყოველდღიური საზრუნავებით შეპყრობილ ხალხს. ხალხს უფრო ნივთიერი და ქონებრივი გარდაქმნები აინტერესებდა, ყველა ამქვეყნიურობას ეჭიდებოდა, სულის მომავალზე არავინ ფიქრობდა, უმეტესობას სული სულაც არა სწამდა და საიქიოს ეჭვის თვალით უყურებდა. ზოგიერთებს ანაფორა კეთილდღეობისათვის სჭირდებოდათ და იმიტომ მიისწრაფოდნენ მღვდლის ან ბერის წოდებისაკენ. იასე არ ეკუთვნოდა ამგვარ ადამიანებს, მას ცოდნა სწყუროდა და არა ქონება. სასწავლებელი პირველ მოწაფედ დაამთავრა და სემინარიაში შესვლა განიზრახა, რათა უკეთ შეესწავლა ღვთის მეტყველება, უკეთ ჩასწვდომოდა საღვთო წერილის სიბრძნეს და გაუმხელელ საიდუმლოებებს.

იმ დროს, სემინარიაში გლეხის შვილებს არ იღებდნენ. საბამ ამჯერადაც ნესტორ ვარდანიძეს მიაკითხა დახმარების სათხოვნელად. რაკი საბა სოფლის დიაკვანად ითვლებოდა, ნესტორმა ამ საქმის მოგვარება აღუთქვა. მართლაც, ნესტორის ნაცნობი დეკანოზის წყალობით, იასეს ცნობა გაუმზადეს, სადაც ეწერა, რომ იასე სასულიერო პირის შთამომავალი იყო, და როგორც სანიმუშო მოწაფე აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში გაისტუმრეს სემინარიაში მოსაწყობად.

იასე თბილისში ერთ წიფლნარელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდას გააყოლეს, სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეს. მატარებელი დილით გადიოდა. ახალგაზრდებმა მესამე კლასის ბილეთი აიღეს და ვაგონში ავიდნენ. ამავე ვაგონში ფოთიდან რიონში მიმავალი გლეხები ისხდნენ და მღეროდნენ. ეს გლეხები კარგ გუნებაზე იყვნენ, ზოგიერთებს ვაგონის ფანჯრებში გაეყოთ თავი და ოხუნჯობდნენ. ისინი საშოვარიდან შინ ბრუნდებოდნენ. ვაგონში ამოსულმა ჟანდარმთა ოფიცერმა, ცხვირპაჭუა და წვრილთვალება უფერულმა კაცმა, რამდენჯერმე შეუყვირა მათ, სიმღერა შეწყვიტეთო, მაგრამ გლეხებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ბრძანებისათვის. ამასობაში, მატარებელი დაიძრა, ხალხით გატენილი ბაქანი უკან გასრიალდა, ფანჯარაში თავგაყოფილმა იასემ დაინახა თავისი სოფლის გზა, რომელსაც ტაატით მიჰყვებოდა კამეჩებშებმული ურემი. მატარებელმა ხრიგინით ჩაუარა რკინიგზისპირა მოსახლეებს, გასცდა დაბას, სიმინდის ყანებს შორის გაიკვლია სავალი, ლიანდაგის გასწვრივ დარგული ხეთა შტოები დრო და დრო ფანჯარას ეხლებოდნენ, შეზარხოშებული გლეხები ისევ მღეროდნენ, ხოლო ჟანდარმი დაბოღმილი იჯდა მეზობლად და მთელი ყურადღება ამ მომღერლებისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ასე იმგზავრეს რამდენიმე ხანს. იასე ფანჯრიდან გასცქეროდა სივრცეს. ტყეებს ახოები ენაცვლებოდა, შორს ლურჯად მოჩანდა წვერდათოვლილი მთები.

მატარებელი რიონის სადგურს უახლოვდებოდა. ახალგაზრდა გლეხები სულ გათამამდნენ და ერთი რუსული სიმღერა წამოიწყეს, სადაც რუსეთის მეფე უდიერად იყო მოხსენიებული. ეს რომ ჟანდარმმა გაიგო, ფეხზე წამოხტა, იარაღი დაიძრო და ყვირილი ატეხა. მატარებლის გამყოლი მოხელეები ფეხზე დააყენა, ფოთიდან მომავალი ერთი ოფიცერი, ჩინოვნიკი და ორი ჩაფარი მოიხმარა, მომღერალ ბიჭებს შორის შევარდა და ხუთი კაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულნი კონდუქტორის კუპეში შეიყვანა და კარები ჩაუკეტა. ატყდა აყალ-მაყალი. ოფიცრები და ჩინოვნიკი აშკარად ლანძღავდნენ კავკასიელ ველურებს და ტალამში მდგარნი ზიზღით უყურებდნენ ამ ამბის გამო აფორიაქებულ მგზავრებს. სადგურს მიახლოებულმა მატარებელმა სვლა შეანელა. კონდუქტორის კუპეში ჩაკეტილი გლეხები აქ უნდა ჩასულიყვნენ, და კარზე ბრახუნი ატეხეს. როცა მატარებელი ბაქანთან გაჩერდა, ისინი ისევ აბრახუნდნენ და გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

რიონის სადგურზე ხალხს ბლომად მოეყარა თავი. ქუთაისიდან და ბაღდადიდან ჩამოსული ეტლები და დილიჟანები სადგურის უკან იდგნენ და მუშტარს ელოდნენ. აქვე იყო სახელდახელო ბაზარი, სადაც დახლებზე ეწყო გასაყიდად გამოტანილი ხორაგი. მატარებლის გაჩერებისთანავე, ღარიბი გლეხის ბავშვები ხილით სავსე კალათებით გამოქანდნენ ვაგონებისაკენ და თავიანთ საქონელს სთავაზობდნენ მგზავრებს. მატარებლიდან ჩამოსული ხალხი ბაქანზე გაიფანტა, მეეტლეები და მედილიჟნეები ხმამაღლა ეპატიჟებოდნენ მუშტარს და ევაჭრებოდნენ. მესამე კლასის ვაგონთან კვლავ ჩოჩქოლი იყო. დაპატიმრებული ბიჭები კარებს აბრახუნებდნენ, ხოლო მათი ამხანაგები გაფითრებულ ოფიცრებსა და ჩაფრებს ედავებოდნენ. ამ ალიაქოთმა სადგურზე მყოფი ხალხის ყურადღება მიიპყრო. ვიღაც ხანშიშესულმა თავადმა ჟანდარმს დაბეჯითებით ურჩია გლეხების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. მცირე ყოყმანის შემდეგ, ჟანდარმმა კუპის კარი გააღო. გახარებული ბიჭები ბაქანზე გადმოცვივდნენ და კვლავ ის სიმღერა შემოსძახეს, რისთვისაც დაჭერილ იქმნენ. ერთმა მათგანმა დამბაჩა დააძრო და ჰაერში რამდენჯერმე ისროლა. და უეცრად, მოხდა სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი რამ. ამ სროლას სროლით უპასუხეს ჟანდარმმა და მისმა ხალხმა. შეიძ-

ლება ეგონათ, ჩვენ გვესვრიანო, შეიძლება, ბოლმა ველარ შეიკავეს. პირველივე გასროლამ ძირს დასცა ხილით მოვაჭრე ორი ბავშვი, ათიოდე წლის წითელპერანგა ბიჭუნა, ყველაზე ახლოს რომ იდგა ვაგონთან და მგზავრებისკენ გაწვდილ ხელში შავი ქლიავით სავსე ჯამი ეჭირა, და მისი უცროსი და, შავთვალა, ლამაზი გოგონა, ორივე ხელით რომ ჩასჭიდებოდა ხილით სავსე კალათის სახელურს. ჟანდარმი და მისი კაცები ისე დაუნდობლადისროდნენ, თითქოს შეიარაღებული მტრის თავდასხმას იგერიებდნენ. უმწეო ხალხი მოცელილივით ცვიოდა ძირს, ზოგი დაჭრილიყო, ზოგი მკვდარი ეგდო, ზოგი გარბოდა, რომ სადგურის შენობაში შეესწრო და შეფარებოდა ტყვიას. სარკმელთან მდგარი იასე შეძრწუნებული შესცქეროდა უდანაშაულოდ დახოცილ ბავშვებს, იქვე, მის წინ, რომ ეყარნენ ვაგონთან, მათივე სისხლით შეღებილ ბაქანზე მიმობნეულ ქლიავის გროვაში...

ამ ამბავმა ისე იმოქმედა იასეზე, რომ ყოველგვარი რწმენა დაჰკარგა და დაჰგმო ღვთის სამართალი, რომელმაც არ დაიცვა ის ორი უმანკო ბავშვი. მერეც ხშირად აგონდებოდა ეს ბავშვები, მშობლების მიერ შინიდან გამოგზავნილნი მატარებლის შესახვედრად, ერთი-ორი კაპიკის საშოვნელად, რომელიც ალბათ, პერანგს უყიდდა მათ, ან წუღას, ან წიგნს. გონების თვალით წარმოიდგენდა იასე, როგორ მოდიოდნენ ფეხშიშველა ბავშვები გვიმრებით შემოფარგლულ ბილიკზე, მორიგეობით მოათრევდნენ მძიმე კალათს, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, გული ალბათ, მღელვარებით უცემდათ, რადგან არ იყო მათთვის ადვილი იმ მილეთის ხალხში გასვლა; გარდა ამისა, ერთი ჯამი ქლიავის საფასური დიდ სიხარულს პირდებოდა მათ. ხედავდა ამას იასე და როცა ყოველივე ასწონ-დასწონა, ვეღარ ირწმუნა, რომ ამჯერადაც ეროვნული ბიბლიოთეკა იყო განგების განაჩენი. რა საჭირო იყო ამ ბავშვების სიკვდილი? ვის რას უშლიდნენ ისინი ამდენი უკეთურით დასახლებულ მიწაზე? ამ კითხვას იასე პასუხს ვერ აძლევდა. მან საკუთარი თვალით იხილა ის განუკითხავი მკვლელობა და აღარ შეეძლო უსაფუძვლო ვარაუდებზე დამყარებული, განყენებული, ცივი მსჯელობა. საბოლოოდ ჩამოენგრა თავზე წლობით ნაგები თავშესაფარი, რომელსაც ერქვა მიუწვდომელი სიმართლე განგებისა, ყოველივე მოხდენილის აუცილებლობა და სიბრძნე. სიბრძნის ადგილზე აბსურდმა გაშალა თავისი შხამიანი თავთავები და კვლავ უდიდესი სიმარტოვე დამკვიდრდა იასეს სულში. იგი იმ აზრზე დადგა, რომ ცხოვრებას ბრმა ბედისწერა განაგებდა, უცნობი მიზეზებით განპირობებული, რომლისთვისაც არ არსებობდა მართალი და მტყუანი, კეთილი და ბოროტი: ღმერთი ან სულ არ იყო, ან იგი იყო განუკითხავი ადამიანთა ტკივილებისადმი. ქვეყანაზე ის კი არ ხდებოდა, რაც კაცთ სურდათ, არამედ ის, რაც განგებას სურდა კაცთათვის. განგება თავის თარგზე აწყობდა კაცთა ცხოვრებას და ასეთი ცხოვრება ბრმა და უსამართლო, დანგრევის ღირსი იყო. ულმერთობა სჯობდა უსამართლო ღმერთის რწმენას, ულმერთობა უდიდეს თავისუფლებას ანიჭებდა ადამიანს, ყველაფერს დასაშვებს ხდიდა, უკარგავდა შიშს ზლვევისას, რადგან ულმერთოდ წარმოდგენილ წუთისოფელში სიცოცხლე წამიერი გაელვებაა, გაუგებარი და უნუგეშო, რომელიც სიკვდილით წყდება, თავდება სამუდამოდ, მკვდარს კი არაფერი მოეკითხება. ამგვარი განწყობით შეპყრობილი შევიდა იასე იმ წელიწადს სემინარიაში და შეუდგა ღვთისმეტყველების შესწავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მნათობის“ რედაქცია მხურვალედ და გულთბილადულოცავს საბჭოთა ქვეყნის ქალებს გაზაფხულის ნათელ დღესასწაულს — 8 მარტს — მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს.**

**დიდია ქალების დამსახურება სოციალისტური სამშობლოს წინაშე. არ არის არცერთი დარგი ეკონომიკისა და კულტურის ფრონტებზე, სადაც ქალი, მამაკაცთან თანაბრად, თავდადებით არ შრომობდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**ქალები ასევე მთელი გატაცებით ილწვიან სალიტერატურო ასპარეზზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ქართველ მწერალ ქალთა ცალკეულ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს.**

# ორიოდე სიტყვა

ჟურნალი „მნათობი“ ყოველწლიურად, საშუალოდ, ასზე მეტ პოეტს ბეჭდავს; მიუხედავად ავტორთა ასეთი დიდი რაოდენობისა, „მნათობში“ გამოქვეყნებულ პოეზიის სახეს მაინც გარკვეული პოეტების ბირთვი ჰქმნის, თუ შეიძლება ითქვას, ავანგარდი ქართული პოეტური სიტყვისა, ასე რომ, როდესაც „მნათობში“ გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გარკვევით ვხედავდეთ დღევანდელი ქართული პოეზიის მთლიან პანორამას, მის მდგომარეობას და შესაძლებლობებს. პერიოდული გამოცემებისათვის, იქნება ეს ჟურნალი, ალმანახი თუ გაზეთი, ალბათ საერთოდ შეუძლებელია, რომ ყოველი ნომრის ყველა მასალა ერთნაირი სიძლიერის იყოს და ერთნაირ ინტერესებს ემსახურებოდეს. წელან ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი ჟურნალის გამოცემის პრაქტიკა ყოველთვის გარკვეულ ავანგარდს ემყარება, მისი იმედითაა და თუ ჟურნალის თითოეულ ნომერში, სულ მცირე ერთი ასეთი პოეტი მაინც იბეჭდება, რედაქცია კმაყოფილებას განიცდის, კმაყოფილებას განიცდის იმიტომ, რომ ასეთი პოეტები ძნელი მოსაპოვებელნი არიან. ისიც აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქართველი პოეტი, წარუშლელი კვალი რომ დააჩნიეს ჩვენ დღევანდელ ლიტერატურას, ცოტას ან იშვიათად წერენ.

დიდი შრომა უხდება რედაქციას, საშუალო პოეტური დონის ასამაღლებლადაც. საშუალო დონე საერთოდ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ყველა ლიტერატურაში და ერთგვარად აუცილებელიცაა ტალანტების აღმოსაცენებლად. სხვა საქმეა უნიჭობასთან ბრძოლა. სხვა რედაქციების მსგავსად, „მნათობსაც“ უწევს ხელჩართული „ომი“ არაპროფესიონალიზმთან და არაკომპეტენტურობასთან. სამწუხაროდ, ამ მარადიულ „ბრძოლაში“ ყოველთვის ვერ იმარჯვებს მკაცრი და დახვეწილი გემოვნება — ხანდახან თავს იჩენს ხოლმე ასევე მარადიულად მოქმედი ადამიანური ემოციები.

ყოველივე ზემოთთქმული სრული სახით ეხება ქართველ პოეტ ქალებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან — ლიტერატურაში „ქალთა ჭადრაკის“ მსგავსი ანალოგია ვეძიოთ. „მნათობის“ ფურცლებზე ყოველთვის იბეჭდებოდნენ პოეტი ქალები, და მათი შემოქმედების სარვამარტო პუბლიკაციაც საყოველთაოდ მიღებული და თავისთავად კეთილშობილური ტრადიციისადმი ხარკის მოხდა კი არ არის მხოლოდ, არამედ მათი პოეტური ძალების, პოტენციის, ახალი სახელების ფართოდ ჩვენების სავსებით ნორმალური და კანონზომიერი გზაა. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში ოცზე მეტი სხვადასხვა თაობის პოეტი იბეჭდება. აქ არიან ისეთებიც, რომელთა სახელებსაც კარგად იცნობს მკითხველი და ისეთნიც, რომლებიც პირველად იბეჭდებიან. თუ ზოგადად ვიტყვით ამ პოეტების თემატიკაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის ცხოვრებისეული თემა, გარემო პირობები, განყენებული განსჯის საგანი როდია არის. აქ მანძილი ობიექტსა და პოეტებს შორის ძალზე შემცირებულია, იმდენად, რომ ლირიკის სფეროში ექცევა თითქმის მთელი გარე სამყარო. და განა ეს არ არის ქალის არსიც საერთოდ.

ზოგჯერ პოეტს ისეთ თვისებებს დაუკანონებენ (რა თქმა უნდა, მისი შემოქმედებიდან გამომდინარე), რომ ადამიანს აღარც კი უნდა იმის იქით გაფრენა — ან უკეთესი რა უნდა ჰპოვოს! საყოველთაოდ აღიარებულია თამარ ერისთავის პოეზიის თვისებები — ლირიზმი, უბრალოება, სიმართლე და ამაღლებულობაც კი. თამარ ერისთავი დახელოვნებული ოსტატია და კარგად ესმის, რომ მდინარე კალაპოტით კი არ ფასდება, არამედ ნაპირებით; ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიც, რა თქმა უნდა, უხვად გააჩნია მის შემოქმედებას, მაგრამ ჩემთვის უფრო სასიამოვნოა ხოლმე, როდესაც მას ამ თვისებებიდან გაქცეულს ვხედავ (რაღაც გაორება კი გამოდის, მაგრამ მაინც).

არ შემიძლია სიტყვა არ ვთქვა იმ პოეტის ლექსზე, რომელმაც შორეულად მეტერლინკის „ლურჯი ფრინველის“ ერთი ეპიზოდი გამახსენა. ამ ლექსის სათაურია — „შვილს, რომელიც ოდესმე მეყოლება“.

რადგან ოდესმე უნდა მოხვიდე
აუცილებლად სადმე იქნები,
მეალერსება გაუკვალავ ზეცის გადაღმა,
გაუმხელი ჩემი ფიქრები.
შენ ახლა ალბათ ზეცაში ცხოვრობ
და ზოგჯერ მაინც დაგესიზმრება,
როგორ მეხვევა უსაშველოდ თავბრუ
ყოველდღე
მტვრით, ხმაურით, ლექსით, „იზმებით“.
. . . . . . . . .
ალბათ მთელი დღე დარბიხარ ცაზე,
არ ჩამოგიცდეს ღრუბელზე ფეხი,
არ მოგამსხვრიოს ანგელოზის პაწია ფრთები
ბრაზიანმა ბებერმა მეხმა!...

და ა. შ. ვიდრე პოეტი ქალი თავის ოცნებაში წარმოსახულ პირმშოსთან ნებივრობას არ მოიწყენს.

მკითხველმა რომ არ წარმოიდგინოს თითქოს ჩვენ ჟურნალში დაბეჭდილი პოეტების ანოტირებას ვახდენდეთ, ერთ-ორ სიტყვასაც ვიტყვით.

დალილა ბედიანიძის პოემის „ფოტოსურათები“ გმირი არის ქალაქელი გოგონა — გაზრდილი კულტურულ, ჩვეულებრივ ოჯახში, ბავშვობიდან მუსიკაზე და უცხო ენის გაკვეთილებზე რომ დაჰყავდათ. მაგრამ ეს „უცნაური“ გოგონა როდი ფიქრობს ისე, როგორც ასწავლიდნენ და არც იმ ცხოვრებით სურს ცხოვრება, რისთვისაც ასეთი რუდუნებით ამზადებდნენ. იგი თავის ხანმოკლე წარსულში — თითქოს სურათების ფოტო ალბომის თვალიერებისას — მრავალ სიყალბეს და ათასნაირ შეფერადებულ უსულგულობას წააწყდება და თუ მკითხველი მოისურვებს ამ აჭრილი სურათების დალაგებას, დაინახავს, რომ მათზე გამოხატული მრავალი ყოფითი თუ სულიერი დეტალი მისთვისაც ახლობელია.

დანარჩენი ლექსები ჟურნალშია!

აქვე დაბეჭდილია ჩვენი მწერალი-ქალების ახალი მოთხრობები.

ბესიკ ხარანაული

**თამარ ერისთავი**

ბიბლიოთეკა

## მეორე სუნთქვა

*იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა...*

შენ — სიყვარულით სიკვდილს
მიმზადებ,
მადლობელი ვარ, ღმერთო მაღალო,
მიმაღწევინე შენს დიდ მიზნამდე,
არ დამაოკო და არ დამღალო.

სამოთხის კარი დატოვე ღრიჭოდ,
მოდი, მომნუსხე ძალავ ფარულო,
მე სიყვარულით სიკვდილი მიჯობს,
ვაგლახ სიცოცხლეს უსიყვარულოდ!

* * *

მე რა ვიცოდი, შენგნით თუ იყო,
რა ერუანტელიც ტანში მივლიდა,
მე რა ვიცოდი, რომ შენ გელოდი
იმ შორეული სისხამ დილიდან.

მე რა ვიცოდი, შენსკენ მომავალს
გზა თუ მომიჭრა ღამემ უკუნმა,

წინ თუ შემომხვდა ეშმა უჩინოდ
და შემაყარა ფეტვი უკუღმა.

მე რა ვიცოდი, რომ შენ გელოდი
აუმღვრეველი ჩემი წყაროთი,
და როცა შენგან შორს მივდიოდი,
მაინც შენსკენ რომ მოვიჩქაროდი.

* * *

შენ გამიხსენი
ოცნებათა დახშული ბჭენი,
და ჩემი გულის მისადგომთან
წამით გარინდდი,
ამხსენ ურდული მოლოდინის,
სევდის და თმენის,
შენ დამიბრუნე
სიჭაბუკის შლეგი ამინდი.

ო, შენ რომ არა,
არ ვნატრობდი სიცოცხლეს
ხანგრძლივს,
ჩამიქრა ცეცხლი
და ფერფლივით უკვე გავგრილდი,

შენ ამოზიდე
ჩემს წიაღში ჩაფლული განძი
შენი გულის მძლავრი მაგნიტით.

ო, შენ რომ არა,
დავრჩებოდი ჩამქრალ ვულკანად,
შიგ ჩაკირული ლავით და მაგმით...
მრავალ ათასი წლების უკანაც
ცეცხლით აგზნებდა სიცოცხლეს აგნი.

. . . . . . . . . .

და ცეცხლიანი გულით ვიდოდა
აგნი, — ღვთაება ძველთა ინდოთა.

* * *

შენ წლების დუმილს მოხსენ ურდული,
გზას გახირული ტინის კლდესავით,
და ერთი სიტყვა მითხარ ჩურჩულით,
ით მორწმუნენი უფალს ესავენ.

ჭაუხის თხემზე უფსკრულთან მდგომი
შმაგი ქარისგან ირთოდა კესანე,
დედამიწაზე ვიყავით ორნი
და ცაში ღმერთი იყო მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე ვუბრუნდები ცარიელ დღეებს,
უშენოდ გავლილს
და შენით ვავსებ,
დღეიდან ჩემი სიცოცხლის ჭავლი
იდინებს ასე...
. . . . . . .

როდესაც ლანდი გამოჩნდება
სხვა მთის და სხვა კლდის,
ძრავს ვახშობ და მუხრუჭებს ვუჭერ,
ო, ეს შენ აკლდი, სულის სწორო,
ო, ეს შენ აკლდი
სულის ყველა ცარიელ ჭურჭელს.

* * *

ასე მგონია, —
სხვა თუ არა,
ეს სასწაული მაინც მოხდება;
როცა მე და შენ დაგვიდგება
გარდასახვის ზენარი ჟამი
და სულს ჩვენსას ჩამოშორდება
ხორცის სიმძიმე,
ჩვენი თვალების გუგებიდან
ნაპერწკლებივით
ასხლტება ორი ციცინათელა
და მერე,
ყოველ შებინდებისას
ღულის ჭალაში
გაიციმციმებს.
. . . . . . .
ო, შორეულო მგზავრო კეთილო,
თუ მიდიოდე ღულის ჭალისკენ
ღამეულ ბინდში,
და გზად
ერთმანეთს აღევნებული
ორი წყვილი ციცინათელა თუ
შეგეფეთოს,
გაჰყევ მათ ნათელს...
გაჰყევ მათ ნათელს...
თუკი ოდესმე სანუკვარი ნატვრა
გქონია
ამ ქვეყნად და არ აგხდომია,
თუ გაუძელი არახდომის უმძიმეს
ტკივილს,
თუ არ გაავდი, არ გარისხდი
და ცრემლებით თუ განიწმინდე,
გაჰყევ მათ ნათელს!

იქნებ ოდესმე,
შენი სულის გარდასახვის ჟამს,
შენი თვალების გუგებიდანაც
ასხლტეს ორი ციცინათელა
და ამქვეყნიურ სასწაულივით
ნაპერწკლებად შეერიოს
ღამეულ ბინდებს.
. . . . . . . .
გაჰყევ მათ ნათელს.

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

## მარად და ყველგან

— მარად და ყველგან,
საქართველოვ! —
აღმოხდა პოეტს
და ამ სიტყვებით,
ჯერაც ბავშვმა,
სამშობლო ვპოვე...

და იმის შემდეგ ვიმეორებ
მეც ნასწავლს შენგან:
— მარად და ყველგან,
საქართველოვ,
მარად და ყველგან!

## სიკვდილზე მეტი

ერთხელ მაუნდა ალუდას
ერთხელ მობრუნვა თავისა...
ვაჟა

ვაჟკაცობისა და
რაინდობისათვის,
თუნდაც მტრის —
კაი ყმის დანდობისათვის,
ნათელი ჭკუისა და გონისათვის —
წყეულ წესთაგან
განდგომისათვის,

თვის სოფლის მიწის
ვარდობისათვის,
სხვაგან სიცოცხლის
არ ნდომისათვის, —
ღმერთო!
სიკვდილზე დიდი სასჯელი?

## მწვანე სიხარული

კვლავ ამწვანების სიხარული
არ იცის ნაძვმა,
მარად მწვანეა რადგანაც ნაძვი;
არ განუცდია
შიშველი ჯვარცმა,
არ უგემნია
სიმწარე ძარცვის...
ამ სიხარულზე
იმ ხეებს ჰკითხეთ,
ხასხასა ფრთები რომელთაც შვენით
და გადაგრიონ კიდევაც იქნებ
ახლადმოდგმული
ფოთლების ენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამშობლოსათვის გასაწირავო

სიკვდილს არ დანებდე,
ჩემო სიცოცხლევ —
ლამაზო ასულო!
წელში არ გადამიწყდე,
წელწვრილო ქალწულო —
ჩემო სიცოცხლევ!
ტყუილ-უბრალოდ არ გამწირო,
ღალატიანო,
სამშობლოსათვის
უყოყმანოდ
გასაწირავო!

## დედამიწა

საბრალო მიწა!
დედამიწა —
შავი, პირხმელი,
მაგრამ კეთილი მოხუცი ძიძა;
ყველაფრისა და ყველას მტვირთველი,
საბრალო მიწა.
საბრალო მიწა,
ბუმბერაზ მთებად ამოოხვრილი
ისევ ისე წევს, ვით მარად იწვა!
წელგამართული,
წელში მოხრილი —
მარად ჭაბუკი, მხცოვანი მიწა!
სადღაც უხილავ ღერძზე დაბმული,
წონასწორობას
იცავს და იცავს,
კაცობრიობის დიდი მამული,
სიკვდილ-სიცოცხლის
მშობელი მიწა;
ჩვენი სახლი და ჩვენი სადგური,
ჩვენი მეტყველი,
ბუბუნა მიწა.

●

ნელი თარბა
აფხაზეთი

## მეგობრები

დღეები დღეებს და წლები წლებს
მისდევს გვერდ-გვერდით
და ჩვენც მორჩილად
მივუყვებით ამ გზას,
ვბერდებით...
„ნუთუ მივაღწევთ ამდენ წელსო"—
მახსოვს ვამბობდით,
არა გვჯეროდა, შორს გვეგონა
მისი ამბორი.
აწ, როს ცხოვრების გახსნილია
ყველა ცხრა კარი,
ვით სიჭაბუკეს
რჩება ყრმობის რამ ნატამალი,
ჩვენშიაც დარჩა
სიჭაბუკის რაღაც მაგვარი.
რაც ჩვენ არ გვქონდა,
ის შეგვძინა გამოცდილებამ,
გამოცდილება კი აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამორჩილება.
იმდენი გვყავდა ახლობელი,
ასე გვეგონა,
რა გასწვდებაო ქვეყანაზე
ამდენ მეგობარს,
რა გვაჯობებსო მათთან ერთად,
ასე ვფიქრობდით,
ჭადის ნატეხსაც,
თხილის გულსაც ერთად ვიყოფდით
და ვერაფერი გაგვთიშავდა,
თუ არ ტიალი
ისევ და ისევ
ბედის ბორბლის
ძველი ტრიალი.
მაგრამ სიკვდილზე ძნელი არის,
როს მეგობარი
ყოველდღე გვხვდება
სიტყვით ძმობის შემამკობარი,
მაგრამ ის ცეცხლი,
ჩვენ რომ გვენთო სიჭაბუკეში
დაუკარგნია
ან გამხდარა ყალბი, უხეში,
შემოუღობავს ეზო-კარი
ფოლადის წნელით
და მიტომ ჭადსაც
აღარ ახლავს
ის გემო ძველი...
შევთხელებულვართ,
დრომ თვისი ნებით გაგვრანდა,
მიცვალებულთა სადღეგრძელოც
უფრო გამრავლდა...

დღეები დღეებს
და წლები წლებს
მისდევს გვერდ-გვერდით
და ჩვენც მორჩილად,
მივუყვებით ამ გზას, ვბერდებით.

## ოცნებებო ჩემო...

ოცნებებო ჩემო,
ჩემო ზრახვებო,
ნაზებო და სათუთებო,
მზეს უნახვებო!
თქვენ, ჯერ აუსრულებლებო,
მთვარის დობილნო,
ჩემო თეთრო ხომალდებო
ქარს გაყოლილნო,
გვედრით, ნუ ჩაიძირებით
ოქროს მადნებით,
ნურც ფოთლებად ჩამოსცვივით,
წყლად ნუ გადნებით...
მფრინავ თეფშებად იქეცით,
ქარზე იქარეთ,
თუკი ვინმემ თვალი მოგკრათ
თავი იფარეთ
თუკი ვინმე დაგინახავთ
გაქცევთ ლეგენდად,
ხან პოეტის გულს მიხვდებით
ხან ყბას რეგვენთა...
მაგრამ მაინც თქვენი ბინა
ზეცას იქნება,
თქვენ იქცევით რეალობად,
აზრად, ფიქრებად...
დაცვივდება მიწას თესლი
აზრის ახალის,
აღერდება, ამღერდება
ფიქრი მაღალი...
და მე, სუსტნი რომ მეგონეთ —
ჩემო ზრახვებო,
ამაყად და გაბედულად
მზეს ენახვებით.

თარგმნა **ბესიკ ხარანაულმა**

ეროვნული

ლეილა მესხ[illegible]

# მონატრება

## მოთხრობა

მაისის შხაპუნამ ჯერ ორღობე აატალახა, მერე გალმა, ტყისპირში, აკაციის ტოტებს ყურძნის მტევნებად დაჰკიდა გულტკბილა ყვავილები, დამათრობელ სურნელს რომ აფრქვევენ ირგვლივ

ხასხასებდა ბალახი, წკაპუნობდა წვიმა. შორს, ძლიერ შორს, თეთრი ღრუბლები მოცურავდნენ...

ჭიშკართან ჯერ ძაღლი აყეფდა, მერე ფოსტის გამგის თმაქოჩორა ბიჭი ვაჟიკო აყვირდა:

— ნათელა დეიდა!

— რა გაყვირებს ბიჭო?

— დეპეშაა... ხელი მომიწერე! — ხმას იბოხებდა ბიჭი, კუპრივით შავ თვალებს აქეთ-იქით აბრიალებდა.

ქალმა ერთხანს უაზროდ იკითხა დეპეშა, ვერ გაარკვია რა ეწერა შიგ, აღარც ის გაუგია, წავიდა თუ იქვე დარჩა ბიჭი. ერთი-მეორის მიმდევრობით ჩაწიკწიკებული ასოები, რუსული ტექსტი, თვალს უჭრელებდა. ინანა, ნეტავ ბიჭისთვის მეთხოვა, წამიკითხავდაო. ხელახლა დააცქერდა. აზრის გამოტანა იმდენად არ გაძნელებია, რამდენადაც თავად დეპეშამ შეაკრთო, შეაოცა. ხმა ვერ ამოიღო. დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო....

თითებზე მჭადის ცომი ეცხო ქალს, ვერ მოასწრო კეცზე დაკვრა. აქეთ ხბო აბღავლდა ლაფაროში, დედას ეძახდა. ნაწვიმარ გუბეში კრუხს ჩამორჩენილი წიწილა აწივლდა გულისწამღებად.. დაიბნა ქალი. რომელი ერთისთვის ეშველა?! არადა, საცა იყო ჩამობნელდებოდა... უნდა ეჩქარა!

ჯერ სველი წიწილა ჩაუხოხა კრუხს ბუდეში (კრუხ-კრუხითა და ქოთქოთით შეხვდა ჭრელი დედალი), მერე შეაღვიძა ცეცხლი, კეცი გადაამხო, ცომი შეზილა ხელახლა.

გულისყურგაფანტული, აფორიაქებული ჩანდა ქალი.

ფართო შუბლი და შუქიანი თვალები შვენოდა ქალს. ფლანელის ჭრელი ხალათი, ბამბის წინდა და ცხვირიანი კალოშები, ეს იყო მთელი მისი მორთულობა.ორიოდე ნაოჭი შუბლზე, ამდენივე თვალის უპეებთან, მზედაკრული, გაქარული პირისახე და შრომისაგან დაშაშრული ხელები...

საღამოთი ყველანი შინ იყვნენ; ქმარი, შვილები. ქალი მალიმალ წაიკრავდა ჯიბეზე ხელს, დეპეშას მოინახულებდა. გამოჩენას და წაკითხვას რატომღაც აყოვნებდა...

— რა რიცხვია დღეს? — იკითხა მან.

— შვიდი...

— მაისი?!

— ჰო...

„განაპირა ოთახში ფანჯარაა გატეხილი, უბერავს. ფარდებიც გამოსაცვლელია... ამაღამ იატაკს მოვრეცხავ... უკან საპირფარეშოსთან ტალახია, ღორებმა აჩიჩქნეს. ხრეში უნდა დავაყრევინო ოთარს (დაასაქმა ქმარი), გოჭს ამბროსის რძალს გამოვართმევ, გუშინ ამბობდა ჩაიში: „ისეთი ძუძუთა გოჭები მყავს, ავ თვალს არ შეეხედებაო"... კვირას ბაზარში გაყვანას აპირებს. ერთს გამოვართმევ. ისეთ სუფრას გავშლი, ჩიტის რძე რომ არ დააკლდეს. ისიდორე თავმჯდომარეს დავპატიჟებ, კოლია აგრონომსაც, ეგენი ყველგან ერთად დადიან. დანარჩენი ჩვენ ვიქნებით... ახლობლები. ვიჭუკჭუკებთ... ვიცინებთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგივიდა ქალო? — გამოარკვია ქმრის ხმამ.

— ?!

— რავა გაბრუებული დადიხარ? აალაგე კეციდან მჭადები... თუ გვაჭმევ... გვაჭამე.

— ახლავე...

„ეს კაცი რას დამსგავსებია.. რაფერ გაშუშხულა მზეზე.. სად გინდა გამოაჩინო... ნამდვილი ტრაქტორისტია. გინდ დაბანე, თეთრი ხალათი ჩააცვი, მაინც ვერაფერს უშველი“.

— დედაჩემი შეყვარებულია... — ჩაიკისკისა გოგომ, დედის ალმა და კვალმა, თვალებბრიალამ და თეთრყირმიზამ.

— რა გინდა, გოგო?! — შეუბღვირა ნათელამ.

— ტყემლის წვენის მაგიერ, კვაწარახიანი ბოთლი დადგი მაგიდაზე, — აკისკისდა გოგო

— ადექი და მოიტანე!

— მოვიტან...

„სიმინდის ფქვილი მაქვს... წვრილფეხიც არ მიჭირს, ნიგოზი გასულ კვირას ვიყიდე ბაზარში. უი! ღერღილი! საცივი და ღერღილის ღომი... ბიჭი უნდა გავაგზავნო წისქვილში. არ დამავიწყდეს!“

თვითონაც მიუჯდა მაგიდას, გაფანტული, უაზროდ ყლაპავდა ლუკმას. „წინა ოთახში დავაწვენ, იქიდან უფრო კარგად მოჩანს სამზეურას ფერდი... ახალი სახლი არ უნახავს იმას. არც სამზადი... არაფერი არ უნახავს. არც ოთარს იცნობს (ქმარს გახედა), ბავშვებს სულ არა... გოგო-ბიჭი უნდა გავაფრთხილო, სტუმართან იციან გადარევა, პირში ჩაუძვრებიან“.

ნათიამ მაგიდა აალაგა, ჯამ-ჭურჭელიც დარეცხა... ცქვიტი და მოქნილი ჩანდა გოგო, მალი-მალ მოხედავდა დედას.

„ჭკვიანია ჩემი კაცი, დაიჩემა — ძველმავს ცალკე დავწურავ, ტკბილ ღვინოს დავაყენებ ქალებისათვისო. გული უგრძნობდა ალბათ. მეზობლებიდან პარმენას დავუძახებ. წყალივით იცის რუსული. ათი წელი დონბასში იმუშავა, ფული დააგროვა, მანქანა იყიდა და დაბრუნდა... ღვინოში ცოტა კი ფრენა უყვარს, მაგრამ ლიზიკო უნდა გავაფრთხილო, არ მოცილდეს ქმარს, დროზე წაიყვანოს შინ. მეტი ვინ?! ქალები ვიქნებით: მე, ნუცა, ვარდიკო... იმას შუაში ჩავისვამთ... თავმჯდომარეს პირველ დღეს დავპატიჟებ, აგრონომსაც. დანარჩენ დღეებში, კაცის ნასახს არ გავაჭაჭანებ სახლში... მაინც არ ცალიათ... მაისის თვეში სახნავ-სათესს რა გამოლევს...“

იმ ღამით, სარბენი და საფუსფუსო რომ მოილია, ბიჭიც გაგზავნა წისქვილში და ქმარიც აცოდვილა გატეხილ ფანჯარასთან, ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა ქალს, ერთხანს გარე-გარე იარა, საკუთარ სახლ-კარს უტრიალა, უცხო გადამთიელის თვალით უჭვრეტდა — სიმწვანეში ჩაფლულ, ერთიანად გადაბალჩულ ეზო-გარემოს. მოწონდა და არც მოწონდა, მერე წაბლის ხით ნაშენ, იმ კოპწია ოდასახლს იგონებდა, ოდესღაც რომ იდგა აქ... ფანჯრები, კარის სახელური, ბირკვილი ნათლად დაუდგა თვალწინ... ახლა ძველის ნაცვლად, წითელი აგურით ნაშენი, ორსართულიანი დიდი შენობა იდგა, მისი და ოთარის ნაშრომი. იტრიალა იმ ღამით, იატაკი მორეცხა, ფარდები დაცვალა, თეთრეული გამოაკრა, დაძინების წინ ნათია გააფრთხილა, დილით ნუცასას გადადი, მაისის ვარდები აქვს წინა ეზოში გაშლილი, ერთი თაიგული შეგვიკრასო...

— რად გინდა? — სულმა წასძლია გოგოს,

— მინდა...

გარეთ საქმე რომ მოილია, მერე საკუთარ თავს მიხედა, დაიბანა და დაირეცხა. სარკეც მოიმხრო თავისკენ. ნელსაცხებლით დაირბილა გახეშებული ხელის კანი, თითები. გამოიქნა წარბები, ძილი არ ეკარებოდა, ფიქრსაც გაურბოდა. უცნაურად გაყუჩებულ-გაბურბუალებული იყო. შეხსნილი ხალათიდან თეთრი, მარმაშა მკერდი მოუჩანდა.

ოდნავ თვალი წაატყუა და გათენებისას უკვე ფეხზე იდგა. დეპეშას ამდენ-

ხანს თუ მალავდა, ახლა გამოჩენა და სხვებისთვის თვალის დატანება სურდა. ოჯახის უფროსი სისხამ დილით გაუყვებოდა გზას, კოლმეურნეობის ტრაქტორისტს საქმეს რა გამოულევდა. დროულად უნდა გაემხილა მისთვის. მერე გოგო-ბიჭს, ნათიას და თენგოს ჩამოუვლიდნენ ტოლები, სკოლისკენ გასწევდნენ...

უნდა ეჩქარა! დეპეშა, როგორც თეთრი ბაირაღი აეფრიალებინა! ერთხანს მუხლზე გადაშლილს დასცქეროდა, მერე მაგიდაზე დადო.

— ვისია?

— წაიკითხეთ...

— რუსულია! — გაიკვირვა ნათიამ.

— მომეცი... — ეცა ბიჭი.

— მაცალე!.. — წამოხტა გოგო — წერილია თუ დეპეშა?!

— წაიკითხე! წაიკითხე.. — აღელდა ქალი.

— „ძვირფასო ნათელა! — დედა, შენ გწერს?! ვინაა?! — მუდამ შენ გიგონებ ახლა გადავწყვიტე გნახო, ჩამოვალ ჩემს ქალიშვილთან ერთად, ამ თვის რვაში მანდ ვიქნები. გკოცნი. ირინა“.

შეწყდა გოგონას ხმა. გაბედულად რომ დაიწყო და ხმააკანკალებულმა, ბორძიკით ჩაათავა.

თავი არ აუწევია ნათელას. ყოველი სიტყვა გულზე ხვდებოდა... უბით ნატარებმა ნაცრისფერმა ქაღალდმა, საოცარ სითბოსთან ერთად ყრუ ტკივილი მოიტანა სახლში... ამას ყველა გრძნობდა. ყოველი წუთი აღვიძებდა რაღაც შორეულს, უკვე ჩავლილს, უკვე ჩაყვერფლილს. მოგონებების უსიამო განცდა საერთო მაგიდას როგორც სტუმარი, როგორც ახლობელი ისე უჯდა...

— რას აპირებ? — ჰკითხა ქმარმა.

— რა ვიცი.. — მხრებჩამოყრილი პასუხობდა ქალი.

— როდის მიიღე?

— გუშინ...

რატომ არ გააცხადეო, არ ჰკითხა ქმარმა. ისინი კვლავაც გრძნობდნენ იმ საძნელო წუთის არსებობას...

— რომელ მატარებელს ჩამოჰყვება? — იკითხა კაცმა.

— არ ვიცი.

— ალბათ „წყალტუბო-მოსკოვს“

— სადგურზე დავხვდებით....

— იცნობ? — გაეღიმა ქალს. სიამოვნებდა რომ ასე ზრუნავდნენ,

— მეც წავყვები! — წამოიძახა გოგომ.

— მეც... — აჰყვა ბიჭიც.

გაოცებით მოხედა ქალმა, თითქოს ახლა შეამჩნია თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგო-ბიჭი, მოზრდილებივით ამოდგომოდნენ გვერდით, მაინც გოგოს რა უცებ აეყარა ტანი, დაქალებულიყო, მკერდი შევსებოდა. თვალები ქალწულებრივი სიმორცხვით უღვიოდა...

დუმდა ქალი. ქმარ-შვილის სიახლოვე, მათთან შეთანხმება ნეტარყუჩობის ბურანში ხვევდა. სადგურში წასვლაზე უარი განაცხადა: „აგერ თქვენ და აგერ მამათქვენიო“ — გაუღიმა შვილებს. „მე შინ დაგელოდებითო“. ღელავდა დედა. მოლოდინი ტანჯავდა. „ნუ გეშინია, ქალო“, მხარზე ხელი წაუთათუნა ქმარმა — „დიდ ნადირს დიდი ნაგაზები უყეფენ... აგერ არ ვართ“... ჩაეცინა ქალს.

თორმეტი საათისთვის წასასვლელად მზად იყვნენ.

* * *

ოჯახში საქმეს რა გამოლევს, მუხლჩაუდგომელ და საუცბათო საქმეს, მითუმეტეს თუ საპატიო სტუმრის შესახვედრად ემზადები, მაგრამ ახლა ერთიანად დაკამკამებულ სახლ-კარს, მაყრიონთან შესახვედრად გამზადებულ დედოფალივით გადაბალღჩულ სუფრას, ცხელ კეცზე გაყონილ ჭყინტი ყველით გატენილ ხაჭაპურის წითლად აღუებულ კანს (გამაბრუებელი სუნი რომ ასდიოდა), შიშფეთებით დასცქეროდა ქალი. რა ხანია გზისკენ ეჭირა თვალი..

მეზობლებიდან არცერთი არ წაიხმარა, ერთხელაც არ გადასძახა, თითქოს რაღაც უცხო რიტუალს ასრულებ-

და და მათი ჩარევა ეშხსა და ლაზათს დაუკარგავდა ყველაფერს. ყველაზე მეტად კი ფიქრს გაურბოდა ქალი, მერე რა ჩარევა-ჩათრევა იცოდა იმ დალოცვილმა. ერთიც რომ შენელებოდა გულისყური, ჩავლილსა და მივიწყებულს გასდევნებოდა, მორჩა! ველარ შეაკავებდა, ჩაითრევდა, ჩააპირქვავებდა.

გაშუადღდა. მზემ გააფიცხა არე-მარე. თბილი ჰაერი, სქელ შედედებულ რძესავით დააწვა სივრცეს.

რამდენადაც გაექცა და დაემალა ქალი მოლოდინის უსიამო განცდას, იმდენად მოეძალა იგი. როგორც აბეზარი ბუზი ჩაუსაფრდება ყურთასმენას და ზუზუნით აიკლებს იქაურობას, ისე ველარ გაიცილა ფიქრი: „ახლა სადგურში იქნებიან... მატარებელი ჩამოდგებოდა... უკვე მოდიან“.

კარგა დრო გავიდა, მათ დაბრუნებას კი არ დაადგა საშველი... არადა, გაცივდა ხაჭაპური, ჩაიშუშა ლობიო... ლოდინმა თვალები ამოუღამა.

მზის ჩასვლის წინ, გუგუნით რომ შემოიქროლა ვარდენას მწვანე „ფიატმა“ ორღობეში და დაღლილი, სახეჩაქამებული ქმარ-შვილი მანქანიდან გადმოვიდა, — „არ ჩამოსულაო“ — გაიფიქრა ნათელამ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დეპეშა მიიღო, განუწყვეტლივ ეჩვენებოდა, რომ ფოსტაში მისამართი შეეშალათ, სხვისი დეპეშა მიუტანეს... „მეც ავწრიალდი და ქმარშვილიც ავაწრიალე, ამ სარკესავით დღეს გასაცდენად ვინ გაიმეტებდა, მოსაკლავი ვყავარ ოთარს“. რიდით გახედა ქმარს.

— არ ჩამოვიდა ხომ?! — იკითხა ქალმა.

— არა... — ყრუდ უპასუხა კაცმა.

სამაგიეროდ ვარდენა ალარლალდა...

—წყალტუბოს სადგურში, შენ ხარ ჩემი ბატონი, რუსის თანთქალა ქალებს რა გამოლევს, აივსო იქაურობა, ხან ერთს მივარდით ხან მეორეს, ვუძუძგურეთ, მაგრამ... — ხალისობდა ვარდენა, ხელებს შლიდა, მალიმალ გადახედავდა გაშლილ-გადაბალჩულ სუფრას.

— თავმჯდომარისთვის მაინც არ შემეთვალა... — ჩაილაპარაკა ქალმა.

— ჩქარი ხარ, ჩქარი! — შეუბღვირა ქმარმა.

— რა მექნა? ინდიკო ბრიგადირმა აიკლო იქაურობა, ოთარი სადაა, ფართობში ელოდებიანო... სტუმრებს ველოდებით და თქვენც გვეწვიეთქო-შევუთვალე.

— ლუკმა გვაჭამე, არ დავეძებ მაგათ... ჩამოდი ვარდენ! შენც გაყურყუტე და მეც ჩამოვწყდი ფეხზე.

დიდი პატიჟი არ დაუწყია მეზობელს, ცივი წყლით შეიგრილა სახე, სახელო დაიკაპიწა. მადიანად შეექცა. კენკავდა ნათია, უგუნებოდ იყო, უქმურად ჭამდა. არც თენგოს აუწევია თავი. „ელოდნენ“ — გაიფიქრა ქალმა — „წუხან“. თავად მაგიდის კუთხე ირჩია, მიჯდა და მიჩუმდა.

— თუ არ ჩამოვიდნენ და... ღმერთმა კარგად ამყოფონ... პატივი მინდოდა მეცა... — ჩაილაპარაკა ოთარმა. ჭიქა ღვინით აავსო, ჯერ სტუმარს მიაწოდა, მერე თვითონ გადაჰკრა.

— ერთი შენც... — გაიოლა ვარდენამ, ქლალ ულვაშებზე ხელი მიისვმოისვა — ოცი წელი არ გახსენებიხარ და ახლა რა დააფეთებდა. სად ცხოვრობს?

— ნოვოსიბირსკში...

— მადლობელი ვარ... მაგი კულაში ხომ არ გგონია, მოგეგუნებოს და... ერთი კვირა მარტო გზას უნდა...

— ვიცი, მგზავრობა არ ეშლება იმას, რავაც შენ დადიხარ ხონის ბაზარში, ისე დადის ამერიკასა და ინგლისში.

— ბიჭოს, ქალი მაგი ყოფილა...

— პროფესორია. ახლა რაღაც ინსტიტუტი დაუარსებიათ და იმის დირექტორად დაუნიშნავთ.

— ვახ!

— აბა!

— მოიცა! მაგი იგი ხომ არაა... — თვალები მოჭუტა ვარდენამ.

— გაზეთში წაიკითხავდი...

— არა, კაცო! თეოფილე ბარაბაძის

ბიჭი წამოვიყვანე წინა კვირას, სამტრედიის სადგურიდან. წვიმდა. გზაში მიყვებოდა... — შეიშმუშნა ნათელა, გაფაციცდნენ ბავშვები... რომელიღაც ქალაქში პრაქტიკაზე გაუგზავნიათ. იქ ვიღაც კაცი უნახავს... დირექტორი ყოფილა... ჩვენი სოფელი რომ უხსენებია, გაგიჟებულა ის კაცი, სულ უტირია...

— იგი იქნებოდა — ჩაიკვნესა ქალმა. აცრემლდა.

— მოალე ახლა პირი! — გაწყრა ქმარი — კაცი იყოო, არ გესმის.

— კი მარა, თქვენს ოჯახში საიდან? — დაინტერესდა ვარდენა.

— ხომ მოგიყევი... ნათელას...

ოჯახის უფროსმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ჭიშკართან მანქანის საყვირის ხმა გახმიანდა, ერთხელ, მეორედ...

— ნახე, ბიჭო! ვინცხა მანქანას აწვალებს, არ გამომიყვანოს, თორემ აგიხევ ყურებს, — აჯაჯღანდა ვარდენა. არადა ღვინიანი ჭიქის დადგმა დაენანა. თენგო წამოაგდეს.

— თავმჯდომარე იქნება, იმან პურმარილი თუ იყნოსა, მორჩა ველარ მოისვენებს... — ჩაილაპარაკა ქალმა.

— თეთრი „ვოლგა" დგას... — თქვა ბიჭმა.

— „ვოლგა"?! — შიგ ვინ ზის?

— ვერ ვიცანი...

— ვაიმე, დედა!... ჩამოვიდნენ ალბათ. — წამოიკვნესა ნათელამ, — გული მიგრძნობს, ისინი იქნებიან...

წამოდგა, ხალათი გაისწორა, თმა თითებით გადაივარცხნა. კარი ღიად დატოვა, ოდა სახლიდან — ჭიშკრამდე მწვანე მოლით გადაბიბინებული, ხეხილით დაჩრდილული და სიგრილით გაჟღენთილი ეზო, გაირბინა. მარჯვედ, ტანმჩატედ მიდიოდა ნათელა, მერე, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, რატომღაც შედგა.. შეკრთა კიდეც. მანქანიდან ლურჯკაბიანი მაღალი ქალი გადმოვიდა. ერთხანს პირისპირ იდგნენ, ჩამავალი მზის სხივებში გახვეული ორი ქალი... ერთმანეთს შესცქეროდნენ. არცერთი ხმას არ იღებდა, არცერთი ხელს არ უწვდიდა... არადა, გაგრძელდა და გაიწელა წუთები... მანქანიდან ქერა, ტანწერწეტა გოგონა გადმოვიდა დედას ამოუდგა გვერდით. მძღოლმა ჩემოდნები გადმოალო...

* * *

...დილა რომ გათენდა, ებე ბებია შემოვიდა ოდა სახლში. მოხარშული ვაშლები, მჭადის ნატეხი (ბაზე მარცვლის გემო რომ დაჰკრავდა!) ორი ჭიქა რძე და წაქის ფაფა შემოიტანა. მდიდარი იყო სუფრა! თავდახრილი ჭამდნენ გოგონები .ორივენი გამხდარი და ნეკნებდასათვლელნი იყვნენ. შავგრემანს, ტუჩთან დედის ხალი აჩნდა, ქერას — მამისეული თვალების სილურჯე.

გოგონები ქუთაისის უპატრონო ბავშვთა სახლიდან მოიყვანა გუშინღამე ებე ბებიამ, დაბანა და ერთად დააწვინა. ახლაც ერთად არიან... გოგონები ექვსიშვიდი წლისანი იქნებიან... ერთმანეთის ენა არ ესმით. სამაგიეროდ, ებე ბებიამ ორივეს ენა იცის, უხმო, უსიტყვო ენა. ამიტომაა, ასე თავისუფლად ასწავლის ქსოვას და კერვას, მჭადის მოზელვას, წიწილების დაპურებას, საბალახოდ ხბოს გადენას. ებე ბებიას არც ავკარგი ეშლება, მოკეთესთან — სიამე, მტერთან — სიავე. მისგან სიცილიც ისწავლეს გოგონებმა, მხიარული, მადლიანი ჭიხჭიხი. მხოლოდ ტირილი ვერ ისწავლეს. ტირილს სათავისოდ იზოგებს მოხუცი, ღამით, ერთადერთი შვილის სურათს კედლიდან ჩამოხსნის და გათენებამდე მასთან მოთქმაში ატარებს... ძველი ოდა-სახლის კედლები, მცირედ ჩქამს ისედაც ორმაგად ახმოვანებს და მოხუცის ჩაგუდული ხმა, ძილში ყრუდ ჩაესმით გოგონებს. ჩაესმით და აშფოთებთ... ამიტომაა, გათენებას აღარ დაუცდის მოხუცი, თეთრი სახოცით წაიკრავს შუბლს, ღიმილით გაინათებს ტუჩ-კბილს და ნამძინარევ გოგონებს საწოლში შეასმევს თბილ რძეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს არ გახსენებიათ იმ დღეს სტუმარ-მასპინძელს. გახსენება რად უნდოდათ, შეხვედრის ყოველი წუთი იმ ძველიდან იწყებოდა და იმით მთავრდებოდა.

უხმოდ იდგა ნათელა, სიყრმის მეგობართან შეხვედრამ ლამის გააშეშა ქალი. მოძრაობის, შეხუმრება-შეხალისების უნარი ხომ წაართვა, ამას თავი დავანებოთ, ახალი გასაჭირი გაუჩინა, არცერთი რუსული სიტყვა არ ახსოვდა... მალი-მალ მიხედავდა სტუმარს, შეამჩნია, ისიც იმავ დღეში იყო ებე ბებიას ნასწავლი — „შენი ჭირიმე“ და „შენ გენაცვალეს“ გარდა, აღარაფერი ახსოვდა...

ისევ გოგონებმა ივარგეს. ნათიამ და მარიანამ, ტოლმა ტოლი იცნო, აქეთ თენგო-ბიჭი აიყოლიეს და გაედვნენ.. სამზეურას ფერდზე გარბოდნენ უკვე. უკან სოფლის გოგო-ბიჭები მისდევდათ. მაისობა დღე იყო და ქუნელი ცვიოდა, ეკლის ყვავილების ტკბილგულა ლებნები ეყრებოდათ მხრებზე. სტუმარ ქალიშვილს ცისფერი თვალები ჰქონდა და ცისფერი კაბა ეცვა, ია-იების ფოთლებიდან ამსხლტარ ნამ-სხივას ჰგავდა. და-ძმას ეამაყებოდათ სტუმარი, თავი მოსწონდათ. ხოლო დანარჩენებს, სოფლის მხიარულ გოგო-ბიჭებს უკვირდათ მისი გამოჩენა, მისი წკრიალა ხმა, ოქროსფერი დალალები, მერე რა გულკეთილი იყო, რა მხიარული და ენატიკტიკა. მძივები ხომ გააჩუქა, მზის სათვალეც ზედ მიაყოლა. სამაგიეროდ გვირილები დაუკრიფეს და გვირგვინი დაუწნეს თანატოლებმა. თავის წილ სიყვარულს უძღვნიდნენ, ატანდნენ, აბარებდნენ... თითქოს მათზე იყო დამოკიდებული რამდენს დაამახსოვრებდნენ.. სტუმარ ქალიშვილს, რამდენად შეაყვარებდნენ თავს, გულის სითბოს გაატანდნენ.

ავარდისფერებული, ერთიანად აცრემცემებული დაბრუნდა მარიანა. დედას მიუახლოვდა, თავი მკერდზე მიადო და გაიტრუნა. მის თავდახრილ დგომაში უსაზღვრო მადლიერება იგრძნობოდა. მერე გაშლილ სუფრასთან მოწვეული გოგონა, რამდენ ლუკმას ჩაიდებდა პირში, იმდენჯერ მოხედავდა დედას. შევჭამო თუ არ შევჭამოო, იმის ნებას კი არ ითხოვდა, სუფრის სიმსუყე, ბემოვნება აკვირვებდა და გაოცებას ვერ მალავდა. არ ისვენებდა ნათელა, ხან რას გადაუღებდა, ხან რას... არ უარობდა გოგონა, თითქოს კუჭი მოხეოდა და ყველაფრის შთანთქმას აპირებდა..

მხოლოდ ეგ იყო, ვარდენას წასვლას არ დაადგა საშველი. — და ამან გააწვალა ნათელა. მისმა დანგრეულმა რუსულმა ხომ დალალა სტუმარი. ხელებს შლიდა ვარდენა, მკერდზე მუჭს იბრაგუნებდა, იფიცებოდა, იჭაჭებოდა... მოკლეთ, დიდ ამბავში იყო! არც ლიზიკომ გამოწირა, რომ დროზე წაეყვანა ნასვამი ქმარი შინ. ამას თავი დავანებოთ, სხვა შიში ჰკლავდა ნათელას, საცა იყო, ისიდორე თავმჯდომარე მოადგებოდა ჭიშკარს. გაეგებებოდა ოთარი, მოიპატიჟებდა. ჯერ ღირსებით შეუყვებოდა თავმჯდომარე სუფრას (თამადობაზე არასდროს ამბობს უარს), მერე გააბამდა გაუთავებელ ლაილაის, არც გეგმები დაავიწყდებოდა, აღარც ვალდებულებები, დალლიდა სტუმარს... თვითონაც გაიბრუჟებოდა ღვინით და სხვებსაც დაუკარგავდა გონს, მოუგრეხდა კისერს. მის ნაცვლად ლავრენტი მელაძე მოეყვანათ უკეთესი იყო, სკოლის დირექტორი, მაღალი, შავულვაშა კაცი, უნივერსიტეტდამთავრებული, სიტყვაც კარგი იცის და პასუხიც. აზრიანს მაინც იტყოდა რამეს, ჰკითხავდა სტუმარს სად მუშაობს და რას აკეთებს, ამერიკა ვაუ ნახა, ინგლისი. შთაბეჭდილებები გვიამბეო, — ეტყოდა, თვითონაც გაიგებდა და ჩვენც გაგვაგებინებდა, თორემ რა გამოდის... დამუნჯებული შევჩერებივართ ამ ქალს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვარდენას ქაქანში ხეირიანად აღარც გაუხედავს მისკენ.. არადა, გული იქით მიიწევდა.

— დაჯექი ქალო, რა ფეხზე დამდგარხარ... — გამოარკვია ქმრის ხმამ. სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრის გვერდით დაჯდომა ვერ გაბედა.

— აგერ დაჯექი... აგერ.

ისევ კაცმა ივარგა, ქალები გვერდაგვერდ მოახვედრა.

დაჯდა, მაგრამ... ერთხანს ცხვირსახოცით იმშრალა გაოფლილი ხელისგული. შიში კლავდა, ვაი რომ გავიხედო და ყურადღება არ მომაქციოსო, ვარდენას ლაქლაქით უფრო დაინტერესდეს, ვიდრე ჩემი სიახლოვითო... ფიქრმა შეაწუხა.

უცებ! ყრუდ და ლბილად გაედვა რაღაც... მოხედა. სტუმარი ეხვეოდა... მისი თბილი, მოქნილი თითები. შეათვალიერა ვარდისფერი ლაქით დაფარული ფრჩხილები, ფირუზისთვლიანი ბეჭედი. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, სწორი, გამოყვანილი ფეხები... სავსე მკერდი, ლურჯი თვალები, პაჭუა ცხვირი, ქერა თმა. მკვეთრად მოხაზული ბაგე... (ცოტა მბრძანებლური გამოხედვა!) უნახავს სადმე?! არსად, არასოდეს. ინანა, ნეტავ არ მომეხედა, არც მუშტრის თვალით შემზირა, უბრალოდ მეგრძნო, როგორ მეხება მისი თბილი თითები, მეკვრის ლბილი სხეული და... განა არ კმაროდა?

* * *

ებე ბებიამ, გოგონები თავის კომლში, ომში დაღუპული, ერთადერთი ვაჟის — აკაკის შვილებად ჩაიწერა. ნათელა აკაკის ასული მელაძე... ირინა აკაკის ასული მელაძე. პირველ კლასში რომ წავიდნენ, ორთავე აკაკი მელაძის შვილები იყვნენ, მეორეშიც... მერე მამიდა ჩამოუვიდა ირინას, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე. მაღალი, გამხდარი ქალი, (მათი ოჯახის ერთადერთი ცოცხალი წევრი), რაიკომის მდივანი ახლდა თან. „პრავდის“ კორესპონდენტიაო. ასე თქვა იმ ქალზე, ეზოში რომ ჩამოვიდნენ. მერე მამიდა აღმოჩნდა. ვერ იცნო ირინამ. არ მიეკარა. იტირა, ვერაფრით ებე ბებიას კალთას ვერ მოაცილეს...

მაშინ, მდივნის მანქანა რომ მოასკდა ჭიშკარს, უპირველესად ასე ჰკითხეს ბებიას: „ლენინგრადელი გოგონა ირინა ლასკინა თქვენთან ცხოვრობს?“ ბებიამ ვერაფერი გაიგო. „ვინაო?“ „ირინა ლასკინა“ — გაუმეორეს და... ნელ-ნელა ჩამოისვა ლოყაზე ფრჩხილი... შიშით მოხედა ბავშვებს...

— ლასკინა?!

— ჰო, მამიდაა მისი...

— მამიდა?! მობრძანდით ბატონო!

სტუმარი ქალი თავდაჭერილი ჩანდა, ცოტა დაღლილიც. რაღაც ჩაილაპარაკა ბებიამ ვერაფერი გაიგო...

— უნდა წავიყვანოო...

— სად?

— ლენინგრადში.

— ლენინგრადში რა უნდა, ძლივს გამოვახედე ბალანას თვალებში.

— მიყავს. ძმიშვილია მისი...

— რაფერ მიყავს, მაგის ძმიშვილი თუ არის, ჩემი შვილიშვილია... — ატირდა ბებია.

— არ ვიცი... — ჩაილაპარაკა მდივანმა.

უცნობი ქალი გაერიდა ბებიას ცრემლიან თვალებს. მანქანაში ჩაჯდა. საშიშროება იგრძნეს გოგონებმა, ჯერ ერთმანეთს მიეკვრნენ, მიეწებნენ, მერე ბებიას თალხ სამოსს ამოეფარნენ. სახე ჩამალეს. მოხუცის ხეხეშა თითები, ბოსტნის კვალის და ახლად გადახნული მიწის სუნი რომ ასდიოდა, ყელსა და ყვრიმალებზე ეთათუნებოდა გოგონებს. ამშვიდებდა, აიმედებდა. „ნუ გეშინიათ, ბებიებო, ნუ ტირით... აგერ არ ვარ, თქვენს თავს ვინ წამართმევს... ვის მივცემ... ვის დავუთმობ...“

მაგრამ დათმო...

* * *

წუხელ, დაწოლის წინ, ნათიამ უჩურჩულა:

— დედა, ნუციკო ბიცოლამ ჩინჩალაძის ბიჭის ქორწილისთვის დაკრიფეს ჩემი ეზოს ყვავილებიო...

ეწყინა...

— ძველ ნაეზოვარში გადავალ, იქ მეგულება და ბიჭის ხელით გამოგიგზავნიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, კარგი!

მოგვიანებით, ქმარ-შვილი რომ მოასვენა ნათელამ, წინა ოთახში სტუმრებს შეაკითხა. უდარდელად ეძინა მარიანას. ჭერს შესჩერებოდა ირინა.

კართან შედგა ნათელა. ოთახში შესვლა ვერ გაბედა. მთელი დღე გაწვალდა, ვერ იქნა და ძველბური სითამამე ვერ აღიდგინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვობისდროინდელი ურთიერთლტოლვა, სიხარული, თითქოს გამქრალიყო. ახლა საწოლში, უცხო კუთხის, ხასიათის და ზნე-ჩვეულების ქალი იწვა. მასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამას თავი დავანებოთ, ეს თავმომწონე, ამაყი ქალი თითქოს ყრუ ცივ კედელივით ჩადგა მასა და იმ პატარა გოგონას შორის, რომლის ხილვასაც ასე შენატროდა, ჩადგა და... მიმალა თუ მიკარგა იგი — ენძელასავით ნაზი, სიფრიფანა გოგონა. სწორედ ეგ ვერ ეპატიებინა ნათელას.

არადა, არ იძროდა სტუმარი.

სადღაც ძაღლი ყეფდა. სტვენდნენ. „დედააა!“ — იძახდა ვიღაც. მინავლებული სითბოთი თუ სიმყუდროვით იყო სოფელი სავსე...

წამით ჩურჩული ჩაესმა. მიაყურა. სტუმარი ჩურჩულებდა, სიტყვები ვერ გაარჩია.

— ებე ბებია.. ებე ბებია მშია... — გარკვევით ჩაესმა და იგრძნო, რაღაც მტკივნეულად შეინძრა გულში.

* * *

დილაუთენია, ჯერაც ცვარშეუმშრალი, წითლად აბრიალებული თაიგული მოართვა მეზობელმა ნათელას, სულ რჩეულ-რჩეული ვარდები.

ვაზაში ჩადო, წყალი ჩაასხა და ფეხაკრეფით შეუტანა სტუმარს. სურნელით აივსო იქაურობა.

მოგვიანებით, საშინაო საქმე რომ მოისტუმრა, საუზმეც გაამზადა, დედაშვილს შეაკითხა. „ყვავილები სასაფლაოზე უნდა წავიღოთო“, — ამბობდა დედა. ქალიშვილს მოსმენაც არ სურდა... ნათელას გამოჩენამ ორივე ჩააჩუმა. გოგონა ელვასავით გაენთო კარში, მიიმალა.

— ნათელა, ბებიას ფოტოსურათი არა გაქვს? — ჰკითხა ირინამ.

— კი.

— მიჩვენე, გეთაყვა!

გამოუტანა. დიდხანს დასცქეროდა ირინა, მერე თანდათანობით ისე ჩაენისლა თვალები, თითქოს ბურუსში ხედავდა საგნებს.

— რა დიდხანს მესიზმრებოდა... მისი ალერსი,... მისი გულის სითბო...

საოცარია, დაახლოებით იმავე სიტყვებს წარმოთქვამდა ირინა, რასაც თავად ნათელა ფიქრობდა, ამიტომ ყოველი სიტყვა, ხანჯლის წვერივით ხვდებოდა გულში.

ჩანს, იქვე, კართან ახლოს იდგა მარიანა, დედის ტირილზე შემოვიდა.

— ისევ ტირის.. — ჩაიღრინა.

— ნახე... — ნათელამ სურათი გაუწოდა. მზისყურეში იჯდა მოხუცი, მუხლებზე ხელები დაეწყო, მშვიდი და დაღლილი ჩანდა...

— როგორი მოხუცებულია, — ჩაილაპარაკა გოგომ, — უბრალო, სოფლის დედაბერია!

— გაჩუმდი, მარიანა, თორემ გაგაგდებ — იყვირა ირინამ, სახე აელანძა, მღელვარებისაგან თითები აუცახცახდა...

— აბა... აბა...

დედა-შვილის შეუთანხმებლობა აცინებდა ნათელას, „ჩემი გოგო უფრო ნაზი და მორჩილიაო“ — გაიფიქრა — „ბიჭიც... როგორც გინდა ისე მოიხმარ“.

მოიარეს სასაფლაო, უხმოდ წავიდნენ, უხმოდ დაბრუნდნენ. თაიგული თავად მიჰქონდა ირინას...

მამა-პაპურ, ძველ სასაფლაოზე ესვენა მოხუცი, ქმრის გვერდით. თავთან ტირიფი ერგო. სულ ეს იყო...

ჩაიმუხლა ირინამ, ყვავილები მიმოაბნია. ...

სიწყნარე იყო სასაფლაოზე... მხარიმხარ მიყრდნობილი იდგნენ ნათია და მარიანა. მერე მოწყინდათ უქმად დგომა, თუ ახალგაზრდულმა დაუდგრომ-

ეროვნული

ლობამ თავისი ქნა, თენგო ბიჭიც აიყოლიეს და საფლავებს მოედვნენ. კითხულობდნენ წარწერებს, ათვალიერებდნენ სურათებს, ერთმანეთს ეძახდნენ, ხმაურობდნენ. ვიღაცის საფლავზე აჩახჩახებულ ვარდებს მიწვდა მარიანა. დაუშალა და-ძმამ — „არ შეიძლებაო". წამოდგომას არ ფიქრობდა სტუმარი. იჯდა, ფიქრში წასული.

რამდენჯერაც გახედა ნათელამ, იმდენჯერ იგრძნო, თითქოს თანდათან შემოეცალა უცხოობისა თუ შეუთვისებლობის უსიამო განცდა. გარბოდა და განაზდა ფერები, გამზრდელის საფლავთან ჩამუხლული ეს ქერათმიანი ქალი საოცრად ერწყმოდა თუ ეთვისებოდა აქაურობას. გაზაფხულის სურნელით სავსე დედამიწას, ძველ ეკლესიას, მიმოფანტულ საფლავებს, ფუტკრის ბზუილს და ახალგაზრდების უდარდელ ხმებს... ყოველივე იმას, რაც დარჩა ამ ქვეყნად.. რასაც გადაშენება არ ეწერა. მოხუცის საფლავის ქვაც, თითქოს თბებოდა და ლვივდებოდა მზისა და ადამიანების სიახლოვით.

— „ნუთუ არსებობს რაიმე ძალა, რომ"... — ფიქრი ვეღარ დაამთავრა ნათელამ — „აგერ ირინა, სწავლული ქალი, ნეტავ რას ფიქრობს?!"

დააცქერდა. შეუთვალიერა სახე და თმა, ნაოჭების რკალი, — შუბლსა და თვალის უპეებში... იაზრა, ისიც იმავეს ფიქრობდა, ოღონდ უფრო რთულად და შეუცნობლად.

წამოდგა სტუმარი, ჯერ ქვევით ამწვანებულ სოფელს, აბოლილ ბუხრებს, ალივლივებულ ჭალებს გახედა, მერე ეკლესიის ჩამოშლილ ქონგურებს, მიმოფანტულ საფლავებს მიმოატარა მზერა და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა: ყველას აქვს თავის წმინდა ადგილი...

* * *

მეორე დილით, უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ. შორიდან უჭვრეტდა ნათელა. წუხდა და წრიალებდა. ინანა კიდეც, ნეტავ თავმჯდომარე და აგრონომი მაინც მომეყვანა, გამეცნო ეს ქალიო... შუა დღემდე, გაღმა [illegible] ხნავდნენო, თენგომ მოუტანა ამბავი, თავმჯდომარეც იქ იყო, წუთით არ მოსცილებია ტრაქტორისტებსო...

სკოლის დირექტორმა, ლავრენტი მელაძემ შემოთვალა, პედაგოგთა რაიონულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვდივარ და არ მცალიაო... საპატიო სტუმრის გაცნობა ნამდვილად მინდოდაო... სულით და გულით მინდოდაო, მაგრამ.. ისევ ვარდენამ ივარგა, ახლად გარეცხილი, გაპრიალებული მანქანა მოაყენა ჭიშკარს: „აგერ ბატონო, როცა გენებოთ, მიმსახურეთო".

მეზობლის ქალებიდან ნათელამ ორიოდე დალანდა ჭასთან, და იმათმაც საჩქაროდ აავსეს კოკები. აკი თავყრილობას აპირებდა, ერთი გემოზე უნდა წაექეიფოთ. რა გამოვიდა?! არაფერი. არადა, წასასვლელად მოემზადნენ... გული დამძიმებოდა ნათელას, ძლივს დაათრევდა მუხლებს, გასატანებელი რაც ჰქონდა, რახანია გამოუმზადა, მაგრამ მათთან ყოფნით, ალერსით, გული რომ ვერ იჯერა, ამაზე წუდებოდა გული. რაც თავი ახსოვს, სულ ამ გოგონას შენატროდა, მისტიროდა, შეხვედრას ლამობდა, როგორც იქნა იხილა და.. „ორშაბათს იაპონიაში მივფრინავ, სიმპოზიუმზე", ეს ისე უბრალოდ თქვა, თითქოს აგერ სოფლის ბოლოს მიდიოდა, სამეზობლოდ და სამოყვროდ. დაიბნა მასპინძელი, რამდენჯერ ჩაკითხა, კიდევ ჩამოხვალო, იმდენჯერ თანხმობა მიიღო. მერე, ვერ იქნა და გოგონები ვერ მოაცილეს ერთმანეთს, ნათია და მარიანა. კვლავ შეყრასა და ნახვას ნატრობდნენ, ერთმანეთს ეფერებოდნენ. მათ შემყურე დედებს, ტკივილნარევი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე... რაღაც მოურჩენელი, ძნელად დასავიწყი დარდის კვალი აჩნდა ამ წუთებს...

მანქანის კარი რომ გამოაღო ვარდენამ და წასვლის დროაო, — ანიშნა სტუმრებს, ღვინით სავსე ტიკჭორა შეაგორა ოთარმა საბარგულში. შეიქნა ერთი ხვევნა-კოცნა, გაცილება. გაყუჩებული იჯდა ირინა, ერთხელაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუღიმია; კი ბატონო, ყველას დაემშვიდობა, ხელიც ჩამოართვა, მერე, მანქანაში რომ ჩაჯდა და საზურგეზე მიეყრდნო, საოცარი ნაღველი აღბეჭდოდა სახეზე...

— მადლობელი ვარ, შენი ნათელა! გმადლობ ყველაფრისათვის... თითქოს ხელახლა დავიბადე ყველაფერი გამახსენდა... სად ვისხედით, სად ვთამაშობდით... ჩვენი ანბანიც მომაგონდა დედა ენა... აი ია... აი თითი... ეს მუხაა...

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ სიტყვა არ დაუძრავს ქალს, არც გაუღიმია. ისე დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ისე უდარდელად მოიქნია მანქანის კარი მარიანამ... ერთხელაც არ აუწევია თავი ირინას.

წავიდა მანქანა.

ყეფით გაედევნენ ძაღლები... გუგუნიც მინელდა. მოფრიალებულ ჭიშკარში გაუნძრევლად დარჩა ნათელა. მოგვიანებით რაჩხუნით რომ ჩაკეტა ჭიშკარი და სახლისკენ პირი ჰქნა, შეკრთა უცებ, რაღაც გაებლანდა თვალწინ... ჩამავალი მზის სხივებს, გამეჩხერებულ თხილის ბუჩქნარს, სიბერისაგან მოღრეკილ უნაბის ტოტებს, თალხი სამოსი შერეოდა. იცნო, მოხუცის ლანდი იყო.

ეზო-გარემოს თალხს ჩრდილებად, დაღლილ ფერებად მოსდებოდა გამზრდელის ლანდი...

გუშინაც იქ იყო...
ახლაც იქ არის...

●

დალილა ბედიანიძე

# ფოტოსურათები

## პოემა

სიკვდილს სულ ოთხი კედელი აქვს, ხოლო სიცოცხლე — უკედლებოა.
თავისუფლების უფროსი ძმა არის სიცოცხლე
და თვით სიკვდილშიც ის, სიცოცხლე იგულისხმება.

ხსოვნა დედაა სიცოცხლისა,
ის ინახავს ჩვენს ყოველ სიტყვას,
ჩვენს ყოველ ნაბიჯს შინიდან გარეთ
და მიტოვებულ მშობლიურ სახლებს,
და რამდენჯერაც საკუთარ თავს ვესტუმრებით,
დედობრივი მზრუნველობით გადაგვიშლის მივიწყებულ ფოტოსურათებს,
გვინდა თუ არა, და შიგ ცხვირსაც ჩაგვაკვრევინებს.
ეს მე ვარო? რამდენს უკითხავს გულგახეთქილს...
დიდია ხსოვნის უფლებები მოკვდავთა ზედა.
ნახე! უყურე! დატკბი! ეგეც — შენ!

არ არის სტუმარი უფრო იშვიათი,
არ არის სტუმარი უფრო უსურველი
და უფრო ძნელი სამასპინძლო, ვიდრე — საკუთარი თავი.

ერთი წუთით! გმადლობთ! გმადლობთ!
შეიძლება, ჩემგან წახვიდე, მაგრამ ფოტოს სად წაუხვალ!
დროს ნამები აქვს, ადამიანებს — ფოტოსურათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად რომ სურათის გადასაღებად წამიყვანეს,
ზამთარი იყო და თბილად მეცვა,
მაგრამ ვიგრძენი, ფოტოაპარატის წინ მაინც შიშველი ვიყავი.
შემციცდა, შემრცხვა და ავტირდი.
გარშემო მხოლოდ თვალები იყო, დამიზნებული თვალები, ჩასაფრებული თვალები...
ნვიმები ცაშიკ ხოლო ადამიანთა თვალები ღმერთის თვალებში ხვდებიან ერთმანეთს.

ჩემი თვალებიც შეხვდა მათ თვალებს, ვინც დამპირდა:
„იქით უყურე, უყურე, ჩიტი გამოფრინდება!“
„აბა ჩიტი?“
„უკვე გაფრინდაა!“
ჩვენს ალბომებში მას შემდეგ იცდის სულ პირველი ფოტოსურათი
და რამდენჯერაც დავხედავთ, ჩუმად შეგვეკითხება:
„აბა ჩიტი?“ — „უკვე გაფრინდა!“

ძველია ქალაქი, ძალიან ძველია...
ცოლები ქმრებს ისევ სადილად ელიან,
გოგონა ასფალტზე ყვავილებს ხატავს,
თაგვს ჩასაფრებია კედელთან კატა...
ქალაქის ყოველი კბილი მთელია,
ძველია ქალაქი, ძალიან ძველია...

МОСАЦДЕЛИ ОТАХИ

## მოსაცდელი ოთახი

კარი... ტიტული... კარი... ტიტული... კარი...
მერე გამოდის მდივანი და რიტმი იცვლება:
„გამოიარეთ ხვალ! გამოიარეთ ზეგ!..“
უკმაყოფილო ხარ: „რა პასუხია ეგ!“
„მაშინ დაბრძანდით ჩემო ბატონო და დაელოდეთ!“
სად დაბრძანდები? მოსაცდელში ყველა სკამი უკვე დაკავებულია.
„ვინ არის ბოლო?“ „აგერ დადექი, შემოსასვლელში“...
ჯერ-ჯერობით ბოლო შენა ხარ ვინც შენს წინ დგას, უხარია:
როგორც იქნა, მის შემდეგაც დადგა ვიღაცა, მის ბოლოობას ბოლო მოეღო.
შენ ელოდები ხან საუზმეს, ხან — კინოს ბილეთს,
ხან დედის ღიმილს, ხან მამის სილას,
ხან — უფროსი ძმის გამონაცვალ პალტოს, ანდა — სახელმძღვანელოს...
დგახარ და დგახარ პაემანზე,
დირექტორის კაბინეტში, კლასის კუთხეში,
სცენაზე, ანდა მატარებლის ტამბურში, ანდა — მეგობრის სახლთან,
მაღაზიაში, საცეკვაო მოედანზე
დგახარ და დგახარ... ხედავ და ხედავ... ისმენ და ისმენ...
და გაიძახი: „ბოლო ვარ, ბოლო!“
და მოდის ისიც — შენი მომდევნო, სკამი შენთვისაც თავისუფლდება.
რაკი დაჯექი, ახლაღა ხვდები თურმე დაღლილხარ.
„ოჰ, დავიღალე!“
ადამიანთა ენაზე ნიშნავს: „ოჰ, გამარჯობათ!“
მსხდომიარენი მდგომიარეებს ვერ ესაუბრებიან,
სხვადასხვაა იმათი ენა, საჭიროა თარჯიმანი, შუამავალი...
რაკი დაჯექი, ახლა უკვე გასაგებია, შენ ვინა ხარ
და ღიმილის ნატეხებს გამოგიწვდიან:
„აჰა, დანაყრდი დაისვენეო!“
შენც ზიხარ, ზიხარ თათბირებზე, კონცერტებზე, ქორწილში (ნეფედ),
სასადილო მაგიდასთან შენს ოჯახში,
შენს მანქანაში, ტელევიზორთან, თამადად, სტუმრად, მოადგილედ...
შვილების გვერდით...
მეოცე სკამზე, მეთხუთმეტეზე, მეშვიდეზე... მეორეზე...
და ფიქრობ: „ისევ დგომა ჯობდა, დავიღალეო“.
შენს სიმძიმეს კი აწი ფეხები ვერ დაიმაგრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად შეგიძლია, ძველებურად იდგე და იდგე, მსხდომიარეთა დუმილს უსმინო!
ვერა, დილის ვარჯიშები ველარ გიშველის. გვიანია.
ახლა რაღა დროს რიგის ბოლოსკენ გახედვაა,
როცა მდივანი წამმზომს დაჰყურებს: შენი მილების დრო ახლოვდება.

ჩურჩულით ეკითხები შენს წინ ვინც ზის, იმას:
„იქ, იქ ვინ არის? მაპატიებს? დამეხმარება?"
ის კი გპასუხობს ჩურჩულითვე:
„არ ვიცი, არა! შესული ბევრი მინახავს და გამოსული — ჯერაც არავინ!"

## კოსმეტიკის კაბინეტი

კოსმეტოლოგთა გუნდი: „თუ იყურებით სარკეში და აღარ მოგწონთ თავი,
ვის უნდა მიაკითხოთ, არ არის საკითხავი.
მობრძანდით და ნაბრძანდებით რაც ხართ, იმაზე მეტი,
გაგალამაზებთ ყველას ეს ჩვენი კაბინეტი.

დროზე აილე ქვითარი, გადაიხადე ფული
და ყველას ერთად მიგიღებთ, არავის დაწყდეს გული".

სოლო: „თქვენ რა გნებავდათ? სახის გაწმენდა? კი ბატონო!
აიფარეთ ხელსახოცი! რა ახატია? იჰ, არაფერი, თავაზიანი ღიმილი მხოლოდ.
იგი ბილეთის მაგივრობას გაგიწევთ ყველგან,
სადაც კი შესვლას მოისურვებთ.
ჩვენი სეანსი სულ ორ საათს გაგრძელდება.
პირობას გაძლევთ, არავითარი ალერგიული გამონაყარი
და აღარც ერთი მუწუკი აღარ შეგაწუხებთ!
აბა, დავიწყოთ!"
იგივენი და ჰამლეტი: „სადილობამდე აქ მოისვენეთ, ბატონო ჰამლეტ!"
„აქ მოისვენეთ... აქ განისვენეთ... ბატონო ჰამლეტ... ბატონო ომლეტ!...
ერთი ვიცოდე, რას მეტყოდით, პრინცი რომ არ ვყოფილიყავი?
ალბათ — „აქ ეგდე, შე შეშლილოო!" ან სულაც — „აქ რამ მოგათრიაო,
შე მშობლების შემარცხვენელო, მორფინისტოო, მაწანწალაო!..."
დედაჩემი სადა ბრძანდება? რად ემალება ერთადერთ შვილს,
კისერზე რად არ ეკიდება, რატომ არ ეტყვის, მომენატრეო, მაი ბეიბი!
იმის ღირსებას ესევითარი ამჩატება არა სჩვევია!
რა, თავი სტკივა? ინგლისურის გაკვეთილი აქვს, არა სცალია?
თუ სტატიას წერს ბავშვის აღზრდაზე?
თუ მეზობლის გოგოს ასწავლის, როგორ ითარგმნება სიყვარული
გულის ენიდან ოჯახის ენაზე?
მერე იმისი სანაქებო მოწაფეები სულ ინგლისურად აგინებენ
ერთმანეთსაც და მასწავლებლებსაც.
ისევ ისეთი ლამაზია?
მაშ რა იქნება!
კინაღამ თან გადაყვა, რომ ყველას ეთქვა:
„საწყალი ქალი! არც ქმარი შეხვდა შესაფერი და შვილიც სულ არ დაემგვანაო".
მართლაც! მართლაც! სად — მე და სად — ის!
აი, იმას რომ ვუყურებ, მივხვდი, როგორი არ უნდა ვიყო,
მაგრამ მაინც მისი შვილი ვარ, სხვად ვერ ვიქცევი.
როგორ მივხვდი? აბა ერთი შენ გაგაჩინონ იმისათვის,
რომ მამაშენი ქმრად ჭირდებათ, დედა კი — ცოლად,
მერე ყოველდღე ელოდებოდე „გენაცვალეს" ან — „ვაი, რა ვქნა, სიცხე აქვსო",
სანაცვლოდ კი ყიდულობდნენ ტანკებს, ნიანგებს,
გაჩეჩებდნენ ახალ ფეხსაცმელს,
გრთავდნენ ისევე, როგორც შენ შენს თოჯინებს რთავდი,
რომ ტოლებისთვის გეჩვენებინა.
გრთავდნენ მუსიკით, გრთავდნენ სიკეთით,
გამოგიყვანდნენ სადღეობო სუფრასთან და გაკითხებდნენ ლექსებს დედაზე,
დედაშენი კი საკუთარი თავის სიყვარულით ცრემლმორეული

ისე ლამაზად ილიმებოდა, ვილას ახსოვდა შენი ლექსი!
შენი ბავშვობა:
თავი ბალიშქვეშ (არა ბალიშზე), რომ არ გესმოდეს და მაინც გესმის:
„ოჰ, კარგი ერთი, რა აკლია?
ანდა იქნება ვინმე ჩაგრავს და ჩვენ, მის მშობლებს პატივს არა გვცემს?“
„რა აკლია?“
„შვილს მარტოოდენ სიყვარული ზრდის,
მხოლოდ ისეთი სიყვარული, როს უარს ამბობ საკუთარ თავზე!
ვისაც შვილი ჰყავს, ის ჯერ დედაა და მერე — ქალი!“
„რაო, რაო? ჩემი შვილია და შენი — აღარ?“
„დედოფალო... დამშვიდდით, დედოფალო!..“
ჰო, „დედოფალო“ და არა — „დედა“...
ვიცი, მძიმეა მეფისა და დედოფლის ტვირთი,
მაგრამ მე ხომ არ მითხოვია, ამ ტვირთზე მეც დამსვით-მეთქი,
ეს — თქვენ „მიყიდეთ საჩუქრების მაღაზიაში“ „ძალიან ძვირად“...
ალბათ ამიტომ გიხაროდით... ალბათ ამიტომ მიფრთხილდებოდით
და ხშირ-ხშირადაც შემახსენებდით, რა დაგიჯდათ ჩემი შეძენა...
გმადლობთ, მაგრამ განა ჩემმა პირველმა ცრემლმა არ წარხოცა თქვენი ცოდვები?
განა იმიტომ არ გაგაჩინეს თქვენმა მშობლებმა, რომ მე „გეყიდეთ“?
სხვაგვარად რა გამართლება ექნებოდა ბუნებისაგან თქვენს არსებობას?
ი ო რ ი კ ი: ბატონო ჰამლეტ...
ჰ ა მ ლ ე ტ ი: ჩუმად, შენი ხმა არ გავიგო!
აბა, ერთი შენ დაგენახა ორი ორფეხა,
რქებსაც და კუდსაც რომ მალავდნენ „თქვენ — ქალბატონო“, „თქვენ — ბატონო“-თი,
აბა, ერთი გეყურებინა თეფშებსა და ჭიქებთან ერთად დამსხვრეული ღამეებისთვის,
განა შენ არ შეიძულებდი ორივეს ერთად?
მაგრამ ცალ-ცალკე, როცა ისინი აღარ გიყოფდნენ,
აღარ ჩხუბობდნენ შენზე, როგორც ზოოპარკის ორი მელა
გალიაში შეგდებული წიწილისათვის,
არა, ნაყინსაც ყიდულობდნენ, ცირკის ბილეთებს,
სკოლის შემდეგ მანქანითაც გასეირნებდნენ,
ფულსაც გაძლევდნენ, რომ ტოლები შოკოლადზე დაგეპატიჟა
და სანაცვლოდ შენს ბავშვობას არ მოითხოვდნენ,
ცალ-ცალკე იმათ შენც აიტანდი და თუ გაიქცეოდი,
ერთისაგან — მეორისაკენ, შორს — ვერსად...
ერთად კი... ერთად ორივე ასე გეუბნებოდა:
„თავი მტკივა, არა მცალია... მეჩქარებაო...“
შენც დაჯდებოდი დერეფანში ხალიჩაზე და ინატრებდი:
მფრინავო ხალიჩა! მფრინავო ხალიჩა!
იქ წამიყვანე, სადაც დედები და მამები შვილებს ელაპარაკებიან
და კაბინეტების კარებს არ კეტავენ.
მფრინავო ხალიჩა! მფრინავო ხალიჩა!
დ ე დ ა შ ე ნ ი ს ხ მ ა: „ოჰ, ეს მდაბიო! სავარძელს რომ ვერ მიაჩვიე!
აეთრიე ახლავე! აი, ესეც — შენ!“
შენც იტირებდი და შენც აღარ დაიჯერებდი, რომ სადმე იყო სხვა დედ-მამა,
ვინც შვილს ღიმილით კი არ ჰკითხავდა,
რა გატირებს, ერთი მითხარი, რა გტკივაო,
ისედაც კარგად მიხვდებოდა, რატომ ვტიროდი
და მეორე დღეს ბაკურიანში ან ბიჭვინთაში არ გამგზავნიდა — გადაიღალა, დაისვენოსო,
საწოლის თავთან მომიჯდებოდა და მიამბობდა წიქარას ამბავს.

ო, რა ძნელია, იტირო, როცა უფლისწული ხარ...
დედაჩემი და მამაჩემი, როგორც მეფეს და დედოფალს შეეფერება,
ერთად, ხელკავით მიდიოდნენ სტუმრად, კონცერტზე, იუბილეზე...
მეც თან მივყავდი, რომ მომავალ ქვეშევრდომებს გავცნობოდი!..
იქ იყვნენ სხვების დედ-მამებიც და მძულდა, მძულდა მე ისინი,
ვისთვისაც შვილი მსხვერპლი მეგონა, იმათივე ღირსებისათვის შეწირული.
განა შენ არ შეიძულებდი ჩემს ადგილას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო, ჩემს ადგილას! ადგილს დიდი მნიშვნელობა აქვს.
მე ვუყურებდი ყველა გოგონას ისე, როგორც — ყოფილ დედაჩემს
და ვიცოდი, რომ იმათ უყვარდათ დანიის პრინცი, ბიჭი კი არა.
პრინცი იმათ გადედოფლებას პირდებოდა,
მე კი მხოლოდ ის შემეძლო, სახლამდე ხელში აყვანილი მეტარებინა,
მემღერა და არ დავღლილიყავ!
ვის რად უნდოდა ჩემი სიმღერა!
მე კი ჯერ ბიჭი ვიყავი და მერე — პრინცი
და დედოფლობას ფულთან ერთად ვუტოვებდი ტრილიაჟებზე.
მახსოვს, მამაჩემს მძღოლი ჰყავდა...
არა, მძღოლზე კი არ მოგახსენებთ, იმის ასულზე...
მახსოვს, ის რომ გავაცილე,
მეორე დღესვე ყველა ბიჭი გადამემტერა
ვინც მიცნობდა და ვინც არ მიცნობდა, მაშინ გამეცნო.

აი, ის გოგო იმიტომაც კი არ იცინოდა, რომ უხდებოდა,
არა, მართლა ეცინებოდა, როცა ბაფთას მოვაძრობდი,
ანდა — ჩანთას გამოვტაცებდი, სხვებივით უკან კი არ მომდევდა.
ჰო, იმან მითხრა... მითხრა ერთხელ... ასე მითხრა, მიყვარხარო...
გეყვარები, ვუპასუხე, რადგან მანქანაც რომლის მძღოლიც მამაშენია,
შემიძლია, შენად ვაქციო.
გაიცინა და მისი სიცილი ქრილობას ჰგავდა.
„მე შენ მიყვარხარ, შე სულელო, მე შენ მიყვარხარ...
გინდა, გავიქცეთ? მეც შენსავით მძულს ელსინორა,
მძულს ეს კედლები, საცაა თავზე რომ დაგვექცევა, გინდა, გავიქცეთ?...

თანაკლასელის დაბადების დღე... განთიადი...
ნუ გათენდები! ნუ გათენდები! ნუ წამართმევ ერთადერთ ცეკვას!
ასე მგონია, ყველა ლექსი მე დავწერე!
ასე მგონია, თვით რომეოც ჩემთან შედარებით
მხოლოდ რომეოს როლს ასრულებდა.
შამპანური — ჭერში... ხელი — ხელში,
რიტმი... რიტმი... რიტმი...
ჩაუწიეთ მაგ მაგნიტოფონს, ვიხრჩობი, ისე მწყურია და
გამიმეორე, უფრო ხმამაღლა გამიმეორე „ჩემო ძვირფასო“!
კვამლი... კვამლი... კვამლი...
აივანზე კაბის ვარდისფერ სიბნელეში ორი ყვავილი — ორი ხელი...
რას ვიფიქრებდი, თუ გოგოს ხელზე ვაკოცებდი ისე, როგორც ყვავილს ყნოსავენ...
ხელის გაქნევის მეშინია, რომ ეს სახე კვამლივით არ გაიფანტოს.
„მე შენ მიყვარხარ...“
შენ რა, შენ არ გაიქცეოდი?
არც თვალები, არც — თმები, არც — ტუჩები...
შემრჩა მხოლოდ ერთი ყლუპი სინათლე,
მინისქვეშა გვირაბში უცბად აფეთქებული...
ყველა ლამაზი ქალი ახლა იმას ჰგავს ჩემთვის...
შ ვ ი ლ ი: ყველაზე ნაღდი უკვდავება ბავშვის ხელია, მშობლების ხელში ჩამალული,
და ბავშვია მისი მშობლების ბატონ-პატრონი (არ იფიქროთ, პირიქითაო).
უკვდავებას ყველა მოითხოვს. ბატონ-პატრონსაც. მაგრამ — ყველას ვერ მიართვეს
მას შეევედრნენ: „მოდი ჩვენთან, გვიბატონე და გვიპატრონეო!“
მანამდე კი დედამისის სხეულში იჯდა მძევალივით
და იქიდან გვარის გრძელი საცეცებით ეჭიდებოდა კაცს,
რომელსაც მამამისი უნდა რქმეოდა.
მაგრამ დედად ქალი კი არა, შეცდომა ჰყავდა,
ხოლო მამად — უარყოფა და ამიტომ მარტოობა გახდა მისი ბებიაქალი.
შეგიძლია, ეს ფოტო დაწვა, მაგრამ რას უზამ ორიგინალებს?

უშვილო ქალებს ბავშვები ესიზმრებათ,
შვილიანებს კი არა სცალიათ, დაიძინონ იმდენ ხანს, რომ სიზმრები ნახონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცი, რა მითხრა იმ გოგონამ?
„არ არსებობს უკანონო შვილი, უკანონო მშობლები კი — რამდენიც გინდა!
მე მიყვარხარ, მიყვარხარ, მაგრამ შენ ამ სიყვარულს
ვერ მოერევი, ჩაიძირები. ის შენთვის ქვაა, არა — ოქროს მედალიონი.
ჩვენი შვილი კი ყველაზე უფრო კანონიერი ბავშვია
მთელ ჩემს ჯვარგადაწერილ ნაცნობებში.
მე არ ვიცი, როგორი უნდა იყო შენ, რადგან არც არავის არ ვეძებ შენში,
შენში შენ გხედავ, როგორიც ხარ, მუდამ ასეთი მომენატრები.
მადლობელი ვარ და გისურვებდი, თვითონაც ვინმე შეგყვარებოდა.
კარგია, როცა უყვარხარ, მაგრამ უფრო კარგია, როცა შენ გიყვარს!“

„აღარ არის მონასტერი,
მზე სიბნელის მომფენია.
არც ჰამლეტი აღარ არის,
ახლა საით ოფელია?“
**ოფელიას დღიურის ბოლო გვერდი:**
ღმერთმა ულმერთომ დამსაჯა და სიყვარულით დამაჯილდოვა
და საკუთარი სხეულიდან გამომაძევა.
მე წავალ, მაგრამ მდიდარი წავალ...
გადაივლიან ჩემს თვალებზე ქალაქები, გზები, ქუჩები...
გადაივლიან ჩემს სახელზე ჭორი და შური.
მე გვერდს ავუვლი ქალებს და ასჯერ უფრო სწრაფად —
მამაკაცთა დაჟანგულ მოდგმას
და წავალ იქით — პირველყოფილი ჩანასახების ქვეყანაში,
სადაც ჩვენი კონტურები არა ტალახით, აუმღვრეველი სისხლითაა მოხაზული.
წავალ და მეც ჩანასახად გადავიქცევი,
რომ დავისვენო და მერე ისევ დაგიბრუნდეთ, როგორც — სამიზნე.
შინაბერებო, ქვრივებო და გონიერო გოგონებო,
მე ნუ მომბაძავთ. თავს გაუფრთხილდით.
დამარხეთ თქვენი სიყვარული კაბინეტებში, განცხადებებში, ტელეფონებში...
თქვენი იყოს ოთხი კედელი მსახიობების სურათებით,
დიეტური სალათებით, სასწორებით და რომანებით,
თქვენი იყოს ქორწინების და განქორწინების ყველა მოწმობა...
მე რაღაც უფრო მეტს ველოდი...
ღმერთმა ასეთი კადნიერი მოლოდინისთვის დამსაჯა და სიყვარულით დამაჯილდოვა.
გადავივლი თქვენი ქალაქის მღვრიე მდინარეს, ფეხი არც კი დამისველდება,
წავალ მარტო და ხელცარიელი,
მაგრამ მაინც თქვენზე, ყველაზე მდიდარი წავალ.“

ვკითხულობდი და მუსიკას გლოვის, ხიფათის სუნი ასდიოდა,
ვხედავდი თანაგრძნობის უკან ჩასაფრებულ მშიერ სახეებს,
რომ სიცილისთვის პირი ეტაცათ, როგორც მწევარი ეცემა კურდღელს.
ვიგრძენი, როგორ დაიყივლა ჭრელმა მამალმა,
გულში ჩამკრა მჭრელი ნისკარტი და ჩემი გული ასწია მაღლა
სანაგვეზე ამოქექილი სიმინდის სუფთა მარცვალივით,
რომელიც თუმცა ბევრს არ ეყოფა,
მაგრამ სავსებით საკმარისია,
ყივილის შემდეგ ერთ მამალს ყელი რომ ჩაუწმინდოს.

მამაჩემი იწერებოდა: „გადაღება მშვენივრად მიდის. ზეგ უკვე გნახავთ.“
დედა კი მკერავს საყვედურობდა: „სულ ასე იცი! დღეისათვის უნდა მოგესწრო!“
**იორიკი:** ბატონო ჰამლეტ! მე ოდესღაც „შვილოს“ გეძახდით...
**ჰამლეტი:** ჰო, მეძახდი! ჰო, გიყვარვარ, ისე, როგორც
შაშვს შეიძლება შეუყვარდეს გუგულის ბარტყი.
მაინც სად არის დედაჩემი? თუმცა, რაღა თავში ვიხლი!
შედი, უთხარი, ოცი მანეთი გამოგატანოს, მელოდებიან!
**იორიკი:** ამ ოც მანეთს მეც კი მოგცემდით. ქალბატონი შეუძლოდ გახლავთ.
**ჰამლეტი:** რაო, რამეს ხომ არ აპირებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორიკი: აპირებს? ღმერთო, ის ხომ მშობელი დედაა თქვენი!
ჰამლეტი: მე კი მისი ღვიძლი შვილი ვარ.
ის, როცა რამე მტკიოდა ხოლმე, ფულს გიხდიდა ჩემს მოვლაში,
რადგან თვითონ არ ეცალა. ახლა... ახლა მეც არ მცალია.
აი, ჩამოვა მამაჩემი და გადაგიხდის,
ოღონდაც კარგად მიმიხედეთ ძვირფას დედიკოს!
რად არა მლანძლავ? რატომ არ მწყევლი? გეშინია?
„აქ მო-ის-ვენ-ეთ..."
მოვისვენე, დავისვენე და გავესვენე!
არა, ტაში რა საჭიროა, დაპირებული ოცი მანეთი მომართვით და მადლობა
მოიხადეთ, მეტს რომ არა გთხოვთ!"
იორიკი ჰამლეტის შემდეგ:
მე ვიცი, დილით მზე რომ ამოვა,
საღამოს — ჩავა.
ვიცი, მაგრამ ვითომ — არ ვიცი.
ხვალ შეიძლება აღარ მიყვარდე...
ვიცი, მაგრამ ვითომ — არ ვიცი.
ხვალ შეიძლება, მეც აღარ ვიყო.
ვიცი, მაგრამ... ვითომ — არ ვიცი.
მარადიული წუთიერების წუთიერი მარადისობა
ჰარმონიას ამყარებს სულში.
გოგონა კოსმეტიკის კაბინეტის კართან:
— გოგონებო, გოგონებო, შინისაკენ! გზაზე ბიჭი... ოჰ, — მგელია!
— როგორი?
— მგელი მგელია! რამეს გიშველის, ის თუ გაიგე, როგორია?
— აბა რა! აბა რა!...
სოლო I — გვეყოფა? ვითომ?
(ღიღინებს) — „მაგრამ რა ვქნა, წამალიც ხომ მწარეა,
თუ არ დალევ, აბა, როგორ მორჩები!
არ გინდათ, ნახოთ, ტკივილს როგორ აყუჩებენ?
აგერ სარკეში ჩაიხედეთ როგორია.
პაციენტი: ჰო, მაგრამ რატომ ასე უხეშად?
სოლო I: რომ გახსოვდეთ და გაფრთხილდეთ შემდეგისათვის.
ყველა სახეს თავისებური მოვლა ჭირდება.
დანარჩენი სეანსები ასე აღარ გაგიჭირდებათ.
ინებეთ პუდრი! ნაჭრილობევი არ დაგემჩნათ ვინ რას იტყვის, თუ შეამჩნიეს!
აბა, მომავალ სამშაბათამდე!
კოსმეტოლოგთა გუნდი: ასე იყო ეს ამბავი, ლხინი აქა, ჭირი — იქა!
სახეს — ტონი, თვალებს — ტუში, გამოფენა, ან — მუსიკა,
ანდა — ღვინო ერთი ჭიქა...
მაგრამ გვიან თუ მობრძანდით, ვერ გიშველით კოსმეტიკა.

### სველი ფოტო

შუაღამეა.
სადარბაზოსთან გოგო-ბიჭები დგანან, დგანან და ლაპარაკობენ.
რაზე? ახლა, ღამით, წვიმაში სადარბაზოსთან
რაზე ილაპარაკებენ გოგო-ბიჭები?
ხვალ ისინი სამსახურში არ მიდიან,
დედები ათზე, ან თერთმეტზე გაალვიძებენ...
ჯერ კი ასე იდგებიან, ვიდრე სამსახურში წასვლის დრო არ მიუკაკუნებთ
და არ გაიგებენ: სად და რა დროს და რა უნდა ილაპარაკონ.
ტაქსს დაედევნა გვიანი გამვლელი...
წვიმს.
წვიმა თუ ნაღველი წვეთავს ზეციდან, წვეთავს კაცთა ნაღველი
ღმერთთან მისული და უპასუხოდ დაბრუნებული.
ხვალ იქნება გადაიღოს, ან — ზეგ, ან — მასზეგ...
ჯერ კი — წვიმს... წვიმს... წვიმს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯგუფური ფოტო ქალით და უქალოდ ანუ მკვლელები**

დიასახლისებს თავისი ნაგვის ვედროებით სახლებიდან გამოაქვთ ღამე და წინადღე,
რომ გაატანონ ნაგვის მანქანას.
ე ჟ ვ ა ნ ი: „ძინნნ! ძინნნ!... გაასუფთავეთ თქვენი ბინა!“
მ ა ღ ვ ი ძ ა რ ა: „სამსახურისკენ! სამსახურისკენ! სამსა...“
„სკოლისაკენ! სკოლისაკენ!...“
დილა — სიზმრების ტრაგიკული დასასრული, ავტობუსის კარებს შუა თავნაგლეჯილი.
— ჩქარა, ჩქარა, გაგვიანდება!
ყ უ ლ ა ბ ა: მე ვარ ყულაბა.
მე რა ვიცი, ვინ გამოძერწა ჩემი ღიმილი, რად დამიტოვა თვალები ღია.
ვინ დამაყენა როიალზე, რომ შევინახო, რასაც ჩაყრიან.
რისთვის? ვისთვის? მან თვითონ იცის.
მე კი მეყოფა ყოველ ნაბიჯზე შიშით ცახცახი:
ან ახლა მოვა პატრონი და იტყვის, კმარა რაც ვაგროვეო,
ან — ახლა ვინმე იმდენს ჩაყრის, რომ ამავსებს
და ჩაქუჩის ერთი დარტყმით დამამსხვრევენ...
იქნებ... მაგრამ ვინ დაივიწყებს გავსილ ყულაბას?
დღეს იქნება თუ ხვალ, ოდესმე ხომ გავივსები,
თქვენ რა იცით, რომ მე სავსე ვარ არა განძით, არამედ — შიშით,
შიშით, რომ ერთხელ ყველაფერი დამთავრდება!
ყოველ საღამოს ვიფიცები: დავხუჭავ თვალებს, აღარ გავახელ აღარასოდეს, რომ
არაფერი აღარ ჩაყაროთ!
არც როიალზე არ გავჩერდები... გადმოვხტები... დავიმსხვრევი...
მაგრამ მე მხოლოდ ყულაბა ვარ...
ყოველ დილით ვუღიმი პატრონს...
დაიმახსოვრე თიხისაგან გამოძერწილი ჩემი ღიმილი
და სიყვარულის შავი ფიტული გახელილ თვალში!
შ ე მ დ ე გ: მე ფეხსაცმელებს შეგიკერავ, მე წინდებს გიქსოვ, მე სახლს გილაგებ,
მე შენი სახლის კედელი ვარ... შენ რას აკეთებ?
ტუჩის ორივე კუთხე ზევით და ტუჩებს შორის — კბილების ზოლი —
ჩამომხრჩვალი არ გინახავთ?
აი, ეგ არის ღიმილი, თუკი ამ შეკითხვას ვერ უპასუხე.
მაშინ შენი სიყვარული — მასხარას ჩაჩზე მიბნეული ვარდია და
გინდა ყოფილა, გინდა — არა!
მაგრამ ვინ იცის, ადამიანო, ვინ ბუდობს შენში,
ვინ ელოდება გამოზამთრებას,
რომ დღეს თუ არა, ხვალ გამობობღდეს
და რას აკეთებს, კი არ იყვიროს, უსიტყვებოდ ააფაროს ქალაქის თვალებს.
სალუდეში გაცნობილმა ბიჭებმა გკითხეს:
„საღამო ყავით, საღამო ღვინით, საღამო ძილით, საღამო შიშით და საღამო
სიყვარულით...

რომელს მიირთმევთ?“
„ყველას ერთად! მინდა, მოვასწრო!“
„რა ჭკვიანია! ვინ იყო შენი მასწავლებელი?“
„სიყვარული! თქვენი, ბიჭებო?“
„წადი შენიც და მასწავლებლისაც!“
ც ო ლ ი ს ხ მ ა: სამსახურში მაინც წადი, ჩემო ძვირფასო,
თორემ ქვეყანა აივსო და შენ აგერ გძინავს!
ო რ მ ა გ ი ფ ო კ უ ს ი: „როდის მეღვიძა, რომ დამეძინა?
ან როდის მძინავს, რომ გავიღვიძო?
ძილს რას ეძახი?
თვალს რომ დაწუჭავ, შეძვრები საკუთარ სიბნელეში და სიჩუმის ლეიბზე აგდიხარ?
ანდა სიფხიზლე რა გგონია?
სარკეში პალსტუხს რომ შეისწორებ,
იტყვი „იფ, რა ბიჭი ვარო“ და ქუჩაში გამობრძანდები?
სად მივდივარ? სად და — საქმეზე!
საქმე... საქმე...
მე ცოცხალი ვარ, მე — ვსაქმიანობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ცოცხალი ხარ, შენ — საქმიანობ...
ის...
რას ვსაქმიანობ?
ფიროსმანის ჟირაფს ვცვლი შვილის ახალ პალტოზე.
მე მეგონა, არ შემეძლო, მაგრამ... მაგრამ მივეჩვიე!
ერთხელ თუ გაცვალი, მერე სულ უნდა ცვალო და ცვალო.
ტკბილი ჩაისფერია დილა,
შუადღეს მუდამ სუპის გემო აქვს,
აი, საღამო (აქ იგი მორცხვად იღიმება)
ცოტა უფრო ფერადია".
ოჯახი: იმ ქალს თავისი სახელი ჰქონდა,
მრგვალი, მაგარი, როგორც თეატრის გარდერობში აღებული პალტოს ნომერი.
მეორე ქალსაც... მესამესაც...
მას დაუმძიმდა სმენა ნომრების ჩხრიალ-ჩხრიალით.
დაიფერთხა ჯიბეები და შინ წავიდა.
„შინ". რა მშვიდია აი, ეს სიტყვა და რა სავსე. ველარაფერს ვერ დავუმატებ.
ბედნიერი ხარ, თუკი გაქვს სახლი, სადაც „შინ" არის
და თუ არა გაქვს, მგზავრი, სტუმარი, ქუჩის ძაღლი ან — რამე უფრო უარესი.
შენი კუთვნილი ცოცხალი მიწა, სადაც ვერც ერთი არაწმინდა ფეხს ვერ დაადგამს,
სადაც შენ თვითონ იმიტომ მიხვალ, რომ ჭუჭყიანი ხელები დაიბანო
და ცოლის მორთმეულ ქათქათა პირსახოცზე გაიწმინდო.
მაგრამ შენ თუ შინ არ იქნები, ვის მიანდობ ამ განსაწმენდელს?
შენს დანახვაზე მადლობასავით ვის აღმოხდება შენი სახელი?
რომ დაბრუნდები, რა მოგაქვსო, კი არ გკითხავს,
როგორა ხარო, შეგეკითხება!
ქალი, რომელიც სახლის კართან იმიტომ მიდის, რომ შენ გაგიღოს.
მხოლოდ ასეთ ქალს შეუძლია, მარტოობა პურის ცომივით დააგუნდაოს,
მერე ჩააკრას ცხელ თორნეში,
მერე მოხადოს, ორად გატეხოს და მოგაწოდოს ერთი ნატეხი.
შენ დაუძახებ: „ქალო, წყალიც!" და ყველაფერი რიგზე იქნება.
„ეს ხომ ნამდვილად ჩემია... ჩემი..."
გამდიდრებული გლახაკის ხელი მუდამ ორმოში მარხავს ოქროს
და თუ მოპარეს, ნარჩენებს, მიწას ამოხაპავს, ოქრო ჰგონია, რაც ოქროსთან ახლოს იყო,
ჯიბეში იყრის და ორმოებს აღარ ენდობა...
მაგრამ ვაი რომ გახვრეტილია გლახაკის ჯიბე!
თუმცა ეს — შემდეგ...
მანამდე კი შეყვარებული გლახაკიც და არაგლახაკიც
ფუტკრებდასეულ, გაბრუებულ შუადღის ველზე ნიავს მისდევენ
და ჩურჩულებენ: „მარადისობა მდედრობითი სქესის სიტყვაა!"
შესვენება: „რომ გთხოვ, წავიდეთ,
შენ თუ მკითხე, საითო, მაშინ
ემჯობინება აღარ წამომყვე!"
შემდეგ: შინ რომ მივიდა, იმან და ცოლმა მოიჩხრიკეს გულები,
სულ კაპიკ-კაპიკ შეაგროვეს სიყვარული
(გაუკვირდათ — ეს რამდენი შეგვიგროვდაო),
რაც ბაზარზე ქრიზანთემები იყო იმ დილით, იყიდეს და შინ გაზიდეს...
სურათი თაიგულით ხელში ცოლთან ერთად — ნაწყვეტი სიყვარულიდან.
შესვენება: გადაიარა დღესასწაულმა
და გუბეში ჩავარდნილი მუგუზალივით შიშინებს ღამე.
შემდეგ: შეყვარებული ქალის დღეები...
თვითონ თევზსაც კი მდინარეს ზოგჯერ ცა ურჩევია.
მაგრამ წყლიდან თუ ამოხტება კალმახი, ისევ წყალში ჩახტება, შორს სად წავა?
ქალის სიყვარული ვიდრე ნაკადულში ცხოვრობს, კალმახია,
როცა ზღვაში გადაცურდება, — ქარიყლაპია.
მაშველი რგოლი: მეუღლე და ორი შვილი.
ახლა აღარ დაიხრჩობი, ნუ გეშინია!

გასაშრობად გაფენილი სარეცხის უკან აღარ ჩანს ცოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხისაგან ადენილ მტვერში აღარ ჩანს ცოლი,
საყიდლებზე გამოსულ სხვა ქალთა შორის აღარ ჩანს ცოლი...
და მეგობართან წავიდა კაცი, რომ შეეჩივლა.
გახსოვს, ბავშვობის მეგობართან საუბარი ოცი წლის შემდეგ?
ორი სხვადასხვა პოლუსის გამო
სიჩუმის შიში გაიძულებს, სიტყვები ცოხნო...
მან აქ იპოვა თავისი ცოლი, მხოლოდ... მხოოოლოდ
უცხო ლოგინში, უცხო ქმრის გვერდით.
მაგრამ ისე უჭერდა ყელში მარტოობის მოკლე თოკი,
იმდენი ყლაპა შიშის წყალი — მლაშე და მწარე,
რომ ჩაეჭიდა ორივე ხელით მაშველ რგოლს და ამოიოხრა:
„რამდენი დარჩა ნაპირამდე, მაინც — რამდენი?“

განა სულ ერთი აღარ არის დაცემამდე დაღლილ მგზავრისთვის,
სად შეისვენებს, ან რა წყალს დალევს?
ის კიდევ ჩრდილის ძებნას მოყვება,
ანდა იმას დააყურადებს, აბა, ერთი ნაკადულის ხმა საით ისმისო?
ის მგზავრია! ღმერთი არ არის!...
*შემდეგ:* მთელი სიცოცხლე მთების გასწვრივ მიაბიჯებდა,
თავჩაღუნული (ვაითუ რამემ მომტაცოს თვალი და ვაითუ გზა შემეშალოსო),
თუ სწორად ვივლი, ამ გზის ბოლოსაც მთა იქნებაო, მთა თუ არა, ბორცვი მაინცო.
ცოლი კი თხოვდა: „ადი რა მთაზე, ერთხელ მაინც, რომ ვიამაყო შენი სიმაღლით,
ერთი ყვავილი მომიწყვიტე, ერთი ფოთოლი...
მთის ყვავილებს სულ სხვა ფასი აქვს.
თმაში ჩავიბნევ, ბავშვებს მოვრთავ, გარეთ გავიტან...
დაინახავენ და შეშურდებათ მეზობლის ქალებს!“
კაცი პასუხად ილიმებოდა.
ოცი წლის შემდეგ მისი ღიმილი დაემგვანა
ბიოლოგიის კუთხეში დადგმულ არწივის ფიტულს.
„ვინ მაშველ რგოლს ეჭიდება, ვინ — რგოლია, ვინ ვაკეზე მიაბიჯებს და წინ ზომავს,
აბა მთა როდის გამოჩნდებაო.
ვინ სახლს იშენებს, ვინ — სახლია... შენ რას აკეთებ?“
*შემდეგ:* შვილები კიდევ ერთხელ გაძვრნენ ლოდის ქვეშ,
ბავშვობის ტყავი გადაიძვრეს და დაინახეს, რომ მათი მამა არ იყო სხვების მამებზე
დიდი და ღონიერი.
სად და როდის მოერეოდა სხვისი მამა იმათ მამას, ესეც იცოდნენ.
*მამა:* ზოგჯერ გინდა, ძილის წინ ბავშვებს ზღაპარი უთხრა,
მაგრამ ხიშტივით იჩხვლიტება მათი ბრძანება:
„ომზე გვიამბე... ომზე... ომზე...“
და როცა სძინავთ,
ყველა ზღაპარი ფეხაკრეფით მიიპარება ჩემი ძილიდან,
ძილიც თან მიაქვთ ტანსაცმელივით
და მიტოვებენ ყელგამოღადრულ მთვარეებს ღამის სასაკლაოზე.
მაგრამ ომზე მაინც ვუამბობ... იცოდნენ... უცბად არ დაიწყოს!...
იმათ გააკრეს „მონანიე მაგდალინას“ რეპროდუქცია გაზქურის ზემოთ, სამზარეულოში...
ხელები აკეთებენ, პირი ჭამს, ხელები აკეთებენ...
მე კი ქოთანში ჩარგულ ყვავილს ვუვლი გარშემო
და ვბუტბუტებ: გაიზარდე, გაიზარდეო!
*შვილები:* რიგში ჩადექი, რიგში! რიგი დაიკავე და წესრიგი დაიცავი!
ლურჯზოლიანი ყვითელი ავტო ხმის მაკრატლით...
ჩასხდნენ შვილები ამ ავტოში და ქალაქის გზას გაუყვნენ.
დედამათის სიხარული: მოკლულ მგელზე დასეული ბუზების ხროვა.
მაგდალინას კი რიგ-რიგობით აფარებენ
ჭამის შემდეგ წამოზრდილ მუცელს,
რომ არ გამოჩნდეს, რითი არიან ალსავსენი.
როცა ძალიან გამიჭირდება, იცით, მაშინ ვინ მეხმარება?
ვისაც ჩემზე უფრო უჭირს.
გამოვკითხავ, რა დაემართა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან საქმეზე ხელს წავაშველებ და მავიწყდება, მეც რომ მიჭირდა.
რ ი გ ი თ ი  კ ა ც ი: აჰა, მოვედი შენთა ხელთაგან გამოსული.
განა თვითონ შენ არ შემქმენი?
გევედრები, ნუ ტირი, ღმერთო!
ნუ ტირი, ღმერთო!
დასველდა დედამიწა! ატალახდა პურის ყანა! დაჭაობდა ვენახი!
წყალდიდობა ახრჩობს ქალაქს...
შენ ხომ ღმერთი ხარ, ყველაფერი შეგიძლია, ჰოდა, პატარაც მომითმინე!
სიძეს მანქანა უნდა, ბიჭს — სახლი!
საყვარელს ჩაუცმელს ხომ ვერ ვატარებ: აღარ მომეწონება,
ჭიქა ღვინო რას მეყოფა და ნატეხი პური,
ერთი ცოლი და ერთი ოჯახი!
იქით მოყვარეა, აქეთ — მოძულეა,
ყველა პასუხს ითხოვს, ჩემთვის ხომ არ მინდა!
განა შენ არ გამიჩინე ისინი?
განა მადაც შენ არ მომეცი?
კარგი ახლა! იქნება, გამოვსწორდე,
ერთი უბრალო კაცი ვარ, ისეთს რას ვაკეთებ?
გეყოფა, გევედრები, ნუ ტირი, ღმერთო!
„პ ა რ ა ს კ ე ვ ი“: ხვალ შაბათია (მე შეყვარებული ვარ).
მოდის წვიმა (მე შეყვარებული ვარ).
სასწაულია, დღე კი არა!
გამარჯობათ! გამარჯობათ! (მე შეყვარებული ვარ).
მოიწმინდე ცრემლები, გოგონი! აჰა შენ ვარდისფერი ბუშტი!
არაფერს, დეიდა! (მე შეყვარებული ვარ).
ვაშლი ამიწონეთ, გეთაყვა! (მე სასწორს ვერ ვხედავ, შეყვარებული ვარ).
ლექსების წიგნი, თუ შეიძლება! (მე შეყვარებული ვარ).
რა გაჩხუბებთ, რა დროს ჩხუბია, მეზობლებო! (მე შეყვარებული ვარ).
ააა — ოსვენციმი? დახაუ და ვიეტნამი? ინკვიზაცია? მოუკლავთო? ვერაფრით
ვერ დავიჯერებ!
(მე შეყვარებული ვარ).
რად იღიმებიან გამვლელები? რაზე მღერიან ტროლეიბუსები, რაზე?
ღამით გრძელდება დღე, დღისით — ღამე.
ადრე დავიძინებ., შაბათი ადრე გათენდება.
ხვალ შაბათია. მე შეყვარებული ვარ.

სად არის სიყვარული, სიკვდილამდე რომ დაეძებ და სიკვდილის მერეც?
სად არის, სად? ჩვენს შაბათ დღეში?
„თ ვ ი თ ო ნ  შ ა ბ ა თ ი“ — ნუ გეშინია! ღამე მხოლოდ მძინარე დღეა
და უმნეო უფრო ეთქმის, ვიდრე — საშიში!
ნუ გეშინია, ჩემი სიყვარული დაგიფარავს შენ მთელი ქვეყნის ბოროტებისგან.
მე? არა, არ მეშინია! მე რისი უნდა მეშინოდეს?
ბოლოსდაბოლოს — შინ შევვარდებით და კარს ცხვირწინ მივუჯახუნებთ.
— მაგრამ ხომ არის, ვინც შინამდეც დაგეწევა და იქნებ შინაც შემოგივარდეს!
ხომ არის ის, ვინც მოგერევა და წაგართმევს...
— ჰო, ალბათ არის! მაგრამ რაღა დღეს,
რაღა ახლა, რაღა ჩვენზე სანადიროდ გამოვიდოდა?
მონადირე კი არ ეძებს ნადირს, ნადირი ეძებს მონადირეს.
ვინ იცის, რამდენ ხაფანგს მალავს ღამის ულრანი! ვინ იცის!
ვინ იცის, ის აღარ არის!
დარტყმა! დარტყმა! დარტყმა... არიის!
რისთვის?
იმისათვის, მეორეჯერ რომ შემხვდები, არ მიცნო და არ მომერიო!
— გაიქეცი, გაიქეცი—ყვირიან მაყურებლები.
შენც გარბიხარ შინისაკენ...
შორსაა „შინ“, შორს! ველარასოდეს იქ ველარ მიხვალ!
დანა კი გირტყამს, რომ ამოგლიჯოს შენგან შაბათი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოთხაროს სიყვარული, ამოყაროს ქალაქი... ხეები... ლექსები...
იმისი საქმე სწორედ ეგ არის.
ოჰ, დანა, დანა!
როცა დანა არ იყო, ქვით ხოცავდით მაშინ ერთმანეთს,
თქვენ არ იყავით, ახლა დანას რომ აბრალებთ?
ახლა ვინლა გააცილებს მშიშარა გოგოს სახლში სალამოს ლექციებიდან
და ვინლა ეტყვის — „ჩემი სიყვარული დაგიფარავსო
შენ მთელი ქვეყნის ბოროტებისგან."
ქუჩებს ახრჩობს ჭრილობებიდან გადმომსკდარი შენი სისხლის ნაკადულები...
წყალდიდობა... ცრემლდიდობა... სისხლდიდობა...
სისხლში იხრჩობა ეს შაბათი, გოგოს კივილით დახლეჩილი:
„მოჰკლეს! უშველეთ! მოჰკლეს! უშველეთ!..."
„ეჰ, ანი ამას რა უშველისო..."
თვალი გააყოლეს ექიმმა, მასწავლებელმა, დიასახლისებმა, ქმრებმა და — სხვებმა,
ვიოლინო მიიხუტეს კონცერტიდან მომავალმა მუსიკოსებმა...
აი, მთების ქვეშ რომ მიდიოდა, იმან ერთხელ გაიწია,
მაგრამ ცოლმა არგაუშვა: გაგიჟდი? მთაზე ვინლა ავაო!"
ლურჯზოლიანი ყვითელი ავტო ხმის მაკრატლით!...
„ვინ მოკლა, ვინ? ვინ?"
„აი, ამათ"! — უთხრა გოგომ და ჯგუფური ფოტო დაუდო წინ.
ცრემლს სახეებზე ჩაუვლია და სისხლი ზოლ-ზოლად გაუტანია,
მაგრამ ცრემლი რას უშველის, ან — ყვირილი: „ვინ მოკლაო?"
ყველა ერთხმად: „სად არის ჰამლეტ?" „სად არის ჰამლეტ?" „სად არის ჰამლეტ?"
დედამისი ფანჯრიდან — „არდადეგებზეა, ბატონებო!"
ჰოი, ქალაქის სიბრალულო!
რა იქნებოდა, ფინიების და კნუტებისთვის დასხმულ რძეზე ცოტა მეტი ყოფილიყავი?
საფლავების თხრით და ძებნით მაშინ აღარ დაიღლებოდი!

„აი, ჩვენ ვკლავთ! შენ რას აკეთებ?"
კიდევ კარგი, მოდის წვიმა
დედამიწაზე დაღვრილი სისხლის გადასარეცხად, დედამიწის განსაბანად...
წვიმით სავსე ღმერთის თვალები ადამიანის გამოხედვაში...
პ ა ს უ ხ ი  ყ ვ ე ლ ა ს: მე რას ვაკეთებ?
წვიმას, წვიმას ვეხმარები, ჩემო კარგებო!

ბოლო სურათი

სალამოს ექვსი საათია.
კიბის პირველ საფეხურთან ქალაქის ფეხი...
ქალაქის გული, ქალის გრძელი თმით, როგორც — მტკვარით, შუაგაჭრილი.
ნაზამთრალი და დამშეული ბეღურებით ცადაჭორფლილი,
თოვლის დაფლეთილ, ჭუჭყიანი ქათიბის ქვეშ მოფუთფუთე,
მანქანების ახრჭიალებული კბილებით გადასასვლელებზე შეგუბებული.
შინისაკენ... შინისაკენ... შინისაკენ...
ცალი ფეხით, ორი ფეხით, კოჭლობით, ფრთებით, ყირაზე... შინისაკენ!
ქანაობს სასწორი, დახლებზე ქანაობს, თვალებში, ყურებში ქანაობს სასწორი.
ამ ოღროჩოღრო სიმფონიას გვერდით მოსდევს ბავშვის სიმღერა,
როგორც ფარას — უდედო კრავი,
ბავშვი ბურთს მისდევს, ბურთი მიგორავს გარაჟადქცეულ ეზოებში,
უფროსების „არა მცალია, არ მცალია"-ში,
ერთი ბავშვისგან მეორისაკენ, რომ ერთმანეთს არ დაეკარგონ.
პატარა ბავშვთა დიდი მარტოობის გამო
ბურთი მიგორავს ქუჩა-ქუჩა, ბავშვი კი მისდევს,
იქნებ ამ ბურთმა აპოვნინოს მეორე ბავშვი.
ის სხვა კი არა, შენი შვილია...
საბურავები... ბურთი... კაცი... ბიჭი... გინება... გმინვა.. მუხრუჭი და —
ასფალტზე ბლანტი წითელი გუბე.
სარკეც ეგ არის. ჩაიხედე კარგად, ქალაქო, ჩაიხედე! იცანი?
კაცი თავისივე სისხლის შავ ჩარჩოში.
უკუღმა დაბზრიალდა მისი დრო, ფერი ფერს გადაეფარა, ხმა — ხმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატარავდა, დაპატარავდა დედამიწა, თითქოს გაბავშვდაო,
დროსთან ერთად შეიმალა მის სხეულში და იქ გაცივდა.
ორმოც დღეში ამ ბიჭს აღარ ემახსოვრება ამდენი ხალხი, მანქანები, აურზაური
და დედა გულში რად იკრავდა, ვერ გაიგებს.
ის ცოცხალია. არაფერი არ ტკენია. რად ტირის დედა?
ბიჭმა არ იცის, მშობლების გარდა ვისი სიცოცხლე განაგრძო ახლა.
პატარაა ბიჭი, ალბათ ორმოც დღეში აღარაფერი ემახსოვრება.
ე პ ი ტ ა ფ ი ა: „მე ბავშვების ექიმი ვიყავი.
ახლა? ახლა ვინ მოარჩენს ამდენ პატარას სიცივისაგან,
ანდა ბურთს ვინ გადაურჩენს,
რომ არ მოედოთ მარტოობის ეპიდემია?

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ფოტოალბომის ბოლო გვერდი შავი ფერია...
შავია, როგორც გრამფირფიტა,
როგორც — მინა, ამოგლეჯილი ვაზის ფესვებში გარჩენილი,
როგორც — ყამირი გატეხვამდე.
გახსოვს, შვილები რომ მიიყვანე ფოტოგრაფთან?
სავარძელზე რომ გვერდიგვერდ დასხი და უთხარი:
„იქით უყურეთ! უყურეთ, ჩიტი გამოფრინდება!“
ერთს გაეხარდა: „აბა ჩიტი?“
მეორემ კი შემოგძახა: „ჩიტი არა!“
სულ სხვა სურათით დაიწყო მათი ფოტოალბომი.

სიკვდილის კედლებს საძირკველი აქვს სიცოცხლისა.
დილის რძეში ბანაობს ჩიტი.

●

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

* * *

გაზაფხულია.
მარტო მე ვარ უსაკმაულოდ,
არ შეგშურდებათ:
აყვავებული ჩემი თმები,
არც გაფოთლილი ჩემი ღიმილი,
მე მესიზმრება
კვირტები და ჩვილი ბალახი,
ჯერ ტუჩზე რძეც რომ არ შეშრობიათ.
ჩიტები ზეცას ფრთებს ატოლებენ
და ეღრუტუნებენ.
— თქვენ ხომ არ იცით, ის სიხარული,
მე რომ სახლში არ შემოვუშვი,
ვისთან წავიდა?!
ვეძახი ჩიტებს, მაგრამ სიტყვები
კენჭებივით მიწაზე ცვივა,
ჩიტები კი ცაში არიან.
მერე მზე მოდის.
უმიზეზოდ ვუცინი მზეს და
იმ სიხარულის გზას ვეკითხები,
კარზე ერთხელ რომ მომიკაკუნა
და გავიტრუნე,
თითქოს სახლში არავინ იყო...
ო, სიხარულო, ნებიერო!
შენ ისეთი ქალბატონი ხარ,
ვისი ფერებაც მე ვერ ვისწავლე
და დობილებში
შენი მსგავსი არ მირევია...
— თქვენ ხომ არ იცით, ის სიხარული,
მე რომ სახლში არ შემოვუშვი,
ვისთან წავიდა!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შვილს, რომელიც ოდესმე მეყოლება

რადგან ოდესმე უნდა მოხვიდე,
აუცილებლად სადმე იქნები,
გეალერსება გაუკვალავ ზეცის გადაღმა
გაუმხელი ჩემი ფიქრები.

შენ ახლა ალბათ ზეცაში ცხოვრობ
და ზოგჯერ მაინც დაგესიზმრება,
როგორ მეხვევა უსაშველოდ თავბრუ ყოველდღე
მტვრით, ხმაურით, ლექსით, „იზმებით"...

შენ ალბათ ისე ხარ გამჭვირვალე,
როგორც სიკეთე ანდა... ტეხური,
წელს არ აყვავდა ნეკისხელა ჩვენი ტირიფი —
ახლა წელში გადატეხილი.

მე შენს სახელზე დავრგავ ყვავილებს
და ზამთრის პირზე მათთვის ვიტირებ
და ამოვხედავ შენს საუფლოს ჩუმი ნაღველით —
ვარსკვლავებით სავსე ვიტრინას...

ალბათ მთელი დღე დარბიხარ ცაზე,
არ ჩამოგიცდეს ღრუბელზე ფეხი,
არ მოგამსხვრიოს ანგელოსის პაწია ფრთები
ბრაზიანმა ბებერმა მეხმა;

ქარს ნუ ენდობი, ქარები ხშირად
უღვთოდ ძირავენ ღრუბლების გემებს
და ჩემი მიწა — დედამიწა — შენი ცის ფსკერი
ელის დამხრჩვალ გემების გვამებს;

არ შეგაშინოს მიწის სიშორემ
და ღამეებმა თეთრმა და მკაცრმა,
ახლა მსუბუქად და კეთილად გიბრწყინავს ყელზე
წვიმის წვეთის წკრიალა აცმა;

მე შენ მიყვარხარ ისე უბრალოდ,
როგორც სიცოცხლე, მზე და ლექსები,
ახლა შენს გამო მეშინია გამოუცნობი
ბედისწერისა და ექსცესების.

მიმიხარია სიზმრის ბუდეში,
რომ დაგიკოცნონ თოთო თითები...
ჩემს სასთუმალთან წევს ზღაპარი, როგორც ნუგეში...
მოლოდინით თვლემენ მითები...

●

ნაზი ხაბრიძე

## თუშ ქალს

მე არ მსურს მაცნე თუშეთის გზისა,
შენც ნურას მეტყვი ქარო, აშარო,
თვითონ მიამბობს ქობა კაბისა
და შენი შავი ჩიქილა, ქალო!

რაც მოხდა თუშეთს, ოდესღაც ადრე
რომ იღვრებოდა სიმღერა გლოვად,
რომ ვერ გადარჩა ბრძოლის ნიაღვრებს
ელოს კოშკი და ვაჟკაცთა გროვა.

მიამბობს, ცეკვა რატომ აქვთ სწრაფი,
რატომ აცვია პატარძალს შავად,
ხმალში ელოდნენ და მხოლოდ წამი
რჩებოდა ლხინს და თვალშავა ქალას.

ჩქარობდა, რადგან კვამლი სდიოდა
ელოს, ფარსმას თუ წოვათის წაროს,
თორმეტი წლისას ბრძოლად ლოცავდა
ეგ შენი შავი ჩიქილა, ქალო!

დღეს შენი დღეა, მე ლექსს გთავაზობ
ბრძოლაში ნაქებ ჩიქილას ვლოცავ,
მუხლს ვიყრი შენს წინ, ქალო ლამაზო,
შრომის ფერხულში მღერიხარ როცა!

არც დღეს მსურს მაცნე, შრომის,
ბრძოლისა,
თასი ასწიე, დროშა გავშალოთ,
ყველაფერს ამბობს ქობა კაბისა
და შენი ჭრელი ჩიქილა, ქალო!

## სად ხარ, მამა!

აკვანში დავრჩი, როცა წახვედი,
მას შემდეგ მამა, ნაღველი მთანგავს,
ოცდაათია უკვე ლოდინის,
ოცდათერთმეტის მაისი დადგა.

მარტო აღარ ვარ ცხოვრების გზაზე,
თუმც უშენობამ მასწავლა სევდა,
მხნეობას ვიკრებ, რომ ძალა მივცე
ჩემებრ ლოდინით დაჭანცულ დედას.

ლოდინით ვუმღერ იმ მზეს, რომელიც
შენგან ნაჩუქარ სამშობლოს ქარგავს,
შენი თვალების შუქით გამთბარი,
ოცდათერთმეტის მაისი დადგა.

და ძლიერ მინდა ვიცოდე კარგო,
შენ სად მოგისწრო იმ ცხრა მაისმა,
როცა გადატყდა წელში მტარვალი,
როცა ბერლინში ვაშა გაისმა.

იქნებ ზღვას შენი ლანდი დააჩნდა,
იქნებ კოცონის მოგწვდა ალები,
იქნება, მამა, ცოცხლად გაწამეს,
ამოგიღამა მტერმა თვალები?

ვინ მიპასუხოს, კვლავ დუმს მაისი,
თვალს კი ლოდინის ცრემლები ნამავს,
ოცდაათია გიხმობ, გეძახი,
გამესაუბრე, სადა ხარ მამა!

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ის ქალი მე ვარ

დაგეძებ მარად — ცხადად თუ სიზმრად,
გეძებ, გპოულობ — ეს დამრჩა ჩვევად,
ანდამატივით რომ მიგიზიდე,
ის ქალი მე ვარ.
მე ვარ ის ქალი, რომ გესიზმრები,
ტრფობით დაგათვრე, შემხედე, მე ვარ,
შენს სასთუმალთან რომ მოვკალათდი,
ის ქალი მე ვარ.
თავად სიზმარო, გაქციე სიზმრად
და ეს სიზმარი ზღაპრის დარია,
დამეკარგები და კვლავ ზღაპრული
ამოვარდება ნიავ-ქარია...
ყველაფერს უკვე შენს სახელს ვარქმევ,
გავშალე, ვზარდე მზეებში ჩერო,
დაგისაკუთრე, დაგისაკუთრე,
სიზმარეულო ხატებავ ჩემო!
დარდივით ჩუმად შემოგეპარე,
ზოგჯერ შრიალა, ზოგჯერ წყნარი ვარ,
ხან დაგაღონე, ხან გაგახარე,
მე ის ქალი ვარ!..

ზემო ალვანი

●

## ლია გედოშვილი

* * *

ხელში მიჭირავს
სათამაშო,
დამსხვრეული და
თეთრი ცრემლით შეწებებული,
უკან მომდევენ პლაკატებით:
სიცოცხლესთან თამაში
ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა!

* * *

მე მქონდა ცრემლი, უშენობა
და შუა მარტი,
მაღალ ქუსლებზე შემდგარი კვირა...
ქარი... ამინდი უსახლკარო
კომედიანტი,
შებინდებისას ნოტიო ბინა.
ვამსხვრევ ჩარჩოებს
თავისუფალ ხატებს ვზარდები,
მშიერი თვალი აღებს სარკმელს,
ახანებს სურვილს.
სულ მალე ალბათ
ქარის ხმაზე გადავქანდები
და სულთათანას მიმღერებს
წვიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვინც კი მიყვარდა უმიზეზოდ
და დაუნდობლად,
ვასახლებ მძიმე კედლების იქით,
მივდივარ ნელი, ვერხვზე ნედლი
და გასაღუნი...
ჰაერი მთელი მახსენებს
სიკვდილს,
როგორც კეთროვანს
სიდამწვრის სუნი.
გიტოვებთ ღიმილს...
ღიმილი რჩება,
ელავს სიმართლე — ზღვა შუაღამის,
ყოფნა-არყოფნა — ორპირი თემა,
სისხლით აჭრილი და საწამლავი.

●

## მარინე წოწკოლაური

# მოთხრობები

## კომპოზიტორი მთვარე

გარდერობის თეჯირთან პალტოები გაიხადეს, ორნი იყვნენ. ორივეს ისე შემოსწკეპოდათ გავა-ბარძაყებზე შარვლები, რომ მჩხრეკელი თვალი შარვლის ნაკერებზე ნარღვევს დაუწყებდა ძებნას.

შუბლზე საგანგებოდ გადმოფხატული შალის ნაქსოვი ქუდები უმალ ცნობისმოყვარეობას აღძრავდა პირველმნახველში და ქუდის შიგნით მოქცეული თმის ვარცხნილობა დააინტერესებდა.

სქესში ცუდად გარკვეულ კაცს გაუჭირდებოდა გამოეცნო ვაჟები იყვნენ, თუ გადაცმული გოგონები; თუმცა თავი თვითონ გასცეს — ქალთა ჩვეულებას არც მათ უღალატეს და ვესტიბიულში ჭერს აბჯენილ სარკეს აეტმასნენ.

ერთმა ქუდი მოიხადა, კეფაზე დამაგრებული თმა ჩამოიშალა; ორივე ხელის თითები სავარცხელივით მოიმარჯვა და თმა ზურგისაკენ ისე გადაიხვეტა, რომ ოდნავ შეწითლებული ყურის ბიბილოს კვნიტები გამოიჩინა.

მეორემ ამოწიწკნილი წარბების აქეთ-იქით გაქცეული ბუწუწები სველი სალოკი თითით გაალარა; ორიოდე, ძლივსდამჩნეული უკმაყოფილო ნაოჭიანი შუბლი, ბალღის სუსტი ხელით მოკლაკნილ ხაზებიან ნახატს რომ მიუგავდა, ქუდით დაიფარა და მხოლოდ ქალებისათვის გასაგები და კეთილად ასახსნელი მიმოხვრით სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა.

— რა ნომერი მოგვცა მეგარდეროებმ? — იკითხა უქუდომ და თმა საფეთქლებთან თითებით დაიხუჭუჭა.

— ცამეტი.

— კარგია, მიყვარს ეს ციფრი!

— ყველას ეჯავრება.

— ჰოდა, მაგიტომაც გიყვარს. „ცამეტი“ შავ კატას ჰგავს. რა კატის ბრალია, რომ შავია. ბედნიერნი არიან ცრუმორწმუნენი, თავიანთ ცოდვებს და სისულელეებს კატებს აბრალებენ. ვითომ კატა რომ არა... კარგია ასე, ხომ იცი... შენ რაც გინდა, ის დააშავე, რა გენაღვლება, კატას დააბრალებ. აი, მე ვის დავაბრალო...

— შენს თავს.

— მეც კატა ვარ?.. ერთხელ ფეხმოტეხილი შავი კატა ვნახე. წელს ძლივს ითრევდა საწყალი, ჩვილი ბავშვივით კნაოდა. წავიყვანე სახლში და მოვარჩინე. ჩვეულებრივი კატა იყო, ოღონდ ბეწვი ჰქონდა შავი... წავედით?!.

რკინის ვეება ლომისთავიან სახელურს ჩაეჯაჯგურნენ.

— რას ჩაუკეტიათ კარი?! — გაბრაზდა ქუდიანი, — სკოლა ხომ არ არის, კაფეა.

ადგილ-ადგილ მოხსნილ ნათურებს, კბილებდაძრობილი ბებრის პირისათვის დაემსგავს-

ბინათ მრგვალი ფანჯრები. შერჩენილი, ბუზებისგან დაჭორფლილი, მომტვრეული ნათურები სუსტად ანათებდნენ დარბაზს.

გოგონებმა რამდენიმე ნაბიჯი ისე გადადგეს, თითქოს ერთმანეთის ზურგებს ეფარებიანო და მჭვრეტელთა შემთვრალ მზერას, თავები რომ დაახრევინათ, ტოლ-ტოლად ინაწილებენო. კუთხისაკენ გაემართნენ.

ქუდიანი მაღალი იყო, ძალიან მაღალი არა, უქუდოზე მაღალი; თეთრმკერდიან შავ სვიტრში გამოწყობილი, მერცხალს ჰგავდა.

დასიპულ თოვლზე მიმავალივით თითოეულ ნაბიჯს ისე მძიმედ და ფრთხილად დგამდა, თითქოს წაქცევას იყო ჩვეული.

მეორეს, უქუდოს, ჩანთა იღლიაში ამოეჩარა და მხრებში აწურულს ჯიბეებში ხელები ჩაეყო, გაუხედნავ კვიცებს უგავდა თავისნათქვამა თვალები. მეგობრისაგან განსხვავებით ისე უდარდელად მიაბიჯებდა, რომ ეტყობა მისთვის ნაბიჯიდან ნაბიჯამდე მანძილს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე წაქცევას; წაქცევისას სიცილი რომ დაეყარათ, თვითონ უფრო მეტს იცინებდა. ის იმ ასაკში იყო, როცა ადამიანები ცხოვრებისეულ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჭეშმარიტებებში ეჭვს შეიტანენ და გაურკვევლობა აიტანთ — „სასაცილო უფრო სასაცილოა, თუ გამსასაცილოებელი?!.“, „რად უნდა დაცინვა სასაცილოს, თუკი მის გარეშეც სასაცილოა?!. და ა. შ.

მაგიდას მიუსხდნენ.

— ჰო, წეღან რას ამბობდი?!. რას ჰგავს სუფრა! — ცხვირი აიბზუა ქუდიანმა.

— სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც იქნება გადატრიალებულ-გადმოტრიალებული.

— ჰო, მერე?!

— მერე რა... გამოვართვი ჩემი მოთხრობა, დავხედე და... სიტყვები თავისით შეუცვლია და ერთი მთლიანი აბზაციც გადაუხაზავს. რატომ შეცვალეთ-მეთქი, ვკითხე. არ მომეწონაო, ისე მიპასუხა, თითქოს იმის დაწუნებულს მომწონებელი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა. ეს აბზაცი-მეთქი?!. შეუძლებელია ადამიანმა ისეთი რაღაც იგრძნოს, რაც მანდ სწერიაო. ეს რაღაც მე ვიგრძენი და რახან ვიგრძენი, შესაძლებელი ყოფილა. იმის მოხდენა, რის შესახებაც გონებას შეუძლია აზროვნება, ყოველთვის შეიძლება და საერთოდ, იქნებ თქვენ ჩემი სახელი და გვარიც არ მოგწონთ, ბარემ ისაც გადაშალეთ და თქვენით შეცვალეთ-მეთქი.

— მართლა ასე უთხარი?..

— არა, ბიჭო...

— საოცარია, თვალებში რომ გიყურებ, ასე მგონია საპნის პრიალა ბუშტულებიან, აქაფებულ აბაზანაში ვწევარ და ვნებივრობ, თქვა ქუდიანმა.

— სხვებსაც ასე ჰგონიათ და კი ვერ გრძნობენ აბაზანაში წყალი რომ უცივდებათ... შენ კიდევ ისეთი თვალები გაქვს, რომ ხანდახან მრცხვენია ამ აბაზანებით შემოგხედო, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვინმე ნებივრობს წყალში.

ქუდიანი სკამზე გადაწვა, გულხელი დაიკრიბა და ჭაღს ახედა.

— ჰო...

— თითქოს ხალხის ყაყანს გაუბეზრებიათ ნათურები, ძილ-ღვიძილში არიან. პატარა რომ ვიყავი, მახსოვს კინოთეატრში ვიჯექი და ტვინს ვიჭყლეტდი, ნეტა ამხელა ჭაღები როგორ აიტანეს-მეთქი იმ სიმაღლეზე... მოვკვდი მშიერი... დიდხანს უნდა ველოდოთ?.. ოფიციანტ...

— გვატყობს ჯიბეებს რომ გვახევს ფული...

— ჰო...

იქით კუთხეში ორი შემთვრალი წყვილი ყიყინებდა. ერთ გოგოს, თავი რომ ბიჭის მხარზე მიესვენებინა, ღვინოსთან ერთად გადაეყლაპა კდემამოსილება და პომადიან ტუჩებს რაღაც უწმაწური სიტყვების სათქმელად რჯიდა. ბიჭი თავის ლოყაზე მილამუნებულ გოგოს თმას ეფერებოდა და მეორე ბიჭს თვალს უკრავდა, მეორე გოგო ჭკვიანი ეშმაკი ჩანდა. მეგობრის სიტყვებზე ამოიოხრებდა ხოლმე და ბიჭების მზერასთან შეგებებულ თვალებს მორცხვად ლაწვებ-აწიქარავებული ძირს ხრიდა.

უქუდომ თვალი მოსწყვიტა მათ. ცალ ფეხზე გადადებული მეორე ფეხის კვირისტავს იდაყვი დააბჯინა და ფიქრიანი სახე გაშლილ ხელში ჩამალა.

— მე კი, პატარა რომ ვიყავი... გაგიკვირდება ალბათ, როგორც გამოვიანგარიშე, ოთხი ან ხუთი წლის ვიქნებოდი... დედა მამას სიზმარს მოუყვა — ზღვაში ვიხრჩობოდი, გეძახე და ვერ მომისწარიო... მე გარეთ გამოვედი, დერეფანში კართან ავიტუზე და ავტირდი. ცრემლებს ვმალავდი, თუმცა დედამ მაინც შენიშნა და დამტუქსა — რა გატირებსო... რა იცოდა, რომ მე მისი სიზმარში სიკვდილიც კი ვერ ავიტანე. არ ვუთხარი. ასე მეგონა, დედამ არ იცოდა, რომ შეიძლებოდა მისი სიკვდილი, რომ მხოლოდ მე ვიცოდი, და ასე დიდხანს ბალღური გულით ვატარებდი ამ საიდუმლოს და არ ვამხელდი — არ მინდოდა დედას გაეგო, რომ ოდესმე მოკვდებოდა...

— მოკლედ, ბავშვობაშივე გეტყობოდა... გენიოსობამდე ცოტაღა გაკლია...

— ისაც იმიტომ, რომ...

— დანარჩენის ფასი გაიგო... დაღამდა. ნახე მთვარე ამოვიდა. გახედე, გახედე... ნოტების რვეულს ჰგავს ცა... მავთულების ხაზებში გახლართულან მთვარე და ვარსკვლავე-

ბი... დო-რემი... რაღაც მუსიკა იქმნება... გახედე, გახედე...

უქუდომ სანახევროდ წამოიწია და ფანჯარას გახედა:

— მართლა რა საოცარია, არა?!. კომპოზიტორი მთვარე... მოდი, ცოტა დავლიოთ, თან კომპოზიტორ მთვარესაც ვუყუროთ... ნოტებიც ჩავიწეროთ... სად დაიკარგა ის კაცი?!.

ოფიციანტმა ძლივს მოიხელთა დრო. წუთით მოირბინა და ისე, რომ გვერდით აყაყანებული კაცებისათვის თვალი არ მოუშორებია, იკითხა — ისევ ორი ყავა?!.

— შამპანური და...

— შამპანური ექვსი მანეთი ღირს...

— მერე?!. — გაოცდნენ გოგონები.

— რა ვიცი... აქამდე...

— ვერ ვიტან კაცები რომ მუშაობენ ოფიციანტებად და გამყიდველებად... ქალის საცვლების გამყიდველებად... ასე მგონია, თვითონაც იყიდებიან... — თვალი გააყოლა ოფიციანტს უქუდომ, — ვერ ვიტან, როცა სხვისი მთვრალი ცოლების ხუშტურებს ემორჩილებიან... ვერც ამ გადაპლესილ თმას და დაწყნარებულ სახეს... ადამიანს ცხოვრების ბობოქრობა თმაზე და სახეზეც უნდა ეტყობოდეს... ეხლა ეგაც ვილაცის ქმარი იქნება.... დამჟავებული ნერცხის სუნი ასდის ალბათ.

— იცი, რა მეჩვენება?!. ხანდახან შენი ნათქვამისა შენ თვითონ არა გჯერა, — საკამათოდ გაემზადა ქუდიანი.

— ღმერთმა დამიფაროს, მჯეროდეს...

— მე მგონი, იმიტომ ცინიკოსობ, რომ სხვისი დაცინვით საკუთარი სიძლიერე შეიგრძნო.

— კი, თუ ამას სიძლიერე ეწოდება... ზოგჯერ იცი, რა მგონია?!. რომ მე სულაც არა ვარ ისეთი, როგორიც ვარ და, რომ ჩემი თავი მე თვითონ გამოვიგონე... დღეს შენი შეყვარებული, თუ გადაყვარებული ვნახე, ცოლი მყავსო ავად.

— თუ ცხოვრებაში რაიმე სამაგიეროს გადამხდელი ძალები არსებობენ, ცოლი კი არა, თვითონ უნდა იტანჯოს, ცოლმა რა დააშავა.

— ყველაზე დიდი სასჯელი ხომ საყვარელი ადამიანის ტანჯვის ცქერაა.

— რომ არც უყვარს?..

— რა ვიცი, კაცები, ცოლის გარდა, ყველას სიყვარულს უმტკიცებენ, თუმცა როგორც ჩანს, მხოლოდ ისინი უყვართ... ნეტა რამ შეგაყვარა. ბაყაყის კანივით თეთრად დაწინწკლული მწვანე თვალები აქვს, თითქოს ხაოიანი. ვუყურებდი და მეზიზღებოდა... ისე შენი ბრალია თავიდანვე ყველაფერი. კაცს არც ისე უნდა ეფერო და ეალერსო, რომ თავზე დაგაჯდეს და არც ისე უნდა უბღვირო, რომ სულ გაგექცეს.

— ვერ გავარკვიე ისევ მიყვარს თუ არა, — ქუდიანმა ქვედა ტუჩი კბილებით ჩამლუჯა და განზე გაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ აღარ, რადგან ერთგულობ... ყველაზე დიდი სამაგიერო, ჩემი აზრით, ერთგულებაა. რაოდენ უნდა გძულდეს ადამიანი, რომ მისი ერთგული დარჩე.

— როგორ ვენდობოდი. ის კი თურმე საცოლეს ეძებდა. არ მიყვარს გარყვნილი კაცები! როგორც ქალს არ ეპატიება სიცუდე, ისე კაცს...

— ამ ცხოვრებას რას გაუგებ, ჩემო კარგო, — გაეღიმა უქუდოს, — ის, რაც გარყვნილება გვგონია, იქნებ სწორედ სიწმინდის ძებნაა და მეტი არაფერი... კაცები ნამდვილ ქალებს ვერ პოულობენ და ქალები კი მამაკაცებს.

...კარგა ხანს დუმილით სჭამდნენ საჭმელს დამშეული გოგონები. მერე ქუდიანმა შამპანურით შეავსო ჭიქები და საჭმლით ლოყაგამობურცული მეგობრის ჭიქას თავისი ჭიქა მიუჯახუნა — ჩვენ გაგვიმარჯოს, რომ სხვები ვადღეგრძელოთ.

უქუდომ თავი დაუქნია და ლუკმა გადაყლაპა — ის შენი გადაყვარებული ცოტას ხომ არ აფრენს?!.

— ვინ აღარ აფრენს... იმისი ცრემლები მაგონდება...

— ვერ ვიტან მტირალა კაცებს, — ტუჩები დამანჭა უქუდომ.

— ჰო, ტირიან და ვერ გაუგებ რა ატირებთ. წარმოიდგინე სისველისაგან გაჟიებული ცხვირი, დაწითლებული თვალები... თან ცრემლებს მანამ არ მოიწმენდენ, სანამ არ დაგანახებენ, რომ ტირიან. მერე იმ პატიოსან დედ-მამას ფიცილით გაიწყვეტენ — ჩემს სიცოცხლეში პირველად ვტირივარო... ამბობენ, კაცი როცა ტირის, რაღაცას ნიშნავსო...

— მხოლოდ იმას, რომ ტირილის შემდეგ ფრთხილად უნდა იყო, კაცები თავიანთ აჩვილებას და ცრემლებს არ გვაპატიებენ, — უქუდომ ჭიქა ხელში აიღო, — ვერ ვიტან მტირალა კაცებს. ჩვენ გაგვიმარჯოს.

* * *

— სამი ლიპი მოდის, — ისე შეკრთა ქუდიანი, როგორც მდელოზე თავქვეშჯეჯილამოდებული კაცი, ხელისგულზე ჭიამაიას რომ შესცქერის და უცებ ღრიანკალი გადაუვლის მუცელზე ცივი, ბლაუჭა ცაცებით.

უქუდოს გაეღიმა და მათკენ მომავალ კაცებს გახედა. ლიპი მხოლოდ ერთს ჰქონდა. ნასვამები ჩანდნენ.

— შეიძლება?!. — იკითხეს მათ და ისე, რომ გოგონების არც უკმაყოფილების და არც თანხმობის გამომხატველი უმნიშვნელო მოძრაობასაც კი არ დალოდებიან, სკამებს მოერგნენ.

ქუდიანის სახემ თითქოს ენა აიდგა. წარ-

ბებისა და თვალების მოძრაობით მეგობარს რაღაც ანიშნა.

ლიპიანმა გოგონების ნახევრამდე ფერშეცვლილ შამპანურის ბოთლს გახედა და ოფიციანტის სამზარეულოს კარიდან გამოყოფილ გაპოხილთმიან თავს გასძახა — შამპანური...

თავი წინადადების დამთავრებას არ დალოდებია, ცხვირის ნესტოები ისე შეათამაშა, თითქოს კაცების გემოვნება დაყნოსაო და გაქრა.

— დანარჩენი თვითონ იცის, — ახსნა კაცმა.

ფეხი ფეხზე გადადებულმა უქუდომ ახლაღა მოატრიალა თავი ზანტად. კაცების მხარეს ისე და იმდენ ხანს უყურა, თითქოს ცარიელა სკამებს უმზერს და თავისი მზერისათვის სხვა უფრო უკეთესი მყუდრო თავშესაფარი ვერ მოუძებნიაო.

მერე ისევ ისე ზანტად მობრუნდა. მაგიდაზე თითები ააკაკუნა და ვითომ იმის ნიშნად, მშვენიერ გუნებაზე გახლავართო, დასასტვენად მოკუმული ტუჩებიდან ჰაერნარევი ჩუმი ბგერები ამოუშვა.

იმ ერთს, ქუდიანის გვერდით რომ დაჯდა, სახედანაოჭებულს, ნიკაპსა და ყრონტს შორის ხორცი გამოწოვილი ცურივით დასჩუტვოდა. ბეცი იყო. ბრალის ჩამდენი კაცივით ბევრს ლაპარაკობდა.

— კაცი რაც უფრო ღრმად ჩაფლავს ნაცოდვილარს, მით უფრო მეტი მიწა უნდა დააყაროს კვალის დასაფარად, — გაიფიქრა უქუდომ და თითქოს სხეულმაც ყრუ ზრიალით დაუდასტურა.

გულთმისანი ოფიციანტი გამოჩნდა...

ლიპიანმა სასმელი ღვინის დიდ ჭიქებში ჩააქივლა, ჭიქის ტანი ნეკზე ფრჩხილწამოზრდილი ხელით დაბღუჯა და იქაურობის ავანჩავნობის ნიშნად მეორე ხელის აქნევით სმენა და გაგონება ინება.

— საქართველოს გაუმარჯოს... მუხას გაუმარჯოს, მუხას.. მის ფესვებს და კენწეროს ვენაცვალე, — გოგონებს მკაცრად გადახედა, — იმ მუხის ფოთლებსა და რკოს გაუმარჯოს... იმ მუხისაგან გამოთლილ შიბაქსა და კუბოს გაუმარჯოს... ქართველებს გაგვიმარჯოს... იოლი საქმე არ გეგონოთ ქართველობა!

კაცმა ერთხანს კიდევ ატორტმანა ვნებას აყოლილი ჭიქიანი ხელი ჰაერში, ეტყობოდა კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თეფშებზე ჩაშტერებულ თავის მეგობრებს რომ გახედა, ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და დაამატა — მე ამ სადღეგრძელოს ყველგან და ყოველთვის ვსვამ. ალავერდი თქვენთან, გოგონებო!

ქუდიანმა იგრძნო როგორ დაადგა მაგიდის ქვეშ მეგობარმა ფეხი ფეხზე. თვალებში შეატყო, რაღაც მოხდა. მერე მის მზერას გააყოლა თვალი...

...იჯდა კაცი და ტიროდა. ოდნავ მბჟუტავი სიგარეტიანი ხელით ხელსახოცი აეფარებინა სახეზე და კვამლის ბოლქვში გახვეული ცრემლებით ტიროდა. იჯდა მარტო. წინ ჯერ კიდევ გაუხსნელი ღვინის ბოთლი და სუფთა ჭიქა ედგა... და იმ ხარხარით გაყრუებულ, ღვინით გულატირებულ ხმებში, იმ მოჩვენებითში და ყალბში იკარგებოდა წრფელი და ნამდვილი...

— რაო, ტირის? — შენიშნა მესამემ, მელოტმა, აქამდე რომ სულ დუმდა.

— მოდი, მივიდეთ, — ქუდიანმა წამოიწია, მაგრამ რომ არავინ არ აჰყვა, ისევ ჩამოჯდა და ქვედა ყბის კანკალით, სასოწარკვეთით წაიჩურჩულა — ნეტავი... ნეტავი რა გვიშლის ხოლმე ხელს... რატომ არ...

...და ისევ მეგობრის ფეხის დაჭერა იგრძნო მაგიდის ქვეშ თავის ფეხზე.

— მაშ თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს გაუმარჯოსო?! — არა, აღარ ზანტობდა თვალებაელვარებული უქუდო, — გაუმარჯოს აგერ იმ კაცს.

— თქვენ საოცრად კარგი გოგონები ხართ. — თვალები მოჭუტა ბეცმა, — სად სწავლობთ?..

— ყველგან... სახლში, ქუჩაში... აქ...

— ოჰო?! — ეს მელოტი იყო, თავის მეგობრებთან შემოხიზნულს უფრო ჰგავდა, ვიდრე მათ ძმაკაცს. ის იმ დიდ მედუზას ჰგავდა, უნიათო ცხოველებიც რომ ერიდებიან და ძლიერნიც. ერთნი — გადაყლაპვის შიშით, მეორენი კი იმიტომ, რომ მისი დაბლლებძილი სხეულის ლორწოთი გასვრა ზარავთ. ძნელი იყო დადგენა მისი მხლებელნი რომელთ მიეკუთვნებოდნენ, ერთი კი ჩანდა, მის გარეშე უფრო უკეთ იგრძნობდნენ თავს.

— ოჰო! — ისევ გაიმეორა მან, — ყავის ფინჯნები გადაგიბრუნებიათ... გინდათ გიმარჩიელოთ?..

— ინებეთ, — უქუდომ ფინჯანი მიაწოდა.

— თქვენ რა... გჯერათ მარჩიელობის? — სახე დანაოჭებულს გაკვირვება გაუბეცდა თვალებში.

— ხანდახან დადგება ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში ისეთი დრო, როცა ფინჯანში დალექილი ყავისაც გჯერა, ყავის ჩხავილსაც, ცხვირის დაცემინებასაც და... თითებზე გადაითვალა ლიპიანმა.

მელოტმა კოსტიუმის ჯიბიდან სათვალე და ცხვირსახოცი ამოიღო და მინები დააკრიალა.

— ასეც ველოდი. ასეთი უცნაური და რთული ფიგურები მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ჭიქაში შეიძლება ყოფილიყო... აი, რას გეტყვი ჩემო გოგონი, — უქუდოს გაუღიმა მან, — თქვენს გარშემო ცხოველებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუჰ, რამდენი... ისინი თითქოს თავიანთი საკუთარი ცხოველური ცხოვრებით ცხოვრობენ... თქვენ კი დგეხართ მათკენ ზურგშექცეული, სახეზე ხელები აგიფარებიათ... მაგრამ ზურგი შეგიქცევიათ არა მათთვის, არამედ მათი საკუთარი ცხოვრების მიმართ. თვითონ მათ კი მარტოობის ძაფით უკავშირდებით... აბა, ერთი გული გავხსნათ... ოოო, რა მშვენიერებაა მიძინებული... გესმით, გოგონა, თქვენში მშვენიერებაა მიძინებული და აი, მოდის ერთი ჭაბუკი და...

უქუდო უკვე აღარ უსმენდა. დარბაზში ხალხი ირეოდა; მიდიოდნენ, მოდიოდნენ... ფულს იხდიდნენ, ხურდას უბრუნებდნენ და უცებ საშინლად შეეცოდა გოგოს ხელიდან ხელში გადასული ფულები — დამწყები ტკიცინები, სასმელისაგან აქოთებული, სიმკვრივეგამოსუტული თუმნები... და მათგან უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანებიც...

* * *

— მოგკლავ... — იკივლეს მეზობელი მაგიდიდან.

მერე უნუგეშოდ ღრიალებდა ვიღაც და სისხლით განებებულ ხელებს იფარავდა თავზე — მიშველეთ...

იფშვნებოდა ბოთლები, იღვრებოდა სისხლი... აღარ ჩანდა დაჭრილი, მკვლელი და მშველელი...

კაცებმა გოგონების მზერას თვალი აარიდეს. ლიპიანმა ჭიქები შეავსო — თუ მოსაკლავია, მოკლას... ალბათ ღირსია... ამ ჭიქით... უქუდო მხოლოდ მეგობრის გაგიჟებულ თვალებს ხედავდა. თითქოს იხვეწებოდა — ავდგეთო.

— განა შეიძლება ადამიანი სიკვდილის ღირსი იყოს... როგორ შეიძლება ადამიანი სიკვდილის ღირსი იყოს.

ალარ ახსოვდა როგორ გაჩნდა სკამზე გადასვენებულ დაჭრილთან. ტილოს ასველებდა და შუბლს ჰბანდა...

— აი, ესენი ვართ ადამიანები... აი, ესენი ვართ ადამიანები — ვიღაც მიეშველა.

...მერე ისევ მაგიდაზე უსიცოცხლოდ დამხობილი მეგობრის პირდაპირ ჩამოჯდა უქუდო; უცნობის სისხლით დაფარულ თავის ხელებს დააჩერდა.

...თავი ასწია და შეძრწუნდა — სამი დაუღლებული ზიზღი უმზერდა.

— თქვენ მართლაც კარგი გოგო ყოფილხართ, — თქვა მელოტმა, — აი, მე ექიმი ვარ და ასეთი რამეები არ მაღელვებს...

— ნამდვილი ექიმები კაცის კვლას ვერ უყურებენ... კაცის კვლის ცქერა დიდი დანაშაულია.

...და უცებ საშინლად მოუნდა გოგოს იმ კაცების მაჯები, ხელები, სახე თავისი სისხლიანი ხელებით მოესვარა.

— გოგონა, — კედელს მიაშტერდა ლიპიანი,—თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ.. დიდი ხნის წინ ჩვენც მივეშველეთ. და... კინაღამ ჩვენვე გავმტყუნდით.. არა! მხდალები არ გეგონოთ... ეხლა სხვა დროა... ოჯახი.. სამსახური... აბა ვის სიამოვნებს... არა! მხდალები არ გეგონოთ...

— თქვენ ძალიან კეთილი გოგონები ხართ, — შეაწყვეტინა მელოტმა.

უქუდომ მეგობარს თავი ააწევინა, ცრემლები მოსწმინდა. ერთმანეთს თვალებში რომ შეხედეს, მიხვდნენ, ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ — იქნებ ის, რასაც სიკეთეს უწოდებენ, ადამიანის მოვალეობაა და მეტი არაფერი...

* * *

...ფანჯარაში ისევ ჩანდა ნოტებიანი ცა... რაღაც მუსიკას ქმნიდა კომპოზიტორი მთვარე...

## ფუძის აჩრდილები

შუადღე იქნებოდა სოფლის ორღობე რომ ჩაათავეს ქალმა და კაცმა. ჩალეწილ ჩინჩხვრის ღობესთან ერთდროულად შედგნენ და ლოყებდაბერილი ჩემოდნები ძირს დაუშვეს. დაღლილებს ოფლით გასწუნწკლვოდათ სახე და ჩემოდნების ყურებისაგან ჩაჭრილი ხელისგულები.

ქალი განკირული იყო, პატარა ტანის. ღია ნაბლისფერი, მზეზე აკრიალებული, კეფაზე ზონრით გაკრული თმა თავის აწევ-დაწევისას სასაცილოდ უქიცინებდა და კაცის მხრებამდე ძლივსმიწვდენილი, პატარა გოგოს უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ კაცის ცოლს.

იდგნენ გვერდიგვერდ გულხელდაკრეფილნი და უძრავი თვალებით შეჰყურებდნენ აჭინჭრებულ ეზოში ლამის წელამდე ჩამდგარ, დაფიტული ფიცრებით კარ-ფანჯრებაჭედილ სახლს.

უმწეოდ ახედა ქალმა კაცს, მის მკლავს ჩაეჭიდა, კისერზე მოიხვია, იღლიის ქვეშ ცხვირ-პირი შეუყუჟა და ატირდა.

კაცს ხმა არ ამოუღია, ბაღლივით მინდობილი ქალი კიდევ უფრო მიიხუტა და გაირინდა.

მერე ისევ ხმაამოუღებლივ ჩამოსვა ქალი ჩემოდანზე, ჩინჩხვრიდან მოზრდილი ჯოხი გამოარჩია და ჭიშკრიდან გამოჩრილ ჭინჭარს დაერია... სუსხისაგან დამეჭეჭებული ხელები დაისრისა, ჩემოდნებს ხელი დაავლო და მობუზულ ცოლს გადათელილ ბილიკზე გაუძღვა.

* * *

შმორის სუნი იდგა სახლში. ობით მოხატული კედლები ალაგ-ალაგ სადაფივით აეკრია.. ლებინა ზედმიმკვდარ აბლაბუდებს და ლოქორების ნალოპრს.

...მერე ნესტიანი, შავად დანინწკლული ლოგინი გაჰქონდა გარეთ ქალს სლუკუნით — აი, ამ ტახტზე მე და ბებო ვიწექით... აქ პაპაჩემი იწვა...

— დედ-მამა სულ არ გახსოვს?!. — იკითხა კაცმა და კუთხეში მიმდგარ რკინის ნიბოებდაჟანგებულ ზანდუკს დაეჯაჯგურა.

— აბა, საიდან... სულ პატარა ვიყავი... რა გაცინებს?!

— ესენი შენებია?.. — ზანდუკიდან გაქუცული, ღილზე ნაჭერგადაკრულთავიანი თოჯინები ამოალაგა კაცმა და ცოლს გახედა.

— ვაიმე, ჩემი თოჯინები... ჩემი თოჯინები!.. — ქალი სირბილით მიიჭრა კაცთან და უხერხული მოძრაობით თოჯინები ხელიდან გამოსტაცა.

— ჩემი თოჯინები... ჩემი თოჯინები, — ისევ ატირდა ქალი.

* * *

კაცმა კარგა ხანს უყურა კაბებდაჩრჩილულ, ნესტისაგან დაჭორფლილ ტიკინებს და გაბავშვებულ ქალს... და უცებ საოცარი უცხოობა და მონიწება იგრძნო ლოგინის მოზიარესთან. გაზრდილიყო, გაყელზევითებულიყო მის მხრებამდე ძლივს მიწვდენილი ქალი.

გამჭვარტლულ კედელზე, ალაგ-ალაგ ჭერიდან ჩამონწრეტილ ნაწვიმარს თეთრი ბჯღალებით რომ ჩამოეხოკა, შავი ჩრდილები დაძრწოდნენ. ერთმანეთს ეტოლებოდნენ და იბღლარჯებოდნენ; კაცს მოეჩვენა, რომ ეს მოლანდებებიანი კედლები, თვალებდაჩიჩქნული ფარდაგები, ღილგამოჩურთული თოჯინები და ქალიც რაღაც საიდუმლოებას უმალავდნენ და მის წასვლას ელოდნენ, რომ აჩურჩულებულიყვნენ, ახმაურებულიყვნენ.

მერე ბრაზი მოერია კაცს. მას არ ენდობოდნენ, არ უმხელდნენ... რომ იქ ყოველი ნივთი მასზე ადრე იცნობდა ქალს... იცნობდნენ და უყვარდათ.

...და იმ სიყვარულის გულისათვის კაცი მზად იყო შეეძულებინა ცოლი; შეეძულებინა იმის გამო, რომ ის კიდევ სხვებსაც უყვარდათ და მასაც უყვარდა ისინი...

ეჭვმა ჩაიბუდა ოთახში... ეჭვიანობდნენ კედლები, ტახტები, თოჯინები და... კაცი.

კაცის გონება თითქოს სადღვებლად იქცა — ერთმანეთში აირია, აჭანჭყარდა უმწეობა, შიში, ეჭვი, სიძულვილი...

მერე შეიდლვიბა... და საშინლად მოუნდა კაცს იმ ამრეზილი, ამტრუჩული ნივთების გული მოეგო, ქალის ხელების დიდი ხნის წინანდელი სითბო რომ შერჩენოდათ. თვითონაც შეხებოდა და იმ სითბოსათვის თავისი ხელების სითბოც მიემატებინა.

* * *

ბაღის შუაში, მსხლის ხის ქვეშ რუ ჩადიოდა. გვერდს უქცევდა და ღობე-ღობე მიიპარებოდა.

კარგად მობრაწულ მსხლებს ლამის ყუნწებიც მომწიფებოდათ. ჩამოცვენილები ზოგი ღორღით ამოტენილ რუში და ზოგიც წყალზე გადაჩაჩხულ ბალახებში ჩაყრუნჭულიყვნენ.

კაცი ხის ტანზე მიყუდებულ დაფუტუროებულ კიბის საფეხურს მუხლით დაანვა, მოსინჯა. მერე თავისი ვეებერთელა სხეულის წონა წელსზემოსა და წვივტერფებში გაანილადა და თითქოსდა ამჩატებული ჩამოჯდა. სიგარეტს მოუკიდა.

ქალი ისევ დაილანდებოდა ბაღში. რუს პირას ჩაცუცქული მიწას ჩასცქეროდა, ხან ღობის ძირას ამოყლორტებულ ღრინკილებს ღეროებს უმტვრევდა, ატყავებდა და ღეჭავდა, ხანაც ვაზის ნაძირკვალებს უცაცუნებდა თითებს.

...დავიწყებოდა ქალს ქმარი და აღარ უკვირდა კაცს, უმძრახად დამდგარი ცოლი იმ დროში გადასახლებულიყო, როცა ჯერ არ იცნობდა მას.

ქალის გონებიდან გამოძევებული, ისევ თავზედმეტობის გრძნობას შეეპყრო კაცი და ნაწყენ გულს თავგზააბნეული ცოლისადმი თანაგრძნობით ანყნარებდა.

მერე გამოერკვა ქალი, კაცისაკენ წამოვიდა, წინ ჩამოუდგა და სახეწამონიქარვებულმა თავი ჩაჰკიდა. კაცმა თვალი შეასწრო მის თვალებში აჭინჭრებულ სახლ-კარს და მზერა აზიდა.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, — თქვა ქალმა.

— რა?!.

— აი, გატიალებულა აქაობა...

— მარტო შენი ბრალია?!. — იკითხა კაცმა.

— ჰო...

— მერე მე?!.

ქალმა არაფერი თქვა.

მერე ვეება მკლავი მოხვია მხრებზე და იღლიის ქვეშ შეყუჟა... და იგრძნო ქალმა როგორ შეუმსუბუქა ტანი კაცის სხეულში გადაწონილმა დანაშაულის სიმძიმემ.

* * *

იწვა ქალი... ფანჯრისაკენ გაცრიატებულ, ბოლოგაქნეულ სიბნელეს მთელ ოთახში გაებარჯღა ფრთები და წამწამებახამხამებულ ქალს უძილობით ახორკლილ თვალებს კორტნიდა.

ქალმა თავის გვერდით საწოლზე ძლივს დატეული კაცისაკენ შეაბრუნა თავი. კაცს საბ-

ეროვნული

ნიდან ამოეყარა მორგვა მკლავები და ხელები გულზე დაეკრიბა. ეძინა ოდნავ პირგახსნილს.

„ასე მკვდრებს უწყობენ ხელებს“... — გული შეუკრთა ქალს. გაუბედავად წამოიწია, მის სუნთქვას მიაყურადა, ხელები გადაუხსნა და აქეთ-იქით გადაულაგა.

კაცი არც შერხეულა.

..და უცებ უცნაურმა, შიშმა შეიპყრო ქალი — „იქნებ მოკვდა... არა! სუნთქავს... რომ ვერაფერს გრძნობს?!. ცოცხალი მკვდარი!.. იქნებ ღვიძავს და ჩემს დაძინებას ელოდება... რომ დამახრჩოს?!. კი, მაგრამ რატომ, რისთვის?.. სისულელეა... შევიშლები, რას ვფიქრობ... სისულელეა!..“

ქალი ისევ მიწვა. თვალებმოხუჭულმა შეუცდომლად დაითვალა ასამდე... ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... ვერ იძინებდა...

...ისევ კაცისაკენ შებრუნდა...

—...ვითომ სისულელეა?!. რატომ დამახრჩობს და... იქნებ სულაც არ უნდოდეს ჩემი სიკვდილი... იქნებ არც კი იფიქროს ჩემს მოკვლაზე... უბრალოდ, დაინტერესდეს როგორ მოვკვდები... მე რას ვიზამ?!.. ვიყვირებ?.. იქნებ მეც დავინტერესდე როგორ დავიწყებ კვდომას... აი, ასე...“

ქალმა ხელები ასწია და თითები გაფარჩხა, ყელისკენ ნელანელა დაძრა და...

— ა-ა-ა... — თავისივე ხელების ყულფში იკლაკნებოდა ქალის ხმამიხლეწილი ყელი... მერე საბანში გახვეული, შიშისაგან აძიგძიგებული დიდხანს ემალებოდა საკუთარ ხელებს და გონგადასულ ხმას...

სიჩუმის წუილს მხოლოდ ქვაზე ფეხწამოკრული, ბალის ბოლოზე ჩავლილი რუს ბურტყუნი თუ არღვევდა...

მამაპაპისეული სახლი თითქოს დედამიწის კეხზე გადალაჯულ ხურჯინად ქცეულიყო და ქალიც იმ ხურჯინში ჩაყუჟული, ფარდაგის გაპარული თვალიდან ჭვრეტდა ირგვლივს.

...ხედავდა ფანჯრის მინაზე ნათელს შავი წიხლებით როგორ სრესდნენ ჩრდილები, როგორ იწრიხებოდა შავი როზგის ქვეშ ბნელეთში მოხვედრილი უცხო ტომის ნათელი.

— „ერთი, ორი... ათი...“ — ისევ ითვლიდა ქალი და გრძნობდა გასაღების ჩხარუნით როგორ დადიოდა მისი საბედისწერო მეხსიერება ტვინის ამოღრანტულ ტალანებში და ბალღობისდროინდელ საშინელ ლანდებს საკნების კარს ულებდა...

— „ერთი, ორი... ათი...“ — თითოეულ გადანათვალს მოჰყვებოდნენ ლანდები.

...და ისევ ბალღივით მოუნდა ქალს საწოლი აეჭრიალებინა, ხმამაღლა დაეხველებინა, ფეხები დაებარტყუნებინა და დარწმუნებულს, რომ არავინ იქნებოდა, საწოლის ქვეშ შეეხედა...

უმზერდა ქალი ტანსაცმელჩამოძრობილ, ხორცმომპალ, სახიჩარ მოგონებას, პირღია ჭრილობებს და ფიქრობდა, რომ იქნებ მათაც აძრწუნებდათ და აშინებდათ ერთმანეთის დანახვა...

...მერე თვალებს მაგრად ხუჭავდა და აღარ უკვირდა რატომ უმალავდნენ ადამიანები ერთმანეთს ბევრ რამეს...

* * *

„...სიცხისაგან სახეაგურგურებული გოგო საწოლში შეტოკდა. წყალ-წყალა ძმრით გაჟიებული საფენი შუბლიდან მოიგდო და დაიკვნესა.

თავთან, ხის ტაბურეტზე, მოხუცი ქალი იჯდა. კალთაში ჩაწყობილ ხელებს ჩაშტერებოდა მხრებში მოკუზული.

— გტკივა რამე, შვილო? — შეირხა მოხუცი. საბანში ხელი შეუყო და ფეხებზე მოუსვა, — მოგიკვდეს ბაბო, რა ცხელი ხარ... არცა გშია?.. ჭამე რამე, შვილო, მთელი დღე მშიერი ხარ.

— არ მინდა!.. — ცრემლი მოერია ბალღს.

— იქნებ გწყურია?!.

— არა!.. ბაბო, როგორი არის სიკვდილი?!. დედაჩემი სიკვდილთან არის?.. ჰა?!. მერე აღარ გამოუშვებს სიკვდილი დედას ჩემთან?..

ქალი გაშეშდა. აქეთ-იქით ისე მიმოიხედა, თითქოს შველას სთხოვდა ვინმეს. ოთახის მეორე კუთხეში ტახტი აჭრიალდა და კაცის ჩაგუდული ღმუილი მოისმა.

— რა ვუთხრა ბერიკაცო, ამოიღე ხმა... — დაიჩურჩულა ქალმა.

— ჰა, ბაბო?!.

— არა, შვილო...

— მარტოს თუ არ გამოუშვებს, თვითონაც წამოჰყვეს... — გაჭირვეულდა გოგო, — ჰოდა, დედა, აღარ გავატანოთ...“

— „ერთი, ორი... ათი...“ — ისევ დაითვალა თვალებმოხუჭულმა ქალმა.

„—... რაც პაპაშენი მოკვდა, ღამეებს თეთრად ვათენებ შვილო, მეშინია... დაღამდება თუ არა, მოადგებიან ფანჯარას თეთრად გასუდრულები — დედაშენი, მამაშენი და პაპაშენი. მიქნევენ ხელებსა. წამოვიწევ, წამოვდგები, გავალ გარეთა და აღარ არიან უკვე. ახლა შორიდან მეძახიან.. .მივყვები გიჟივით...

მეჩვენებიან, შვილო, მეჩვენებიან... ალბათ ეშმაკები თუ შემოესივნენ სახლს. მე არაფრად მაგდებენ და... წამოიყვანე ეს შენი კაცი და წამოდით ორივენი აქ. მეშინია მარტოს, ყველაფრისა მეშინია. ავალ დღისით სასაფლაოზე, დავცქერი იმათ საფლავებს და მეშინია... არ ვიცი შვილო რისა... ჩამოვალ ისევ სახლში და გიჟივით ვფიქრობ, იქნებ იმ უბედურებს, მკვდრებსაც ეშინიათ-მეთქი ერთმანეთისა“...

ქალი წამოჯდა, თავზე ხელები მოიჭირა.

წვრილი ტკივილით სტკიოდა მთელი სხეული.

— გავგიჟდები... — დაიჩურჩულა.

ისევ მიწვა...

...კუბოში თალხიანი ქალი იწვა... დალეწილ სახეზე სველი, თეთრი ნაჭერი გადაეფარებინათ. გულზე დაკრეფილ ხელებზე ეტყობოდა, მოხუცი იყო.

— ბაბო, შენი ჭირიმე... — კუბოს კიდეს თავს ახლიდა ქალი.

— ჭირი შენ და ზახრუმალა!.. იტირე და მოიკალი თავი, იქნებ გააცოცხლო, — ჩურჩულით იგესლებოდა ვიღაც.

— ტს-ს-ს... — ჩუმად ქალო...

— გაიგონებს, თორემ ვერ ვეტყვი, აი... სიძის ნახვაც კი არ აღირსეს უბედურს...

— არც ეხლა ჩამობრძანებულა, ავადობსო...

— იმ კლდესთან რა უნდოდა შუაღამისას, ქალო...

— გაგიჟდებოდა ეს ბეჩავი, აბა რა დაემართებოდა... ქალ-სიძე-ქმარი თუ მოეჩვენა ისევ, აკი ჩიოდა. გაჰყვებოდა იმათ და გადაიჩეხებოდა კლდეზე..."

...შავი ფრინველი ნელ-ნელა კრუნჩხავდა ოთახში გაბარჯღულ ფრთებს...

* * *

...მერე ოთხ გავაკებულ საფლავთან იდგნენ ქალი და კაცი...

— მოვედი, ბაბო!..

— მოვედი!.. — თქვა კაცმა.

...ჯაგზე შემომჯდარმა მოთვალთვალე ყორანმა ზანტად წამოიწია და აფრინდა. კარგა ხანს იტრიალა ერთ ადგილას. მერე გახევებულ ცოლ-ქმარს თავზე დასჩხავლა და ფრთების ტყლაშუნით იქაურობას გაეცალა...

●

მაია სახოკია

## ჩემზე უმცროსებს

როგორც აპრილი, საკუთარი სურნელით მთვრალი,
მაისის ღვინის, ახლადახდილ ქვევრში კამკამი,
და სულ პირველად გაგონილი რჩეული ჰანგი —
მომეჭრა ისე თაობათა ტალღა ახალი.
ხანი გავიდა, განა ბევრი, სულ ცოტა ხანი,
ჩამოდგა ჩვენში ხუთი, ათი, რვა წელიწადი,
და თქვენ მოხვედით, სულ სხვაგვარად წელგამართულნი,
და თქვენს ღიმილში თავი ჩემი ვეღარ ვიცანი!
თქვენ ზიხართ ჩემს წინ, და გგონივართ თავისი ტოლი,
მე კი სევდაზე შემიძლია იმდენი გითხრათ!
შარავანდედად დაგდგომიათ თავს სასწაული —
თვრამეტი წლის ხართ, თვრამეტი წლის ხართ,
                                        თვრამეტი წლის ხართ!
თვრამეტი წლის ხართ, ოცდასამის, ოცის, თექვსმეტის...
დარდი თქვენს გულებს ჩემებურად არ გადათოვლავს!
და მეც არ გეტყვით, თქვენი ეშხის
                                        გარემოცვაში
თუ როგორ ვხვდები
                                        დაბრუნებულ ახალგაზრდობას!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ ე დ რ ე ბ ა

ნუ გამიხდები მიზეზი სიცილის დავიწყების,
ნუ გამიხდები მიზეზი ღიმილის დაჩრდილების.

ნუ გამიხდები მიზეზი ფერების გამქრალების,
ნუ გამიხდები მიზეზი პირწყალის გაქარწყლების.

სავსე მთვარისა და თვალთა სინათლის შემცირების,
ღამესთან დღის და სიკვდილთან სიცოცხლის შერკინების!

ო, ნუ იქცევი სიმბოლოდ იმედის გაცრუების,
გონების დაბრმავებისა და სმენის დაყრუების!

ო, ნუ იქცევი დეკემბრად მოკლე დღის დაღამების,
აჩრდილად ყველა ოცნების და რწმენის მოტყუების!

იყავი მუდამ წამალი ტკივილის გაქარვების,
და ნუ გახდები მიზეზი ჩემი მზის დაბნელების!

## ქვემოიმერული ჩანახატი

ოაზისებად — ბალახი და
საყდრები ხისა,
ღია კარებში
ლოცვა აღწევს
ძველი ეჭოდან...
საყდრის წინ იდგა
დიდებული ძელქვა
ეული,
და შორს ეულად
ველზე გამდგარ
მუხას
ეტრფოდა.

●

რუსუდან შუბლაძე

## შენ რომ ლამაზ ხარ...

შენ რომ ლამაზ ხარ,
ჩემი ხარ.
დავშრტები შენდა.
მზეს თავის ფეხით მოვიყვან შენთან,
ილოცებს შენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი წავალ და,
მინდვრად დავიღვრები ცისფერ კესანედ,
რომ ყოველ გაზაფხულს თამამად დამკრიფო,
შენი კვნესა — მე.
. . . . .
მე რომ შენი ვარ,
ლამაზ ვარ.

* * *

შიშველ ქუჩებში მივაბიჯებდი ძალზე ამაყი და თავდახრილი.
ფანჯრები უტიფრად შემომყურებდნენ უსასრულო თვალებით.
უნაზესი ტუჩებით ლამაზად მკოცნიდნენ თეთრი ფანჯრები,
მაგრამ მაინც:
ჩააცვით ფანჯრებს!

ისინი ჩემში ირეკლებოდნენ
ყოვლისმცოდნე და ამიტომ უღონო ბავშვების დარად.
აუცილებლად:
ჩააცვით ბავშვებს!

მერე გავრბოდი:
ბავშვებზე უფრო,
ქალებზე მეტად,
კაცებზე სწრაფად,
ვიდრე კედელმა არ შემაჩერა ოთხკუთხედ შუბლით.

ჩემზე ამაყ და თავდახრილ კედელზე,
მე შენ დაგხატე ლურჯი ხელებით,
და მერე ჩემი თვალები აგაფარე.

...შიშველი კედლების აღარ მეშინია.

* * *

ბავშვის თვალებით შემოგყურებ,
რაც დავიბადე.
ცისფერ სიშორეს ვიახლოებ ბავშვის სურვილით,
და ცივსისხლიან მწუხარებას იმედით ვათბობ,
ბავშვის იმედით.
და მაინც ფეხებარეული დავდივარ მუდამ.
ესეც... ბავშვივით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერეზა ჯოჯუა

## არწივი

დაქრიხარ, ფრთებზე თავისუფლებას,
მიარხევ, როგორც ქარი გრიგალებს,
ამ ფრთებში არის შენი სიცხადე
და გარდუვალი შენი უფლება,
მსუბუქი, როგორც ქარების სუნთქვა,
მათი სილაღე გრიგალებს თრგუნავს
და მხოლოდ შურით ატყორცნილ
ტყვიას,
ძალუძს ჩააქროს ელვარე ხილვა...
ჩვენ კი ფრენისთვის იმდენი გვინდა...
რომ უხილავი ავზიდოთ ფრთები,
რომ გაოცების ცრემლებმა წმინდამ,
შემოგვატაროს ოცნების გზები, —
სიტყვა, რომელიც მკვდარს
გააცოცხლებს,
გადმოფრქვეული შოთას სულიდან,
აუხდენელი გრძნობის სამოთხე,
ვით ბეთჰოვენის წმინდა მუსიკა...
და ქარი ჩვენი მამულის წმინდა,
რომ ფრთად გადიქცეს, გულში
ჩაგვესოს,
რომ ვიყოთ ღირსნი წმინდა
სამსხვერპლოს,
ო, ჩვენ ფრენისთვის იმდენი გვინდა...

●

იზა ცარციძე

## ჩიტი

ზუმბერაზ ვაჟას
იმ მაღალ მხარზე
შემოჯდომია პატარა ჩიტი,
და უნაზესი, ჟღურტულა ხმებით
ქოჩორა მთების ამბებს უამბობს...
...ვაჟა კი ლაღად მხრებგადაშლილი,
პროსპექტის თავში დგას ღმერთკაციებით
და მე მგონია აღტაცებული,
სულგანაბული ციცქნა ჩიტს უსმენს —
უსაყვარლესი ლორთქო ბალახის
და ცადაწვდილი ხეების ამბებს...

## იმ ზამთარს?!.

ამ ზამთარს როგორმე გავუძლებ,
იმედით, ლოდინით, ოცნებით,
აპრილში, ვით დღესასწაულზე
კონცერტით გამოვლენ ფრთოსნები...

ამ ზამთარს ამ ფიქრში გავუძლებ,
დღეებიც გაივლის იანვრის,
ალუბლის კვირტების ხმაურზე
იმღერებს ჩემი დღეც მზიანი...

...მე ვიცი კიდევ სხვა ზამთარიც,
იმ ზამთარს არ მოსდევს აპრილი,
ის არის მოხუცი, გამხდარი,
ლარნაკში დამჭკნარი ყვავილი...

ამ ზამთარს ვისტუმრებ მოთმენით,
იმედი ყველას მსურს გავუყო,
გული კი ჩურჩულებს მოწყენით —
იმ ზამთარს, იმ ზამთარს რა ვუყო?..

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულიკო დვალი

## სვანეთში ვარ

მთელი ღამე სვანეთში ვარ,
ვეფერები სვანურ კოშკებს,
უშბის თოვლის ფრთაზე ვზივარ,
უშბის მთიდან წყარო მოსჩქეფს.
შენი სახე მელანდება
ლამარიას ტაძრის ცასთან,
მენატრები, მენატრება
შენთან ერთად მთაში ასვლა...
მთელი ღამე უშბის თავზე
მთვარე მოჰგავს უცხო ყვავილს,
თოვლისფერი სევდით სავსე
უშბის ძირას ხარი ბღავის...
მთელი ღამე შენთანა ვარ,
არაფერი აღარ მახსოვს,

შენი მიწა, შენი ცა ვარ,
სიხარულის ცრემლი მახრჩობს...
ვეფერები ლორთქო ბალახს,
ბალახივით მინდორს მწვანეს,
ლამარიას სიზმრად ნანახს,
ჩქერებს, კოშკებს, მოხუც სვანებს...
ვეფერები სვანურ ღამეს,
იქ შენა ხარ ჩემი მარე,
უშბის თავზე სავსე მთვარეს,
და უშბაზე შობილ ქარებს;
ფიქრით მხოლოდ შენთანა ვარ
მთელი ღამე მელანდები,
ლამარიას ხატთან ვდგავარ,
მენატრები, მენატრები!

●

ციცინო მესტიაშვილი

# წინსაფარი

### მოთხრობა

არავინ ისე არ მძულებია, როგორც ეს მიცვალებული, ჩემს წინ რომ ასვენია. ძალათი უნდა ვიტირო, მივილო სამძიმარი.

სიკვდილმა ვერაფრით ვერ შესცვალა, ვერ შეარბილა ჩემი ცუდი განწყობილება დედამთილის მიმართ. ოთხი წელიწადია მის ნაღვლიან თვალებს ვუცქერი. ერთხელაც არ გაიღიმებდა, მხიარულად არ შემოგებებოდა, რაც უნდა დაღლილი დავბრუნებულიყავი სკოლიდან. წელს, მით უმეტეს, შვიდი ინგლისური ჯგუფი მყავს აყვანილი. თინიკოს დედამთილი კი სრულიად სხვანაირია, თინიკოს მეგობრებს ყველას მხიარულად გვეგებება. შესანიშნავად მღერის გიტარაზე, ახალ წელს ისეთი დრო გაგვატარებინა, არასოდეს დამავიწყდება. მართლაც სასიამოვნოა ასეთ ქალთან ურთიერთობა. ბოლოს დავასკვენი, რომ ჩემს დედამთილს არაფრად ვეპიტნავებოდი. როდესაც პაატას გული გადავუშალე და ყველაფერი ვუთხარი, მან ასე მიპასუხა:

— რა ვუყოთ, რომ არა მღერის და არა ცეკვავს, ის შენ არაფერს გიშლის; მე კი, იცოდე, დედის მეტი არავინა მყავს, არც ძმა და არც და...

სიმართლე უნდა ითქვას, დაუღალავი ქალი იყო, უთენია წამოდგებოდა და სანამდის ჩვენ გავიღვიძებდით, რძე მოტანილი და საუზმეც დამზადებული ჰქონდა: მუდამ ერთი ყვითელი, გახუნებული წინსაფარი ჰქონდა აფარებული, თითქოს იგი დაბადებით თან დაჰყოლოდა. ფუსფუსებდა მუშა ფუტკარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით გაზქურის წინ, და ზოგჯერ იცრემლებოდა და თავისთავს ელაპარაკებოდა.

...ახლა კი ხალხი, ხალხი. ყვავილები, ყვავილები. აგერ, კედელზე, ჩემი პატარა მაზლის ფოტოგრაფია ჰკიდია. ხუჭუჭი თმით, მოცინარი სახით ზის დიდი ბურთის წინ, თუმცა ამ პატარა ბიჭუნას არასოდეს აღარ ეღირსა ბურთის დარტყმა, იგი ოთხი წლის ასაკში დაღუპულა. მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. ეს ფოტოგრაფია ჩემი დედამთილის საწოლის თავთან ეკიდა მუდამ. ჩემი მეუღლე, პაატა, პროფესიით სამთო ინჟინერია. თმები კეფაზე ცოტა შესთხელებია, თითქოს ნავთობის ჭაბურღილში ჭვრეტას თავისი დაღი დაუმჩნევია და წელში მოუხრია, ამ სამ დღეში მობერებულა. მას ძალიან უყვარდა დედა, მწუხარე სახით იღებს სამძიმარს. მთელი მისი სამსახური — ნავთსაძიები, ტრესტის და სართიჭალა-ლილოს ინჟინრები აქ არიან. მას ძალიან პატივსა სცემენ.

პაატამ რომ იცოდეს... თუ რა მოხდა სამი დღის წინ...

— ჩემი დედამთილი მალაზიაში პურზე ჩავიდა. მე მაშინვე ტელეფონს მივვარდი და ჯაბა გომელაურის ნომერი ავკრიფე. ჯაბა... ჩემი სიყვარულის სათავეც ის არის და ბოლოც. ჯაბა... სწორედ ასეთი მეხატებოდა ოცნებით წარმოდგენილი მიჯნური — მრავალგზისი კონკურსების ლაურეატი, თვალსაჩინო პიანისტი, იგი პირველად თინიკოსთან გავიცანი.

— ძალიან მომწონს სახელი დალი, — მითხრა მან და თან ხელს არ მიშვებდა, — დიდი ხანია ვეძებ ისეთ გოგონას, რომ სახელი და გარეგნობა ასე საოცრად შეხამებოდეს ერთმანეთს. დედაჩემი სვანია. როდესაც მესტიაში ჩავდივარ, ისეთი რწმენა მაქვს, თითქო კლდეების უკან მიმალულ დალის შევასწრებდე თვალს.

თინა განათლებით ფილოლოგია და ჩვეულებად აქვს, საჭიროა ეს თუ არა, აუცილებლად ანტიკურ მითოლოგიას უნდა გადასწვდეს. ახლაც სიცილით უთხრა ჯაბას:

—კიდევ კარგი, რომ არ დაინახე, თორემ შენც ისეთივე დღე დაგადგებოდა, როგორც საბრალო ირმადქცეულ აქტეონს, არტემიდას ძაღლებმა შუაზე რომ გაგლიჯეს...

— ტყუილად ეუბნები ქათინაურებს, დალი გათხოვილი ქალია და მას ორწლინახევრის მშვენიერი გოგონა ჰყავს, — დაუმატა თინიკოს დედამთილმა.

— დალი გათხოვილია! მას ბავშვი ჰყავს?! — გაიოცა ჯაბამ და მის ლამაზ მწვანე თვალებში თითქოს ნაღვლის ნისლი ჩამოწვა.

— გირჩევნია ახლა შოპენის პოლონეზი დაუკრა, თუ გინდა, რომ ლევზელი მოგართვა, — წამოიძახა თინიკომ. ჯაბა დიდხანს უკრავდა ჩვენთვის. შემიძლია დღე და ღამე ვუსმინო მის ჯადოსნურ შესრულებას.

ასე დაიწყო ჯაბასი და ჩემი იშვიათი, მაგრამ მაინც შეხვედრები.

ორი კვირის შემდეგ ჯაბა საგასტროლოდ მიემგზავრება უცხოეთში. წინადადებას მაძლევს მივატოვო ოჯახი, ხელი მოვაწეროთ და თან წავყვე.

— მერე ბავშვი?! — ჯაბას, ეტყობა, ყველაფერი მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი აქვს.

— ბავშვს ჰყავს ბებია და მამა.

— არა, არ შემიძლია, — ვუარობ მე, — ბავშვს ვერ დავტოვებ...

— სულელო, ჩვენ ჩვენი გვეყოლება!

ჯაბას ხმა ხავერდივით რბილია და ჟღერადი, თითქოს სალამური ღუღუნებსო.

— მე ცოტა ხანს ჩაფიქრებული ვარ. პასუხს არ ვაძლევ.

— ალო, ალო, დალი, ჩემო ანგელოზო, ნუ ჩუმდები, მიპასუხე!

— კარგი, ასე იყოს! ხომ ხედავ, ყველაფერში გეთანხმები! — ჯაბას ისე უხარია ჩემი თანხმობა, რომ ლამის გადაირიოს, ვაშაა, ეს გამარჯვებაა, დიდი გამარჯვება, — ყვირის იგი და ტელეფონიც კი ირხევა მისი შეძახილებისაგან.

სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, მას ხომ თავდავიწყებამდე ვუყვარვარ.

ზურგს უკან მესმის ნაბიჯები, მოვიხედე, ჩემ დედამთილს ხელში პური უჭირავს და შეწუხებული თვალებით მიცქერის.

— მე ყველაფერი მოვისმინე, შენ საყვარელს ემუსაიფებოდი, — წარმოსთქვა მან დაღლილი ხმით.

თითქოს სახეში სილა გამაწნესო, უეცრად წამოვხტი.

— დიახ, ჩემი საყვარელიცაა და სიყვარულიც. მე შენი შვილი არ მიყვარს... რა ვქნა, არ მიყვარს, — დავისისინე მე.

— მე მაგას დიდი ხანია ვგრძნობ, — წაილუღლუღა მან და ხელიდან პური გაუვარდა. პური გაგორდა და მაგიდის ქვეშ შევარდა. ქალმა თვალებზე ხელი მიიფარა. ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა და ტანსაცმელზე ილვრებოდა. ამაოდ ცდილობდა თავი შეეკავებინა. შემდეგ ხმა აღარ ამოუღია, გატრიალდა და სამზარეულოში შევიდა. რატომ არ მეჩხუბა... რატომ არ აღიმაღლა ხმა... რატომ არ დამამტვრია ზედ, რაც ხელში მოხვდა... დიდხანს მესმოდა ქვაბებისა და თეფშების ხმაური, სადილს თუ ამზადებდა. ჩამოვარდა სიჩუმე და ახლა კვნესის ხმამაც მოაღწია ჩემამდე. შევვარდი სამზარეულოში. იგი სკამზე იჯდა, თავი კედელზე მიეყრდნო. სახეზე მკვდრის ფერი ედო. თვალები სანახევროდ დაეხუჭა. მხოლოდ ესღა ამოილუღლუღა:

ეროვნული

— წაიკითხე.., ჩემი წინსაფრის ჯი... — სიტყვის დაბოლოება ვერ მოასწრო, სუნთქვა გაეყინა.

ჩემი დედამთილი შაბათს დავასაფლავეთ. თუმცა დიდად არ ვგლოვობდი, მაგრამ რატომღაც გაოგნებული და დაბნეული ვიყავი. ნახევრადაც არ მესმოდა ვინ რას მეუბნებოდა, მექანიკურად დავდიოდი, მექანიკურად ვპასუხობდი. ვგრძნობდი, რომ სადღაც, ქვეცნობიერში ჩემთვის ხელშეუხები, უცნობი ფიქრები ირეოდნენ.

ახალი თავსატეხი წამოიჭრა ჩემს წინაშე: ჩემი დედამთილი აღარაა. ბავშვი? პაწია ნინო? — ამას მევე ვპასუხობდი, — პაატა მზრუნველი და კარგი მამაა. არ მიატოვებს. ბოლოსდაბოლოს, თავის უშვილო მამიდას გადმოიყვანს, სანამ ცოლს შეირთავს.

კვირა დილაა, ტელეფონის საგანგაშო ზარმა დაიწკრიალა. თურმე სართიჭალის ნავთობს ცეცხლი წაეკიდებოდა. ჭაბურღილიდან ხანძრის გავარვარებული ალები ცასა წვდებოდა, პაატამ ბრეზენტის ცეცხლგაუვალი ტანსაცმელი გადაიცვა და მასთან მოსულ ვილისში ჩაჯდა. ნინოს სიცხე აქვს. წევს თავის პატარა ლოგინში — ალბათ გაცივდა. იმ არეულობაში მეზობელთან მყავდა გაბარებული. ნინო ძლიერ მოძრავი და ცელქი ბავშვია, რომ ვუთხარი საბანი არ გადაიხადო-მეთქი მიპასუხა: „ალა, დედიკო“. ახლა ბრიალათვალება ნაჭრის ფისო უჭირავს და მას ეთამაშება. როგორც კი მარტო დავრჩი, მაშინვე სამზარეულოს მივაშურე, თავში განუწყვეტლივ მიტრიალებდა ჩემი დედამთილის უკანასკნელი სიტყვები, რაღაც წერილის თაობაზე. ჯაბასთვის წერილი არასოდეს მიმიწერია, არც მისგან მიმიღია წერილი. მაშ, ნეტავ რა წერილზე ლაპარაკობდა მომაკვდავი. აი, სამზარეულოში ლურსმანზე დაკიდებული წინსაფარიც, ყვითელი ფერის, მეტისმეტი ხმარებისაგან გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქული. მისი პატრონი აღარ არის, მაგრამ მას ახლაც ასდის საჭმელების სურნელება. იგი ფაქიზად და გემრიელად ამზადებდა ყველაფერს.

ჯიბეში ქაღალდმა დაიშრიალა, ოთხად დაკეცილმა ქაღალდმა გაიელვა ჩემ თვალებთან. რატომ ამიფანცქალდა ასე გული?! ვერ გიპასუხებთ.

„არ ვიცი როგორ მოგმართო, — იწყებოდა წერილი, — შვილს ვერ გიწოდებ, ვიცი ჩემი შვილი აღარ გიყვარს, თუმცა ცდილობ დამალო, მაგრამ ხომ გაგიგია: „კაცმა ჭირი მალაო და ჭირმა თავი ვერ დამალაო!“. დედის გულს არაფერი გამოეპარება. მე ჩემი შვილი მეცოდება. საყვედური იმაზე, თუ რატომ გამოყევი, თუ არ გიყვარდა, უკვე გვიანია.

ასეთივე მწარე თესლი დავთესე მე თვითონ და აგერ სიბერემდე ვიმკი მწარე ნაყოფს. არ გისურვებ, რომ შენც ასევე მწარედ, უსიხარულოდ გაატარო შენი სიცოცხლე. ყური დამიგდე: მე როდესაც პაატას მამას გავყევი, ოცდაორი წლისა ვიყავი, ის იყო დავამთავრე ფარმაცევტული ინსტიტუტი და ჩვენს ახლოს, აფთიაქში დავიწყე მუშაობა. პაატას მამა რაიონში გაამწესეს კოლმეურნეობის აგრონომად. მე და ჩემი დედამთილი თბილისში დავრჩით. ის იყო შემეძინა ჩემი პირველი შვილი, თენგიზი. ყოველივემ თითქოს ჩემს ჯიბრზე, ერთბაშად მოიყარა თავი. აფთიაქის გვერდით სვეტებიან, დიდ შენობას აშენებდნენ. მთავარი ინჟინერი ხშირად შემოდიოდა აფთიაქში. პირველად მან ვალერიანის წვეთები მთხოვა — ერთი მუშა-მშენებელი გახდომოდათ ცუდად. მეორედ ყურში ჩასაშვები სპირტი, მესამედ შესვენებაზე შემოგვესწრო და ნამცხვრები მოგვართვა. მას აქეთ არც ერთი შესვენება არ გაუცდენია, ყოველთვის საჭმელები და ტკბილეული შემოქონდა. „ჩვენც შენი ხათრით გვიმასპინძლდებაო“, იცინოდნენ თანამშრომლები.

ის კაცი ველარ ჩამოვიშორე. სადაც უნდა წავსულიყავი, თეატრში თუ ბაზარში, ყველგან ორეულივით თან დამყვებოდა. ხშირად გადამიწყვეტია მეთქვა — მეორედ არ გაბედო ჩემთან წამოსვლა-მეთქი, მაგრამ სათქმელი ისევ უხმოდ ქრებოდა... ბოლოსდაბოლოს, მეც ისე შევეჩვიე, რომ უიმისობა უკვე აღარ შემეძლო. ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ რა უნდა მექნა. მე მყავდა ქმარი, მყავდა სამი წლის თენგიზი.

— წამოდი ჩემთან და შენი ქმარი იძულებული იქნება განქორწინება მოგცეს, — შემომთავაზა მან.

— ბავშვი?! — ვკითხე შიშით.

იგი ჩაფიქრდა, სახე დაემანჭა და მიპასუხა.

— ბავშვზე უარს როდი გეუბნები, მაგრამ სჯობია ბებიას ხელში ცოტა მოიზარდოს, საბავშვო ბაღში სიარულს შეეჩვიოს და მერე წავიყვანოთ.

ისე ვიყავი დაბრმავებული და ჩემი გონება სიყვარულის ბურუსში ისე ღრმად იყო ჩაძირული, რომ უარი არ ვუთხარი.

მამაჩემმა ეს ამბავი რომ გაიგო, კინაღამ დამბლა დაეცა. წარმოშობით მთიული, ალალმართალი კაცი იყო, ვერც კი წარმოედგინა ოჯახის ღალატი.

— როგორ, ჩემმა შვილმა, ჩემმა სისხლმა და ხორცმა ოჯახი უნდა დააქციოს? არა, ეს შეუძლებელია!

მამა მუდამ ამაყობდა იმით, რომ მისი შორეული წინაპარი ოდესღაც ხევსურები ყოფილან.

— ადექი, წამოდი ახლავე სახლში! — მი-

თხრა შეშფოთებულმა მამამ, — წამოდი და პატიება სთხოვე შენს ქმარს, შენს დედამთილს, შენს პატარა ბავშვს. იქნებ გაპატიონ!

— არა, მე იქ არასოდეს აღარ დავბრუნდები.

მამაჩემს სახეზე წითელი ფერი დაედო. საფეთქლებთან ძარღვები დაებერა და თვალებიდან ცრემლები გადმოსკდა. — შენ გულის მაგივრად ქვა გქონია, ქალო! წყეულიმც იყავ, შე უკეთურო. ჯერ ჩემი თავი დავიწყევლო, ასეთი რომ გამიზრდიხარ. მერე შენ... — მას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ხველა აუტყდა, გავარდა და წავიდა.

გავიდა ერთი თვე. ახალი წლის წინა დღეს მე და ის კაცი მაგიდას ვუსხედით და გაზეთებს ვკითხულობდით. უეცრად მან უცნაურად შემომხედა, ბოლო გვერდზე გადაკეცილი „თბილისი“ დამიდო და მითხრა: — წაიკითხე!

შევკრთი, შემეშინდა, აცახცახებული ხელით ავიღე გაზეთი და სამგლოვიარო განცხადებების კითხვას შევუდექი. პირველი ჩემი შვილი ეწერა, პატარა თენგიზი. მას აცხადებდნენ ბებია, მამა, ჩემი ძმა და მამაჩემი. „დედა“ არ იყო ნახსენები. ჩემი შვილი მოკვდა, ხვალ ჩემ შვილს ასაფლავებენ. უკანასკნელად კარადის წინ გადავეხვიე და დავკოცნე. მაშინ მითხრა — დედიკო, ფეხი მტკივაო. მან ასე ეშმაკურად იცოდა თქმა, რომ ამეყვანა. იქნებ ფეხები ეტკინა და წაიქცა. იქნებ გადმოვარდა საიდანმე. ასე უცაბედად რა დაემართა, ის ხომ ჯანმრთელი ბავშვი იყო!

— ახლა რას იზამ, წახვალ, თუ როგორ მოიქცევი? — მკითხა მან.

მისი ხმა... მომეჩვენა, რომ მას რაღაც საზარელი ხმა ჰქონდა. მე ზურგშექცევით ვიდექი. მეძნელებოდა მისი სახის დანახვა.

— წავალ ახლა მშენებლობაზე, საქმე მაქვს. „წადი, წადი“, გავიფიქრე მე, „წადი... სადაც გინდა, იქ წადი. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. მე მარტო ვარ შვილის მკვლელი... ჩქარა მოდი, გეხვეწები, სიკვდილო, მაგრამ სიკვდილი თვითონ ახლა ჩემთან არ მოვა, არ მოვა, არა... წინათ, ვინც თავს იკლავდა, სულით ავადმყოფები მეგონენ. ვგევარ სულით ავადმყოფს? არ ვიცი... არ ვიცი... კარადიდან იოდის შუშას ვიღებ და უყოყმანოდ ვსვამ. მწარე სითხე შავი, მრუმე ღრუბელივით გადადის ყელში. თავი მტკივა, გული მიმდის და აღარაფერი მახსოვს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. როდესაც თვალი გავახილე, ვერავინ ვიცანი. ვერც ქალი ჩემს გვერდით, ვერც თეთრხალათიანი მამაკაცი, ჩემი ხელი რომ ეჭირა და პულსს ითვლიდა. მე საავადმყოფოში ვიყავი.

ჩემს გვერდით ქალმა სათვალე მოიხსნა, წიგნი დაკეცა და დაკვირვებით შემომხედა.

— სახლში დამზადებული ნიგვზიანი ბადრიჯნით მოვიწამლე. ერთი კვირაა [illegible] რა ამბავი იყო, თქვენ რომ მო[illegible]? მთელი ექიმები გარს გეხვეოდნენ. ჟანგბადის ბალიშებიც კი მოიშველიეს. მაინც როგორ გაბედეთ იოდის დალევა?

იგი გამომცდელი თვალით მიცქერის, როგორც პედაგოგი შეხედავს ხოლმე მოწაფეს, როცა იგი დამნაშავეა. პასუხს არ ვაძლევ. ჯერ ლაპარაკი არ შემიძლია. ქალი ისევ სათვალეს იკეთებს და კითხვას განაგრძობს.

მე წავთვლიმე. მეჩვენება ჩემი დიდი პაპა — ხევისბერი გრიგოლი ზედაშესთანა დგას. ზედაშე... ფიცრებისგან კოხტად გაკეთებული მთიულების პატარა სამლოცველო. შიგ დროთა მსვლელობაში გაშავებული ქვევრია ჩადგმული. ხავსმოდებულ კედლებზე მაცხოვრის ხატი მიუკრავთ. გვერდით პურისა და ქერის თავთავისაგან დაწნული გვირგვინი ჩამოუკიდიათ.

ხევისბერი თავთავს მკათათვეში დალოცავდა და ღვინოს — ღვინობისთვეში. რას მოუწოდებდა იგი მის უკან თავმოყრილ შაბალაიძეებს, ყველაიძეებს თუ ზაქაიძეებს? „არ იმრუშოთ, კაცი არ კლათ, არ იქურდოთ! დიაცნო, არ შებღალოთ მანდილი თქვენი. იყავით ღირსეული შთამომავალნი ნეტარი თამარ დედოფლის და წმინდა ქეთევან დედოფლის“!

ჩემი მეზობელი წიგნს ხურავს და სათვალეს იხსნის. — ხომ არ დავუძახო ექთანს? სახეზე ისევ ცუდი ფერი გადევს! უარის ნიშნად თავს ვუქნევ. არა, გული არა მაქვს ცუდად. ძალიან ყურადღებიანი ქალია. მიყვება ათას ამბებს, ძველს თუ ახალს. ჩემ სანახავად მხოლოდ ჩემი ძმა მოვიდა. ათი წუთით ფეხზე იდგა, არც დამჯდარა. მე ვდუმდი... ისიც დუმდა... მინდოდა მეკითხა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო... ვერ გავბედე... გაცილებით უკეთ ვარ, აღარაფერი მაწუხებს. ძალიან ყურადღებით იყვნენ ჩემს მიმართ ექიმები და ექთანებიც. უკვე გამომწერეს. გარეთ გასასვლელში ის მელოდება.

— ტყუილად მიცდი, მე შენთან აღარ დავბრუნდები, — გადაჭრით ვეუბნები.

გარეთ ცივა და თოვს. ზამთრის მოკლე დღე მალე გადავა და ბინდ-ბუნდში ჩამოწვება. უნდა ვიჩქარო. ტაქსს ვიჭერ და ჩემს მამიდაშვილთან მივდივარ. — ახლავე ჩაიცვი და თენგიზის სასაფლაოზე წამიყვანე! — ვეუბნები მე.

ალბათ ისეთი შეშლილი სახე მქონდა, რომ უარის თქმა ვერ გაბედა. უხმოდ ჩაიცვა და წამომყვა.

გზაში შევიტყე, თენგიზის სიკვდილის მიზეზი. სადილად ბებიამ ქათმის ხორცი მისცა, უეცრად ძვალი გადაყლაპა და სულმოუთქმელად შემოაკვდა ბავშვი მოხუცს.

აი სასაფლაო. ყველაზე მწუხარე ადგილი

დედამიწაზე. კიპარისები მონყენილად შრიალებენ. თოვლის ზვინებიდან იცქირებიან ცოცხალი მიხაკები, ვარდები. — შენ წადი, მე ერთ საათში დავბრუნდები, — ვეუბნები ჩემს თანამგზავრს.

არც ერთსა და არც ორ საათში აღარ დავბრუნდი. მთელი ღამე იქ გავათენე. მხოლოდ საკვირველი იყო, შიშსა და სიცივეს არა ვგრძნობდი; გათენებისას დავინახე ჩემკენ მომავალი მამა და ძმა.

— წამოდი სახლში... ადამიანს აღარ გევხარ... — მითხრა მამაჩემმა. ჩვენ საფლავზე ვხვდებოდით ერთმანეთს, მე და პაატას მამა, ვხვდებოდით ერთმანეთს კვირეებისა და თვეების განმავლობაში.

ერთ მშვენიერ დღეს პაატას მამამ ველარ მოითმინა და გამომელაპარაკა, თითქოს ჩვენმა შეწყვეტილმა ცხოვრებამ ისევ ცხოველი ხასიათი მიიღო. მან წინადადება მომცა შევრიგებულიყავით. ჩემი დედამთილიც ამის მომხრე იყო. „მე სხვა რძალი არ მინდა, სანამდის ის საძაგელი მთავარი ინჟინერი ოჯახს აგვირევდა, ტკბილად ვცხოვრობდითო". ასე მოხდა ჩვენი შერიგება.

მისმინე, დალი! ალბათ მიხვდი, რისი თქმა მინდოდა. მეტს ველარაფერს გეტყვი, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. ეს წერილი მაშინვე დახიე, პაატამ არაფერი იცის".

მე თვალები დავხუჭე. ცოტა ხანს ასე ვიყავი გარინდებული. ფიქრებში წასული. საათმა ხუთი დარეკა, ჩემს გონებაში ვერ გამჯდარიყო ამ წერილის შინაარსი, რადგანაც რაღაც უფრო ძლიერმა შემიპყრო. საათის რეკვამ გამომაფხიზლა, ექვსზე ჯაბა მოვა. უნდა ვიჩქარო... ვიჩქარო... წერილს ვწერ. ხელი მიკანკალებს, ვწერ და ისევ ვხევ. არა, სჯობია ჩემი ახალი სახლიდან, ჯაბადან დავურეკავ... ყველაფერს ავუხსნი. ნინოს მშვიდად სძინავს თავის მოაჯირიან საწოლში. პატარა ხელები გულზე დაუწყვია და ტუჩები მაგრად აქვს მოკუმული. სწრაფად ვილებ და კაბებს უსწორმასწოროდ, დაჭმუჭნულს ვყრი. შემდეგ ცოტა ხანს ვდგავარ ნინოს საწოლთან. მინდა უკანასკნელად ვაკოცო ჩემს გოგონას. არა, არა, რა სულელი ვარ, გაიღვიძებს.

მეზობელს, დეიდა ვერას ვუკაკუნებ.

— ჩემი მეგობარი თინიკო სოფელში მიდის, მინდა გავაცილო. იქნებ შემაგვიანდეს. პაატას მოსვლამდე გთხოვთ შეხედოთ ნინოს. მას სიცხე აქვს და სძინავს, — არ ვიცი, დაიჯერა თუ არა, სწრაფად მივრბივარ პაემანის ადგილისკენ. აქ კი არასოდეს აღარ დავბრუნდები.

პაატა ცოტა ხანს განაწყენებული იქნება. შემდეგ დავავიწყდები და ცოლს შეირთავს. ჩემს ნინოს დედინაცვალი ეყოლება. იქნებ ღვთისნიერი ქალი იყოს და დედობა გაუწიოს.

ჩემოდნით ხელში ვდგევარ მაღალი, თეთრი სახლის წინ. ვუცდი. სახლის კუთხეში კედელთან მიკრული მილიდან წყალი წვეთავს. წყალს პატარა, მტკაველის ხელა გუბე გაუჩენია. ანკარა წყალში რამდენიმე კენჭი ლივლივებს.

მე ისევ წყლის წვეთებს ვუყურებ. თითქოს ცრემლებია, ისეთი გამსჭვირვალეა. ვტირი... ეს მილიდან კი არა, ჩემი თვალებიდან გადმონთხეული ცრემლებია. ნინოს ახლა სწყურია, სიცხიანი პატარა წყალს თხოულობს. ამ დროს ქარმა დაიშრიალა და გადაყარა შავი ღრუბლები, ქარი შრიალებს, თითქოს ნანას უმღერის დედისგან მიტოვებულ ბავშვებს.

შემოდგომის ცაზე უამრავი ვარსკვლავები აკიაფდნენ. ისინი მარადიული მსაჯულების თვალებით მიცქერიან, თითქოს მემდურიან, მისაყვედურებენ კიდევაც.

მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ჯაბა შევნიშნე. ის გაჩქარებული მორბოდა. ხშირ ხუჭუჭ თმას ქარი უწეწავდა. აქეთ-იქით იცქირებოდა, მე მეძებდა. „ჩქარა, არ დამინახოს", გამიელვა თავში. სადარბაზოში შევვარდი და კარის უკან ავიტუზე. კარების ხვრელიდან ვხედავდი, როგორ შეჩერდა და თმა გაისწორა. შემდეგ ხის ქვეშ დადგა და ლოდინი დაიწყო. შიშისაგან, რომ არ შევემჩნიე, სუნთქვაც კი შემეკრა. ღმერთო დიდებულო, როგორ მაგვიანდება! თვითეული წამი ტანჯვისაა. ალბათ დიდი ხანი გავიდა, რომ ასე ძლიერ დავიღალე. ქარი გაშმაგებით აშრიალებდა ფოთლებშეტრუსულ ჭადრის ხეებს და აკაციის ტოტებს. ჯაბამ გაიარ-გამოიარა და ისევ იმ ადგილას დაბრუნდა: ვიღაც მამაკაცი შეჩერდა მასთან.

— რას უდგეხარ ჯაბა, უცდი ვინმეს თუ?

— ვუცდი, ჩემო მურმან, დიახაც ვუცდი. ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს ვუცდი.

— ალბათ საცოლეა, ასეა ხომ? — არ ეშვებოდა კაცი.

— საცოლეა, ჩემო მურმან, საცოლე!

ცოტა ხანს კიდევ საუბრობდნენ ჯაბას გასტროლებზე უცხოეთში, მის რეპერტუარზე. მამაკაცი წავიდა. ჯაბა კვლავ მიცდის. უეცრად შემოტრიალდა და რატომღაც სადარბაზოში შემოიხედა. ისევ მიტრიალდა, ალბათ გადაწყვიტა, რომ აღარ მოვიდოდი. ნელნელა გაუდგა გზას. მე გავიქეცი. მივრბივარ როგორც კურდღელი, რომელსაც ჩირგვებში რაღაც საშიში ხმაური შემომესმა. აგერ ჩვენი კიბეც, პირველი საფეხური ჩამომტვრეული აქვს.

გაჩქარებული ვაბრახუნებ დეიდა ვერასთან. „— რა დაგემართა, დალი, რატომ ხარ ასე შეშფოთებული? იქნებ წყალი დალიო, ჰო, მართლა აი შენი გასაღები". ვაჩხიკინებ კარებს, თითები მებლანდება. ძლივს ვაღებ.

მიყრილი სკამები... სარკეს ისევ თეთრი ზეწარი აქვს გადაფარებული.

ოთახში ცივა, ჯერ გათბობა არ ჩაურთავთ. ნინოს ისევ სძინავს. აი ახლა კი ვაკოცებ. მინდა, რომ გაიღვიძოს. ის იღიმება. სიზმარში ფისოს და ცუგას თუ ხედავს. შევდივარ სამზარეულოში. ჩემი დედამთილის ყვითელ წინსაფარს ვიკეთებ და სახლის დალაგებას ვიწყებ. საათი ღამის თორმეტს რეკავს. ზარია. ეს პაატას ორი ზარია. იგი ლილოდან დაბრუნდა. ტანსაცმელი ერთიანად გაშავებული და დასვრილი აქვს ნავთობში. მის სახესაც ხანძრისა და ცეცხლის სუნი ასდის.

— ჩავაქრეთ ცეცხლი. ჭაბურღილებიც გადავარჩინეთ! — მეუბნება იგი მხიარულად, არ იცის, რომ მისი კერაც ხანძარს გადაურჩა.

— ჩქარა აბაზანაში! — ვეუბნები მას. იგი გაკვირვებული მიცქერის. ჩემგან იგი ასეთი განებივრებული არაოდეს ყოფილა. სანამ პაატა აბაზანაშია, ნინომ გამოიღვიძა, მეხვევა, მკოცნის. მას მინდვრის ყვავილების სურნელი ასდის.

— არაფერი გაქვს საჭმელი? — მეკითხება პაატა.

— დედიკო მეც მშია!

— ახლავე ორივეს დაგაპურებთ; — შევრბივარ სამზარეულოში და პაატაც მომდევს. მას ლილოს ნიავქარისგან შერუჯულ სახეზე სიამოვნების ღიმილი ეფინება.

— ერბოკვერცხს გაგიკეთებ. დღეს მეტს ვერაფერს გაჭმევ, — ვებოდიშები.

ქურასთან მივრბივარ და ცეცხლს ვანთებ. თითქოს ხევისბერის სახლში შუა ცეცხლი აინთო, ცეცხლი, საიდანაც ადამიანთა სიყვარულით გამთბარი სითბო ილვრებოდა.

●

## ნაილი ნეკერიშვილი

* * *

ამ სამყაროში, საგანთა უზარმაზარ
— სიმრავლეში
სტუმრად მოვიდა სიყვარული
და სიცივეში, უსიცოცხლო სიმარტოვეში,
სიხარული შემოიტანა.
ააფერადა, გაადიდა და აამღერა
ადამიანთა დროებითი სასახლეები,
თვალის გუგები, დედამიწა, ზღვა და ჰაერი
უშურველად დაანაწილა.

* * *

ცაო, შენა ხარ ის პალიმფსესტი,
რომელიც უნდა გადირეცხოს სისხლით და
ცრემლით
რომ ისევ ჭრელი ყვავილებით ამოიქარგოს,
ყვავილებით, რომელთაც ჰქვიათ:
სიხარული ქალწულისა, შვება დედისა,
მადლიერება ყმაწვილისა, მწუხარება ჯარისკაცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდი მამულზე, დედ-მამაზე,
ძვირფასებზე, დაზე და ძმაზე.
პრიველ სუნთქვას ამოაქვს ალბათ
კარის შეხსნისთვის იდუმალი ნიშანი შენთვის.

* * *

დედა, მე მცირე ტკივილიც მტკივა
და სათნოებაც დიდხანს მშორდება,
იჭვებიც დიდხანს მედავებიან,
სიყვარულიც ნელა მათბობს, ნელა მახარებს.
შენ რით იბრუნებ ასე სწრაფად სულის
სიმხნევეს,
რითი სჯაბნი სიმწრის დღეებს, სიმწრის ღამეებს,
რომ უქვეყნოდ, უმეზობლოდ და უმეგობროდ
არ გტოვებს წუთით სოფელი.

* * *

ჩვენ დავიბნევით სიზმრების ტყეში
გაზაფხულზე, ყვავილობის პირველ დღეებში,
უცბად მოგვივა სიყვარული ბავშვობის ქვეყნის,
უცბად მოგვივა სიყვარული უცნობი ქვეყნის,
მე წაგაწყდებით აქ საოცარ სილამაზეში,
გამიკვირდება და ვიცინებ გულარხეინი...
დღესასწაულზე ჩვენ ვესწრებით ყველა უკლებლივ,
ვინც რაღაც ძალით შეშლილია და მონატრული...
სიზმრების ტყეში ჩვენა ვართ ყველა,
სიზმრების ტყეში ჩვენ გვღვიძავს თითქოს
და რაღაც კარგი, დაკარგული, რაღაც ნანატრი,
გვეძლევა ერთ წუთს და დიდხანს გვახსოვს.

●

**ზუმრუდ გოდერძიშვილი**

## გული ჩემი

გული ჩემი პატარა აბედია,
სულ რომ უხმაუროდ
იწვის,
ამ ქვეყნად არაფერი აბადია,
გარდა ამ ცისა და მიწის;

მაინც დილის ნამი უხარია,
მაინც ბევრს არაფერს
ნატრობს,
გული ჩემი პატარა ბუხარია,
თავისთვის ანთია მარტოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხულია

გაზაფხულია და ისეთი
შეგრძნება მახლავს,
თითქო უამრავ კვირტებს ფარავს
ჩემი სხეული,
საკმარისია ერთი სხივის
პატარა სითბო
და გაიშლება უამრავი გვირილა
ერთად,
აბიბინდება უამრავი ღიღილო
ერთად,
თმებში იფეთქებს ნუშის თეთრი
ნაზი ყვავილი
და მე ვიქნები გაზაფხული
მოხეტიალე,
და მე ვიქნები გაზაფხულის
ტყემლების თოვა
და როცა ჩემი მცხუნვარება
შენამდე მოვა,
გამოგაღვიძებს როცა მძინარს
ჩემი სხეული,
მხოლოდ მაშინ შეიქმნება უკვე ძლეული
შენი სიცივე...
...გაზაფხულია, ბალახები თვალებს
ახელენ...

●

ელენე ნადირაშვილი

## სოფლის სურათი

თამარის ტყეში მტვერი ტრიალებს,
მზე ეფერება ქედებს გოროზებს,
ხეზე დამსკდარა ბროწეულები,
ბღავის ნახირი სოფლის ბოლოზე.
მოვდევ შრიალა ტყეთა ზმანებას,
ლაღად ტრიალებს კალოზე კევრი
და მეგებება თამარის წყარო
აკაციების ლამაზი ტევრით.
ხეთა სიმღერით სულის ფრთას ვივსებ,
ველური ვარდის სურნელით ვთვრები,
ნუ გაიკვირვებთ, თუ მიყვარს ასე
ცადატყორცნილი მდუმარე მთები...
ლეღვის ტოტებზე ცეკვავს წვეთები,
იზნიქებიან წელში ვერხვები,
მოვეფერები მშობლიურ მიწას
და დედასავით მკერდზე ვემთხვევი.

## უკვდავება

მხარი მომეცი, როგორც ბერმუხამ
შენად მიგულე ტერფით თავამდე,
შენს ჩრდილში ასე მამღერე მუდამ,
მშობელო, სულის ამოხდომამდე.
ცის კიდეებზე ვარსკვლავებს შორის,
ამტყორცნე, იქნებ დავდნე ნისლებად,
ციდან წამოვალ სითეთრედ თოვლის
სიმღერებად და გამაისებად.
მე უკვდავების ყვავილებივით
შენს სითბოს ისევ ავუღელდები
და მშობლიურ მთებს შორის შთენილი
არც მოვიხრები, არც დავბერდები!

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარინე ხუციშვილი**

* * *

მე ვარ ზამბახი,
თვის სურნელს რომ სხვისთვის ინახავს
და არასოდეს
არ დასტირის ამ წარმავლობას,
სხვისთვის ვარსებობ —
არა ჩემთვის,
ნუთუ ღმერთებო, ვერ შეიცანით ჩემი
მოვლენა,
და ნუ მომიხმობთ ო, ღმერთებო, ცად
ანგელოზად,
დედამიწაზე
მოარული უნდა დავსრულდე!

## უკანასკნელი...

თუმც კვდება უკვე ეს შუაღამე,
გარდასულ დღეთა მზე მაგონდება,
მე მახსოვს — ცოდვა შემოვაღამე
დღის ნათელ სარტყელს, სახელს
მაზოდებს
შენსას და მზისას,
ცხოვრება კი დამთავრებულა.

* * *

გარეთ ჭრიჭინა
საგულისხმო ამბებს მიყვება,
გული კი ფეთქავს,
საუკუნო ალერსით მწველი.
გარეთ მდინარე
თვის წალკოტში მიედინება,
ღამის სიზმრების საიდუმლო,
საოცრად მათრობს.
დედა ბუნებავ,
მომისმინე,
— ტოროლა გალობს
და მე კი რითი დავამშვენო შენი
საუფლო!
მხოლოდ-ღა ლექსის
ძალა შემწევს მგონი საცოდავს
და შემივრდომე,
ამ სიყვარულს მომიალერსე!

ეროვნული

მაყვალა გონაშვილი

## ვ ე დ რ ე ბ ა

ვერ ამოვხსენი კვლავ ამოცანა,
„ჰაშ ორი ო“ და „ჰაშ ორი ესი“,
ზუზუნებს კლასი, ჭრიალებს მერხი,
მერხიც შიშისგან გულივით კვნესის...
ისევ ქიმიის ფორმულები ჰკიდია
კედლებს,
ვიღვრები ოფლში,
ამაოა ფიქრი და ჯაფა
და დამცინავი თვალებით მიმზერს
მასწავლებელი კი არა, დაფა!
კოჭის ძაფივით ამერია ყველა
ფორმულა,
გულს შიშის მიღრღნის ყვითელი მახრა,
ო, ღმერთო, ღმერთო, გადამარჩინე,
არ გამიძახოს ნეტავი ახლა;
და როგორც ზარმა დარეკოს, ანდაც,
და როგორც ყვავმა დაგჩხავლოს თავზე,
ისე საზარლად, ისე საშინლად,
ეს მე მიხმობენ: — მოდი დაფასთან.
და მეღვიძება,
ჯერ ისევ ბორგავს შიშისგან გული,
სახლში, სითბოა, გარეთ ქარია,
ეს ყველაფერი იყო სიზმარი,
სიზმარი იყო და მიხარია.
აღარ დამჭირდა აღარც კარნახი,
აღარც სიცრუე ბევრჯერ ნაცადი,
და გული მტკივა, რომ ყველაფერი,
იყო სიზმარი და არა ცხადი.
ღმერთო! კიდევ ერთხელ დამსაჯე,
ღმერთო! კიდევ ერთხელ გამოიღე
წყალობა,
ბავშვობის გზაწვრილებზე სიზმრად
მაინც მახეტიალე!

## ილია ჭავჭავაძეს

და ჰა, მოვიდა კაცი, რომელსაც
ვაღმერთებდით და დიდხანს ველოდით;
გაბრუებული მზის სიმარტოვით,
მიტოვებული საქართველოთი...
ჰგავდა მამულის სვეს მისი ბედი
და ჰქონდა გული მართლაც ვეება...
და ჩვენს მაგიერ შესთხოვდა უფალს
ცოდვისგან დახსნას და მიტევებას.

●

მარინე ქავთარაძე

## გამოფენაზე

დახატული აკვარელით ქაღალდზე —
ღია მწვანე, ნაზი ლურჯი ფერებით,
მოტანილი შორეული ბარათით,
იისფერი ცა და ცისარტყელები.
ფერთა ზეიმს ჩარჩო ველარ დაიტევს,
და სიამით აქ კედელიც მღერის.
მაგრამ ნეტა რომელია ვიცოდე:
რომელია სიყვარულის ფერი?
ან ის ფერი იქნებ შენში ჩამქრალა,
იქნებ წლებმა დააჩინეს კვალი,
იქნებ სულშიც შემოდგომა დამდგარა
და ჭაღარას გაჰყოლია დარი.
თუ ასეა ამ დარბაზის კედლებზე,
რათ ანთია გაზაფხულის ალი?

●

### დარეჯან ბატიაშვილი

* * *

ცხოვრება ისევ შორიდან მივლის,
შენც კარგად უწყი, წუთისოფელო,
საღამოს მწუხრი და მადლი დილის
თითქოს ზეცაში მიაქვს ორფეოსს.
ათინათინდა ბურჯები ხიდის,
დაღლილმა წლებმა რომ გამორიყეს,
რა ეშველება იმ გამწყრალ სინდისს,
ანდა შიგნიდან გატეხილ ციხეს!
ჭრელი ქოთნიდან გადმოდის ია,
ვით მოგონება გარდასულ ტრფობის,
იქნებ ამ ხილვას სინაზე ჰქვია,
ან ლანდი სულთა უღალატობის.
საითაც გრძნობებს უნდოდა მალვა,
სწორედ იქ გამცეს ჩვენმა ცრემლებმა,
ვერ უნდა ენდო საკუთარ თვალსაც,
როს ლელი ელვით აიცელება.
ცხოვრება ისევ შორიდან მივლის,
შენც კარგად ამჩნევ, მკვიდრო სოფელო,
საღამოს მწუხრი და მადლი დილის
თითქოს ზეცაში მიაქვს ორფეოსს.

●

### ჯულიეტა მილდიანი

## ქალაქი

გზაზედ შემომხვდი, დაიავ,
დაე, გზის მადლი გფარავდეს,
შენაც დამლოცე, მადლია, —
გამყვება კუბოს კარამდე.

შემომხვდი, შემომღიმილე,
გულს არ გებნია ცვარიო,
ასფალტი გაგირღვევია,
დაღლილხარ, გწყურის წყალიო.

წავალ, მოგიტან წყაროს წყალს,
დაღლილ გულს მოგეფონება,
ნაბრძოლს, ნაჯაფარს მხრებითა,
სიამედ დაგეფინება.

ქალაქს მოსულხარ სტუმარი,
მძლევი ხარ ასფალტისაო;
ახლა რაიდ ხარ მდუმარი,
როს ძალ გაქვს მაღალ ღვთისაო?!

ალალი იყოს შენზედა
მზის და ამ მიწის კალთაო,
მოხველ სიცოცხლის ნუგეშად
სინათლედ ორთავ თვალთაო...

პაწაწა მხრების ჭირიმე,
რითაც აზიდე სიმძიმე,
მოხვედი ასე უბრალოდ,
იმედად გაიციმციმე...

გზაზედ შემომხვდი, დაიავ,
დაე, გზის მადლი გფარავდეს,
შენაც დამლოცე, მადლია,
გამყვება კუბოს კარამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

მოაქვითინებს ლურჯი მდინარე,
ცრემლებს დადენილს მთათა ლაწვიდან,
ეს მთები გვანან ვაჟკაცს მღიმარეს,
რომელიც იას კრძალვით მაწვდიდა.

ო, რა ლამაზი დღე იყო მაშინ,
რა საოცარი ფერთა ფეთება,
მე უცნობ ბილიკს ავყევი ცაში,
ის კი ლოცავდა ამ აფეთქებას.

გადითარეშა დღეების რემამ
და დამრჩა სევდა, — ვარდი თელილი,
დამრჩა ნუგეშად ფერფლი და
ცრემლვა,
შავი მანტია მხრებს დაფენილი...

და ახლაც იგი, ლურჯი მდინარე
ქვითინით მოდის მთისა ლაწვიდან:
ეს მთები ჰგვანან ვაჟკაცს მღიმარეს,
რომელიც იას კრძალვით მაწვდიდა.

* * *

როდესაც კისკასი ცისკარი მეწვია,
როდესაც სარკმელთან მოფრინდა მზეწვია,
როდესაც აინთო სიცოცხლის ლამპარი,
როდესაც განიხვნა ლამაზი ზღაპარი:
მივყევი ზღვის ტალღებს, ადვილად არ სამღერს,
მივყევი სხვა ჰანგებს, ადვილად არ სამკელს, —
მოფრინდა ფრინველი, ჩამოჯდა ჩემს მხარზე
და მკითხა, რას ელი, რას ტვიფრავ შენ ფარზე?!
სიმშვიდის წყარო გსურს, თუ რწმენის სანთელი,
ქარიშხლის შვილი ხარ, თუ გრძნობა ნათელი,
ხატი გწამს სამშობლოს თუ მტრისა მახვილი,
რა ძალგიძს დროშა რომ ძირს ნახო დახრილი,
რა ძალგიძს ნეტავი, ქალს ასე პატარას,
არ გაკრთობს ბრძოლები, ან დანა შავტარა?

სვანური ლილეო სხეულში მღეროდა,
თამარის კოშკების ყოველთვის მჯეროდა,
ყოველთვის მაკრთობდა სიმშვიდის ჭაობი:
ნაჭუჭის კაცებთან ულმობლად ვდაობდი.
უშბიდან ქართლამდე არ არის მანძილი,
მტკვრის ერთი ტალღა ვარ, თეთნულდის მანდილი,
ზარს ხომ ვერ დავირქმევ, არ ღირს ვარ დედაო,
ზანზალაკს ვჩემულობ და არა ვსცოდაო?!
შენი ვარ, ვენახო, სიცოცხლის მარცვალი
არასდროს გენახო, ჯაბანი, დამცხრალი.
ხატი მწამს სამშობლოს, მძაგს მტრისა მახვილი,
ვემსხვერპლო, დროშა თუ ძირს ვნახო დახრილი...

ზანზალაკს ვჩემულობ, ხომ არა ვსცოდაო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი თოთაძე

## ყვავილები

ტუტანხამონის აკლდამის გახსნისას, ოქროს სარკოფაგში იპოვეს ყვავილების თაიგული, რომელიც მიცვალებულისათვის მეუღლეს მიუტანია საჩუქრად.

მე შენ მიყვარდი, და ყველაფერი
ამ ყვავილების ლამაზ კვირტებთან
მოკვდება, სხვებს კი შენი და ჩემი
ეს უკვდავება გაუკვირდებათ.

დღეს ტკივილებით ვფეთქავ და ვიწვი
და ჩემი ცრემლი ლურჯ ნილოსს
ერთვის,
ყველაზე დიდი საუნჯე, ვიცი,
ეს ყვავილები იქნება შენთვის.

და მწუხარებით ის უფრო მავსებს,
რომ ოქროს კუბო — ცივი, მზისფერი,
ვერ იგრძნობს შენი სხეულის ნაკვთებს
ისე ძლიერად, მე რომ ვიგრძენი.

იქნებ ოდესმე ნილოსის პირას
წარსდგე კაცთა წინ ძველი და შორი
და მოგიგონონ მხოლოდ გულგრილად,
ვით მბრძანებელი და ფარაონი.

იქნებ მსოფლიოც მოგაწყდეს ელდით
ძველ საიცრებას ახლად განაგონს,
მაშინ მაგ ოქროს ზოდების გვერდით
ამ ყვავილებმაც ილაპარაკონ.

## სტუმრად ზეცასთან

ყოველდღე ვნების სარეცელზე
ვნებდები ზეცას,
ყოველდღე თეთრი სამოსელით უცხოდ
ვირთვები,
მე დაკოცნილი სხეული მეწვის,
მონაფერები ლურჯი თითებით.
თავს მევლებიან უსახელო, უთქმელი
ხმები,
მთვარე მიგზავნის ძვირფას თვლებს
და საოცარ ფარჩებს,
ზეცის ნაღვლიან სარეცელზე ყოველდღე
ვწვები
და ვარსკვლავების სიმძიმისგან ტანი
მაქვს სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირა გაჯიაშვილი

## ეჭვი

რომ შემაბნიე კოცნა ყელზე
ძველი მძივივით,
მიისაკუთრე ჩემი ცრემლი
და გეღიმება...

გთხოვ დაიბრუნო გაბზარული
გიშრის კენჭები,
შე უმადურო,
შენზე უფრო უმადურისგან!...

* * *

ისე გავინავარდებ
ამ ბამბულა ღრუბლებზე...
ისე გადავფრინდები,

ისე ნელა, ნელ-ნელა,
როგორც თოვლის ფანტელი,
როგორც თეთრი პეპელა...

## უცხო ბუდეში

...ჩაუტოვნია სულ უნებლიედ
ერთ უღრან გულში —
ერთს გულისგული,
როგორც ღიღველა ბარტყი გუგულს
უცხო ბუდეში...

●

რუსუდან მეგრელიშვილი

## მთის უბეში...

მთის უბეში მიძინებულ
ძველ უბნებში,
ვიწრო ქუჩით ახვალ,
ალევ აღმართს,
დაინახავ მემწვანილის
სავსე კალათს,
კუთხის თონეს —
რაჭველ ხაბაზს,
გამოართმევ
შოთის პურს ან ლავაშს;
საღამო ხანს

შეუმჩნევლად
მზე აიკრებს
თავის კალთას,
ნარინჯისფერ-წითელ მერდინს
შეატოვებს
დაღლილ ქალაქს,
ჩაიარე
ქვით მოკირწყლულ
ძველ ქუჩებში,
ეგებ ნახო ტატოს სახლი,
მიმალული ანჩისხატი
და სამრეკლო ძველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაჟანგებულ კარით,
გუმბათის ქვეშ
შერჩენილი
უსაქმო და მოწყენილი ზარით;
დაკეტილი აივნები,
ლეღვის ჩირი,
ალუბალი,
მარლის ბადე
თაფლისფერი, დაფლეთილი აივანი,
შემოდგომის საჩუქარით,
ეს უბნები — წარსულია ნაჩუქარი,
დანარჩენი გადაშლილი არის —
ჟამთა ცვლით და ქარით.

●

ნინო კირთაძე

* * *

ისე დაგუბდა ტკივილი გულში,
როგორც ღამეში ფოთლებზე ნამი,
ნაზად ყვაოდა ბაღებში ნუში
და პატარძლობას სწუხდა ატამი...
თითქოს მისჯილი იდგა სიმართლე
და შრიალებდა
ლურჯთვალა ველი:
— შენ არ იყავი, მე ვინც გინატრე,
მე იგი არ ვარ,
ვისაც შენ ელი.

* * *

ქუჩაზე ფრთხილად მირბოდა წვიმა
და ნაფეხურებს ტოვებდა გზაზე,
მე გული მქონდა საოცრად წმინდა,
ვარდისფერ მზით და ღიმილით სავსე.
მე გული მქონდა ფიფქივით ნაზი
და ამ სინაზით მიწას ვათბობდი,
შენს ნაფეხურებს ვხედავდი გზაზე —
გნატრობდი თითქოს და არც
გნატრობდი.

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნარგიზა სოფრომაძე**

## ათასი მზით...

მისხალ-მისხალ ცრემლი ვწონე გზა-გზა
დარდის ღობე გავარღვიე მხრებით,
დაგილოცე იყალთო და ზარზმა,
მზის ამოსვლას იალბუზთან ვხვდები.
ათასი მზით ამივსია გული —
სიყვარულით შენთან საწილადოდ,
ახლა წასვლა მედარდება როდი,
მაგრამ გული სხვა სადარდელს
დარდობს.

თუ შეგმატე უფრო მეტი გრემი,
თუ შენს გამო არსით მექნა დავა,
სიყვარულით მოვსულვარ და გწამდეს
ასჯერ მეტი სიყვარულით წავალ...

* * *

ნუ მიმატოვებ
მაშინ, როცა მჭირდები ძლიერ,
ნუ მიმატოვებ
ამ პირღია ნაპრალის პირას,
ჩემს სამფლობელოს
საუკუნო სტუმრად ეწვიე,
მსურს სულ გიმზირო
გაღიმებულს და არა მტირალს.
ნუ მიმატოვებ
აფეთქებულ აპრილის თვეში,
ნუ შემირისხავ,
სიყვარულის ცისფერ იალქანს,
ნუ გაგაოცებს უღრუბლო ცა,
... და უცებ თქეში,
ჩვენი სიცოცხლეც,
ხომ მაისის წვიმას მიაგავს.
ნუ გამიმრუდებ
გზას, რომელიც გასავლელია,
ნუ გადამიქცევ,
იმ ტკბილ სიზმრებს
ფრთოსან ჩიტებად,
სურვილი ერთი: მივიდეთ იქ,
სადაც გველიან,
ან არც გველიან...
და იქ მისვლა სჯობდეს იქნება.
ნუ დამივიწყებ
იმას, რასაც წარსული ჰქვია,
რადგან წარსულში
ჩვენც მოვხვდებით
ადრე თუ გვიან,
ამ ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ
შენც შემეწიე,
ნუ მიმატოვებ,
მაშინ, როცა მჭირდები ძლიერ.

●

**ლალი ჯაფარაშვილი**

## ო რ ნ ი

მთელი სიცოცხლე ერთმანეთისკენ მიისწრაფოდით
და მკითხაობდით გვირილების თეთრი ფურცლებით,
ისე დიდხანს,
რომ თქვენს შორის გვირილების თეთრი მთა გაჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაგფარათ,
თქვენ ველარ ხედავთ ერთმანეთს,
მხოლოდ სუნთქვა გესმით გვირილების კედლის გადაღმა

და ელოდებით, —
ნეტავ რომელი თქვენთაგანი იტყვის იმ სიტყვას,
რომელმაც უნდა ჩამოშალოს გვირილების თეთრი კედელი.

## თანაგრძნობა

მოედინება შენი დარდი
უხვად და მდორედ,
ფიქრის ვიწროში
ხსნა არა სჩანს
უკვე, არსაით,
გადაგიქელა მწუხარებამ
მწვანე მინდორი
და სიხარული
გამოგწოვა
წურბელასავით.

რით განუგეშო, მეგობარო,
გაგწირა მიწამ,
ახლა შენს ყოფას
უსასრულო
წუხილი ჰქვია,
ჟამი კი გავა
და ყველაფრის მისატევებლად,
ცოდვილი მიწა
მოგაგებებს
უცოდველ იას.

## იმედი

— დედა გაზაფხულო,
ბალახის ღერებივით ამობიბინდა იმედი ჩვენი:
სიმშვიდისა,
სიკეთისა,
სიყვარულისა,
გაუსაძლისად მძიმე იყო ზამთრის ამინდი,
შეცივნულები შევყურებდით მილეულ მნათობს
და სწორედ დროზე შემოგვაგებე
მიწის სალამი — ბალახის ღერი,
რადგან იცოდი,
ნაზამთრალებს და ფერგალეულებს
თვალებს მოგჭრიდა ჭრელ-ჭრულა ყვავილების აურზაური.
მზერა ჩვენი, თანდათან გათბა მწვანე სინათლით,
როცა ბალახის ღერებივით ამობიბინდა იმედი ჩვენი:
სიმშვიდისა,
სიკეთისა,
სიყვარულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზა ჯაჭვაძე

## წვიმა

წვიმა მოვარდა,
გადაღება აღარ ეღირსა.
ნატეხი ერთი აქ თეთრი ლოდის,
ჩემთან ვეება დევივით მოდის.
წყაროს დახანჯლავს
        აშარი ქარი,
ბუტბუტებს წყარო,
და კვნესის წყალი,
არა მგონია ვინმემ გაუძლოს
ტყის ასეთ ძახილს,
ქარმა ხელები შემოსდო ჭავლად,
ააშრიალა თელებთან ჩალა.
და უთხოვარიც მედიდურად
        გადმოდგა ჭალას.
ვაცები სხედან გალიპულ ქვებზე
და თავის ქნევით თხებს აქეზებენ.
ბუჩქნარში ლალღა
        ქვითქვითებს, ტირის,
წვიმის წვეთები თათებს უსვამენ.
დილის ნათელი თვალების ფშვნეტით,
მოგვიანებით გაახელს თვალებს,
ისე ჭრელდება გირევის მთები,
ვით ჭრელი ყელი თუშურ წინდების.
შავჩოხა ქამა, მელისყურა და წითელკაბა
თითქოს ზეციდან
დაბლა ტყეში ჩამოფრენილან,
ტყეში ჩაწეწილ ნისლების დარად
ეს სოკოები თვალცქრიალა
გოგოებს ჰგვანან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მ უ ხ ა

მეხი ყოველთვის მუხებს მისდევს და, მუხებს ეტანება
და ამიტომ ქვეყნად მუხად დაბადება,
არასოდეს არ ყოფილა ხისთვის დიდი ნეტარება...

ალვის ხეს კი...
    არასოდეს, არაფერი ედარდება,
არხეინად მიდის ცისკენ, მიდის მზისკენ,
და ტოტებით ნაყოფიან, სავსე ხეებს ედარება!!...

... და მეხი კი, მაინც ისევ,
        მუხებს მისდევს და, მუხებს ეტანება...

## როცა ზამბახი...

როცა ზამბახი აპრილის თვეში,
გაახელს თავის მელნისფერ თვალებს,
მაშინ, ო! მაშინ, სულ სხვაგვარ ეშხით,
დაჰბერავს სიო ამ არე-მარეს...
...და თუ მიუგდებ ყურს ამ დროს ტყეში,
ფრინველთ მიმზიდველ ჭიკჭიკ-გალობას,
ნათლად შეიგრძნობ მათ ციურ ხმებში,
ცისა და მიწის იდუმალებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# ცისფერი ცეცხლი

## დოკუმენტური მოთხრობა

* * *

შოთამ საბრძოლო დავალება შეასრულა და ესკადრილიასთან ერთად შინ ბრუნდებოდა. გზაში მტრის თვითმფრინავები წამოეწივნენ და უთანასწორო ბრძოლა გაიმართა.

მერკვილაძეს ბედმა უმუხთლა. თვითმფრინავი დაუზიანდა და ვერაფრით წონასწორობა ვერ აღადგინა. დაზიანებულ თვითმფრინავს ხელახლა წამოესივნენ სვავები და შოთას ისღა დარჩენოდა, თავის თავისთვის ეშველნა.

პარაშუტის გაუშლელად დიდხანს მიექანებოდა მიწისკენ. მიწის ცისფერი ბურთი გასაოცრად სწრაფად იზრდებოდა. პარაშუტი არა და არ იშლებოდა. სად იყო ფიქრისა და განსჯის დრო. დაღუპვა გარდაუვალი იყო. მაგრამ, სასწაულად, მიწასთან მიახლოვებისას, უცებ გაიხსნა პარაშუტის გუმბათი. შოთამ ჯერ ზემოდან იგრძნო მაგარი ბიძგი; პარაშუტის ღვედებმა წამიერად შეაკავეს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო და მიწას დაეხეთქა ისე, რომ გონება დაკარგა.

მერე კი ნელ-ნელა გადაიფანტა ჯანღი, მთის ღრმულებში ჩაწოლილი ნისლივით აკრიფა ბურუსი. გამოიკარა და განათდა ადამიანის სახე... და რა საოცარი და სანეტაროა, როცა ასეთ დროს პირველადვე დედის სახე მოგელანდება, დედისა, რომელმაც გშობა, გაგზარდა, კაცად გაქცია და ყოველი განსაცდელის ჟამს მხსნელად და ნუგეშად დაგდევს თან.

მაგრამ ეს მოლანდება როდი იყო. შვილს თავზე ადგა სამხედრო ფერშალი ვალია მერკვილაძე.

— დედა, ნუთუ ეს შენა ხარ? — ძლივს მოახერხა ამ სიტყვების თქმა შოთამ. თვალები მოხუჭა და შუბლზე იგრძნო დედის მხურვალე ტუჩების ალერსიანი სითბო.

შოთამ წამოიწია. ირგვლივ ბრძოლის ველი იყო, დაჭრილი მეომრებით, თხრილებით, დალეწილი საბრძოლო ტექნიკით, აბოლებული და გადაბუგული...

— დედა! — ერთხელ კიდევ დაიძახა შოთამ.

სახეგაფითრებული ქალი შვილს დაჰფოფინებდა, სხეულს უსინჯავდა, მაგრამ არსად ნაჭრილობევი არ აჩნდა.

— შვილო, უვნებლად გადარჩენილხარ. შენ შემოგევლოს დედა!

ხანმოკლე გამოდგა დედა-შვილის

დასასრული. იხ. „მნათობი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსი. ერთმანეთს რიგიანადაც ვერ შეხედეს, ბევრი სათქმელიდან ცოტას თქმაც ვერ მოასწრეს. შოთას წასაყვანად მალე მოფრინდა ავიაშენაერთის სანიტარული თვითმფრინავი. ხოლო დედა ისევ გაჰყვა გადაბუგულ და გადამწვარ გზას, ბევრი გულდამწვარი დედის მაგიერ სხვათა შვილების გადასარჩენად.

* * *

ტრავმამ დროებით ჩამოაშორა შოთა საბრძოლო თვითმფრინავს. აქ, ფრონტის წინა ხაზზე, ისევ შეხვდა ძველ მეგობარს — ცის ნელმავალ „უ-2“-ს, ნელ, უწყინარ თვითმფრინავს, ბავშვივით რომ გემორჩილება. ფრონტელებმა „მესიმინდე“ რომ შეარქვეს. ომში თავი ისახელა, იმარჯვა. დასვამ იქ, სადაც მოისურვებ, მტერს ისე მიეპარები, ვერაფერს გაიგებს, სიმინდის ყანის სიმაღლეზე გადაიფრენს; რომელი საბრძოლო თვითმფრინავი გაბედავს ამ სიმაღლეზე ფრენას, ანდა რომელ საზენიტო ქვემეხს დაუმიზნებ. უკეთეს მზვერავს ვერც ინატრებდა კაცი. ამავე დროს, საუკეთესო შუამავალსაც პარტიზანებთან.

და ერთხელ სწორედ ასეთმა გაფრენამ უწია შოთას.

ეს იყო ბელორუსიაში. პარტიზანული შენაერთის მეთაურისათვის საიდუმლო პაკეტი უნდა მიეტანა. შოთას კურსი დაუსახეს და შებინდებისას გაფრინდა. ცის ნელმავალი ტყის თავზე მიფრინავდა, გზა საიმედო იყო ფრონტის ხაზის გადასალახავად, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა — ცბიერი და დამარცხებებით გაბოროტებული მტერი არაფერს ერიდებოდა... პაკეტი კი სასწრაფო და საიდუმლო იყო.

პაკეტს პარტიზანთა შენაერთის მეთაური გენერალი კორაჟი მოუთმენლად ელოდა. იგი ტყის შუაგულში სახელდახელოდ გამართულ „აეროდრომთან“ დაფიქრებული მიმოდიოდა, მალიმალ საათზე იხედებოდა.

თვითმფრინავს არ დაუგვ[illegible] თიწუთზე ზუსტად დანიშნულ დროს უხმაუროდ წამოეპარა იგი ხის კენწეროებს, „აეროდრომს“ გადაუქროლა, წრე მოხაზა და მდელოზე დაეშვა.

გენერალმა მეკავშირე იხმო და მფრინავთან გაგზავნა, თან ერთი მებრძოლი გააყოლა.

პარტიზანებმა თვითმფრინავთან მიირბინეს.

მფრინავი გადმოვიდა და მეკავშირეს პაკეტი გადასცა. მეკავშირე მაშინვე მოწყდა ადგილს და თვითმფრინავისკენ მომავალი გენერალისკენ გაიქცა, ხოლო მისი თანმხლები პარტიზანი შეყოვნდა, მფრინავს თვალს არ აშორებდა.

— ქართველი ხარ? — ჰკითხა ბოლოს ღიმილით.

— ქართველი ვარ, შოთა მერკვილაძე, — უპასუხა მფრინავმა და მიწაზე გადმოხტა, პარტიზანს ხელი ძმურად ჩამოართვა.

— მე ნოე იაშვილი ვარ... საიდან მოფრინდი, რა ამბებია! ჩვენი მხარისა რა იცი?

— სიკეთე, ნოე. ვებრძვით მტარვალებს. საქართველოში კი დიდი ხანია არა ვყოფილვარ. ტყვია-წამალი ხომ არ გაკლიათ?

— ხან გვაკლია, ხან თავზე საყრელად გვაქვს.

— აი, მე მაინც წამოვიღე რაღაც, ცოტაოდენი. ჩემს სახსოვრად დაგიტოვებ... ჩემს ანგარიშზე ჩამოწერე ფრიცები... ამოდი ფრთაზე!

ორივენი თვითმფრინავის ფრთაზე შედგნენ. მერკვილაძემ კაბინის გვერდითი ჩანთიდან თორმეტი ხელყუმბარა „ლიმონკა“, ამოიღო და სათითაოდ ხალათში ჩაუწყო ნოე იაშვილს, თან ხუმრობით დაუმატა:

— თუ ცოცხლები გადავრჩით და ერთმანეთს საქართველოში შევხვდით, თორმეტი ბოთლი ღვინით გამისტუმრებ ვალს.

— მოკვდეს ნოე, თუ ვალში დაგრჩე!

გენერალ კორაჯს უკვე წაეკითხა საიდუმლო ბარათი. იგი თვითმფრინავთან მოვიდა. მერკვილაძე ფრთიდან გადახტა და გენერალს გაეჭიმა.

— გმადლობთ. თქვენ დიდი სამსახური გაუწიეთ ჩვენს შენაერთს, — მიმართა გენერალმა.

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — დასჭექა შოთამ.

— რა ხმა გქონიათ! — გაიღიმა გენერალმა, — არტილერიაში უნდა ყოფილიყავით.

— არც ციდან ვაყრი სიკეთეს მტარვალს... ნება მომეცით წავიდე, უკვე ღამდება.

— შინ მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ.

— გმადლობთ. ნახვამდის.

გენერალმა ხელი ჩამოართვა. ნოე ძმურად გადაეხვია. ერთხელ კიდევ ხარბად შეხედეს ერთმანეთს, მაგრად, მაგრად ჩააკვირდნენ, ალბათ იმიტომ, რომ კარგად დაეხსომებინათ ერთმანეთის სახე. ვინ იცის, იქნებ ბედმა ინება და შეხვდნენ, შეხვდნენ ბელორუსიის ულრანი ტყის ერთ პატარა მდელოზე წამიერად გაცნობილნი.

შოთამ ძრავა მომართა, ერთხელ კიდევ გადმოხედა პარტიზანებს და მალე თვითმფრინავმა ხის კენწეროებს უწია, მერე უცებ მიწყდა მისი ხმა.

ტყეში ღამე ჩამოდგა.

* * *

ის დღეც ჩვეულებრივად დაიწყო. ესკადრილიამ დავალება მიიღო, ბომბდამშენთა შენაერთი უნდა გაეცილებინა. ავიაგამანადგურებლები რიგრიგობით აფრინდნენ და ცაში შეუერთდნენ მძიმედ დატვირთულ ბომბდამშენებს.

ზაფხულის ცხელი დღე დგებოდა. მზის სხივებში გახვეული თვითმფრინავები თვალისმომჭრელად ლაპლაპებდნენ. დიდ სიმაღლეზე აჭრილ ბომბდამშენებს საიმედოდ მიჰყვებოდნენ ფიცხელი ავიაგამანადგურებლები. ისინი დროდადრო გაიშლებოდნენ, კამარას შეჰკრავდნენ, საკმაო მანძილს ზვერავდნენ, რომ საიდანმე მოულოდნელად მტრის თვითმფრინავები არ გამოჩენილიყვნენ.

როცა ესკადრილიები დასაბომბ მიზანს მიუახლოვდნენ, აყეფდნენ მტრის საზენიტო ქვემეხები.

მზის მხრიდან ავიაგამანადგურებლებს მოულოდნელად წამოეპარა „მესერშმიტთა" შვიდეული. ამ დროს მიწა უკვე დუღდა, ზედიზედ ფეთქდებოდა ათეულობით ავიაბომბი — ჩვენი ბომბდამშენები მიწას „ამუშავებდნენ" და მათ ზეციური საქმეებისთვის აღარ ეცალათ. ამ საქმეს ავიაგამანადგურებლებმა მოჰკიდეს ხელი და შვიდივე „მესერშმიტი" კუდამოძუებული მიჰფარდა თვალს. მათ ვერ გაბედეს ბრძოლაში ჩაბმა, სხარტად შეტრიალდნენ და მზის სხივებში ისე გაუჩინარდნენ, თითქოს სხივებმა შთანთქეს.

ფრონტის ხაზის გადმოლახვისას შოთას კვლავ მოესმა მტრის საზენიტო არტილერიის ყეფა. რამდენიმე ჭურვმა თვითმფრინავების მიერ დაკავებულ ჰაერსაც მიაღწია. ცეცხლი გახშირდა. შოთა გრძნობდა ჭურვების ნამსხვრევები ჩაქუჩივით რომ უკაკუნებდნენ მისი „იაკის" კორპუსს. თვითმფრინავები კარგა დიდ სიმაღლეზე იყვნენ და შოთას მაინცდამაინც არ აშინებდა მტრის ცეცხლი. ჭურვის ძალაგამოლეული ნამსხვრევები საშიში არ იყო. ასე გულიანად რომ იყო და ცეცხლის მოსარიდებლად თვითმფრინავის მანევრირებას ახდენდა, სწორედ მაშინ, როცა თავი უკვე სამშვიდობოს დაიგულა, მერკვილაძის „იაკს" პირდაპირი დამიზნებით მოხვდა ჭურვი. თვითმფრინავი შეტორტმანდა და ცეცხლი წაეკიდა. მერკვილაძე იძულებული გახდა დიდი სიმაღლიდან მოეწყვიტა მანქანა, დაბლა ქვასავით დაშვებულიყო, ეგებ ჰაერის მძლავრ ნაკადს წარეტაცა ალი. მაგრამ ამ ხერხმა ვერ უშველა და მფრინავის კაბინა შავი, მხრჩოლავი კვამლით გაივსო. შოთა ვერაფერს ხედავდა. სუნთ-

ქვაც გაუძნელდა. აალებული თვითმფრინავის მუცელზე დაშვებაც უაზრობა იყო, გაალო თვითმფრინავის დამცავი სახურავი და მანქანას მოწყდა.

კარგა ხანს უპარაშუტოდ ეშვებოდა მიწისკენ. მოდიოდა ტყვიასავით და ესმოდა მხოლოდ ჰაერის მძლავრი ნაკადის ზუზუნი. დედამიწას რომ მიუახლოვდა, მაშინ გამოჰკრა ხელი რგოლს. ერთი მძლავრად შეტორტმანდა ჰაერში და მის თავზე პარაშუტის გუმბათი გადიშალა.

როცა მიწაზე მშვიდობით დაეშვა, ირგვლივ მიმოიხედა. შორს რაღაც იწვოდა და ყომრალი კვამლი ცაში ადიოდა. ეს ალბათ მისი „იაკი" იყო.

შოთა მხოლოდ გუმანით მიხვდა, რომ მტრის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა. მტრის ზღვარი იქ გათავდა, სადაც საზენიტო ქვემეხები ასე თავგამოდებით უშენდნენ ცეცხლს თავის აეროდრომისკენ დაბრუნებულ თვითმფრინავებს.

შოთამ ფეხში წვა იგრძნო. ახლა მას პარაშუტი სულ არ სჭირდებოდა. შეიხსნა ღვედები და ერთხელ კიდევ დაზვერა მიდამო.

ცხელოდა. მზე კარგა მაღლა აწეულიყო. მდელოზე გაუთიბავი, დახრუკული ბალახი ჩაწოლილიყო და თივის სურნელი იდგა.

მზის გულზე მიწა გახურებულიყო. იქით, ტყის პირას, საურმე გზა მოჩანდა, ალბათ ტყეს უვლიდა და ცალ მხარეს გორაკზე ადიოდა, მეორე მხარეს კი, დაბლა, მდინარისაკენ ეშვებოდა.

შოთა ბალახში ჩაჯდა და ფეხს დახედა. მხოლოდ ახლა თანდათან იგრძნო ჭრილობის წვა და პაკეტი ამოიღო ჭრილობის შესახვევად. რა დროს დაიჭრა, არ იცოდა. იქნებ თვითმფრინავის კაბინაშივე, იქნებ გადმოხტომისას. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ დაჭრილი იყო და ახლა ფეხისთვის უნდა მოევლო. ჭრილობა შეიხვია, მაინც უმნიშვნელოდ ჩათვალა და გადაწყვიტა გაბედულად გადაედგა ნაბიჯი, გზაზე გასულიყო, რათა გარკვეულიყო სად იყო, რომელ მხარეს სჯობდა წასვლა.

სიარული გაუჭირდა, მაგრამ მაინც ნელა, სვენებ-სვენებით მიდიოდა გაუთიბავ მდელოზე პირდაპირ გზისაკენ.

მალე გავიდა ჩვეულებრივ საურმე გზაზე. ასეთი გზები მთელ დუნიაზე თითქმის ყველგან ერთნაირია და შოთას უმალ თავისი მშობლიური კიცხის საურმე გზა გაახსენდა, ასეთივე, ურმის თვლებით გადახაზული, ჩაჭრილი, გორმახიანი, მტვრიანი...

ტკივილმა შეუტია.

პლანშეტი გახსნა, რუკა ამოიღო და კარგახანს ეძებდა იმ ადგილს, სადაც იმყოფებოდა, მაგრამ ამაოდ. მის რუკაზე ნაღდად არ იყო არც ეს ტყისპირი, არც ეს საურმე გზა.

ამ თვალიერებაში რომ იყო, ტყიდან ორთვალა გამოვიდა გზაზე. ორთვალაზე ბერიკაცი იჯდა. ამ შუა ზაფხულის პაპანაქებაში მოხუცს გადაღეღილი ტანსათბური ეცვა და ბანჯგვლიანი გაძვალტყავებული მკერდი მოუჩანდა. გზაზე კაცს არ მოელოდა. შორიდანვე დაუწრუპუნა ცხენს:

— ნოო!

სადავე მოზიდა და ორთვალა ნელა წამოიყვანა.

— გამარჯობა, ბერიკაცო! — გაეხარდა მისი დანახვა მერკვილაძეს და პლანშეტი დაკეცა.

ბერიკაცმა ორთვალა შეაჩერა, ცქვიტი ბიჭივით გადმოხტა და გაბედულად მიუახლოვდა საბჭოთა მფრინავის ტანსაცმელში გამოწყობილ უცნობს.

— შენ აქ რას აკეთებ? — ბერიკაცმა შუბლი შეჭმუხნა და ჯიქურ ჰკითხა შემხვედრს.

„ალბათ პარტიზანია. ყოჩაღი კაცი ჩანს, უშიშარი და გაბედული".

— აბა, საბუთი, ჩქარა!

— მერედა, არ გეშინია, საბუთის მაგივრად რომ... — და მერკვილაძემ რევოლვერის ბუდისკენ წაიღო ხელი და იქვე შეაცივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალ მოხუცის ხელში გაჩნდა რევოლვერი. ანკი რა დროს მოასწრო ამოღება! საიდან, ამ მოლიავებულ ტანსაცმელში სად ჰქონდა ჩაჩურთული?

შოთას აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ საბუთი ეჩვენებინა.

მოხუცმა გულდასმით წაიკითხა, მუშტრის თვალით შეამოწმა. საბუთი მფრინავს დაუბრუნა და შოთამ ახლა კი დაინახა, იარაღი სადაც ჰქონდა შენახული, ქამარში წალდივით გაირჭო მოხუცმა და მერკვილაძეს ცერად გამოხედა.

— რაო, ჩამოგაგდეს? ფეხზეც გეტყობა, დაჭრილი ხარ.

— ჩამომაგდეს, ოხრებმა! ხედავ, ბოლავს. ის ჩემი თვითმფრინავია. — მიუგო გულდაწყვეტილმა შოთამ.

— ახლახან გადაიქროლეს, ალბათ იმათთან ერთად იყავი. ბევრნი იყვნენ. რაღა შენ მოგერივნენ?! ალბათ რიგიანად ვერ მოიქეცი.

შოთამ მწარედ გაიღიმა მოხუცის სიტყვებზე.

— რა ვიცი, მომარტყეს კია და... — ამოიოხრა მფრინავმა.

— დაჯექი ორთვალაზე. შენ ახლა სადაც ჯერ არს, იქ მიგიყვან, რომ პირველ რიგში ფეხი მოგირჩინონ. აბა, შემოუჯექ!

და უწინ თვითონ შესკუპდა, სადავეები აკრიფა და როცა შოთა მის გვერდით ჩამოჯდა, ცხენს დაუწრუპუნა და დაიძრნენ.

— იარაღი საიდან, ძიაკაცო? — კითხა მერკვილაძემ.

— სახელობითია. პარტიზანთა შენაერთის უფროსმა მაჩუქა. მე იმათ კარგა ვეხმარებოდი. იარაღი საჭიროა ჩვენს დროში. აი, შენ რომ სხვა ყოფილიყავი, იქიდან... და შემეტყო, რომ არ დამნებდებოდი, ახლა გზაზე გაშხლართულს მიგატოვებდი, იცი? ბედი შენი რომ ჩვენიანი ხარ. გასაგებია, საიდან ეს იარაღი? ახალგაზრდა რომ ვიყო, ჩვენებს გავყვებოდი და კიდევ ვიბრძოლებდი, მაგრამ აქაც საჭირო ვარ. შენ რომელ მხრიდან ხარ? მერკვილაძე.

— ქართველი ვარ, სტალინის სამშობლოდან.

— ჰოო! — პირი დააღო მოხუცმა და ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდა.

— კარგია, კარგი. — თქვა მრავალმნიშვნელოვნად ბოლოს და ცხენს შეუტია, მალე, შე ოხერო, როგორ მიჩანჩალებო. გაძვალტყავებული ცხენი კი ხვნეშით მიჩაქჩაქებდა.

ამ მხარეში ულმობლად გადაევლო ომს. მიწა თხრილებით იყო დაღარული. ბევრგან საბრძოლო ტექნიკის ნამსხვერევები ეყარა, ლულადაღრეცილი ქვემეხები, დახვრეტილი ჩაფხუტები, დაზიანებული ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, სხვა წვრილი იარაღით სავსე. ამ უამრავი ჯართის ასაკრეფად ჯერ არავის მოუცლია.

მფრინავ-გამანადგურებლისათვის მიწიერი ამბები ნაკლებად იყო ცნობილი. ის, რაც ზემოდან საზარელი ჩანდა, მიწაზე ათმაგად შემზარავი იყო, გადამწვარი და უკაცრიელი სოფლები, გაჩეხილი და განადგურებული ტყეები, ულმერთოდ დადაღული სათიბები და სახნავები...

სხვას რას მოელოდა მერკვილაძე. არაფერს. ომის სისხლიან გზაზე ბევრი უბედურება უნახავს და ახლა გულდაწყვეტილი გაჰყურებდა გარემოს.

— ჩვენ ახლა ბერიოზკინოში მივალთ. ომამდე რაიონის ცენტრი იყო, — უთხრა მოხუცმა მერკვილაძეს.

— ბერიოზკინო? ჩემს რუკაზე უთუოდ იქნება აღნიშნული, — გაეხარდა შოთას და პლანშეტიდან რუკა ამოიღო.

მოხუცმა იჭვიანი თვალით შეხედა, ეტყობა მთლიანად კიდევ არ ენდობოდა მერკვილაძეს. ეშმაკმა იცის, იქნებ... და ომის წლებში მუდამ იჭვიან მოხუცს საფიქრალი გაუჩნდა.

შოთამ მოძებნა ბერიოზკინო.

— ეე, საიდან სად ვყოფილვართ! — წამოიძახა შოთამ. რასაკვირველია, მოხუცს არ გაუმხილა ავიაპოლკის ად-

გილსამყოფელი. ისევე, როგორც მოხუცი მას, ისიც არ ენდობოდა შემთხვევით გზაზე შემხვედურ კაცს. ნდობაც რომ ყოფილიყო, სამხედრო საიდუმლო საიდუმლოა.

რომელიღაც გადამწვარ სოფელს ჩაუარეს, სადაც სახლებიდან მხოლოდ აგურით ნაშენი გამურული ღუმელები დარჩენილიყო. სოფლებში აყუდებული ეს საკვამურები ისე მოჩანდნენ, როგორც საფლავის ქვები აქ დამარხული სიცოცხლის ძეგლად.

სიტყვა არც მოხუცს დაუძრავს, არც მერკვილაძეს. ორთავალამ აქ გამეფებული მყუდროება დაარღვია. სამარისებურ დუმილში გაიარა და დაღმართს დაუყვა.

ერთ საათში ბერიოზკინოში იყვნენ. ეტყობა რაიონის ცენტრში მოცოცხლდა ბუნება, ხალხიც ჩანდა. აქა-იქ სახლები ჰარიჰარად აღედგინათ.

მერკვილაძემ შვება იგრძნო.

რაიონული საავადმყოფო, სადაც მოხუცმა მერკვილაძე მიიყვანა, ნახევრად დანგრეული იყო. აქ ერთი მოხუცი ფერშალი აღმოჩნდა, რომელმაც გულდასმით გასინჯა მფრინავის ფეხი და უთხრა, ჭრილობას ნუ ეხუმრებით, შეიძლება მის გამო ფეხი დაკარგოთო.

სანამ ფერშალი დაჭრილს სინჯავდა, მოხუცი სადღაც გაქრა. ცოტა ხანში ფერშალის ოთახის კარს ერთი ცალმკლავა, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, ახოვანი კაცი მოადგა. ინვალიდს სამხრეები არ ეკეთა.

— მობრძანდით, სემიონ მიხაილოვიჩ! — თავაზიანად შეიწვია ფერშალმა.

სემიონ მიხაილოვიჩმა სამხედრო წესისამებრ აიღო მარცხენა ხელი.

— ჯანმრთელობას გისურვებთ, — თქვა ბოხი ხმით, — ბოდიშს ვიხდი... — იგი მერკვილაძეს მიაჩერდა, რომელსაც ის იყო ფერშალმა ბანდით გადაუხვია ფეხი.

— მე „სმერშის“ ადგილობრივი წარმომადგენელი ვარ, სიმიონ მიხაილოვიჩი ბუიდა, — მიმართა მოსულმა მერკვილაძეს, — უნდა შევასრულოთ ფორმალური მხარე ჩვენი მოვალეობისა... გთხოვთ მაჩვენოთ თქვენი საბუთები.

მერკვილაძემ საბუთები გაუწოდა სემიონ ბუიდას. ფერშალი რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში ერთხანს, სანამ ბუიდა გულდასმით სინჯავდა საბუთებს, გახევებული იდგა და ინვალიდის ცალ ხელს თვალს არ აშორებდა.

ყველაფერი წესრიგშია. — თქვა ბუიდამ და საბუთები დაუბრუნა მერკვილაძეს, — მაპატიეთ, სამსახურია...

— მესმის, სემიონ მიხაილოვიჩ, — მიუგო შოთამ.

ფერშალი გამოცოცხლდა და მფრინავის ფეხს მიუბრუნდა.

— ვერეკებით დასავლეთისკენ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან... თქვა ბუიდამ, — ამას წინათ ორი დივერსანტი დავიჭირეთ... — მერე ფერშალს მიუბრუნდა, — სერიოზულია რამე?..

— გახლავთ, სიმიონ მიხაილოვიჩ. ჰოსპიტლური მკურნალობა აუცილებელია. ქალაქში უნდა გადავიყვანოთ.

— არა, ჰოსპიტალში-რა მინდა, — წამოიძახა შოთამ, — გთხოვთ დამეხმაროთ როგორმე ჩემს ნაწილში დავბრუნდე.

— ასეთ დროს ექიმის სიტყვა კანონია და მას ყველანი უსიტყვოდ ვემორჩილებით, — გაიღიმა სემიონ ბუიდამ, — ვეცდები რამე გავახერხო.

შეტრიალდა და წავიდა.

საღამო ხანს ტრანსპორტი გამოინახა, მსუბუქად დაჭრილებით სავსე საბარგული, რომელიც სწორედ ქალაქისაკენ მიდიოდა.

გამოთხოვებისას ფერშალმა უთხრა მერკვილაძეს:

— მკურნალობის გარეშე ფეხს დაკარგავთ... და ფეხთან ერთად ბევრ რამეს. ჰოსპიტალში კი ბევრი-ბევრი ორი კვირა გაგაჩერონ. ნახვამდის.

— გმადლობთ, ნახვამდის.

სანიტარული საბარგული მართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედად გამოჩნდა. მერკვილაძე დაჭრილ მებრძოლებში მოთავსდა. ღამის ცხრა საათი იქნებოდა ქალაქის ერთ-ერთ ჰოსპიტალს რომ მიადგნენ. ეს იყო ძველი სკოლის შენობა, გრძელი დერეფნებითა და ჭერმაღალი დიდრონი ოთახებით, სადაც ერთმანეთზე იყო მიდგმული საწოლები. საწოლებით სავსე იყო დერეფნებიც. აქ მსუბუქად დაჭრილებიც იყვნენ.

მას შემდეგ, რაც საოპერაციოში შოთას ჭრილობა მოუსუფთავეს და გაუკერეს, იგი ყავარჯნებისა და მორიგე ექთანის დახმარებით თავისი საწოლისაკენ გაემართა. დერეფნის კუთხეში, იქ, სადაც კიბის უჯრედი იწყებოდა და იყო თეთრხალათიან მომვლელების, ექიმებისა და ექთნების განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა, იდგა შოთას საწოლი.

ნაჭრილობევი გაჰყუჩებოდა, სცადა დაძინება, მაგრამ კარის გამუდმებულმა ჭრიალმა, დაჭრილთა კვნესა-გოდებამ, ხმაურმა ძარღვები აუშალა. „აქ, ამ ჯოჯოხეთში რა გასძლებს! ხვალვე გავიპარები!“

მეორე დღეს, დერეფანში, გოგონას მხიარული ხმა გაისმა. ეს იყო დილით, როცა ღამის მორიგე სანიტრები და ექთნები შეიცვალნენ.

თითქოს ჩიტი შემოფრინდაო, თითქოს ამიერიდან ახალი, მხიარული სიო დაუბერავდა ჰოსპიტლის გატანჯულ კედლებში.

— ჩვენი მარია, ჩვენი ძვირფასი მარია! — დაიძახეს დაჭრილებმა სიხარულით. დაჭრილები, რომლებიც კარგად სცნობდნენ ამ სიცოცხლით სავსე გოგონას, მოუთმენლად ელოდნენ მისი მორიგეობის დადგომას.

და მან ხალისიანად ჩამოუქროლა ყველას, ყველას. და მათ შორის მერკვილაძესაც. უცნობ ვაჟკაცს ღიმილი შეაგება.

— თქვენ ახალი ხართ? გამარჯობათ!

— გამარჯობათ ,მარია! — ისე მიუგო შოთამ თითქოს დიდი ხნის [illegible] გოგონას შეხვდაო.

— თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი? — გულუბრყვილოდ იკითხა მარიამ.

— ფეხში ვარ დაჭრილი, განა ყურებში, — გაუღიმა შოთამ.

— კარგი, ფეხს მივხედავთ, — თქვა სხარტად მარიამ, შეტრიალდა და კიბეზე დაეშვა.

მალე ისევ გამოჩნდა. ამჯერად დერეფნიდან დიდხანს აღარსად წასულა, დაჭრილებს თავსევლებოდა, წამლებს ურიგებდა, ზოგს თვითონ ასმევდა.

პატარა ოთახში რიგრიგობით შეჰყავდათ დაჭრილები ბანდის გამოსაცვლელად.

— განა ეს ჭრილობა სერიოზულია? — ჰკითხა მერკვილაძემ მარიას, როცა მისი ჯერი დადგა.

— სერიოზულს ახლა ვერაფერს ვატყობ.

— მაშ რატომ არ მიშვებენ?

— მოსარჩენია და იმიტომ. ყველას ეჩქარება აქედან გასვლა. ყველას ფრონტზე მიუწევს გული...

— მარია, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— ბრძანეთ, თუ რამ შემიძლია.

— მომიტანეთ ჩემი ტანსაცმელი...

— ოჰო! გაპარვას ფიქრობ? — დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუდიდდა მარიას.

— ხომ ხედავ, რომ ჭრილობა არც ისეთი საშიშია... გთხოვ.

— იცი რა გითხრა, — მარიამ წარბი შეკრა, — აიღეთ თქვენი ყავარჯნები და აიდა, საწოლისაკენ!

— არ მეგონა თუ...

— რა არ გეგონა?

— არაფერი, ისე... — შოთამ ყავარჯნებს ხელი არ მოკიდა, წამოდგა და ოთახის კართან ოდნავ კოჭლობით მივიდა.

— ყავარჯნები! — იყვირა მარიამ.

— ხომ ხედავთ, რომ ისედაც შემიძლია სიარული... — ახლ აკი ბრაზიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუგო მერკვილაძემ და ოთახის კარს ხელი ჰკრა.

მოსაღამოვდა. შოთა ერთხანს გულამა იწვა ბოლმამორეული და როცა მარიამ ტაბლეტები მოუტანა, უგულოდ ჩამოართვა, მადლობა არც უთხრა, ისე იბრუნა პირი.

ეტყობა რამდენიმე დაჭრილი იმ საღამოს გაწერეს ჰოსპიტლიდან. მათ დერეფანში მოუტანეს ტანსაცმელი. მარია სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მერკვილაძეს, გაზეთში შეხვეული ტანსაცმელი საწოლზე დაუყარა და მხიარულად უთხრა:

— ჩაიწყეთ საქმე. შეგიძლიათ ჩაიცვათ და ამ ჯარისკაცებს გაჰყვეთ.

— მარია!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, წასვლისას ექიმთან გამოცხადდით.

და როცა გვიან ღამით რკინიგზის სადგურზე მატარებლის მოლოდინში ხალხით გაჭედილ დარბაზში ფანჯრის რაფაზე იჯდა შოთა, თვალთაგან არ შორდებოდა თავისი მხსნელის სახე, რომლის მხოლოდ სახელი გამოჰყვა და ცოცხალი თვალების შუქი, ადამიანების სიყვარულით გამთბარი თვალების შუქი, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება.

ავიაპოლკს ადგილსამყოფელი გამოეცვალა. დასავლეთისკენ წაწეულიყო, ამიტომ საკმაო ხანმა განვლო, სანამ შოთა თავის შენაერთს მიაგნებდა.

პოლკში მას დაღუპულად თვლიდნენ. არ დაუყოვნებიათ, შინ მისი გმირულად დაღუპვის, ეგრეთწოდებული „შავი ქაღალდი" გაუგზავნიათ.

იყო და არა იყო რა, იყო კაცი, აღარ არის კაცი. იყო შოთა მერკვილაძე, ერთი მამაცი მფრინავი, რომელიც საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებისას გზაში ჩამოაგდეს გერმანელებმა.

და აი, ერთ დღეს მფრინავი, რომელიც პოლკმა გამოიგლოვა, ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით, მგზავრობით დაღლილი. მაგრამ სახეზე ღიმილ-მორეული, გამოეცხადა თავის თანამებრძოლებს.

— მერკვილაძე!

— ცოცხალია, ცოცხალი!

სწრაფად მოედო მთელ შენაერთს. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ.

პოლკის მეთაურს ვორობიოვს წარუდგა და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ჭრილობა კი დაუმალა. ცხადი იყო, ეს რომ გაეგო, თვითმფრინავსაც არ ანდობდა.

— კარგი, — თქვა ვორობიოვმა — ორ დღეს გაძლევ დასასვენებლად. მერე კი ჩაგაბარებთ ახალ თვითმფრინავს...

— ხვალამდე შემიძლია კარგად დავისვენო, ამხანაგო პოლკოვნიკო... ერთი რიგიანი გამოძინება და ყველაფერი წესრიგში იქნება... ხვალ კი, ნება მომეცით...

— კარგი. ხვალ დილით განახავ, რა ფერზე იქნები. წადი!

თავს ძალა დაატანა, რომ პოლკის მეთაურს არაფერი შეემჩნია.

იმ დღეს მფრინავებისგან გაიგო, შინ მისი დაღუპვის ცნობა რომ იყო გაგზავნილი. თავზარი დაეცა. წარმოიდგინა რა დღეში ჩავარდებოდა ცირა. მაშინვე დაჯდა და სასწრაფოდ დაწერა წერილი. სიჩქარეში აზრს ისე ვერ ალაგებდა, როგორც უნდოდა, რომ ალერსიანი, მანუგეშებელი და იმედით სავსე წერილი გამოსვლოდა. მაგრამ, როცა თვალი გადაავლო და გადაიკითხა, სულ იმ ცნობას დასტრიალებდა, ცირას არწმუნებდა, ამ წერილს ნამდვილად მე ვწერ და თუ რამ ცნობა მოვიდა, არ დაუჯეროთო.

მეორე დღეს ჩააბარეს თვითმფრინავი. ორი დღე ზონაში დაფრინავდა პატრულირებაზე. მეოთხე დღეს თანამებრძოლებთან ერთად დასავლეთისკენ აიღო გეზი.

იმ დღეს ორი საბრძოლო გაფრენა ჰქონდათ. ბომბდამშენებმა მიწასთან გაასწორეს მტრის პოზიციები, ხოლო ავიაგამანადგურებლებმა ჯგუფურ ბრძო-

ეროვნული

ლაში გერმანელთა ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

როცა საღამოს შეკრებაზე გამოცხადდნენ მფრინავები, პოლკის მეთაურმა თავისთან იხმო შოთა მერკვილაძე.

— შენ რა, ძმობილო... გგონია ვერ გავიგებდით შენი ჭრილობის ამბავს? ასეთ რამეებს არ ეთამაშებიან. ახალგაზრდა ხარ და თუ გინდა, რომ თავი გებას მხრებზე, ფეხსაც უნდა გაუფრთხილდე. სულწასული ხალხი ხართ ეს ახალგაზრდები!

მისდგა და მისდგა მკაცრად, შეუბრალებლად, ხმამაღლა, დაუზოგავად.

სმენაზე გაჩერებული მერკვილაძე პირდაპირ უყურებდა პოლკოვნიკ ვორობიოვს. იცოდა, რომ მას ამ დროს თვალის არიდება არ უყვარდა და ლაჩრად თვლიდა იმას, ვისაც ელაპარაკებოდა, ის კი განზე გაიხედავდა. „უნდა ადამიანს უყურო პირდაპირ და გაბედულად თუ შენ კაცი ხარ და რაღაცას წარმოადგენ ამ ქვეყანაზე!“ არაერთხელ უთქვამს პოლკის მეთაურს. ეს მამაცი და პირდაპირი კაცი სხვისგანაც სიმამაცეს და პირდაპირობას მოითხოვდა.

უცებ დამშვიდდა და გაიღიმა კიდეც.

— იცი რა, ხვალ აიღებ მივლინების მოწმობას და მფრინავების ჯგუფთან ერთად გაფრინდები თბილისში...

ნამდვილად ჩამესმაო, გაიფიქრა შოთამ და პოლკის მეთაურს ბოლომდე მოუსმინა.

— საავიაციო ქარხნიდან მიიღებთ ჩვენი პოლკისთვის განკუთვნილ თვითმფრინავებს. კუზმინმა ყველაფერი იცის. დაუკავშირდით მას. წადით, მერკვილაძე!

მაგრამ შოთა ადგილიდან არ იძროდა.

— სად მივემგზავრებით?

— შენ რა, დაყრუვდი? უნდა შეგამოწმოთ, ძმობილო... თბილისში მიდიხართ, შენს მშობლიურ ქალაქში.

— გმადლობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ნუ ღრიალებ. ხალხს ნუ შეაშინებ. წაბრძანდი!

* * *

სულ სხვა მიზიდულობის ძალა აქვს მშობლიურ ქალაქს, მშობლიურ კუთხეს, როგორც დედის თბილსა და ალერსიან მკერდს.

და ამ ალერსს დანატრებული კაცისთვის საკმარისი იყო ეთქვათ, თბილისში უნდა წახვიდეო, აიღერღა და აიშალა, ის ღამე არა და არ გათენდა.

ირიურაჟა... და ბედი არ გინდა!

გათენების ჟამს პოლკში განგაში გამოცხადდა. აეროდრომს მტრის „იუნკერსები“ და „ფოკე-ვულფები“ უახლოვდებოდნენ დასაბომბად.

რამდენიმე წუთში ავიაპოლკი ფეხზე დადგა. მექანიკოსებმა და მოტორისტებმა თვითმფრინავებს სწრაფად გადააძვრეს შესანიღბი შალითები. მალე ერთმანეთის მიყოლებით ცაში აიჭრნენ ავიაგამანადგურებლები. ესკადრილიები საბრძოლო მწყობრში განლაგდნენ, ფაშისტებს ზემოდან ეკვეთნენ, დილის ვერაგ „სტუმარს“ ცუდი მასპინძლობა გაუწიეს. „იუნკერსებმა“ და „ფოკე-ვულფებმა“ ჰაიჰარად, უმიზნოდ ჩამოყარეს ბომბები და დასავლეთისკენ მოუსვეს.

ჩვენი ავიაგამანადგურებლები უვნებლად დაბრუნდნენ აეროდრომზე. ისინი ზედიზედ ეშვებოდნენ ასაფრენ ბილიკზე.

სამგზავრო თვითმფრინავი „ლი-2“ თბილისში გასაფრენად მზად იყო. ავიაპოლკის შტაბში მფრინავებისათვის უკვე გაემზადებინათ მივლინების საბუთები. როცა თავის მივლინების ბარათს იღებდა, შოთა მერკვილაძემ შტაბის მუშაკ უფროს ლეიტენანტს ჰკითხა:

— ეს საბუთები რომ გაგიმზადებიათ, დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ცოცხლები დავბრუნდებოდით ბრძოლიდან?

— ნაბრძანები გვქონდა გაგვეფორმებინა. იქ კი თქვენ უნდა გეზრუნათ,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მტერს არ ეჯობნა... როგორც ჩანს, არც თქვენ და არც მე ტყუილად არ გვიშრომია, მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ!

არა, ამას გაფრენად არ თვლიდა შოთა, როცა თვითმფრინავი სხვას მიყავს, შენ კი რბილ სავარძელში თვლემ. გაფრენა ის არის, როცა შტურვალი გიჭირავს ხელში და შენი გულიც ის პატარა ძრავია, რომელიც თვითმფრინავთან ერთად მიგაფრენს.

ახლა იგი მგზავრია სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავისა, ღუღუნით რომ მიაპობს სივრცეს.

მფრინავთაგან ბევრი პირველად მიდიოდა საქართველოს დედაქალაქში და შოთამ თვითმფრინავშივე გააცნო მათ მშობლიური ქალაქი, მისი ისტორია, მისი აწმყო და აქვე დასძინა, რომ თბილისი მისთვის ყველაზე ლამაზი და საყვარელი ქალაქია მთელ მსოფლიოში.

— როგორც ჩემთვის რიაზანი, — თქვა კუზმინმა.

სხვებსაც ჰქონდათ მშობლიური სოფლისა თუ ქალაქის დარდი.

შემდეგ მფრინავებს მოეწყინათ და ზოგმა კიდეც ჩათვლიმა.

საღამოს შვიდ საათზე თვითმფრინავმა თბილისს გადაუარა.

მფრინავებს აეროდრომზე თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორმა ვლადიმერ სალაძემ მსუბუქი მანქანები დაახვედრა. მფრინავები აეროდრომიდან პირდაპირ ვლადიმერ სალაძის კაბინეტში მოხვდნენ. მათ დიდსა და ნათელ ოთახში შეეგება ახოვანი, მხრებში ლაღად გაშლილი ორმოციოდე წლის კაცი.

ეს იყო მუშათა იმ პლეადის წარმომადგენელი, რომელთაც ოცდაათიან წლებში შრომითი სასწაულები მოახდინეს. სალაძე იყო ის კაცი, რომელმაც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საძირკვლის ჩაყრაში მიიღო მონაწილეობა, გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ქარხნიდან ჭიათურისკენ მიმავალ მაგისტრალისკენ, შემდეგ პროფესორ გიორგი ნიკოლ[illegible] დუბის ფეროშენადნობის საცდელ ქარხანაში ისწავლა ფერომანგანუმის გამოდნობა და ერთ-ერთმა პირველმა ზესტაფონის ქარხანაში გახსნა პირველი ნადნობით სავსე ღუმელი. იგი სტახანოველი გახდა. მიხეილ კალინინმა მას მოსკოვში ორდენი გადასცა. შემდეგ ზესტაფონელმა მშრომელებმა იგი უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სალაძე თბილისში გადმოჰყავთ ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორად. მრავალმხრივ ნიჭიერმა ახალგაზრდა კაცმა მალე მიაღწია იმას, რომ ერთხანს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო, ხოლო შემდეგ ჯერ საავიაციო ქარხნის მშენებლობის უფროსი, მერე ამავე ქარხნის დირექტორი გახდა. მთელი ძალით აქ გამოჩნდა სალაძის დაუცხრომელი შრომისმოყვარეობა, მისი ორგანიზატორული ნიჭი. ქარხნის დირექტორმა მოკლე ხანში შეისწავლა თვითმფრინავის მართვა. საქმე ისე დააყენა, რომ თბილისის საავიაციო ქარხანა ქვეყანას მუდამ გეგმის გადაჭარბებით აძლევდა თვითმფრინავებს. დღე და ღამე შრომის ცეცხლი დუღდა ქარხანაში, სალაძის სახელი ლეგენდასავით დადიოდა.

აი, ეს კაცი შეეგება ახლა მფრინავებს. სათითაოდ ყველას ჩამოართვა ხელი. როცა მერკვილაძეს მიესალმა, მისი ხელი ხელიდან არ გაუშვა:

— ქართველი ხარ? — ჰკითხა რიხიანი ხმით.

— ქართველი გახლავართ... თბილისიდან.

— მიხარია ხოლმე ჩვენებურ შევარდნებთან შეხვედრა. ხომ ვაჟკაცურად ურტყამ ფაშისტებს? — ეს კი რუსულად ჰკითხა სალაძემ და სწრაფად გადაავლო თვალი დანარჩენ მფრინავებს.

— ყოჩაღი თანამემამულე გყავთ, — ღიმილით მოახსენა ესკადრილიის მეთაურმა კუზმინმა სალაძეს და აქვე ხუმრობით დასძინა, — თქვენ თვითმფრი-

ნავებს აგებთ, ეს კი ამსხვრევს... მტრისას, რასაკვირველია.

— დასანანია თუ რა! — გაიცინა სალაძემ, — ბოდიშს ვიხდი, გთხოვთ დაბრძანდეთ.

როცა სტუმრები დასხდნენ, სალაძეც მიუჯდა თავის მაგიდას.

— პირველ ყოვლისა, მასპინძლის ვალია სტუმრები დააბინაოს, დააპუროს და შემდეგ შევუდგებით საქმეს... განკარგულება უკვე მიღებული მაქვს. ასე, რომ თვითმფრინავებს ჩაიბარებთ ხვალვე.

მერე ელექტროღილაკს თითი დააჭირა.

შემოვიდა მდივანი.

სანამ მას რაიმეს ეტყოდა, სალაძე მერკვილაძეს მიუბრუნდა:

— ჩვენებურო, შენი საქმე როგორ იქნება? ჩვენს სასტუმროში დარჩები? თუ...

— მე შინ წავალ, პატივცემულო ვლადიმერ!

სალაძემ უბრძანა პირად მდივანს, მფრინავები სასტუმროში დაებინავებინა, ხოლო მერკვილაძისათვის გამოეძახნა მისი პირადი მანქანა.

— ასე რომ, ამხანაგებო, დღევანდელისათვის ამით მოვრჩით... მე ახლა სამქროებში მივდივარ, — სალაძემ საათს დახედა, ხოლო სკამების ხმაურით წამოდგნენ მფრინავები.

ისანს რომ გასცდნენ, მთაწმინდაც გამოჩნდა.

მანქანა თბილისის ქუჩებში მისრიალებდა. მზე ჩასულიყო და ქალაქს ბინდი ეპარებოდა. ზაფხულის სულის შემხუთველი სიცხე იდგა, თბილისური, მხურვალე. მაგრამ ქალაქს ამ დროსაც მიმზიდველი ანდამატი აქვს. და ეს მიზიდულობის ძალა ალბათ უფრო ძლიერიც იქნებოდა, შოთას შინ რომ ეგულებოდეს დედა, მამა, ორივე ძმა. ახლა ცირა დახვდება პატარა ბიჭუნათი. იცნობს კი მამას? აბა რას იცნობს, ბოლო დროს რომ ნახა ორი წლის იყო, ახლა ოთხისაა. როგორ დახვდება ცირას? ხვალ თუ ჩემი წერილი არ მიიღო, ისევ ის შავი ქაღალდის საზარელი ცნობით იტანჯება, გლოვობს შოთას დაღუპვას, ჩაუცვამს შავები და ტირის, ტირის ცხარე ცრემლით...

— არ შეიძლება ცოტა სწრაფად? — სთხოვა შოფერს.

მანქანამ საბჭოს ქუჩაზე აუხვია.

— აი, აქ გამიჩერე! — დაიძახა შოთამ. მაგრამ სანამ მანქანა გაჩერდებოდა, მან სწრაფად გააღო კარები და გადახტა ისე, შოფერისთვის მადლობის თქმაც დაავიწყდა. მიქელაძეების ეზოს ჭიშკართან მიირბინა. თავისი ცოლშვილი ხომ აქ ეგულებოდა.

პატარა ეზოში ბავშვები თამაშობდნენ.

— მფრინავი, ბიჭებო! — დაიძახა ერთმა და უცებ შეწყდა ჟრიამული. ბავშვები მფრინავს მიაჩერდნენ. რამდენიმემ კიდეც იცნო იგი.

— ძია შოთა, ცოცხალი ხარ? ძია შოთა!

შოთა შეკრთა. „ქაღალდი ნამდვილად მოსულა“, მან უნებურად შეხედა პატარა ბიჭუნას, რომელიც ჩუმად იდგა და უცნობ კაცს თვალს არ აშორებდა.

— ჯემალ! — მოუხმო შოთამ და პატარაც უმალ გამოქანდა მისკენ. მისი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი. ხელში აიტაცა, მხურვალედ დაკოცნა.

შოთას არ გაჰკვირვებია, როცა მეზობელთაგან რამდენიმემ გადმოიხედა ფანჯრებიდან და შეშინებულებმა ლოყაზე შემოიკრეს ხელი.

— შოთა, ნუთუ ეს შენა ხარ?

— მე ვარ, გამარჯობათ, მეზობლებო! — დაიძახა და ბავშვიანად აირბინა დაბალი კიბე.

კარი გაიღო და ცირას დამშვიდებული სახე ისე შეეგება, თითქოს წლები კი არ აშორებდნენ მათ, აგერ, პურის მოსატანად იყო მაღაზიაში და შემობრუნდა. მაგრამ ეს ალბათ მოჩვენებითი სიმშვიდე იყო. ცირა უცებ აღელდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისერზე ქვითინით შემოაჭდო ხელები.

მეზობლებით გაივსო ბინა. მორბოდნენ ქალები, შემოვიდნენ კაცები, შემოხროვდნენ ბავშვები და ყველა ერთად, სიხარულის ცრემლით, შემკრთალნი, გახარებულნი ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდნენ.

შოთა ცოლ-შვილს არ შორდებოდა და მეზობლებს დაღლილი კაცის უსიტყვო ღიმილით უყურებდა.

— წადი, ანეტა, მოიტანე ის დასაწვავი ქაღალდი! — დაიძახა ერთმა მეზობელმა.

მაღალი ქალი, რომელიც სარაფანისა და ფლოსტების ამარა იყო, ეტყობოდა სარეცხის რეცხვა მიეტოვებინა, მაშინვე შეტრიალდა.

— რა ქაღალდი? — იკითხა ცირამ და მეზობლებს გადახედა.

ყველანი მდუმარედ მისჩერებოდნენ და ქალი მიხვდა, რომ მათ რაღაც დაუმალეს, რაღაც საიდუმლო იცოდნენ და გასამჟღავნებლად ალბათ ამ წუთებს ელოდნენ.

ვერაფერს მიხვდა.

— ჩემი წერილი არ მიგიღია? — კითხა შოთამ ცირას.

— კარგა ხანია არაფერი ვიცი... — ხმაში ისევ ცრემლი ერეოდა ქალს.

„ქაღალდიც არ მიუღია. ალბათ მეზობლებმა დაუმალეს", სიხარულით გაივლო გულში შოთამ და ამ დროს კარგი მახარობლივით ფრიალ-ფრიალით შემოარბენინა ანეტამ პატარა ფურცელი, შოთას გადასცა და აწ უკვე მხიარულად მიუგო:

— წაიკითხე! განა შეიძლება ტყუილების წერა იქიდან, სადაც მართალი საქმის ბედი წყდება?!

შოთამ დახედა ქაღალდს. დახედა ცირამაც და ისინი ერთმანეთთან ახლოს მოხშირებულ სუნთქვაში ჩურჩულებდნენ.

„თქვენი მეუღლე, უფროსი ლეიტენანტი შოთა გრიგოლის ძე მერკვილაძე 1944 წლის 18 აგვისტოს გმირულად დაეცა გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში".

ცირამ წამოიხედა. იგი გაოგნებული მიაჩერდა მეზობლებს.

— და თქვენ ეს ყველამ იცოდით?

— ვიცოდით, ცირა, როგორ არ ვიცოდით... ვიცოდით და გიმალავდით... ღმერთია მოწმე, გული რაღაცას გვეუბნებოდა. ესეც არ ყოფილიყო, იმედიც დიდი მკურნალია ჭირისა...

— მაინც, როგორ მოხდა, როგორ დამიმალეთ?

— ჩვენი ფოსტალიონის ამბავი ხომ იცი, — დაიწყო ანეტამ, — ასეთ ქაღალდებს ადრესატს რომ არ აძლევს, ჩვენს კარებში შეუჩხირია, ბიჭს უნახავს და მე მომცა... მე კი მეზობლები გავაფრთხილე, ხმა, კრინტი-მეთქი... შენთვის გული რად უნდა გაგვეხეთქა...

— გმადლობთ, მეზობლებო! — თვალში ცრემლი მოადგა შოთას და მდელვარება რომ დაეფარა, ჭემალი ხელში აიტაცა.

მეორე დღეს თვითმფრინავების ესკადრილიამ კავკასიონს გადაუქროლა და გეზი ფრონტისაკენ აიღო. თბილისში გამოჭედილ ერთ-ერთ მანქანას შოთა მართავდა.

საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებული თვითმფრინავები ერთმანეთის მიყოლებით სხდებოდნენ აეროდრომზე.

იყო შემთხვევები, როცა დაჭრილ მფრინავებს ძლივსძლივობით დაუსვამთ მანქანები. მაგრამ პოლკოვნიკ ვორობიოვს ასეთი რამ არასოდეს უნახავს: ერთ-ერთი მანქანა აეროდრომზე ეშვებოდა, ასაფრენ ბილიკსაც გაუსწორდა, მაგრამ რატომღაც თვლებით მიწას არ შეხებია, დაბლა ფრენით თითქმის მთელ აეროდრომს გადაუქროლა, სულ რაღაც სანტიმეტრებით ასცდა ადრე დამჯდარ თვითმფრინავებს, აეროდრომს იქით კორომს გადაუქროლა და მინდორში ჩაეშვა.

სახეგაფითრებული ვორობიოვი მხოლოდ იმ დროს მოეგო გონს, როცა თვითმფრინავი თვალს მიეფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკმა ბრძანა მოენახათ თვითმფრინავი და განსაცდელში მყოფ მფრინავს მიშველებოდნენ. ცხადი იყო რაღაც გასაჭირი ადგა.

როცა მაშველმა რაზმმა „ვილისით" კორომი გადაჭრა და მინდორში გავიდა, დაინახეს უვნებლად დაშვებული თვითმფრინავი. მფრინავი არ ჩანდა.

„ვილისი" თვითმფრინავთან გაჩერდა. მაშველი რაზმის მებრძოლები ფრთაზე შეცვივდნენ და კაბინაში დაინახეს სავარძელის საზურგეზე თავგადაგდებული მფრინავი შოთა მერკვილაძე. კაბინის შუშის ხუფი გადახსნეს და მფრინავს დასწვდნენ. იგი გონდაკარგული იყო. თვითმფრინავს კი ტყვიის ნაკაწრიც არ აჩნდა.

მერკვილაძე „ვილისში" მოათავსეს და მალე აეროდრომზე მიიყვანეს.

ვორობიოვმა თვალებზე მომდგარი ცრემლი სწრაფად მოიწმინდა და თქვა:

— ყოჩაღ!..

რაღაც უნდოდა ეთქვა მამაც მფრინავზე, ასეთ ვითარებაში მაინც რომ შეძლო მანქანისა და აეროდრომზე თავმოყრილი თვითმფრინავების გადარჩენა.

სანიტარულმა მანქანამ მერკვილაძე ლაზარეთში წაიყვანა. გონს მოგვიანებით მოვიდა, მაგრამ უკანასკნელი ამბები აღარ ახსოვდა, ვერც იმას მიმხვდარიყო რა მოხდა, ლაზარეთში როგორ აღმოჩნდა, მაშინ, როცა სულ ახლახან „მესერშმიტებს" ეომებოდა, ირგვლივ ბრძოლის ცეცხლი ენთო და თავს საღად და მხნედ გრძნობდა... მერე წყდებოდა მეხსიერების ძაფი... ლაზარეთში რა უნდა? თავი ტყვიასავით მძიმე აქვს და გარემო ყრუდ ზუზუნებს...

...საექიმო კომისიამ საბრძოლო თვითმფრინავის მართვა აუკრძალა. ეს იყო მკაცრი, ულმობელი განაჩენი. მაგრამ შოთა მორჩილად შეხვდა ამ განაჩენს.

1944 წლის შემოდგომის ერთ დღეს შოთა კვლავ ეწვია თბილისს.

ამ დროისათვის გივი და ვალია შინ დაბრუნებულიყვნენ. ვალიას საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობა ჰქონდა. [illegible]ლმა ბინა ბაქოს ქუჩაზე გადაცვალა, ჯემალი და ცირა თან წაიყვანა.

შოთამ შინ რამდენიმე დღე დაჰყო, თავისიანებს მოესიყვარულა, დაისვენა და შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის კადრების განყოფილებამ იგი ერევანში განამწესა წითელდროშოვან პოლკში.

შოთამ ამ პოლკში სამი თვე დაჰყო. იგი ჯარისკაცი იყო და რასაც უბრძანებდნენ, უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა. და ასრულებდა კიდეც: დივიზიის საფოსტო თვითმფრინავით რაიონებსა და ქალაქებში, სადაც დივიზიის ნაწილები იდგა, ჟურნალ-გაზეთები და წერილები მიჰქონდა. იჯდა იმ მარკის თვითმფრინავში, რომლითაც ჯერ კიდევ პირტიტველა ყმაწვილმა ავიაციაში აიდგა ფეხი.

ერთხელ ამიერკავკასიის ფრონტის კავშირგაბმულობის უფროსი მალიუტინი, რომელიც ერევანში ორი დღით მივლინებით იყო ჩამოსული, კიროვაბადის ავიასკოლაში უნდა გადაფრენილიყო.

პოლკოვნიკი ჩქარობდა.

ამინდი კი ისე აირია, მალიუტინს გუნება გაუფუჭდა, მაგრამ მაინც კატეგორიულად მოითხოვა გაფრენა.

კიროვაბადიდან რადიოგრამა მიიღეს, რომ იქ ძლიერი ქარი მძვინვარებდა. ქარი ერევანშიც ქროდა, თან თოვლს აყრიდა.

ასეთ უამინდობას გამანადგურებლები და ბომბდამშენები არ უშინდებოდნენ, მაგრამ პეპელასავით მსუბუქი „უ-2"-ის გაფრენა ნამდვილად შეუძლებელი იყო. შოთას კი ამ თვითმფრინავით უნდა წაეყვანა პოლკოვნიკი.

მალიუტინი ღელავდა. თვითმფრინავი გასაფრენად მზად იყო, საიმედო ცნობა კი კიროვაბადიდან არ მოდიოდა. იქ ქარი არ წყნარდებოდა.

შოთა მერკვილაძე გაფრენის ნებართვას ელოდა.

მალიუტინს მოთმინების ფიალა აევ-

სო. აეროდრომის პატარა ოთახში, სადაც იგი შოთასთან ერთად იცდიდა, ბოლთას სცემდა.

— ომია, ძმობილო, ომი! — წამოიძახა უცებ მან ნერვიულად, შეჩერდა და ფანჯარასთან მდგარ მფრინავს ისე მიაცივა გამწყრალი თვალები, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო ყველაფერი.

— ვიღაცის კაპრიზების გულისათვის საბრძოლო დავალება შეუსრულებელი მრჩება!.. — აბობოქრდა პოლკოვნიკი, — არა, მეტის მოთმენა შეუძლებელია! გავფრინდეთ!

შოთას თავისუფლად შეეძლო მისი ბრძანება არ შეესრულებინა, მაგრამ მასაც მოსწყინდა ლოდინი, ფანჯარასთან ატუზული დგომა და იმის ცქერა, თუ როგორ იფარებოდა აეროდრომი თოვლის თეთრი საფარველით.

პოლკოვნიკმა ყურებიანი ქუდი მაგრად გაიკვანძა, ქურთუკის ბეწვიანი საყელო წამოიწია, შოთას პასუხს არც კი დაელოდა, კარი გააღო და თვითმფრინავისკენ გაიჭრა. გულმოსული მიდიოდა, თოვლზე ფეხი უცურდებოდა. მერე თვითმფრინავის ფრთაზე ძლივძლივობით ავიდა, კაბინას ბრეზენტის საფარი გადააძრო და შიგ გადაალაჯა.

შოთას მეტი არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ ისიც ჩამჯდარიყო თვითმფრინავში.

რაც იქნება იქნებაო, გადაწყვიტა გუნებაში. მფრინავის მთელი ცხოვრება ხომ რისკია, დაე, დღევანდელი ეს გაფრენაც იმ სარისკო გაფრენებს მიემატოს, იშვირა ფეხი და თვითმფრინავისკენ გაიქცა. პალოებზე დაბმული თოკები მოხსნა და წამში კაბინაში გაჩნდა.

სამეთაურო პუნქტიდან ნებართვის მიღების გარეშე აფრინდა და კურსი კიროვაბადისაკენ აიღო. თუ მშვიდობით ჩააღწია, ვინ იცის რა სასჯელს დაადებდნენ. მაგრამ იმედია პოლკოვნიკი მალიუტინი თავს გამოიდებდა და ყველაფერს დაიბრალებდა.

შოთა სარკეში მალიმალ იყურებოდა და თვალს ადევნებდა თავის თანამგზავრს. მას თავი ჩაერგო და გაუნძრევლად იჯდა.

მასისის მთები რომ გადალახეს, ქარმა იმძლავრა, თვითმფრინავს თავის ნებაზე ათამაშებდა, ფოთოლივით აფარფატებდა.

შოთას ძარღვები დაეჭიმა. ასეთი ჭიდილი, ახლა ქართან რომ გამართა, მტრის თვითმფრინავებთან არ ჰქონია. იქ თავისუფლად და გაბედულად დაატარებდა გამანადგურებელს, აქ კი, ბუნების სტიქიასთან, უძლური გამოდგა „უ-2“. ქარმა შეიძლება ფრთები შეალეწოს და მიწაზე დაანარცხოს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ფრთებიც ადგილზეა, ძრავა ჰაერის მოთარეშე ნაკადებს ებრძვის. ისევ გაუნძრევლად, თავჩარგული ზის პოლკოვნიკი მალიუტინი.

შოთამ ერთი ხანობა ქართან ჭიდილში ვერაფერი გააწყო. გრძნობდა, რომ თვითმფრინავი წინ ველარ მიიწევდა, ჰაერის ნაკადი ეძალებოდა. გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო. როგორღაც რეზინის მილში ჩასძახა და გამოაფხიზლა ფრენით გაოგნებული მალიუტინი.

— განვაგრძოთ გზა თუ დავბრუნდეთ?

მაგრამ პოლკოვნიკი ჯიუტი, თავნათქვამი კაცი გამოდგა და ხელით ანიშნა, წინ, წინ იარეო.

ორი საათი იფარფატეს და ივაგლახეს ჰაერში.

კიროვაბადს მიაღწიეს. მაგრამ ახლა დაჯდომა არ გინდა?

ქარი ისევ მძვინვარებდა. როცა აფარფატებული თვითმფრინავი დაბლა დაეშვა, შოთამ ასაფრენ ბილიკზე ცოცხალი ადამიანების „კორიდორი“ შენიშნა. ცხადი იყო ისინი „დიდი ჰეპელას“ დასახვედრად გამოსულიყვნენ.

თვითმფრინავი დაბლა, სულ დაბლა დაეშვა, სანამ მიწას შეეხებოდა, ოცი ჯარისკაცი ჰაერშივე მისცვივდა ფრთოსანს, დაიჭირეს, შეაკავეს და ნელა დაუშვეს მიწაზე. თვითმფრინავი თავის

ადგილზე დააყენეს და ბურღვებზე ბაწრით დააბეს.

შოთამ თავისუფლად ამოისუნთქა. კაბინიდან წამოიწია. ქარი ყველაფერს ეძალებოდა. მაგრამ თვითმფრინავი ახლა საიმედოდ იყო დაბმული.

პოლკოვნიკი მალიუტინი გზაში შეუძლოდ გამხდარიყო, ახლა თავს ძალა დაატანა და კაბინიდან წამოიწია.

შოთა უზომოდ იყო დათეთქვილი. ასეთი დაღლილობა არასოდეს უგრძვნია.

— როგორ ბრძანდებით, ამხანაგო პოლკოვნიკო? — მოიკითხა თანამგზავრი.

— შესანიშნავად! გმადლობთ, მეგობარო... — ნაძალადევად გაიღიმა პოლკოვნიკმა... გამომშვიდობებისას შოთას დაუბარა, ხვალ დილით საქართველოში უნდა გავფრინდეთო, და პოლკის შტაბს მიაშურა.

როგორც ცოტა ხნის შემდეგ გაიგო შოთამ, ერევნის აეროდრომის დისპეტჩერს შეშფოთებით უცნობებია კიროვაბადში: ერთი გადარეული ქართველი მფრინავი წამოვიდა, მასთან ერთად არის პოლკოვნიკი მალიუტინი, თუ კიროვაბადამდე მოაღწიეს, გაუკეთეთ ჯარისკაცთა „კორიდორი", თორემ დაღეწვა არ ასცდებათო.

სწორედ ეს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული შოთას. შტაბისკენ გასწია, ეგებ ძველი ნაცნობებიდან ვინმე ვნახოო. მაგრამ ძველთაგან სასწავლებელში არავინ იყო. სანამ ისევ აეროდრომის სადისპეტჩეროში დაბრუნდებოდა, შტაბის წინ შეყოვნდა. ქარი ისევ ქროდა, მაგრამ აქ, ყაზარმების გარემოცვაში, შედარებით სიმყუდროვე იყო.

შორიახლო სერჟანტმა ჩაიარა, შოთას ცერად გამოხედა და მხედრულად მიესალმა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, სერჟანტი უცებ შემობრუნდა და შოთას ისევ მიესალმა. ისევ გაშორდა და ისევ შემობრუნდა.

შოთას გაუკვირდა, ვინ არის ეს თავხედი, ასეთ დროს ამ უცნობ [illegible] რა სამწყობრო მეცადინეობა [illegible] ყოო. როგორც კი დაიძრა იგი და მიუახლოვდა, ის იყო მწყობრად დასცა ფეხი და ხელი აუღო, გულმოსულმა შოთამ შეუძახა:

— სერჟანტო, ჩემთან!

სერჟანტი მკვეთრად შემობრუნდა, გამოექანა, შოთას სულის მოთქმა არ აცალა, ისე ჩამოეკიდა კისერზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა.

და იგრძნო თავისი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი. ეს ხომ თენგიზი იყო, მისი უმცროსი ძმა, შეცვლილი, დავაჟკაცებული, ხუთი წლის უნახავი.

შოთამ მღელვარებით შეათვალიერა იგი და გული რომ საგულეს ჩაიგდო, მერე ერთად დასხდნენ ერთ მყუდრო ადგილას. სალაპარაკო დრო საკმაო ჰქონდათ. ორივეს ბევრი რამ აინტერესებდა. დროდადრო ერთმანეთს სიყვარულით ეფერებოდნენ. უზომოდ გაიხარეს.

თენგიზი ბალტიისპირეთის ფრონტიდან 1944 წელს აზერბაიჯანის საავიაციო სკოლაში გამოუგზავნიათ. სკოლა დროზე ადრე დაუმთავრებია და კიროვაბადის სათადარიგო პოლკში გაუმწესებიათ.

თურმე თენგიზს ჯარში სამსახურს 1942 წლიდან არ უთვლიდნენ და სავალდებულო სამსახურის სტაჟი მხოლოდ სამი დღისა ჰქონია. სამი დღის წინ მას თვრამეტი წელი შეუსრულდა. თენგიზს კი ერთი კარგად მოწიფული კაცის ჯაფა უკვე ჰქონდა გაღებული. არ ჩაუთვალეს. მაგრამ თენგიზს ეს არ ანაღვლებდა. იგი რაიმის ჩასათვლელად არ გაპარულა სახლიდან. ბრძოლა ეწადა და იბრძოდა.

ძმებმა ერთად ივახშმეს. დილის ნაღარაზე წამოდგნენ.

ქარი ჩამდგარიყო. ცა მოწმენდილიყო. იმ დრომდე ვიდრე შოთა თვითმფრინავში ჩაჯდებოდა, თენგიზი გვერდიდან არ მოშორებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — მიმართა შოთამ მალიუტინს, როცა იგი აეროდრომზე მოვიდა, — მადლობელი ვარ თქვენი!

— არ მესმის, რაზე მიხდი მადლობას!

— აქ ხუთი წლის უნახავ ძმას შევხვდი... აი, ამ სერჟანტს.

მალიუტინმა იქვე სმენაზე გაჭიმულ სერჟანტს შეხედა.

— უყურე ერთი! მთლად ბავშვია და უკვე სერჟანტი... მალე გენერალი იქნები. ყოჩაღ!

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — სხარტად მიუგო პოლკოვნიკს თენგიზმა.

პოლკოვნიკმა ხელი ჩამოართვა და თვითმფრინავს მიაშურა.

ძმები ერთმანეთს მოეხვივნენ.

— ახლა მაინც გვეშველება რაღაც... ახლო ვართ ერთმანეთთან, — უთხრა თენგიზმა გამომშვიდობებისას.

მერე აეროდრომზე იდგა მანამდე, ვიდრე თვითმფრინავმა წრე არ მოხაზა. ალბათ შოთამაც გადმოხედა ძმას, რომელიც ცაში იყურებოდა და ხელს უქნევდა.

იმ კაცისთვის, რომელიც წლობით ავიაგამანადგურებელზე დაოსტატდა, ძნელი იყო ეფრინა საფოსტო თვითმფრინავით. ერთი თვე მოითმინა, ორი, მესამე და მოთმინების ფიალაც აივსო. მოითხოვა თბილისში გამგზავნეთ საექიმო კომისიაზეო.

საექიმო კომისიამ შოთა ჯანმრთელად ცნო და ნება დართეს ეფრინა ავიაგამანადგურებელზე.

მაშ ასე, მაშ ისევ შორს, ისევ მაღლა, ისევ სწრაფად!

შოთას ჯიბეში საბუთი ედო, სადაც ეწერა:

„26-ე სათადარიგო ავიაგამანადგურებელი პოლკის მეთაურს, გარნიზონის უფროსს, პოლკოვნიკ ლაგუტინს.

თქვენს განკარგულებაში გეგზავნებათ ვვარდიის უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო მფრინავთა რგოლის მეთაური შოთა გრიგოლის-ძე მერკვილაძე. პირადი საბუთები გადმოგზავნილი იქნება საიდუმლო არხით“.

შოთამ კარგად იცოდა თავისი აწინდელი მოვალეობა. იგი პოლკში იგზავნებოდა იმ მფრინავების მასწავლებლად, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებდნენ ავიაგამანადგურებლებზე.

ღმერთს მადლობა უნდა უთხრას, რომ მთლიანად არ ჩამოსცილდა თავის საყვარელ საქმეს. კვლავ თვითმფრინავებთან იტრიალებს, კვლავ მფრინავებთან იქნება.

რა საბედისწერო აღმოჩნდა ის ნახტომი მაშინ, პარაშუტმა რომ უღალატა! შოთას ცხოვრებაში გულდასაწყვეტი ბევრი რამ ჰქონდა, მაგრამ იმისი უნარიც შესწევდა, ყველაფერს საღი გონებით შეხვედროდა და ვაჟკაცურად გადაეტანა.

დანიშნულ ადგილზე საღამო ხანს მივიდა. ჯერ კიდევ შორიდან მოესმა თვითმფრინავების გუგუნი და გული ხალისით აევსო. პოლკის შტაბში რომ მივიდა, მორიგეს მოსვლის მიზეზი მოახსენა.

პოლკოვნიკი ლაგუტინი დივიზიის შტაბში წასულიყო და მერკვილაძეს მის მოსვლამდე შტაბში უნდა მოეცადა.

მორიგე თავისი საქმეებით იყო გართული და შოთას ყურადღებას არ აქცევდა.

ოთახში ევროპის დიდი რუკა ეკიდა. საბჭოთა ჯარების მიერ გათავისუფლებულ ქალაქებზე პაწია წითელი დროშები იყო მიმაგრებული. დროშები უამრავი იყო და სასიამოვნოს ხდიდა რუკას, რომელზედაც ჩანდა უკანასკნელი დროის სასიხარულო ამბები — ჩვენი ჯარების წინსვლას ვეღარაფერი აკავებდა.

რა დროს გამოაკლდა შოთა მოიერიშე მეგობრებს! ამაზე მეტი გულდასაწყვეტი რაღა იქნებოდა. უყურებდა რუკას და გონების თვალით ხედავდა თა-

ვისი პოლკის ავიაგამანადგურებლებს, დღითიდღე მოჭარბებული ძალებით რომ უტევდნენ ჰიტლერელთა აწ შეთხელებულ ავიაციას.

შოთა ფიქრში იყო გართული, თან კარებს თვალს არ აშორებდა, საიდანაც პოლკოვნიკი ლაგუტინი უნდა შემოსულიყო.

დრო გადიოდა.

შოთას ჯდომა მობეზრდა და გარეთ გავიდა. მიდამოს მიხედ-მოხედა. ბინდბუნდშიც არ ისვენებდნენ მფრინავები, გამოცოცხლებულიყო აეროდრომი.

მერკვილაძე ისევ შტაბში შებრუნდა და კედლის საათს შეხედა. ლაგუტინის ლოდინში ორი საათი შეუმჩნევლად გასულიყო. ვინ იცის კიდევ რამდენი დრო დასჭირდება მის მოსვლას.

შოთა სკამზე ჩამოჯდა.

ოთახში ვიღაც მფრინავი შემოვიდა. შოთამ შეხედა. მფრინავი შემცბარი შედგა და მერკვილაძეს შესძახა:

— შოთა, ეს შენა ხარ, ბიჭო?

შოთა ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ აქ, ამ პოლკში თუ ნესტორ მეტრეველს შეხვდებოდა, ეს კი ვერ წარმოედგინა. არც უფიქრია, ამ წუთებში იგი არც გახსენებია. სხვა დროს ხშირად იგონებდა ვაკის მინდორს, პლანერებს, ნესტორ მეტრეველს. მუდამ ემადლიერებოდა ამ კეთილ კაცს, ყოველთვის ახსოვდა მისი დარიგებანი.

გაეხარდა, უზომოდ გაეხარდა მისი დანახვა. ხელები გაშალა.

— ნესტორ, ჩემო კარგო მასწავლებელო!

ერთმანეთს მოეხვივნენ, ერთმანეთი შეათვალიერეს, რამდენად გამოსცვალა ისინი წლებმა.

— საიდან, როგორ? აქ როგორ გაჩნდი? შენ ხომ ფრონტზე იბრძოდი. ვხედავ, ბევრი ჯილდოც მიგიღია.

ნესტორმა ორდენებითა და მედლებით დამშვენებულ მკერდზე ჯილდოებს სათუთად გადაუსვა ხელი.

— ბოლომდე ველარ გავაღწიე, — მწარედ გაეღიმა მერკვილაძეს, — ახლა აქეთ გამომგზავნეს, მფრინავებ[illegible] სამზადებლად. თქვენ, თქვენ რას შვრებით? თქვენც ხომ ფრონტზე იყავით?

— ახლა მეც აქა ვარ. შენი კოლეგა ვიქნები. მფრინავებს ერთად მოვამზადებთ. დაჯექი, მიამბე რამე... შენ ალბათ პოლკოვნიკს ელოდები.

— პოლკოვნიკს. რა უნდა გიამბო, რა ვიცი... თუმცა საამბობი ბევრია.

— დაგჭრეს, კანტუზია გქონდა?

— თვითმფრინავი დამიზიანეს მტრის მეზენიტეებმა. გადმოვხტი, მაგრამ პარაშუტმა მიღალატა, ზედ მიწასთან გაიშალა. მიშველა, მაგრამ მთლად ვერა. მიწას დავასკდი და... ბოლოს ნახევრად გონდაკარგულმა ძლივს დავსვი თვითმფრინავი. ეს იყო და ეს. იყო ციური ტკბილი სიზმრები და მოგონებად იქცა.

— გულს ნუ გაიტეხ, მით უმეტეს მწყობრში დაგაბრუნეს და ფრენის უფლება მოგცეს.

— სხვა არის, როცა მფრინავი-გამანადგურებელი თავის მოვალეობას პირდაპირი მნიშვნელობით ასრულებს ომიანობის დროს. არა, მთლად გულგატეხილი არა ვარ. რახან თქვენთან მოვხვდი და აქ კიდევ ვიფრენ...

— პოლკოვნიკს დიდი ხანია რაც ელოდები?

— ორი საათია. დივიზიის შტაბში ყოფილა.

—მეც საქმე მქონდა. ერთად დაველოდოთ. ვთხოვოთ ჩვენთან დაგაბინაოს. ჩემთან ერთად ოთახში ერთი კარგი ბიჭია, პეტრე ჯაფარიძე. სულში ჩაისვამ, ისეთია. ჩვენ სამივენი კარგად ვიქნებით, შეწყობილად, აი ნახავ.

— სიამოვნებით, ნესტორ. თქვენთან ყოფნას რა სჯობია.

პოლკოვნიკი ლაგუტინი გვიან დაბრუნდა დივიზიის შტაბიდან. მეგობარი მფრინავები ერთად მიიღო. ლაგუტინი თავაზიანი და კეთილი კაცი ჩანდა. მან რამდენჯერმე სიამოვნებით შეხედა მერკვილაძის ჯილდოებს და ასევე სიამოვნებით ჩარიცხა იგი თავის პოლკში. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბინავებაზე იზრუნა, მაგრამ, როგორც კი ნესტორ მეტრეველმა მოახსენა ჩვენს ოთახში დავაბინავებთო, პოლკოვნიკი უმალვე დათანხმდა.

— როგორც გენებოთ, — მიმართა მან მეტრეველს. მერე სამსახურის საქმეზე მოუსმინა მას. ესეც მოუგვარა და ორივეს კეთილი ღიმილით დაემშვიდობა.

საერთო საცხოვრებლის ყველა ფანჯარა დაგმანული იყო. მართალია მტერი აქედან საკმაოდ შორს იყო და ვეღარც მოაღწევდა მისი ვერც ერთი თვითმფრინავი, მაგრამ ჯერ კიდევ მკაცრად იცავდნენ შუქშენიღბვის წესებს სამხედრო ნაწილებში.

ოთახს არა უშავდა რა. ფართო იყო და თავისუფლად დაიდგმებოდა მესამე საწოლი. ავეჯი ცოტა: ორი საწოლი, აწოწილი უბრალო კარადა, მაგიდა ორი სკამით, კედელზე ფოტოსურათები.

მაგიდას ახალგაზრდა კაცი უჯდა შინაურულად, ხალათმოსხმული და წერილს წერდა.

— პეტრე, გაიცანი, ჩემი მეგობარი მფრინავი შოთა მერკვილაძე! — მიმართა ნესტორმა.

პეტრე წამოხტა და ხალისიანად მიეგება.

— ეს არის შოთა? ბევრჯერ გაგიხსენებია. განა დამავიწყდა, — პეტრემ ხელი ჩამოართვა შოთას და მაშინვე კითხა, — გარი მერკვილაძისა რა ხართ?

— შორეული ნათესავი.

— აი ვაჟკაცი! შენც გეტყობა არ ჩამოუვარდები გარის.

— ერთმანეთს არ ვეჯიბრებოდით ბრძოლაში, მაგრამ ვცდილობდი მაინც, რაც შეიძლება მტრის ბევრი თვითმფრინავი ჩამომეგდო.

ნესტორ მეტრეველმა შეატყო, რომ პეტრესა და შოთას შორის უკვე გაიბა მეგობრული საუბარი, თვითონ გარნიზონის საინტენდანტო ნაწილის საწყობს მიაშურა, რომ იქიდან საწოლი გადმოეტანა შოთა მერკვილაძისთვის.

რიგითმა მებრძოლებმა ს[illegible] მოიტანეს რკინის უბრალო, მწვანედ შეღებილი საწოლი, სქელი თივით დატენილი ლეიბით და ოთახში გამართეს.

— თითქოს ვიღაც გვაკლდა, არა ნესტორ? — მიმართა პეტრემ, როცა შოთა დაბინავდა და ოთხის სამივე ბინადარი ერთად შემოუსხდნენ მაგიდას ცხელი ჩაის დასალევად.

— გვაკლდა და მოვიდა კიდეც! — თქვა თვითონვე, პეტრემ, — შოთა, რომელ ფრონტზე იბრძოდი?

შოთამ დაუსახელა მიმართულება და ნაწილის ნომერი.

— ეგ ავიაპოლკი ხომ ჩვენს კორპუსში შედიოდა! — წამოიძახა ჯაფარიძემ, — ერთ ნაწილში ვყოფილვართ, ერთად გვიბრძოლია.

— მერედა, შენ რატომღა გამოგიშვეს აქეთ?

— მფრინავების მოსამზადებლად. არ ვიცი როგორ გავახსენდი, ვის მოუვიდა აზრად ჩემი პედაგოგობა. ერთ დღეს უცებ დამიბარეს გენერალთან. მეუბნება: ჯაფარიძე, აიკრიფე შენი გუდანაბადი და გაემგზავრე მავან და მავან ადგილზეო. იქ მფრინავები უნდა მოამზადოო. ხომ ხედავ, როგორ გვაკლია ხალხიო. ახალი თვითმფრინავები ბევრი გვაქვს, კარგი ტექნიკა გვაქვს, კარგი მფრინავები კი არა გვყოფნისო. ხმა არ ამომიღია. ვდგევარ ჩემთვის და ვუსმენ. უცებ ისე გამიცხარდა, თითქოს რამეში ვედავებოდი. იცი რა გითხრაო, მიყვირა, შენ თუ გგონია იქ ქვეყნისთვის ნაკლებ საქმეს გააკეთებ, ძალიან სცდებიო... ახლა, ამ ეტაპზე, მფრინავების მომზადება იგივე ბრძოლაა და ქვეყნისთვის თავდადებაო. გესმით თუ არა, რა საპასუხისმგებლო საქმეზე მიდიხარო. მფრინავობა კარგია, მაგრამ სხვასაც რომ ასწავლი, ეს ორმაგად კარგიო. მესმის, ამხანაგო გენარალო-მეთქი, ვუთხარი და მაშინ კი გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, წადი, ძვირფასო, წადი და არ დაივიწყო შენი გენერალიო. აი მისი სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრემ კედელზე გაკრულ უამრავ სურათს შორის მოძებნა თავისი გენერალი. კედელზე სულ ფრონტელი მეგობრების სურათები ჰქონდა გაკრული ზოგი ცალ-ცალკე, ზოგიც ჯგუფურად გადაღებული. სურათების უმეტესობაში თვითმფრინავები მოჩანდა. ჯაფარიძე ამ სურათებს სათუთად უვლიდა და სიყვარულით შეჰყურებდა ხოლმე.

საუბრობდნენ მეგობრები და თან ცხელ ჩაის შეექცეოდნენ.

შოთას გულზე მოეშვა. თავი ისეთ მეგობრულ გარემოში იგრძნო, აქ მართლაც კარგად იქნებოდნენ სამი მფრინავი, სამი მეგობარი.

* * *

მეორე დღეს შოთას ახალგაზრდა მფრინავების ჯგუფი ჩაბარეს და აწ უკვე, როგორც ბრძოლაში გამოწრთობილი მეომარი მფრინავი მასწავლებლის როლში წარუდგა მათ. მტკიცე ნაბიჯით გაიყოლა ახალგაზრდები.

მინდორში რამდენიმე ავიაგამანადგურებელი იდგა.

რა სახის თვითმფრინავზე არ უფრენია შოთას! ახლა, როცა მოლზე მიაბიჯებდა, თვალწინ წარმოუდგა ყველა თავისი მანქანა. მათ შორის განსაკუთრებით „იაკ-3“ მოსწონდა. ეს მანქანა ძლიერ უყვარდა.

გარი მერკვილაძეო, გუშინ პეტრემ უხსენა სახელოვანი მოგვარე. დავით მერკვილაძე? განა ეს ნაკლები ვაჟკაცია! ალბათ ამას არ იცნობდა პეტრე, თორემ უთუოდ ახსენებდა.

სამნი მერკვილაძეების გვარიდან. სამი მამაცი ვაჟკაცი!

გარი მერკვილაძის სახელი ფრონტზე ქუხდა.

აჰ, ერთი წამოახედა აფრასიონ მერკვილაძე! იამაყებდა, როგორ იამაყებდა თავისი მოგვარეების სიმამაცით „ეგრე, ბიჭებო, რევოლუცია გრძელდება, სიმართლისათვის ბრძოლა გრძელდება და აქაც ხართ მერკვილაძეები. ბარაქალა თქვენ!“

შოთა დიდი მონდომებით შეუდგა ახალ საქმეს. ახარებდა ახალგაზრდა მფრინავების მონდომება.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენი ჯარების წინსვლა გრძელდებოდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ხვალ-ზეგ ბერლინის კარებს შელეწავდნენ და ამით ბოლო მოეღებოდა ოთხი წლის ტანჯვა-წამებას, სისხლის ღვრასა და გაჭირვებას...

კურსანტებიც ჩქარობდნენ მალე აეთვისებინათ საბრძოლო მანქანები, მალე მიშველებოდნენ გამარჯვების კარიბჭესთან მისულ საბჭოთა მეომრებს.

ნოემბერში შინიდან სასიხარულო ამბავი მოუვიდა. მამა ფრონტიდან დაბრუნდა. გრიშა ჭრილობის გამო გაეთავისუფლებინათ. ახლა მერკვილაძეთა ოჯახს შოთა და თენგიზი აკლდნენ.

* * *

ის გაზაფხული ადრე დაიწყო. თებერვალშივე მოცოცხლდა გარემო. მალე იფეთქეს ტყემლებმა, თეთრად გადაიპენტნენ და მდელომაც ფერი იცვალა.

აბა, მაშინ იყო სანახავი დედამიწა, დევკაცივით ღონივრად რომ სუნთქავდა და იწვა მკერდგადაღეღილი...

მაგრამ ერთ დღეს შოთას ისე მოეჩვენა, რომ მარტის მზიანი დღე უცებ დაიბინდა. იცის ხოლმე მარტმა ასეთი ჭირვეულობა, ერთ წუთს რომ მზიანია, აცხუნებს და ათბობს, მეორე წუთს ცივად წამოიჭროლებს და თოვლსაც წამოყრის.

ასე მოეჩვენა იმ დღეს, რომ უცებ მოიღრუბლა და გარემო დაიბინდა.

თვითმფრინავს კურსანტი მართავდა, შოთა მითითებებს აძლევდა. მაგრამ როგორც კი მის თვალში დაიბინდა. თავი კარგად ვერ იგრძნო. გონება დაუმძიმდა.

კურსანტს აღარ ესმოდა მისი ხმა. ერთხანს ელოდა მითითებებს, მაგრამ შეატყო, რომ მეორე კაბინაში საქმე კარგად ვერ წავიდა, თვითმფრინავი მყისვე დაბლა დაუშვა. როცა მანქანის

თვლები მიწას შეეხო, შოთა მაშინ მოეგო გონს.

შოთამ ფერდაკარგულ ბიჭებს შეხედა და ძალუმად გაუღიმა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო!

იქით დაუწყო გამხნევება.

ექიმმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნა. შინ დააწვინეს. შეფიქრიანებული მეგობრები მზრუნველად დასტრიალებდნენ.

თავი მალე კარგად იგრძნო, მაგრამ ექიმმა ფრენის უფლება მაინც არ მისცა. საექიმო კომისიამ ექიმის განაჩენი განამტკიცა.

შოთა დროებით იმავე პოლკში სამწყობრო მეთაურად გადაიყვანეს. გულდაწყვეტილი, იმედგაცრუებული ბავშვივით სახედალვრემილი უყურებდა თვითმფრინავებს. ერთს ისეთს ამოიოხრებდა, თითქოს გულიც თან უნდა ამოაყოლოსო.

მაგრამ ის არმიის ერთგული ჯარისკაცი იყო ყოველ წუთს, ყოველ წამს.

მალე ისე მოხდა, რომ მეგობრებმა საცხოვრებელი ბინა გამოიცვალეს, სოფელში ცალ-ცალკე დაბინავდნენ. საერთო საცხოვრებელში კი კურსანტთა ახალი ნაკადი შეასახლეს.

მაგრამ მეტრეველის, ჯაფარიძისა და მერკვილაძის მეგობრობა ამით არ დარღვეულა. ისინი ყოველ საღამოს მაინც ერთად იყვნენ და ერთად მღელვარებით განიცდიდნენ გამარჯვების მოახლოებას, რომელიც სულ ახლოს იყო, ახლოს. ეს ნანატრი დღე ამ გაზაფხულის რომელიმე დღე უნდა ყოფილიყო უთუოდ, აპრილის, ან მაისის... ამ ორ თვეში რომელიმე დღე. მაგრამ რომელი?

ის დღე არ გავდა არც ერთ დღეს!

ის განსაკუთრებული იყო. დღე კი არა, სულიერი დევგმირივით წარმოადგა დედამიწას და ომი გააჩუმა.

იმ დღეს კვლავ აზვირთდა ხალხი, აზვირთდა საზეიმოდ. რაღაც არნახული და არგაგონილი დღე იყო. თითქოს ხელახლა იშვა სიცოცხლე, თითქოს იმ დღეს ხელახლა გავჩნდით ამ ქვეყანაზე.

და იმ დღეს მეგობრებმა, გული ხომ ერთმანეთის ხვევნა-კოცნით იჯერეს, საზეიმოდ დათქვეს: სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ყოველი წლის ცხრა მაისს ოჯახებით ერთმანეთს შეხვედროდნენ, რიგრიგობით, ხან ერთთან, ხან მეორესთან, ხან მესამესთან.

და ამ დათქმულ სიტყვას არც უღალატეს.

* * *

ომის შემდეგ საექიმო კომისიებმა უამრავ მფრინავს შეუწყვიტეს საფრენოსნო კარიერა. ომის დასასრულს არმიაში უამრავი მფრინავი იყო მოზღვავებული. დაიწყო დემობილიზაცია. ზოგმა მფრინავმა სამოქალაქო ავიაციას მიაშურა, ზოგი ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო ჩამოშორდა ავიაციას. მფრინავების ნაწილმა სწავლა განაგრძო უმაღლეს ავიასასწავლებელში. თუკი ვინმეს ბედმა გაუღიმა და ავიაციას შერჩა, ესენი უმეტესად ცხრამეტი-ოცი წლის ყმაწვილი მფრინავები იყვნენ.

შოთა სამხედრო სამსახურს ვერ ელეოდა, არ ეთმობოდა თავისი ავიაპოლკი. ერთი ხანობა ისევ დაუბრუნდა თვითმფრინავებს.

შოთას ახლოს ცხოვრობდა მეზობელი პოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ალექსანდრე ვლადიმერის ძე ხოროშილოვი. მასაც მთელი ომი თავიდან ბოლომდე ბრძოლის ველზე ჰქონდა გავლილი და თავისუფალ დროს ხშირად უყვარდა მერკვილაძესთან ერთად წარსულის გახსენება.

ერთ კვირა დღეს პოლკოვნიკის ორდინარეცმა შოთასთან მიირბინა და აცნობა თბილისიდან ტელეფონზე გთხოვენო.

ტელეფონი პოლკოვნიკს ბინაზე ჰქონდა და აქ ხშირად ურეკავდნენ მერკვილაძეს თბილისიდან.

პოლკოვნიკი ხოროშილოვი შინ იყო. როცა შოთამ დედასთან ლაპარაკი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათავა და ყურძილი ჩამოკიდა. მასპინძელმა იგი ჩაიზე მიიპატიჟა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და შოთას მიპატიჟებაზე უარი არ უთქვამს. ხოროშილოვი გულღია მასპინძელი იყო. შოთას არასოდეს სწყინდებოდა ამ კაცთან ყოფნა, მასთან საუბარი. ბევრჯერ გათენებამდე მსხდარან.

სანამ ჩაის მოამზადებდნენ, სიტყვა ისევ განვლილ ომზე ჩამოვარდა. შოთა მთელი ომის განმავლობაში აკვირდებოდა მოვლენებს, ბრძოლების ვითარებას, მტრის დამოკიდებულებას ჩვენი ხალხისადმი. ბევრი რამ მოუსმენია, ბევრი რამ უნახავს და წაუკითხია ფაშისტების მხეცობაზე. ცხადი იყო ფაშისტურმა რეჟიმმა მონად აქცია გერმანელი ჯარისკაცი, ალვირახსნილ მონად, განუზომელი უფლებებით — მოეკლა, ჩამოეხრჩო, ეწამებინა ბავშვი იქნებოდა, ქალი თუ მოხუცი, მოქალაქე თუ ჯარისკაცი. გერმანელი ფაშისტების ბარბაროსული მოქმედება არნახული და არგაგონილი იყო. ჰიტლერმა თავისი პირსისხლიანი საქმეებით ისტორიაში ცნობილ ყველა ბარბაროსს გადააჭარბა. ამდენი სისხლი არც ერთ ომში არ დაღვრილა, ამდენი ქვრივ-ობოლი არც ერთ ომს არ დაუტოვებია.

შოთას გულში განუზომლად დიდი ტკივილი დარჩა.

— არ შემიძლია გულგრილად გავიხსენო ყოველივე ეს, — თქვა შოთამ, — ნუთუ ამას სჩადიოდა ადამიანის შვილი?

— რასაკვირველია ძნელია შეეგუო. მაგრამ სამუდამო სიძულვილი არ გვარგებს, ფაქტია... გერმანია ახლებურად აღორძინდება. და ჩვენ ამ ქვეყნისადმი სულ სხვა დამოკიდებულება გვმართებს. ასე აჯობებს მომავლისათვის. უბედური ხალხი იყო, საკმაოდაც მიეზღოთ... კმარა! ჩვენ ხომ იმისათვის არ ვიბრძვით, რომ მტრობა გაგრძელდეს, ჩვენ სწორედ მტრობისა და შუღლის აღმოსაფხვრელად ვომობდით. ამას მივაღწიეთ, ამიტომაც გვმართებს ვაჟკაცურად გადავიტანოთ ის, რაც იყო, რაც გამოვცადეთ... როცა ჩვენ გერმანიაში შევედით, პირველი, რაც ამ ხალხს მივუტანეთ, პური იყო. ჩვენ სხვანაირად არც მოვიქცეოდით. შოთა გრიგორევიჩ, ჩაი უკვე გაგვიმზადეს, მობრძანდი, გეთაყვა...

მაგიდას მიუსხდნენ. ცხელი ჩაი მოხვრიპეს.

— შეუძლებელი იყო მთელი გერმანიის მოწამვლა ფაშისტური შხამით, — განაგრძო ხოროშილოვმა, — ჯარშიც იყვნენ „თეთრი ყვავები". აი, მე გიამბობ რაც მე გარდამხდა. უტყუარი ფაქტია. 1942 წლის შემოდგომაზე ბომბდამშენთა ესკადრილიას ვმეთაურობდი, კაპიტანის ჩინი მქონდა. ერთ დღეს, როცა საბრძოლო დავალებიდან ვბრუნდებოდით, მტრის საზენიტო არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაგვინთო. ჩემს „პეტლიაკოვს" პირდაპირი დამიზნებით მოხვდა ჭურვი. თვითმფრინავის ორივე ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და ჩემს ეკიპაჟთან ერთად პარაშუტით დავეშვი. ჩემი ორი თანამებრძოლი ტყეში ჩაეშვა, მე კი გერმანელთა ბანაკის შუაგულში მოვხვდი და მაშინვე შემიპყრეს. გონს მოსვლა არ მაცალეს და გერმანელი პოლკოვნიკის მიწურში შემაგდეს. ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო, იქიდან ცოცხლად დაბრუნების იმედი არ მქონდა. ტყვედ ჩავარდნისთანავე ჩემს თავს შთავაგონე, მოვმკვდარიყავი ღირსეულად, როგორც ჩვენი ქვეყნის ოფიცერს შეშვენის. თამამად უნდა შემეხედა სიკვდილისათვის, მაგრამ განა ეს ასე ადვილია? სათქმელად იოლია, შესასრულებლად ძნელი. არადა, მდგომარეობა ისე დაიძაბა გერმანელთა მიწურში, პოლკოვნიკი უკვე გაცოფდა მე რომ ვერაფერი მათქმევინა, წიხლიც კი დამიშინა. ლამის თარჯიმანსაც ეცა, ისე იყო გაცეცხლებული. არა და, ისეთ რამეებს მეკითხებოდა, რომელი გამცემი მნახა, რომ მისთვის ყველაფერი ჩამეკაკლა! მალე მაინც მოათავოს ეს ამაო ღრიალი, ბა-

რემ ბრძანოს, გაიყვანეთ და დახვრიტეთო. ისე თქვენ აგისრულდეთ ნანატრი. ეს წუთიც დადგა. ერთმა ჯარისკაცმა ავტომატის კონდახი მითავაზა და მიწურიდან გამაგდო. დასახვრეტად მივყავდი. მე წინ მივაბიჯებ, ის უკან მომყვება, თითქოს ტყეში შეშის მოსაჭრელად მივდიოდით. მე უნდა მომკლას მან. ეს გადაწყვეტილია, ოღონდ სად იქნება ჩემი აღსასრული? ბლინდაჟს გავცდით. ო, რა ხარბად ვსუნთქავდი. თითქოს მინდოდა იმ წუთებში ჩემი ფილტვები ჩემი კუთვნილი ჰაერით ერთბაშად ამევსო. განგებამ ხომ რაღაც მაკუთვნა ამქვეყნად როცა გამაჩინა. ახლა ორფეხა მხეცები მართმევენ. გული გამალებით მიფეთქავდა. ჯარისკაცის ფეხის ხმა გარკვევით მესმოდა.

მიწურს კარგა შორს გავცდით. ტყეში შევედით.

ერთხელაც არ მომიხედავს უკან. მას კი ტყეში ღრმად მივყევარ. „ჯალათო, ბარემ მესროლე და გამათავე! — ვფიქრობ ჩემთვის და ამ დროს დამტვრეული რუსულით მესმის:

„რუსო, სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ... მომისმინე...“

ელდა მეცა. უცებ შევბრუნდი მისკენ. მისმა სიტყვებმა უცნაურად გამხადა, გადარჩენის ნაპერწკალმა გამიელვა.

„რუსო, ცოლ-შვილი გყავს?“

მყავს-მეთქი, მივუგე.

„დედ-მამა გყავს? და-ძმები?“

მყავს-მეთქი.

ხელები შემიხსნა. წაქცეულ მორზე ჩამოვსხედით. ბედის ასეთი შემობრუნებით გაოცებული ვიყავი.

„მათამაშებს თუ ჩემი გამოტეხვა უნდა?“ ვფიქრობ გუნებაში. ერთი ხანობა გადავწყვიტე, ლაზათიანად ჩამეფარებინა მწითურ სიფათში, მომეგუდა და გავქცეულიყავი. გერმანელი თითქოს მიმიხვდა განზრახვას, წამოდგა და მოშორებით დადგა, ავტომატი მხრიდან ჩამოიხსნა და მითხრა:

„რუსო, მე შენი დახვრეტა არ მინდა, წადი, გაიქეცი, თავს უშველე, შენ ნურაფრის შეგეშინდება, მე ჰაერში გავისვრი რამდენჯერმე“.

ასე უცებ წასვლა არ მინდოდა. ვინაობა ვკითხე, ვინა ხარ, ის მაინც მითხარი, ან რატომ მაჩუქე სიცოცხლე-მეთქი. თურმე ერთ დროს მოსკოვში უმუშავია გერმანიის საელჩოში. თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისაო. ეს არ მოსწონდათ მის უფროსებს, რაღაც-რაღაცეები გამოუჩიჩქნეს. ბერლინში გაიწვიეს და ყველა ჩინი აჰყარეს. პოდპოლკოვნიკი ყოფილა, ახლა უბრალო ჯარისკაცის მუნდირში ჩემს წინ დგას ავტომატით. გვარად ვოლფი იყო, ავგუსტ ვოლფი.

დავემშვიდობე, მადლობა ვუთხარი და ტყის სიღრმისკენ ვიბრუნე პირი. რამდენჯერმე მოვიხედე. იდგა და მიყურებდა. ეს ოხერი, მაინც ვერ ვენდე. ყოველ წუთს ზურგში ტყვიას ველოდი. მაგრამ მან ხელი გამიქნია, წადი იარეო. მერე, მართლაც, რამდენიმე ჯერი ტყვიებისა ხეთა კენწეროებს მიაყარა. მივხედე ერთხელაც. მან თავის გზაზე გასწია.

ერთი დღე ტყეში დავყავი, შემდეგ კი, კეთილი ადამიანების დახმარებით ფრონტის ხაზი გადმოვლახე. პოლკში ისე მიმიღეს, როგორც მკვდრეთით აღმდგარი. ვისაც კი ჩემი ამბავი მოვუყევი, არავინ დამიჯერა. ბოლოს კი სულ დავდუმდი. ამ ამბის გახსენება აღარ მინდოდა, მაგრამ გულში კი ღრმად მქონდა ჩარჩენილი. ავგუსტ ვოლფის სახე თვალწინ მედგა და იმედი მქონდა, რომ გერმანიაშიც იყვნენ კეთილი ადამიანები.

ომი დამთავრდა. ჩვენი პოლკი სტალინგრადის მახლობლად იყო დაბანაკებული. მე ამ პოლკის მეთაური ვიყავი. ერთ დღეს შინიდან გავედი და ქუჩაში ფეხით გავწიე. ჩემს წინ ქალი და ბავშვი მიდიოდნენ. ქალს სახე დასახიჩრებული ჰქონდა. ეს შევნიშნე მაშინ, როცა მან ბავშვს მოხედა და რაღაც

უთხრა. ქუჩები და მოედნები ნანგრევებისგან იწმინდებოდა, შენდებოდა ახალი სახლები. სტალინგრადელები ომისგან მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდნენ. ქუჩებს უმეტესად გერმანელი ტყვეები წმენდნენ. ჰოდა, ჩემს წინ მიმავალი ქალი ტყვე გერმანელთა ერთ ჯგუფთან შეჩერდა. შეჩერდა ბავშვიც. ტყვეები იმ დროს ისვენებდნენ, ზოგი პაპიროსს აბოლებდა. ქალმა ათრთოლებული ხელები შემართა, ტყვეებს ქოქოლა მიაყარა და აკანკალებული ხმით მიმართა:

„რა გრჯიდათ, თქვე ოხრებო, რისთვის აგვიკელით, რისთვის დაგვანგრიეთ!..“ მიაწყევლა კიდეც.

გერმანელებმა რუსი ქალის ნათქვამი ალბათ ვერ გაიგეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ სიკეთეს არაფერს იმეტებდა მათთვის. მე ამ დროს ვცდილობდი შეუმჩნევლად გავცლოდი იქაურობას.

მივდივარ ჩემთვის და უცებ მესმის დამტვრეული რუსულით:

„რუს პოლკოვნიკ, შეჩერდით! ეს მე ვარ, ვოლფი, აღარ გახსოვართ?“

უცებ შევტრიალდი და ჩემს წინ დავინახე გასაცოდავებული გერმანელი ტყვე. ის საწყლად მომჩერებოდა და ახლა იმ სიტყვებს ჩურჩულებდა, იქ, ტყეში რომ მეკითხებოდა. დავაცქერდი ჩემს გადამრჩენელს და ძლივს ვიცანი. სამ წელიწადს ძალიან მოეტეხა. ის სიტყვები რომ არ გაეხსენებინა, ვერც ვიცნობდი.

ვეღარ მოვითმინე და ხელი მაგრად ჩამოვართვი, მეორე ხელი მოვხვიე. ირგვლივ ტყვეები შემოგვეხვივნენ, ჩვენი ჯარისკაცები და ქუჩაში შემთხვევით გამვლელებიც შეჩერდნენ. რა არის, რა მოხდაო, კითხულობდნენ ცნობისმოყვარენი.

როცა შეხვედრის პირველმა ამაღელვებელმა წუთებმა განვლეს და ცოტათი დავმშვიდდით, მე გამოვეთხოვე ჩემს გადამრჩენელ გერმანელს და პირდაპირ ქალაქის კომენდანტურისკენ წავედი. ერთი კვირის შემდეგ კი მე და ავგუსტ ვოლფს სტალინგრადის [illegible] გზის სადგურზე გვაცილებდნენ [illegible] მოსკოვში მივემგზავრებოდით. მალე კრემლში მე და ვოლფი ერთად მიგვიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა გორკინმა. იგი ორივეს გულთბილად შეგვხვდა. ვოლფს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. შემდეგ ვოლფი სამშობლოში გავაცილეთ. მას შემდეგ აღარაფერი ვიცი მისი. მაგრამ ვიცი, რომ მე მას არ ვავიწყდები და იგი მე არ მავიწყდება, რომ გერმანიაში ცხოვრობს ერთი პატიოსანი კაციც. აი, ასეთი სითბო უნდა გვქონდეს ადამიანებს, ასე უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს... გახსოვს სტალინის სიტყვები: „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი რჩება“. ახლა ვოლფი და მისთანანი ახალ გერმანიას აშენებენ და იმედია ჩვენ ძმურად ვიქნებით. აი რისთვის დავღვარეთ სისხლი.

* * *

ერთხელ, მორიგი შვებულების დროს შოთა მშობლიურ სოფელს ესტუმრა. მართლა ძნელად დასათმობია ის ადგილი, სადაც ბავშვობა გაგიტარებია, საიდანაც ბევრი სიკეთე წამოგყოლია. ჩავიდა, რომ გაეხსენებინა ბებია პელაგია, ბაბუა იპოლიტე, ენახა მათი საფლავები...

ნაღვლიანად დასცქეროდა მდუმარე ლოდებს.

მძიმე, მდუმარე ლოდები... ლოდი ადამიანის სახელს ინახავს...

დასცქეროდა შოთა და ჩაესმოდა იპოლიტეს ტკბილი სიმღერა.

მერედა, როგორ დადუმებულა მერკვილაძეთა კარ-მიდამო. კოინდარი ბიბინებს, ხეები შეფოთლილა, აივანს საამო ჩრდილი მიჰფენია...

მიიარ-მოიარა, მეზობლებიც მოინახულა. მეზობლებმა გაიხარეს, სახელოვანი მფრინავი გადაიპატიჟეს-გადმოიპატიჟეს, მისი ბავშვობა გაიხსენეს.

აქ პერანიძეც მოაგონდა. მის სოფელში გადასვლა კი ვერ გაბედა. კაცი

იქნებ დაღუპულია და მისიანებს ჭრილობა არ გავუხსნა ჩემი მისვლითო. ზესტაფონში ჩავიდა და სამხედრო კომისარიატში იკითხა, ასეთი და ასეთი კაცი თუ დაუბრუნდა მშობლიურ კერასო.

სამხედრო კომისარიატში გიორგი პერანიძის წასვლის თარიღი ზუსტად უთხრეს, მაგრამ შინ დაბრუნებულთა საბუთებში მისი გვარი არ აღმოჩნდა. არც უგზოუკვლოდ დაკარგულთა, არც დაღუპულთა სიაში იყო. გაქრა კაცი ასე უკვალოდ, შარშანდელი თოვლივით.

შოთას არასოდეს დავიწყებია გიორგი. რა დაავიწყებდა მაღალ, აწოწილ ვაჟკაცს, თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკის ბოლოში რომ იდგა ხოლმე და მერკვილაძის თვითმფრინავის დანახვაზე ცეკვას გააჩაღებდა. არა ასეთი რამ როგორ უნდა დაივიწყოს კაცმა! შოთას ბევრჯერ, სადაც კი ერთი ჭიქა ღვინო მაინც დაულევია, ყოველთვის გაუხსენებია იგი და უთქვამს, სადაც არის და როგორც არის ისე გაუმარჯოსო. გიორგი მუდამ ცოცხალი იყო მის გულში.

საღამოს მატარებელს თბილისში გაჰყვა.

ერთი კვირის შემდეგ, გაზაფხულის იმ ნანატრ დღეს, რომელსაც მთელი ჩვენი ხალხი ოთხი სისხლიანი წლის განმავლობაში ელოდა, იმ გამარჯვების დღეს, როგორც ნესტორ მეტრეველმა, შოთა მერკვილაძემ და პეტრე ჯაფარიძემ დათქვეს, მეგობრები ოჯახებით ფუნიკულიორის პლატოზე შეიკრიბნენ.

რესტორნის ღია ვერანდაზე სუფრას უსხდნენ მერკვილაძეები, მეტრეველები, ჯაფარიძეები.

თბილისში ნელ-ნელა ინთებოდა ლამპიონები. ცაში ვარსკვლავები აციმციმდნენ.

შოთას თავს წამოადგა ოფიციანტი მძიმედ დატვირთული ხონჩით. ხონჩაზე მხოლოდ ღვინით სავსე ბოთლები ეწყო. ოფიციანტს, სახეზე ეტყობოდა უჭირდა ამ მძიმე ტვირთის დაჭერა.

— პირადად თქვენ გამოგიგზავნეს — მიმართა შოთას.

— რა ამბავია ეს ამდენი ღვინო! — შეიცხადა შოთამ, — ვინ გამოგზავნა?

სუფრა აზმაურდა. ოფიციანტს შეეშველნენ. მაგიდის კიდეში თეფშები მისწი-მოსწიეს და ხონჩა იქ დადგეს.

— თორმეტი ბოთლია, ბატონო... აგერ, იმ სუფრიდან... სამხედრო რომ ზის, იმან გამოგიგზავნათ. — სული მოითქვა ოფიციანტმა და გაიღიმა კიდეც.

შოთამ სამხედრო პირი, ვიზედაც ოფიციანტმა მიუთითა, შორიდან ვერ იცნო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია, წამოდგა და იქით გაემართა. მისი წამოდგომა და ის უცნობიც წამოიმართა, შოთას შესაგებებლად გამოსწია. ნელი ნაბიჯით, ზვერვა-დაკვირვებით მიუახლოვდნენ ერთმანეთს. უფრო მეტად ზვერავდა და აკვირდებოდა შოთა, რომელიც ვერ სცნობდა მისკენ მომავალ მომღიმარე ვაჟკაცს.

ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— მიიღე ვალი... თორმეტი ბოთლი არ მემართა? გულზე დარდად მაწვა. — შეუძახა სამხედრომ შოთას.

ვერანდაზე მსხდომნი ამ ორ ვაჟკაცს მისჩერებოდნენ.

— ნოე არა ხარ, პარტიზანი?!. — წამოიძახა შოთამ და ხელები გაშალა.

— შენ გენაცვალე, რომ არ დაგვიწყებივარ! — დაიბუხუნა ნოემ და შოთას მოეხვია, — შენმა „ლიმონკებმა“ დღე დაუბნელეს ფაშისტებს...

— გადავირიე კაცი იმდენი ღვინის დანახვაზე...

— ვალია, ვალია, ძმაო... როგორც მოვრიგდით!

იცინოდნენ. ერთმანეთს კიდევ და კიდევ ეხვეოდნენ. ერთი თავის სუფრისკენ ეწეოდა, მეორე თავისკენ. ბოლოს გადაწყვიტეს მაგიდები შევაერთოთ და ბარემ ერთად ვიქეიფოთო.

და როცა ოფიციანტებმა განახლებული სუფრა გაშალეს და ახლა მეტრეველებთან, მერკვილაძეებთან და ჯაფარიძეებთან ერთად იაშვილებიც სხდებოდნენ, იქვე მახლობლად, ფუნიკულიორის

პლატოზე, იქექეს შუშხუნამტყორცნელებმა.

თბილისი სალუტს აძლევდა გამარჯვების დღეს.

მეომრები ფეხზე იდგნენ და ცაში გაბნეულ ნაირფერად შუშხუნებს უცქეროდნენ. კაცს რომ მათ თვალებში ჩაეხედა, ცრემლს შენიშნავდა, დიდი ტკივილებისა და დიდი სიხარულის დამტევ ცრემლს.

* * *

შოთა ცირამუას კი სრულიად შემთხვევით, რუსთაველის პროსპექტზე შეხვდა. ეს უკვე მოგვიანებით. ომი ათი წლის დამთავრებული იყო.

მერკვილაძე ლენინის მოედნიდან მოდიოდა, ცირამუა კი მოედნისაკენ მიიჩქაროდა. ჩვეულებრივი გამვლელ-გამომვლელნი იყვნენ. ისეთივე ჩვეულებრივი, მრავლად რომ არიან რუსთაველის პროსპექტზე, ერთმანეთს ჩაუვლიან, ან შეხედავენ, ან არა, გაივლიან, ერთმანეთი აღარც ახსოვთ. მიდიან, მოდიან...

და ასე, თავ-თავიანთვის, თავიანთ საქმეზე მიიჩქაროდნენ და იყვნენ ჩვეულებრივი გამვლელ-გამომვლელნი, ვიდრე ლაღიძის მაღაზიასთან ერთმანეთის პირისპირ არ აღმოჩნდნენ. უცებ შეჩერდნენ. ისე შეკრთნენ, თითქოს შეეშინდათ ერთმანეთის დანახვა. ორივეს გული გამალებით უძგერდა, სიტყვა არ დაუძრავთ, გაშალეს ხელები და ასე ერთმანეთს ჩაკრულნი დიდხანს გაქვავებულები ვეღარ სცილდებოდნენ. და ბოლოს, როცა გაშორდნენ, თურმე ორივეს ეტირა ერთმანეთის მკერდზე.

ადამიანები კი, ჩვეულებრივ გამვლელ-გამომვლელნი, აღარ იყვნენ ჩვეულებრივნი. ისინი თანაგრძნობით და აღელვებით უყურებდნენ ორი დამუნჯებული, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ვაჟკაცის ალერსს.

მერე ლაღიძის თითო ჭიქა სიროფიანი წყალი დალიეს და გული მოიბრუნეს.

— ცოცხალი ხარ?

— როგორც ხედავ!

კვლავ ერთმანეთს უცინიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეგ.

...მას შემდეგ აღარ დაუკარგავთ ერთმანეთი, ორივენი თბილისში არიან და ყრმობის წლებს მალიმალ იხსენებენ.

* * *

ავიაციაში ოცი წლის დაძაბული სამსახურის მერე, თადარიგში გასული პოდპოლკოვნიკი შოთა მერკვილაძე სამოქალაქო ცხოვრების ფერხულში ჩაება. ამ დროს მერკვილაძეთა ოჯახის მთელი შემადგენლობა თბილისში იყვნენ, შოთას მეორე ვაჟიც ეზრდებოდა, მერაბი.

მერკვილაძეთა ოჯახისადმი ინტერესი დღითი დღე მატულობდა. საკავშირო თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებისაგან მოსვენება არ იყო. მერკვილაძეებს შეხვედრებზე იწვევდნენ წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში...

იმ ხანებში შოთამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსად.

ერთ დღეს სამსახურიდან შინ მობრუნებულმა დილის გაზეთებს გადახედა. ტახტზე ნებივრად იწვა და ისვენებდა.

კარზე ვიღაცამ დარეკა. ცირა სტუმრის შესაგებებლად გაეშურა. მეზობლები და ნათესავები ხშირად მოდიოდნენ ხოლმე და ამიტომ შოთას ყურადღება არ მიუქცევია, ვიდრე ცირას ხმა არ გაიგონა. იგი ვიღაცას ეკითხებოდა, ვინ გნებავთო.

— შოთა მერკვილაძე თუ ცხოვრობს აქ, ქალბატონო? — მოესმა უცნობი მამაკაცის ხმა.

— კი, ბატონო, შინ გახლავთ, მობრძანდით! — შემოიპატიჟა ცირამ და მაშინვე ოთახს მოაშურა. — შოთა, შენ გკითხულობენ, მოხედე სტუმრებს.

ქალი და კაცი იყვნენ. კაცი მაღალი, მხრებში მოხრილი, სახედაღარული, მობერებული. ნატანჯი ადამიანის განსახიერება იყო. ქალსაც ავადმყოფის გამომეტყველება ჰქონდა.

შოთა შემცბარი მიაჩერდა მათ, მასპინძლის თავაზიანობით კი შეიპატიჟა შინ.

კაცი დაჟინებით უცქერდა. შოთას ხელი გაუწოდა. შოთამ ჩამოართვა და კიდევ შეიპატიჟა, მაგრამ კაცი ადგილიდან არ იძვროდა. უცებ გაშალა ორივე ხელი, მოეხვია შოთას და მხურვალედ დაუწყო კოცნა, თან მდუღარე ცრემლით ატირდა. ამხელა კაცი ისე ქვითინებდა, როგორც ბავშვი.

შოთა გაოგნებული იყო და ვერაფერს მიხვედრილიყო. უცნობმა ხელები გაუშვა და შესძახა:

— ჩემო ღმერთო, ჩემო შოთა! ჩემო კარგო კაცო, შენ გენაცვალე! გატყობ ვეღარ მიცანი... იქნებ გაგახსენდე...

— გიორგი!

— გიორგი ვარ, გიორგი...

ერთმანეთი მხურვალედ ჩაკოცნეს. პერანიძე მეუღლეს მიუბრუნდა.

— აი, ელიკო, ეს არის ჩემი ყველაზე ძვირფასი ადამიანი.

— სულ თქვენს ხსენებაში იყო, ბატონო, — ღიმილით მიმართა ცრემლმორეულმა ქალმა შოთას.

— მერედა, რატომ აქამდე არ მომძებნე, გიორგი?

—გეძებე და კიდეც გიპოვნე... შენ გენაცვალოს გიორგი, ჩემო კარგო კაცო!

...ნაშუალამევდე უსხდნენ სუფრას. ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. ბევრი იტირეს, ბევრი იცინეს. სათქმელს რა გამოულევდათ...

— ორდენით თუ დაბრუნდი? — მოაგონდა შოთას.

— კი, წითელი ვარსკვლავის მივილე, მედლებიც. აბა, ისე როგორ დავენახვებოდი სოფელს.

— კომისარიატში გიკითხე. არაფერი იცოდნენ...

— გვიან დავბრუნდი, ჩემო შოთა... რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილ ამაწყვეს ჰოსპიტალში... გამიტყდა ჯანი... გამტეხა იმ სულძაღლებულმა ჰიტლერმა.

ტყუილად როდი უჩიოდა გიორგი. ამ შეხვედრის ორი წლის შემდეგ სამწუხარო ამბავი აუწყეს შოთას: გიორგი გარდაცვლილიყო.

* * *

თადარიგში გასვლის შემდეგ შოთა მერკვილაძე ერთ ხანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ აგარაკების სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მისი მუშაობის ამ პერიოდს დაემთხვა თბილისში საბჭოთა კავშირის მარშლების, ანდრია ანტონის ძე გრეჩკოსა და ვასილ ივანეს ძე ჩუიკოვის, არმიის გენერალ სერგი მათეს ძე შტემენკოს სტუმრობა.

ისინი სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ და შოთა მერკვილაძეს ბედნიერება ხვდა წილად სამივე მათგანს გასცნობოდა.

ჯერ კიდევ ომის დროს სამხედრო პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა მერკვილაძეთა ოჯახის წევრთა საბრძოლო ამბები. „კრასნაია ზვეზდაში" კი ვრცელი რეპორტაჟი დაიბეჭდა მერკვილაძეებზე. საიდან არ მოდიოდა წერილები! იწერებოდნენ ჩვენი ქვეყნის შორეულ მხარეებიდანაც. იწერებოდნენ დიდხანს. ბევრს აინტერესებდა მერკვილაძეთა ოჯახის ომისშემდგომი ბედი. მერკვილაძეებიც შეძლებისადგვარად უპასუხებდნენ. ამანათები მომრავლდა, მომრავლდნენ ამ ოჯახის პატივისმცემლები.

...ანდრია ანტონის ძე გრეჩკო თბილისში სტუმრობისას კრწანისის აგარაკზე დაბინავდა. ზაფხული იყო. აგარაკი მწვანეში იყო ჩაფლული. მგალობელ ჩიტებს ასპარეზი ხეთა რტოებში მოენახათ.

ხეივანში კაცი გამოვიდა, მაღალი, გამართული. მოკლესახელოიანი თეთრი პერანგი ეცვა და ღია ფერის შარვალი. ეტყობოდა სასეირნოდ გამოსულიყო. მარტოდმარტო მიემართებოდა ნელი ნაბიჯით.

სწორედ ეს წუთები იყო, როცა მთავრობის რეზიდენციისკენ მიმავალი შოთა პირისპირ შეხვდა ხეივანში მოსე-

ირნე კაცს. კაცს, რომელიც გუშინ პირველად ნახა. მანამდე კი უნახავს სურათებში, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, უნახავს ტელეეკრანზე, წითელ მოედანზე საპარადო მოწყობილ ჯარებს რომ ჩაუვლიდა მანქანით, შემდეგ ადიოდა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და ომახიანად წარმოთქვამდა სადღესასწაულო სიტყვას, მიმართულს საბჭოთა ხალხისადმი, ჯარებისადმი.

ახლა ეს კაცი აგერ, ხეივანში მოსეირნობს თავისთვის. არსად არ მიეჩქარება, ჩიტების ჭიკჭიკით ტკბება.

შოთა რომ დაინახა, ყურადღება მიაქცია. შოთა, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ერთ წუთს თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ მფრინავი რის მფრინავია, არწივის გული არ ჰქონდეს. გამბედაობა მოიკრიბა და სტუმარს წარუდგა.

— გამარჯობათ ანდრია ანტონის ძევ. მე იგარაკების სამმართველოს უფროსის მოადგილე, მერკვილაძე გახლავართ.

— გამარჯობათ, — შეჩერდა მარშალი. ახალგაზრდა კაცს დააცქერდა, მერე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. შოთამ მორიდებით ჩამოართვა.

— მერკვილაძე, — გაიმეორე გრეჩკომ და წამით ჩაფიქრდა. — გამიგონია ეს გვარი... თუ მეხსიერება არ მღალატობს, აქ, თბილისში ცხოვრობს მერკვილაძეთა ოჯახი, რომლის ყველა წევრი...

გრეჩკომ სათქმელი არ დაამთავრა, ვინაიდან შეხედა, შოთას როგორ წამოენთო სახე და თვალები, მზად იყო რალაცის სათქმელად. შოთამ მარშლის ამ წუთიერი დუმილით ისარგებლა და უმალ მიუგო:

— დიახ, ჩვენი ოჯახია. ანდრია ანტონის ძევ. მე ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრი, ყოფილი სამხედრო მფრინავი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი ვარ.

შოთა გაოცებული იყო გრეჩკოს ფენომენალური მეხსიერებით. საიდან ეცოდინებოდა მერკვილაძეთა ამბავი, თუ არა გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში" ამოკითხულ რეპორტაჟიდან. და ეს იყო კარგა ხნის წინათ.

გრეჩკომ ხელი კიდევ ჩამოართვა, მეორე ხელი მხარზე მეგობრულად შემოახვია. შემდეგ გასეირნება შესთავაზა, თუ სადმე არ გეჩქარებათო.

ისეთი მეგობრული და თბილი საუბარი აეწყო, შოთა თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ დაძაბულობა თანდათან გაუქრა, რადგან ანდრია ანტონის ძე მეტად თავაზიანი და ტკბილად მოუბარი კაცი იყო. მან მერკვილაძეების ოჯახის ამბავი კი არა, სხვა ბევრი ოჯახისა და მებრძოლის ამბები იცოდა. ბევრი ვინმე გაიხსენა. მოიგონა კავკასიის გმირი დამცველები, კარპატებზე ლაშქრობის მონაწილენი, ბევრი საკმაოდ მივიწყებული საბრძოლო ეპიზოდი ახსოვდა.

— აბა მიამბე, როგორ გადააფრინე დაჭრილი დედა თბილისში. საინტერესოა.

შოთამ დაწვრილებით უამბო.

— ახლა როგორაა დედა? — მოიკითხა გრეჩკომ.

— გმადლობთ, კარგად... ჭრილობები მოუშუშდა... ისე, როგორც ჩვენ ყველას.

გრეჩკო ჩაფიქრდა. მერე ღრმად ამოისუნთქა და დასძინა:

— ვითომ მთლად მოგვიშუშდა? ომის ჭრილობა ასე იოლად არ შუშდება, ჩემო კარგო... ჩვენ ბევრი ადამიანი დავკარგეთ.

— გეთანხმებით, ანდრია ანტონის ძევ.

დადგა დრო შოთა გამომშვიდობებოდა მარშალს. ანდრია ანტონის ძემ ხელი გაუწოდა და გულთბილად გამოეთხოვა.

მეორე დღეს შოთა სულ არ მოელოდა ვიზიტს მარშალთან. თავის საქმეებში ჩაძირულს მარშლის ადიუტანტი ეახლა და მოახსენა:

— ანდრია ანტონის ძე გთხოვთ.

მარშალმა გრეჩკომ თავის რეზიდენციაში მიიღო სტუმარი. ამჯერად მათ შეხვედრას ადიუტანტიც ესწრებოდა. ანდრია ანტონის ძე კვლავ შინაურულად იყო ჩაცმული. და ეს, მისია ასეთი უბ-

ეროვნული

რალო ჩაცმულობა, ცოტა არ იყოს მეტ გამბედაობას მატებდა შოთას.

ეს შეხვედრა წინა შეხვედრაზე უფრო თბილი და მეგობრული იყო. მცირე საუბრის შემდეგ გრეჩკომ სამახსოვრო საათი უბოძა მერკვილაძეს.

— გმადლობთ, ანდრია ანტონის ძევ... არა მგონია ჩემი მცირედი სამსახურით თქვენი ამდენი ყურადღების ღირსი ვიყო.

— თავს ნუ იმდაბლებ. შენ საკმაო დამსახურება მიგიძღვის. მაგრამ ესეც რომ არ იყო, მე მინდა ჩვენი მეგობრობის სამახსოვროდ გქონდეს. ხომ მაქვს ამისი უფლება? — გაიღიმა მარშალმა და შოთას მხარზე მოხვია ხელი.

გრეჩკოს მოსკოვში გამგზავრების წინა დღეს შოთამ ვერცხლით მოსავადებული ყანწი მიართვა სტუმარს, თან ღიმილით შეუბრუნა სიტყვა:

— ხომ მაქვს ამისი უფლება?

გრეჩკო მოეხვია და პირველად იყო, რომ გადაკოცნა იგი.

მეორედ ანდრია ანტონის ძე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით ჩამოვიდა. ორდენი მას უნდა გადაეცა სამხედრო ოლქისათვის.

ამჯერად ანდრია ანტონის ძე ძალიან გადატვირთული იყო და შოთამ მისი შეწუხება ველარ გაბედა. სამაგიეროდ გრეჩკომ მოძებნა იგი.

— აბა როგორ... მე ისე როგორ წავიდოდი აქედან, შენ არ მენახე! — უთხრა მარშალმა.

—დაუმსახურებლად მაფასებთ, ანდრია ანტონის ძევ. — მოკრძალებით მიმართა შოთამ.

— ეს მაინც თავისას ამბობს! აქ დამსახურება არაფერ შუაშია... ჩვენ ხომ ამიერიდან მეგობრები ვართ.

რა თბილი და რა კეთილი კაცი იყო. გამომშვიდობებისას უთხრა შოთას:

— უთუოდ უნდა მესტუმრო მოსკოვში. რომ გავიგო მოსკოვში იყო და მე არ მნახო, ხომ იცი... ჩვენს მეგობრობას არავითარი ფასი არ ექნება.

— გინახულებთ, აუცილებლად გინახულებთ, ანდრია ანტონის ძევ.

— აბა, შენ იცი. ნახვამდის.

— ნახვამდის, ანდრია ანტონის ძევ!

მიწვევა იმდენად მომაჯადოვებელი იყო, შვებულების დროს შოთა თავის ძმას თენგიზს ესტუმრა მოსკოვში და გაბედა მიეკითხა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისათვის. რამდენადაც კრწანისის აგარაკზე იოლი იყო შეხვედროდა ანდრია გრეჩკოს, მოსკოვში მისი ნახვა ცოტა შეფერხდა.

მოსკოვის მახლობლად საკუთარ აგარაკზე მიიღო იგი მარშალმა. ანდრია ანტონის ძემ გაიხარა შოთას სტუმრობით და კარგად მოილხინა. მისმა დახვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კარგი და სასიხარულო იყო მასთან დიდხანს ყოფნა, მაგრამ იმ ღამით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი მეგობრული ვიზიტით უნდა გაფრენილიყო საზღვარგარეთ. შოთა მერკვილაძე კი პირადი მანქანით გამოისტუმრა მოსკოვში.

მალე ისევ შეხვდნენ. ანდრია ანტონის ძე თავისი ქალიშვილით, ირინესთან ერთად ესტუმრა თბილისს.

ირინეს ისე მოეწონა საქართველო, თქვა: მამას ამის შემდეგ მარტო არასოდეს გამოვუშვებ და მეც აუცილებლად წამოვყვებიო.

მაშინ შოთა მერკვილაძე გრეჩკოს გვერდიდან არ მოშორებია.

* * *

მარშალ ჩუიკოვსაც შოთა კრწანისის აგარაკზე შეხვდა. ჩუიკოვი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის არმიის გენერალ ანდრეი ტროფიმეს ძე სტუჩენკოს თანხლებით მოვიდა.

წესისამებრ მათ პირველად აგარაკის დიასახლისი თამარ ბაქრაძე შეეგებათ.

სტუჩენკომ დიასახლისს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. თამარმა ხელი ჩამოართვა. მარშალი ჩუიკოვი კი დიასახლისის წინაშე წარსდგა, სმენაზე გაჩერდა და მოახსენა:

— ჩუიკოვი თქვენს სამფლობელოში გეწვიათ.

ეს სიტყვები თქვა თუ არა მარშალმა, წამიერად ჩამოვარდნილი დაძაბულობა უმალ გაქრა და ყველა მხიარულ გუნებაზე დადგა.

ჩუიკოვი მანამდე იდგა სმენაზე, ვიდრე თამარ ბაქრაძემ არ გაუწოდა ხელი. მაშინ კი შეირხა მარშალი და ქალის ხელს ხელი შეაგება.

როცა შოთა მერკვილაძემ სტუმრები მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში მიაცილა, მარშალი წყრომით მიუბრუნდა არმიის გენერალს:

— როგორ შეიძლება ქალს პირველად გაუწოდო ხელი! იქნებ მას არ სიამოვნებს, ან არ უნდა ჩამოგართვას?!.

— ვასილ ივანეს ძევ, მე ასე მესმის, რომ მამაკაცმა უნდა გაუწოდოს ხელი ჩამოსართმევად.

— ახალი აღმოჩენა! — წამოიძახა ჩუიკოვმა, — რას ბრძანებთ, ანდრეი ტროფიმეს ძევ!

— მე მგონი ჩვენ ტყუილად ვკამათობთ...

და დაიწყო პაექრობა, რომელიც მთელი ერთ კვირა გაგრძელდა, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდნენ, მარშალი ჩუიკოვი და არმიის გენერალი სტუჩენკო თავიანთ საკამათო საგანს უბრუნდებოდნენ.

ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ. კამათში სხვას არავის ირევდნენ, არავის ეკითხებოდნენ. ეს თავისებურად მეგობრული პაექრობა, როცა თან იცინოდნენ მოკამათეები, სასიამოვნო გუნებაგანწყობილებაზე აყენებდა მსმენელებს.

მსმენელთა შორის შოთა მერკვილაძეც იყო, რომელიც იმ ერთი კვირის განმავლობაში კარგად დაუახლოვდა მარშალს, მოაგონა ერთი ეპიზოდი იმ მრავალ ათას ეპიზოდს შორის, რომელიც ამ მრავალტანჯულ, დაღლილსა და ბევრის მნახველ კაცს ომის დროს გარდახდენია.

მერკვილაძე მაშინ სტალინგრადის მახლობლად, გუმრაკის აეროდრომზე იყო.

ერთ დღეს აეროდრომზე „უ-2"-ით ვიღაც უბრალო ჯარისკაცი მოაფრინეს. მას რიგითი ჯარისკაცის მაზარა ეცვა და ნიკაპთან განასკვული უბრალო ყურებიანი ქუდი.

საქმე ის იყო, რომ ამ თვითმფრინავის მოლოდინში მთელი აეროდრომი გარინდებული იყო, ჩამწკრივებულ მფრინავების წინ ნერვიულად მიმოდიოდა დივიზიის მეთაური. თვითმფრინავი რომ გამოჩნდა, დივიზიის მეთაური წაშოშმინდა, ხოლო როცა მანქანიდან უბრალო ჯარისკაცი გადმოვიდა, დივიზიის მეთაური პატაკით წარუდგა.

თვითმფრინავი ცოტა მოშორებით იდგა და მფრინავებმა ვერ გაიგეს პატაკის შინაარსი. მერე ეს ჯარისკაცი ავტომანქანისკენ გაემართა. გენერალი სულ შემართული მიჰყვებოდა. მფრინავების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ეს რა ხდებოდა.

როცა მანქანა დაიძრა და მფრინავთა მწკრივი დაიშალა, გამოირკვა, რომ ჯარისკაცის მაზარით ლეგენდარული 62-ე არმიის სარდალი გენერალი ჩუიკოვი იყო. მაშინ კი პირი დააღეს მფრინავებმა.

ჩუიკოვს ეს ამბავი აღარ ახსოვდა. ალბათ ასე კონსპირაციულად ბევრჯერ ჩაფრენილა სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, რომელ ერთს დაიხსომებდა.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო. ეს თავები რომ შეგვრჩა, არ გიკვირს? — თქვა მან სევდიანი ღიმილით და შოთას მხარზე შეახო ხელი, — მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, რაც არ უნდა ვაკეთოთ, ჯილდოებისა და სენსაციისთვის კი არა, ხალხთა ბედნიერებისთვის უნდა ვაკეთოთ. ნურასოდეს იფიქრებთ, იმას, რომ ჩვენ სამშობლოს წინაშე უკვე მოვიხადეთ ვალი. ვალი იმათ მოიხადეს, ვინც ბრძოლის ველზე დაეცა... ჩვენ ისევ ფეხზე ვდგევართ და მოვალენი ვართ... ჩვენი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობლოს წინაშე ვალდებული ვართ, ვიდრე სული გვიდგას!

საუბარი გაგრძელდა მარშალისათვის გამოყოფილი რეზიდენციის მეორე სართულზე, სადაც დიასახლისს ვახშამი გაეშალა.

დადგა ჩუიკოვის გამგზავრების დღეც. აეროდრომზე თავმოყრილ გამცილებლებს სთხოვა, მოსკოვში რომ მოხვდეთ, უთუოდ მესტუმრეთო, მერე სტუჩენკოს მიუბრუნდა:

— მაინც,. რა დასკვნები გამოიტანეთ იმ საკითხიდან, ანდრეი ტროფიმეს ძევ?

— მე მგონი არ ვცდები და ქალს პირველად მამაკაცმა უნდა ჩამოართვას ხელი...

კამათი განახლდა, ხალისიანად, სიცილში...

ჩუიკოვი თვითმფრინავის ტრაპზე ავიდა, კარებს რომ მიუახლოვდა, სტუჩენკოს გადმოსძახა:

— მაგრამ მე მაინც მართალი ვარ, ანდრეი ტროფიმეს ძევ!..

თქვა და უმალ თვალს მიეფარა. სტუჩენკოს ხმა აღარ ამოუღია. მხოლოდ ღიმილით შეხედა თვითმფრინავის მოხურულ კარს.

* * *

მარშალ არჩილ გელოვანს შოთა თბილისში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში შეხვდა.

ყოველთვის, როცა კი მუზეუმს თვალსაჩინო პიროვნებები ეწვევიან ხოლმე, ამ დროს აქ თავს იყრიან მოწინავე ადამიანები, ომის ვეტერანები. ისინი თავისებურად აცოცხლებენ მუზეუმის ექსპონატებს.

შოთა მერკვილაძე ამ მუზეუმის ხშირი და სასურველი სტუმარია.

იმ დღესაც ხალხმრავლობა იყო მუზეუმში. არჩილ გელოვანმა ფეხი შედგა თუ არა კარებში, დამსწრენი ტაშით შეეგებნენ. მანაც ტაში დაუკრა, ბევრ ნაცნობსა თუ უცნობს ღიმილით მიესალმა.

მუზეუმში ამჯერად მეგზურობას მისი დირექტორი თეიმურაზ ბ[illegible]შვილი სწევდა.

მერკვილაძეთა ოჯახის პატრიოტულ თაოსნობაზე თეიმურაზმა კარგახანს ილაპარაკა. სტუმრები ხუთეულის სურათს მისჩერებოდნენ, რომელიც მუზეუმის პირველ განყოფილებაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოფენილი. თეიმურაზმა ამ ოჯახის წარმომადგენელი — ცოცხალი ექსპონატიც წარუდგინა მარშალს.

გელოვანმა ხელი ჩამოართვა შოთას, გულზე მიიკრა და გადაკოცნა.

— მართალი გითხრათ, გაგონილი მქონდა, რომ საქართველოში იყო ასეთი ოჯახი, მაგრამ საშუალება არ მქონდა გავცნობოდი, — სინანულით თქვა გელოვანმა და შოთას მიუბრუნდა, — მოსკოვში ცენტრალურ მუზეუმში თუ არის ასეთი სურათი?

— გახლავთ, პატივცემულო არჩილ...

— აბა, მომიკითხე თქვენები და გადაეცი ჩემი გულითადი სალამი...

— გმადლობთ, პატივცემულო არჩილ... დედაჩემი და ჩემი ძმა მოსკოვში ცხოვრობენ...

— ჰოდა, ჩემი სასურველი სტუმარიც იქნები.

ამ შეხვედრის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, გულდათუთქული შოთა მოსკოვში გაფრინდა.

დედაქალაქი მარშალ არჩილ გელოვანს ეთხოვებოდა.

* * *

შვიდი ნოემბრის წინა დღეს შოთა მერკვილაძე საზეიმო სხდომაზე მიიწვიეს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა არმიის გენერალმა სიმონ კონსტანტინეს ძე კურკოტკინმა თავის გამოსვლაში თქვა:

— საქართველოში ფართოდაა ცნობილი მერკვილაძეების პატრიოტული ოჯახის დამსახურება დიდ სამამულო ომში. თავგანწირვით იბრძოდნენ ოჯახის თავკაცი გრიგოლ იპოლიტეს ძე მერკვილაძე, მისი მეუღლე ვალენტინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფის ასული მერკვილაძე, მათი შვილები, შოთა, გივი და თენგიზი. ამჟამად შოთა გრიგოლის ძის შვილი, მერაბი, სავალდებულო სამსახურს გადის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთ ნაწილში. მამაცი გვარდიელი კეთილსინდისიერად აგრძელებს თავისი წინაპრების ტრადიციებს, იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია...

ჯერ კიდევ ადრე შოთამ შეიტყო ეს სასიხარულო ამბავი. მის მერაბს ჯარისკაცთა შორის ერთ-ერთს წილად ხვდა ბედნიერება საზეიმო პარადის დროს ტრიბუნის წინ მდგარიყო იმ მებრძოლთა შორის, რომლებმაც მთელი წლის მანძილზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

შოთას თვალწინ დაუდგა მეორე ვაჟკაციც, გივის მემკვიდრე — ვაჟა, იმ დროს ოდესაში სამხედრო სამსახურს რომ გადიოდა. ისიც ხომ წარჩინებული ჯარისკაცი იყო!

მამების ჭაპანს მხნედ, გულადად და სასახელოდ ეწეოდნენ ბიჭები!

ამაზე მეტი საამაყო რაღა უნდა ყოფილიყო. აღელდა და თვალში სიხარულის ცრემლი მოადგა.

მეზობელ სავარძელში მჯდომმა მამაკაცმა შენიშნა შოთას აწრიალება და ჩასჩურჩულა:

— ცუდად ხომ არა ხართ, მეგობარო?

— რას ბრძანებთ, პირიქით!.. — გაიღიმა შოთამ და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

იგი მეცხრე ცაში იყო. მეცხრე ცაში, სადაც არაერთხელ ყოფილა. და ახლაც გონების თვალით უყურებდა მიწას, მშვიდობიანად და ლონივრად მსუნთქავ მიწას, რომელსაც ცისფერი ცეცხლი ექიდა.

არა, სხვა ცეცხლი არ უნდა დედამიწას!

მას მხოლოდ ცისფერი ცეცხლი უნდა ექიდოს, ბუნებრივი, თანდაყოლილი, მარადიული...

ეს ცეცხლი ყველას ეყოფა, ყველას გაათბობს, ყველას ასულდგმულებს... ოღონდაც გონივრულად გაინაწილონ იგი ადამიანებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯანჯღავა
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ერთგულება

## ბრძოლა პლაცდარმისათვის

ფაშისტთა წინააღმდეგობას საბჭოთა ჯარების მიმართ მთელს ფრონტზე წარმატება არ მოჰყოლია, ამიტომ მათმა სარდლობამ ტაქტიკა შეცვალა — თავისი ძალები შედარებით მსხვილ დასაყრდენ პუნქტებზე გადმოსწია და ყოველი მათგანი თავისებურ თავდაცვით სიმაგრედ აქცია. როგორც ჩანდა, ფაშისტ გენერლებს იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენს შეტევას შეაჩერებდნენ ქალაქების — ტორუნის, გრუდძენძისა და ბიდგოშის მისადგომებთან. უკანდახევისას სწორედ ამ ქალაქებში გადასხეს მათ თავიანთი მთავარი ძალები. ამასთანავე, ჰიტლერელები გამალებით ემზადებოდნენ ხანგრძლივი თავდაცვისათვის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც იმ იმედით, რომ მათთვის ბრძოლაში ჩვენი ჯარები საგრძნობლად დაზარალდებოდნენ, მაშასადამე, მსხვილ ქალაქებში მისვლამდე დასუსტდებოდნენ და ვეღარ შეძლებდნენ მათთვის ალყის შემორტყმას, მით უფრო, მათი გარნიზონების განადგურებას.

ჩვენი სარდლობისათვის ძნელი არ იყო მოწინააღმდეგის ამ ჩანაფიქრის გამოცნობა. ჰიტლერელებს წინათაც არაერთხელ უსარგებლიათ ახეთი ტაქტიკით. არმიიდან მოვიდა ბრძანება, რომლის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ შეძლებისდაგვარად გვერდი აგვევლო მტრის დასაყრდენი პუნქტებისათვის, არ შეგვესუსტებინა შეტევის ტემპი და გაგვეგრძელებინა მოწინააღმდეგის დევნა. მთავარი ამოცანა იყო, ჩქარა გავსულიყავით ვისლაზე.

ამ მოთხოვნის შესრულებას ჩვენ, რომ იტყვიან, უკანასკნელ ძალ-ღონეს ვახმარდით. პირველი ოთხი დღის შეუწყვეტელმა ბრძოლამ, უძილობამ და ცხელი საჭმლის უქონლობამ ადამიანები უკიდურესად დაღალა. თავს იჩენდა დანაკლისიც, ყველა ჩვენი პოლკი კვლავ საგრძნობლად შეთხელდა, მაგრამ პირადი შემადგენლობის დაღლილობისა და სიმცირის მიუხედავად, დილიდან საღამომდე და ხშირად ღამითაც შეუჩერებლად მივიწევდით წინ.

ჩვენი შეტევის დაწყებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ვისლის მიმართულებით მოწინააღმდეგის თავდაცვის მთლიანი ხაზი უკვე აღარ არსებობდა. თოვლისა და ნისლის გამო, მტრის ავიაცია ვერ გვაწუხებდა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკუგდებული მოწინააღმდეგის დევნისას ჩვენი დივიზიის პოლკები ზოგჯერ სალაშქრო კოლონიებით მიიწევდნენ წინ. ოღონდ ეგ იყო, რომ პირად შემადგენლობას დაღლილობისაგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. დასვენებისათვის ძალიან მცირე დრო ეძლეოდათ. წაიძინებდნენ მებრძოლები ერთ-ორ საათს თოვლსა და ქარბუქში და კვლავ წინ მიიწევდნენ. მთლიანად არც სურსათით მომარაგება ხერხდებოდა. ჩემს მოადგილეს ზურგში პოდპოლკოვნიკ დავიდკინს არც გამოცდილება აკლდა და არც უნარი, მაგრამ კომუნიკაციების შორ მანძილზე გაჭიმვის გამო, ზურგის ქვედანაყოფები ხშირად

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

ჩამოგვრჩებოდნენ და მებრძოლი ნაწილების ყველა საჭირო აუცილებლობით მომარაგებას ვერ ახწრებდნენ.

— ურმები და მანქანები არ გვყოფნის, — ჩიოდა დიმიტრი პეტრეს ძე, — ხურსათის შორიდან გადმოზიდვა გვიხდება, პოლკები კი სულ მუდამ მოძრაობენ. მათი მოძებნა მუდამ არ ხერხდება, ამას კი ჩავარდნები მოსდევს.

ჩემთვის ეს „ალმოჩენა" არ იყო. მე ზედმიწევნით ვიცნობდი ზურგის სამსახურს და პოდპოლკოვნიკ დავიდკინის გასაჭირიც კარგად მესმოდა. გასაჭირი კი მას საკმარისზე მეტიც ჰქონდა. ზურგის მუშაკებს შტაბელებიც ეხმარებოდნენ, განსაკუთრებით მე-ნ განყოფილების უფროსი იზაგინი. იგი ხშირად მიდიოდა ზურგის ქვედანაყოფებში და, როგორც თვითონ ამბობდა, მათს მეთაურებთან ერთად „ხსნიდა რთულ კვანძებს", ასწორებდა ნაკლოვანებებს. თუმცა ყველაფრის მოწესრიგება მაინც არ ხერხდებოდა.

ხშირად ისეც ხდებოდა, რომ თვით დივიზიის შტაბში კარგად არ იცოდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში სად იმყოფებოდა ესა თუ ის პოლკი, ესა თუ ის დართული ქვედანაყოფი.

კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა: გადავწყვიტე 1203-ე მსროლელ პოლკში წასვლა, რომელიც ავანგარდში იმყოფებოდა. დილაადრიან მისმა მეთაურმა პოლკოვნიკმა პავლოვმა დივიზიის შტაბს რადიოთი მოკლედ აცნობა: „პოლკი იმყოფება ლაშქრობაში, ამა და ამ კვადრატში". ამ დაახლოებითი ორიენტირით ვისარგებლე და ადიუტანტის — უფროსი ლეიტენანტის თ. პოლუხინისა და რადიოსადგურის უფროსის — უფროსი სერჟანტის ვ. შებკოს თანხლებით „ვილისით" გავემგზავრეთ დასახლებული კვადრატის მიმართულებით. ჩვენს უკან სატვირთო მანქანით დივიზიის მზვერავთა განყოფილება მოდიოდა.

დაახლოებით დილის ათ საათზე ერთ-ერთ ბატალიონს დავეწიეთ.

— სად არის შტაბი და პოლკის მეთაური? — ვკითხე ბატალიონის მეთაურს.

— ვერ გეტყვით, — გულუბრყვილოდ მომიგო მან, — შეიძლება, სადმე წინ იყვნენ. ჩვენ არც რაცია გვაქვს და არც ტელეფონი.

შოფერს — ლიტვინს ვუბრძანე:

— წადი წინ.

მივდივართ უკაცრიელი გზით. კაციშვილი არ გვხვდება. ირგვლივ ახლადმოსული თოვლი ქათქათებს. გავიარეთ 7-8 კილომეტრი, არც პოლკის შტაბი სადმე ჩანს, არც ცხენოსანთა ესკადრონი. ნეტა, სად არიან? დილას პავლოვის მიერ დასახლებული კვადრატი დიდი ხანია, უკან მოვიტოვეთ. მარცხნივ, გზიდან ორი კილომეტრის დაშორებით, მოზრდილი სოფელი მოჩანს, ხოლო მის შორიახლოს — მემამულის ფოლვარკი. რუკა გავშალე: ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, დაზვერვის ცნობების მიხედვით, მოწინაალმდეგისაგან უკვე განთავისუფლებული და ყოფილიყო, მაგრამ ჩვენი ჯარები არსად ჩანდა. ორი საათის წინ კი აქეთ ცხენოსანთა ესკადრონი გამოვგზავნეთ.

— იქნებ ესკადრონი სოფელშია? — იკითხა სერგეი პოლუხინმა და მე შემომხედა.

სოფელში მზვერავები გავგზავნეთ. ისინი ჩქარა დაბრუნდნენ და მომახსენეს: ცხენოსანთა ესკადრონი სოფელში არ არის. იქ გერმანელებია.

თითქოს ჯიბრზე, უფროს სერჟანტ შიბკოს რაციაში რაღაც მოეშალა. ყველა მისი ცდა, რომ პოლკოვნიკ პავლოვთან რადიოკავშირი დაემყარებინა, ამაო გამოდგა.

მივდივართ მემამულის ფოლვარკში. შოფერმა — ნიკოლოზ ლიტვინმა არტისტული ოსტატობით შეაქროლა მანქანა კარ-მიდამოს ფართო ეზოში და ერთ-ერთ შენობასთან, მოფარებულში გააჩერა. ეზოში კაცის ჭაჭანება არა ჩანს, სამაგიეროდ ახლად მოსულ თოვლს უამრავი ნაკვალევი ატყვია, თითქოს აქ ჰიტლერელთა მთელი ბატალიონი ყოფილა.

უფროსმა ლეიტენანტმა პოლუხინმა და ორმა მზვერავმა ფრთხილად დაათვალიერეს მემამულის სახლი, ეზო-კარმიდამო და ორი პოლონელი — კაცი და დედაკაცი იპოვეს. ისინი გაკვირვებით მომაჩერდნენ, თითქოს სიზმარში ხედავდნენ საბჭოთა გენერალს.

— ფოლვარკში გერმანელები იყვნენ? — ვკითხე მე.

— დიახ, პან გენერალო, ოცი წუთის წინ წავიდნენ, როცა სოფელი საბჭოთა ცხენოსნებმა დაიკავეს. აქედან სამი ორცხენიანი ფორანით გაიქცნენ, — მიპასუხა მამაკაცმა.

— და ჩვენი სახლიდან ყველა ძვირფასეულობა წაიღეს, — დაუმატა დედაკაცმა. მათი ლაპარაკიდან გაირკვა, რომ ჰიტლერელები ფოლვარკში ცოტანი ყოფილან და გაქცეულან დასახლებულ პუნქტში, რომელიც ბორცვებს იქით ოდნავ მოჩანდა. ხოლო აი მეზობელ ვიუნკშაკა — პოლონელებმა ხელი იმ სოფლისაკენ გაიშვირეს, საიდანაც ეს-ეს არის, დაბრუნდნენ ჩვენი მზვერავები. — დარჩნენ.

— ბევრნი არიან იქ ფაშისტი ჯარისკაცები? — ვკითხე კვლავ მამაკაცს.

პასუხად მან ჯოხით თოვლზე „200" დაწერა.

მე და პოლუხინმა ერთმანეთს შეშფოთებით გადავხედეთ. მდგომარეობა საკმაოდ სახიფათო იყო. დასახლებულ პუნქტამდე, სადაც, პოლონელის თქმით, ჰიტლერელები იდგნენ, ძალიან მცირე მანძილი იყო. ერთიც ვნახოთ და, ისევ ფოლვარკში დაბრუნება გადაწყვიტეს? მართალია, საშიშროების შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მანქანებით გავიქცეთ, მაგრამ მანქანები ხომ შეიძლება მოწინაალმდეგესაც ჰქონდეს? მაშინ რაღა ვქნათ? წავიდეთ უკან ისე, რომ არ ვნახოთ ცხენოსანთა ესკადრონის მეთაური, როგორღაც

უზრუნველია. არც ჰიტლერელებს ასე მშვიდად დატოვებდა სახურველი. ჩვენ ვუტევთ, ისინი ხომ არა?

პოლონელებს ცნობებისათვის მადლობა გადავუხადე და ჩემს მცირე გარნიზონს ირგვლივი თავდაცვის დაკავება ვუბრძანე. ამასობაში უფროსმა სერჟანტმა შებკომ შესძლო რაციის გამართვა და პოლკოვნიკ პავლოვთან დაკავშირება.

როგორც კი აღსდგა კავშირი, პავლოვს ჩემი კოორდინატები ვაცნობე, ფოლვარკში მოძრავი რაზმის საჩქაროდ გამოგზავნა და მას უკან მთელი პოლკის ფორსირებული მარშით წამოყვანა ვუბრძანე. მერე კორპუსის მეთაურს დავუკავშირდი და მდგომარეობა მოვახსენე.

დიმიტრი თევდორეს ძემ მომისმინა და, წუთიერი დუმილის შემდეგ, ჩვეული სიმშვიდით, მაგრამ „თქვენობით" მომმართა. ასე იცოდა, როცა ჩვენგან, დივიზიის მეთაურებისაგან, რაღაცაზე უკმაყოფილო იყო:

— მიკვირს თქვენი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, როგორ დატოვეთ დივიზია და წინ წასვლა გადაწყვიტეთ. განა ეს რაიმე აუცილებლობით იყო ნაკარნახევი?

საყვედური უსიამოვნო, მაგრამ სამართლიანი იყო. წინამსწრობა დივიზიის მეთაურს არ შეშვენის. ხომ შეიძლება, ასე მტრის განლაგებაში მოხვდე და საკმაოდ დიდ უსიამოვნებასაც გადაეყარო?

...ქოგრიტში კარგად ვხედავდი, როგორ ემზადებოდა ზურგისაკენ წასასვლელად ვიოხკის ცენტრალურ ქუჩაზე გაჭიმული გერმანელთა საზიდრების გრძელი ალალი.

ბოლოს, 1203-ე პოლკის მოძრავი რაზმიც მოვიდა პოლკოვნიკ პავლოვის მეთაურობით. რაზმს ცხენოსანთა ესკადრონიც კვალდაკვალ მოჰყავა. ესკადრონი ფოლვარკში დავტოვე, ხოლო მოძრავ რაზმს ვიოხკში მყოფ მოწინააღმდეგეზე იერიშის მიტანა ვუბრძანე.

ხოფლისათვის ბრძოლა 15-20 წუთს გაგრძელდა. იერიში ისეთი სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ გერმანელთა მეალალეებმა ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს. ნაწილი განადგურებული იქნა, ნაწილი კი, თავის ალალიანად, ტყვედ ჩავიგდეთ, ტყვეებს სულაც არ ჰქონდათ მებრძოლის, ჯარისკაცის შესახედაობა, მათთვის სამოქალაქო ტანსაცმელი რომ ჩაგვეცვა, ნამდვილ ხანდაზმულ გლეხებს დაემსგავსებოდნენ.

...ვისლამდე ცოტა მანძილიღა რჩებოდა. დივიზიის საკომანდო პუნქტი საბჭოთა არმიის მისვლის გამო გაქცეული რომელიღაც პოლონელი გრაფის სახლში მოთავსდა. ძველებური სტილით ნაგები, სამსართულიანი თეთრი ქვის სახლი და საკმაოდ მოზრდილი კარის ეკლესია შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. თანაც დაზიანების არავითარი კვალი არ ემჩნეოდა, თითქოს გრაფის კარმიდამოსათვის ომს გვერდ[illegible] შიგნითაც, სახლში ყველაფერი ხელუხლებლად იყო დატოვებული: სურათები, ქანდაკებები, ავეჯი და ფუფუნების ყველა ნივთი.

ბოლო რამდენიმე დღეს თითქმის გადაუღებლად სცრიდა თოვლნარევი ცივი წვიმა. ყამირგზები ისე ატალახდა, როგორც ადრე გაზაფხულზე იცის ხოლმე. მუდმივ სველი მაზარა მხრებზე მძიმე ტვირთივით მეკიდა და ცივ სინესტეს ვერც ქრომის ჩექმები აკავებდა: საღამოობით ტოლალები გასაწური ხდებოდა. აქ კი, აი უცბად ასეთი ფუფუნება! ლამაზად გაწყობილი თბილი ოთახები! თავი პირდაპირ სიზმარში მეგონა.

სერგეის პოლკების მეთაურთა გამოძახება ვუბრძანე. საჭირო იყო ვითარების დაზუსტება, ურთიერთმოქმედების რამდენიმე საკითხის შეთანხმება და ვისლის გადასალახავად მომზადება.

მათ მოსვლამდე ეკლესიის დათვალიერება გადავწყვიტე და ჩემდა გასაოცრად კარი შევაღე თუ არა, რუსული საცეკვაო მელოდია „კომარინსკაია" გავიგონე. ოღონდ ეგ იყო, რომ მელოდია ჩვეული სიფიცხით კი არ ჟღერდა, როგორღაც ნაზად და ხმაშეუწყობლად ღუღუნებდა. ეკლესიის ორღანის კლავიატურას კომენდანტის ოცეულის შოფერი — ოხუნჯი და ენაკვიმატი კოსტია ალიოხინი მისჯდომოდა. მე კარგად ვიცნობდი ამ ყოჩაღ, მხიარულ ჭაბუკს, მაგრამ არაფრით არ მეგონა, თუ მუსიკოსი იყო და ორღანზე დაკვრაც შეეძლო.

ჩემს დანახვაზე ალიოხინი შეკრთა და სწრაფად წამოხტა.

— დაუკარი, დაუკარი, — ვუთხარი მე და შავი ხის სკამზე ჩამოვჯექი.

— მთლად კარგად ვერ გამომდის, ამხანაგო გენერალო, უელექტროენერგიოდ ორღანს ხმა არა აქვს.

— ამ ბორბლის ტრიალი და საქშენში ჰაერის მიწოდება ხელით მეტად ძნელია, — მოულოდნელად საიდანღაც ორღანის იქიდან თავი ამოყო „ვილისის" შოფერმა ლიტვინმა და ალიოხინს მიმართა, — ისე კი, მიდი, კოსტია მე კიდევ დავატრიალებ.

ალიოხინმა კვლავ დაუკრა, მაგრამ ერთფეროვანი, ნაზი მელოდია არაფრით არ ჯდებოდა ცეცხლოვანი ცეკვის რიტმში. მაშინ ჭაბუკს ვთხოვე, რომ ჩემი საყვარელი ქართული სიმღერა „სულიკო" დაეკრა. მისი მარტივი მელოდია მწუხრად და დიდებულად იღვრებოდა ორღანის სიღრმიდან და ისეთ მშობლიურ სითბოს და სიმყუდროვეს მაგრძნობინებდა, რომ რამდენსამე წუთით ომიც კი დამავიწყდა.

გრაფის სასახლეში დასვენება დიდხანს არ გაგრძელებულა. გადაუდებელი საქმე კვლავ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ყოფნას თხოულობდა. განსაკუთრებით მაფიქრებდა ვისლაზე გადასვლის საკითხი. ეს მდინარე სულ არ ჰგავ-

და ნარევსა და სხვა იმ მრავალრიცხოვან მდინარეებსა და ხევებს, რომლებიც უკან მოვიტოვეთ — იგი ნამდვილი სამხედრო ზღუდე იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ ვისლას სიგანე 400-500 მეტრი ჰქონდა, სიღრმე — შვიდ მეტრამდე, ხოლო ნაპირები მკვეთრად დაქანებული. მთავარი მაინც ის იყო, რომ სითბოზე ყინული დნებოდა და მაღლიდან ცივი, ამღვრეული წყლით იფარებოდა. მასზე ორგანიზებული და უხიფათო გადასვლა მართლაც დასაფიქრებელი და თავსატეხი საქმე იყო. ყველაფერი ეს განვსაჯეთ სასახლეში ჩემს მიერ გამოძახებული პოლკების და დართული ნაწილების მეთაურებთან ერთად და ყველა პოლკსა და ნაწილს კონკრეტული ამოცანა დავუსახეთ — რომელს რა ადგილზე უნდა გადაელახა მდინარე ვისლა.

## თხელ ყინულზე

ორმოცდახუთი წლის იანვარში, იმ დღეებში, როცა ვისლაზე გადასვლისათვის ვემზადებოდით, მოულოდნელად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩვენს დივიზიაში მოვიდა არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი ხაბიბ განიევი, მოვიდა დილაადრიან, მარხილით, მთლად სველი და გათოშილი. მაგრამ როგორც ყოველთვის, გასაჭირს არც ახლა იმჩნევდა.

იმხანად ხაბიბ განიევს პირადად არცთუ კარგად ვიცნობდი, მაგრამ მასზე ბევრი რამ მსმენოდა, როგორც გულითად და გულწრფელ ადამიანზე, გამოცდილ და საქმიან პოლიტმუშაკზე.

მოკლედ მოვახსენე საბრძოლო ვითარება და დავუმატე, რომ პოლკები მზად არიან ვისლაზე გადასასვლელად-მეთქი.

— სამხედრო საბჭომ იცის თქვენი გასაჭირი, — მითხრა არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა, — დივიზიაში არც ხალხი გყოფნით, არც ტექნიკურ-მატერიალური მომარაგება გაქვთ სრული და ამინდიც სძაგელია. და თუმცა დივიზია წარმატებით მიიწევს წინ, ხოლო მისი მეთაური გენერალი ჯანჯღავა, როგორც მითხრეს, კიდევაც უსწრებს თავის დივიზიას, მაგრამ წინსვლა მაინც კიდევ უნდა დაჩქარდეს.

ორი დღე-ღამე დაჰყო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ჩვენს დივიზიაში. იყო ყველა პოლკში, ესაუბრა ბევრ მეთაურსა და პოლიტმუშაკს, აგრეთვე, ჯარისკაცებს. მის საუბრებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად პირადი შემადგენლობის უკიდურესი დაღლილობისა, შეტევის ტემპი საგრძნობლად ამაღლდა. დივიზიამ გადალახა მდინარე დენვერცა და მის დასავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგის რამდენიმე გაძლიერებული კონტრიერიშიც მოიგერია.

არსებითად ეს იყო ვისლის წინა უკანასკნელი ძნელი ზღუდე. და რაკი დივიზიის პოლკებმა იგი გადალახეს, 26 იანვარს, ნაშუადღევს, 65-ე არმიიდან პირველები გავიდნენ ვისლის სანაპიროზე.

იმავ დღეს დილიდანვე მოყინვა დაიწ[illegible] ლო საღამოს თერმომეტრი, რომელიც [illegible] ლეიტენანტმა პოლუხინმა სადღაც იშოვა, უკვე 18 გრადუსს უჩვენებდა ნოლს დაბლა. ეს ისეთი მოულოდნელი რაღაც იყო, რომ ყველა ნავარაუდევი და განსაზღვრული გეგმის მხედველობაშივე ძირეულხვიანი შეცვლა მოგვიხდა.

კვირაზე მეტი თბილი ამინდებისა და წვიმების შედეგად, ვისლაზე ყინული გადასასვლელად არასაიმედო გახდა, ხოლო ადგილ-ადგილ საკმაო სიღრმის წყლის ფენითაც დაიფარა. ასეთ პირობებში მასზე უხიფათოდ გადასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. და აი უცბად ასეთი ყინვა! ბუნება თვითონ გვიწყობდა ხელს.

საღამოს არმიის სარდალმა გენერალმა ბატოვმა ტელეფონით გამომიძახა. მას ერთი საკითხი აინტერესებდა — გაუძლებს კი ყინული ქვემეხებს? მე ვუპასუხე, მძიმე არტილერიისა მეშინია, თორემ „ორმოცდახუთიანებს“ გაუძლებს-მეთქი.

— მაშ, რაკი ასეა, იმოქმედე, — დაასრულა საუბარი პავლე ივანეს ძემ და დაუმატა. — მარცხენა ნაპირიდან საარტილერიო მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნები.

ის იყო, ყურმილი დავდე, რომ საკომანდო პუნქტზე 1208-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი პავლოვი და მისი მოადგილე პოლიტნაწილში პოდპოლკოვნიკი ეივინი მოვიდნენ. მდინარე ვისლა პირველს სწორედ მათ პოლკს უნდა გადაელახა.

— როდის დავიწყოთ? — მკითხა მიხეილ ნიკიტას ძემ.

— ვფიქრობ, ღამის პირველ საათზე, ყველაზე შესაფერი დროა.

— ჰო, სიბნელეში უფრო ხელსაყრელია. — უმალ დამეთანხმა პოდპოლკოვნიკი ეივინი.

— ხელსაყრელი კია, მაგრამ საშიშიც არის, — შევნიშნე მე. — მოწინააღმდეგე ყინულს დასცხებს ყველა ყალიბის არტილერიითა და ნაღმსატყორცნებით. და თუ დროულად არ ჩავახშეთ მისი საცეცხლე წერტები, ყინულზე ერთი მთელი ადგილიც აღარ დარჩება.

მე ვუბრძანე დივიზიის მთელს არტილერიას, გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი მტრის ბატარეისათვის, რომელიც ყინულს ურტყამდა. ჩემი თხოვნით ასეთივე ბრძანება გასცა გენერალმა ალექსეევმა და კორპუსის არტილერიაც აამოქმედა. ხანმოკლე საარტილერიო დუელის შემდეგ, მოწინააღმდეგის არტილერიამ საგრძნობლად შეასუსტა მდინარისათვის ცეცხლდაშენა.

დაბნელებისთანავე ჩვენი მესანგრეები ყინულის ხელოვნურად გამაგრებას შეუდგნენ იმ ადგილებში, სადაც ყინული ჭურვებისაგან იყო ჩანგრეული, აწყობდნენ ფიცრებს, ძელებს და ასხამდნენ ზედ წყალს. წყალი უმალ იყინებოდა და ხეფენილებს საიმედოდ ამაგრებდა.

შუაღამის სრულ პირველ საათზე მდინარე კა-

დასერეს მზვერავებმა, რომელთაც უმცროსი ლეიტენანტი პოპოვი მეთაურობდა. ვისლის აღმოსავლეთ ნაპირიდან არტილერიის ძლიერი ცეცხლის საფარქვეშ მათ კვალდაკვალ მიჰყვნენ პირველი მსროლელი ბატალიონის ასეულები კაპიტან დიმიტრი ხლავინის მეთაურობით, რომელმაც ამ თანამდებობაზე სულ ორი დღის წინ შეცვალა მძიმედ დაჭრილი მაიორი ტიმოხინი.

მოწინააღმდეგე უწყვეტად ისროდა მანათობელ შუშხუნებს. მათ შუქზე ჭოგრიტში კარგად ჩანდა, როგორ ადიოდნენ მტრის ცეცხლქვეშ მოყინულ და მკვეთრად დახრილ კბოდეზე კაპიტან კალინიჩენკოს მსროლელი ასეულის მეომრები, რომლებმაც ვისლის დასავლეთ ნაპირს პირველებმა უწიეს. მოჩანდნენ არტილერისტებიც, რომლებიც მსროლელთა კვალდაკვალ ყინულზე 45 მილიმეტრიან მსუბუქ ზარბაზნებს მიაგორებდნენ. „ორმოცდახუთიანების" ბატარეის მეთაურის მოვალეობას იმჟამად უფროსი სერჟანტი, გამოცდილი და მარჯვე მსროლელი ჩუიკოვი ასრულებდა.

მალე გაღმა, დასავლეთ ნაპირთან, სატელეფონო კავშირიც დამყარდა. კაპიტანმა ხლავინმა მომახსენა: ერთი ასეულით უკვე მოვეჭიდე დასავლეთ ნაპირს, ხოლო ორი დანარჩენი თანდათან მოიწევსო. ამასთანავე, კაპიტანმა შემატყობინა ისიც, რომ წყალგაღმა რელიეფი საკმაოდ რთული დახვდა: ძალიან დაქანებული და ფრიალო კიდურაა, მერე მოსდევს ბუჩქნარით დაფარული ფლატე მაღლობი, მტრის თავდაცვა ადრევე კარგად გამაგრებულიაო.

ამასობაში ღამის ბრძოლა ჩვეულებრივ გრძელდებოდა. 1203-ე მსროლელმა პოლკმა კარგად ისარგებლა კაპიტან ხლავინის ბატალიონის პირველი, ჯერ კიდევ მცირე წარმატებით და საათნახევრის განმავლობაში მთლიანად გადავიდა ვისლის დასავლეთ ნაპირზე. იქვე გადაიტანა თავისი საკომანდო პუნქტი პოლკოვნიკმა პავლოვმაც. პოლკის ქვედანაყოფები გაღმითა ნაპირზე გადასვლისთანავე ებმებოდნენ ბრძოლაში.

ტელეფონით ხელახლა დავუკავშირდი ხლავინის ბატალიონს. ყურმილში უცნობი ხმა გავიგონე.

— სად არის კაპიტანი ხლავინი? გადაეცით მას ყურმილი, — ვუბრძანე მე.

— კაპიტანი ხლავინი იერიშის დროს დაიღუპა საათნახევრის წინ, — მიპასუხა იმავე ხმამ,— მოგახსენებთ ბატალიონის პარტორგი ლეიტენანტი ჰაზიზ კალეელოვი, ბატალიონის მეთაურობა ჩემს თავზე ავიღე.

ლეიტენანტმა გარკვევით მომახსენა ვითარება. მე კალეელოვს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი მოხსენებით მივხვდი, რომ იგი მარჯვე და გამოცდილი ოფიცერი უნდა ყოფილიყო. აუცილებელი მითითებები მივეცი და დავძინე:

— გამაგრდი, პარტორგო! უკან გზა არა გაქვს.

და ბატალიონი მართლაც გამაგრდა. კომუნისტმა ჰაზიზ კალეელოვმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაკავებული პლაცდარმი შეენარჩუნებინა და შეექმნა სხვა ქვედანაყოფებისათვის დასავლეთ ნაპირზე გადასვლის ყველა აუცილებელი პირობა.

27 იანვარს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე, ვისლის დასავლეთ ნაპირზე „ორმოცდახუთიანებთან" ერთად, დივიზიის უკვე ორი მსროლელი პოლკი იბრძოდა. საბრძოლო მოქმედებისათვის ოპერატიულად რომ მეხელმძღვანელა, ჩემი საკომანდო პუნქტი მეც ვისლის დასავლეთ ნაპირზე გადავიტანე.

მთელი დღის განმავლობაში ბრძოლა მდინარის ნაპირიდან 200-300 მეტრის დაშორებით მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგე შეუჩერებლად გვიტევდა და ფრიად საგრძნობი ზარალისა და დანაკლისის ფასად, ცდილობდა მკვეთრი კიდურიდან ჩვენს ყინულზე გადაყრას. წამდაუწუმ იფეთქებდა ხელჩართული ბრძოლები, ყოველი სანგრისათვის გაafთრებული ბრძოლა იმართებოდა.

დივიზიის მიერ დაკავებული პაწაწინა პლაცდარმი ტაქტიკური თვალსაზრისით სრულიად უვარგისი გამოდგა. ნაპირის მახლობლად იყო დაქანებული, ფლატე მაღლობი, რომელზეც მოწინააღმდეგე გამაგრდა, ხოლო ჩვენ მოქმედებალია გაშლილ ადგილზე გვიხდებოდა. პირდაპირ დამიზნებაზე დაყენებული „ორმოცდახუთიანები" იძულებული იყვნენ სროლა დიდი კუთხით განევითარებინათ, რაც საგრძნობლად აქვეითებდა მათი ცეცხლის ეფექტიანობას უშუალოდ ჰიტლერელთა თავდაცვის წინა მხარეზე.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ჩვენ ფაქტიურად მხოლოდ ქვეითი ძალებით ვიბრძოდით, იმიტომ, რომ თხელ ყინულზე ტანკებისა და არტილერიის გადმოყვანა შეუძლებელი იყო. ცუდი ამინდის გამო დახმარებას ვერც ავიაცია გვიწევდა. ჩვენი ერთადერთი მხარდამჭერი იყო არტილერიის ცეცხლი მდინარის აღმოსავლეთ ნაპირიდან.

ასეთივე ძნელი იყო მეორე დღეც ჩვენთვის და 193-ე დივიზიისათვისაც. ჩვენ არმიიდან პირველებმა გადავლახეთ ვისლა და გავედით დასავლეთ ნაპირზე. მდგომარეობა ოდნავ მხოლოდ 28 იანვრის საღამოს შეგვიმსუბუქდა, როცა ქალაქ გრაუძენძის რამდენადმე სამხრეთით, სოფელ შეინაკთან არმიის მესანგრეებმა დაამთავრეს ხიმინჯებიანი ხიდის აგება და აღმოსავლეთ ნაპირიდან ტანკებმა და არტილერიამ იწყეს პლაცდარმზე გადმოსვლა.

აქ კიდევ ახალი უბედურება გამოტყვრა: ისევ ჩამოთბა, ვისლაზე ყინულმა დნობა დაიწყო და გადმოსასვლელად კვლავ არასაიმედო გახდა. გამოსავალი მხოლოდ პონტონის ხიდის აგება იყო, რისთვისაც ძლიერი მუხტებით უნდა აგვეფეთქებინა ყინული და მდინარის გარდიგარდმო რაღაც არხის მსგავსი ჭრილი გაგვეკეთებინა. არმიის სარდლის ბრძანებით, ჩვენი და 193-ე დივიზიის მესანგრეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ

ამ ამოცანის შესრულებას. პონტონის ხიდი უკვე მზად იყო, ხოლო შორიახლო, არმიის საინჟინრო ბრიგადამ ხიმინჯებიანი ხიდიც ააშენა, რომლებზეც დივიზიის ყველა გამაძლიერებელი საშუალება გადმოვიდა პლაცდარმზე. ამის შედეგად ჩვენი და მეზობელი დივიზიების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ოღონდ შეტევა რომ გაგვეგრძელებინა, ჯერ არმიის მთავარი ძალებისა და განსაკუთრებით კი, დონის პირველი გვარდიული სატანკო კორპუსის მოსვლას უნდა დავლოდებოდით.

## ვისლის ორი ნაპირი

თებერვლის პირველ რიცხვებში ვისლის დასავლეთ ნაპირზე გადმოსვლა იწყეს არმიის 18-ე და 46-ე მსროლელი კორპუსების ნაწილებმა, ხოლო 8 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში, დონის სატანკო კორპუსის მოწინავე ნაწილებიც გამოჩნდნენ, რომლებიც მარშით მოვიდნენ ტორუნიდან. მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩნენ მხოლოდ 44-ე გვარდიული მსროლელი დივიზია და ჩვენი კორპუსის 198-ე დივიზიის ერთი პოლკი. მათ დავალებული ჰქონდათ ხიდების მისადგომების დაცვა ჩვენს ზურგში დარჩენილი მოწინააღმდეგის ჯარების შესაძლო თავდასხმისაგან.

ახლა თითქმის უკვე შეიძლებოდა შეტევას განახლება და ფაშისტების დასავლეთისაკენ გარეკვა. მაგრამ აქ ისეთმა ამბებმა იჩინა თავი, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. როგორც ითქვა, 65-ე არმიისა და მეზობელი არმიების ჯარებმა შეტევის მსვლელობისას გვერდი აუარეს მტრის თავდაცვის ბევრ დასაყრდენ პუნქტს და თავიანთ ზურგში დატოვეს ჰიტლერელთა გაუნადგურებელი გარნიზონები იმ იმედით, რომ მათ გამოუვალი მდგომარეობა შეექმნებოდათ და ნებაყოფლობით ჩაგვბარდებოდნენ ტყვედ. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.

8 თებერვლის ღამეს ტელეფონზე საჩქაროდ გამომიძახა ჩვენი 105-ე მსროლელი კორპუსის მეთაურმა დიმიტრი ალექსეევმა.

— დაუყოვნებლივ უბრძანე შენი დივიზიის ერთ-ერთ პოლკს, რომ ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოვიდეს, — მიბრძანა მან.

— რათა? — უნებურად ვიკითხე მე, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ კითხვა აშკარად უადგილო იყო.

დიმიტრი თევდორეს ძემ მოკლედ ამიხსნა: ტორუნიდან, 70-ე არმიის ზურგის მხრიდან ჩვენსკენ მოემართება ჰიტლერელთა ოციათასიანი ჯგუფი, რომელსაც ყველა ვარაუდით, მიზნად აქვს, დაიკავოს ჩვენი ხიდები, მდინარეზე გადასასვლელები და ვისლის გაღმა გავიდეს. გზადაგზა ამ ჯგუფს სხვა გარნიზონებიც უერთდებიან, რომლებიც გაუნადგურებლად იყვნენ ჩვენს ზურგში დატოვებულნი.

იმავ წამს გამოვიძახე 1199-ე მსრო[illegible]ლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი პ[illegible] საბრძოლო ამოცანა დავუსახე. ორი საათის შემდეგ 1199-ე პოლკი, 198-ე და 418-ე მსროლელი დივიზიების ნაწილებთან ერთად, ვისლაზე უკან გადავიდა და სკარშევო-სარნაუს ზღუდეზე დაიკავა თავდაცვა.

ჩვენ განვაგრძობდით ვისლისგაღმა პლაცდარმის დაცვას, მაგრამ 1199-ე მსროლელი პოლკისა და ორი მსროლელი დივიზიის წასვლით, ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ძალები კიდევ უფრო დასუსტდა. მტერმა ეს შეიტყო და შემოტევა დაუყოვნებლივ გააძლიერა.

ტელეფონზე კორპუსის შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გორბინმა გამომიძახა.

— ძალიან გვაწუხებს პლაცდარმის მდგომარეობა, — მითხრა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, — ფხიზლად იყავით, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ. დიმიტრი თევდორეს ძემ გიბრძანათ, პირადად უმეთაუროთ ყველა დართულ ნაწილს, მათ შორის კორპუსის საარტილერიო პოლკსა და პოლკოვნიკ სოკოლოვის სატანკო-თვითმავალ პოლკსაც, რომლებიც უკვე მოემართებიან პლაცდარმისაკენ. ამას გარდა, კორპუსის საარტილერიო ჯგუფმა მიიღო ბრძანება, რომ მხარი დაგიჭიროს მარჯვენა ნაპირიდან. მიიღეთ ყველა აუცილებელი ზომა და არ მისცეთ მტერს მდინარისკენ გასვლის შესაძლებლობა.

ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე დაბრუნებული 1199-ე მსროლელი პოლკი დროებით 198-ე მსროლელი დივიზიის მეთაურს დაემორჩილა, ხოლო პლაცდარმზე დარჩენილი ჩვენი დივიზიის სხვა პოლკები განაგრძობდნენ სასტიკ ბრძოლას მოწინააღმდეგესთან. მალე ბრძოლა აღმოსავლეთ ნაპირზეც გაჩაღდა, რომელიც უწყვეტად ხუთ დღე-ღამეს გაგრძელდა. მტერი ზედიზედ გადმოდიოდა იერიშზე. ჰიტლერელები საგრძნობლად ზარალდებოდნენ, განსაკუთრებით, ჩვენი სახელოვანი „კატიუშებისაგან", რომლებიც თავიანთი ძლიერი ცეცხლით მსროლელ ნაწილებს უჭერდნენ მხარს. მაგრამ მოწინააღმდეგე იერიშებს არ წყვეტდა. ჰიტლერელები გრძნობდნენ თავიანთ აღსასრულს, და ყველანაირად ცდილობდნენ ვისლისკენ გასვლას, მაგრამ ყველგან ჩვენი ჯარების დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

მდინარის მისადგომებთან ბრძოლების დაწყების მესამე დღეს, ტორუნიდან წამოსულ გერმანელ-ფაშისტთა დაჯგუფებას აღმოსავლეთიდან 70-ე არმიის შენაერთებიც დაეწივნენ. ჰიტლერელები რკალში მოემწყვდნენ, მაგრამ კვლავ სასტიკ წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. ქვეითთა იერიშებს, როგორც წესი, მხარს უჭერდნენ საკმაოდ მსხვილი თვითმავალი ქვემეხები. ცალკეულ უბნებზე მტერმა მოახერხა ჩვენი ჯარების საბრძოლო წყობების გარღვევა და საქმე ხელჩართულ ბრძოლასა და ხელყუმბარებზე გადავიდა.

ყინულით მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადასულ ჰიტლერელთა ცალკეულ ჯგუფებს პლაცდარმიდან ჩვენი მეომრები ანადგურებდნენ, განსაკუთრებით მტრის დიდი ჯგუფი მიაწყდა 1201-ე პოლკის უბანს და შეეცადა ნაპირზე გადასვლას. მე ვუბრძანე პოლკის მეთაურს, მოებრუნებინა ფრონტით ერთი მსროლელი ბატალიონი და ფაშისტები ყინულზევე გაენადგურებინა, არ მიეცა ნაპირზე ასვლის საშუალება.

შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გადმოსაბირებლად. ალყაში მოქცეულ ჯგუფში ყოველდღე ათასობით მოწოდების ფურცელი ცვიოდა, რომ ნებაყოფლობით ჩაგვბარებოდნენ ტყვედ. დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობდნენ სასანგრო და სატანკო რადიოდანადგარები. რადიოთი გამოდიოდნენ გერმანულის კარგად მცოდნე ჩვენი ოფიცრები და დამაჯერებლად უხსნიდნენ ალყაში მყოფ ჰიტლერელებს, რომ მათი ერთადერთი ხსნა სიკვდილისაგან, არის ნებაყოფლობითი ტყვედ დანებება. 1199-ე პოლკის ბრძოლის უბანზე ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ პოლკის თარჯიმანი ლეიტენანტი ვავილინი, 1203-ე პოლკის თარჯიმანი გვარდიის ზემდეგი ულხანი და ანტიფაშისტი, ეროვნებით გერმანელი მიხელ ბერგერი და სხვები.

რამდენიმე წლის წინ ვეტერანთა ჯგუფს ვხელმძღვანელობდი და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად ვიმყოფებოდი. ქვეყანაში მოგზაურობისას ადგილობრივ ხალხთან ბევრი გულთბილი და მეგობრული შეხვედრები გვქონდა. ერთხელ, ქალაქ როსტოკში უცბად ერთი კაცი მოიჭრა ჩემთან და გადამეხვია. „ვლადიმირ ნიკოლაევიჩ! — წამოიძახა რუსულად, — როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა!“

შევხედე და რას ვხედავ: ჩემს წინ მიხელ ბერგერი დგას: ჩვენი 354-ე დივიზიის ყოფილი პოლიტმუშაკი. გერმანელი ანტიფაშისტი, იგი აღმოსავლეთის ფრონტზე რომ მოჰყვა, უმალ საბჭოთა არმიის მხარეზე გადმოვიდა, ხოლო 1944 წელს ჩვენს დივიზიაში მოხვდა და სპეცპროპაგანდას ეწეოდა. მოვიგონოთ, როგორ იცავდა დივიზია ნარევის პლაცდარმს, როგორ გადავლახეთ ყელამდე ცივ წყალში ჩამდგრებმა მდინარეები ოსტი და ვესტ-ოდერი. ვისაუბრეთ იმაზე, რომ დღევანდელი ჩვენი „პლაცდარმი“ მთელი სოციალისტური სამყაროა, მაგრამ ბრძოლა მისთვის არ დამთავრებულა... ხუთი წლის წინ მიხელ ბერგერი, როგორც გერმანელ მუშაკთა დელეგაციის წევრი, თვითონაც ჩამოვიდა საქართველოში. რა თქმა უნდა, მომნახა და 354-ე მსროლელი დივიზიის პოლიტმუშაკებთან ერთად ვისლაზე გადაღებული თავისი ფოტოსურათი მაჩუქა.

...ტორუნის დაჯგუფების საბოლოო განადგურება მოხდა 8 თებერვალს. ფაშისტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა ვისლის გაღმა გაღწევა. მოწინააღმდეგის [illegible] რისკაცი და ოფიცერი განადგ[illegible] რვაათასზე მეტი ტყვედ ჩაგვბარდა. რვაათასზე მეტი ტყვე! ჩანს, გერმანელთა ბანაკში გადაყრილ მოწოდების ფურცლებს — ხელი აეღოთ უშედეგო წინააღმდეგობაზე — და ჩვენი თარჯიმნების რადიოგადაცემებს ამაოდ არ ჩაუვლიათ, მაგრამ ჰიტლერელები ყველაზე მეტად მაინც ჩვენი ჯარების ძლიერმა, გამანადგურებელმა დარტყმებმა „გამოაფხიზლეს“.

ერთ-ერთმა იმ რვაათას ტყვეთაგანმა, ვისლის ნაპირზე რომ ვიგდეთ ხელთ, დაკითხვისას თქვა, რომ მისმა ასეულმა, რომელიც 78-ე დივიზიის 170-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში შედიოდა, მარტო 5 თებერვალს მოკლულთა და დაჭრილთა სახით ასი კაციდან ოთხმოცდაათი დაკარგა. „თქვენი კატუშებისა“ და არტილერიის ბათქისაგან არავითარი საშველი არ იყო, — აღიარა მან, — გაბედულად და უშიშრად იბრძვიან თქვენი ქვეითებიც“.

## ისევ შეტევა

ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგის ტორუნის დაჯგუფების განადგურება დაემთხვა უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ბელორუსიის მეორე ფრონტს მოესპო მტრის აღმოსავლეთ პომერანიის მსხვილი დაჯგუფება, გაეწმინდა ბალტიის ზღვის მთელი სანაპირო ვისლის შესართავიდან ოდერის შესართავამდე და დაეკავებინა პორტები დანციგი (გდანსკი) და გდინია.

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების შესახებ ჩვენ მაშინ დივიზიაში არაფერი ვიცოდით. მხოლოდ იმ ვარაუდით შეგვეძლო გამოგვეცნო, რომ ახლა, რაკი ვისლის აღმოსავლე თნაპირი მთლიანად გაწმენდილი იყო მოწინააღმდეგის ჯარებისაგან, შეტევა ფრონტის ჩვენს უბანზეც გაგრძელდებოდა. ვარაუდი გამართლდა. 10 თებერვალს ფრონტის ჯარებმა, რომელთა შემადგენლობაში ჩვენი 354-ე დივიზიაც შედიოდა, გატეხეს მტრის წინააღმდეგობა და კვლავ წინ დაიძრნენ.

ოღონდ შეტევა ნელა ვითარდებოდა. ეს გაპირობებული იყო, ძირითადად, ჩვენი ჯარების უკიდურესი დაღლილობით, ნაწილებისა და ქვედანაყოფების ხალხნაკლებობით და არტილერიის მხარდაჭერის უკმარისობით. ყოველივე ამას ჩვენ მწვავედ განვიცდიდით, როგორც იტყვიან, საკუთარ ზურგზე, — დივიზიაში. დივიზიის მსროლელი პოლკები იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ გაძლიერებულ ბატალიონებს ოდნავ თუ აჭარბებდნენ. დივიზია კი საბრძოლო დავალებებს სრული გაანგარიშებით ღებულობდა ხალხზეც და მსროლელი ნაწილებისათვის მხარდამჭერ არტილერიასა და ტანკებზეც, რაც ჩვენ აგრეთვე საკმარი რაოდენობით არ გაგვაჩნდა. კომუნიკაციების შორ მანძილზე გაჭიმულობის გამო ხშირად ფერხდებოდა საომარი მასალების მოწოდებაც, განსაკუთრებით, საარტილერიო ჭურვები-

ხა. ნისლსა და ცუდ ამინდში ვერც ავიაცია გვიპერდა მხარს, თუმცა მას დავალებული ჰქონდა არა მარტო დათრგუნვა, არამედ მოწინააღმდეგის მიერ წინასწარვე მომზადებული თავდაცვითი ზღუდის, ე. წ. „პომერანიის ღერძის" გარღვევა, რომელიც საინჟინრო თვალსაზრისით კარგად გამაგრებული რამდენიმე თავდაცვითი ზოლისაგან შედგებოდა.

ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარებმა მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ-პრუსიის დაჯგუფება შუა გახლიჩეს და დანციგის (გდანსკის) დაუფლების მიზნით მარტის დასაწყისში თავიანთი მთავარი ძალები აღმოსავლეთისაკენ შემოაბრუნეს. იქითკენვე იქნა შებრუნებული 65-ე არმიის ჯარებიც.

მარტის დამდეგს, სხვა ჯარებთან ერთად, ჩვენი 354-ე დივიზიის პოლკებიც გადადიოდნენ შეტევაზე. მტრის პოზიციებზე ბევრჯერ იერიშიც მიჰქონდათ, მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტების განადგურებაშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ვისლის პლაცდარმის დაუფლების დღიდან მნიშვნელოვანი წარმატებისათვის აღარ მიუღწევიათ. და აი, 4 მარტს დივიზიას ებრძანა მტრის განადგურება მის თავდაცვით პოზიციებზე, დასახლებული პუნქტების გროს-ბუკოვიცისა და ზელგოშის მისადგომებთან. ამის გაკეთება ადვილი არ იყო, რამდენადაც ჰიტლერელები გამაგრებული იყვნენ წინასწარ მომზადებულ თავდაცვით ნაგებობებში და ჩვენი პოლკების ზოგიერთ ვიწრო უბანზე ძალთა რაოდენობითაც საკმაოდ გვჭარბობდნენ. მიუხედავად ამისა, ამოცანა მაინც შევასრულეთ: ჰიტლერელები დასავლეთისაკენ გავაქციეთ და ორსავე დასახლებულ პუნქტს დავეუფლეთ.

ეს მოხდა 4 მარტს, დილით. ხოლო ნაშუადღევს, 65-ე არმიის სხვა შენაერთებთან ერთად, დივიზია მკვეთრად შემობრუნდა ჩრდილოეთისაკენ, ფრონტით დანციგის (გდანსკის) მხარეს და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — გადაჭრა რკინიგზა, რომლითაც ჯერ კიდევ სარგებლობდა გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა და აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფებას სამხრეთ-დასავლეთ რაიონებიდან საომარი მასალებითა და სურსათით ამარაგებდა.

თუმცა ფაშისტთა ჯარები კვლავ ძველებური თავგანწირვით ომობდნენ და თავიანთ თავდაცვით პოზიციებს მხოლოდ გაафთრებული ბრძოლების შემდეგ ტოვებდნენ, მაგრამ შეტევებისას ყოველდღე აშკარად ჩანდა, რომ მათი ჯარისკაცები სულ უფრო მეტად კარგავდნენ გამარჯვების რწმენას. ამას მოწმობდა უტყუარი ფაქტები. მაგალითად, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, თავიანთი მეომრების საბრძოლო სულისკვეთება რომ შეენარჩუნებინათ, ჰიტლერელთა გენერლები მთავარ იმედს ნაცისტურ პროპაგანდაზე ამყარებდნენ, აშინებდნენ ჯარისკაცებს იმით, რომ წითელი არმია გერმანიაში შესვლისთანავე ყველა გერმანელს მოსპობდა. ეს პროპაგანდა სულ უფრო ძლიერდებოდა, ამას ემატებოდა მკაცრი რეპრესიებიც იმათ მიმართ, ვინც „მავნე აზრებს" გამოთქვამდა ომის უპერსპექტივობის შესახებ.

ჯერ კიდევ 19 თებერვალს ერთ-ერთ განთავისუფლებულ პოლონურ სოფელში 1201-ე პოლკის მეომრებმა გერმანელ ჯარისკაცთა რამდენიმე ჩამომხრჩვალი გვამი იპოვეს, რომელთა მკერდზე წარწერიანი დაფები ეკიდა: „მე აღარ მინდა ომი"! როგორც შემდეგ დაკითხვისას ტყვეებმა თქვეს, ერთი ჩამომხრჩვალთაგანი რვა წელს მსახურობდა ჰიტლერის არმიაში, იყო ნაცისტი, მაგრამ ამ „ერთგულ" ჯარისკაცსაც კი უმტყუნა ნერვებმა და რწმენა თავისი სარდლობისადმი ბოლომდე არ შერჩა. თავისი საქციელით მან თითქოს ყველას გასაგონად აღიარა, რომ ბრძოლის გაგრძელება უაზრობა იყო.

მეორე სოფელში ჩვენმა მეწინავე ქვედანაყოფებმა გერმანელ ჯარისკაცთა 13 გვამი აღმოაჩინეს, რომლებიც ომის გაგრძელებაზე უარის თქმისათვის ჰიტლერელთა ქვეითი პოლკის მეთაურის ბრძანებით იყვნენ ჩამოხრჩობილი.

4 მარტს, დასახლებული პუნქტის გროს-ბუკოვიცის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს გზის პირას სახრჩობელაზე ჩამოკიდებულ კიდევ ერთი ჰიტლერელი ჯარისკაცის გვამს წავაწყდით. ტყვედ ჩავარდნილი მისი თანაპოლკელის თქმით, მან თურმე პირდაპირ განუცხადა თავის მეთაურს: „რაც გინდათ, ის მიყავით, მე აღარ ვიომებო".

ამ და ამის მსგავს უამრავ ფაქტებს მივყავდით სწორ დასკვნამდე, რომ ჰიტლერელთა არმია გარდუვალ დაღუპვის წინაშე იდგა და სულ უფრო ძლიერად იხრწნებოდა. ამასთანავე, ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ, მიუხედავად ყოველივესი, მტერი ბოლომდე გაგვიწევდა წინააღმდეგობას. ამიტომ საჭირო იყო მკაცრი დისციპლინა, მაღალი სიფხიზლე და არავითარი მოდუნება და უზრუნველობა!

ეს მოთხოვნები მარტო კეთილი სურვილები როდი იყო, იგი ნაკარნახევი იყო არსებითი აუცილებლობით. ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სამოქალაქოდ ჩაცმული ჰიტლერელები თავს პოლონელებად ასაღებდნენ, ფარულად შედიოდნენ ჩვენს ზურგში და აგროვებდნენ თავიანთი სარდლობისათვის საჭირო ცნობებს დივიზიის ნაწილების შემადგენლობის შესახებ, რათა ხელსაყრელ მომენტში მოულოდნელად დაგვსხმოდნენ თავს.

ასე, მაგალითად, 5 მარტს 921-ე საარტილერიო პოლკის მეორე დივიზიონის საკომანდო პუნქტის მახლობლად შეიპყრეს სამოქალაქოდ ჩაცმული შეიარაღებული ჰიტლერელი, რომელიც ჩვენი არტილერიის შემადგენლობას ზვერავდა. მეორე დღეს მე-6 ბატარეის საცეცხლე პოზიციას მოულოდნელად ავტომატის ცეცხლი

დაუშინეს ხუთმა სამოქალაქოდ ჩაცმულმა ჰიტლერელმა და ტყეში მიიმალნენ.

დივიზიის სარდლობამ და პოლიტგანყოფილებამ კიდევ უფრო გააძლიერეს სიფხიზლე, განსაკუთრებით, ზურგის ქვედანაყოფების დაცვის მიზნით ტყეს შეფარებული სამოქალაქო გერმანელების მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

6 მარტს, საღამო ხანს, დივიზია გავიდა საკმაოდ მოზრდილი პოლონური ქალაქის — სტაროგარდის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, რომლის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს იმხანად გერმანელები შეადგენდნენ. სტაროგარდის დაუფლებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პოლკოვნიკ პრაცკოს 1201-ე მსროლელი პოლკის მეომრები. პოლკის პირველი მსროლელი ბატალიონი დესანტისებურად დავსხით ტანკებსა და თვითმავალ იაზზე, რამაც საშუალება მისცა მას, ჯიქურ შეჭრილიყო ქალაქში, გაეჩაღებინა ქუჩის ბრძოლა და პოლკის მთავარი ძალებისათვის წინ წასასვლელი გზა გაეწმინდა.

სტაროგრადისათვის ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩანდა, გერმანელებს მისი შენარჩუნების იმედი აღარ ჰქონდა, რადგან ჩვენი ტანკებისა და თვითმავლების გამოჩენისთანავე, წინააღმდეგობის გაუწევლად ტოვებდნენ თავიანთ პოზიციებს და გამაგრებულ პუნქტებს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ჩქარა გასცდენოდნენ ქალაქს და წინასწარ მომზადებულ ქალაქგარე პოზიციებზე გადასულიყვნენ.

8 მარტს. ქალთა საერთაშორისო დღეს, ქალაქი სტაროგარდი მთლიანად განთავისუფლებული და გაწმენდილი იყო. ამ გამარჯვების აღსანიშნავად, ჩვენს მამაც და სახელოვან ქალებს დავუგზავნეთ მისალოცი დეპეშები, ვუსურვეთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და ჩქარი გასვლა დანციგზე, რაც იმ დღეებისათვის ჩვენი მთავარი და უახლოესი მიზანი იყო.

ქალაქი თითქმის უკაცრიელი დაგვხვდა. ჩანდა, ფაშისტმა ჯალათებმა ამაზეც „იზრუნეს" და მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის პოლონელებიც, ქალაქიდან წინა დღესვე გარეკეს.

დაცარიელებული იყო სტაროგრადის ახლო მდებარე დასახლებული პუნქტებიც. მაგრამ ჩვენი ჯარების დანციგთან მიახლოვების კვალობაზე მდგომარეობა შესამჩნევად იცვლებოდა. თუმცა გერმანული წარმოშობის ადგილობრივი მცხოვრებნი — უკიდურესად დაშინებულნი გებელსის პროპაგანდით წითელი არმიის „მხეცობის" შესახებ — კვლავ ტყეებში იმალებოდნენ, სამაგიეროდ ახლა სოფლებსა და დაბებში გულთბილად გვხვდებოდა მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი პოლონელი მოსახლეობა, ასევე ხშირად გვხვდებოდნენ ჩვენი არმიის მიერ ახლახან ფაშისტთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ინგლისელები, ფრანგები, პოლონელები, იუგოსლავები და გერმანელების მიერ სხვადასხვა დროს ტყვედ წამოყვანილი რუსები, უკრაინელები და ბელორუსები.

როგორც ჩანდა, გერმანელ-ფაშისტთა სარდლობა ბოლოს დარწმუნდა იმაშიც, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა და სამხედრო ტყვეების წაყვანა უაზრობა და უპერსპექტივობა იყო. სიმართლე რომ ითქვას, წასაყვანი ადგილიც აღარსად ჰქონდათ. ხმელეთის ის ნაწილი, სადაც გერმანელები უკანასკნელ შესაძლებლობამდე გამაგრებას აპირებდნენ, დღითიდღე მცირდებოდა და ვიწროვდებოდა, ხოლო იმის იქით, თვით ჰორიზონტამდე ბალტიის ზღვა იყო გადაშლილი. საჰაერო დაზვერვის მონაცემებით ცნობილი იყო, რომ დანციგის „ქუსლზე" გერმანელ მოქალაქეთა ისედაც უზომოდ დიდი რაოდენობა დაგროვდა, რომლებიც საზღვაო გზით დასავლეთისაკენ წასვლას ესწრაფვოდნენ.

ირგვლივ მდებარე ტყეებიდან დასახლებულ პუნქტებში გამოდიოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე აღმოსავლეთ პრუსიიდან ევაკუირებული გერმანელთა ის ოჯახებიც, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო დანციგის „ქუსლზე" მოხვედრა ვერ მოახერხეს. თავდაპირველად ჩვენს მებრძოლებსა და ოფიცრებთან შეხვედრისას ისინი ან ჰირიანივით განზე მიიწევდნენ, ანდა, ადგილზე ჩერდებოდნენ და სიკვდილის მოლოდინში შიშით შემოგვყურებდნენ, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობას ჩვენ არას ვერჩოდით და თანდათან ისინიც რწმუნდებოდნენ, რომ აქ საქმე ისე არ იყო, როგორც თავდაპირველად ეგონათ, რომ წითელარმიელები და მათი მეთაურები სულაც არ არიან ისეთები, როგორადაც მათ თავიანთი პროპაგანდისტები უხატავდნენ: მშვიდობიან მოსახლეობას არ ხოცავენ, არ ძარცვავენ, არ ძალადობენ, მაშასადამე, ჩვენ მოგვატყუილეს...

ერივნენ მათში, რა თქმა უნდა, ისეთებიც, რომლებიც აშკარად არ ენდობოდნენ „რუს კომისრებს", მაგრამ მთლიანად მშვიდობიანი თანაარსებობა ძალიან ჩქარა დამყარდა.

10 მარტს დივიზიამ კორპუსისა და არმიის სხვა შენაერთებთან ერთად, მტრის წინააღმდეგობა დასძლია, ბრძოლით გავიდა მდინარე რადაუნეფლისისაკენ და ჰიტლერელთა დანციგის თავდაცვის ეგრეთწოდებულ გარე რკალს მიადგა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# მიწისქვეშ მოგუგუნე წარსული

„ღობესთან მდგარ ყარიბ ბერიკაცს ქალმა გადმოხედა, ბოსტანს თავი დაანება და ჭიშკარისკენ წამოვიდა.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა ბერიკაცმა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კეთილო კაცო, — თქვა ქალმა.

ბერიკაცი იდგა და ქალს სევდიანი თვალით უცქერდა.

— მობრძანდი, კეთილო მგზავრო, სტუმარი ღვთისაა, კაცი საცაა დაბრუნდება... — თქვა ქალმა.

— გმადლობთ... — უთხრა ბერიკაცმა, — დიდი გზა მაქვს გასავლელი...

მერე მიტრიალდა და გზას დაადგა.

ქალი დიდხანს იდგა და ბერიკაცის კვალს გასცქეროდა.

ბერიკაცმა გრძელი გზა გალია და უდაბნოში გავიდა.

უდაბნოში ერთი მუხა იდგა.

ჭირის ოფლდასხმულმა, მუხლმოკვეთილმა ბერიკაცმა ჩაიჩოქა და მუხას მიეყრდნო.

ჩემი მეგობარი გიორგი ბალიაური აქ უნდა შეხვედროდა სიკვდილს.

მე შორიახლოს მივედი და დავუცადე.

მის თვალებში დაისის ულონო შუქილა იდგა.

— მიშველე... — თქვა მან".

. . .

თამაზ ბიბილურის რომანში „ჟამი კითხულასა" ამ ეპიზოდს განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა აქვს. შემთხვევითი დეტალი ამ ნაწარმოებში თითქმის არც გვხვდება. რომანის სიმბოლიკურ-ალეგორიული ხასიათი ნაკლებ იძლევა ამის საშუალებას. თამაზ ბიბილური კი განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს მის მიერვე არჩეულ ფორმას და ყოველ ეპიზოდს საჭირო აზრობრივი დანიშნულებით გვაწვდის. და მაინც ზემოთ მოტანილი ფრაგმენტი გამორჩეულია თავისი ფუნქციით. რომანს განასრულებს.

სიცოცხლე მომხიბლავია, ცხოვრება... ცხოვრება მარტივი, სადა და ნათელი ყოფილა: ქალი ბოსტანში ფუსფუსებს, სახლის ბანზე ბუთხუზა ბიჭი კატას ეთამაშება, სახლიდან კვამლი ამოდის და ცას ერთვის, ბუხარში ლობიო ჩუხჩუხებს, ძროხა მინდვრიდან ბრუნდება და ხბო ბღავილით ეგებება... ყოველივე ამას უბრალო ბედნიერებას უწოდებს მწერალი. და საერთოდ: ბედნიერება უბრალოა, მარტივი, სადა. გიორგი ბალიაურმა მხოლოდ სიკვდილის პირას მყოფმა შეიგრძნო ეს. დაინახა, თურმე რა სანატრელი ყოფილა ბუნებისაგან ბოძებული სიცოცხლე, მარტივი ცხოვრება, ოჯახური ბედნიერება, ყოველდღიური ყოფის „უმნიშვნელო" დეტალები. ეს ბოსტანიც, ეს ქალიც, ეს ბუთხუზა ბიჭიც, კატას რომ ეთამაშება, ეს კვამლიც, ცას რომ ერთვის, და ეს ხბო, მინდვრიდან მობრუნებულ დედას რომ შებღავის. სითბო, სიტკბო და სიმსუბუქე დგას ყველაფერში, ხოლო ყველაფერი ბუნებრივი და ნათელი, ლაღი და უდრტვინველია. ყოველი მოძრაობა ამ „უბრალო ბედნიერების" ტილოზე ბუნების წესს და კანონს ეთანხმება.

გიორგი ბალიაურმა — თამაზ ბიბილურის რომანის მთავარმა პერსონაჟმა, იგრძნო, რომ ამ ნამდვილი ბედნიერების საპირისპიროდ უცხოვრია, ამ მარტივი, სადა ბედნიერების წინაღმდეგ უბრძოლნია მრისხანედ შემართულსა და გულგაქვავებულს, ბუნების წესის შეცვლა უნებებია თავისი „ზეადამიანური" ნების გასატანად და სიკვდილის პირას განათებული გონებით დაინახა თავისი გამოუსწორებელი შეცდომა.

იგი უდაბნოში მოკვდა.

როგორ იცხოვრა გიორგი ბალიაურმა და ვის ებრძოდა იგი?

რომანი ძირითადად ანალიტიკურ პროზას გა-

ნეკუთვნება. მწერალმა აირჩია ძველი დრო, რათა საშუალება ჰქონოდა დესპოტიზმის არსი დაენახვებინა ჩვენთვის. წარსული კი საამისოდ საჭირო მასალას უხვად აწვდის მწერალს. ადამიანის შინაგანი თავისუფლება (ეს თავისუფლება ყოველთვის ბუნებრივი თავისუფლებაა) წონასწორობის ერთადერთი გარანტიაა. ხხვაგვარად ბუნებასთან შეზრდილი ადამის ძე ჰკარგავს წონასწორობას და ჰკარგავს ხახესაც. რომანი გვიხატავს მთლიან პროცესს ადამიანის მიერ წონასწორობის დაკარგვისას, გვიჩვენებს, რად გადააქცია დესპოტიზმმა ძველი დროის სოფელი, სოფლის მეთაური, თითოეული კაცი და ხალხი საერთოდ, გვიჩვენებს რად გარდაისახა ადამიანური გრძნობები: სიყვარული, სიძულვილი, ადამიანთა ურთიერთობა, განწყობილება, ინტერესები, ოცნებები, ღირსებები და, ბოლოს, ადამიანის ფიქრი.

თამაზ ბიბილური კარგად გრძნობს წარსულს: „წარსული მიწაში იმარხება, მაგრამ ჩვენ ამ მიწაზე ვცხოვრობთ და მიწიდან გვესმის ყრუ გუგუნი... ეს წარსული გუგუნებს და თავისთავს გვახსენებს“.

ადამიანის სულის დეფორმირების პროცესის დასახატავად მწერალმა რომანში სიმბოლიკურ-ალეგორიული პლანი აირჩია, არ მოერიდა სქემატურობის საფრთხეს, განყენებულობის ილუზიას, აბსტრაქტულობის ტენდენციას, რაც ყოველ ნაბიჯზე უსაფრდება ამ გზით მიმავალ მწერალს. რომანის გამოქვეყნებამდე თამაზ ბიბილური მკითხველის წინაშე რამდენიმე საინტერესო მოთხრობით წარსდგა, მათ შორის აღსანიშნავია ვრცელი მოთხრობა „ჩივილი“. მოთხრობაში მწერლის რეალისტური ხედვა არაერთხელ იმარჯვებს და ამდენად მკითხველი მის ავტორს სავსებით ენდობა. ენდო თავის შესაძლებლობებს თამაზ ბიბილურიც, როდესაც რომანში სიმბოლიკურ-ალეგორიული პლანი აირჩია. ეს ფორმა გამართლებას აზრობრივი დატვირთულობით იძენს ხოლმე. ამდენად, ანალიტიკური პროზის კანონების მოხმობა თავისთავად საჭირო და აუცილებელი შეიქნა. თამაზ ბიბილურმაც მას მიმართა. რომანის ძირითადი ნაწილი მაღალ მხატვრულ ღირებულებას ამ გზით ინარჩუნებს. იგი გიზიდავთ სწორედ აზრობრივი აქცენტებით.

მწერალს რომანში აქვს გამოკვეთილი კონცეფცია: რად გარდაისახება სოფელი — იგივე ქვეყანა, კაცი — იგივე ხალხი, როდესაც სოფლის თავკაცად ე. ი. კითხულად დესპოტი მოგვევლინება. ადამიანის სულის დეფორმირების პროცესს მხატვრულად დამაჯერებელი ლოგიკა მართავს. თვალი გავადევნოთ პროცესს თავიდან ბოლომდე. ხხვაგვარად მისი ახსნა შეუძლებელი ჩანს.

„მე მაშინ გავიფიქრე, რომ ერთ პატარა სოფელში თავს იყრის მთელი ქვეყნიერების ვნებათაღელვა; სოფელი ერთ მუჭად შეკრული და დაპატარავებული ქვეყნიერებაა — თავისი ხალხით და ჯამაათით, ერით და ბერით, მეფით და კარისკაცებით, აღზევებულნით და დამცირებულნით, სიკეთით და ბოროტებით... გაუხსენ ხელ-ფეხი, გაუფანტე სიპატარავის შიში, მიანიჭე თვითრწმენა, და იგი, ერთ მუჭად შეკრული, თითქოს და ერთი ბეწო, განივრცობა, უკიდეგანო ქვეყნიერება გახდება“.

ანალიტიკური პროზა ამართლებს ამგვარ თვითშეფასებას, თვითახსნას. ეს ხომ ის სიტყვებია, რაც კრიტიკულმა აზროვნებამ უნდა თქვას მხატვრულ ნაწარმოებზე მსჯელობისას, მაგრამ მხატვრული პროზის შინაარსში, კარგახანია, ახალი ფუნქციები გაჩნდა და ამაში მოულოდნელი არაფერი არ უნდა იყოს. მთავარი ზომიერების დაცვაა: თუ იგი დაცულია, მაშინ ანალიზიც გამართლებულია და თვითდახასიათებაც.

„კითხულობა, სოფლის ადათით, მხოლოდ ბრძენ, გამკითხავ და ვაჟკაც კაცს ეკისრებოდა“, გვეუბნება თამაზ ბიბილური და იქვე დასძენს: „სოფელს უთუოდ სჭირდებოდა ჭკვიანი და გამოცდილი თავკაცი“.

ყველაფერი ეს ბუნებრივ ჩარჩოში თავსდებოდა...

ნაწარმოებში მოცემულია ამ ბუნებრივი მდგომარეობის დახასიათება: როგორი შესისხლხორცებული იყო ხალხი და ღულა ბალიაური — მათი თავკაცი, ხოლო შემდგომ — ხალხი და მანგია ბალიაური. ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა — ლხინით და ჭირით, ბრძოლით და შრომით. მართავდა ბრძენი კაცი და მისდევდა წუთისოფლის ტკბილ-მწარით აღსავსე გზას, რასაც საბოლოოდ მაინც „უბრალო ბედნიერება“ ერქვა. ლხინსა და ჭირს ჯანსაღი ნერვებით განიცდიდა, ნათელი გონების გონივრული დამოკიდებულებით. კითხულსა და ხალხს შორის გაურკვეველი არაფერი რჩებოდა — ეკითხებოდნენ და ურჩევდა, ისმენდა, ბჭობდა, და ბრძნულად წყვეტდა. ხალხი მადლიერი იყო, ადამიანი — დაფასებული, ღირსება — შეულახველი, სილაღე — დაუთრგუნველი, ხალისი — შეუზღუდველი...

„მანგია ბალიაური ბუნებით თვითონ მშვიდობიანი კაცი იყო, გალმა-გამოღმით არცერთ სოფელს მისი შიში არ ჰქონია და სოფელიც, რომელსაც იგი მწყემსავდა, უწყინრად ცხოვრობდა“. ასეა დახასიათებული ის ბუნებრივი დამოკიდებულება, რაც წინამძღოლსა და სოფელს შორის არსებობდა. ეს სიკეთის გზაა, დემოკრატიულ ხასიათებს რომ წარმოშობს და სინათლეს ასადგურებს ადამიანთა ურთიერთობაში. მაგრამ მარტოოდენ ამ სასიკეთო კვალით არ ამოიწურება მისი გავლენა. ადამიანები ხდებიან ასეთ დროს უალრესად თავისუფალნი, კეთილნი, სიკეთისაკენ მიმართული ადამიანის ბუნება და გზა კი არასდროს საბოროტოდ არ იყენებს თავის უფლებას. სილაღე არასდროს არ გადაიზრდება ალვირახსნილობაში, სისადავეს, სიმარ-

ტივეს, ლამაზი და მაღალი იდეალების სამსახურს ეწირება იგი, დიდ მისწრაფებებს წარმოშობს და აღშენების გზით მიჰყავს ქვეყანა.

მაგრამ როგორც კი ბოროტება დაისადგურებს სათავეში, როგორც კი მანგია ბალიაურის მშვიდ ბუნებას გიორგი ბალიაურის მოუსვენარი ბუნება შეცვლის, ყველაფერი უკუღმა დატრიალდება.

„ჭაბუკ ბალიაურს ეზიზღებოდა ეს მთვლემარე სიმშვიდე, მეტადრე მას შემდეგ, როცა მხარში გავლილი ტყვიის გამო მეფის ჯარიდან დაითხოვეს. ჯარში შფოთსა და ყალყზე შემდგარ ცხოვრებას მიჩვეული, დედაკაცებში ხელგაწაფული და ყველაფერში უკანდაუხეველი, სოფლის სიბეჩავემდე მისულ მშვიდობიან ყოფას მქისე დაცინვით უცქერდა და იმ დღეს ელოდა, როცა ამ ერთფეროვან და ერთსახოვან ყოფაში რაღაცა შეიცვლებოდა“.

გიორგი ბალიაურისათვის სოფლის სიმშვიდე — „მთვლემარე სიმშვიდეა“, „სოფლის სიბეჩავემდე მისული მშვიდობიანი ყოფაა“, „ერთფეროვანი და ერთსახოვანი ყოფა“... ასე აღიქმება მის თვალში, — შინაგანი სულიერი მდგომარეობა ამგვარად გარდატეხს სოფლის ყოფას. სულის სარკე გამრუდებულია, მაგრამ თვითონ ამ სარკეს ენდობა უპირველეს ყოვლისა, რადგან ეს სარკე მისი ხასიათია.

მისი არსება კი უძლები ვნებებით იყო დამუხტული.

ეს უძლები ვნებები ბავშვობაშივე გამომჟღავნდა. გიორგი ბალიაური — ანტიპოდი მშვიდი მანგია ბალიაურისა, სულ გადაულახავი ქედის გადალახვაზე ოცნებობს, სულ უხილავი სამყაროს ხილვას ესწრაფვის. ამ სწრაფვაში თითქოს არაფერია ცუდი და დასაძრახი, მაგრამ მისწრაფებას სხვა ჟინი მართავს — არა წვდომისა და შეცნობის, არა მაღალი იდეალის შინაარსი, არამედ დაპყრობის, დამორჩილების, დასაკუთრების ჟინი — ამ ჟინის არხში კი უსამართლობის მდინარე გადის და ადამიანის ბუნებას მისი ხმაური ავსებს, მისი გუგუნი აზანზარებს.

„— მე კითხული უნდა გავხდე! — გამოაცხადა ერთ დღეს ხმამაღლა და მთელი ჯალაბი შეაძრწუნა.

კითხულმა მოხედა, დიდხანს უყურა და გარინდებული ჯალაბის დუმილში არა უთხრა რა, მარტო ზურგი შეაქცია და ჭერხოში ავიდა.

— მე კითხული უნდა გავხდე! — მეორედაც გაადევნა ბიჭმა ჭერხოში ასულ მამას, მაგრამ მამა არ შეჩერებულა, არ მობრუნებულა და არაფერი უთქვამს.

მე ახლაც მესმის ბიჭის ჭიხვინი, დილიდან შუაღამემდე რომ ისმოდა მანგია ბალიაურის ციხე-კოშკში. დაუდეგარი კვიცი ჭიხვინებდა და მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როცა გალავნის გადაღმა გავიდოდა და დიდ ბილიკზე გავარდებოდა“.

გიორგი ბალიაურის ბუნებაში ბოროტება დაისადგურებულა. ხალხის დამორჩილება ყველასათვის საკუთარი ჟინის თავს მოხვევა უნდა, ყველაფრის დაქვემდებარება და გათელვა სწადია. მანგია ბალიაურმა იგრძნო, რომ სოფელს უბედურება ელოდა, იგრძნო, რომ ვერაფერს შეცვლიდა შვილის ხასიათში და წინათგრძნობით შეძრწუნებულმა სიცოცხლე მოისწრაფა. მას არ ეყო ძალა შვილის უძლებ ბუნებას გადასდგომოდა წინ.

გიორგი ბალიაური კითხული გახდა. მან ყველაფერს ცისქვეშეთში საკუთარი ბუნების გადასახედიდან დაუწყო ცქერა: სოფლის სიმშვიდესაც, ადამიანების ხასიათსაც, დამოკიდებულებასაც. იგი ბუნებრივად მივიდა დასკვნამდე, რომ უნდა შეცვლილიყო ამ დამოკიდებულების ყველა განზომილება.

„მეზობელ სოფლებს აქაურობის უნდა შინებოდათ, აქაურობაზე, აქაურებზე შიშნარევი ფიქრი ძილშიც უნდა ჩამყოლოდათ. მაშინ იქნებოდა სოფელი ნამდვილი სოფელი და სოფლის კითხული მართლაც კითხული და წინამძღოლი. ჭაბუკმა იცოდა, რომ მშვიდი ყოფა შიშს ვერ შექმნიდა. შიშს სჭირდა გალაშქრება, დარბევა, ცხენზე გაწვრთნილი მხედრობა, ალაფისა და საქონლის გამორეკვა, ლამაზი ქალების მოტაცება, ცეცხლს მიცემა დაცარიელებული, მიტოვებული სოფლებისა“.

გიორგი ბალიაურს სხვაგვარად ესმის სოფლელების მშვიდობიანი დამოკიდებულება მამამისისადმი. აქ გამჟღავნებული ჟინი, მის შეხედულებადვე გარდასახული. სხვა თვალებით იხედება. სოფლის აუმღვრეველ, მშვიდ არსებობაში ვულკანად ჩასაფრებული მტრობა ელანდება, ეჭვი თიმთიმებს. დაპყრობის ჟინი ვერ ხედავს მშვიდი ყოფნის შესაძლებლობას; მისი თვალთახედვით მშვიდ ყოფნას ლოგიკა არ აქვს, ე. ი. გამართლება აქვს. ეს სიმშვიდე, ეს სადა, მარტივი ყოფა მოჩვენებითია, დროებითი გაყუჩებაა — მისი ნდობა არ შეიძლება. ბოროტებისათვის არ არსებობს ჰარმონიის შესაძლებლობა, რაგინდ უპრეტენზიოც არ უნდა იყოს იგი. და ის მარტივი ჰარმონია, რომელიც სოფელსა და კითხულს შორის მყარდებოდა ტრადიციულად, მისმა ბუნებამ შეიზიზღა, ახლოს არ გაიკარა. სწორედ ეს გახლავთ ბოროტი ბუნების უკუფენა. კეთილშობილური გენის ნაშთი, რაც კი გიორგი ბალიაურს მამა-პაპისაგან მოსდგამდა, ამ ჟინს მოექცა ქვეშ და თითქოს სამუდამოდ დაიმარხა.

ბოროტებამ კი თავისი ნაცადი, ტრადიციული იარაღი მოიშველია — შიში. შიშის ძალა კარგად უწყოდა გიორგი ბალიაურმა. მასა და სოფელს შორის შიში უნდა ჩამდგარიყო. იგი შიშით მოპოვებულ შეუვალობას ესწრაფვოდა.

შიში ცვლის რიდს — ურთიერთობის მარადიულ ღერძს. რიდით წონასწორობა მყარდება.

ჰარმონიის საუკეთესო ფორმები ზეიმობს, — ქვეყნის მოწესრიგებულობის ბუნებრივი ფორმები. გიორგი ბალიაური არ დაჭერდა რიდს. რიდი ხალხს აახლოებდა, შიში კი წარმოუდგენელ სიმაღლეზე ატყორცნიდა ხალხის თვალში, მიუწვდომელი კოშკის თავზე ამართავდა ქანდაკებად. ავადმყოფური პატივმოყვარეობა თითქოს კიოდა შიგნით და უხმობდა შიშს, როგორც სამჭედურიდან ახლად გამოტანილ მახვილს.

„შიშმა ააშენებინა ახალ კითხულს სხვა ყველა კოშკზე უფრო მაღალი კოშკი. ამ კოშკიდან მთელი სოფელი ჩანდა. კოშკი პირქუში იყო. ქედივით წარმომდგარი და გარშემო მძიმე, სათოფურებიანი გალავნით შემოზღუდული. მუხის დიდ კართან მეთოფურენი იდგნენ და კითხულის ნების გარეშე ამიერიდან გალავნის ზღუდეს ვერავინ გადაივლიდა. შიშმა და მორიდებამ ყორე-ყორე ჩამოიარა. კოშკმა და გალავანმა ყველაფერს პირქუში და უნდო იერი დასდო. გალავანი კითხულსა და სოფელს შორის აღიმართა და იმ გალავანმა კადნიერად მოითხოვა მორიდებაც, შიშიც და სიყვარულიც“.

ამ შემთხვევაში მწერალს უზუსტოდ აქვს მორიდება შიშის კვალში ჩაყენებული. მორიდებასა და შიშს შორის დიამეტრალური განსხვავება არის და სულ სხვა ფუნქციაც აკისრიათ. მართალია, შიში გულისხმობს მორიდებას, მაგრამ რაკი მანგია ბალიაურისა და გიორგი ბალიაურის ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან საგანგებოდ განვასხვავეთ, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან შიშიც და მორიდებაც. შიში ბოროტების იარაღია, მორიდება — კეთილშობილებისა. შიშით შობილი სიყვარული სხვა ერთეულია. ამ ტიპის რომანში ყოველ ცნებას განსაკუთრებული სიზუსტე მოეთხოვება და ჩემი შენიშვნაც ამ აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

კოშკი და გალავანი მანგია ბალიაურს და სხვა კითხულებს არ ჭირდებათ. ხალხთან მათი ურთიერთობის წესი არ მოითხოვდა ამგვარ შემოზღუდვას. გიორგი ბალიაური ხალხისაგან მოწყვეტას ესწრაფვის, „ამაღლებას“, ზევიდან ცქერას, გაღმერთებას. ყოველივე ამისათვის კი გალავანი, კოშკი და ზღუდეა აუცილებელი, ყველაფერი ეს უნდობლობის სივრცეს წარმოშობს, — თავისთავად აჩენს. გალავნისა და პირქუში კოშკის სოფელში ჩადგმა ახალ სივრცეს ქმნის — კამკამა ლაჟვარდი, ხალასი მინდორი არარეალური გეჩვენებათ; რეალური ამ ზღუდით დაპყრობილი სივრცე ჩანს, რომლის ყვითელ ზურგზე რისხვასავით მოთიმთიმე და დაჟანგული უნდობლობა გაწოლილა.

ლოგიკა გაგრძელებას ითხოვდა. გიორგი ბალიაური ხალხს განერიდა, სოფელთან ურთიერთობისათვის კი ერთგული ხალხი ჭირდებოდა. თვითონ მოწყდა ერთხელ და სამუდამოდ, ხალხს თვითონ არ შეხვდებოდა, ხალხს თვითონ არ წარუძღვებოდა, ხალხის საქმეს თავად არ გადაწყვეტდა. შუამავალი იყო საჭირო, ხალხისგან განდგომა ამ აუცილებლობას წარმოშობს.

„უწინ სოფელში ყველა ერთი იყო, თავისი კითხულის გარშემო შემოკრებილი. იყო სოფელი და ჰყავდა თავისი კითხული. ახლა გაჩნდნენ რჩეულნი — კითხულის მცველნი, კითხულის თანაზიარნი, კითხულის ახლობლები ან საჭირო ხალხი. ახლა ჯერ კითხული იყო და მისი სანდო ხალხი, მერე მთელ სოფელსა და კითხულს შორის ეს ხალხი ტრიალებდა და კითხულამდე სოფლის საქმეც ამ ხალხის პირით მიდიოდა“.

ყველაფერი ახალი წესის მიხედვით უნდა დამდგარიყო თავის ადგილზე.

უფსკრულის გაჩენა იყო მთავარი. კითხულსა და ხალხს შორის თავისთავად გაჩნდა უფსკრული, რაკი კითხული სოფლის საქმეს მხოლოდ თავისი ერთგული ხალხის მეოხებით გებულობდა. უშუალო კავშირის გაწყვეტის შემდეგ ხალხსა და კითხულს შორის ჩამდგარი ადამიანები სხივგაუმტარ სხეულებად მოევლინენ სოფელს, კითხულისთვის მთავარი სანდო კაცის პოვნა იყო, კაცისა, ვინც მის მცველებს მეთვალყურეობას გაუწევდა. ეჭვი ყველა უჯრედში გაიფოფრა. გიორგი ბალიაური მცველებსაც აღარ ენდობოდა. ათისთავი კი ყოველმხრივ სანდო უნდა ყოფილიყო, ხოლო მის ულალატობაში ბალიაური — საბოლოოდ დარწმუნებული არ იყო, ამიტომაც იცვლებოდნენ ზედიზედ ათისთავები კითხულის კარზე. გიორგი ბალიაური ეძებდა და ელოდა კაცს, ვინც მის ნებას განასახიერებდა და ერთადერთი მოციქული იქნებოდა კოშკსა და ხალხს შორის. გიორგი ბალიაური მისი არსისაგან შობილ კაცს ელოდა. მანამ ყველა საეჭვო და მოსაფრთხილებელი ჩანდა.

დიახ, გიორგი ბალიაური თავისი არსის ნაყოფს უცდის, იგი ერთბაშად ვერ გაჩნდებოდა. ჯერ კიდევ მოძრაობდა ინერციით ძველი წესის დინება, ჯერ კიდევ ჰარმონიული ურთიერთობის ნათელი სხივები დადიოდა ხალხში. ის სხივები ელობებოდა ბოროტების მსახურის გაჩენას. ათისთავებიც ამიტომ იცვლებოდნენ. შეუცვლელი არავინ ჩანდა.

გიორგი ბალიაურის წარმოსახვაში ძალლივით ერთგული კაცის სახე იძერწებოდა. მისი ბუნება აწესრიგებდა ამ წარმოდგენებს, იგი ქმნიდა ხატს ერთგული და ულალატო მსახურისა, ვინც სრულ წესრიგში მოიყვანდა შიშის კანონებს, სრულყოფდა დამთრგუნველ წნევას, ხალხს მიწაზე განართხობდა და კითხულზე ალოცებდა, ვისთვისაც კითხულისადმი ძაღლივით ერთგულება საარსებო მოთხოვნილება იქნებოდა.

„ასე მოვიდა ხირჩლა... და ის დღეც ერთი მშვენიერი დღე იყო.

არავინ იცის საიდან მოვიდა ხირჩლა... თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს ციდან ჩამოვიდა და თავისი ადგილი შინაურივით დაიჭირა".

გიორგი ბალიაურის ცხოვრების წესმა ხირჩლა დაბადა. მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ხირჩლას მოვლენა გარდაუვალი ხდება, იგი უნდა დაიბადოს!

„ხირჩლა უცხო იყო. არც რჯული უწყოდა ვინმემ მისი, არც ზნე. აქაურობაში მხოლოდ ერთმა, სოფლის კითხულმა იცოდა მისი სადაურობა და ჯერ ერთი სოფლის წინამძღოლს კითხვას ვერავინ შებედავდა, და მეორეც, სოფლისთვის უცხო, უწარსულო და არსაითგან მოსული კაცის უკეთესს თავის მცველად და მოამბედ კითხული ვერსად იპოვიდა. ამას სოფელიც მიხვდა... ხირჩლასთვის სოფელი უცხო იყო და ამიტომ იქნებოდა ხირჩლა მოუსყიდველი პირველკაცი. ამიერიდან კითხულს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, თავისი თვალ-ყური მხოლოდ გარეთ ჰქონოდა, შინაურობას კი ხირჩლა მოუვლიდა".

მართალია, ხირჩლა გიორგი ბალიაურის — ხალხისაგან მოწყვეტილი კითხულის — არსმა წარმოშვა, მისი ნაყოფი გახლდათ, მაგრამ მან თავისი დამოუკიდებელი არსი შეიძინა. ეს არსი კითხულისაგან გამოცხადებულმა ნდობამ და ხირჩლას შინაგანმა აღვირახსნილობამ შეანივთა. ხირჩლა დღითიდღე ყალიბდებოდა ახალ ერთეულად. კითხულის ნებას მან თავისი ნებაც დაურთო, მისი ნება კი უფრო ბინძური და ქვენა იყო, ვიდრე კითხულისა, უფრო დაწვრილმანებული და ჩაძიებული, ვიდრე კითხულისა და რაკი ერთს მეორე დაემატა — ხალხის უბედურებამ სათავე იპოვა.

ხირჩლამ უნდა გამოამჟღავნოს თავისი ბუნება. სხვაგვარად ვერც იარსებებს. კითხულის სიცოცხლის უსაფრთხოება ერთობ პატარა მისიაა. ეს კითხულმა მოიპოვა სიმშვიდე, თავისი მდგომარეობის შესატყვისი კაცი რომ მოიყვანა კოშკში, თორემ ხირჩლას მოსვენება სად თქმულა! ხირჩლას მოუსვენრობაა სწორედ საშიში — მას კითხულსა და ხალხს შორის შუამავლობა კითხულის სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის როდი უნდა მხოლოდ. კითხული ჭერია და მის ჩამონგრევას დრომდე არავის დაანებებს. საკუთარი ვნებების, გულღრძო და ბინძური ვნებების სათარეშოდ უნდა ყველაფერი ხირჩლას, თანაც, ყველაფერი კითხულის ნებით უნდა მოიმოქმედოს. ხალხი ცხვარი როდია, საითაც გსურს, იქით გარეკო. მით უმეტეს, რომ აქამდე ხალხი ადამიანურ ყოფას იყო შეჩვეული. ამიტომ ხირჩლას თახსირი ბუნება ათას ნილაბს ირგებს, რათა ათასხავე სიტუაციაში გამართლებული გამოჩნდეს მისი მოქმედება; აკეთოს, რაც სურს და ხმის გაღებას ვერავინ ბედავდეს. აი, კითხულის მიერ არჩეული შუამავლის მოთხოვნილება. დესპოტის ცხოვრების წესი ამგვარ ერთგულებას და ამგვარ დახაყრდენს ეძიებს. ხირჩლას მიერ გადადგმული საშინელი ნაბიჯები კი უფრო დააშორებს ხალხსა და კითხულს. იგი ხომ კითხულის ნაბიჯებად ცხადდება. ხირჩლამ გონების სინათლეს შეუტია, რადგან ხალხი მოვლენებში გაურკვეველი უნდა დარჩენილიყო.

თუ ტრადიციულ გზას გავყვებით და ნაწარმოების კულმინაციური წერტილის ძებნას მოვიწადინებთ, თამაზ ბიბილურის რომანში მართლაც ვიპოვით ასეთ ადგილს. ეს გახლავთ ქაბუკი მცველის გაქრობის ამბავი. ეს ფურცლები მხატვრული სისრულის თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას.

ხირჩლამ მოქმედება დაიწყო. გონების სინათლის დასათრგუნავად მან ყველაზე ეფექტურ და ნაცად იარაღს, შიშს მიმართა. გონების სინათლეს სხვა ვერაფერი გადაუკეტავდა გზას. ადამიანებს ფიქრი ვერ უნდა გაებედათ. ეს იყო ხირჩლას მიზანი. ასეთი შიშის დათესვა კი მარტოოდენ კუშტი სახით არ შეიძლებოდა ან პირქუში გალავნითა და კიდევ უფრო ჩაღრმავებული კოშკის სიმაღლით. ფიქრს ძირფესვიანი ამოგდების, გაპარტახების, განადგურების ცხოველური ძრწოლა თუ ჩაკლავდა!

ხირჩლამ ვერაგული მეთოდი აირჩია. ადამიანები უკვალოდ უნდა გამქრალიყვნენ. უკვალოდ გამქრალის მოკითხვა კი ვერავის გაებედა. ხირჩლამ წარმოსადეგი ჭაბუკი აირჩია კითხულის მცველად. ჩვეულებისამებრ, იგი გალავნის კართან დააყენეს. „ერთი თვის მერე ჭაბუკი გაქრა", მაგრამ დედას იგი დაწინაურებული ჰგონია, სასახლეში შეიყვანესო, ფიქრობს. შემდეგ ეჭვი და შიში გაჩნდა, რაკი მისი შვილი არსად არ გამოჩნდა. გადაწყვიტა გალავნის კარის ახალი მცველისათვის ეკითხა ბიჭის ამბავი.

„— გამარჯობა, შვილო, — უთხრა ქალმა.

მცველმა არც შემოხედა და არც პასუხი გასცა.

ქალი გაოცდა. გამარჯობაზე პასუხშიუგებელი კაცი პირველად ნახა და ამან გააოცა. იფიქრა, არც ყურთ ესმის, ვერც ხმას იღებსო და ხელით ანიშნა, გამარჯობაო.

კარის მცველს თვალიც არ დაუხამხამებია".

ხირჩლასაგან მოწყობილი ქვეყანა უსალმოა, ყრუ. მისგან პასუხის მიღებას ტყუილად იმედოვნებს ვინმე. სრული განუკითხაობა, სრული სიბნელე. კაცის ასავალ-დასავალზე ცნობის მიღება ოცნებაა. თითქოს წყვდიადს მიადგა ადამის ძე და მის ჩალურჯებულ შავეთში მზერის მოტარება მოინდომა. ყველაფერი ამაო გამოდგა.

მაგრამ მცველის დუმილი არაფერია. ბაგეზე კლიტედადებული სოფელია უფრო საინტერესო. ენაჩავარდნილ ლანდებად ქცეულა ხალხი. დაჩურჩულება ცის დაქუხებად განიცდება. ადამიანებს შორის თითქოს უხილავი არხები გაიჭრა.

რისი წყალობითაც დაჩურჩულება კი არა, გულში ღრმად გავლებული ფიქრიც შურდულივით მიექანება ხირჩლასაკენ და ყოველივეს უმალ ატყობინებს. ხიმებივით ედრიალებენ ეს არხები, ჩქამსაც კი ულაპავენ და ცნობად აწვდიან ზემოთ — კოშკში. ამ უხილავი არხების ეშინიათ ადამიანებს, პირუტყვივით თავჩაქინდრულნი საქმეს არ შორდებიან და მნიშვნელოვანზე ფიქრს და, მით უმეტეს, საუბარს თოფნაკრავივით გაურბიან.

„მეზობლებმა ვერაფერი უთხრეს... ერთმა, ხმაც არ ამოუღია ისე მოუხურა სახლის კარი და ქალი სახტად დაარჩინა. მეორემ, გზად გამოსულმა, მარტო ის უთხრა, სხვას ვინმეს ჰკითხე, მე საიდან უნდა ვიცოდე, ახლა გზად გავრბივარ და მეჩქარებაო, მესამემ ტუჩზე ხელი მიიფარა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ქალი შინ შეიყვანა და კარი მაგრად ჩაკეტა... მერე ჩურჩულით, ისე თითქოს კართან ვინმე იდგა და ყურმოდებული უსმენდა, ქალს უთხრა, გაჩუმდი და არავის არაფერი ჰკითხოო“.

უმხგავსოებამ ზენიტს უწია. შვილდაკარგულ დედასაც კი მოსთხოვა, თუ სიცოცხლე გსურს შეინარჩუნო, შვილის კვალს ნუ დაეძებო. ეს გაპირუტყვების საზღვარია. თუ დედამ ხმა გაკმინდა, თუ შიშმა დედის თავგანწირულების გენიც ჩაკლა, ადამიანობის არსიც მოკვდება. ხირჩლას მიერ გამოწრთობილი შიშის წნევა ამასაც ითხოვს უკვე. აქამდე გათავხედდა! მაგრამ, საბედნიეროდ, ეს სწრაფვა შეუძლებელის კატეგორიას ეკუთვნის და ნერვებისაგან დაჭიმული მთელი სხეულით ერთ მშვენიერ დღეს დედამ ზედ საფიხვნოზე იყვირა:

„— მიშველეთ!

ქალის ყვირილზე ხალხი აჩოჩქოლდა, ზოგი საით გაიქცა, ზოგი — საით.

ქალი მარტოკა იდგა და ყვიროდა:

— მიშველეთ!

ძახილზე კითხულის გალავნის კარი გაიღო, ორი თოფიანი გამოვიდა, ქალს ხელი სტაცა და გალავანში შეიყვანა.

გალავნის კარი მძიმედ მოიხურა.

ძახილი მიწყდა“

ყველაფერი საგულისხმოა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალი გალავნის გარეთ გამოაგდეს. ძნელი წარმოსადგენია ის წამება, რაც ქალს მიაყენეს, რაკი ქმარსაც კი, ვინც ეზოში დახვდა და ვისაც ახე აინტერესებდა დაკარგული ცოლშვილის ბედი, მხოლოდ ეს სიტყვა მიუგდო — „ნუ მეკითხები“...

„მიშველეთ!“ — რამდენიმე დღის წინათ მთელი ხალხის გასაგონად იყვირა ეს ერთადერთი სიტყვა ნერვებდაწეწილმა დედამ. ეს არ იყო მარტოოდენ პროტესტი, არც უმწეობის გამოხატულება. ამაზრზენი დუმილი სალტესავით ერტყმოდა ამ ხნის მანძილზე და ულმობლად ამტვრევდა, კუმშავდა, მუჭში სრესდა. ადამიანების გამბედაობა, „ნუ მეკითხები“ [illegible] მომწყვდეული, თავის დაღწევას [illegible] შიში ყველა გზას უკეტავდა. საშველის ძიების დაუმცხრალი წყურვილი — აი, ერთადერთი, რაც ადამიანში ცოცხლობდა და გამოსავალს ესწრაფვოდა. ვერავითარი ფორმა ვერ იპოვა, ვერცერთი გზით თავის გამჟღავნება ვერ გაბედა. არადა, საშინელ მდგომარეობაში უსასრულოდ დარჩენა უკვე ყოველგვარ ნებისყოფას აღემატებოდა. თითქოს ყოველი ადამიანის არსებიდან დაიძრა პროტესტის თითო-ოროლა წვეთი და შვილდაკარგული დედის ერთადერთ სიტყვაში ჩაიწურა. მთელმა ქვეყანამ განივთებული შიშით და ძრწოლვით ერთადერთ სიტყვას ამოაყოლა მთელი სათქმელი:

„— მიშველეთ!“

ადამიანის არსი გადარჩენას ითხოვდა. არ შეიძლება სხვაგვარად აიხსნას, არ შეიძლება ერთი კონკრეტული დედის კივილად მივიღოთ ეს სიტყვა.

დროებით დედის თავგანწირვაც ჩაახშვეს კოშკში. ეს საშინელი გამოცდა იყო. დედის შიში საბოლოო რომ გამომდგარიყო, იგი საკმარისი იქნებოდა ყველაფრის დასათრგუნავად: მაგრამ სულიერი მდგომარეობა შეიცვალა. ფესვებიდან ადამიანური სიმტკიცის და სიამაყის წვენი დაიძრა. ერთ მშვენიერ დღეს ბიჭის მშობლები — ქალი და კაცი საფიხვნოს წინ გამოვიდნენ და ყვირილი დაიწყეს:

„— გვიშველეთ!“

სოფელი დაიბნა. კარგა ხნის წინ მივიწყებული ძახილი, სოფლის თვალში უკვე მოშუშებული და ხსოვნიდან გადავარდნილი ჭრილობისა, მოულოდნელიც ჩანდა, უადგილოც და ცოტა სასაცილოც. რამ დაუბნელათ გონება, — ფიქრობდა სოფელი, — ვერაფერს მიხვდნენ, რა აყვირებთ ამ შუაღამისას, ამ შუა მოედანზეო?

ქალი და კაცი კი ისევ იდგნენ და ყვიროდნენ:

— გვიშველეთ!

სოფელი ახლო მისვლას ვერა ბედავდა და იცდიდა, რა მოხდებაო.

თითქოს ამ ძახილს მიაპყრეს ყურიო, კითხულის გალავნის ჭიშკარი გაიღო და ცხენოსნები გამოჩნდნენ.

ქალსა და კაცს ცხენოსნები არც დაუნახავთ, ბრმებივით იდგნენ და მარტო ერთ სიტყვას იძახდნენ:

„— გვიშველეთ!“

ეს პროტესტია უკვე! ბრძოლის ერთადერთი იარაღი, ერთადერთ სიტყვაში მოქცეული და თანაც ზუსტი. პროტესტია, რამდენადაც ის მშობლები კი არ გაჰკივიან, ვისაც კიდევ შერჩენია იმედი, თავს შევაცოდებთ და შვილს დაგვიბრუნებენო, არამედ ის მშობლები, ვინც დარწმუნებულია: გალავნის იქით საშინელება ტრი-

ალებს და შვილს არასდროს არ დააბრუნებენ. ეს თვალნათლივ დასტურდება იმით, რომ ხირჩლას ბრძანების შემდეგ, ვინც მათ ყვირილს შეეხწრო და ბრძანა შვილი მოუძებნეთო, ქალი და კაცი მაინც აგრძელებენ ყვირილს.

„— გვიშველეთ!“

იმ ღამის მერე ქალი და კაცი გაქრა, მათი სახლი კი ნანგრევებად აქციეს. ხირჩლა ყველაფრის კვალს შლის. ისე აწყობს საქმეს, თითქოს საერთოდ არ არსებულა არც ჰაბუკი, არც მისი მშობლები, არც მათი სახლი. არარად ქცევის შიშმა უნდა მოიკიდოს ფეხი ადამიანთა გონებაში. ამ საშინელებას გამართლება უნდა. ხირჩლამ მიაგნო ასეთ საბაბს. მან ღალატი დასწამა ჰაბუკს, თითქოს ჰაბუკს კითხულის მოკვლა უნდოდა და ხირჩლამ გადაარჩინა კითხული, უპოვა რა ტალავერს ქვეშ დამალული მახვილი ჰაბუკს. ორი საქმე გაკეთდა ერთდროულად: კითხული „სიკვდილს“ გადაარჩინა და ღალატის არსებობაც დაამტკიცა. მთავარი მაინც საშინელი გეგმების გამამართლებელი მიზეზის აღმოჩენა იყო: სოფელში ღალატი დადის და მოქმედებაა საჭირო.

რაც მთავარია, ხირჩლამ კითხულის ფსიქოლოგია უნდა დატვირთოს ღალატის არსებობით. ის ეჭვით უნდა გაიტანჯოს. მან უნდა ირწმუნოს, რომ ღალატობენ. ეჭვის დიდი დოზა კითხულის სულში უკვე ჩაღვრილი იყო და იგი თანდათან სწამლავდა მთელ არსებას. ერთ მშვენიერ დღეს კითხულმა მართლაც ირწმუნა, მთელი სოფელი მღალატობსო. მოღალატე იყო დიდი და პატარა, ხოლო ხირჩლას დაჟინებულ კითხვაზე, რა ვქნათ? გაისმის ნანატრელი პასუხი:

„—რაც გინდათ, ისა ქენით!..“

ამას ელოდა მთელი სიცოცხლე ხირჩლა. დასაბამიდან ამისთვის მოდიოდა, ეს ნებართვა ეგდო ხელთ. ერთი და ორი კაცის გაქრობა რა არის, მთელი სოფლის ამოგდებისა და გაპარტახების ნებართვა მიიღო წონასწორობადაკარგული კითხულისაგან.

ხირჩლამ მთელ ქვეყანას მოჰფინა საშინელი აზრი — სოფელში მოღალატე გვყოლიაო. თითქოს ესღა აკლდა სოფელს. შიშისაგან გაფართოებულ თვალებს ყველგან ღალატი ელანდება. „ნაკუწებად დაშლილი სოფელი იმ წუთში ქვრივ-ობრის დაკონკილ წინსაფარს ჰგავდა, მთელი იყო და არც იყო მთელი და ერთი ქარის შემოტევაც კმაროდა, რომ ნაფლეთებად ქცეულიყო და მიმოფანტულიყო“, — ხატოვნად და ზუსტად არის თქმული.

მანამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ხირჩლამ. კითხულის სათნო ცოლმა დაინახა ხირჩლას ბოროტი ბუნება და შეეცადა თვალი აეხილა კითხულისათვის, იგრძნო რა, რომ ხირჩლა მის ქმარს დაღუპავდა. მაგრამ მიამიტი ქალისთვის ძნელად შესაცნობი აღმოჩნდა, რომ კითხულისა და ხირჩლას ერთმანეთისაგან გა[illegible] ჩა შეუძლებელი იყო, რომ ისინი ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენდნენ. კითხულისაგან შერისხული ქალი კოშკს გაეცალა და მღვდელთან აღსარების შემდგომ დაიღუპა თოვლიან ღამეს.

კითხული სრულიად მარტო დარჩა.

ხარჩლასაგან მომართული სოფელი კი თავისთავად აკეთებდა იმ მოძრაობას, რაც ბოროტებას დაეგეგმა: ერთმანეთს მოღალატეობას სწამებდნენ, ერთმანეთს ქოლავდნენ და ხირჩლას გმირად აცხადებდნენ, რადგან ხირჩლის პროფესიონალი ხელი არსად არ ჩანდა, იგი მოვლენების სიღრმეში იმალებოდა. იმ სიღრმემდე ხალხის აზრი ვერ აღწევდა. სოფელი თავის საშინელ მდგომარეობას ვიღაცას და რაღაცას აბრალებდა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა მათ შიშისაგან დაბნეულ გონებას, რომ ხირჩლა ბოროტების სამყაროს შავი მზე იყო და საშინელი სიბნელე მისგან მოედინებოდა.

სოფელი ინგრეოდა, ხალხი პირუტყვდებოდა, გადაგვარება თავის ზენიტს ესწრაფვოდა.

მაგრამ ბუნებას აქვს კანონზომიერება, რომელიც ზოგჯერ იქნებ გვიან, მაგრამ მაინც ამოქმედდება და თავის გადამჭრელ სიტყვას ამბობს.

კითხული ხალხისაგან განდგომამ მარტოსულად აქცია. მისი პატივმოყვარეობა მაღლა და მაღლა მიემართებოდა. მაგრამ სანამ მაღლა-მაღლა მიემართებოდა, მანამ იყო მშვიდი და ძალმოსილი კითხული. როდესაც სოფელს მთლიანად მოწყდა, როდესაც ბოლომდე ამაღლდა, აღმასვლის ჟრუანტელის მომგვრელი სიამოვნებაც გაქრა, ყველაფერი ერთ დონეზე გაიყინა. და კითხულიც გამოერკვა. ახლა იგი, სურდა თუ არ სურდა, თავის მონაპოვარზე უნდა დაფიქრებულიყო. რას მიაღწია, რა იყო, რა ერქვა ამგვარ ცხოვრებას? დაფიქრებამ კი სინამდვილე დაანახვა: ირგვლივ ყველა და ყველაფერი უცხოდ გარდაქმნილიყო. უცხო იყო ცოლი, მცველები, ქვეყანა, ხალხი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები. უცხოობის განცდა სიცარიელის საშინელ თიმთიმს უტოლდება თავისთავად და კითხული ამ სინამდვილის დანახვამ შეაძრწუნა. ყველაზე დიდი საშინელება ის აღმოჩნდა, რომ ხირჩლაშიც უცხო დაინახა კითხულმა, უფრო მეტიც — ხირჩლა ჩამდგარიყო მასსა და ქვეყანას შორის და დასაყრდენი ყრუ კედლად გადაქცეოდა. „რომელი ხარ მანდ!“ — იძახის თავისი სასახლის ბნელ ტალანებში შეძრწუნებული კითხული და ხმას არავინ სცემს. კითხულს ყველა გაურბის. რაკი ცოლი გაექცა, მას არავინ გაეკარება სიახლოვეს. უმორჩილესი, უსაყვარლესი ცოლიც კი უცხო მოეჩვენა და მიახალა კიდეც პირში — „შენც უცხო ხარ დედაკაცო, გამეცალეო“.

საშინელებამ კი, რაც გიორგი ბალიაურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხირჩლას გზას მოჰყვა, უკანასკნელ წერტილამდე იარა, ხალხის სულმაც ბოლომდე ითმინა და ერთ დღეს პირუტყვად ქცევის საფრთხე გარდუვალობად რომ აღიმართა, ადამიანური ძალმოსილების ჩაუქვრელმა გენმა გაიბრძოლა. იგი, ფენებს შორის მოყოლილი, ამაოდ აწყდებოდა შიშის ყრუ კედლებს. ხალხი შიშის გამო ყველაფერზე ხელს იღებდა, ყველა ღირებულებაზე უარს ამბობდა — გადარჩენილიყო ოღონდაც. მაგრამ როდესაც შიშმა პირუტყვად გადაქცევა მოითხოვა, ადამიანობის არსმა გაიბრძოლა. მეტის მოთმენა წარმოუდგენელი იყო. ხალხი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ყველა ამ ხაშინელების მიზეზი კოშკში გამომწყვდეული კითხული იყო და ყველაფერზე სწორედ მას უნდა გაეცა პასუხი.

მთელი სოფელი კითხულის კოშკს მიაწყდა.

„თუ კარი გაიღებოდა, აბლავლებული სოფელი კოშკში შევარდებოდა და მარტო იმ ჭაბუკისათვის კი არა, ამბის გასაგებად რომ გაგზავნეს და აღარ დაბრუნდა, განუკითხავად ყველაფრისათვის, წლობით დაგროვილი ბოღმისთვის მოითხოვდა პასუხს, ბოღმა არც იყო საჭირო, კარჩამოვარდნილ კოშკში შევარდნილ სოფელს მიზეზი აღარ ჭირდება. ბრმა ძალა ყველაფერს თავისით აკეთებს და თავის გზაზე ყველაფერს ამსხვრევს, რაც კი წინ გადაუდგება“.

მაგრამ კარი გაიღო და სოფლის წინაშე კითხული წარსდგა. გახევებული სოფელი ხედავდა დაუძლურებულ, დაჩაჩანაკებულ, ძალაგამოცლილ მოხუცს, რომელსაც ძლიერი კითხულისა არაფერი ეცხო. მხოლოდ წამით აღსდგა მასში ხალხის დამთრგუნავი ნება და გაკერპებული სახით მხოლოდ წამით დაახევინა სოფელს უკან. ეს გახლდათ ძალების უკანასკნელი მობილიზება. სოფელმა ამჯერად ვერაფერი შებედა კითხულს. ტრადიციულმა შიშმა თავისი გაიტანა.

მაგრამ მთავარი დაწყებული იყო. ხალხის ამოუწურავი ენერგია ფერფლიდან წამოიმართა და მოვლენებში გარკვევას შეეცადა. გარკვევაც შეიძლო. დაინახა ხირჩლა, დაინახა ამ კაცის ყველა ნილაბი — ოღონდ ერთბაშად გამორკვევა შეუძლებელი ჩანდა. ნისლი ნელა, მდორედ სცილდებოდა მზერას, უფრო სწორად, ნისლის ფენები სცილდებოდა და სანამ უკანასკნელი ფენაც არ გადაშორდებოდა, ძნელი იყო სრული სიცხადის მიღწევა.

ხირჩლა კი თავისი ზეობის უმაღლეს წერტილს ესწრაფვის. იგი შეცდომას უშვებს. აქამდე შეუმცდარად აკეთებდა თავის ბნელ საქმეს. ახლა მოპოვებულმა ძალამ და მდგომარეობამ ცხადი განსჯის უნარი დაუბნელა და დაავიწყა, რომ გიორგი ბალიაურის აჩრდილი იყო. როგორც კი გიორგი ბალიაურის გზიდან ჩამოშორებას შეეცდებოდა, თვითონაც გაქრებოდა, ჭერის ჩამონგრევას მისი დამარხვაც მოჰყვებოდა, კედლის წაქცევას მისი გასრესა. დაავიწყდა, რომ მედლის მეორე მხარე იყო.

აჩრდილად ყოფნა არ იკმარა, პირველობა მოიწადინა.

„ნილაბჩამოხსნილი ხირჩლა კითხულის წინ თითქოს გალაჯული იდგა. კითხულის ხმალი ჯერ ისევ ქარქაშში იყო ჩაგებული და ხირჩლა არხეინად ელოდა. კითხული უკვე მოხუცი იყო, წელში მოხრილი და ძალაგამოლეული, ხირჩლა-სისხლჭარბი, ჯანით და სურვილით სავსე, კითხულის თავზე ხვავით გადმომდგარი. ხირჩლას ვარაუდით, ის დრო იყო, რომ ჯანით და სურვილით სავსე კაცს სოფელი ხელში ჩაეგდო და ისე ემართა, როგორც თავისი ჭკუა და გონება კარნახობდა. მოხუცი კითხული უკვე ზედმეტი გახდა და სწორედ ზედმეტი კაცის ჩამოშორების დღე დამდგარიყო“.

სინამდვილეში კი დამდგარიყო ორივეს დასასრული. ურთმანეთოდ არც მათი ამ ქვეყნიდან წასვლა შეიძლებოდა. ერთმანეთის ჩამოშორება რომ მოინდომეს, სწორედ ეს მოასწავებდა მათი დასასრულის მოახლოებას. ერთ არსად შერწყმული ორი სული თავისთავადობას ესწრაფვოდა. ერთი მეორეს ეხსნებოდა. გადარჩენის გზად ესახებოდათ ეს გათიშვა. გათიშვა კი დასასრულს აახლოებდა. რადგან: ორივე მხარემ დაივიწყა, ერთი არსიდან რომ იყვნენ ამოზრდილნი. ქვეყნის საშველიც აქედან იძვროდა. ორი მხარე ერთი მედლისა, ერთმანეთს დამტერებულნი, თვითვე აქრობდნენ ერთმანეთს.

ძალმოცემული სოფელი დასასრულს მოითხოვდა. უკვე ხელებს არავინ იფარებდა პირზე, არაფერი შემეკითხონო. კითხული კეთროვნად ალიქმებოდა მათ თვალში. ღირსებები თავის პირვანდელ ადგილს უბრუნდებოდნენ. ხალხმა კითხულის გაცლა მოითხოვა. უფრო სწორად ხირჩლას გადმოგდებული ლოზუნგი აიტაცა, რამდენადაც ეს ლოზუნგი სავსებით ეთანხმებოდა მის განწყობილებას. ხირჩლამ მშვენივრად იცოდა ეს. შემდეგ ჩაქოლვაც მოითხოვა განრისხებულმა სოფელმა და მხოლოდ მთხრობელის — ზოსიმე მღვდელის თხოვნამ იხსნა კითხული.

კითხული ხომ ისედაც თანახმა იყო გაცლაზე.

და მოხდა ის, რასაც კანონზომიერების ლოგიკა ითხოვდა. კითხული ჯერ კიდევ არ გასცილებოდა სოფელს ხეირიანად, რომ თოფი გავარდა და სოფლის თავზე გადმომდგარი ხირჩლა განგმირა. კითხულს კვალში უნდა მიჰყოლოდა მისი ნაყოფიც. თუ სოფელი იქამდე ამაღლდებოდა, რომ სულში ჩაწოლილი სიბნელის მიუხედავად კითხულის მოშორებას გაბედავდა, კითხულის ნაყოფიც უნდა გაექრო აუხსნელ ძალას. თოფი ახალგაზრდა გიორგი ბალიაურმა, თეთრ ცხენზე ამხედრებულმა ჯანსაღმა შთამომავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ ესროლა ხირჩლას. ამაოდ ეძებს ზოსიმე მღვდელი ნახშირსა და ნაცარში ხირჩლას გვამს. იქ მხოლოდ ნაბდის ძველა ეგდო. ხირჩლა თითქოს უხორცოხავით გაქრა. კაცი, რომელიც თავის ნებაზე დაატარებდა მთელ ქვეყანას, აცამტვერებდა და აბნელებდა ირგვლივ ყველაფერს, ბოროტი სულის გზას გაუყვა, მისი გვამითაც კი არ დამძიმებულა დედამიწა.

სოფელს თანდათან დაუბრუნდა „უბრალო ბედნიერება". ამ ბედნიერების ხატი რომანში დასასრულს არის მოცემული. იგი იხილა გიორგი ბალიაურმა სიკვდილის წინ და სამუდამოდ ინანა თავისი გზა — გზა დესპოტის, რომელიც ვერასდროს ვერ ითმენს ადამიანთა მარტივი ბუნებრივი ცხოვრების მთელ მშვენიერებას. შეიგრძნობს მხოლოდ მარტოსულობას, პატივმოყვარეობით გამოჭმულ გულის აუტანელ ტკივილებს და სიცარიელის სიცივეს, რაც მისგანვე ეფინება ირგვლივეთს. ხალხის კეთილშობილი სული კი ამ მძიმე, მღვრიე წყვდიადის გადავლის შემდეგ კვლავ გამოდის თავისი მარადიული სინათლის გზაზე და მზეზე აშრობს დაობებულ განწყობილებას, რათა ხზივებით ავხილმა სალამზე გულლიად, ლაღად უპასუხოს:

„— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კეთილო კაცო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შავგულიძე

# მ. ჯავახიშვილის მოთხრობების კლასიფიკაციისათვის

მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის ჩამოყალიბება რთული სოციალური და პოლიტიკური ტენდენციებით გამსჭვალულ ეპოქაში მოხდა. რუსეთის სამმა რევოლუციამ, პირველი მსოფლიო ომის ბატალიებმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველმა წლებმა და ამ რთულ, ბობოქარ პერიოდში სულიერ ფასეულობათა სწრაფმა ცვალებადობამ თავისებური კვალი დააჩნიეს მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ხოლო ამან კი განაპირობა მ. ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, პრობლემატიკის ნაირგვარობა.

მწერლის მოთხრობები მეტ-ნაკლები სისრულით, თემატურ-პრობლემატური ნიშნების მიხედვით, დაჯგუფებულია ტ. კვანჭილაშვილის მიერ 1966 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება". მკვლევარი, მწერლის შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ მოთხრობებს ექვს ძირითად ჯგუფად ჰყოფს: 1. პატრიოტული მოთხრობები („მაწის ჟივილი", „ფინჯანი"); 2. მორალისტური მოთხრობები („ცხრა ქალწული", „ცოფიანი", „ორი შვილი", „უბაჩამ დაიგვიანა"); 3. ძველის ნამსხვრევები ანუ ზოგიერთი ყოფილის ბედი („ხუთის ამბავი", „ქურდი"); 4. ჰუმანისტური მოთხრობები („მართალი აბდულაჰ", „ლამბალო და ყაშა", „პაპა დიმო"); 5. ყოფითი მოთხრობები („პატარა დედაკაცი", „მესამე", „შურის მაძიებელი", „ორი განაჩენი", „მუსუსი", „ოქროს კბილი" და 6. ფსიქოლოგიური მოთხრობა („თეთრი კურდღელი").[1]

მართალია, ზემოთმოყვანილ კლასიფიკაციაში, თითქოს განსაზღვრულია მ. ჯავახიშვილის მიერ შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ მოთხრობათა ძირითადი დამახასიათებელი მხარეები, მაგრამ მხოლოდ გარეგნული ნიშნების მიხედვით დაჯგუფება ისე, რომ ამ მოთხრობების ანალიზისას არ იქნეს გათვალისწინებული ოცი და ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები, ვფიქრობთ, რომ მთლიანად ზუსტად ვერ წარმოგვიდგენენ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, საშუალება არ გვექნება მთელი სისრულით გავითვალისწინოთ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ამ პერიოდის ზოგიერთი თავისებურება.

„იგი (მ. ჯავახიშვილი — ნ. შ.) ხშირად ჰკიდებდა ხელს ფსიქოპათოლოგიური ხასიათის მოვლენებს, ვარდებოდა მისტიკაშიც, ხატავდა ავადმყოფური სულის ადამიანებს, მეტ ადგილს უთმობდა თვითანალიზსა და თვითგანხჯას (ხაზი ავტორისაა — ნ. შ.). ყველაზე წინააღმდეგობრივი მის შემოქმედებაში სწორედ ეს პერიოდია (ხაზი ჩვენია — ნ. შ.). მაგრამ ამავე პერიოდში ავტორი პარალელურად ხელს ჰკიდებს თანამედროვე თემატიკასაც. 1925 წელს იგი იწყებს არსენა მარაბდელზე მუშაობას" — წერს გ. ჯიბლაძე.[2]

ეს პერიოდი (ჩვენი საუკუნის ოცი და ოცდაათიანი წლები) არა მხოლოდ მ. ჯავახიშვილისათვის, არამედ თავად ქართული ლიტერატურისათვის იყო რთული და წინააღმდეგობრივი, რადგანაც ქართული ლიტერატურული აზროვნების საფუძვლიანი გადახალისება, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე გადასვლა, ერთბაშად და უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ეს

იყო უაღრესად რთული და მტკივნეული პროცესი, რადგანაც, როგორც უკვე შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ოციანი წლების ქართული მწერლობა სხვადასხვა ესთეტიკურ თუ მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე დაფუძნებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა კონგლომერატს წარმოადგენდა (თავად მ. ჯავახიშვილი ლიტერატურული დაჯგუფება — „არიფიონის" წევრი იყო) და წლები დასჭირდა იმას, რომ ამ დაჯგუფებებში გაერთიანებული წამყვანი, ლიტერატურული ძალები შემოქმედებითად გადაიარაღებულიყვნენ და სოციალისტური რეალიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ პოზიციებზე დამდგარიყვნენ. ასე, რომ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი გზის ეს მონაკვეთი, ისევე, როგორც მისი თაობის შემოქმედთა უმრავლესობის ძიებანი, ერთგვარი წინააღმდეგობითაა აღბეჭდილი, რადგანაც ჩვენი ასწლეულის დასაწყისიდან, ვიდრე ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, ქართულ მწერლობაში არსებული რეალისტური ტენდენციების გვერდით (რომლებიც თავის მხრივ გენეტიკურად უკავშირდებოდნენ გასული საუკუნის რეალისტურ ლიტერატურას) თანასწორუფლებიანობის საფუძველზე არსებობდა დასავლეთევროპული და რუსული ლიტერატურიდან იმპორტირებული მძლავრი სააზროვნო ნაკადი, რომელიც ნიცშეს, ბერგსონის, შპენგლერისა და სხვა დასავლეთევროპელი ფილოსოფოსების ნააზრევით საზრდოობდა.

ჩვენი მწერლების ერთმა ნაწილმა, რომელსაც უპირატესად ნოვაციათა სურნელი იტაცებდა და არა ფილოსოფიური სქოლასტიკის ლაბირინთებში ხეტიალი, ფართოდ გაუღო კარი ამ სიახლეს და ამ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კატეგორიებზე დაყრდნობით მათთვის, იმ პერიოდში საინტერესო ღირებულებრივი სისტემა შექმნა (კ. გამსახურდიას ოციანი წლების შემოქმედება, ლ. ქიაჩელის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა ადრინდელი თხზულებები ოცი-ოცდაათიანი წლების ქართული პოეზიის ძიებები და ა. შ.).

სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს ოციანი წლების ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა და მათ შორის მ. ჯავახიშვილის შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათი, რადგანაც სააზროვნო სივრცეების თვალსაზრისით, იმ დროის მწერლობა ნაირგვარი ფილოსოფიური თუ ესთეტიკური მინარევებისაგან შედგება, რომელთა გათავისებითაც მწერალი თავად შემოსაზღვრავს მისთვის მისაღები სამყაროს სამანებს.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ მოთხრობებში, ალბათ ზემოთნახსენები ფაქტორების გავლენით უნდა ავხსნათ ერთი საინტერესო აზრობრივი ნაკადის არსებობა, რომლის დამახასიათებელ ნიშნებსაც, თვით ავტორის მიერ, „ბედი-მდევარის" ტერმინით სახელდებული ფატალური ფენომენი განსაზღვრავს და რომლისადმიც („ბედი — მდევრისადმი" — ნ. შ.) რწმენა და უსიტყვო მორჩილება მ. ჯავახიშვილის მოთხრობების ერთი ნაწილის პერსონაჟებისათვის ცნობიერებისა და ყოფის აუცილებელ ფორმადაა ქცეული.

„ბედი — მდევარის" ფატალურ რწმენას მწერლის შემოქმედებაში არაერთი გმირი ატარებს. თითქოს ამითაა შეცვლილი ზოგჯერ მოვლენებისა თუ გმირის ცხოვრების ბედუკუღმართობის სოციალური მოტივირება და ახსნა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მწერლის რიგ მოთხრობებში ნაკლებად შეიმჩნევა მათი სოციალური მოტივირებით ახსნა და მხატვრული დასაბუთება. ამ მყარ, დამაჯერებელ საფუძველს კი ვერ შეცვლის ფატალური „ბედი-მდევარი", რომელსაც არაიშვიათად მიმართავს მწერალი"[3] — წერს გ. გვერდწითელი.

მკვლევარი, მხოლოდ „ბედი-მდევარის" ფატალური ფენომენის გამოყენებას მ. ჯავახიშვილის მთელი რიგი მოთხრობების პერსონაჟების ქმედებათა შინაგანი მოტივაციისათვის, განიხილავს როგორც არასაკმაო საფუძველს, რაც თავისთავად სწორი მოსაზრებაა, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. ამ მოთხრობათა მთავარი გმირების ხასიათების აგება და განვითარება ნაკარნახევია არა რომელიმე სოციალური ან მორალურ-ეთიკური კონცეფციის რეალისტურად, მხატვრულად დასაბუთების სურვილით, არამედ „ორი შვილის", „ხუთის ამბის", „ლამბალოსა და ყაშას" მთავარი გმირების ხასიათების აგება და მათი ქმედების მოტივირება ზემოთნახსენებ დასავლეთევროპულ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ტრადიციებს უნდა ეყრდნობოდეს. ამასთან ერთად, ერთი, არცთუ მნიშვნელობას მოკლებული მომენტიც იჩენს თავს. მწერლის მიერ, ბოლომდე შეცნობილი და ამდენად ამოწურული თემის ნაცვლად ფანტაზია მუდამ მიილტვის შეუცნობადისაკენ და ეს შეუცნობადი, არც თუ იშვიათად, გრძნობადი სამყაროს მიღმაა მოთავსებული. ირაციონალურისაკენ ინტელექტის სწრაფვა კი უფრო მეტ სააზროვნო სივრცეს უქმნის მაძიებელ გონებას და ამ ძიებების შედეგები ხშირად, საკმაოდ მოულოდნელი კუთხით გვიჩვენებენ მწერლის ინტერესების სფეროს, მის შესაძლებლობათა დიაპაზონს. ალბათ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული მ. ჯავახიშვილის ზემოთნახსენები მოთხრობებიც.

ამ მოთხრობათა მთავარი პერსონაჟებისათვის კი „ბედი-მდევარი", მიუხედავად იმისა, რომ იგი დამოუკიდებლად არსებული და ამასთან ერთად განურჩეველი და უპიროვნოა, მათთვის იგივე *უმაღლესი სამართლიანობაა*, რომლის გარდუვალობაც გრძნობადი სამყაროს

მიღმა გატანილი უზენაესი ძალების მიერაა განსაზღვრული და ჩვენი აზრით, „ბედი-მდევარის“ მიერ შემოსაზღვრული მოთხრობების სივრცეში მცხოვრები ადამიანების ქმედებათა შინაგანი მოტივაცია სწორედ ამ ირაციონალურ, ფატალურ ფენომენზე დაყრდნობით უნდა იქნეს ახსნილი და დროში და სივრცეში მათი გადაადგილების მექანიზმიც ამ ფენომენის „ენერგიით“ უნდა საზრდოობდეს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. ჯავახიშვილის მიერ 1927 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული მოთხრობა „ორი შვილი“, რომელიც ზემოთნახსენებ კლასიფიკაციაში „მორალისტური მოთხრობების“ რკალშია მოქცეული.

მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთია:

სოფლის მედუქნე ზაქროს, რომელსაც დუქანში მიღებული მოგება აღარ აკმაყოფილებს, ფულისათვის ბევრი მკვლელობა აქვს ჩადენილი. მისი ცოდვების თანამოზიარეა მისი მეუღლე ნატოც.

ზაქრომ, გლეხს, თევდორე დიდზვარელს, რომლისგანაც მან ცხენი იყიდა, ერთ უდაბურ ადგილას უყელა და სიცოცხლეს გამოასალმა. შემდეგ კი, არასასურველი მოწმის თავიდან მოსაშორებლად, მოსაკლავად დაედევნა თევდორეს შვილს. ბავშვი სოფლისაკენ გაიქცა და იქ ზაქროს გომურში დაიმალა. სიბნელეში და სიჩქარეში ისე მოხდა, რომ ზაქრომ თევდორეს შვილის ნაცვლად თავისი უმცროსი ვაჟი — ზურაბი მოკლა. ამავე დროს, ზაქროს მეუღლე კლავს ფულიან სირაჯად მიჩნეულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სინამდვილეში ომში დაკარგულად ჩათვლილი მათი უფროსი ვაჟიშვილი — ანტონი აღმოჩნდება. თევდორე დიდზვარელის ცოცხლად დარჩენილი ბავშვი — შიო გომურიდან გაიპარება და ცოლ-ქმარს სოფელს იმ დროს დააყენებს თავზე, როცა ისინი თავიანთი ბოროტების ნაყოფს, მოკლულთა გვამებს მარხავენ.

მოსული გლეხები გადააბრუნებენ მიცვალებულებს და ზაქროსა და ნატოს თავიანთი ხელით დახოცილ საკუთარ შვილებს — ანტონსა და ზურაბს დაანახებენ.

ასე იხსნება ის ტრაგიკული კვანძი, რომელიც „ბედი-მდევრის“ (ამ მოთხრობაში — ვარიაციით „ცოდოც“) ფატალური ფენომენის მიერაა წინასწარ განსაზღვრული. მან დაუყოვნებლივ იძია შური მოთხრობის მთავარ გმირ ზაქროზე, რომელმაც რამდენიმე ათეული თუმნისათვის ადამიანი სასიკვდილოდ გასწირა. ფულის გულისათვის გამეტებული მეცხვარის სიკვდილმა თავისებური ამძრავის როლი შეასრულა უბედურებათა იმ ჯაჭვის გაშლაში, რომელიც მკვლელობის შემდეგ დატრიალდა მედუქნე ზაქროს სახლში და რადიკალურად შეცვალა მისი ცხოვრება. ეს გარდატეხა, რომელიც მკვლელის ცხოვრებაში მოხდა, სავსებით კანონზომიერია, რადგანაც „ბევრი მსგავსი აგონდება ზაქროს: ქვრივ-ობოლთა წყევლა-კრულვა, — მუქარა და სიძულვილი, აღარ იცის, რომელი ერთი გაიხსენოს... ცოდვილია ზაქრო, ცოდვილი! მაგრამ ამასაც მოინანიებს, მოირეცხავს: შუამთაში წავა, ალავერდსაც ეწვევა, მცხეთასაც — ყველას თითო საკლავს მიუტანს, საწყლებს დაურიგებს და შენდობას მიიღებს“.

თვითგანწმენდის ეს სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ქვეცნობიერში მიმალული ცხოველური შიშის დათრგუნვის ცდაა, მაგრამ „დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა! — უცებ გაახსენდა მეცხვარის ბღავილი, როცა ერთხელ... ერთხელ, ერთი სიტყვით ის მეცხვარე შემოაკვდა“. ეს „ცოდო“, რომელიც მედუქნე ზაქროსათვის უკვე მუდმივ ტრაგიკულ სიდიდედ გადაიქცა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გრძელი ჯაჭვის უშუალო გამოვლენაა და რადგანაც ყოველი მოვლენა გარკვეული მიზეზით ჩნდება, ეს ცვალებადობა, რომელიც ზაქროსათვის შეუქცევად ღირებულებად იქცა, მისი სამყაროს სახის განმსაზღვრელი მუდმივი კანონების არსებობითაა განპირობებული. სწორედ ამ ლოგიკურმა მიზეზ-შედეგობრივმა კავშირმა, ფატალურმა გარდუვალობამ, განსაზღვრა ის, რომ ზაქრომ თავისი ხელით მოკლა საკუთარი შვილი. ფატალური გარდუვალობა კი მ. ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობების პერსონაჟებისათვის, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ყოვლისმომცველი და შეუვალი დეტერმინაციაა, რომლისგანაც გაქცევა შეუძლებელია. იგი ამ ადამიანების მიერ გაცნობიერებული სამყაროს საფუძვლებშია ჩამარხული.

რასაკვირველია, მედუქნე ზაქროს ქმედებათა წარმმართველი და ბიძგის მიმცემი, უპირველესად ის სოციალური გარემოა, რომელმაც მისი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბება განაპირობა: „ზაქარია მედუქნემ თევდორეს მეტი მისცა. თვლაში შეცდა, მეტი გადააყოლა. იმ თუმნიანებს გზაზე ხომ არ პოულობს: ამ ხნის კაცი რიჟრაჟიდან შუაღამემდე ფეხზე დგას. ყბედობს, გვის, ვაჭრობს, რეცხავს და ალაგებს. როცა ეტირება — იცინის, როცა ეცინება — ტირის, როგორც მუშტარს შეეხამება.

ზოგჯერ აბაზის მოსაგებად, მუშტარი რომ არ დააფრთხოს, ორ საათს მასხრობს ან ბიჭივით ტრიალებს.

აბაზს აბაზი ემატება, მანეთს მანეთი ედება, თუმანი თუმნისაკენ მიილტვის; სიცოცხლე კი მიდის, თითქმის წავიდა, დაიშრიტა, ოცდაათი წელიწადი გალია ამ დუქანში, ჯერ ბიჭად ჰყავდათ, მერე დახლიდარად, მერე მოზიარედ...

ზურაბს შველა უნდა, თუ მამამ საძირკველი არ შეუმზადა, თუ ათასი თუმანი მაინც არ შეუგროვა, მისი შვილი კაცებში ვერ გაერევა, ადრევე დაიჩაგრება და ჩამორჩება, ამიტომ...

ამიტომ თუ იმიტომ... ორმოცი თუმანი გზაზე არ მყრია, იმ ორმოც თუმანს დღეს რომ წაიღო თევდორემ, ზაქარიამ სამი თვე შეალია, ამიტომ...“

ფულის შოვნას დახარბებული მედუქნის ტრაგედია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში თავად მწერლის პოზიციაა საინტერესო, რომელსაც ამ დიდი ადამიანური ტრაგედიის გამომწვევ მიზეზად, მოხმობილი აქვს არა *სოციალური სამართლიანობის* ფენომენი (რომელიც მხოლოდ გრძნობადი სამყაროს ფარგლებში აღადგენს დარღვეულ წონასწორობას), არამედ ყოველი მოვლენის წინასწარ, ერთსახოვნად განმსაზღვრელი, ემპირიული სამყაროს ფარგლების მიღმა მდებარე ზებუნებრივი ძალა — *ფატუმი*, რომელიც მ. ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობებისათვის, როგორც ვთქვით, *უმაღლეს სამართლიანობად* გვევლინება.

მართალია, მ. ჯავახიშვილმა მოთხრობის „ორი შვილის“, იდეური სიმძიმის ფატალურ „ბედი-მღევარზე“ („ცოდო“) გადატანისას სოციალური სიმახვილე დაუკარგა მოთხრობის ტრაგიკული კვანძის გახსნას, მაგრამ ამასთანავე მკითხველის თვალწინ ამოზიდა ინდივიდის ფსიქიკაში ჩამარხული ზებუნებრივის წინაშე მისტიკური შიშის მხატვრულად დამაჯერებელი, ნიუანსებამდე გათვლილი განცდა, რომელმაც ტრაგიკული ჟღერადობა გარედან ბიძგის („დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“) მეოხებით შეიძინა და მედუქნე ზაქროს მთელი სიმძაფრით შეაგრძნობინა მისი მომავალი ბედ-იღბლის ტრაგიკული გარკვეულობა; გარკვეულობა, რომლის ფესვები ესქატოლოგიურ სიღრმეშია დასაძებნი და არა მატერიალისტურ მორალისტიკაში, რომლითაც სწორხაზოვნადაა განსაზღვრული მ. ჯავახიშვილის მოთხრობების ზემოთმოყვანილ კლასიფიკაციის ერთ ჯგუფში — „მორალისტურ მოთხრობებში“ მოთავსებული მოთხრობის „ორი შვილის“ იდეურ-თემატური მიზანდასახულობა.

ყოველი სრულფასოვანი ლიტერატურული ნაწარმოები, გარკვეული დოზით მორალისტურ, ჰუმანისტურ და ფსიქოლოგიურ ტენდენციებს შეიცავს და ეს ტენდენციები, როგორც წესი, ემპირიული მასალით მოდელირებულ სამყაროში არიან განფენილნი. ამ კომპონენტების გარკვეული დოზირებითა და აუცილებელი მხატვრული ელემენტის დამატებით იქმნება სამყარო, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს მწერლის კონცეფციას. ამიტომ მ. ჯავახიშვილის ზემოთდასახელებული მოთხრობების მხოლოდ ერთი, რომელიმე ერთმნიშვნელოვანი ნიშნით განსაზღვრა, ვფიქრობთ, მთლიანად ზუსტად ვერ გამოხატავს ამ მოთხრობათა ზუსტ კოორდინატებს რეალურ ღირებულებათა სკალაზე.

ადამიანური თანაცხოვრების ნორმების დარღვევა, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებელი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის მეშვეობით ისჯება და დანაშაული ჩამდენს მტკიცედ შეაგნებინებს იმას, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში მის წინააღმდეგ მოქმედებდა ის სოციალური იარაღი, რომლის ერთ-ერთი წარმმართველთაგანი თავად იყო მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებამდე, მაგრამ „ბედი-მღევარის“ ნიშნით გაერთიანებული მოთხრობების რკალში, როგორც უკვე ითქვა, არ მოქმედებს ზემოხსენებული სოციალური სამართლიანობის ფენომენი, რომელიც საზოგადოებრივი თანაცხოვრების ჰარმონიულობას მორალურ-ეთიკური ან სოციალური ინსტიტუტის მეშვეობით აღადგენდეს ისე, რომ დამნაშავე თუ ამ დანაშაულის მოწმე მოქმედების ლოგიკური განვითარებით სხვის ან თავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ზღვევის აუცილებლობამდე მიიყვანოს.

„ბედი-მღევრის“ ნიშნით გაერთიანებულ მოთხრობებში, უსამართლობის აღმოფხვრისა და დანაშაულისათვის სასჯელის მიგებას, ზემოთნახსენები სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი კი არ წარმართავს, არამედ, იმ სამყაროში, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევებს, რომელსაც საბოლოო ჯამში დამნაშავის დასჯა მოჰყვება, წარმართავს და აკონტროლებს გრძნობადი სამყაროს მიღმა მდებარე ზებუნებრივი ძალა, რომელიც, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, მ. ჯავახიშვილთან „ცოდოსა“ და „ბედი-მღევარის“ ვარიაციებითაა წარმოდგენილი და რომელიც დამნაშავეს მოქმედების საბედისწერო განვითარების წრეში აქცევს.

მ. ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობებში მოქმედი პერსონაჟებისათვის, მათ მიერ შეცნობილი სამყარო, ამ სამყაროში მიმდინარე პროცესები ისე გაიაზრებიან, როგორც ცნობიერის მიღმა მდებარე უპიროვნო ძალის გამომვლენი მედიუმები და ეს ძალა — „ბედი-მღევარი“ იმ დამოუკიდებელი აბსოლუტის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც „ადამიანის პირადი თავისუფლების წინასწარგანჭვრეტას, როგორც მსოფლიო ცხოვრების ფაქტორების სრულ გამოხატვას ემყარება. ამიტომ მთელი მსოფლიო პროცესი ემორჩილება ბრმა ძალის — ბედის თვითნებობას ან კიდევ მის შეუქცევად აუცილებლობას“.[4] ეს ძალა განაპირობებს ამ სამყაროს ფარგლების ზუსტ რეგლამენტირებას, ყოველი მოვლენისათვის, საგნისათვის განსაზღვრული ადგილის მიჩენას. ასეთი სამყაროს სტრუქტურა, მ. ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობების მთავარი პერსონაჟებისათვის, ამ ძალის, „ბედი-მღევარის“ წინასწარ ლოგიკურად გააზრებულ მიზანდასახულობათა უშუალო პროდუქტია. ასეთად აქვს წარმოდგენილი სამყარო მოთხრობა „ხუთის ამბის“ ერთ-ერთ

პერსონაჟს ალვა ჯავრიძეს: „ყმაწვილებო! ჩვენს ირგვლივ რაღაც უხილავი და საშინელი ძალა არსებობს. შენი შეგნება დღემუდამ ებრძვის მას. არ გინდა ჩავარდე უჩინარის პირში. იცი, რომ დაიღუპები, მაგრამ ამავე დროს ჰგრძნობ და ხედავ, რომ ჯადოსანი ძალა, თანდათანობით გიზიდავს დაღებული პირისაკენ. ჰკივი, მაგრამ მისცოცავ, კვნესი, მაგრამ მიეთრევი. მწარედ ებრძვი საკუთარ თავს, — ამაოდ! ისევ მიფოფხავ, მაინც მიდიხარ! ასე ვებრძოლე ოცდაათი წელიწადი ჩემს თავს და იმ დაღუპულ ძალას, მაგრამ უნაყოფოდ, რადგან თავით ფეხებამდე უკვე გველეშაპის კბილებში ვიყავი გაჩხირული“. ალვა ჯავრიძის ცხოვრებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით დატრიალებული ცვალებადობა (რევოლუცია, ძველი ოჯახის დანგრევა, მშობლების სიკვდილი, ერთადერთი შვილის — მზეხას დაკარგვა, გადასახლება თეთრი ზღვის სანაპიროზე, შეხვედრები როსტომ რეტიანთან, მირიან ბორინთელთან, მზეხას აღმოჩენა, დაბრუნება მშობლიურ დორინთაში, კონფლიქტი მის ყოფილ მეზობლებთან, ლექსოს ეპიზოდი და ბოლოს ამ ტანჯვა-წამების მაკომპენსირებელი „ჰეპი-ენდი“) სრულიადაც არ არის განპირობებული კონკრეტულ-სოციალური ვითარებით. პირიქით, იმ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ქარტეხილებს ალვა ჯავრიძე მხოლოდ და მხოლოდ არსთაგანმრიგეს მიერ წინასწარდაგეგმილ მოვლენათა რიგს აკუთვნებს. ასე რომ, „ბედი-მდევარის“ ფატალური საწყისი ამ შემთხვევაში ალვა ჯავრიძისათვის სწორედ კონკრეტულ-სოციალური ვითარებისაგან გამოუცხოებელ ფენომენად გვევლინება. იგი რევოლუციას ანაზდეულ მოვლენათა რიცხვს აკუთვნებს: „*შემდეგ საზწალული მოხდა! რევოლუცია მოვიდა, ყმაწვილებო!* ჩემი თავგადასავალი დაგარწმუნებთ, რომ ამ სახწაულმა ჩემზე მძლავრად იშვიათად თუ ჩასწიხლა ვინმე... მაშ ასე, მოვიდა რევოლუცია და ყოველივე უკუღმა დადგა. უნდა გენახა ჩემი ოჯახის აყირავებაც. მანამდე ჩემს დედ-მამას და ცოლს ქართულსა და ქართველს ვერ გააგონებდით, მაგრამ რუსეთის ცხოვრების შეცვლის მიხედვით მათი ფსიქიკაც დღითიდღე იცვლებოდა გოროზი თავები ნელ-ნელა მოდრიკეს და მედიდურობაც ჩამოირეცხეს.

თითქოს ყველანი ამას ველოდით, ავიშალენით და სამზადისს შევუდექით, *მაგრამ ბედი-მდევარი დაგვედევნა და იმ დღიდან აღარ ჩამოგვშორდა*“ (ხაზი აქაც და ზემოთ ჩვენია — ნ. შ.).

თუ მოთხრობაში „ორი შვილი“, „ბედი-მდევარი“ უმაღლესი სამართლიანობის გამოხატულებადაა მიჩნეული, რომელიც მტკიცედ იცავს პრინციპს „სისხლი სისხლის წილ“ — „ხუთის ამბავში“ ამ პრობლემის უკვე სხვაგვარ ელერადობასთან გვაქვს საქმე. „ბედი-მდევარი“ ალვა ჯავრიძისათვის მის წინაპართა მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ მორალურ-ეთიკურ ნორმათაა ძირითადი პრინციპების დარღვევის გამო საზიზი: „*დავაშავე წინაშე წინაპართა ჩემთა*“ — წაიბურტყუნა მამაჩემმა და ამ სიტყვებით ბევრი რამ გამაგებინა. *მეც დავაშავე. ჩვენი ძალ-ღონე სხვას შევწირეთ და ჩვენი ბებერი მშობელი: ღარიბლატაკი, მიტოვებული და უპატრონო მაშინდა გავიხსენეთ, როცა იქ, სხვის ქვეყანაში, უკლებლივ ყველაფერი დავკარგეთ, ლხინი სხვაგან და ჭირი დედასთან — ასე დაგვემართა ჩვენ გადაზვეწილებს, ჩვენი ბებრუცანაც დედინაცვალივით დაგვხვდა.* ყმაწვილებო ერთი რამ დამიჯერეთ: მშობელს ნურასოდეს ნუ აკადრებთ გაკიცხვას, გაქირდვას და გამტყუნებას, თორემ, ბოლოსდაბოლოს, მწარედ ინანებთ. *მას აქვს იდუმალი გონიერება და სამართალი. იგი ბრძენია, პირუთვნელი და ვინც მას გადაუდგება, თვითონვე დაიწყევლება და დაიღუპება.* ფრთხილად იყავით ყმაწვილებო, ფრთხილად“ (ხაზი აქ და ზემოთ ჩვენია — ნ. შ.).

როგორც აქ მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, „ბედი-მდევარი“ მ. ჯავახიშვილისათვის ის უნივერსალური და საჭიროებისდამიხედვით ცვალებადი ინსტრუმენტია, რომელსაც მწერალი თითოეულ ზემოთდასახელებულ მოთხრობაში განფენილი კონცეფციის უფრო მკაფიოდ გამოსახატავად იყენებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი — „ხუთის ამბავში“ მკითხველს აჩვენებს თუ რაოდენ დიდი დრამატიზმითაა აღბეჭდილი სამშობლოდაკარგული კაცის ცხოვრება (ეს პრობლემა მ. ჯავახიშვილმა უფრო სრულად, დიდი ოსტატობით ასახა მოთხრობაში „მიწის ყივილი“).

გარდა იმისა, რომ ალვა ჯავრიძისათვის საფუძველშივეა გაუგებარი ხალხის ფართო მასების ასეთი ამოძრავების, ცალკეული ადამიანების ხშირად ფანტასტიკურობამდე მისული თავგადასავლების სოციალური საფუძველი, იგი წინააღმდეგობრივია თავის შეხედულებებშიც როცა „ბედი-მდევარის“ ფატალური საწყისის უძლეველობასა და ყოვლის მომცველობას აღიარებს და ამასთან ერთად თავის სახელმძღვანელო პრინციპად აღებული აქვს დევიზი „განაგე თავი შენი“, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ მისი „შეგნებისა და ხასიათის საფუძვლებს“ განსაზღვრავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისევ და ისევ ფატალიზმის ფარგლებში არსებული თავისუფლება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

მართალია, ადამიანის ნებელობის თავისუფ-

ლების, მისი „აქტიურობის“ დაცვისას, ქრისტიანი ღვთისმეტყველები გამოდიოდნენ ბედისა და ფატუმის წინააღმდეგ და ამით ცდილობდნენ გამიჯნოდნენ კვიეტიზმს — ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ადამიანის პასიურ დამოკიდებულებას. უფრო ფართო ასპექტში, ფატალიზმს, როგორც ყოველი რელიგიის აუცილებელ ელემენტს, არ მივყავართ კვიეტიზმამდე, მაგრამ მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა თეზას «Крест христианина не есть бездумная покорность року или судьбе»[5]. თავისი შორს გამიზნული მოსაზრებები ჰქონდა დადებული საფუძვლად. უცილობელია ერთი რამ — ფატალიზმი, თავის ყოველ გამოვლენაში, ადამიანური ნებელობის ყოველგვარ აქტიობას გამორიცხავს. ასე რომ, მიუხედავად ასეთი „დამოუკიდებლობისა“, ალვა ჯავრიძე, მაინც ვერ შორდება ფატუმით შემოსაზღვრულ სივრცეს.

თუ მ. ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილ მოთხრობებში გამოვლენილია ფატალიზმის ე. წ. „ოჯახო-ყოფითი“ მოდიფიკაციან მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ უკვე ფენომენის ფილოსოფიურ-ისტორიულ მოდელთან გვაქვს საქმე. მ. ჯავახიშვილი წერს „ოდესღაც, ოთხი ათასი წლის წინათ, ამ ტბის ნაპირებზე „ბებერმა აქლემმა“ ზარატუშტრამ ბეხმარის სალმრთო ცეცხლები დაანთო. მერე მისი წმინდა სული „ზენდავესტა“ ბომბეის და ქირმანის მიდამოებში გადავიდა და ერთი მუჭა პარსების სულში გაძნა: აქ კი, ბებერი აქლემის სამშობლოში, ავესტას მორწმუნე სანთლით საძებნელი გახდა. *ოლონდაც რომ აქაც არა არის წინასწარმეტყველი ქვეყანასა შინა* (ხაზი ჩვენია — ნ. ზ.).

იყო დრო, ოდეს ურუმის მიდამოებს მიდიელების განთქმული რაზები, აშურბანიპალის ლომკაცები, პერსიდელები, პართიელები და გირკანელები სთელავდნენ.

აქემენიდები რომ მოდიოდნენ, მიდიელების ისარს კვლავ ძველი შემაძრწუნებელი სახელი ჰქონდა შემორჩენილი, ხოლო ავესტას ქუხილი კიდით-კიდემდე ისმოდა! მაგრამ რაც არიელთა რაშებს და მშვილდ-ისარს ვერ დააკლეს ასურელებმა, იგი პერსიდელებმა და გირკანელებმა ადვილად შეუსრულეს. ბარის განათლებამ და ფუფუნების ბანგმა ნებივრობის მეოხებით მოდუნებული მიდია შუაზე გახლიჩა სამხრეთით ეკბატანა დაარსდა, ხოლო ჩრდილოეთით ანტროპატენა და მისი დედაქალაქი ფრაასპი ანუ ვერა (ნეტა საიდან მოდის ჩვენი უბანი ვერა: მიდიიდან, ესპანეთიდან თუ ვერას ხევიდან).

*ბედი-მდევარი* უკვე *სთვლიდა მიდიელთა დღეებს* (ხაზი ჩვენია — ნ. ზ.). ასურმა სალმანსარმა სასიკვდილო მახვილი დასცა მას. მომაკვდავმა კიდევ ერთხელ წამოიწია; ბაბილონს ხელი მისცა და ორივემ ჯვარზე ასწიეს მძლეთა-მძლე ასურეთი. იმ დღიდან ვერც ერთი ველარ წამოდგა. მიდია ბრძოლაში გატეხილი ოქროს თასივით გადადიოდა ხელიდან ხელში: ალექსანდრე მაკედონელი, მისი მემკვიდრე პარმენონი და პითონი, სელევკიდები, სირიელნი, ანტიოხი და მიტრიდატი — ყველამ გასთელა და გასწიწკნა წაქცეული რაინდი და მის უზარმაზარ საფლავს თითო მუჭა მიწა მიაყარა. მერე ამ საფლავს ირანი და ოსმალეთი დაასხდნენ და მისი სამარის წარწერაც წაშალეს“. ისტორიული პროცესების ამგვარი ინტერპრეტაცია კი ისტორიის ფილოსოფიის შპენგლერისეული გაგებისაკენ იხრება, რომელიც ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ფატალიზმს უკავშირებდა და უარყოფდა ისტორიული პროგრესის ცნებას. იგი უარყოფდა მსოფლიო-ისტორიული პროცესების განვითარების ერთიანობას. ისტორია მასთან იშლება რიგ დამოუკიდებელ, ჩაკეტილ „კულტურებად“ განსაკუთრებულ ზეორგანიზმებად, რომლებსაც ინდივიდუალური ბედი, წარმოშობის, აყვავებისა და კვდომის პერიოდებში ჰქონდათ. ისტორიის ფილოსოფიის ამოცანა შპენგლერს დაჰყავდა ყოველი „კულტურის“ „მორფოლოგიურ სტრუქტურაში“ შეღწევაზე, რომლის საფუძვლადაც „კულტურის სული“ გვევლინებოდა. ამგვარი კონცეფციითაა აღბეჭდილი მ. ჯავახიშვილის საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“, როცა პირველი მსოფლიო ომის ბედ-უკუღმართი გზებით მავალი ახალგაზრდა ქართველი ექიმის თვალით დანახული ამ მხარის ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ძირითადი ისტორიული პროცესები (რომლებიც თავის თავში ადამიანური ურთიერთობის მრავალგზის განშტოებულ, ურთულეს ნიუანსებს შეიცავენ) ფატუმის მიერ განსაზღვრულ მოვლენათა თანმიმდევრობას ემორჩილებიან.

„მხოლოდ ახლახან გავიგე ლამბალოს ჯავრი *ბედმა-მდევარმა* ამომყარა.

*განგების ეთიკი უკვე მყიოდა მთაზე და ვინც ყარდაში დამილუპა და უხილავი თითი უკვე სწერდა ეტლსა* (ხაზი ჩვენია — ნ. ზ.), როდესაც თხუთმეტი კაცი მიწაზე გააკრეს და თხუთმეტი ჯოხი აღმართეს მათზედა.

1918 წელს გოგი და მაგოგი საბოლოოდ წამოვიდნენ ურუმიიდან.

როცა ქალაქში ერთი სალდათიც აღარ დარჩა, ხოლო იქვე გორაკებიდან უკვე ოსმალები და ქურთები ჩამოდიოდნენ, მრისხანე და ჟინიანი ეპისკოპოსი ისევ თავისას გაიძახოდა:

— არ წავალ! სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის. არ წავალ! ვერ გამიბედავენ!

გაუბედეს, მართლმადიდებელთა კლდეს მუსულმანთა ადუღებული ზღვა მიადგა“.

როგორც უკვე აღინიშნა, „ბედი-მდევარი“ მ. ჯავახიშვილისათვის ვითარებისდამიხედვით

ცვალებადი ინსტრუმენტია, რომლის მოქმედების ამპლიტუდა დასავლეთევროპული ფილოსოფიური აზროვნების მიერ მონიშნული საზღვრებიდან, ისტორიის ფილოსოფიის ფატალური საწყისიდან კერძოადამიანური საქმეთა განმსჯელ უმაღლესი სამართლიანობის ფენომენამდე მერყეობს. ამგვარი მერყევი ამპლიტუდის პოზიციებიდან უნდა იქნეს განხილული მოთხრობის „ლამბალო და ყაშას" დასკვნითი ნაწილიც, რომელშიც მ. ჯავახიშვილი, ცალკეული ინდივიდების ბედის ჩვენებასთან ერთად, მთელი ერის (ასურელთა — ნ. შ.) უბედურების „ბედი-მდევარის" მიერ წინასწარ დაგეგმილი ტრაგედიის შთამბეჭდავ პანორამას ხატავს: „იმავე დროს ასი ათასი გადარჩენილი ასურელი დოქტორ შეედის წინამძღოლობით უზარმაზარ დაგლეჯილ ურჩხულივით მიიკლაკნებოდა ჰამადანბაღდადისაკენ, რათა განრისხებულ მუსულმანთა კლანჭებისათვის დაეღწია თავი და უკვე ერაყში დამჯდარ ინგლისელებს შეხიზნებოდნენ. მიჩოჩავდნენ უდაბნოში ასურელები, ვითარცა ეგვიპტიდან გამოსული ურიები და გზაში შიმშილით, ქურთების მახვილისა და მრავალნაირი სენის მეოხებით დილით-დილამდე რამდენიმე ასეულ დავრდომილსა და დახოცილ თანამოძმეს ჰკარგავდნენ. დოქტორი შეედი სხვებზე ადრე წააქციეს. მკვდრებს არც კი მარხავდნენ, დავარდნილებს ვერ შველოდნენ და არც უკან იხედებოდნენ. ნახევარი გასწირეს, ხამშვიდობოს გავიდნენ და „ურიათა გამოსვლა" გაიმეორეს, მაგრამ ვაი ამ გამოსვლას.

„ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ქინძისთავზე დასწვა.

გენერალ ჩერნოზუბოვს ულმობელმა ბედმა კავკასიაში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყვანა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

სასარელ არს ყოველი განგების ეთიკისა.

დიდ არს ძალა ბედი-მდევრისა"

(ხაზი აქ და ზემოთაც ჩვენია — ნ. შ.).

რასაკვირველია, შემოქმედების მეორე პერიოდში დაწერილ მოთხრობებში და აქ მოტანილ მოთხრობებშიც, გარდა ზემოთაღნიშნული მომენტისა, საკმაოდ უხვად მოიპოვება სხვა სააზროვნო, მორალურ-ეთიკური, სოციალური ტენდენციები, რომლებიც მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ ქართველ მკვლევართა ნაშრომებშია ფიქსირებული, მაგრამ ჩვენი აზრით საანალიზო მოთხრობებში („ორი შვილი", „ლამბალო და ყაშა" და „ხუთის ამბავი" და ზოგიერთ ამ სტატიის მიღმა დარჩენილ თხზულებაშიც) მეტ-ნაკლების სისრულითაა გამოკვეთილი ის საინტერესო სააზროვნო მომენტები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ მ. ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის ინტერესების სიფართოვეს, მის მჭიდრო კავშირს როგორც მის თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებთან, ისე ევროპული აზროვნების იმდროინდელ უახლოეს მონაპოვრებთან. მაგრამ თუ ჩვენი ლიტერატურის ოციანი წლების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის ფატუმი მთელ რიგ შემთხვევებში არა მხოლოდ სამყაროს აღქმის საშუალება იყო, არამედ მხოფლმხედველობრივ ფუნქციას ასრულებდა, მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ბოლო საფეხურზე „ბედი-მდევარის" ფატალური საწყისი ქრება და მწერალი საზოგადოების განვითარების პროცესების მეცნიერული გააზრების შემდეგ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აღიარებამდე მივიდა, რაც განსაკუთრებით მის მოგვიანო თხზულებებში: „არსენა მარაბდელში", „ქალის ტვირთში" და სხვ. გამოვლინდა.

და ბოლოს ალბათ ერთგვარი წინასწარი დასკვნების სახით შეიძლება ითქვას, რომ იმ რეალისტური ტენდენციების გვერდით, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავდნენ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების მეორე პერიოდის მაგისტრალურ ხაზს, მწერლის შემოქმედებაში ერთი საინტერესო აზრობრივი ნაკადი გამოიყოფა, რომელიც „ბედი-მდევარის" ფატალური საწყისით აღბეჭდილი მოთხრობების პირობით რკალს ქმნის.

ფატალური საწყისის გაჩენა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში უპირველესად განპირობებულია ოცი-ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებთან მწერლის მჭიდრო კავშირით, როცა ფატუმი ჩვენი მწერლობის ოციანი წლების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის არა მხოლოდ სამყაროს აღქმის საშუალებას, არამედ მხოფლმხედველობრივ ფუნქციასაც ასრულებდა და მისი კონკრეტულ-სუბიექტურ პლანში გადატანა და ტრაგიკულობის ფოკუსში მოქცევა ოციანი წლების ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

„ბედი-მდევარი", ფატალური ფენომენი მ. ჯავახიშვილის მოთხრობების ამ რკალში ის უნივერსალური, ვითარებისდამიხედვით ცვალებადი ინსტრუმენტია, რომელიც გრძნობად სამყაროში დარღვეული წონასწორობის აღმდგენად გვევლინება და აქედან გამომდინარე, მ. ჯავახიშვილის ამ რკალის მოთხრობების პერსონაჟებისათვის ცხოვრებისეული გზის წინასწარგანზრახულობა ესქატოლოგიურ სიბრტყეზეა მოთავსებული. გარდა ამისა, მ. ჯავახიშვილი, მოთხრობების ამ რკალში მოცემული კონცეფციით, ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის ფილოსოფიის შპენგლერისეული გაგებისაკენ იხრება, როცა მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ ისტორიული პროცესების განვითარების კანონზომიერებას აჩვენებს.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში არსებული ამ ტენდენციის გათვალისწინებით, ალბათ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შემოქმედების მეორე პერიოდში დაწერილი მოთხრობების კლასიფიკაცია უკვე ზუსტად ველარ ასახავს მ. ჯავახიშვილის ზოგიერთი მოთხრობის ადგილს რეალურ ღირებულებათა სკალაზე და თუ მწერლის შემოქმედებას ერთ, რომელიმე კლასიფიკაციას დავუმორჩილებთ, ვფიქრობთ, რომ ზემოთ არაერთგზის ნახსენებ კლასიფიკაციას კიდევ ერთი კლასი — „ბედი-მდევარის“ ნიშნით გაერთიანებულ მოთხრობათა ჯგუფი შეიძლება დაემატოს.

## შენიშვნები:

1 დასახ. ნაშრომი, გვ. 469-494.

2 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბილისი, 1958 წ.

3 გ. გვერდწითელი, მ. ჯავახიშვილი, 1977 წ. გვ. 50.

4 Ф. С. Владимирский, Антропология и космология Немезя, Житомир, 1912 г. стр. 50, ციტირებულია წიგნიდან: Г. Л. Андреев, Христианство и проблема свободы, Москва, 1965 г. стр. 17.

5 Журнал Московской патриархии, 1958, стр. 45.

ციტირებულია გ. ლ. ანდრეევის ზემოდასახელებული ნაშრომიდან.

6 Н. И. Рязанцев, Есть ли у человека судьба, М., 1961 г., стр. 26.

ნ. რიაზანცევი თავის ნაშრომში ფატალიზმის სამ ნაირსახეობას გამოჰყოფს ა. რელიგიური ფატალიზმი, ბ. ფილოსოფიურ-ისტორიული ფატალიზმი და გ. საოჯახო-ყოფითი ფატალიზმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ დოიაშვილი

# ვაჟა-ფშაველას ლექსი

ქართული პოეტური აზროვნების ისტორიისათვის ვაჟა-ფშაველას მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პოეტის სახელობის კაბინეტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. გრ. კიკნაძე, უკანასკნელ წლებში გამოსცა ორი საინტერესო წიგნი „ბახტრიონი“ და „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“. ამ წიგნებში მოცემულია ვაჟას უმთავრეს ეპიკურ ქმნილებათა მრავალწახნაგოვანი, ყოველმხრივი დახასიათება ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე დონეზე. პრობლემათა კომპლექსიდან ამჯერად მინდა გამოვყო მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჟა-ფშაველას ლექსის, როგორც სპეციფიკური კონსტრუქციის, ანალიზთან, განვიხილოთ რიტმიკის, ევფონიის, რითმის, სტროფიკისა და პოეტური სინტაქსის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

ვაჟას პოემების რიტმიკის მკვლევარს ანალიზის საწყის სტადიაზე ერთ საინტერესო პრობლემაზე უხდება დაფიქრება: განსახილველი პოემების მეტრული რეპერტუარი ძალიან შეზღუდულია (პოეტი მარტოოდენ დაბალ შაირს იყენებს. არცერთი შემთხვევა მეტრის შეცვლისა, მაღალ შაირთან შერევისა აღნუსხული არ არის). მიუხედავად ამისა, კითხვისას არ იგრძნობა ერთფეროვნება, მონოტონია. დაისმის კითხვა რა განაპირობებს ერთ მეტრულ ჩარჩოში, რომლის რიტმული ვარიანტები მცირეა (2/3/3; 3/2/3; 3/3/2), რიტმის ასეთ დინამიკას და ნაირგვარობას, რაც ვაჟას პოემებისათვის არის დამახასიათებელი?

აკ. ხინთიბიძე, რომელიც ვაჟას პოემების მეტრულ-რიტმულ სტრუქტურას იკვლევს, ამ საკითხის გადაწყვეტას რეალური რიტმის ანალიზს უკავშირებს. რეალური რიტმი გულისხმობს ორი სისტემის ურთიერთმორიგებას: ერთი მხრივ დგას ლექსი, როგორც სპეციფიკური კონსტრუქცია, მეორე მხრივ, ლოგიკური მახვილებისა და გრამატიკული პაუზების სისტემა, როგორც შინაარსთან მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენი. რეალურ რიტმში აირეკლება ის ცოცხალი დიალექტიკური კავშირი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ფორმასა და შინაარსს შორის არსებობს — სალექსო ფრაზა განიხილება მთელი თავისი აზრობრივ-ინტონაციური სიმდიდრით.

„გოგოთურ და აფშინას“ პირველი ორი თავის რეალური რიტმის ანალიზის საფუძველზე აკ. ხინთიბიძე ცხრა განსხვავებულ სქემას აღნუსხავს. პოემის ბოლომდე დამუშავება და, საერთოდ, საკვლევ პოემათა გაანალიზება, ცხადია, სქემათა რიცხვს უფრო გაზრდიდა. „გოგოთურ და აფშინას“ მაგალითზე მკვლევარი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ დასახელებულ „მონაკვეთებს რიტმული ერთფეროვნებისაგან იცავს... სქემათა ხშირი მონაცვლეობა. იშვიათია შემთხვევა, რომ რომელიმე სქემა რამდენიმე ტაეპის მანძილზე უცვლელად მეორდებოდეს“. ვაჟას ერთფეროვანი მეტრის ფონზე ცოცხალი რიტმული ნერვი ხმიანობს.

რეალური რიტმის კვლევა ქართულ პოეტიკაში სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ სანამ ეს მეთოდი პრაქტიკულად დაინერგებოდეს, აუცილებელია მისი თეორიული გააზრება. რეალური ვითარების ამსახველი სქემების გაფორმებისას ისეთი ნიუანსების გათვალისწინება ხდება, რომ შეიძლება თავი იჩინოს სუბიექტურობამ. ასეთ სიტუაციაში გადაუდებელი ამოცანაა კვლევის ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება.

დაბალი შაირის რიტმული ვარიანტებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. ხინთიბიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სქემის 3/3/2, რომელსაც შაირის ამ სახეობისათვის უჩვეულო ქორეული, ანუ ორმარცვლიანი კადენცია აქვს. ეს თავისებური სქემა ექვსივე პოემაში გვხვდება სხვადასხვა რაოდენობით. მკვლევარის დაკვირვებით, ვაჟა მას „აკისრებს აზრისა თუ განწყობილების გამახვილების ფუნქციას“, იყენებს მას „ძირითადი იდეის ნათელსაყოფად თუ დაძაბული სიტუაციის გადმოსაცემად“. მაგალითად, „ალუდა ქეთელაურში“ აღნიშნული სქემის გამოყენება დაკავშირებულია „სიუჟეტის განვითარების ამა თუ იმ ეტაპთან, ნაწარმოების ამა თუ იმ ცენტრალურ მოტივთან, გმირის ხასიათის გამოვლინებასთან“. ამ სქემით არის განწყობილი აზრობრივად მნიშვნელოვანი სტრიქონები — „ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს“, „კაი ყმის მარჯვენა არი“, „ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, აკ. ხინთიბიძე რიტმულ სქემას მხატვრული ნაწარმოების შინაარსთან მიმართებაში განიხილავს და ცხადყოფს, თუ რა როლს ასრულებს ე. წ. ფორმის ელემენტი იდეურ-შინაარსობრივი ჩანაფიქრის რეალიზაციაში.

მეტრულ-რიტმული სტრუქტურის აზრობრივი დანიშნულების საკითხი ერთ-ერთი სადისკუსიო პრობლემაა თანამედროვე პოეტიკაში. მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს მას, რაც მართებული არ უნდა იყოს. „ერთი და იგივე საგანი შეიძლება აღვნიშნოთ სიტყვებით „ბაგეები“ და „ტუჩები“; ერთი და იგივე ფრაზა შეიძლება გადმოიცეს ოთხტერფიანი იამბითაც და ოთხტერფიანი ქორეითიც, მაგრამ პოეტისათვის განურჩეველი არ არის, რომელ სიტყვას აირჩევს, ან რომელ მეტრსო“, — წერს რუსული ლექსის ცნობილი მკვლევარი მ. გასპაროვი. პრობლემის არსი, ვფიქრობ, სწრაფად არის ფორმულირებული.

ვაჟას რიტმიკის კვლევისას აკ. ხინთიბიძე სხვა საინტერესო საკითხებსაც ეხება. მაგალითად, სათანადო მასალის მოშველიებით მკვლევარი ცხადყოფს იმ კავშირს, რომელიც ტაეპის, სტროფის თუ მთელი მონაკვეთის რიტმულ წყობასა და თხრობის ტემპს შორის არსებობს, განიხილავს ანჟანბემანის მოვლენას და სხვ.

აკ. ხინთიბიძეს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევა ვაჟას ბგერწერული ხელოვნების, ანუ ევფონიის შესახებ. 20-იანი წლების დასაწყისში ცნობილი პოეტი და მკვლევარი კ. ჭიჭინაძე ზოგადად აღნიშნავდა: „ვაჟა-ფშაველას ხშირად აქვს თუმცა სადა და მარტივი, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირი ალიტერაციებით“. განსახილველ წიგნებში ვაჟას ევფონია პირველად იქცა სპეციალური შესწავლის ობიექტად.

მკვლევარი სწორად აფასებს ვაჟას ეპოსის ბგერით ფორმას, როცა ზოგადად მიუთითებს, რომ მისი „ევფონია ქართული მეტყველების ბუნებრივ ჟღერადობას ემყარება და აბსოლუტურად დაზღვეულია რაიმე თვითმიზნურობისა და ხელოვნურობისაგან“. სხვაგან იგი უფრო აკონკრეტებს ამ ზოგად დებულებას: „თანხმოვანთა გამოყენების სიხშირე, მათი თავმოყრა, რაც საერთოდ უცხო არ არის ქართულისათვის, ვაჟას პოეზიაში იშვიათი არაა... ვაჟა არ ერიდება აკუსტიკურ სიმძიმეს, გართულებებს. ეს ხორკლიანობა გამოარჩევს ვაჟას ევფონიას ქართული ლექსის საერთო ჟღერადობისაგან“.

დაკვირვებანი ვაჟას პოემების ბგერით ფორმაზე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ევფონიის გაგება არ ამოიწურება მხოლოდ ტკბილხმოვანებით. ბგერითი ფორმის შესაძლებლობანი გაცილებით უფრო ფართოა და მრავალფეროვანი.

აკ. ხინთიბიძე ევფონიის შესწავლისას კარგად უთავსებს ერთმანეთს ელემენტის აღწერას და მის ფუნქციურ კვლევას. მაგრამ ვაჟას პოემათა ევფონია მას აინტერესებს უპირატესად, როგორც მხატვრული ფაქტი. ამიტომ არის, რომ ბგერითი მოვლენების დანიშნულებისა და როლის განსაზღვრას მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამ მხრივ საინტერესოა ძიებანი ევფონიის აზრობრივი ფუნქციის დასადგენად.

ვაჟას პოემების ონომასტიკისა და ლექსის ბგერითი ფორმის მიმართების საფუძველზე აკ. ხინთიბიძე ორ საინტერესო მომენტზე მიგვანიშნებს: ერთი მხრივ, თვალნათლივ არის ნაჩვენები, რომ, მაგალითად, „ბახტრიონში“ გმირთა სახელებს თავისი ბგერითი გამაც თან მოაქვთ („კაცნო, კვირია რა გვექნა“, „ალარა ხუმრობს ლუხუმი“...), ხოლო, მეორე მხრივ, დადგენილია, რომ გმირთა გამოჩენას წინ უსწრებს მათი სახელების ბგერითი აკომპანირება. ასეთია მინდიასა და შერეს შემოყვანა „გველის მჭამელსა“ და „ეთერში“.

ვაჟას ეპიკაში უფრო საინტერესო და რთული მოვლენებიც შეინიშნება. „გოგოთურ და აფშინას“ ფონიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, თუ რა როლს ასრულებს ბგერითი ფორმა პერსონაჟთა დაპირისპირებაში. „ეს ორი სახელი... ორ განსაკუთრებულ ევფონიურ ხაზს ქმნის“. „პოემას თავიდან ბოლომდე მიჰყვება ეს ორი ევფონიური ხაზი, ორი ურთიერთგანსხვავებული ტონალობა, რაც დიდად უწყობს ხელს ამ ორი კონტრასტული სახის გამოკვეთას“, — აღნიშნავს აკ. ხინთიბიძე.

გამოკვლევაში, საერთოდ, სწორად არის წარმოდგენილი ონომასტიკისა და ლექსის ბგერითი ფორმის ურთიერთობა, მაგრამ ერთ შემთხვევაში, ვფიქრობ, გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე. მკვლევარი წერს: „სტუმარ-მასპინძლის“ გმირთა ჰარმონია, ჯოყოლა-ალაზა-ზვიადაურის სულიერი თანხმობა, რაც ნაწარმოების დედააზრს

ქმნის, ამ სახელების ფონეტიკური მსგავსებითაც არის განმტკიცებული. ჯოყოლა-ალაზა, გარდა იმისა, რომ რიტმულად თანხვედრილი სახელებია, ბოლოკიდურ ა-ს გამეორებით, ყარისა და ლანის შენაცვლებით ევფონიურადაც ურთიერთდაკავშირებულია, ხოლო ალაზა-ზვიადაურს ერთმანეთთან ზ თანხმოვანი აკავშირებს — ორივე სიტყვის ცენტრალური ბგერა". აზრი, რომელიც ზემოთ არის გამოთქმული, დამაჯერებლად არ მიმაჩნია. თუ ვაჟას ამგვარი ჩანაფიქრი ჰქონდა, ევფონიურად, ალბათ, მამაკაც პერსონაჟთა სახელებს უფრო დააკავშირებდა, რადგან, როგორი მნიშვნელობაც არ უნდა მივცეთ ალაზას სახეს, უმთავრესი მაინც ის სულიერი თანხმობაა, ზვიადაურსა და ჯოყოლას შორის რომ ჩაისახა. ამ სახელთა ბგერით ფორმებს შორის კი მსგავსება არ არის.

უთუოდ ყურადსაღებია ის დაკვირვებანი, რომელიც ევფონიისა და ტროპული მეტყველების მიმართებას განიხილავს. მკვლევარის აზრით, „იქ, სადაც ვაჟა ხატოვნების პრინციპს არ მიმართავს, ბგერათგამეორებით ცდილობს მეტყველების გაუბრალოების საშიშროება აიცილოს". მაშასადამე, ევფონია ზოგჯერ მხატვრული მეტყველების მანიშნებელი სიგნალია, ცნებით ფრაზას პოეტურობის იერს ანიჭებს. მაგრამ ტროპული მეტყველების დროსაც სახეები ხშირად ალიტერაცია-ასონანსით არის გაკეთილშობილებული, რითაც მისი ზემოქმედების ძალა მატულობს.

ამ საინტერესო გამოკვლევაში ზოგიერთი უზუსტობა შეიმჩნევა.

პოემიდან „გოგოთურ და აფშინა" საანალიზოდ აღებულია ეპიზოდი, როცა შინდაბრუნებული გოგოთური, კერიასთან მიმჯდარი, ფანდურს აახმიანებს. მკვლევარი წერს: „10 ა თექვსმეტი მარცვლის მანძილზე, განსაკუთრებით კი, მისი ერთმანეთზე გადაბმული ჟღერადობა (შააჟღარუნებს, ააჩქამებს) სათანადო სიტყვიერი კონტექსტის გარეშეც გვაგრძნობინებს, რომ გოგოთურმა ფანდურს მოჰკიდა ხელიო". სხვაგან, „სტუმარ-მასპინძლის" ერთ პასაჟთან დაკავშირებით („ღამეა, ბნელა, დელგმაა, დგანდგარებს არემარეო") ის განმარტავს: „სურათის შავი ფონი საერთო აკუსტიკით არის გაძლიერებული. სიბნელესთან შეერთებული ხმაური თანდათან მატულობს (მ, ნ, დგ, რ), ამ სტრიქონების ევფონია სიტყვიერი შინაარსის გარეშეც მიგვანიშნებს მოსალოდნელ ტრაგედიაზე". სიტყვიერი კონტექსტის გარეშე ბგერათა გამეორება, ევფონიური ორგანიზაცია თავისთავად არაფერზე არ მიგვანიშნებს. ევფონიის აზრობრივ დანიშნულებას მხოლოდ კონტექსტი განსაზღვრავს.

„ალუდა ქეთელაურზე" მსჯელობისას მკვლევარი გამოთქვამს საინტერესო აზრს, რომ პოემის ცენტრალური მოტივი — მტრისთვის მარჯვენის მოჭრა — ყველგან ევფონიურად ხაზგასმულია, „მარჯვენის" აკუსტიკა, როგორც წესი, ყველგან ბგერით გამართლებას პოულობს. საილუსტრაციოდ მოტანილი მრავალი მაგალითი ამ დებულების სისწორეს ადასტურებს. მაგრამ მკვლევარს ასეთი ადგილიც აქვს დამოწმებული „რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქვაზე ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია". იგი განმარტავს: „ეს უცნაური სიტყვა თავისი შინაარსითაც და ფორმითაც, რომლის ჟღერადობა მთელს პოემაში უნიკალურია (ჯღრდ), სწორედ მარჯვენასთან დაკავშირებით არის მოყვანილი და მისი ხაზგასმის საქმეს ემსახურება". დამოწმებულ სტრიქონებში „მარჯვენა" არ არის ნახსენები, ნახმარია ფორმა „ხელებ". გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ციტირების გაგრძელება: „ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის მარჯვენეების ხიდია".

ვაჟა-ფშაველას რითმა ადრევე იქცა სპეციალური შესწავლის საგნად, დაიწერა საინტერესო მონოგრაფია (ე. კვიტაიშვილი, „ვაჟა-ფშაველას რითმა").

ვაჟას რითმა ერთფეროვანია, შეუმჩნეველი, ხოლო ვაჟას პოეზია — არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი. პოეტის რითმის მკვლევართა წინაშე არსებითი პრობლემა წამოიჭრება: „აიხსნას და განიმარტოს ფაქტი ლექსის სიძლიერისა, როდესაც მისი რითმები არაფრით გამოირჩევა ჩვეულებრივი, საერთოდ გავრცელებული რითმებისაგან" (გრ. კიკნაძე). განსახილველ წიგნებში ამ საკითხს იკვლევენ პროფ. გრ. კიკნაძე („ბახტრიონის" რითმა) და ლ. ავალიანი („ხუთი პოემის" რითმა). მკვლევარნი არ კმაყოფილდებიან რითმის ფორმალურ თავისებურებათა აღწერით და დიდ ყურადღებას აქცევენ მის ლექსიკურ-სემანტიკურ მხარესაც. პოემათა შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ, მართალია, ვაჟას რითმა ფორმალურად ერთფეროვანია, მაგრამ, სამაგიეროდ, ლექსიკურად — უჩვეულოდ მდიდარი. პრობლემის გადაწყვეტა სწორედ ამ ასპექტში ხდება. გრ. კიკნაძე წერს „რითმათა ერთგვარობა... კომპენსირებულია ლექსიკის მრავალფეროვნებით, ანუ პოემის ლექსიკური სიმდიდრის გამო ქრება რითმათა ერთგვაროვნების შთაბეჭდილება, ისევე როგორც მათი ბანალობის განცდა". უფრო დიდი მოცულობის მასალის ანალიზის შემდეგ ამავე დასკვნამდე მიდის ლ. ავალიანიც.

ვაჟას რითმის პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა, ვფიქრობ, ვაჟას პოეტიკის მკვლევართა მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რაც განაპირობა რითმის იმ მხარეთა წინწამოწევამ, რაც ტრადიციულად ყურადღების გარეშე რჩებოდა. რითმის ფორმალურ დახასიათებასთან ერთად საჭირო და აუცილებელია მისი სემანტიკისა და ლექსიკის გათვალისწინებაც, მითუმეტეს, რომ

თვით რითმის ჟღერადობაც დიდად არის დამოკიდებული სარითმო სიტყვის სემანტიკურ დატვირთვაზე. ამ აზრის ნათელყოფა ძნელი არ არის: ტავტოლოგიურ რითმად გაგებული „ბარი"-„ბარი" უფრო ყრუდ ჟღერს, ვიდრე ომონიმიურ რითმად აღქმული იგივე „ბარი"-„ბარი", თუმცა მათი ბგერითი ფორმა აბსოლუტურად იდენტურია.

უმთავრესი დასკვნის პარალელურად ორივე მკვლევარი გვაწვდის სხვა საინტერესო დაკვირვებასაც. მაგალითად, დამაჯერებლად არის ახსნილი მობეზრების თავიდან აცილების მიზეზი ერთდაიმავე რითმის მიჯრით გამოყენების დროს, ხაზგასმულია ვაჟას სარითმო სიტყვათა სიახლე, აზრობრივი გამორჩეულობა. აქვე მინდა გავაკეთო მცირე შენიშვნა. ვაჟას რითმის გრძლობაზე მსჯელობისას ლ. ავალიანი წერს: „ჩვენს ლექსმცოდნეობაში დღესდღეობით უარყოფილია მოსაზრება ქართულ ლექსში ჰიპერდაქტილური რითმების არსებობის შესახებ". ეს მოსაზრება სწორი არ არის. ის მკვლევარნი, რომლებიც რითმის კლასიფიკაციას კლაუზულას უკავშირებენ, არ გამორიცხავენ ჰიპერდაქტილურ რითმას ე. წ. პეონის არსებობის შემთხვევაში, ასე რომ, ამგვარი კატეგორიული განცხადებისათვის საბაბი არა გვაქვს.

ვაჟა-ფშაველას ეპიკური პოეზია თავისებურ მასალას იძლევა სტროფიკის შესწავლისათვის. მართალია, ამ კუთხით სარეცენზიო წიგნებში მხოლოდ „ბახტრიონია" გაანალიზებული (ავტორი აკ. ხინთიბიძე), მაგრამ ვაჟას ეპიკა მთლიანობაში მსგავსი აღნაგობისაა და ამდენად, დაკვირვებანი „ბახტრიონის" სტროფიკაზე ზოგად ღირებულებას იძენს.

„ბახტრიონის" სტროფიკა ორიგინალურობით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ქართული ლექსის ტრადიციული სტროფიკის ფონზე, რომელიც მდგრადი, უცვლელი ნიშნებით არის აღბეჭდილი. სტროფი აქ, როგორც წესი, დასრულებული რიტმული ერთეულია, შეკრული ერთიანი აზრობრივ-ემოციური განწყობილებით, მეტრული ჩარჩოთი და რითმით. თუ ამ კრიტერიუმით მივუდგებით ვაჟას პოემას, აქ აშკარად გამოიკვეთება ასტროფიის ნიშნები. სტროფული დაყოფის კანონზომიერება ვაჟას პოემებში არ შეიმჩნევა. თუ გავითვალისწინებთ ვაჟას თხრობის სპეციფიკას, მისი პოეტური ფრაზის თავისუფალ დინებას, აქ მკაცრი სტროფული დაყოფის არსებობა, ალბათ, შეუძლებელიც იქნებოდა. თხრობის შეუზღუდავ, ბუნებრივ მანერას შესაბამისი რიტმული პერიოდები აქვს მოძებნილი. ასეთია ზოგადი სურათი.

მაგრამ აკ. ხინთიბიძე მასალის დაკვირვებული შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მიუხედავად პოემის ასტროფიული ხასიათისა, „ბახტრიონის" ავტორი არ უგულვებელყოფს სტროფული დანაწევრების პრინციპს. „მაშასადამე, ასტროფიის ფონზე სტროფებად დაყოფის ნიშნებიც შეიმჩნევა. ვაჟა, მართალია, არ იცავს ერთი რომელიმე სტროფის კანონზომიერი განმეორების პრინციპს, მაგრამ „ბახტრიონში" აშკარად იგრძნობა გარკვეული თვალსაზრისით გაერთიანებული მონაკვეთების გამოყოფის ტენდენცია. აკ. ხინთიბაძის დაკვირვებით, ამ მონაკვეთების ერთიანობას განაპირობებს რიგი ფაქტორები: „ბახტრიონის" სტროფის მთავარი განმსაზღვრელი არის პოეტური ფრაზის აზრობრივ-ემოციური ჩარჩო". ამავე დროს, იგი „ერთი რითმით არის შეკრული, რითმა იწყებს და ამთავრებს სტროფს, ახალი რითმა ახალ სტროფზე გადასვლის მაუწყებელია". ამრიგად, „ბახტრიონში" დაცულია სტროფისათვის ნიშანდობლივი ყველა მახასიათებელი: აზრობრივ-ემოციური ერთობა, მეტრული ჩარჩოსა და რითმის იგივეობა.

მაგრამ პოემაში არის შემთხვევები, როცა რითმა რამდენიმე სტროფის მანძილზე მეორდება. სრულიად აშკარაა, რომ ვაჟას სტროფიკისათვის რითმას მეორადი მნიშვნელობა აქვს. „ბახტრიონში" სტროფის საზღვრებს განაპირობებს აზრობრივ-შინაარსობრივი ფაქტორი, — ასეთია მკვლევარის ძირითადი დასკვნა.

ვაჟა-ფშაველას პოეტიკის მკვლევართათვის კიდევ ერთ საკვლევ ასპექტს ქმნის პოეტური სინტაქსი. ამ საკითხს ეძღვნება აკ. ხინთიბიძის „ინვერსია „ბახტრიონში" და შ. აფრიდონიძის „პოეტური სინტაქსი" ხუთი პოემის მიხედვით.

პოეტური სინტაქსი ენობრივი სინტაქსის დეფორმირებული სახეა სალექსო კონსტრუქციის ზეგავლენით, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტური სინტაქსის ფაქტები პირდაპირ კავშირშია ლექსისათვის დამახასიათებელ ისეთ შეზღუდვებთან, როგორიცაა მეტრი და რითმა. შ. აფრიდონიძე ვაჟას პოეტური სინტაქსის ზოგადი პროფილის განსაზღვრის სწორედ სალექსო მეტყველების ძირითად ელემენტს — რითმას უკავშირებს. ვაჟას რითმების ერთგვაროვნება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, აგრეთვე, გარითმვის ინტერვალური ხერხი სინტაქსური ტრაფარეტების შექმნის საფრთხეს ბადებს, მაგრამ, მკვლევარის დაკვირვებით, „საანალიზო პოემებში სარითმო ერთეულთა ერთფეროვნება სრულიადაც არ იწვევს სინტაქსური წყობის ერთფეროვნებას. პირიქით, სიტყვათა კავშირი საოცრად მოძრავია და მოქნილი".

ჩვენ კვლავაც საინტერესო პრობლემის წინაშე ვდგავართ: როგორ აზერხებს ვაჟა მოხალი-

ეროვნული

დნელი სინტაქსური ტრაფარეტების თავიდან აცილებას, რაში მჟღავნდება მისი სინტაქსური კონსტრუქციების მოქნილობა, პოეტური სინტაქსის ფუნქციური დანიშნულება? ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ინვერსიის მოვლენა, ანუ ბუნებრივი ენობრივი სიტყვათწყობის შეცვლა, რის შედეგადაც, სინტაგმისა თუ სინტაქსური პერიოდის რიტმულ-ინტონაციური დანაწევრება და აქტივიზაცია ხდება.

ინვერსიის სახეობათა განხილვისას ერთგვარი აზრთა სხვაობა შეიმჩნევა. ისეთი მარტივი და ცნობილი სახე ინვერსიისა, როგორიცაა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა, მკვლევართა მიერ განსხვავებულად არის შეფასებული. აკ. ხინთიბიძის დაკვირვებით, ასეთი წყობის დროს „წინა პლანზე საგანი და მისი მოქმედებაა წამოწეული, ლოგიკური მახვილი ეპითეტზე გადატანილი არაა“, შ. აფრიდონიძე კი თვლის, რომ „განსაკუთრებით ღირებულია დამოკიდებული წევრის — მსაზღვრელის აქტუალიზაცია, მით უმეტეს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში იგი ეპითეტის ფუნქციის მატარებელია“.

ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, არ დაისმის კითხვა, რომელი მკვლევარია უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან, რადგან ორივე დაკვირვება სწორია, მაგრამ ცალმხრივი. ვფიქრობ, რომ ამ ტიპის ინვერსიების დროს ორივე მომენტის ერთდროული რეალიზება ხდება. როდესაც ვამბობთ სტრიქონს — „მთები თავჩაჩქნიანები“, აქ ძირითადი სიტყვაც — საგანიც წამოიწევა წინ და ეპითეტიც აქტიურდება: პაუზის გამო იგი მეტ წონას იძენს და, ამდენად, უფრო ეფექტურად ასრულებს მხატვრული განსაზღვრების ფუნქციას.

აზრთა სხვაობის სხვა შემთხვევებზე აღარ შევჩერდები. ხსენებულ გამოკვლევათა მიხედვით ერთი რამ უდავოა: ვაჟას „თავისებური სინტაქსი... სტილისტიკური ხერხია“, „საგნებისა და მოვლენების აქცენტირება, სხვა ხერხებთან ერთად, ინვერსიის მეშვეობითაც ხორციელდება“.

ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა „ბახტრიონისა“ და „ხუთი პოემის“ გამოცემით საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა. იგი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ვაჟას შემოქმედების ყოველმხრივ, კომპლექსური შესწავლის გზაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი

# მეცნიერი, მოღვაწე, ადამიანი

## ქეთევან ლომთათიძის დაბადების 70 წლისთავის გამო

ზუსტად ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქეთევან ლომთათიძემ მორიდებით შეაღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კარი, სადაც ის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშნეს. უმცროსი თანამშრომელი სამეცნიერო კიბის ყველაზე დაბალი საფეხურია და აქედან მეცნიერების სიმაღლემდე დიდი და ძნელი გზა ძევს. ქეთევან ლომთათიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით განვლო ეს გზა და დღეს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ამავე აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია.

ვინ არ იცის, რომ მეცნიერების სიმაღლეთა დაძლევა მეტისმეტად ძნელი საქმეა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ეს საქმე ქალისათვის, რომელსაც ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა უამრავ დროსა და ენერგიასართმევს. ჭეშმარიტად განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით უნდა იყოს ქალი დაჯილდოებული, რომ შესძლოს დედისა და მეუღლის საპატიო მოვალეობა ღირსეულად შეათავსოს გამოჩენილ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოვალეობასთან.

სწორედ ასეთი განსაკუთრებული ქალია ჩვენი სახელოვანი იუბილარი ქეთევან ლომთათიძე, რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურება მეცნიერების წინსვლას, მაგრამ, ამავე დროს, ახერხებს იპოვოს დრო შვილების, შვილიშვილებისა და მრავალრიცხოვანი სტუდენტი ახალგაზრდობის სანიმუშოდ აღზრდისათვის.

ქეთევან ლომთათიძემ ბავშვობა მშობლიურ სოფელ ხიდისთავში (გურიაში) გაატარა და პირველდაწყებითი განათლებაც იქვე მიიღო, 1924 წელს კი იგი სასწავლებლად თბილისში გადმოიყვანეს. სწორედ იმ ხანებში — ბავშვობისა და ყრმობის წლებში — ჩაესახა მომავალ მეცნიერს სამშობლო ქვეყნისა და დედაენის ის უსაზღვრო სიყვარული, რამაც იგი შემდეგში გამოჩენილ ენათმეცნიერად აქცია.

1927 წელს ქეთევან ლომთათიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. ქეთევანს ბედმა გაუღიმა: სტუდენტობის დროს მის მასწავლებელთა შორის იყვნენ დიდი ქართველი მეცნიერები — ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები. მოკრძალებულმა, ნიჭიერმა და ბეჯითმა გოგონამ მალე მიიპყრო ამ მეცნიერთა ყურადღება და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იმავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში მიიღეს კავკასიური ენების სპეციალობით. სამეცნიეროდ ქეთევანის მომზადებას ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები არნ. ჩიქობავა და ს. ჯანაშია.

ამ დროიდან მოკიდებული ქეთევან ლომთათიძემ უაღრესად ენერგიული მეცნიერული მუშაობა გააჩაღა და მეცნიერების კიბეზე სწრაფად წავიდა წინ. 1938 წელს მან მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1945 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1950 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას პროფესორის წოდება მიანიჭა, ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიიღო. 1955 წელს ქეთევან ლომთათიძე არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს — ნამდვილ წევრად.

ქეთევან ლომთათიძემ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო იბერიულ-კავკასიური ენების შესწავ-

ლის დიდ ეროვნულ საქმეს. იგი სამართლიანად არის აღიარებული ამ ენათა წამყვან სპეციალისტად; მან პირველხარისხოვანი ნაშრომებით გაამდიდრა ქართული ენათმეცნიერების საგანძური. განსაკუთრებით დიდი და ფასდაუდებელია ქალბატონ ქეთევანის დამსახურება აფხაზური და აბაზური ენების შესწავლის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ამ ენათა შესწავლას მან მიუძღვნა სამი სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი, რომელთა განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობა აღიარებულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის გამოჩენილი ენათმეცნიერების მიერ. ეს მონოგრაფიებია: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი" (1944 წ.), „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის" (1954 წ.); „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები" (1976 წ.).

ამ შესანიშნავ ფუძემდებლურ ნაშრომებში დეტალურად და ყოველმხრივაა შესწავლილი აფხაზური და აბაზური ენების ფონეტიკის ყველა ძირითადი საკითხი. გარდა ამისა, მათში მოცემულია მეცნიერებისათვის მანამდე ნაკლებად ცნობილი, ან სრულიად უცნობი დიალექტების უაღრესად ღრმა მეცნიერული ანალიზი. მეცნიერ-სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ეს ნაშრომები გამოირჩევიან საანალიზო მასალის სიუხვით, თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების თანმიმდევრული და ეფექტური გამოყენებით და დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური დასკვნებით. აკადემიკოს არნ. ჩიქობავას — თქმით, დღემდე „არცერთი იბერიულ-კავკასიური ენის ფონეტიკა ასეთი ღრმა და სრული ანალიზის საგანი არ ყოფილა..."

არასოდეს დამავიწყდება ერთი კერძო ხასიათის კამათი, რომლის უნებლიე მოწმე გავხდი აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის დროს. რამდენიმე აფხაზი მეცნიერი კამათობდა მშობლიური ენის რომელიღაც რთული პრობლემების ირგვლივ. დიდხანს იკამათეს, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ბოლოს, ერთმა მათგანმა თქვა:

— კარგით, ბატონებო, რაკი ჩემი არ გჯერათ, გადავდოთ კამათი, მალე ქეთევან ბესარიონის ასული ჩამოვა და მას ვკითხოთ, აღარც ქეთევანს დაუჯერებთ?!

მაშინ პირველად დავრწმუნდი, რომ ქეთევან ლომთათიძე აფხაზური ენის უბადლო მცოდნე იყო და მის მიმართ ულრმესი პატივისცემა ვიგრძენი. მეამაყებოდა, რომ ასეთი მეცნიერი გვყავდა, მაგრამ თანაც მიკვირდა: როგორ მოახერხა ქალბატონმა ქეთევანმა ისე სრულყოფილად დაეუფლებოდა აფხაზურ ენას, რომ თვით აფხაზი ენათმეცნიერები ყოველ მის სიტყვას ენდობიან?!

ქეთევან ლომთათიძეს ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ამ ნაშრომებში მეცნიერს, მისთვის ჩვეული სიღრმითა და სისრულით აქვს განხილული არა მარტო აფხაზურ-აბაზური ენების, არამედ ქართული, ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, მათი ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა და სხვ. ერთი მხრივ, ქართული და ქართველური ენების, ხოლო მეორე მხრივ, სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ღრმა ცოდნა მეცნიერს საშუალებას აძლევს ფრიად ნაყოფიერი კვლევაძიება აწარმოოს ამ ენათა ნათესაური ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქეთევან ლომთათიძის შეურიგებელი ბრძოლა საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების სიწმინდისათვის; მეცნიერმა არა ერთი საყურადღებო სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა ენათმეცნიერების მეცნიერული პრობლემების გარკვევას და ვულგარიზატორთა ხელყოფისაგან თანამედროვე მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვას.

ასეთ ფართო საკვლევაძიებო მუშაობასთან ერთად, ქეთევან ლომთათიძე უაღრესად დიდ შრომასა და ენერგიას ახმარს სამეცნიერო ფრონტის პრაქტიკული საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის საქმეს, აგრეთვე, სპეციალისტთა კადრების აღზრდას. ქალბატონი ქეთევანი ცნობილია არა მარტო როგორც გამოჩენილი მკვლევარი, არამედ როგორც შესანიშნავი პედაგოგი, მაღალკვალიფიციური რედაქტორი და ჩინებული ლექსიკოგრაფი.

1937 წელს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, დაიწყო ქეთევან ლომთათიძემ პედაგოგიური მოღვაწეობა და უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ის აფხაზური ენის კურსს უკითხავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტებს. გარდა ამისა, მან ზოგადი ენათმეცნიერების კურსი წაუკითხა (1938-1940). სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით მომზადდა ოცი საკანდიდატო და სამი სადოქტორო დისერტაცია.

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქეთევან ლომთათიძე რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მომზადებისა და გამოცემის საქმეში. მას, როგორც მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრსა და მე-7 ტომის თანარედაქტორს, სხვა რედაქტორებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. დიდი მუშაობა გასწია ქეთევან ლომთათიძემ აგრეთვე სამტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის მოსამზადებლად, იგი იყო ამ ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ 1967 წელს გამოსცა დიდი კოლექტიური ნაშრომი „სსრ კავშირის ხალხთა ენები“, რომლის მე-4 ტომი იბერიულ-კავკასიურ ენებს მიეძღვნა. ამ ტომის ერთ-ერთ პასუხისმგებელ რედაქტორად მიწვეული იყო ქეთევან ლომთათიძე. მასვე აქვს დაკისრებული საერთო საკავშირო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილის, აგრეთვე, ქართული ენციკლოპედიის ენისა და ლიტერატურის იბერიულ-კავკასიური ენების სექციის ხელმძღვანელის მოვალეობა. ქ. ლომთათიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ქართული ენის სიწმინდის დაცვა და მისი ნორმების დადგენა; იგი წევრია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიისა.

ახლა, თუ ყოველივე ზემონათქვამთან ერთად იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ქეთევანი წლების მანძილზე მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დიდი ინსტიტუტის ხელმძღვანელია და ყოველდღიურად უხდება უამრავი მიმდინარე საკითხის გადაჭრა, ადვილად წარმოვიდგენთ მისი მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბს.

მაგრამ იუბილარის საქმიანობის დახასიათება სრულად ვერ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხეთ მის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ქ. ლომთათიძე სამჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო ორჯერ სსრ კავშირის (მეოთხე და მეხუთე) მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა როგორც ქართველი ხალხის წარგზავნილმა: არჩეული იყო სსრ კავშირის საპარლამენტო კომიტეტის წევრად და იმოგზაურა საზღვარგარეთის ქვეყნებში (სირიაში, ფინეთში, პოლონეთში, ინგლისში), მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო კავშირის ჰელსინკისა და ლონდონის კონფერენციების მუშაობაში.

1952 წელს ქეთევან ლომთათიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობაზე იგი სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს, ხოლო ახლახან ჩატარებულ 26-ე ყრილობაზე — ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერს მოღვაწეობის ასპარეზი გაუფართოვდა და წინ უამრავი საქმე ელის.

თავისი დაბადების 70 წლისთავს აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე დიდი შემოქმედებითი მიღწევებით შეხვდა. მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ, დააჯილდოვეს რა იგი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

დრო საოცრად სწრაფად გადის და შრომაში გართულ ადამიანს შეუმჩნევლად ეპარება სიბერე, მაგრამ ქეთევან ლომთათიძე ჯერ კიდევ მხნედაა და ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს შრომას.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს, უანგარო მოღვაწესა და შესანიშნავ ადამიანს, კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული მეცნიერების, მთელი ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე

# იოსებ ყიფშიძე

იოსებ ყიფშიძეს მე ქუთაისშივე ვიცნობდი ჩემი მოწაფეობის დროს სასულიერო სასწავლებელში, იოსების ძმა დავითი ჩემი ამხანაგი იყო და ისიც სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. ისინი იდგნენ თავის სიძესთან, პლატონ გოგოძესთან, რომელიც ცხოვრობდა გორაზე. მე ცოტა ზემოთ ვცხოვრობდი — ადამიანებთან, და ჩამოვლისას უნდა გამომევლო ყიფშიძიანთ ეზოსთან. დავითი სასულიერო სასწავლებელში მე-2 კლასამდე სწავლობდა, მე-2 კლასის გათავების შემდეგ იგი კლასიკურ გიმნაზიაში გადავიდა.

ორი წლის შემდეგ მეც გიმნაზიაში გადავედი, როდესაც 1904 წელს ქუთაისის სასულიერო სემინარია დახურეს (სემინარიის ეკლესიაში მომხდარი არეულობის გამო, რომელშიც სემინარიის მოწაფეები იღებდნენ მონაწილეობას). ამის შემდეგ მე დავითს გიმნაზიაშიც ვხვდებოდი, თუმცა სხვადასხვა კლასში ვსწავლობდით.

იოსებ ყიფშიძეს მე უფრო ახლო პეტერბურგში გავეცან, როცა 1909 წლის შემოდგომაზე ამ უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. იგი პირველად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შესულიყო, მაგრამ შემდეგ ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ლექციებს მოეხიბლა და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე გადმოსულიყო. აქ 1908 წელს ივანე ჯავახიშვილმა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე დააარსა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით ი. ჯავახიშვილი, ხოლო წრის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იოსებ ყიფშიძე.

ხელმძღვანელის დავალებით ამ წრემ წამოიწყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ წერილთა ბიბლიოგრაფიის შედგენა. წრის წევრები დიდი მონდომებით შეუდგნენ საბიბლიოგრაფიო მასალის ამოწერას. ამისთვის პეტერბურგში კარგი პირობები იყო, რადგანაც საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც ნევის პროსპექტისა და Садовая-ს გადაკვეთის ერთ კუთხეში იდგა, იმპერიაში გამოსული ნაბეჭდი პროდუქციის სავალდებულო ცალები მისდიოდა, მათ შორის ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთებიც. საბიბლიოგრაფიო მასალების ამოწერაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ერთხელ მივედი საჯარო ბიბლიოთეკაში და მოვითხოვე ქართული გაზეთი „ივერია“ (აღარ მახსოვს რომელი წლისა). ქალმა ბიბლიოთეკარმა მკითხა:

— Вам армянскую?

— Нет, грузинскую—მეთქი. — А какая разница-ო, მკითხა.

— Такая же, как между русским и немецким-მეთქი. ვუპასუხე.

ქართველ სტუდენტთა წრის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის მასალები, ნ. მარის წინადადებით, შეიძინა მეცნიერებათა აკადემიამ და მისი ერთი ნაწილი გამოიცა 1916 წელს იოსებ ყიფშიძის რედაქციით.

იოსებ ყიფშიძე ქართველ სტუდენტთა წრის თავმჯდომარედ დარჩა 1911 წლამდე, როდესაც მან უნივერსიტეტი დაასრულა და უნივერსიტეტშივე დატოვეს, რომ მომზადებულიყო საპროფესოროდ. ამის შემდეგ მე ვიყავ წრის თავმჯდომარედ, ხოლო 1913 წლიდან, როდესაც დავამთავრე უნივერსიტეტი და მეც დამტოვეს საპროფესოროდ, თავმჯდომარედ გახდა გიორგი ჩიტაია.

1911 წელს პეტერბურგში გაიხსნა კურსები იურისტთათვის, რომლებიც ემზადებოდნენ სამსახურისათვის ამიერკავკასიაში. ამ კურსებზე ისწავლებოდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენები. იმ დროინდელ მთავრობას მა-

აჩნდა, რომ სასამართლოსა და პროკურატურაში მსახურ პირთათვის საჭირო იყო ადგილობრივი ენის ცოდნა და საამისოდ ამზადებდნენ რუს იურისტებს, რომ ამიერკავკასიაში მათ დაეკავებინათ ადგილები და არა ადგილობრივი ერების წარმომადგენლებს. ქართული ენის ლექტორად მიიწვიეს იოსებ ყიფშიძე. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სამოქალაქო ტანისამოსი. მე კი გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ სამოქალაქო ტანისამოსს ვატარებდი. მთხოვა ჟილეტი და ფიჯაკი; ვათხოვე, მაგრამ ძლივს ჩაეტია შიგ.

მალე ამის შემდეგ ფინეთის ქალაქ ვიბორგში გავემგზავრეთ ერთ კვირა დღეს ორივე ყიფშიძე (იოსები და დავითი), ვუკოლ ბერიძე და მე. იქ მზა ტანსაცმლის მაღაზიაში ი. ყიფშიძემ შეიძინა კოსტუმი, რომლის შარვალს რაღაც გადასაკეთებელი ჰქონდა, რომ კარგად მოჰხვლოდა. „მობრძანდით საათ-ნახევრის შემდეგ და წაიღეთო", გვითხრეს. იოსებმა უბეზე გაიკრა ხელი, ამოიღო ფული და ბეს უტოვებდა. „ეგ რა საჭიროაო, გვითხრეს. ჩვენ გვგონია, რომ ნამდვილად გინდათ საქონელი, და, თუ არ მოგვაკითხავთ, ჩვენ ასეთ ზარალს გავუძლებთო".

იქ ერთ რუს ჟანდარმს გამოველაპარაკეთ, რომელმაც გვითხრა, რომ აქ ქურდობა არ ხდებაო. და თუ მოხდა, ვიცით, რომ ამის მოქმედი სამხრეთიდან საგასტროლოდ მოსული ვინმე იქნებაო.

იურიდიულ კურსებზე მეცადინეობის უკეთ წარმართვის მიზნით იოსებ ყიფშიძემ შეადგინა პრაქტიკული სახელმძღვანელო ქართული ენისა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა ლითოგრაფიულად.

ერთი ინციდენტი მოხდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მე-5 აუდიტორიაში, სადაც ლექციები იკითხებოდა ქართული და სომხური ენის შესახებ. ქართველი სტუდენტები შეკრებილიყვნენ ამ აუდიტორიაში, მგონი, ივანე ჯავახიშვილის ლექციის მოლოდინში. რაღაცაზე კამათი შეიქნა. კათედრაზე ხარგის კაკაბაძე იყო, კათედრის წინ კი იოსებ ყიფშიძე იდგა. ერთიც ვნახოთ, კამათის დროს ხ. კაკაბაძემ ჩაუტყაპუნა თავში იოსებ ყიფშიძეს და მაშინვე გარეთ გავარდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ სხვებმა ვერაფერი მოვახერხეთ (სხვებში ვუკოლ ბერიძეც ერია).

ამის შემდეგ მალე ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სხდომა იყო. ირჩეოდა საქმე ერთი ქართველი სტუდენტისა, რომელსაც უნივერსიტეტის სასადილოს ბილეთები დაებეჭდა და მათ ავრცელებდა. ჩვეულებრივ გარედან შემოსული სასადილოს ბილეთების შეკვრა (8 მანეთის ღირებულებისა თითო ცალი) ღარიბ სტუდენტებს, თხოვნის თანახმად, პრორექტორისაგან ეძლეოდა. სასადილოში შენიშნეს, რომ ხშირად გარედან შემოსული ბილეთები, საგანგებოდ მიაქციეს მას ყურადღება და გამოარკვიეს, რომ ბილეთების გამყიდველია ერთი ქართველი სტუდენტი. აი ამ სტუდენტის საქმე ირჩეოდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს კრებაზე და მე მეტად ცხარედ გამოვედი. ვამბობდი, რომ ეს სტუდენტი გვარცხვენს ყველა ქართველს და მივიღოთ სასტიკი ზომები მის მიმართ-მეთქი. წამოდგა ეს სტუდენტი (იგი ქართლიდან იყო) და დამემუქრა: „გამოდი გარეთ, ნახავ რას გიზამო". ამის გაგონებაზე იოსებ ყიფშიძე წამოიჭრა და სასტიკად გაილაშქრა იმ სტუდენტის წინააღმდეგ.

სხვათა შორის, სათვისტომომ გადაწყვიტა, დელეგაცია გაეგზავნა უნივერსიტეტის სასადილოს თავმჯდომარესთან ბოდიშის მოსახდელად და დამნაშავის დასასჯელად. თავმჯდომარედ იყო ერთი მოხუცი პროფესორი, პენსიაზე გასული, რომელსაც დელეგაციამ (დელეგაციაში მეც ვიყავი) მოახსენა საქმის ვითარება. ვუთხარით, რომ ჩვენ ჩირქს გვცხებს დამნაშავის მოქმედება და ვსთხოვეთ სასტიკი ზომების მიღება. ამაზე პროფესორმა გვითხრა: ახალგაზრდებო, დამშვიდდით. ცუდი პირები ყველა ხალხში ურევია. მაგ საქმეს სასამართლო მიუვლის. თქვენ კი თქვენს პირდაპირ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, უნივერსიტეტში სწავლასო. სწორე მოგახსენოთ, მოხუცი პროფესორის ტკბილმა საუბარმა მოგვხიბლა და შინ დამშვიდებულნი დავბრუნდით.

იოსებ ყიფშიძე სტუდენტობის დროს სტენოგრაფიას სწავლობდა. სტენოგრაფიის კურსებზე მას გაეცნო ვინმე გავრილოვის ქალი და დამეგობრებოდა. ეს ქალი ადრე გარდაიცვალა. მის გარდა მის მშობლებს არავინ ჰყავდა. ამიტომ მათი ქალის მეგობარი იოსებ ყიფშიძე მათთვის სასურველი სტუმარი იყო ყოველთვის. იოსებ ყიფშიძემ ერთხელ, ამ ქალის დაბადების დღეს, ვუკოლ ბერიძე და მე წაგვიყვანა გავრილოვებისას. ვიმღერეთ, ვიმხიარულეთ. ამის შემდეგ ჩვენ სამნივე დავდიოდით ამ გავრილოვების ოჯახში. ცოლი დიასახლისი იყო, ქმარი კი — ხელთათმანების მკერავი და გამყიდველი.

ი. ყიფშიძე ქუთაისში სწავლის დროს ესერებს ეხმარებოდა და პოლიტიკურ საკითხებში ერეოდა. ერთხელ გავრილოვის ცოლი მისულა მასთან და უთქვამს: პოლიციაში მიბარებენ, ალბათ იმის გამო, რომ მე ამ დღეებში ერთ ოჯახში ვიყავ სტუმრად და იქ ხელმწიფე ნიკოლოზ II გავლანძღეო. — მერმე რას აპირებო? იოსებს უკითხავს. — მე ყველაფერს გულახდილად ვიტყვიო, უთქვამს მას. იოსებს უპასუხნია: როგორ თუ იტყვი! იტყვი და მაშინვე ციხეში გიკრავენ თავსო. შენ კი არ უნდა გამოსტყდე, არამედ უნდა განაცხადო, რომ არა-

ფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა, ეგ მოუჩმახავს ვიღაცას, რომელიც მე მემტერებათ. გავრილოვს ასეც მოქცეულა. მან პოლიციაში ყველაფერი უარყვია, რასაც აბრალებდნენ, და იმით თავი უხსნია ზიფათისაგან.

გავიდა ხანი. 1922 წლის დასასრულს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ მიმავლინა მოსკოვ-პეტროგრადში იქაური ქართული სიძველეების (კერძოდ, ქართული ხელნაწერების) მიღების საქმეზე. მივდივარ მოსკოვის ერთ ქუჩაში და უკანიდან მესმის: Вукол Михайлович, Вукол Михайлович! მოვიხედე და ვიცანი მეზელთათმანე გავრილოვი, რომელსაც ჩემს გვერდით რომ გაევლო, ვეცნე. ის შეჩერდა და დამიძახა. მაგრამ ჩემი სახელისა და მამის სახელის ნაცვლად ვუკოლ ბერიძისა მოაგონდა. მოვიკითხეთ ტკბილად ერთმანეთი. შემდეგ, მოსკოვიდან რომ პეტროგრადს გადავედი, პირველ ხანებში გავრილოვებთან ვცხოვრობდი.

მსოფლიო ომი რომ ატყდა 1914 წელს, ქართველთა ერთ ჯგუფს ევროპაში პროკლამაცია გამოეცა ქართულ ენაზე, რომელშიც მოუწოდებდნენ ქართველ ერს სიფხიზლისათვის და მზადყოფნისათვის, თუ პოლიტიკური ვითარება გართულდებოდა. ამ პროკლამაციის სათარგმნელად რუსეთის სამხედრო უწყებას მიეწვია იოსებ ყიფშიძე. მან პროკლამაცია უთარგმნა, მაგრამ მოახერხა ერთი მისი ნაწყვეტი გადმოეწერა და ეს ნაწყვეტი მე გამაცნო.

ერთ ზამთარს, პირველი მსოფლიო ომის დროს, იოსებ ყიფშიძე და მე ივანე ჯავახიშვილის ბინაზე ვცხოვრობდით (ლახტის ქუჩა, № 9, პეტერბურგის მხარეს). ოთხი ოთახიდან ორი თვით ივანეს ეჭირა, ერთი — იოსებს და ერთი — მე (ი. ჯავახიშვილს ცოლშვილი მაშინ თბილისში ჰყავდა დატოვებული). ერთად ვსადილობდით. იოსები მელოტი იყო. სადღაც გაზეთში მას წაეკითხა რეკლამა წამლის შესახებ, რომელსაც თითქო თმა ამოჰყავდა. იოსები ენდო რეკლამას, იყიდა ერთი ფლაკონი და დაიწყო წასმა თავზე, წამალი აქაფდებოდა, მაგრამ შედეგი არა მოჰქონდა რა. ერთხელ, ივანე ჯავახიშვილის თანდასწრებით ხუმრობით ვუთხარი იოსებს: ო, უკვე დაუწყია თმას ამოსვლა შენს თავზე-მეთქი. იოსებს ხუმრობა ეწყინა და თავი ჩაღუნა. მან არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ ი. ჯავახიშვილმა გამიხმო და მთხოვა: მეტად ნუღარ უხუმრებო.

იოსებ ყიფშიძემ ცოლად შეირთო ეგაძის ქალი ევგენია (გენო), რომელიც ბიბლიოთეკრად იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში, რომელიც მაშინდელი თავად-აზნაურობის გიმნაზიის შენობაში (დღევანდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის) მეოთხე სართულზე იყო მოთავსებული, შენობის ჩრდილოეთ მხარეს, წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისა და საეკლესიო მუზეუმის გვერდით. ევგენიას სამი და ჰყავდა და ერთი ძმა, აგრეთვე დედა (მამა მაშინ აღარ იყო ცოცხალი). ეს დები ცხოვრობდნენ არაგვის ქუჩაზე, № 8 სახლში. ერთი და გამრეკელს ჰყოლოდა ცოლად, მეორე — ილია ფერაძის ცოლი იყო, მესამე — სერგი გორგაძისა, მეოთხე, ყველაზე უმცროსი, იოსებ ყიფშიძემ შეირთო. ესენი ყველანი საკუთარ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ, რომელსაც შიგნით პატარა ეზო ჰქონდა.

1914 წელს ზაფხულში მე რუსეთის აკადემიამ, ნ. მარის შუამდგომლობით, ეჩმიაძინში მიმავლინა, რომ შემესწავლა სომხური ხელნაწერების მიხედვით „ქებათა ქების“ სომხური ტექსტი და გამომერკვია მისი მიმართება ამავე ტექსტის ქართულ ვერსიასთან. ეჩმიაძინში ჩავედი ივლისში, როდესაც კოღოები ირეოდნენ ირგვლივ, განსაკუთრებით პატარა ტბის გარშემო, რომელიც მონასტერთან ახლოს იყო. ეჩმიაძინში ამ დროს მსახურობდა ერთი ქართველი გამომძიებელი, გვარად ხარაიძე, რომელიც თავის ოთახს კოღოებისაგან იმით იცავდა, რომ სულ დახურული ჰქონდა კარ-სარკმლები. მე მომათავსეს მონასტრის სასტუმროში. ჩემთან ერთად იქ იყო ერთი საზღვარგარეთელი სომეხი მოქანდაკე. კოღოები მკბენდნენ უწყალოდ, მთელი ღამეები თითქმის უძილოდ ვიყავი პირველად. ერთი ნახვით თვით კათალიკოზიც კი ვნახე და ვსთხოვე ნებართვა წიგნთსაცავის ხელნაწერებზე მუშაობისათვის. მაგრამ რის მუშაობა! კოღოებმა ისე შემაწუხეს, რომ იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ეჩმიაძინი. იქეთობას ეჩმიაძინში მივედი ეჩმიაძინის სადგურიდან, რომელიც 18-ოდე კილომეტრით არის დაშორებული ეჩმიაძინ დაბისაგან (ერევანში მაშინ რკინის გზა არ შედიოდა), აქეთობას კი ერევანს გავიარე, საიდანაც დიდებულად გამოჩნდა არარატის მთა. ერევანში ძალიან შევიქეც საუცხოო ქერამს (გარგალს), რომელიც სწორედ იმ დროს იყო შემოსული.

რაკი ეჩმიაძინში მუშაობა არ მოხერხდა, მე გადავწყვიტე სომხეთში ყოფნა ახალი სომხურის შესასწავლად გამომეყენებინა (ძველი სომხური პეტერბურგში შევისწავლე უნივერსიტეტში, ნ. მარის ხელმძღვანელობით). ამისთვის მირჩიეს ალექსანდროპოლში წასვლა, რომელიც საკმაოდ მაღალია და უმთავრესად სომხებით იყო დასახლებული. ერევნიდან ალექსანდროპოლისაკენ რომ მივდიოდი, გზაზე მატარებლიდან ჩამოვედი ანისის სადგურზე, საიდანაც დავეშვი ახურიანის ხეობაში, გადავედი მდინარეზედ, ავედი ანისში, სადაც ნ. მარი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სისტემებრ ყოველ ზაფხულს 1904 წლიდან. მე ავუხსენი ნ. მარს ჩემი ეჩმიაძინიდან გამოქცევის მიზეზი

და განზრახვა, რომ ალექსანდროპოლში ახალი სომხური შემესწავლა. ანისში იმ დროს იყვნენ ნ. მარის ცოლი (რომელიც ყოველთვის სადილებს უმზადებდა გათხრაში მონაწილე პირებს), გ. ჩუბინაშვილი, აშხარბეკ ქალანთარიანი, ფოტოგრაფი ვრუირი და სხვები.

მე იმ დღესვე წამოვედი ანისიდან, დავუჭექ სხვა მატარებელს და საღამოს ალექსანდროპოლში ვიყავი. ჩავიარე მთავარი ქუჩა და ერთ სახლში დავრეკე. ავუხსენი საქმის ვითარება და ვსთხოვე ერთი ოთახი. ბინის პატრონი აღმოჩნდა მასწავლებელი ჰაირაპეტ ლაზარიანი, რომელმაც ოთახი მომაქირავა. დავბინავდი თუ არა, იმ ღამეს ავად გავხდი: სიცხე მომცა, რომელიც თანდათან მაღლა-მაღლა იწევდა და გონება დავკარგე. მასპინძლების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ავადმყოფს მშვენივრად მივლიდნენ და მალე მოვიხედე, სიცხემ დამიკლო და ორიოდე კვირაში თანდათან გამოვკეთდი. თურმე ეჩმიაძინიდან იქაური კოლოების წყალობით მალარია წამომყოლოდა, რომლისაგან ძლივს გამოვრჩი.

ალექსანდროპოლს წინათ გუმბრი ერქვა, ამჟამად კი ლენინაკანი ჰქვია. როგორც კი წამოვიხედე, დავიწყე წიგნების კითხვა ახალ სომხურზე, გადავიკითხე რაფის რომანები („ნაპერწკლები", „დავით ბეკი" და სხვ.), მურაცანის „გეორგ მარზპეტუნი" და სხვა, და ძალიან გავიწაფე ახალ სომხურში.

ალექსანდროპოლში ჩემი ყოფნის დრო დაემთხვა პირველი მსოფლიო ომის გამოცხადებას, 1914 წლის 14 აგვისტოს. სომხები აღტყინებულები იყვნენ: მოსალოდნელი იყო, რომ მალე ოსმალეთი ომში ჩაერეოდა, და იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალეთის სომხეთი განთავისუფლდებოდა, ადგენდნენ მოხალისეთა რაზმებს და სხვ. მე ეს აღტყინება და საომარი ფაციფუცი, სომხების მხრივ მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ, არ მიმაჩნდა მიზანშეწონილად და ამას არც ვმალავდი და ჩემს იქაურ ნაცნობებს ვეუბნებოდი, რომ გერმანიამ ინგლისს ომი გამოუცხადა არა იმისთვის, რომ სომხები გაათავისუფლოს-მეთქი. აქ სულ იმპერიალისტური სახელმწიფოების წამოწყებული საქმეებია, (სულ სხვა მიზნით, ვიდრე თქვენი ოსმალეთისაგან განთავისუფლების საკითხი-მეთქი. თქვენ დიდი საფრთხილე გმართებსთ-მეთქი. ამ ჩემ გულწრფელ რჩევას სომხები ეჭვის თვალით ხვდებოდნენ. ბოლოს ვიფიქრე: მაგათ ეგების ოსმალეთის აგენტადაც კი მიმიჩნიონ-მეთქი და რჩევა-დარიგებას დავანებე თავი.

ჩემი შიში საფუძვლიანი გამოდგა. ოსმალეთი ომში ჩაება, რუსეთის ჯარი შორს შეიჭრა ოსმალეთის საზღვრებში, მას სომხური მოხალისეობა ალფრთოვანებით ეგებებოდა, მაგრამ როცა რუსეთის ჯარი იხევდა უკან ტაქტიკური მოსაზრებით, ოსმალები მისდგებოდნენ სომხის სოფლებს და ანადგურებდნენ: თქვენ რუსეთს ეხმარებოდითო და სხვ. სომხებს ჰსურდათ ოსმალეთის სომხეთი გათავისუფლებულიყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის სომხები ან გაწყდნენ, ან გაწყვიტეს, ან გაიხვეწნენ ოსმალეთიდან და გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყანაში.

იოსებ ყიფშიძეს შავი წვერ-ულვაში ამშვენებდა და შავი თმა (გვერდებზე და უკან, წინ კი მელოტი იყო), სახეც ლამაზი ჰქონდა. შავ თმას და თეთრ სახეს რუსის ქალებში დიდი მოწონება ჰქონდა. ერთიც ვნახოთ, იოსებს გადაეკიდა ერთი ქალი, გრძელ-გრძელ წერილებს სწერდა და მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ იოსებმა შორს დაიჭირა თავი და ახლოს არ გაიკარა (ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ უცოლო იყო, პეტერბურგში).

იოსებ ყიფშიძე ამზადებდა გამოსაცემად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ხელნაწერების მიხედვით.[1] სხვათა შორის, მან ამისთვის გამოიყენა სააზიო მუზეუმის ხელნაწერიც, რომლის ვარიანტების ამოსაწერად დადიოდა მუზეუმში. იმჟამად იგი ბინად იდგა ხუთ კუთხესთან ახლოს (у Пяти углов).

ერთხელ მივედი მის ბინაზე და იოსები შინ არ დამხვდა, იგი მუზეუმში ყოფილიყო ხელნაწერზე სამუშაოდ. ცოლს პატარა გოგია ჰყავდა და ტირილით შემომეგება: ვარ ამ გამოყრუებულ ოთახში მარტო ამ ბავშვითურთ და გული მაქვს გაწყალებული, ვიდრე იოსები დაბრუნდებოდესო. შემოალო ამ დროს კარი იოსებმა და გენო ერთბაშად დაწყნარდა.

ერთხელ ივანე ჯავახიშვილმა მითხრა: მოდი, ვეწვიოთ იოსებ ყიფშიძესაო. წავედით, მივედით, იოსები შინ დაგვხვდა. პატარა გოგიას რაღაც ეწყინა და ფეხებს დაუწყო იატაკზე ცემა.
— ო, ამას ფეხების ტყაპუნი სცოდნიაო, თქვა ივანე ჯავახიშვილმა.

1917 წლის ზაფხულში, როდესაც რუსეთის ჯარს აღებული ჰქონდა ოსმალეთის ნაწილი და, სხვათა შორის, ლაზისტანი (ანუ ჭანეთი), იოსებ ყიფშიძე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიავლინა ჭანეთში და მან იქ შეკრიბა დიდძალი მასალა ჭანური ენის შესახებ. ეს მასალა, როგორიღაც მანქანებით ხელში ჩაიგდო ერთმა არა-კეთილსინდისიერმა კაცმა, გვარად ციტაშიმ, რომელსაც ჭანად მოჰქონდა თავი, წაიღო ბაქოში და, როგორც

1. იოსებ ყიფშიძეს არ დასცალდა ამ ლექსიკონის გამოცემა. იგი დაიბეჭდა 1928 წ. თბილისში მისი და ჩემი რედაქციით.

ეროვნული

ჰგავს, მის ხელში რამდენადმე დააკლდა იოსებ ყიფშიძის მიერ შეკრებილ მასალებს. შემდეგ არნოლდ ჩიქობავას მეცადინეობით, მოხერხდა გადარჩენილი მასალების მიღება თბილისში და მათი დაბეჭდვა იმავე ა. ჩიქობავას მიერ.

ნ. მარმა 1910 წელს გამოაქვეყნა ჭანური ენის გრამატიკა, ხოლო იოსებ ყიფშიძემ 1911 წელს დაბეჭდა დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ. ამისთვის მან იმოგზაურა მურღულის ხეობაში 1910 წელს. მანვე გამოაქვეყნა იმავე 1911 წელს ჭანური ლექსი „ბიჭი და გოგო“, რომელიც მან ჩაიწერა ოჩამჩირეში აზლალაშელი ჭანისაგან.

მთავარი დამსახურება ი. ყიფშიძისა მეცნიერების წინაშე არის მისი მეგრული ენის გრამატიკა, ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ, რომელიც მან დაბეჭდა 1914 წელს და იმავე წელს სამაგისტრო დისერტაციაც დაიცვა. თეორიულ ნაწილში, გრამატიკა და ლექსიკონი აგებულია მარის თეორიულ მოსაზრებათა მიხედვით, რაც იმდროისათვისაც კი არ იყო მისაღები. მიუხედავად ამისა, შიგ მოყვანილი ფაქტობრივი მასალა მეტად ფასეულია და დიდხანს დარჩება სამაგიდო წიგნად სპეციალისტთათვის.

იოსებ ყიფშიძემ შეადგინა და 1918 წ. გამოსცა პეტროგრადში ძველი ქართული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, რომლის საქრესტომათიო მასალა მთლად შევიდა ნ. მარისა და ბრიერის მიერ პარიზში 1931 წ. ფრანგულად გამოცემულ „ქართულ ენაში“.

ი. ყიფშიძისა და ჩემი პეტროგრადს გამგზავრების შესახებ დიდი ოქტომბრის წინა დღეებში სხვაგან მაქვს მოთხრობილი და აქ აღარას ვიტყვი.

უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ი. ყიფშიძე ლექციებს კითხულობდა ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამასთანავე იგი იყო მდივანი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა. მისი უნივერსიტეტში მოღვაწეობა მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა. 1919 წლის თებერვალში ავად გახდა პარტახტიანი ტიფით, ექიმებმა ვერა უშველეს და უდროოდ გარდაიცვალა მეტად ნიჭიერი და დიდად მშრომელი პროფესორი, რომლის დაკარგვა მწვავედ განიცადა ახლად დაარსებულმა უნივერსიტეტმა. დავასაფლავეთ დიდუბის პანთეონში.

მის დასაფლავებაზე მოვიწვიეთ მამა მისი, მღვდელი ალექსი, რომელიც ცხოვრობდა სოფელ სიმონეთში, ყვირილის მარჯვენა მხარეს, აჯამეთის სადგურიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი წელიც, რომ გარდაიცვალა ჭლექისაგან იოსების უმცროსი ძმაც, დავითი, რომელიც უნივერსიტეტში ძველი სომხურის ლექტორად იყო მოწვეული. დავითი დავასაფლავეთ იმავე დიდუბის ეზოში, ეკლესიის დასავლეთით, მაგრამ შემდეგ მოხერხდა მისი გადასვენება უფროსი ძმის გვერდით. შემდეგ იქვე დასაფლავებულ იქნა იოსების მეუღლე გენოც.

ცოტა ხანს იცოცხლა იოსებ ყიფშიძემ, მაგრამ მან დიდად შეუწყო ხელი ქართველურ ენათა შესწავლის საქმეს. მისი ამაგი ქართველთმეტყველების დარგში მეტად მნიშვნელოვანია. იოსებ ყიფშიძემ გვიჩვენა, როგორ უნდა თავის დადება მეცნიერებისა და სამშობლოსათვის და რა შეუძლია პატიოსანსა და შეუნელებელ შრომას ქვეყნის სამსახურისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

### ვაჟა-ფშაველა და „ლაოკოონი“

**იოსებ იმედაშვილი:**

— რამდენჯერ მოსულა ჩემთან ვაჟა, ჩაბალახში, ქონის ნაჭერთან და ხმიადთან ერთად, ლესინგის „ლაოკოონი“ ჰქონდა ჩადებული. წამოწვებოდა, კითხულობდა.

ერთხელ ვუთხარი:

— ვაჟა, რა არის, სულ ერთთავად მაგ წიგნს კითხულობ. აქამდე ვერ გაათავე?

— განა ამას ერთი და ორი წაკითხვით მორჩები, რატომ ბარემ ათჯერ არ უნდა წაიკითხოო, ეს ისეთი წიგნიაო, — მიპასუხა.

3. X. 47.

* * *

### ვაჟა-ფშაველას ცხენები

**ვახტანგი** (ვაჟას შვილი):

— ოჯახში ღარიბად ვცხოვრობდით. ჩვენ საცხოვრებელს შეადგენდა: ოთხი თუ ხუთი სული საქონელი, ერთი ცხენი ნიკორა, რომელიც მამაჩემს ძალიან უყვარდა, იტირა კიდეც, როცა ის ცხენი მოუკვდა. შეეცოდა. შვინდისფერი, ჭკვიანი, გონიერი ცხენი იყო.

შემდეგ წითელი ფერის ცხენი ჰყავდა და სიფიცხის გამო ამ ცხენს სახელად ცეცხლას ეძახოდა.

...ერთი პატარა გომური გვქონდა, შემდეგ საცხენე მშრალი ყორისაგან ცეცხლასთვის ცალკე ააშენა მამაჩემმა სახლის ახლო, რომ ცხენი ადვილად არავის მოეპარა.

მისი აშენება მარტოკას მოუხდა, კედლები თავის ხელით აიყვანა, შორიდან მოჰქონდა ზურგით მძიმე ქვები, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ხელიც კი დაიწეწკა ქვებზე, რამდენჯერმე დაისისხლიანა. სახეზე და ტანზე ქვის მტვერი თეთრად ედო.

ბოლოს თავზე მუხების დაწყობაში, იშველია მეზობლები და რამდენიმე ხანში დაამთავრა ეს შენობა.

მამაჩემს შეუპოვარი ხასიათი და გაბედული გული ჰქონდა. პირველად რომ თავის ცხენს ცეცხლას სწვრთნიდა, ხალხი უშლიდა, ფიცხი, გაუხედნავი კვიცი ცხენია და მაგ ცხენის ამ ბექებიან ადგილებზე გაჭედნა საფრთხილოაო. პირველად ჭალაზე უნდა ჩაიყვანო. ქვიანი ხურჯინი აჰკიდოთ, კარგა რომ დაიღლება. მხოლოდ მაშინ შეიძლება ადამიანი შეჯდეს ასეთ ცხენზეო.

— ვინც ბიჭია, ცხენს ყველგან გახედნის, — თქვა მამამ და გაედევნა ფაფარში მარცხენა ხელწავლებული გაქცეულ კვიცსა.

ცხენმა ჰაერში კამარა გააკეთა და ბოლოს ორჯერ თუ სამჯერ შემოტრიალდა თავის გარშემო.

ვაჟას ტანზე უსარტყლო, ძლივს ჩოხა ეცვა და თავზე თეთრი ყაბალახი ჰქონდა წაკრული. ცხენის ფაფარიდან მაინც ხელი არ გაუშვია და თავქვე გადაფრენილ ცხენს მოახტა ზურგზე.

ცხენმა სახეში თავი დაჰკრა, ერთხელ კიდევ გადმოაგდო — გომურის ყურეს შეაწყვიტა, მაგრამ ვაჟა მაინც არ მოეშვა და ზედვე მოევლო ცხენს.

როცა კარგად დაღალა და დაქანცა ცხენი, გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: როგორია ბიჭიო!

ხალხში დიდი სიცილი და დიდი გაკვირვება იყო. დედაჩემი ეჩხუბებოდა, მაგრამ მამამ მაინც თავისი გაიყვანა.

ვახტანგის მოგონებიდან.

16. XII. 47.

### გოეთეს „ტყის მეფე“

**სიმონ ჩიქოვანი:**

— გორში ყოფნის დროს თავისთან სადი-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მიმიწვია ზაქარია ედილაშვილმა. ის და მისი მოხუცი მეუღლე ძალიან კარგად გამიმასპინძლდნენ. ზაქარიასაგან გავიგე ზოგი რამ საინტერესო მისი მეუღლის ბიოგრაფიიდან.

ზაქარიას მეუღლე, დარიკო, ჩარკვიანის ქალია. დედ-მამა ადრე დახოცვია, სწავლობდა გორის საქალებო სასწავლებელში. ობოლი ცხოვრობდა თავის ნათესავის (გვარი აღარ მახსოვს, მგონი ლამბარაშვილის) ოჯახში.

მე ვნახე დარიკოს მოსწავლეობის დროინდელი ფოტოსურათი. მშვენიერი ქერა გოგონაა გამოსახული ფოტოზე.

დარიკოს სახლის პირდაპირ ცხოვრობდნენ ჯუღაშვილები. მოწაფე სოსო ყოველდღე ხატავდა დარიკოს. ის გატაცებული იყო ახალგაზრდა გოგონათი.

მან აკროსტიხიც კი უძღვნა მას. ახლა ამ აკროსტიხიდან მხოლოდ ლექსის ნაწილი ახსოვს დარიკოს.

ერთხელ სკოლაში დარიკოსა და მის ამხანაგებს ლექსების თარგმნა დაავალა მასწავლებელმა. დარიკოს უნდა ეთარგმნა რუსულიდან ლექსადვე გოეთეს „ტყის მეფე".

დარიკომ საშველად სოსოს მიმართა. მართლაც, სოსომ მეორე დღეს მოუტანა თარგმანი.

როცა გაკვეთილზე დარიკომ წაიკითხა „თავისი" თარგმანი, მასწავლებელს მოეწონა და ჰკითხა გაკვირვებით — ნუთუ შენ სთარგმნეო, თან ოთხიანი დაუწერა.

დარიკო გაწითლდა და გამოტყდა თვალცრემლიანი, — ამხანაგმა მითარგმნაო.

როდესაც სოსო შეხვდა, უამბო ყოველივე. სოსომ ჰკითხა, რამდენი დაგიწერა ნიშანიო. როცა გაიგო, რომ ოთხიანი დაუწერეს თარგმანისათვის, თქვა: — ეჰ, მეტის ღირსიც არ იყო, საჩქაროთ, ერთ ღამეში გადავთარგმნეო.

როცა სოსო თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, დარიკოც თბილისში იყო. ხშირად დადიოდა სემინარიის ეკლესიაში ლოცვაზე.

სოსო მგალობელთა გუნდში გალობდა, როცა დაინახავდა თურმე დარიკოს მისალმების ნიშნად ცალ თვალს ჩაუკრავდა.

14. 1. 48.

* * *

**ლეო ქიაჩელი და მეფის დამსჯელი რაზმი**

**ლეო ქიაჩელი:**

— 1906 წელს მე, როგორც „ზუგდიდის რესპუბლიკის" ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი, მთებში ვიყავი გაქცეული და ვიმალებოდი.

ზუგდიდში ამ დროს მოსულიყო ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმების ერთი ნაწილი, ოფიცერ ბესარიონ ჩიქოვანის მეთაურობით.

ვალოდია ალშიბაიასთან სადილზე ბესარიონს უთქვამს, ზუგდიდში კიდევ ბევრი მყავს გადასაწვავი, აქ ერთი შენგელაია ყოფილა (მე მგულისხმობდა), თუმცა გაგვექცა, ხელში ჩავიგდეთ, მაგრამ მის სახლს უსათუოდ დავწვავო.

ეს ამბავი ვალოდიას დედაჩემისათვის უთქვამს და ურჩევია, განცხადება მიეცი ჩიქოვანს, თითქოს შენი შვილი რევოლუციური საქმიანობისათვის სახლიდან გაძევებული გყავდა, მასთან არაფერი საერთო აღარ გაქვს დიდიხანია და ამიტომ გთხოვთ სახლს ნუ გადამიწვავთ, როგორც უპატრონო ქვრივს-თქო. მართლაც, დედაჩემის თანხმობით, ვალოდიას დაუწერია განცხადება, ჩიქოვანისათვის მიუცია და თითონაც უშუამდგომლია, რადგან მასთან კარგ განწყობილებაში იყო.

ჩიქოვანს შეუწყნარებია მისი თხოვნა. ასე გადარჩა ჩვენი სახლი გადაწვას.

მეზობლები ყოველწუთს ელოდნენ თურმე, აი საცაა მოვლენ, ცეცხლს წაუკიდებენ ლეოს სახლსო. ცეცხლის შიშით, ყველა მახლობელ მეზობლებს სახურავები გადაუხდიათ თავიანთი სახლებისათვის, ჩვენზედაც არ გადმოვიდეს ხანძარიო.

**სიმონთან კაბინეტში,**

მოგონება წარსულ დროისა

**7. I, 48**

* * *

**გუთანი**

**გ. ნატროშვილი:**

— გამიგონია, ქიზიყში იყო ცნობილი ყაჩაღი მიხა ჭუჭულაშვილი (ანუ მწერლიშვილი). შეურიგებელი მტერი იყო სტრაჟნიკების, სოფლის წურბლების, მამასახლისების. ერთხელ ერთ ბობოლა გლეხს შეუთვალა, შენს მოჯამაგირეს ნუ სჩაგრავ და ჯამაგირიც მიეცი, თორემ მოგკლავო, იცავდა საწყალ გლეხებს. ბობოლამ შემოუთვალა, შენ არავინ გკითხავს, ჩემს მოჯამაგირეს მე გავუსწორდებიო. ამაზე გადაემტერა ჭუჭულაშვილი. ერთხელ მინდორში წაადგა თავს, ის გლეხი გუთანს ეკიდა, ხნავდა.

— ახლა კი დადგა შენი აღსასრულიო, — უთხრა ჭუჭულაშვილმა, აქეთ გამოდი, გუთანზე ვერ მოგკლავო.

ეს რომ გაუგონია, შეშინებული გლეხი მკლავებით ჩაეჭიდა გუთანს, ვერასგზით ვერ ააგლიჯეს.

გადარჩა. არ მოჰკლა ყაჩაღმა კაცი გუთანზე. მას თითონ გლეხს, გუთნის რიდი და პატივისცემა ჰქონდა, როგორც გლეხის მარჩენალის, არ შებღალა იგი სისხლით.

**საუბარი რედაქციაში**

1. VI. 49.

* * *

**ბატის ფრთა**

**ს. ჩიქოვანი:**

— რუსთაველის საიუბილეო თარიღისათვის, 1937 წელს, სერგო ქობულაძემ დახატა შოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი. ის მაგიდასთან ზის, ხელში ბატის ფრთის კალამი უჭირავს და წერს. სურათი გამოფენაზე დაკიდეს. გამოფენის გახსნამდე კომისიამ დაათვალიერა. ივანე ჯავახიშვილი შედიოდა ამ კომისიაში.

მახსოვს, როდესაც ივანემ თვალი შეავლო ქობულაძის სურათს, პირველად ესა თქვა:

— ტყუილია, ეგ არ შეიძლება!

ვკითხე, რა არის ტყუილი, რა არ შეიძლებათქო.

— იმ დროს ბატის კალამი არ იცოდნენ, ლერწმით წერდნენო, — გვიპასუხა სახელოვანმა მეცნიერმა.

20. VI. 49.

* * *

**ახმატოვა და ბუნინი**

**სიმ. ჩიქოვანი:**

— ერთხელ ანა ახმატოვამ მითხრა კერძო საუბარში, როცა ბუნინზე ჩამოვარდა ლაპარაკი: ჭირივით მძულს იგიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ თქვა: „პირადად არ ვიცნობდი, არც თვალით მენახა, ისე დასწერა მან ჩემზე ბოროტებითა და გესლით აღსავსე ლექსი“.

ამის შემდეგ ნათელი გახდა, რად სძულდა ასე ახმატოვას ბუნინი.

8. XI. 49.

* * *

**ჩაიკოვსკი და ქართული იავნანა**

კომპოზიტორი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი, გარდა ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისა, საქართველოში ეწეოდა დიდ მუშაობას მუსიკალურ სასიმღერო ფოლკლორის შესაგროვებლად. ამ მიზნით მან არაერთხელ იმოგზაურა კახეთში, სადაც მრავალი ხალხური სიმღერა ჩასწერა მათ შორის კახური „იავნანა“, რომელიც შემდეგ პ. ი. ჩაიკოვსკიმ გამოიყენა არაბული ცეკვისათვის ბალეტ „შჩელკუნჩიკში“.

6. XI. 49.

* * *

**კნუტ ჰამსუნის მწარე სიბერე**

**მიკოლა ბაჟანი:**

— კნუტ ჰამსუნი უკვე გამოშვებულია ციხიდან. ის და მისი ცოლი, ორივე ღრმად მოხუცნი, ახლა მოთავსებულნი არიან თავშესაფარში, რომელიც ზღვასთანაა გაშენებული.

მთელი დღეობით ზის თურმე იგი ზღვის პირას და ერთობა წყალში კენჭების სროლით. მოხუცებულობის სიჩერჩეტე თანდათან ერევა ოდესღაც მსოფლიოში სახელგანთქმულ მწერალს, რომელმაც შემდეგ, ხანდაზმულობის ასაკში, წარუშლელი ლაქა დაადვა თავის ბიოგრაფიას სამშობლოს მოღალატეობით.

**საუბარი სიმონის ბინაზე**

15. XI. 49.

* * *

**პოეტი ნ. ზაბოლოცკი ვაჟაზე**

ვაჟა-ფშაველა ქართველი შექსპირია. იგი ეკუთვნის არა მარტო ქართველ ხალხს, ის მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა საამაყო პოეტია. რამდენიმე წლის შემდეგ ის გახდება მსოფლიოში სახელგანთქმულ მწერლად.

ემზადეთ ამ დროისათვის! გამოეცით ღირსეულად მის თხზულებათა კრებული. დასწერეთ ამ ბუმბერაზის ბიოგრაფია, საკადრისი მისი სახელისა და შემოქმედებისათვის!

16. XII. 49.

**სიმონის ბინაზე**

* * *

**ნატვრა**

**გ. ლეონიძე:**

— ერთხელ პეტრე კაპანაძემ მიამბო, სტალინთან რომ ვიყავი, ძველი ამბები გავიხსენეთო. სოსოს მოაგონდა თავისი ბავშვობა და ინატრა, ნეტავ ერთი გორის ქუჩაში გამატარაო... ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ერთი გორის დუქნური პური მაჭამა!

2. III. 50.

* * *

**მაიაკოვსკის მოგონებიდან ამერიკაზე**

**კარლო კალაძე:**

—ერთხელ თბილისში ჩამოსულმა მაიაკოვსკიმ გვიამბო ახალგაზრდა პოეტებს:

— ამერიკაში ერთ დიდ აუდიტორიაში გამოსვლა მქონდა. მოხსენების და ლექსების შემდეგ ვუპასუხებდი შეკითხვებზე. ჩემს გასაბიაბრუებლად ვიღაც ადგა და ინგლისურად შემეკითხა რაღაცას. ალბათ იცოდა, რომ ინგლისური არ მესმოდა. მე ბევრი არ დამიყოვნებია და პასუხად რამდენიმე ფრაზა ვუთხარი ქართულ ენაზე. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, ალბათ გაუკვირდათ, არ იცოდნენ, რა ენაზე ვლაპარაკობდი.

ამ დროს ქანდარიდან მომესმა ქართულ ენაზე:

— კაცო, სადაური ხარ შენ?

— ქუთაისელი. — ვუპასუხე მეც ქართულად, გაკვირვებულმა, რომ ამდენ ხალხში, ამერიკაში, ქართველი კაცის ხმა გავიგონე, ალბათ ის ქართველი ჩემზე უფრო გაკვირვებული იყო იმ წუთში, ალბათ ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ მე ქართულად დაველაპარაკებდი, ამას კი ვერასოდეს“.

მაიაკოვსკი ლაპარაკობდა იმერული აქცენტით, — წევიდა, მევიდა, დევინახე და სხვ.

28. IV. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

**მაიაკოვსკი და პარიზელი ქართველი ქალები**

ლეო ესაკია:

— ევროპაში მაიაკოვსკის პირველი მოგზაურობის დროს, 1922 წელს, პარიზში, სამხატვრო გამოფენის („საშემოდგომო სალონი") დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევს დარბაზში ახლად შემოსული მაიაკოვსკი.

დამსწრეთა შორის არიან პარიზის უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი, მდიდრულად ჩაცმული ქალები: ორი ახალგაზრდა და ერთი ხანდაზმული. ისინი ლორნეტით ათვალიერებენ სურათებს, უფრო კი საზოგადოებას. ამ დროს ხალხში გამოჩნდა მაიაკოვსკი. ის ქალების მიმართულებით მიდიოდა. როცა ის ქალების ჯგუფს გაუსწორდა, ერთი იმ ქალთაგანი, ისეთი გამომეტყველებით, თითქოს საუბარს განაგრძობსო, ქართულად ეკითხება მეორეს მაიაკოვსკის შესახებ:

— ვინ არის ეს დათვი?

ის დარწმუნებული იყო, რომ უცნობმა რასაკვირველია, არ იცოდა ქართული. მაგრამ დახეთ უბედურებას! „დათვი" შემობრუნდა და ქართულადვე უპასუხა:

— დათვი კი არა, კაცი გახლავართ!

ქალები გაშრნენ, შემდეგ გაფითრდნენ, ბოლოს კი „ჭარხალივით" გაწითლდნენო, ჰყვებოდა მაიაკოვსკი, — ამის შემდეგ მე იძულებული ვიყავი ჩქარა გავცლოდი მათ.

20. V. 50.

* * *

**ლესია უკრაინკას ქართველი მეგობარი**

დიმიტრი კოსარიკი ჩამოვიდა უკრაინიდან. მისი მიზანია მოიპოვოს მასალები ლესია უკრაინკას საქართველოში ყოფნის შესახებ, მისი ნაცნობების და მეგობრების შესახებ თბილისსა, თელავსა და ხონში. კოსარიკი იყო სურამში, სადაც გარდაიცვალა ლესია, იყო თელავშიც. ყველგან მან ჩაიწერა მოგონებები ლესიას ნაცნობ პირთაგან. მაგრამ ყველაზე უხვი და საინტერესო მასალა მან მოიპოვა თბილისში. მან მოსძებნა ოთხმოცი წლის ნესტორ ლამბარაშვილი, რომელიც თავის სტუდენტობის წლებში ცხოვრობდა ლესია უკრაინკას მშობლების ბინაში, იცნობდა და მეგობრობდა ლესიას და მისი ოჯახის წევრებს.

კოსარიკმა გადმომცა ნესტორ ლამბარაშვილის ნაამბობი, თუ როგორ გაეცნო იგი ლესიას.

„მე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. 1894 წელს ნიკოლოზ II-ის ტახტზე ასვლის გამო ჩვენ პროტესტი გავაცხადეთ, შევიკრიბენით სტუდენტები, რომ პეტიცია გამოგვემუშავებინა. ფორმისათვის გრძელი სუფრა გავშალეთ, ვითომ ქეიფი გვქონდა. პოლიცია მართლაც დაგვესხა თავს. მე ვთქვი, რომ ჩემი დღეობის გამო მყავს მოწვეული ამხანაგები-თქო. ყველანი წაგვასხეს პოლიციაში, რამდენიმე ხნის პატიმრობის შემდეგ მოსკოვში ცხოვრება აგვიკრძალეს და ჩვენც იძულებული გავხდით სხვა ქალაქებში გვეძებნა სასწავლებელი.

მე მოვხვდი კიევში. უნივერსიტეტის მახლობელ უბნებში დავიწყე ძებნა ბინისა, ერთ ადგილას განცხადება ვნახე ფანჯარაზე — ოთახს აქირავებდნენ. შევედი იმ სახლში, და ვიქირავე ოთახი; ოჯახი, რომელიც აქირავებდა ოთახს, ლესია უკრაინკას მშობლებისა აღმოჩნდა.

მე აქ ოთხ წელიწადს ვიცხოვრე და ახლო მეგობრობა მქონდა როგორც ლესიასთან, ისე მის მშობლებსა და დებთან.

კოსარიკმა მაჩვენა ყველაფერი, რაც მან მოიპოვა ნესტორ ლამბარაშვილთან, ეს არის:

1. ლესია უკრაინკას სურათი მიძღვნითი წარწერით ნესტორისადმი. 2. ლესიას დედის — ოლენა პჩილკას სურათი. 3. ლესიას დების და ძმის სურათი, — ყველანი წარწერით. 4. ალფრედ დე მიუსეს ლექსების წიგნი ფრანგულ ენაზე, ლესიას შესანიშნავი წარწერით, სადაც ნესტორს იგი უწოდებს „მასწავლებელს, მოწაფეს და ამხანაგს" (მასწავლებელს იმიტომ, რომ ნესტორი მას ქართულ ენას ასწავლიდა, მოწაფეს იმიტომ, რომ ნესტორს იგი ფრანგულ ენას ასწავლიდა). გარდა ამისა, ნესტორს კოსარიკისათვის მიუცია თავისი მოგონებანი ლესიასთან ნაცნობობისა და მეგობრობის შესახებ, აგრეთვე თავისი ახალგაზრდობის დროის ფოტო.

ნესტორ ლამბარაშვილი ცხოვრობს პეტრიაშვილის ქ. № 23-ში. ჰყავს მოხუცი ცოლი და ხანდაზმული ქალიშვილი — ექიმი რომელიღაც სკოლისა. მიუხედავად თავისი 80 წლისა, ნესტორი მსახურობს ნაკრძალი მამულების სამმართველოში, კვირაობით სანადიროდ დაიარება საგურამოსაკენ და სხვაგანაც.

კოსარიკმა ბევრი ისეთი მასალა მოიპოვა და წაიღო კიევში, რომელიც ჩვენ, ქართველ მწერლებსა და მკვლევარებს უნდა მოგვეპოვებინა. მაგრამ ჩვენ ძალიან უზრუნველები ვართ. ეს მასალა აქ უნდა დარჩენილიყო, როგორც საუნჯე ჩვენი ლიტერატურული მუზეუმისა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში თქვა ახალგაზრდა ილიამ: „დაუდევარნი ვართ ქართველები, და ეს მოგვიღებს ბოლოს, თუ არ გავსწორდითო".

**17. I. 1951 წ.**

* * *

**ვაჟა-ფშაველას თხოვნა**

**ი. გრიშაშვილი:**

— ერთხელ, ახალგაზრდა პოეტი ვიყავი (1913), ქართულ კლუბის ეზოში ვაჟა-ფშაველამ დამინახა, მიმიხმო თავისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, — მითხრა მან.

— მზად ვარ გემსახუროთ.

— ჩემს სალამოზე მინდა რომ მონაწილეობა მიიღოთ.

— ბატონი ბრძანდებით.

— მხოლოდ ჩემი ლექსი უნდა წაიკითხოთ, ყველა მონაწილე ჩემს ლექსს კითხულობს.

— ბატონო ვაჟა, მე მიჩვეული ვარ მხოლოდ საკუთარი ლექსების წაკითხვას.

— არა უშავს რა. მე წავიკითხე თქვენი ლექსი „რომ არ მწყალობ". მომეწონა, მხოლოდ „რომით" დაწყება წინადადებისა არ შეიძლება. ჰოდა, სწორედ მაგ ზომის ლექსი მაქვს „გოგო, განხე ფეხშიშველი", შენ იმას კარგად წაიკითხავ, შენი ყაიდის ლექსია, აბა შენ იცი, უარს ნუ მეტყვი.

რაღას გავაწყობდი, დავეთანხმე.

დავიწყე ამ ლექსის მზადება ზეპირსათქმელად. სამწუხაროდ, ვაჟას სალამოზე მონაწილეობა ვერ მივიღე. ჩრდილოეთ-კავკასიაში მომიხდა წასვლა, რადგან იმ ხანებში ჩემი მეცენატი ელიაძე გარდაიცვალა, მის დამარხვას დავესწარი.

18. I. 51.

* * *

### საკვირველი შეხვედრა

**ილია ბაჩელისი:**

— ერთხელ, 1929 წელს ციმბირში ვიყავი, ქ. ირკუტსკში, იქ ერთი მოხუცი ექიმი გავიცანი. მთელი ცხოვრება ციმბირში გაეტარებინა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი აქ გამოეგზავნათ ერობის ექიმად და მერე აქ დარჩენილა, 80 წლის იქნებოდა.

ბევრი რამ საინტერესო მიამბო ამ მოხუცმა ექიმმა. მათ შორის აი რა დამამახსოვრდა.

— ერთხელ სასწრაფოდ გამომიძახეს მოხუცი მემამულის ქალის, გრაფინია ლანსკაიას სანახავად. მარხილში ჩავჯექი, წავედი... ავადმყოფი სავარძელში იჯდა, მუხლები პლედით ჰქონდა დაფარული. გავსინჯე, მხოლოდ მუხლები არაფრით არ გამასინჯია (მერე გავიგე, გასივებული ჰქონდა და არ უნდოდა ვინმეს ენახა).

მე გამოვუწერე წამლები და ვუთხარი ხვალიდანვე გადასულიყო სათანადო დიეტაზე. მან მითხრა, რომ ერთი თვის განმავლობაში ვერ შევასრულებ თქვენს დანიშნულებასო. მე გამიკვირდა, ვკითხე რა იყო მიზეზი ამისა. მან მიპასუხა, რომ ამ თვეში მისი პირველი ქმრის მოსაგონარი დღეებია და მთელი ეს ხანი მას არ შეეძლება დიეტის დაცვა და ექიმის დანიშნულების შესრულება.

— ვინ იყო თქვენი პირველი ქმარი? — შევეკითხე მოხუც გრაფინიას.

— ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი — მიპასუხა მან ჩუმად...

გენერალ ლანსკოის ბაიკალის იქით მხარეში მამულები ჰქონია. მისი სიკვდილის შემდეგ, მისი მეუღლე, ნატალია გონჩაროვა იქ გადასახლებულა და მთელი სიცოცხლეც იქ გაუტარებია, ქმრის მამულში. იგი პუშკინა-ლანსკაიას გვარს ატარებდა თურმე.

**სიმონის ბინაზე.**

29. I. 1951.

* * *

**ი. გედევანიშვილის „სინათლე" თურქეთში**

**ვაგრამ ფაფაზიანი** (სახალხო არტისტი):

— იოსებ გედევანიშვილის ფეერიული ზღაპარი-პიესა „სინათლე" ოთხი წლის განმავლობაში იდგმებოდა თურქეთის დიდ ქალაქებში — სტამბოლსა და ანკარაში (თუ ოთხი წლის წინათ? ლ. ა.).

ფაფაზიანმა ეს გვიამბო კიევში, სასტუმრო „კონტინენტალის" რესტორანში, 1939 წლის ზაფხულზე (რუსთაველის თეატრის გასტროლების დღეებში).

* * *

### სიმონ ქვარიანი და გრ. აბაშიძე :

**ვუკოლ ბერიძე:**

— ახალგაზრდობისას სიმონ ქვარიანი უცხოეთში (საფრანგეთში) სწავლობდა, სასოფლო-სამეურნეო განათლება მიიღო. სამშობლოში დაბრუნებული საჯარო ლექციებს კითხულობდა, ორიგინალურ შეხედულებებს გამოსთქვამდა. მაგალითად, ერთხელ ქუთაისში წაიკითხა ლექცია, ამტკიცებდა: ქართულ ენას ბევრი არა კეთილხმოვანი ბგერა აქვს და უნდა განვდევნოთო, ასეთებიაო ძ, წ, ჭ, ჯ და სხვაო.

ლექციას, სხვათაშორის, პოეტი გრიშა აბაშიძეც დაესწრო. ის ძალიან ენამახვილი კაცი იყო. ადგა და მიმართა ქვარიანს — მაგ ასოებს თუ გადავაგდებთ, მომავალში იმის მაგივრად, რომ გითხრა „ძვირფასო ძმაო სიმონიქო", ასე უნდა მოგმართო: „ვირფასო მაო სიმონო", — და ეს კარგი საქმე იქნებაო?

24. II. 52.

* * *

### ნ. ნიკოლაძე — მოხუცი

**პავლე ინგოროყვას ნაამბობიდან:**

1.

— „ქართული წიგნის" გამომცემლობა რომ დავაარსეთ, ხშირად დავდიოდი ნიკო ნიკოლაძესთან შავი ქვის საზოგადოება „ჩემო"-ში, სადაც ის თავმჯდომარედ იყო. ნიკოლაძე ჩავრიეთ ჩვენ საქმეში, ჩვენი გამომცემლობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ.

ერთხელ მივედი. კარგ გუნებაზე დამხვდა. ის ამ დროს (1928) უკვე ძალზე მოხუცი იყო (85 წ.), მაგრამ მაინც ხალისიან და მაგარ კაცად ჩანდა.

მის კაბინეტში რომ შევედი, ადგა, ქუჩისკენ აივანზე გამიყვანა. გაზაფხულის საუცხოო მზიანი დღე იყო. ქუჩა სავსე იყო ხალხით. ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაძე მხიარულ გუნებაზე დადგა. ერთ ახალგაზრდა ქალზე მიმითითა და ეშმაკური ღიმილით მითხრა:

— კარგი იქნება ეს აჯამეთის ტყეში, არა?

2.

ერთხელ სახლში მივედი მასთან. ჩერნიშევსკის წერილი ამოიღო არქივიდან, მისდამი მიმართული. თვითონ წამიკითხა, კითხვის დროს შევხედე: ცალი თვალიდან კურცხალი გადმოუვიდა, ლოყაზე დაუგორდა.

მოხუცობამდე შერჩა ჩერნიშევსკის ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

3.

თავისი მოგონებები სამოციან წლებზე რუსულად ჰქონდა დაწერილი. თავისი ხელით მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარი გადმომცა (ახლაც მაქვს შენახული ჩემს არქივში), აქა-იქ მის მიერვე ნასწორები. საუცხოოდ ბეჭდავდა მანქანაზე. ის თავის დროს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მუდამ: ბატის ფრთით დაიწყო წერა ბავშვობაში და მანქანაზე ბეჭდავდა თავის ნაწერებს მოხუცობაში.

ეს მოგონებები რუსულიდან ჩემმა ცოლმა — ქეთო ბაქრაძემ თარგმნა ქართულად და ეს თარგმანი დავბეჭდე „კავკასიონში".

7. II. 52.

* * *

**აკაკი და ზინაიდა გიპიუსი**

**პავლე ინგოროყვა:**

— ერთხელ, — მაშინ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, — „თემის" რედაქციაში შევედი. იქ ვნახე აკაკი. მოხუცი პოეტის საუბრიდან დამამახსოვრდა ერთი ამბავი: რუსეთში ყოფნისას აკაკი, არ მახსოვს სად, შეხვედრია მწერალ მერეჟკოვსკის და მის ცოლს ზინაიდა გიპიუსს. აკაკი აღშფოთებით გვიამბობდა, რომ ამ ქალს ჩემთან საუბრის დროს საოცარი მოურიდებლობით ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებულიო. საერთოდ აკაკი გაოცებული იყო გიპიუსის თავისუფალი ქცევით.

იმ შორეული დროის ამბიდან, რომელიც აკაკისთან ჩემ პირველ შეხვედრას შეეხება, რატომღაც მხოლოდ ეს მომენტი ჩამრჩა მეხსიერებაში.

**საუბარი ძერჟინსკის ქუჩაზე,**
**აკადემიის წინ,**
10. V. 53.

* * *

**მაიაკოვსკის დედის ბოსტანი**

**სიმონ ჩიქოვანი:**

— მოსკოვში ყოფნის დროს (1953, ზაფხულზე), რამდენიმე რუს მწერალთან ერთად, ვესტუმრე მაიაკოვსკის დედას, მოსკოვის მახლობელ აგარაკზე. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მაგიდაზე ვნახე მწვანილი, ამან ჩვენებური, ქართული სუფრა მომაგონა.

ჩემს მიერ გამოთქმულ გაკვირვებაზე მაიაკოვსკის დედამ მიპასუხა: შვილო, საქართველოში ისე შევეჩვიეთ მწვანილს, რომ უმისოდ სადილს არ ვჭამთ. მე ბოსტანი მაქვს გაკეთებული, ისევე როგორც ოდესღაც ბაღდადში, მომყავს ოხრახუში, ქინძი. უქინძოდ მაინც ვერ ვძლებ. ისე გვიყვარს, მეც და ლიუდმილასაც.

* * *

**ირანელი ქართველი ქალი**

**დილარა ალიევა:**

— ბუქარესტში, დემოკრატიული ახალგაზრდობის მე-4 საერთაშორისო კონგრესზე ირანის ახალგაზრდობის დელეგაციაში იყო, სხვათაშორის, თეირანელი ქართველი ქალი ფუური გურჯი. ის 18 წლის ქალიშვილია. მისი მშობლები მუდმივად ცხოვრობენ თეირანში. ფუურიმ ქართული ლაპარაკი იცის, თუმცა სუსტად. ირანელი ახალგაზრდების დელეგაცია თბილისშიაც იყო სამ დღეს. მათ ნახეს ქართული კონცერტი, მოისმინეს ქართული სიმღერები, ნახეს ქართული ცეკვები სუხიშვილის და რამიშვილის გუნდისა (ეს უკანასკნელი ბუქარესტშიც მონაწილეობდა ფესტივალზე). ფუური გურჯის თბილისში გაეცვნენ ახალგაზრდა კომკავშირელი გოგონები. ესაუბრნენ, მოუალერსეს. როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, თბილისის სადგურზე გააცილეს ყვავილებით. მატარებელში, გამოთხოვებისას გადაკოცნეს, როგორც შორს ქვეყანაში მიმავალი და. ფუური ცრემლებით ეთხოვებოდა თავის ახლად გაცნობილ მეგობრებს — თავისი წინაპრების, ძველი სამშობლოს შვილებს.

ფუური გურჯი თეირანის ახალგაზრდა კომკავშირელთა აქტივისტია.

ირანელ ახალგაზრდათა დელეგაცია იმ დროს აღმოჩნდა საბჭოთა კავშირში, როცა ირანში გადატრიალება მოხდა და მოსადიკის მთავრობა დაეცა. ამბობენ, მთელი დელეგაცია, ირანში ჩასვლისთანავე დაპატიმრებული იქნა ახალი მთავრობის მიერ.

**25 ოქტ. 1953 წ.**

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიის აუცილებელი დასაყრდენი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ გამოსცა „საისტორიო მოამბის“ მორიგი წიგნი, რომელიც ორ ტომს აერთიანებს (41-42). მოამბე დაბეჭდილია მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, პასუხისმგებელი რედაქტორია ა. მანელაშვილი.

„საისტორიო მოამბის“ ეს მორიგი ტომიც, როგორც ჩვეულებრივ, საინტერესო მასალების პუბლიკაციას შეიცავს. გამოქვეყნებული მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1728-1930 წლები; წინამდებარე ტომისათვის შერჩეულია სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის თემა, კერძოდ: ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობა, XIX საუკუნის საქართველოს პირველი ნახევრის ისტორია, ვახტანგ მეექვსის ეპისტოლური მემკვიდრეობა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორია (1901-1920), ლევ ტოლსტოი და კავკასიის ცენზურა და არჩილ ჯორჯაძე. თითოეულ თემას ახლავს მცირე შესავალი წერილი, ბოლო მასალასთან, როგორც წესი, დაბეჭდილია ლეგენდა, რომელშიც მითითებულია მასალის ადგილ-მდებარეობა — რომელ სიძველეთსაცავშია დაცული, ფონდისა და საქმის ნომერი, ფურცელთა რაოდენობა და ზოგჯერ სხვა ცნობები მკითხველის ორიენტირებისათვის. ტომში ზოგიერთ მასალასთან დაკავშირებით დაბეჭდილია სურათები (მაგ., ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი ოთარ-ბეგის როლში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის 1926 და 1931 წლების პედაგოგთა და მოსწავლეთა ჯგუფისა, მარო თარხნიშვილის მომღერალთა გუნდის, ილიკო ქურხულის, ზაქარია, ივანე და პოლიკარპე ფალიაშვილების, მიხეილ კავსაძისა და კოტე ფოცხვერაშვილის პორტრეტები).

„საისტორიო მოამბის“ მორიგი ტომი სოლიდური მოცულობისაა (478 გვ.).

მასალათა შემმზადებლები და კომენტატორები არ დაკმაყოფილებულან მხოლოდ იმ საბუთებით, რომლებიც ცენტრალურ საისტორიო არქივში არის დაცული. საკითხის სისრულისათვის ისინი სხვა საცავებს და პერიოდულ გამოცემებსაც მიმართავენ და ცდილობენ ამომწურავად გააშუქონ აღებული თემა, მაგ., ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის მოღვაწეობის ჩვენებისას, არქივის ფონდების პარალელურად მოხმობილია გაზეთები „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და „ბახტრიონი“, რომლებშიც გამოქვეყნებულია ამ შესანიშნავი მოქალაქისა და მსახიობის ნაწერები, ან მასზეა დაბეჭდილი ცნობა, აგრეთვე სათეატრო მუზეუმის ფონდები, ლენინგრადის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალები და სხვ.

წინამდებარე ტომში შეტანილი მასალები ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა დარგს ეხება. ყოველი საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, ხოლო მათთან დაკავშირებული საბუთები ისტორიის აუცილებელი დასაყრდენი საფუძველია. ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიც ზაჰესის, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უპირველესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იყო, რომელიც „გოელროს“ განხორციელების გზაზე შეიქმნა, ამ ტომში წარმოდგენილია დოკუმენტებით, რომელთა გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის წარსულის სრული სურათის შექმნა. პირველი საბუთი ზაჰესის მშენებლობის თაობაზე 1922 წლის 6 მაისის თარიღისაა, ესაა თბილისის საბჭოს აღმასკომის ოქმი. აქ გაცოცხლებული არიან სხდომის მონაწილენი, სხდომაზე გატანილი საკითხები, სხვადასხვა აზრები და პროექტები, სამშენებლო კომიტეტის შექმნა, გაწეული ხარჯების ნუსხა და მრავალი სხვა. ბოლოს ზაჰესის ამუშავება და გახსნა 1927 წლის ივნისში, რაც სახალხო ზეიმით აღინიშნა ადგილზე და თბილისში.

მშრალი საბუთები და მათში მოქცეული ციფრები ცხოველმყოფელობას იძენენ მათი გაცნობისას, რადგან თითოეული სხდომის ოქმი თუ ინფორმაცია ეხება ზაჰესის მშენებლობის მიმ-

დინარეობას, სხვადასხვა პიროვნებათაგან მშენებლობის დათვალიერებას და მათგან გამოთქმულ შთაბეჭდილებებს და სხვ. ამასთან, ეს საბუთები აცოცხლებენ იმ ადამიანებს, რომელთაც თავისი ნიჭი და ცოდნა გამოიყენეს საქართველოში პირველი დიდი ელექტროსადგურის აგებისათვის, როგორც, მაგალითად ცნობილმა ინჟინერმა ბესარიონ ალექსანდრეს ძე ჭიჭინაძემ.

ამ ტომში შეტანილი საბუთები, დაკავშირებულნი ზაჰესის მშენებლობასთან თუ სხვა თემებთან, მიმზიდველ ამბებად აღიქმებიან. ზაჰესის მშენებლობის მასალების პუბლიკაცია ლ. ნანიკაშვილს ეკუთვნის.

მოკლე შესავალი წერილით დახასიათებულია ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინის ცხოვრება და მოღვაწეობა (პუბლიკაცია გ. გოზალიშვილისა). „მისაყვედურებენ, თითქოს ვუღალატე საქართველოს... მე ვიყავი და დავრჩი ერთგული ჩემს სიყვარულში ჩვენი ქვეყნისადმი...“ ეს სიტყვები ალექსანდრე სუმბათაშვილისაა, ნათქვამი მისი ცხოვრების მიმწუხრისას. იგი რუსეთში დაიბადა, იქ იმოღვაწა და რუსული სათეატრო ხელოვნების დიდოსტატად იქცა. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე მას არ დაუვიწყებია თავისი წარმოშობა. „კაცს მინიჭებული აქვს ისეთი სულის გრძნობა, რომელთანაც ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია. ეს გრძნობა არის თავის მამულის, თავის მოძმეთა სიყვარული... მე არ შემიძლიან და არც მინდა დავივიწყო ჩემი დედა-ენა...“ ასე სჯეროდა და სწამდა ალ. სუმბათაშვილს, რომელიც ქართულ თეატრთან და მის მსახიობებთან მეგობრულად იყო დაკავშირებული. შეუძლებელია აუღელვებლად წაკითხვა იმ ბარათისა, რომელიც მას მოსკოვის ქართველთა საზოგადოებისათვის მიუწერია 1908 წელს:

«...каким счастьем и гордостью для меня было сознавать в эти дни, что я — грузин, что я от моей матери Грузии получил благословение здесь, где я работал, ни одной минуты не забывал, какая страна согрела своим солнцем юношеские мечты своего сына».

მშვენიერი საბუთებია! აქაც ცოცხლდებიან ქართული სათეატრო კულტურის და სხვა მოღვაწენი: ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, კოტე ანდრონიკაშვილი, შაქრო გომელაური, ცაცა ამირაჯიბი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, შალვა დადიანი, ნატალია როზენელი, ანატოლი ლუნაჩარსკი, ვსევოლოდ აქსიონოვი, ალექსანდრა იაბლოჩკინა, აგრეთვე „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, მისი მეთაური გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია.

ი. ანთელავას პუბლიკაციები ეხება საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის რამდენიმე მომენტს, კერძოდ, გლეხის გიორგი ბეგიაშვილის თხოვნას გორის მაზრის უფროსთან ერისთავების ძალადობაზე (1820 წ. საბუთი). რამდენიმე საბუთი (№ 2-8) გვიამბობს მიხეილ ბარათაშვილის (ბარატაევის) მასონობასა და ამასთან დაკავშირებით მის სამართალში მიცემაზე, ერთი საბუთიც — ქართლისა და იმერეთის გუბერნიებში არსებულ საგადასახადო სისტემას (1842 წლისა), ხოლო დანარჩენები (№ 10-12) — ტირძნისელი მემამულის ივანე სულხანიშვილის სანიმუშო მეურნეობის აღწერასა და ვითარებას ეხება.

ოცი საბუთი გამოვლინებულია გ. პაიჭაძისაგან და ეხება ვახტანგ მეექვსის უბედო თავგადასავალს. ვახტანგს წერილები მიუწერია რუსი მოხელეებისათვის 1728-1785 წლებში მაშინ, როცა იგი სხვათა კარზე იყო ხიზნად და ყველას ევედრებოდა დახმარებას მძიმე მდგომარეობიდან თავის დახსნისათვის. ერთი წერილი ცხილვანშია (ასე უწოდებდნენ მაშინ ახლანდელ ცხინვალს) დაწერილი, დანარჩენები ასტრახანს, დარუბანდს, მოსკოვს, სადაც უხდებოდა ყოფნა და ცხოვრება ლტოლვილ ვახტანგს.

„საისტორიო მოამბის“ ამ წიგნში დაბეჭდილია გაგრძელება ლ. გოდერიძის პუბლიკაციისა „მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901-1920 წ.წ.)“, რომელსაც ერთვის ფონდისა და წერა-კითხვის საზოგადოების მოღვაწეობის მიმოხილვა. აქ სისრულით არის წარმოჩინებული ქშწ-კგს-ის დიდად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საერთოდ და უმთავრესად აღნიშნულ წლებში. ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ქშწ-კგს მხოლოდ სასკოლო საქმეს არ წარმართავდა, არამედ იგი იყო ეროვნულ-კულტურული დაწესებულება, „სადაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მაჯისცემა და მისი ეროვნული სატკივარი“. აქ გამოქვეყნებულია ავტოგრაფები და დედნები პირველხარისხოვანი საბუთებისა, რომელთა შემქმნელნი არიან იაკობ გოგებაშვილი, დავით კლდიაშვილი, თედო რაზიკაშვილი, ივანე რატიშვილი, ვალერიან გუნია, დავით კარიჭაშვილი, სამსონ ფირცხალავა, ნიკო ცხვედაძე, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი... ერთი სიტყვით, მთელი ქართული ინტელიგენცია, მოაზროვნე ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული მნიშვნელობა „ჩვენი ეროვნული თავშესაფარისა“, „ჩვენი სამეცნიერო აკადემიისა“ (იაკობ გოგებაშვილი).

საბუთებში გამოქვეყნებულია ქშწ-კგს-ის 1907 წლის 21 მარტს დამტკიცებული გადამუშავებული წესდება, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ცვლილებას, რაც მოხდა ხალხის ცხოვრებაში და საზოგადოების საქმიანობაში.

პირველხარისხოვანი საბუთებია ილია ჭავჭავაძის უკვდავსაყოფელი ღონისძიებანი, ქალთა

წრის ანგარიში ი. ჭავჭავაძის სახელობის ფონდზე, ს. ფირცხალავას მოხსენება სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა გამოცემაზე, ქართული ენის ლექსიკონის შედგენის საკითხი, ივანე ჯავახიშვილის წერილი მისი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე, ნალჩიკში ქართული სკოლის დაარსების ამბავი, აგრეთვე საბუთები ვაჟა-ფშაველასა და იროდიონ ევდოშვილისათვის დახმარების აღმოჩენაზე, ი. ჭავჭავაძის ძეგლის დადგმაზე მთაწმინდაში... აქ გამოქვეყნებული საბუთები საქართველოს ახალი ისტორიის შესანიშნავი წყაროებია, რომელთა გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ჩვენი გუშინდელი დღის სასრულით და სისავსით წარმოდგენა.

ოცდათორმეტი საბუთია გამოქვეყნებული პუბლიკაციაში „ლევ ტოლსტოი და კავკასიის ცენზურა“ (ბ. პირადოვი). კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობა ერთი ნაწილი იყო იმ ველური დამოკიდებულებისა და დევნისა, რასაც განიცდიდა რუსეთის დიდებული მწერალი ლევ ტოლსტოი მაშინდელი ხელისუფლებისაგან. კავკასიის ცენზურა კრძალავდა მწერლის ხსენებას, მისი თხზულებების დასახელებას, ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და წიგნის მოვაჭრეთა განცხადებებსაც კი მწერლის ამათუიმ თხზულების გაყიდვასთან დაკავშირებით.

1922 წელს ტოლსტოი ავად გახდა. უწმინდესმა სინოდმა მაშინვე განკარგულება აფრინა იმპერიის კუთხეებში. თბილისის გუბერნატორმაც მიიღო ცნობა — თუ ტოლსტოი გარდაიცვლებოდა, გუბერნიაში აკრძალულიყო ყოველგვარი ცნობა სიკვდილზე, პანაშვიდის დანიშვნაზე. ცენზურამ აკრძალა მწერლის ავადმყოფობის ბიულეტენის გამოქვეყნება, ყოველნაირი თავყრილობა, კრება, საღამოს გამართვა.

ტოლსტოი 1902 წელს არ გარდაცვლილა, იგი გამოჯანსაღდა. იმპერიისა და კავკასიის ცენზურას ამაოდ ჩაუარა „ზრუნვამ“.

ორმოცდაშვიდი საბუთის პუბლიკაცია ეკუთვნის ნ. რუსიშვილს „ქართული მუსიკის ისტორიიდან, 1917-1980 წ.წ.“. აქ თავმოყრილია საბუთები თბილისის კონსერვატორიისა, ქართული მუსიკისა და ქართველ მუსიკოსთა შესახებ. გამოქვეყნებულია დადგენილება თბილისის სამუსიკო სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნაზე, „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე, ფილარმონიულ საზოგადოებაში მგალობელთა გუნდის შექმნაზე (კომისიაში არიან: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, გ. დალაქიშვილი, ნ. სულხანიშვილი, მ. მოლოდინაშვილი, ზ. ჩხიკვაძე), თბილისის კონსერვატორიის სახელმწიფო კონსერვატორიად გარდაქმნაზე (ზ. ფალიაშვილის მოხსენება)...

აღსანიშნავია ილიკო ქურხულის თხოვნა-მიმართვა: „მერვე წელიწადია, რაც ჩემი ცოდნით და უნარით მდაბიო ხალხს ვემსახურები ქუჩებიდან, ეზოებიდან, მოედნებიდან, მატარებლის ვაგონებიდან, სოფლად და ქალაქად ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი სილამაზე, მეტი სწავლა და განათლება შევიდეს ჩვენს ხალხში“... „მოხეტიალე მუსიკოსი“ ილიკო ქურხული მთავრობას მოწმობას სთხოვდა თავისუფალი მოქმედებისათვის მუსიკალური კულტურის პროპაგანდის დროს, ამასთან, თხოულობდა ლინოლეუმის ნაჭერს, რომ მასზე „წერით ავუხსნა ჩემს აუდიტორიას მუსიკის თეორია და სოლფეჯიო“.

კოტე ფოცხვერაშვილის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, მიხეილ კავსაძის, ძუკუ ლოლუას, ვანო სარაჯიშვილის, ია კარგარეთელის, ვიქტორ დოლიძის, დები თარხნიშვილების და სხვათა მრავალთა მუსიკოსთა თუ მუსიკისმცოდნეთა საქმეებია ასახული საბუთებში. აკაკი შანიძის და მიხეილ ზანდუკელს შეუსწავლიათ თბილისის მეორე კონსერვატორიის მუშაობა და თავისი დასკვნა დაუწერია, ივანე ჯავახიშვილს მოზრდილი მოხსენება დაუწერია თბილისის კონსერვატორიის ორგანიზაციულ მუშაობაზე, ხოლო ზ. ფალიაშვილს მიშელ დარიალთან (მიხეილ ნანობაშვილთან) და ალექსი აკაკის ძე წერეთელთან მოლაპარაკება უწარმოებია ქართული მუსიკის ევროპაში გატანის თაობაზე.

შესანიშნავი საბუთებია!

ლ. ნანიტაშვილის პუბლიკაციები ეხება არჩილ ჯორჯაძეს. ეს პირველი შემთხვევაა 1918 წლის შემდეგ ამ მოღვაწის შესახებ ამდენი მასალა ერთად გამოქვეყნებულიყოს. არჩილ ჯორჯაძე აქ წარმოდგენილია როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი, დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის შემფასებელი, დაუცხრომელი მუშაკი, გაჭირვებაში მცხოვრები და ჭლექით ძლიერ ადრე დაღუპული მოღვაწე. „საუბედუროდ, ის, ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში წევს!“ — ეს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია. ილია ჭავჭავაძის თხზულებების მიხეილ გედევანიშვილისეული გამოცემის მომზადების ხანს ნათქვამია. მასალები ცოტაა, მაგრამ მიმზიდველი და საინტერესოა. კარგი დახასიათებაა მოცემული არჩილ ჯორჯაძისა ნინო ტატიშვილი-ყიფიანის მიერ, აქვეა წერილები დავით კასრაძისა, ალექსანდრე წერეთლისა, აკაკი შანიძისა, ნიკო ლომოურისა, იოსებ გედევანიშვილისა. ყურადსაღებია ივანე ჯავახიშვილის წერილი, აგრეთვე თედო სახოკიასი, აკაკი პაპავასი, სანდრო შანშიაშვილისა, ანტონ ფურცელაძისა, გრიგოლ ყიფშიძისა და სხვათა არჩილ ჯორჯაძის ღვაწლსა და მუშაობაზე.

„საისტორიო მოამბის“ ეს მორიგი ტომი, ისევე როგორც წინა გამოცემები, რომლებშიც დიდძალი მასალა არის გამოქვეყნებული ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა დარგების ისტორიისათვის, დიდ დახმარებას გაუწევენ სპეციალისტ-მკვლევარებს. ის მრავალ-

ფეროვანი და, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი წყაროა, საქართველოს საისტორიო არქივში რომ არის დაცული, მომავალშიც ბევრ მიმზიდველ შინაარსიან მასალას გვპირდება ამ სერიოზული და სიმპატიური გამოცემის მეშვეობით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „საისტორიო მოამბის" გამოცემის პერიოდულობა რეგულარული იქნება.

სოლომონ ხუციშვილი

# „წყობილსიტყვაობის" ახალი გამოცემა

ანტონის „წყობილსიტყვაობა", რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი, თავისებურად ასახავს ეპოქის ფიქრთა მპყრობელების ინტერესთა სამყაროსა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების დონეს. ამიტომ მისი გამოცემით, რაც ასე ჩინებულად განახორციელა პროფ. ივ. ლოლაშვილმა, უეჭველად დიდად სასარგებლო საქმე გაკეთდა (რედაქტორი აკად. შ. ძიძიგური).

იამბიკური ლექსით დაწერილ ენციკლოპედიური შინაარსის თხზულებაში გაშუქებულია ჩვენი ხალხის მღელვარე ისტორიასთან, კულტურის განვითარებასა და ლიტერატურის მოღვაწეთა შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. ძველ ქართველ მწიგნობართა (მათ შორისაა ბევრი სრულიად უცნობი პირიც) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ანტონის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მართებულად იქნეს შეფასებული წარსულის ფაქტები და მოვლენები.

ცნობილია, რომ ანტონს ფართო განათლება ჰქონდა მიღებული, ზედმიწევნით იცოდა მან როგორც ქართული ენა და მისი გრამატიკული სტრუქტურა, ისე საქართველოს სამოქალაქო ცხოვრების, კულტურისა და ლიტერატურის ისტორია. კვლევა-ძიებაში ეყრდნობოდა მის დროს ხელმისაწვდომ წყაროებს, რომელთა საგრძნობ ნაწილს ჩვენამდის არ მოუღწევია. ამავე დროს, ანტონ ბაგრატიონი, როგორც მეცნიერი და მოღვაწე, მეტად თავისებური და რთული პიროვნება იყო. საგნებსა და მოვლენებს თავისი საკუთარი სამრეკლოდან უცქერდა, ნაკლებ ანგარიშს უწევდა ტრადიციას. ამიტომ ნოვატორობაში ყოველთვის ვერ იცავდა ზომიერებას, ჯოხს ხან მარცხნით ხრიდა, ხან მარჯვნით. ამით აიხსნება მისი თხზულებების მეტის მეტად ხელოვნურ-ღვლარჭნილი სტილი, მძიმე სინტაქსი, რაც მთავარია, ამ ხელოვნურ ენაზე დაყრდნობით შედგენილი „ქართული ღრამმატიკა", რის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ უკვე ითქვა და, ეჭვი არაა, უფრო მეტი მომავალში ითქმება.

საცილობლადაა მიჩნეული ანტონის თხზულებათა წყაროებისა და მათზე დამყარებულ დებულებათა სანდოობა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე გამოთქმულია ერთურთის გამომრიცხავი შეხედულებები. ანტონის თხზულებებში ნამდვილად გვხვდება ბევრი მცდარი და მიუღებელი დებულება, ანაქრონიზმებიცაა გაპარული, მაგრამ ისიც კარგადაა ცნობილი, რომ აქ ფრიად საინტერესო აზრებსაც ბლომად ვპოულობთ. ამათ კი მეცნიერული პირუთვნელობით უნდა შეფასება. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ანტონის ღვაწლის ვერც ისე მუქი ფერებით წარმოდგენას, მკვლევართა ერთი რიგის ნაშრომებში რომ ვპოულობთ, და მის ვერც ისე ღია ფერებით შელამაზებას, სპეციალისტთა მეორე რიგის ნაშრომებს რომ ახასიათებს. გარკვეული საფუძველი შეიძლება ორივე თვალსაზრისს დაეძებნოს, მაგრამ „განაჩენის გამოტანისას" აქ მაინც უფრო მეტი ზომიერების დაცვაა საჭირო, რადგან ანტონი, როგორც ითქვა, უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე პიროვნება იყო და მის მემკვიდრეობასაც ატყვია ეს გარემოება. ანტონის მემკვიდრეობის შეფასებისას სწორედ საჭირო ზომიერებას იცავს ივ. ლოლაშვილი.

მკვლევარმა მნიშვნელოვანი შრომა გასწია „წყობილსიტყვაობის" შესწავლის, ტექსტის დადგენისა და მეცნიერული სიფაქიზით გამოცემისათვის. სიმბოლიურია, რომ გამოცემაზე დართული საინტერესო ნარკვევისათვის ავტორს წინ წარუმძღვარებია გრიგოლ ნაზიანზელის მრავლისმეტყველი შეგონება: „ერთი ორთაგან თანა გუაც, რათა ანუ თვით სიბრძნისმოყვარე ვიქმნეთ, ანუ სხუათა სიბრძნის-მოყუარებისა პატივისმცემელ ვიყვნეთ, უკუეთუ ოდენ არა გუნებავს სრულიად განვრდომაჲ კეთილისაგან". ჭეშმარიტად!

მკვლევარს გარკვეული სიცხადე შეაქვს ანტონის ღვაწლისა და თხზულებათა წყაროების სანდოობის სწორად გაგების საკითხში. საკუთრივ „წყობილსიტყვაობის" შესახებ იგი სამართლიანად ამბობს: „ანტონის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების ზოგიერთი წყაროს მიუგნებლობამ წარმოშვა მცდარი კომენტარებიც, რო-

მელთაც განაპირობეს უნდო დამოკიდებულება ამ წყარომიუგნებელი ცნობებისადმი“. თვითონ ივ. ლოლაშვილს ბევრი უჩხრეკია „წყობილსიტყვაობის“ წყაროები და დაუდგენია, რომ ცნობები, რომლებიც ძეგლშია გამოყენებული, ძირითადად გამოკრებილია სწორედ სანდო წყაროებიდან, რომლებიც ანტონის განკარგულებაში ყოფილა იმხანად. ამიტომ მისი ინფორმაცია სანდოა და ყალბად მიჩნევა არ შეიძლება. ამ დებულების დასაბუთებას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. გასაზიარებელია მკვლევრის დასკვნა ძეგლის წყაროთა შესახებ. „რაკი ეს ძეგლი, — ამბობს ავტორი, — დაიწერა XVIII საუკუნის 60-იან წლებში, ამიტომაც არ გვაქვს უფლება მასში დაცულ ცნობებს ადრე ფეოდალური და კლასიკური ხანის ქართველ მწერალთა შესახებ უნდო თვალით შევხედოთ. ანტონის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის ამის ღირსი. მწერლის ფართო მეცნიერული განათლება და წყაროებისადმი დიდი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება უდავო საწინდარია იმისა, რომ „წყობილსიტყვაობის“ ცნობებს მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება და გამოვიყენოთ ისინი ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად. ხელაღებით თქმა, თითქოს ანტონი გვაწვდიდეს არასწორ და შეუმოწმებელ ცნობებს, ან მისი ბევრი ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, ეს იქნებოდა პირველხარისხოვანი ძეგლის გაუფასურება, ვიდრე მისი მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა და მნიშვნელოვან მხარეთა სათანადო გათვალისწინება. ანტონის ნაწერებში ვხვდებით ზოგიერთ ცნობას, რომელთა წყარო არ ირკვევა“... „საიდან მოდის ეს ცნობა, არ ვიცით, მაგრამ არ გვაქვს უფლება, მისი ნამდვილობა არ ვირწმუნოთ“... „ანტონმა იგი, ალბათ, ამოიკითხა ჩვენთვის უცნობ რომელიღაც ძველ ხელნაწერში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია“... ამავე დროს, მკვლევარი გვაფრთხილებს: „ყოველივე თქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ანტონს ბრმად ვენდოთ და არ შევამოწმოთ და არ მოვძებნოთ ცნობილი თუ უცნობი წყაროები“.

ივ. ლოლაშვილის საინტერესო გამოკვლევაში სხვა აქტუალური პრობლემებიცაა აღძრული და სწორად გაშუქებული. მთლიანად იგი, ჩვენი აზრით, უთუოდ მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებაში. რაც შეეხება ანტონის შეფასებას თანამედროვეთა მიერ, ეს, სხვათაშორის, მოცემული გვაქვს ანტონის საფლავის ქვის ეპიტაფიაშიც, რომელიც ასე იკითხება: ანტონმა „განაშუქენ ენა ქართველთა კეთილითა მჭევრმეტყველებითა და ღრამმატიკითა და წიგნნი საფილოსოფოსონი და საღმრთისმეტყველონი რაოდენიმე თვით ჰქმნა და რაოდენიმე გარდამოიღო სხუა და სხუათა ენათაგან ქართველთა ენასა ზედა“...

ძეგლის გამოცემის მეცნიერულ ღირსებას მნიშვნელოვნად ზრდის თანდართული [illegible] რუდუნებით შედგენილი აპარატი: [illegible], გეოგრაფიულ, ეთნიკურ სახელთა საძიებელი, იშვიათი და არქაული სიტყვების სოლიდური ლექსიკონი, რომელიც წიგნს ერთვის, მკითხველს მეტად საჭირო ინფორმაციას აწვდიან. საძიებლებში თავმოყრილია ანტონის მიერ მოხსენიებულ მოღვაწეთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო-სალიტერატურო წყაროებიდან ამოკრებილი ძვირფასი საცნობარო მასალა. ეს არის არა უბრალო საძიებელი, არამედ პოლიტიკურ, ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწეთა მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი საძიებლებში ვეცნობით აბიბოს ნეკრესლის, აბოს, ალექსანდრე პირველის, ანტონ მარტომყოფლის, ანტონ მნათის, ანტონ ნაოხრებლისძის, ანტონ ჭყონდიდელის, არსენ ფარსმან ყოფილის, არსენ ნინოწმიდლის, გიორგი ხუცესმონაზვნის, გიორგი ათონელის, გრიგოლ ხანძთელის, დავით გარეჯლის, დიმიტრი ციციშვილის, ევსტათი მცხეთელის, ვასილ ათონლის, ზაქარია მირდატის ძის, იაკობ შემოქმედლის, თორნიკე ათონლის, ილარიონ თუალელის, ილარიონ კახის, იოანე ბოლნელის, იოანე მანგლელის, იოანე პეტრიწის, იოანე ოქროპირის, იოსებ ალავერდელის, ისე წილკნელის, ნეოფიტე ურბნლის, რაჟდენის, ქეთევან დედოფლის, შუშანიკ დედოფლისა და სხვათა შესახებ ფრიად საინტერესო ინფორმაციას. აქ ვეცნობით საგულისხმო ფაქტებს, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს. ბევრი ცნობა უნიკალურია. ამიტომ ენციკლოპედიური სახის საძიებლებს თავისთავად დამოუკიდებელი ნაშრომის მნიშვნელობა აქვს. ანტონის მიერ მოხსენიებული ზოგი ძველი მოღვაწის შესახებ სათანადო ცნობები მხოლოდ აქაა განხილული, ქართულ ენციკლოპედიაშიც კი არ გვხვდება (ქართულ ენციკლოპედიაში არაფერია ნათქვამი, მაგალითად, ანტონ მნათის, ანტონ ნაოხრებლის ძის, ანტონ ჭყონდიდლის, არსენ ფარსმანყოფილის, არსენ ნინოწმიდლისა და სხვ. შესახებ). მართალია, გამოქვეყნებული ინფორმაცია მეტად მოკლეა, მაგრამ მას მაინც ფრიადი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამისთანა შინაარსის წყარო ხსენებულ მოღვაწეთა შესახებ სხვა არა გვაქვს.

მარჯვედაა შედგენილი იშვიათ და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი, რომელშიც 800-ზე მეტი ლექსიკური ერთეულია განმარტებული თავად ტექსტისა და არსებული სიტყვების მოშველიებით. ყურადღებას იქცევს ავტორისათვის ჩვეული მკაფიო, სხარტი, კონტექსტის შესატყვისი განმარტებები. მაგ., ა ზ ნ ა უ რ სიტყვა ანტონს ასეთ კონტექსტში აქვს ნახმარი: „ვჯედ რაჲ კელლინსა ჩემსა უქმად ოდესმე, მოცლილი სხუათაგან ა ზ ნ ა უ რ თა სწავლათა“ (გვ. 291). ჩვენი ავტორის ვარაუდით, სიტყვა აქ კ ე თ ი ლ-შ ო ბ ი ლ ს ნიშნავს (გვ. 375). ნამდვილად ასე

უნდა იყოს. თუმცა ძველ ქართულში ეგ სიტყვა თავისუფალს გულისხმობდა (საბა); თავისუფალი, წარჩინებული, უხუცესი ანუ დიდებული, „ხოლო აწ ჰნიშნავს კეთილშობილსა“ (ნ. ჩუბინაშვილი). თანამედროვე გაგება დაშორებულია სიტყვის პირვანდელი სემანტიკისაგან.

აზიმა უცომო, უსაფუვრო (გვ. 375), იშვიათი სიტყვაა: „არა აზიმა, ესე იგი უცომო, არამედ არტონ, პური შეზავებული ცომისა მიერ და შვენიერ მარილით“ (გვ. 147). განმარტება კონტექსტისეულია. ასევე მოკვეთილადაა განმარტებული: არდაგ-ი (წინსაფარი, შესახვევი ტილო), ალწბოლა (შეჭმა, შეთქვლეფა), ალჯუარვა (ჯვარზე გაკვრა), განლიგებული (გაოგნებული, გაშტერებული), განმმეხი (მეხის დამცემი; მოპმსპობი), დაწუხვილი (დაბრმავებული თვალდახუჭული), მეთარგმანე (მთარგმნელი), მეიავრე (იავრისმოქმედი, მიმტაცებელი), მესავანე (სავანის მკვიდრი), მექმი (შემოქმედი), მეშვი (მშობი), მეცნი (ნაცნობი), სერტყი (ტყე), სიცონილი (სიზარმაცე), უცონელი (დაუზარელი), ურული (ფხიზელი) და ა. შ.

სწორადაა შესწავლილი და განმარტებული ანტონის ცნობილი კომპოზიტები: იბერწისწულე (იბერწისშვილე, ბერწისწული ბერწისშვილი), ორ-განხეული (ორად გახეული), პირადპირადი (სხვადასხვანაირი,ნაირნაირი), ილმერთსახელა (ღმერთის სახელი მიილო), წინამეტყვი (წინასწარმეტყველი), წინამსრბი (წინამორბედი, წინამსრბოლი), წყობილსიტყვაობა (შაირსიტყვაობა, ლექსთსიტყვაობა)...

ლექსიკონს ატყვია შემდგენლის დიდი რუდუნება. ივ. ლოლაშვილმა ასევე მშვენიერი ლექსიკონები დაურთო ძველი ქართული ძეგლების სხვა გამოცემებსაც. ყველა ეს ლექსიკონი, უეჭველია, ჩვენი ლექსიკოგრაფიის მონაპოვარია და თავის ადგილსაც დაიჭერს სამეცნიერო ლიტერატურაში.

„წყობილსიტყვაობას“ დამატების სახით ერთვის იამბიკოთი შესრულებული გაიოზის წინასიტყვაობა, ტრიფილეს ანდერძი, იოანე ოსეს ძის ეპიტაფია, ვახტანგ ბატონიშვილის იამბიკო, ანდერძი ოსეს ძისა, გადამწერ ტარასი არქიმანდრიტის მინაწერი, ანტონის საფლავის ქვის წარწერა, მოკლე დასკვნები რუსულ ენაზე.

როგორც ვხედავთ, გამოცემა აკადემიურია. ბოლო ხანებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ რამდენიმე კარგი წიგნი გამოსცა. მათ შორის ერთ-ერთი პირველია ანტონის „წყობილსიტყვაობა“.

1980 წელს ივ. ლოლაშვილმა დიდად გაგვახარა ასევე მშვენიერი მონოგრაფიით — „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“, რომელიც ცოცხალი ინტერესით იკითხება. წიგნი მკითხველს ბევრ სიახლეს აცნობს. დაწერილია მეცნიერული ნარკვევის სტილით. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა (დირექტორი იზა ორჯონიკიძე) ამ წიგნის გამოცემით წამოიწყო დიდად საჭირო და სასარგებლო საქმე.

ივ. ლოლაშვილი ფრიად ნაყოფიერი მეცნიერია. პერიოდულად გამოდის მისი ახალი მონოგრაფიები, ნარკვევები, გამოკვლევები, რომელთაც ინტერესით ეცნობიან არამარტო სპეციალისტები, მეგობრები და მახლობლები, არამედ მკითხველთა ფართო წრეები. ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემაც, გვჯერა, თავის ადგილს დაიჭერს მეცნიერებაში. ის გვიჩვენებს ქართველოლოგიის ჰორიზონტის გაფართოებას, წინსვლის დიდ წყურვილს, სიახლეებისაკენ შეუჩერებელ სწრაფვას.

ალ. ღლონტი

ƃ 101/58

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ